

114 /
1966/3

20
საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
აღმოსავლელი
კავშირების
მინისტრო

აგვისტო 1966

1966 3

გნათობი

საქართველოს
განათლების
მინისტროს
განკარგობის
სამსახური

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურობის

წელიწადი 43-ე

№ 3

მარტი, 1966 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი განათლების მინისტრის ბრძანებით

შ ი ნ ა კ რ ს ი

გიორგი ლეონიძე — ლექსები	3
თამაზ კვიციანი — ამა, მიიწერა ზამთარი. რომანი. ვაგრაძელება	5
რევაზ შარვაშიანი — ახალი ლექსების წიგნიდან	52
რაქინიძე ლისაშვილი — ლექსები	54
გურამ დონაშვილი — მიხეილი და ალექსანდრე. მოთხრობა	55
ნ. გვარამია — ლექსები	76

ნარკვევები

კაკო ვასაძე — ქართველები ოცნებებში	77
------------------------------------	----

800 შოთა რუსთაველი 800

პაველე ინგოროვე — შოთა რუსთაველი	99
ნოდარ ნათაძე — „ვეფხისტყაოსანი“ და ეპოქის ზნე-ჩვეულებანი	132

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

პოლონ ნუცუბიძე — „სახალხო კაპიტალიზმის“ ბურჟუაზიულ-რევიზიონისტული თეორიის კრიტიკა	142
შალვა რადიანი — მხატვრული სიტყვის ოსტატების ნაწარვეები	156
გურამ კანკავა — ქართული კომედიოგრაფიის ერთი ნიმუში	165

წარსულიდან

პო. ლორთქიფანიძე — ანტიკური საშუალო და ძველი კოლხეთი	169
--	-----

ჩვენი მდინარეები

ნოდარ ჯანბერიძე — გიორგი ჩუბინაშვილი	179
--------------------------------------	-----



სიმონ უაუზნიშვილი — სახელოვანი მკვლევარი 186
 ბ. ხარანაული — ნიკო ტატიშვილის „ლიტერატურული ნარკვევები“ 188
 გრ. ერემოვი — ნაშრომი სოციალისტური ერების განვითარების შესახებ 191



მთავარი რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ა კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მაღრაძე, ბ. ფლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
 ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 68. ტელეფონი 7-12-42; 7-11-88.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/III-66 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა
 7 1/4 × 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
 უე 02956 ტირაჟი 6500. შეკვეთა № 371.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
 Тбилиси, ул. Ленина, 14.

გიორგი ღონიძე

კ ა ტ ი ნ ა

ხმა საკრავისა
 ნელ-ნარნარისა,
 შორს, შორს გეძახის,
 სად მისწყდა ბედი!
 ხმა ვარსკვლავისა
 გადამდნარისა
 გაველო ცაზე
 ვით ოქრომკედი;
 თაფლისფერ სხივთა
 შარავანდედში,
 იდგა კატინა,
 ვით ოქროს გედი...

2.

განა ცრემლები ჰქონდა კატინას,
 ან სიყვარული განა იცოდა?
 და თუმც უკვდავი ცრემლით ატირა,
 განა ოცნება მან შეიცოდა?
 რამდენი იმედი თუ დაპირება,
 სიყვარულის ხმით ნაპობი სივრცე!

და გული ვის არ აეტირება,
 როცა არ იცის, ხელი ვის მისცე?
 ასე სჩიოდნენ ძველი ქნარები
 და ვარსკვლავები ნაფურჩქნარები...

3.

აღარ მღერიან
 საზანდრები
 და ბულბულები,
 ფარვანასავით
 სიყვარულში
 დაღუპულები...
 მაგრამ ხანდახან
 გავიხსენოთ
 მათი წყლულები...
 იმ სიყვარულით
 მაინც ვიყვნეთ
 ნასულდგმულევი,
 იმ ძველ თქმულებით...
 რამდენია,
 ეპეი, უღევი!..

მ ს მ ნ ი ნ ი

მე ქალაქ-გარეთ მახსოვს დუქანი,
 შემოდებული ნაცვიენ ფოთლებით
 ჭრელშარფოსანი მოდის დუნკანი,
 მკითხავს ღიმილით და
 შეშფოთებით —
 მითხარ, სად არის, ახლა ესენინ,
 ხომ არ ვინახავს?
 ისევ მთვრალია?
 ხომ ჰყევახართ ძმები მოალერსენი,
 რატომ არ უშლით?...
 ნაავდრალია...
 დაბორილობს ქარი ქარელი...
 როგორ მაგონებს ზარბოშ ესენინს...

აი, გააღო ბალის კარები.
 ლექსებს კითხულობს
 გულდაკეცვებით.
 ნაარაყალი მისტირის არყნალს,
 თავის ცხედარზე თვითვე
 ჭკითინებს;
 კუბოს არტყია სანთლების ალყა,
 სჯერა ამ ღამეს ვერ გაითენებს...
 მე შემოდგომის ქარს ვეკითხები —
 — ნეტავ, სად არის ახლა ესენინ?
 უცბათ გაჩნდება ჩემს წინ ღიმილით.
 გადიღუნება ძველი მესერი:
 — განა ყოფილა პოეტებისთვის,

როსმე ცხოვრება გაუსრესელი? —
შესძახებს თოვლში, გადაეარდება,
მიპშოლტავს ცხენებს, მიპჭრის
მარბილი:

ევენებში ტირის ახალგაზრდობა,
დამწვარი, ადრე ვადამარხული,
მე კი მივძახი, — რა გეჩქარება,
ვინ დაგვირჩინე ოცნების მზღველი?
ოქროს ქოჩორი რად მიე ყორანს,
თოვს რად აჩუქე ბულბულის ყელი!


და სიჭაბუკის დახარჯულ დღეთა,
გაფლანგულ დღეთა შეწყვეტილი
რით გასურდა გეზლოვნიკს
გქონდა ხელთა, —
ფრთა მოტეხილი ფრინველის
ფრტიალით?
სულ გიშანთავდა ცეცხლი
დამწველი
შენს ჭიქის ფსკერში წყლული
მოჩანდა;
ესროლე ლექსი სისხლით ნაწერი
პოეზიის და ლექსის ოჩანთა!

• • •

დუდუკიანი თბილისის ღამე
შემოითენე სკვეთურ ყიყინით.
ტრამალურ სევდით გაასისხამე,
ვით სასიკვდილო ღამე მისჯილი.
ვარდისფერ რაშზე თუ ალიონში
შეაჭენებდი და გადმოვარდი,
ისევ ადექი ბავშვურ ღიმილით...
ასე იმსხვრევა თურმე ზომალდიც...

ახლაც, არყის ხეს, საღაც შევხედავ,
ხელს გადავხევევ და შენა მგონიხარ...

და მჯერა, მარტი თოვლს რომ
შეხვეტავს,
ამწვანებულ ხელ ისევ მოგვიხვალ!
გვიჭაბუკნია ერთად, მე და შენ,
შენახული მიქვს შენთვის ზედაშე,
სანთელი ჭურზედ ასანთებარი...
ძმაო, შემტკბარო გულთერთობაში,
გახსენე ქართულ შესანდობართ, —
ლექსში, ძმობაში, მზიურ თრობაში,
სულ სიყვარულით საამბობარი...



თამაზ ჭილაძე

სპა, მიიწურა ზამთარი

5. მამია და გაბა. მანანალა. ალამს ზავში მიჰყავს.
მილიციელი. ანდრო. თინა.

სადგურის ბაქანი ცარიელი იყო. ნაცრისფერა, მძიმე ღრუბელი თითქოს ზედ სადგურის წითელ სახურავზე იწვა. მწვანედ შეღებილ მესერთან პურის ფარდული იდგა. ფარდულთან მაღალი კაცი გაჩერებულიყო. ხელში ქოლგა ეჭირა. ეტყობოდა. ქოლგა სრულიადაც არ იფარავდა წვიმისაგან. სველი თმა შუბლზე მიწებებოდა. გამხდარი, ნაყვავილევი სახე ჰქონდა. პალტოს მხრები ჩამოვარდნოდა, რადგან ზედ ხალათზე შემოეცვა. არც პურს ყიდულობდა, არც მელუქნეს ელაპარაკებოდა. იდგა და ჩამომდგარ მატარებელს უყურებდა.

წვიმიანი დღე ძლიერსძლივობით თენდებოდა. სადგურის ქვედა სართულის ფანჯრებში შუქი ჭერ კიდევ არ ჩაექროთ. წუხანდელი ბინდი ზედა სართულის ფანჯრებსა შერჩენოდა და ახლა იქიდან ჩალამებული თვლებით იცქირებოდა. წვიმას საკუთარი ბინდი ჰქონდა, ფერმკრთალი და მოწყენილი. ფარდულთან თავზე პალტოწამოხურული ქალი მოვიდა, შიშველი ფეხები კაცის ვეება კალოშებში წაეყო. ცხელი პური უბეში ჩაიყრა, ზედ პალტოს კალთა წააფარა. ქოლგიანი კაცისთვის არც კი შეუხედავს, გატრიალდა და წაფრატუნდა.

გრძელი მატარებელი ჩუმად იდგა. ფანჯრებშიც არავინ იხედებოდა. ცარიელსა ჰგავდა, სათადარიგო ხაზზე მიყუჩებულს.

სადგურის მძიმე, საღებავგადაცლი-

ლი კარი ჭრიალით გაიღო და ბაქანზე წითელქუდიანი მორიგე გამოვიდა. მორიგემ მატარებელს შეხედა, ცოტა ხანს უყურა, მერე დაამთქნარა და შებრუნება დააბირა, მაგრამ უცებ ქოლგიან კაცს მოჰკრა თვალი.

— გამარჯობა, მამია! — დაუძახა შორიდან.

მამია არც კი მოტრიალებულა, მატარებლისთვის თვალი არც კი მოუცილებია, ისე უპასუხა:

— გაგიმარჯოს, ვანო.

— რას უყურებ, კაცო?

მამიამ ხმა არ გასცა.

— რას უყურებ-მეთქი? — გაუმეორა ვანომ.

— მატარებელს...

ბაქანი გაწუწულმა ძაღლმა გადაიბინა, ფარდულთან მივიდა და კედელთან გაწვა. იქ წვიმა არ ჩამოდიოდა და თანაც ახალგაზომცხვარი პურის ცხელი მძაფრი სუნი იდგა. მორიგემ ისევ მატარებელს შეხედა- მთელი სიცოცხლე მატარებლებს უყურებდა და რატომღაც ახლა მიაქცია ყურადღება, რომ მატარებელი ძალიან ჩუმად იდგა. რკინიგზის დარაჯად რომ მუშაობდა. მატარებელმა ძროხა მოუკლა, ისე ჩუმად წამოეპარა, ვერც კი გაიგო. იფიქრა, ამ ამბავს მამიას მოუყუყუებო, მაგრამ წვიმა და იქ მისვლა დაეზარა.

— მატარებელს უყურებ ხომ?

ეს ისე თქვა, რამე ხომ უნდა ეთქვა. მერე ცას ახედა და შეუკურთხა:

— ჩამოინგერი ბარემ...

შენობაში შევიდა, ცოტა ხნის მერე აჩქარებული გამოვიდა და ზარს შემოჰკრა.

— წავიდა შენი მატარებელი! — დაუძახა მამიას.

მატარებელი ისე ჩუმად დაიძრა, თითქოს ვიღაცას გაეპარა. ხე-ტყის საწყობს რომ მიუახლოვდა, უცებ დაიკივლა, თითქოს რაღაცამ შეაკრთოო. მერე ბოლო ვაგონის წითელმა ნათურამ გაივლვა წვიმაში და მატარებელი გაქრა.

მალე ქვემო სართულის ფანჯრებშიც ჩაქრა შუქი. დილამ, თითქოს მატარებლის ეხატრებოდა, ახლა უცებ ინათა. რკინიგზის გადაღმა სიმიინდის ყანა იყო. ყანის იქით კრამიტინი სახურავი მოჩანდა. კრამიტს ჭუჭყიანი, მომწვანო ფერი დასდებოდა. სახურავის ზევით კვამლის რუხი, დაწვეტილი ბოლქვები მიცურავდნენ.

სწორედ ამ დროს მამიას სახელოზე ვიღაცამ ხელი მოჰკიდა. მამია ფიქრისგან გამოერკვა, მის წინ ჭორფლიანი ბიჭი იდგა. ბიჭს მოკლე პალტო ეცვა. ხელს მალლა რომ სწევდა, შიშველი იდაყვი მოუჩანდა.

— მამია ბიძია, ა, პური!

ბავშვი პურის ნაჭერს უწვდიდა. პურს ორთქლი ასდიოდა, მამიამ ბიჭი ფარდულის კედელთან მიიყვანა.

— ვისი ხარ, ბიძიკო, შენ? — ჰკითხა და ნიკაბი თითით აუწია.

ბავშვმა დიდი ცისფერი თვალებით ამოხედა და მკვირცხლად უპასუხა:

— არავისი!

თითქოს უხაროდა, არავისი რომ არ იყო.

პური ისევ გაუწოდა:

— მიირთვი!

პური დასველებულიყო. მამიამ ერთი ციკქნა მოტეხა, პირში ჩაიღო, მაგრამ ვერ დალეჭა, ყბა უცახცახებდა. თავს ძალა დაატანა და ლუქმა დაუღეჭავად გადაყლაპა.

— გმადლობთ, ბიძია, მეტი არ მინდა.

— დაეცე ქოლგა, — გაუცინა ბიჭმა, — აქ არ წვიმს!

მამიას რატომღაც შერცხვამდა, მაგრამ არ შეიმჩნია. ქოლგა დაეცა და ბიჭი უცა და თქვა:

— რა არის მაინც, რით ვერ გადაიღო..

წინათ ქოლგიან კაცს რომ დაინახავდა, გაელიმებოდა ხოლმე. ახლა ამ წვიმებმა ისე შეაჩვიეს ქოლგას, ვითომ არაფერი. დაბაში ქოლგა თითქმის ყველას ეკრია. ინტელიგენცია ხომ სულ ქოლგებით სეირნობდა. ქუჩაში ერთმანეთს ქოლგებით სცნობდნენ. ექიმს დიდი, ძველებური ქოლგა ეკრია, სპილოს ძვლის ტარიანი. ქოლგას ის არც კარგ ამინდში იშორებდა. დაეცავდა და მკლავზე ჩამოკიდებულს ატარებდა. ფოსტის გამგის ქოლგა პლიაქის საჩრდილობელს ჰგავდა. აფთიაქის გამგის ქოლგას ერთ კუთხეში პატრონის ინიციალები ჰქონდა ამოქარგული წითელი ძაფით.

ბიჭმა ისევ მიაწოდა პური.

— არ მინდა, — მამიას გაელიმა, — რატომ მაძალეგ, ბიძიკო?

— იმიტომ, რომ ანდრო ბიძიამ მითხრა, პური არავის აჭამოო. ადრე კი..

— რა ადრე? — ჩაეეითხა მამია.

— ადრე კი მასწავლეს, პური ყველას გაუყავიო.

— სად გასწავლეს?

— ინტერნატში.

მამიამ შუბლზე ხელი შემოირტყა:

— ზურიკო ხარ შენ?

ბავშვს სახე მოედრებოდა და არაფერი უპასუხა.

— ზურიკო არა ხარ?

ბიჭმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— აბა, რა გქვია?

— გაგა.

— გაგა?

— ჰო, გაგა მქვია.

— შინ რომ ზურიკოს გეძახიან?

— ზურიკო ანდრო ბიძიამ დამარქვა, ნამდვილად კი გაგა მქვია.

— დეიდა თინა რას გეძახის?

— გაგას... როცა ძია ანდრო არ არის შინ.

ბავშვი ნაშვილები იყო მალაზიის გამგეს ანდროს ამ ორი წლის წინ ის მეზობელი ქალაქის უპატრონო ბავშვთა სახლიდან გამოეყვანა.

„ზურციკო, მე ვინ ვარ შენი?“

„ანდრო ბიძია!“

„არა, მე მამიკო ვარ, ეს კი დედიკოა!“

„მგ დეიდა თინაა!“

„არა-მეთქი. აბა, თქვი. დედა!“

ანდროს აგურის ერთსართულიანი სახლი ედგა, თითქოს სხვა მეზობლების ჯიბრით, თუნუქით გადახურული. ეზოსთვისაც აგურის ღობე შემოეგლო, ღობეს რკინის, ცისფრად შეღებილი ჭიშკარი ჰქონდა დატანებული, ჭიშკარზე მავთული იყო ჩამოკიდებული. ეზოში შესვლა თუ გინდოდა, მავთული ენდა ჩამოგეკრა, ხარი დარეკავდა და პატრონი გამოგხედავდა. ღობის თავზე მოსხმულ ცემენტში ბოთლის ნამტვრევები ჩაეტანებინათ. ეზოში ბალიც იდგა, ჰერამიც და თუთაც, მაგრამ უბნის ბიჭებს ამ ეზოზე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული. სახლ-კარი კარგად გამაგრებულ პატარა ციხეს ჰგავდა.

კვირაობით ბიძია ანდრო პიეამოს იცვამდა. პიეამო მისი საგარეო ტანსაცმელი იყო. პიეამოს შიგნით თეთრი პერანგი და ლურჯწინწკლებიანი ყელსახვევი მოუჩანდა. თუ წვიმდა, გაუთოვებულ და გატყინებულ პიეამოზე პალტოს შემოიცვამდა, ხელში ქოლგას დაიჭერდა და მზად იყო. ჯერ სადგურში გადავიდოდა, პურსა და ვაზეთს იყიდდა, მერე ბაზარში შეუხვევდა, დახლებს ჩაუვლიდა, თვალს წყალს დაალევიანებდა. ერთი ამოჩემებული გასართობი ჰქონდა: სახლის უკან, მოტიტვლებულ ადგილზე პატარ-პატარა, თითქმის ერთი ზომის ქვები ჰქონდა დაგროვებული. კედელთან ბოთლს მიაყუდებდა, თხუთმეტ ნაბიჯს გადათვლიდა, დადგებოდა და ბოთლს ესროდა. ამ დროს ფიჭირიანი და დაძაბული სახე ჰქონდა. ხანდახან ვაგასაც დაუძახებდა:

— მოდი, ბიჭო, მიხანში სროლა გასწავლო!

ვაგაც დაიწყებდა ქვის სროლას, მაგრამ მალე მობეზრდებოდა. ისე ვაგებრებოდა, ანდრო ვერც კი გაიგებდა.

ბიჭმა პური გაათავა და ხელები ჯიბეში ჩაიწყო.

— გცივა? — ჰკითხა მამიამ.

ბიჭმა თავი დაუქნია.

მამიამ ქოლგა კედელზე მიაყუდა, ჩაცუცქდა და ბიჭს უთხრა:

— ხელები მომეცი!

ბიჭმა ხელები გაუწოდა.

ისეთი სუსტი და თეთრი ხელები ჰქონდა, მამიას კინალამ გული ამოუჯდა.

— კი მაგრამ, მე საიდან მიცნობ?

— თქვენ მასწავლებელი არ ბრძანდებით?

— კი...

— ჰოდა გიცნობთ... ვაისად მეც სკოლაში წავალ.

— კიდევ გცივა? — ჰკითხა მამიამ.

— მცივა.

— წამო, შენობაში შევიდეთ.

მამია წამოდგა, ქოლგა აიღო, გაშალა და ბიჭს უთხრა:

— დაიჭირე!

ბიჭმა გაიცინა:

— არ მინდა, თქვენ გეჭიროთ.

— აბა, მოდი აქ.

მამიამ ბავშვს ხელი მოხვია, ტანზე მიიკრა და ასე წაიყვანა სადგურისკენ. მოსაცდელ დარბაზში ოთხი გრძელი სკამი იდგა. დარბაზში ნახევრად ბნელოდა. ფანჯარასთან მიდგმულ სკამზე ვიღაცას ეძინა. ორივე ხელი ლოყის ქვეშ ამოედო და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს კი არ ეძინა, არამედ თვალდახუჭული ხელისგულებს შორის დაკერილ ბუხს უსმენდა.

მამიას გაახსენდა, ეს ბიჭი პირველად ქუჩაში დაინახა. მამიას ოთახის ფანჯრიდან ანდროს ჭიშკარი მოჩანდა. ბიჭი ჭიშკართან იდგა და გზაზე მიმავალ, არახრახებულ ფორანს უყურებდა. ფორანში ორი, მსხვილფეხებიანი, დაქანცული ცხენი ება. ცხენებს ტანზე ორთქლი

ასდიოდათ. ფორანზე ბოშები ისხდნენ. აღვირი თმაგაჩეჩილ, ჭადარა კაცს ეკირა. წელში მოხრილს თავი ჩაექინდრა, თითქოს ეძინა, ფორანში ჩალა ჩაეფინათ. ჩალაში ორი ახალგაზრდა ქალი მოკეცილიყო. უკან, ფორანის ბოლოზე ასე ათი-თორმეტი წლის ბიჭი იჯდა. შიშველი ფეხები დაბლა ჩამოეყარა და მკერდში დათვის ბელი ჩაეხუტებინა. გაგა ნელ-ნელა ფორანს აედევნა.

— კარო, — დაუძახა ბოშა ბიჭმა ჭადარას, — გააჩერე!

კაროს თავი არ აუწვევია, ისე მოსწია აღვირი. ფორანი გაჩერდა. ბიჭი ჩამოხტა და გაგას ჰკითხა:

— აქა ცხოვრობ?

გაგამ თავი დაუქნია.

— წყალს ვერ დამალევიანებ?

გაგამ ისევ დაუქნია თავი.

— რაღას უდგებარ, წადი გამოიტანე. გაგა გაიქცა, ცოტა ხნის მერე წყალი დოქით მოარბენინა.

ბოშა ბიჭმა დოქი ქალებს მიაწოდა. მერე ჭადარზე გამობმული დათვის ბელი აუშვა და გაგას მიუგდო. გაგა ჯერ შეკრთა, მაგრამ ბელი რომ მიეძალა, თვითონაც არ დაიხია, ხელი მოჰკიდა და ორივე იქვე მტვრიან შარაზე გაგორდნენ, მერე ჭადარა კაცმა მოიყუდა დოქი. ბიჭმა ჩამოართვა და თვითონაც დალია. დოქი მიწაზე დადგა, დათვის ბელს ტყავის საყელურზე თოკი გამოაბა და გაგას მოაშორა:

— დოქი აიღე!

გაგა წამოდგა

ფორანი ნელა დაიძრა.

გაგამ დოქი აიღო, ცოტა ხანს უძრავად იდგა, მერე ფორანს გაედევნა. რომ ვერ დაეწია, გაჩერდა და დაღონებული შინისკენ გამობრუნდა.

მამიამ ბიჭს კიდევ რამდენჯერმე მოჰკრა ქუჩაში თვალი. ერთხელ სკოლის ეზოშიც დაინახა. ბიჭი ლობესთან იდგა და უყურებდა, როგორ თამაშობდნენ ბავშვები ბურთს. ამ დროს ზარიც დაირეკა. ბავშვები სკოლაში შეეცვიდნენ, მამიაც ბავშვებს შეჰყვია. კლასში ფანჯარას რომ ხურავდა, კიდევ ერთ-

ხელ დაინახა ლობესთან გაჩერებული პატარა ბიჭი. მერე გაქრანქრანტამლაც აღარ შეხვედრია.

— კი მაგრამ, ამ უთენია სადგურზე რას აკეთებ?

ბიჭი სკამზე მორთხმული იჯდა, პალტოს კალთები მუხლებზე გადაეფარა.

— აქ რას აკეთებ-მეთქი? — გაუმეორა მამიამ.

ბიჭმა თავი ჩალუნა.

— არ გესმის? — აუწია მამიამ ხმას.

ბიჭმა თავი ასწია:

— წასვლა მინდა...

და ისევ ჩალუნა თავი.

— რა? — ჩაეკითხა მამია.

— მინდა წავიდე, — თქვა ჩუმად ბიჭმა.

— სად უნდა წახვიდე?

ბიჭი დუმდა. ახლა მთლად მობუხულიყო, კიდევ უფრო დაპატარავებულიყო.

— თქვი მაინც, სად მიდიხარ?

— არ ვიცი, — თქვა ბიჭმა.

— არ იცი და მიდიხარ?

— წასვლა მინდა, — გაიმეორა ბიჭმა.

— საკვირველია... ღმერთმანი, საკვირველია...

თვითონაც ხომ იმიტომ გამოვიდა სადგურზე, რომ სადღაც უნდა წასულიყო. თვითონაც ხომ არ იცოდა სად უნდა წასულიყო? ან რატომ მიდიოდა?

მამიამ თვალეზზე ხელი მოისვია, ხელი არ ჩამოუღია, ისე ჰკითხა:

— იქ მიდიხარ?

ბიჭი მამინევე მიუხედა და გახარებულიმა უპასუხა:

— ჰო, იქ მივდივარ, ინტერნატში.

ცოტა ხანს ასე ჩუმად ისხდნენ. მამიას იდაყუები მუხლებზე დაეყრდნო და სახე ხელებში ჩაემალა.

— რატომ? — ჰკითხა ბიჭს.

— კი მაგრამ შენ რატომ მიდიხარ? — მოესმა მამიას.

მამიამ თავი ასწია. ბიჭი ჩუმად იჯდა, მას არ უყურებდა.

— მე მითხარი რამე? — ჰკითხა.

ბიჭმა მხრები აიჩეჩა, თავი გააქნია, არაო.

— რატომ მიღიხარ-მეთქი? — გაუმეორა ვილაცამ მამიას.

რა უნდა ეპასუხა?

— არ ვიცი... არ ვიცი... თავი დამანებე!

— ბატონო? — ჰკითხა ბიჭმა.

— შენთვის არ მითქვამს.

„იმიტომ, რომ არაფრის გამკეთებელი არ ვარ. პირველი გაკვეთილი... მეორე გაკვეთილი... მესამე გაკვეთილი... და წვიმს... ქოლგით დავდივარ, ყველა არქიმედას მეძახის. და ვბერდები...“

გაკვეთილზე რატომღაც უსათუოდ არქიმედის ამბავს მოუყვებოდა ხოლმე მოწაფეებს, თუ როგორ მოკლა ვილაც ბარბაროსმა მუშაობით გართული არქიმედი. ეს ამბავი იმდენჯერ ჰქონდა მოყოლილი, რომ მოწაფეებმა ჩუმად არქიმედა შეარქვეს. რომ გაიგო, გული დაწყდა. მაინც ვერ მოიშალა. წუხელ ექიმმაც გააბრაზა. როცა არქიმედის ამბავს გატაცებით ყვებოდა და შეზარხოშებული თანამოსუფრეები მოთმინებითა და ზრდილობიანად უსმენდნენ, ექიმმა უცებ სიტყვა გააწყვეტინა და უთხრა:

— შენ გიშველა ღმერთმა!

მამიამ გაკვირვებით შეხედა ექიმს.

— ერთი კვირაა თავს ვიმტვრევ, — გააგრძელა ექიმმა, — კროსვორდის ეგ უჯრები ვერაფრათ შევავსე. შენ გიშველა ღმერთმა!

ბიჭი ეტყობა რალაცას უყვებოდა, მამიამ მხოლოდ ახლა შეამჩნია.

— დეიდა თინა კი სულ ტირის... თავისთვის, ჩუმად ტირის...

— ტირის?

— ხო, ტირის, — ბიჭი გაჩუმდა, როგორც ჩანს, ამბავი დაამთავრა.

— თოვლი მაინც მოვიდეს, — თქვა მამიამ, — თოვლი!

ბიჭს გაუკვირდა, თოვლი რამ გაახსენაო და მამიას თვალი აარიდა.

სკამზე ჩაძინებულ კაცს გაეღვიძა, წამოჯდა, ფეხები იატაკზე ისე მოათვათურა, თითქოს ფეხსაცმელს ეძებსო,

ფეხსაცმელი კი ზედ ეცვა. თვალები მოიფშვნიტა, დაამოქნარა, მამიას კვლავ ბიჭს რომ შეხედა, პირზე ზეღო აიფარა და გაუღიმა:

— მეძინა...

— გამარჯობა! — უთხრა მამიამ.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა კაცმა, — პაპიროსს ვერ მომაწვევინებთ?

მამიამ სიგარეტის კოლოფი გაუწოდა კაცმა ორი ცალი ამოიღო, ერთი ყურში გაიჩქო, მეორე კი კარგად მოსრისა და პირში ჩაიღო:

— გმადლობთ.

მერე ასანთი ამოიღო და სიგარეტს მოუკიდა.

— კარგად გეძინა, — უთხრა მამიამ.

— არა უშავს, — უპასუხა კაცმა, — ცოტა ტანში მტებს, შემცივდა.

— მატარებელს უცდი?

კაცს გაეღიმა:

— არა.

მამიას აღარაფერი უკითხავს, რა ჩემი საქმეაო, იფიქრა.

— ახლა წავალ, ბაზარში ჩავივლი, — თქვა კაცმა, — დღეს ხომ კვირაა?

— კი, კვირაა.

— ჰოდა, წავალ. ამ ჩემოდანს რა ვუყო?

კაცს პატარა, გადატყავებული ჩემოდანი ჰქონდა.

— თქვენ აქ იქნებით? — ჰკითხა მამიას.

— ალბათ, არა, — უპასუხა მამიამ.

— იყოს, — კაცმა ხელი ჩაიქნია, — ვინ წაიღებს.

კაცი წამოდგა, ფანჯარაში გაიხედა:

— წვიმს?

— კი.

— ვერ მითხარი? ამ წვიმაში სად უნდა წავიდე?

— უკაცრავად, — უპასუხა ღიმილით მამიამ, — რატომღაც...

— არა უშავს, არა უშავს, — დაამშვიდა კაცმა.

მერე ისევ სკამზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიღო და იკითხა:

— ამ ქალაქში საბილიარდო თუა?
 — როგორ არა, თეატრთან.
 — ოჰო, თეატრიც გქონიათ?
 ამ დროს მოსაცდელ დარბაზში ადამი შემოვიდა.
 — მამია! — დაიძახა შორიდანვე.
 — გამარჯობა, ადამი — მიესალმა მამია, როცა ადამი მათთან მივიდა.
 — აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ადამმა.
 — არაფერს, ისე გამოვედი.
 — მეც გაზეთი მინდოდა მეყიდა..
 — დაჯექი.
 — არა, წავალ. ეს ბიჭი ვისია?
 — ეს..
 მამიას პასუხის გაცემა გაუჭირდა. ადამს კითხვა აღარ გაუმეორებია, მამიამაც ბანზე აუღლო სიტყვა:
 — კბილი მოვირჩია?
 — კი, არაფერი არ ყოფილა.
 — ექიმთან თუ იყავი?
 — ვიყავი. წუხელის.
 — უცნაური კაცია, — თქვა მამიამ, — ჩემს ბიჭს ამოუღო კბილი.
 — ზაზასგან რა ისმის? — ჰკითხა ადამმა.
 — შენს სკოლის ამხანაგს ოღონდ წერილს ნუ დააწერინებ და..
 — მეც ასეთი ვარ, არ მიყვარს წერილების წერა. რამდენი ხანია არ მინახავს.
 — მე ძმა ვარ და არ მინახავს, აგერ წელიწადი ხდება.
 ადამმა ბიჭს თმაზე ხელი გადაუსვა:
 — რა ჭკვია, ბიჭიკო?
 მამიამ მკლავში ხელი გაუყარა და გვერდზე გაიყვანა:
 — ეს ბიჭი...
 — ჰო?
 — ეს ბიჭი ანდროს ნაშვილებია!
 — რას მეუბნები?
 — ჰოდა, ინტერნატში მირბოდა ისევე!
 — ანდროს თავისი საკუთარი შვილი გაუქცა და ეს გაუჩერდებოდა?
 — თინა, ალბათ, თავს იკლავს!
 მამიას თინას სახელის ხსენება გაუ-

ჭირდა, რადგან იმანაც, როგორც ყველამ ამ დამაში, იცოდა მისი შესახებ. ადამს თითქოს ეს არც კი გაუგონიათ, გააგრძელა:

— იმ თეატრში მუშაობს თურმე მსახიობად, სადაც ზაზაა..
 — ნინიკო...
 — ნინიკო ჰქვია?
 — ჰო.

— ამ ბიჭს მე წაგიყვან! — თქვა უცებ ადამმა მტკიცედ.

— რას ამბობ, ხომ არ გაგიყვან?
 — მე წაგიყვან!

ბიჭისკენ რომ მოიხედეს, ის უკვე ადამის ძაღლს ეთამაშებოდა. ძაღლი აქ როდის შემოვიდა, მათ არ შეუშინებიათ.

— ეს ძაღლი სად იპოვე? — ჰკითხა მამიამ. იფიქრა, იქნებ ბავშვის წაყვანა გადაეავიწყო.

— რა ვიცი, სულ ასე კი დამდევს და!

— რას შერებით, ხიდის საქმე როგორაა?

— ამ ბიჭს მე წაგიყვან. — გაიმეორა ადამმა.

— მოიცა, თუ ძმა ხარ!
 — ასე ვიზამ!

ბიჭთან მივიდა, ლოყაზე მოეფერა, თავისკენ მოახედა:

— მოგწონს? — ძაღლზე ანიშნა.
 ბიჭმა თავი დაუქნია, მომწონსო და თან ჰკითხა:

— რა ჰქვია?
 — ყურშა!

— ყურშა რა სახელია?
 — შენ რას დაარქმევდი?

— მე? — ბავშვი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, — მე მურჩას!

— კარგი, დღეიდან მურჩა ერქვას.
 — მართლა? — გაუხარდა ბავშვს, — მართლა, ძია ადამ?

— შენ ჩემი სახელი საიდან იცი?
 — ვიცი, დეიდა თანამ მითხრა, ჩვენი სახლის წინ დგახართ ხოლმე!

ადამი გაშრა, თავიც ველარ მოაბრუნა, ხმაც ვერ ამოიღო.

— მე ისიც ვიცი, თქვენ რომ ხიდს

ამენებთ და ყველაზე ღონიერი რომ ხართ: — ტიტინებდა ბავშვი.

— ერთი ასანთი მომეცი! — უთხრა მამიამ ადამს. თვითონაც ჰქონდა ასანთი, მაგრამ უნდოდა ეს უხერხულობა გაეფანტა.

— აპა, — აღამმა ასანთი გაუწოდა, მერს სახეზე ხელი ჩამოისვა და ბავშვს რატომღაც ძალზე დაღლილ კაცივით ჩუმად ჰკითხა: ჩემთან წამოხვალ?

— წამოვალ! — მიუგო მყისვე ბავშვმა.

— აბა, წავიდეთ!

— ადამ? — მამიამ ადამს მხარზე ხელი დაადო.

— მოითმინეთ, მოითმინეთ! — შემოესმათ ამ დროს.

ეს სიტყვები იმ კაცს ეკუთვნოდა, რომელმაც ახლახან გაიღვიძა და იქვე სკამზე იჯდა. მისი არსებობა მამიას დაავიწყდა კიდეც.

— მოითმინეთ! — კაცმა გაფრთხილების ნიშნად ხელი მალა ასწია.

— ეს ვილაა? — იკითხა აღამმა.

მამიამ მხრები აიჩეჩა.

— მე ვარ ჩიტი! — თქვა კაცმა და ძალზე მეგობრულად გაუღიმა.

— ვინ?

— ჩიტი — თქვენ კი — ნიანგი!

— გეია? — აღამმა მამიას გადახედა.

— ნუთუ არ გაგიგიათ, რომ არსებობს პაწაწინა ჩიტი, ნიანგს კბილებიდან ხორცის ნაგლეჯებს რომ აცლის..

— მერე? — ჰკითხა აღამმა მოუთმენლად.

— და ამით არსებობს, — გააგრძელა კაცმა მშვიდი ღმილით, — ნიანგიც იმ პაწაწინა ჩიტს არაფერს ერჩის. ო, რა დიადია ბუნება! — კაცმა თვალები მალა აღაპყრო და გაიმეორა: — დიადი!

— რა გინდა? — აღამი იმ კაცთან ახლოს მივიდა, — გამაგებინე, რა გინდა?

კაცი სასწრაფოდ წამოხტა, ხელი სახეზე აიფარა, თითქოს აღამი გარტყმას უპირებდა. აღამი დაიბნა, არ იცოდა რა ექნა.

— წამო, — დაუძახა მამიამ, — წავიდეთ!

— მოითმინეთ! — კაცმა ხელეჩინა მოილო, — მოითმინეთ!

— მოცლილი ყოფილხარ! — უთხრა აღამმა.

— მართალი ბრძანდებით, უამრავი დრო მაქვს.

— გვითხარი, რა გინდა? — უთხრა მამიამ წყნარად, თან ადამს სახელოზე მოქაჩა, წამოდიო.

— მე, რა თქმა უნდა, არაფერს ვიტყვი, — თქვა იმ კაცმა, — თუ ხორცის ნამცეცი შემხვდებო...

— კი მაგრამ, რა უნდა თქვა?

— ხი-ხი-ხი-ხი, — ჩაიხიხითა კაცმა, საპირფარეშოს კედლის ნახატივით უხამსი სიცილი ჰქონდა, პირზე აიფარა ხელი, თითქოს სიცილისა შერცხვო.

ადამს მეტიც არ უნდოდა, მხარში ჩააფრინდა და მაგრად შეაწვრიდა. კაცი სკამზე შეხტა, საცოდავად მოიბუზა, თავი მოსაწყულა და ტირილგარეული ხმით წამოიკნავლა:

— მცემთ ხომ? მცემთ კიდეც არა?

— დაანებე თავი, — უთხრა მამიამ აღამს, — გეცია ნამდვილად!

— მაშინ მშვიდად ვილაპარაკოთ, — თქვა კაცმა და სკამიდან ჩამოხტა, — ჩვენ ერთმანეთს გავუგებთ. ბებერი ხომ არ გგონივართ, ოცდაათი წლისა ვარ, — გამეჩხერებულ თმაზე ხელი გადაისვა და ისევ მეგობრულად გაუღიმა.

— თქვი რა გინდა, თქვი! — აღამი ნელ-ნელა ბრახდებოდა.

მამია გრძნობდა, კიდეც ცოტაც და აღამი ამ კაცს ფანჯრიდან ბურთივით გაისვროდა.

— კარგი, ადამ. წამოდი, — უთხრა მან აღამს, — ვილაც ოხერი!

— შეიძლება, — თქვა კაცმა, — შეიძლება ოხერი ვიყო. ოღონდ მომისმინეთ და ცემა არ იყოს, — თან აღამს ღმილით თითი დაუქნია, — მე ყველაფერი მესმის, იქნებ გგონიათ, ანგელოზს რომ ვგავარ, ციდან ჩამოფრენილი ვიყო? არა!

— სთქვი, სთქვი! — უთხრა მამიამ მშვიდად. მშვიდად ადამის გასაგონად დაელაპარაკა, თორემ თვითონაც გაბრაზებული იყო. ეშინოდა, ადამი თავს ვერ შეიკავებდნენ.

— მე ყველაფერი ვავიგონე, — დაიწყო კაცმა, სკამზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და მამიას შეხედა, — თქვენ კარგი სიგარეტი გაქვთ.

მამიამ სიგარეტი გაუწოდა.

— გმადლობთ, — თქვა კაცმა და ახლა ადამს შეხედა, — დაბრძანდით, ფეხზე რატომ დგახართ?

ადამმა ხმა არ გასცა. თვითონაც ამოიღო სიგარეტი და მოუკიდა.

— თქვენ ამ ბავშვის მოტაცება გინდათ! — დაიწყო კაცმა.

— რა?

— კი, ნამდვილად ასეა... რა ვუყოთ მერე... ყველაფერი შეიძლება მოხდეს, დიდი ამბავი?

— რას ბოდავ? — შეუყვირა ადამმა.

— რა სახელიც არ უნდა დაარქვათ, ეს არის ბავშვის მოტაცების ფაქტი! ოღონდ, — კაცმა ისევ ასწია ხელი, — ნუ გეშინიათ, ყველა ადამიანური სისუსტე ჩემთვის გასაგებია. მოვრიგდებით!

ადამი მოტრიალდა და ბავშვს ჩაპკიდა ხელი:

— წავიდეთ!

— იცი, რას გეტყვი? — მამიამ კაცისკენ ნაბიჯი გადადგა.

ის წამოდგა, თავაზიანად დაუკრა თავი და უთხრა:

— ვახტანგი ვახლაყვართ, თქვენ ვახო დამიძახეთ!

მამიამ ხელი ჩაიქნია და ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ადამს დაედევნა.

— თავს დააბრალებთ, თავს! — დაადევნა კაცმა, — ახლა ხელები გახსნილა მაქვს!

სადგურიდან რომ გამოვიდნენ, მამიამ ადამი შეაჩერა:

— შენ რა, მართლა მიგყავს ბავშვი?

ადამი ბავშვს მიუბრუნდა:

— ხომ წამოხვალ ჩემთან?

— წამოვალ! — უპასუხა ბიჭმა.

— აბა, წავიდეთ, — ~~თქვა ადამმა~~ — ნახვამდის, მამია!

— ნახვამდის.

მამია მარტო დარჩა. მერე ქოლგა გაშალა და შინისკენ წავიდა.

სადგურიდან კარგა დაშორებით, ხეტის საწყობის მახლობლად, ჩიხში სამი ვაგონი იდგა. ამ ვაგონებში ხიდის მშენებლები ცხოვრობდნენ. სატვირთო ვაგონები წითელი ხასხასა ფერით შეეღებათ და ხის კიბეები მიეღვათ.

ადამი და გაგა ვაგონში შევიდნენ. აქ მთელ სიგრძეზე სულ რკინის საწოლები იდგა. ბოლოში, თუნუქის ღუმელის ახლოს ორი კაცი მავიდაზე ღამინოს თამაშობდა. ისინი ისე უყვიროდნენ ერთმანეთს, თითქოს მოტოციკლზე სხედნო. ადამი რომ დაინახეს, წამოდგნენ. ადამმა ხელი ანიშნა, დაჯექითო. კაცებმა თამაში განაგრძეს, ოღონდ ყვირილს დაანებეს თავი.

ბიჭმა გაიხედ-გამოიხედა. კედლები პლაკატებითა და სურათებით იყო აჭრელებული.

— აგე კოსმონავტები! — თქვა ბიჭმა და კედელზე ჩამოკიდებულ სურათებისკენ ხელი გაიშვირა.

— ჰო, — უპასუხა ადამმა და საწოლზე ჩამოჯდა. — დაჯექი, — უთხრა ბიჭს.

ბიჭიც საწოლზე ჩამოჯდა და ხელეები მუხლებზე დაიწყო, მერე თითქოს გაახსენდაო, ქუდი სასწრაფოდ მოიხადა.

— აი, აქ ვცხოვრობ, — უთხრა ადამმა, — მოგწონს?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— ხომ არ გშია? — ჰკითხა ადამმა.

— არა.

— ნუ მოგერიდება!

— არა, მართლა არ მშია.

„რა უნდა გქნა? — ფექრობდა ადამი, — მეგონი, რალაც ისევ ავურიე. რა ამბავი ატყდება! რა მექნა? ბავშვი მირბოდა და წამოვიყვანე, უბატრონო რა-

ტომ უნდა ეგონოს თავი? თინა რას იტყვის? მე ხომ არც ვიცოდი, რომ ეს ბიჭი მისი ნაშვილები იყო? ნამდვილად არ ვიცოდი. თუნდაც მათი ნაშვილები იყოს? რატომ გაექცათ? მე კი აი, ავიყვან და შეიღვივით გავზრდი. ერთი საწოლი მაინც თავისუფალია. იქ დავაწვენ. მერე თბილისშიც წავიყვან, რატომაც არა? ყველა ასე მოიქცეოდა. მამია, თუმცა შეიღვები ყავს, ისიც კი წაიყვანდა. მე კი არავინ არა მყავს. ჰოდა, ჩემი შეიღვივებული, მამას დამიძახებს. არა, აუცილებელი არ არის, თუ უნდა ნუ დამიძახებს. რაღა მაინც და მაინც მათი ნაშვილებია, ხალხი იტყვის, განგებ წაიყვანაო. თქვას! თქვას! მისმა ქმარმა საკუთარ შვილს ვერ მოუარა და გაექცა. ძალიანაც კარგი, რომ გაექცა. ესეც ხომ მიზნობდა.."

ადამმა ბავშვს გაუღიმა, ბიჭი ვერ მიხვდა, რატომ მიღიმისო და გაკვირვებული შეაჩერდა.

— პალტო გაიხადე, — უთხრა ადამმა, — აქ ცხელი!

ბიჭი მაშინვე წამოდგა და პალტო გაიხადა, ეტყობა, დაცხომოდა და ვერ კი ამხელდა.

— აგე, იმ სკამზე დადე, — უთხრა ადამმა.

ბიჭმა პალტო და ქუდი სკამზე დააწყო, დაბრუნდა და ისევ საწოლზე ჩამოჯდა.

ადამმა უკვე რამდენჯერმე ჩიბბრუნა სიტყვა, თინაზე უნდოდა რამე ეკითხა. იქნებ ბიჭს თინას სახელი ეთქვა. უნდოდა კიდევ დამალვოდა ამ საყვარელ, მაგრამ მტკივნეულ ბგერებს და ამავე დროს განუწყვეტილ, გაუთავებლად ესმინა მათთვის.

ბოლოს ცდუნება მაინც ვერ დაძლია და გაბზარული ხმით, თითქმის ჩურჩულით თქვა:

— თინა..

ეგონა, რაღაც მოხდებოდა, ის კაცები, დომინოს რომ თამაშობდნენ სკამებიდან წამოვარდებოდნენ, ლუმელს გაღატაკებდნენ, ბიჭიც წამოხტებო-

და და გაიქცეოდა. მაგრამ არაფერი მომხდარა. მერე ის გაუკვირდა, არაფერი რომ არ მოხდა, არავის არც კი მისი ხმა, ბიჭსაც კი.

— შენი სახელი რომ არ ვიცი? — ჰკითხა ბიჭს.

— გაა!

— სკოლაში თუ დადიხარ?

— არა.

ადამმა იგრძნო, ბავშვი მისგან რაღაცას სხვას, გაცილებით უფრო მეტს მოელოდა. თინასაც ხომ უთქვამს, ყველაზე ღონიერიო.

„ღონიერი! — ჩაეცინა გულში, — რომელი მოჭიდავე მე მნახა?“

თინა ამ ბიჭს მასზე ელაპარაკებოდა, ამ ბიჭსაც ახლდა იმ საიდუმლოს ნაწილი, რომლითაც მისთვის თინას სამყარო იყო მოცული. კი მაგრამ რატომ ელაპარაკებოდა?... ნუთუ? არა, ალბათ ისე, ბიჭმა ჰკითხა, ვინ არისო და იმნაც უპასუხა.

კი მაგრამ, შეძლებდა ამ ბიჭის მოვლას? თუ ეს მხოლოდ თეატრალური ექსტი იყო და მეტი არაფერი? თვითონ ამ ქვეყნად არავინ ჰყავდა. დედა მაინც ყოლოდა ცოცხალი, მიუყვანდა და ის გაუზრდიდა, მოუვლიდა თვითონ ხან სად ამოჰყოფს თავს და ხან სად. აი, ასე ვაგონებში, ან ბარაკებში ცხოვრობს. არა, რადგან წამოიყვანა, მოუვლის კიდევ.

ამ დროს ვაგონში სასადილოს გამგე შემოვიდა. სასადილო მეორე ვაგონში ჰქონდათ. გამხდარი კაცი იყო, მაღალი. ყოველთვის გადამეტებული პარტიციპით ელაპარაკებოდა. ადამს მასთან ლაპარაკის შემდეგ ყოველთვის უსიამოვნო გრძნობა რჩებოდა, თუმცა პირში თქმა უყვარდა, ამ კაცს რატომღაც ვერაფერს ეუბნებოდა. მხოლოდ ერთხელ უთხრა „პარტიციპულ ადამს“ ნუ მეძახიო. მაშინ სასადილოს გამგემ მხრები აიჩჩა და ხელები გაშალა, როგორც გენებოთ, ბატონოო, — უთხრა. მაინც არ მოიშალა თავისი. ადამს რცხვენოდა, როცა ამ ხნის კაცი მას „პარტიციპულ“

ლოს" ეძახდა მუშებიც იცინოდნენ, გამგე კი მხრებს იჩეჩავდა, ვითომ რატომ იცინითო.

— პატივცემულო ადამ, — მიმართა ადამს სასადილოს გამგემ, — თქვენ მილიციელი გეძებთ! — ბოლო სიტყვა გააგრძელა, თუმცა მეტისმეტი თავაზიანობით წელში ოდნავაც კი მოიხარა, დამცინავი ღიმილი მაინც ვერ შეიკავა. ეს ღიმილი უფრო მეტყველი იყო, ვიდრე მთელი მისი თავაზიანობა და მოწიწება.

ადამი აღრეც გრძნობდა, რომ გამგეს ის არ უყვარდა, მაგრამ ამ ღიმილმა, რომლის დამალვასაც გამგე თითქოს არც კი ცდილობდა, შეაერთო. მას ყოველთვის აკრთობდა და გულსა სტყენდა მოულოდნელად დაქერილი მუხრანი, ან სიბუღვილით სავსე გამოხედვა, ანდა შემთხვევით მოსმენილი მწარე სიტყვა. წამით უმწეო ხდებოდა, რითი დავემსახურე ესო, ფიქრობდა.

— რა უნდა იმ მილიციელს, პატივცემულო სიმონ?

— არ ვიცი, — გამგე ახლა უკვე აშკარად დამცინავად იღიმებოდა, — მილიციელი მარტო არ არის, ხალხი ახლავს.

— ხალხი? — გაიკვირვა ადამმა.

— დიახ, ხალხიც! — ეს სიტყვაც გააგრძელა, უფრო ხმაშალა თქვა.

— გაგა, დამიცადე! — უთხრა ბიჭს ადამმა და წამოდგა.

სიმონმა კართან გზა დაუთმო.

— ახ, როგორ გეკადრებათ, პატივცემულო სიმონ! — ადამი განგებ მოიხარა წელში, — ჯერ თქვენ მიბრძანდით!

— არავითარ შემთხვევაში.

— როგორ გეკადრებათ.

— გთხოვთ!

— გმადლობთ, დიდი მადლობა, — და ადამი გარეთ გამოვიდა.

კიბესთან მილიციელი იდგა, უფროსი ლეიტენანტი. ცოტა მოშორებით თინა და ანდრო გაჩერებულიყვნენ, მათ ახლოს, მიწაყრილზე ის კაცი შემდგარი-

ყო, სადგურში რომ დაემუქრა, თავს დააბრალებო. წელში მობუზულეს ორივე ხელი ჯიბეში ჩაეწყობა. ტყნას! კუთხეში სიგარეტის ნაწიწკავი უბოლავდა. განზე იხედებოდა.

ადამი უცებ მიხვდა ყველაფერს. „როდის მოასწროო“, გაიფიქრა და მილიციელს შეხვდა.

— ჩამობრძანდით აქ! — დაუყვირა მილიციელმა.

— ბატონო? — ჰკითხა ადამმა, თითქოს ვერ გაიგონაო.

— აქ ჩამობრძანდით, — ხმას ოდნავ დაუწია მილიციელმა.

ადამი კიბეზე ჩამოვიდა:

— მე მეძებდით?

— დიახ, თქვენ! ბავშვი სად არის?

— ბავშვი? — ადამმა განგებ გაიკვირვა, რადგან უცებ ხუმრობის გუნებაზე დადგა, — რომელი ბავშვი? — იმ წამსვე თვალი შეასწრო, მიწაყრილზე შემდგარმა კაცმა შეშფოთებით რომ შემოხვდა, — ახ, ვახო, ვახო! — თითი დაუქნია მას ადამმა.

ვახომ თვალი აარიდა.

— ხუმრობისთვის არ მცალია! — უთხრა მილიციელმა. ის კიბის საფეხურზე შედგა, რადგან ისედაც დაბალი, ადამთან შედარებით მთლად პატარა მოჩანდა, — ბავშვი გამოიყვანე!

— რა მოხდა? — იკითხა ადამმა გულუბრყვილოდ.

— ამას მერე გავარკვევთ! ბავშვი გამოიყვანე!

— კი მაგრამ, ხალხი სად არის? — ადამმა კიბის თავში გაჩერებულ სიმონას ახვდა, — მე მეგონა, ორკესტრითა და ტრანსპარანტებით შემხვდებოდნენ!

სიმონმა ჩაიციხა და რაღაც თქვა, ადამმა ვერ გაიგონა, არც აინტერესებდა. ახლა ის ერთიანად დამაბული იყო, შეიძლება ამიტომაც ხუმრობდა, თუმცა სრულებითაც არ უნდოდა ეხუმრა, ყველაფერი თითქოს მისდა უნებურად ხდებოდა, რადგან თინას მზერას გრძნობდა.

— ბავშვი გამოიყვანე-მეთქი! — მი-

ლიციელს, ეტყობოდა, მოთმინება დაე-
ლია.

— რა გაყვირებთ?

— არ ვყვირი, ბავშვი გამოიყვანეთ!

— აი, ასე, რატომ გამოიყვანო?

— იმიტომ, რომ მას პატრონი ჰყავს!

— პატრონი? — აღამმა ახლა კი

შეხედა ანდროსა და თინას. პირდაპირ
თინას თვალებს შეეფეთა, რის თქმაც
უნდოდა, ვეღარ თქვა. ხმა ჩაუწყდა.

უცებ თინა აღვილიდან მოწყდა და
იყვირა:

— გაგა! გაგა!

გაგა თურმე ფანჯრიდან იხედებოდა
და თინას დაენახა.

— გაგა!

ანდროსაც გადმოდგა ნაბიჯი წინ.

— გამოდის, რომ საკუთარი კანონე-
ბი გაქვს, არა! — ყვიროდა მილიციე-
ლი, რომლის ხმაც ადამს საკმაოდ დიდი
ხნის მერე ჩაესმა, — როგორც გინდა,
ისე იქცევი, არა? ასე არ არის, გენაც-
ვალე, არა!

ადამს უნდოდა ეთქვა, ბავშვი გაქ-
ცული იყო და ამიტომ წამოიყვანეო,
მაგრამ ვერ ამბობდა. იღვა და უაზროდ
იღიმებოდა. ამასაც გრძნობდა, რომ
უაზროდ იღიმებოდა და ამით მილი-
ციელს კიდევ უფრო აბრაზებდა.

მილიციელი, ეტყობა, დალაქის სკამი-
დან წამოაგდეს — ცალი ლოყა ვაუპა-
რსავი ჰქონდა, ზედ საპონი თეთრად შე-
ხმობოდა. უბალნო, გაბუნტულებული
თეთრი ხელები მზარაზე შემოჭერილ
ქაშარში ჰქონდა გაყრილი და ცერებს
ათამაშებდა. ეს შორიდან მეტად მშვიდ
იერს აძლევდა. საერთოდ, არც იფიქ-
რებდი, რომ ამ კაცს ამოღენა ხმა ჰქო-
ნდა. აღამმა იცოდა, რატომ ყვიროდა
იგი, ხუმრობა ხომ არ იყო, ბავშვის
მოტაცება! მას ასე უთხრეს და ისიც
მოეარდა. იყვირებდა, აბა, რას იზამდა!

მაგრამ ბავშვი შე ხომ არ მომიტა-
ცია? არ სჯობია, ის გამოარკვიო, ამათ
რატომ გაექცათ? — აღამს ეს უნდოდა
მილიციელისთვის ეთქვა, მაგრამ თქმის
ნაცვლად უაზროდ უღიმოდა.

ამ დროს კიბის თავზე გაგა გამოჩნდა.

— გაგა, მოდი ჩემთან, მოდი! — და-
უძახა თინამ.

გაგა წამით შეეყოყმანდა, მაგრამ კიბე-
ჩამორბინა და თინას მკერდში ჩაეკრა.

ადამი ბავშვს მიუბრუნდა:

— გაგა, — თქვა მან ხმის ცახცახით
და ბავშვს მხარში ხელი ჩააგლო.

— რა გინდა, რა? — ამოხედა უცებ
ჩაჩოქილმა თინამ, რომელსაც ბავშვი
გულში ჩაეხუტებინა, — რატომ არ და-
მანებებ თავს, რა გინდა, მითხარი, რა?

ჭალს უცებ ხამადალი ტირილი აუ-
ყარდა, წამოდგა, ადამისკენ ნაბიჯი გა-
დადგა და ასე ტირილ-ტირილით გააგ-
რძელა:

— ვინა ხარ, ვინა, რატომ არ დამასვე-
ნებ. დამანებე თავი, ყაჩაღო, დამანებე!
აღამმა უკან დაიხია. თინას ტირილმა
თავზარი დასცა. ამ დროს ვილაციის ხე-
ლის შეხება იგრძნო, კიდევ კარგი, თო-
რემ შეიძლება თითონაც დაეწყო ტი-
რილი. ის მუშები, ვაგონში რომ დომი-
ნოს თამაშობდნენ, სმაურზე გამოსუ-
ლიყვნენ, ადამს მხარში ამოსდგომოდ-
ნენ:

— რა მოხდა, რა გინდათ ამ კაცისა-
გან? — ეკითხებოდნენ მილიციელს.

— თქვენი საქმე არ არის! — ყვირო-
და ლეიტენანტი.

— როგორ თუ ჩვენი საქმე არ არის?
ვის უყვირი თუ იცი? — შეუყვირეს
ახლა მუშებმაც, — ეს ხომ ინიკინერია,
არ იცნობ?

— წამობრძანდით, — უთხრა მილი-
ციელმა ადამს, — წამობრძანდით!

— ჰა? — აღამმა თვალებზე ხელი
მოისვა — რა თქვით?

— წამობრძანდით-მეთქი.

მილიციელი აღარ ყვიროდა, ცოტა
დაბნეულიც იყო, რადგან ადამი ბავ-
შვების მომტაცებელს ნამდვილად არ
ჰგავდა.

— მე თქვენ გიცნობთ, — მილიციე-
ლმა მხოლოდ ამ წუთას იცნო ადამი,
გაახსენდა, ხიდის მშენებლობაზე ყავდა
რამდენჯერმე ნანახი, — წამობრძან-
დით და ყველაფერი მშვიდად გავარკ-
ვიოთ.

— თუ შეიძლება თავი დამანებეთ, — თქვა ადამმა ძალიან წყნარად და კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. მოეშვა, მოდუნდა, ძალა წაერთვა. თითქოს ყურები უცებ დახშობოდნენ, ყველაფერი ბუნდოვნად და გაურკვეველად ესმოდა. ოღონდ ერთი რამ გაიგონა ძალიან მკაფიოდ:

— ვიფიქრე, უცხო მ წაიყვანა-მეთქი ბავშვი. ეს რომ მცოდნოდა, როგორ მოვიდოდი, რისი შემეშინებოდა! — ეს თინას ქმრის, ანდროს ხმა იყო. ადამმა თავი ნელა ასწია და ანდროს შეხედა, ანდროს მას უყურებდა, ცივი, გაქვავებული თვალებით. კარგა ხანს უყურეს ერთმანეთს. მერე ანდრო გატრიალდა და თინას და გაავს დაეწია მიხედა, რომ მან ყველაფერი იცოდა... ყველაფერი...

ისევ ჩაღუნა თავი. აღარ გაუვია, როგორ წავიდ-წამოვიდნენ დანარჩენებიც. როგორ გაწვიმდა ისევ. გული ჰქონდა დამძიმებული და ყრუდ ტკიოდა. შეურაცხყოფილი და განადგურებული იყო: „ყაჩაღო! ყაჩაღო! ყაჩაღო! დამანებე თავი! რა გინდა, რა? ყაჩაღო!“

მერე ნელ-ნელა თვალში სინათლე დაუბრუნდა, აქამდე ნამდვილად ვერაფერს ხედავდა. პირველად ისე გამოიხედა, თითქოს ეძინა და გაელვძიო. მის წინ წვიმის გუბეში ვიღაც იდგა. ჯერ

მხოლოდ დაგლეჯილი ფეხსაცმელი და შარვლის სველი, ტალახიანი ტოტები დაინახა, მერე თვალის დასწვრივ დაეკაზო იცნო. ვახოს პალტოს საყულო აეწია, გულხელი დაეკრიფა და თავჩაღუნული რაღაცას ბუტბუტებდა. ადამმა თითქოს პირველად დაინახა ეს კაციო. ის წვერაგუბარსავი იყო. წამწამები გაცვენოდა და ქუთუთოები დაწითლებოდა. უღვაწზე წვიმის წვეთები ეკიდა. წითელზოლებიან პერანგზე დალაქული, უთოსგან გამრიალებული ყელსახვევი ეკეთა.

— არ გეწყინოს, თუ ძმა ხარ, — ჩიფჩიფებდა ის, — რა უნდა მექნა? მე ხომ მაწანწალა ვარ. ჩიტი. ყველაფრისა მეშინია.

— რისი? — შეეკითხა ადამი. ის სრულებით არ ბრაზობდა ამ კაცზე.

— ყველაფრის. რა ვიცი...

უცებ თვალში გაუბრწყინდა:

— გინდა, ბილიარდი ვითამაშოთ სანაძლეოზე. ფორას მოგცემ, გაერთობი კიდე!

— წადი, — უთხრა ადამმა, — მომშორდი!

— სად წავიდე, სად? — შეჰყვირა კაცმა, — ძალი ვარ, არა? გინდა ყუფას დაეიწყებ? — მართლაც შეჰყეფა: ავ-ავ-ავ!

6. კაფე. თოვლის ბაბუა. აკორდეონზე დაგვირგელი. ზაირა. პაპუნა. ხულიგნები. ზაზამ მოსკოვში წახვლა გადაწყვიტა.

ზაზამ გაიღვიძა თუ არა, ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გაღასწია: აღარ თოვდა! ჩანთიანი ბიჭები ყიყინითა და გუნდების სროლით მირბოდნენ აღმართში. მანქანებს თვლებზე ჯაჭვები ქონდათ შემოხვეული და თოვლის ჭუჭყიანი, მოზრდილ ნაფლეთებს პაერში ისროდნენ. თოვლის სიმძიმეს მავთულები ჩამოეზნიჭა, დაბლა ჩამოეწია, იფიქრებდი, ხელითაც მიეწვდებო. თუმცა მანქანებიც დადიოდნენ, ბიჭებიც ყიყინით იკლებდნენ არემარეს, მაინც უჩვეულო

სიჩუმე იდგა, ასეთი სიჩუმე მხოლოდ დიდმა თოვლმა იცის, როცა მთლიანად ჩამოიცილება, უძრავად დევს და თავის მოლურჯო ცივ ზედაპირზე, ხავერდის მსგავსად აჭრობს ხმაურს. ბგერები თოვლში უცებ ქრებიან, გუბეში ჩაფარდნილ პაპიროსის ნაშფავივით.

დღეს თითქოს სიჩუმის კედლები ერთყა და ამ კედლებში, როგორც ეკლესიაში, საკვირველად და უცხოდ ისმოდა მანქანისა და ადამიანის ხმა.

ზაზამ დერეფნის კარი გამოაღო. დე-

რფანში სკამზე კაცი იჯდა. კაცს ეძინა. თავი მკერდზე სასაცილოდ ჩამოვარდნოდა. ხელში ჩამჭრალი პაპიროსი შერჩენოდა. მუხლები თუთუნის ფერფლისგან გათეთრებოდა. ზაზამ პირსახოცი აიღო და დერფანში გამოვიდა. ფრთხილად, თითის წვერებზე აუარა გვერდი მძინარეს და აბაზანის ოთახში შევიდა. შუქი ანათო და ონკანი მოუშვა. უცებ სარკის გვერდზე, ლურსმანზე წამოკმული ჟურნალი დაინახა. ჟურნალისთვის ყდა უკვე შემოეხიათ. ჟურნალის იმ გვერდზე, ზაზა რომ უყურებდა, კროსგორდი ეხატა.

კროსგორდი ქიმიური ფანქრით იყო შევსებული. რატომღაც დაინტერესდა, სველი ხელებით ჟურნალი ჩამოხსნა და უჭრებში ჩაწერილი სიტყვების ამოკითხვას შეუდგა: არქიმედი... ფსკოვი... გარიბალდი... რამზესი... დომინო...

კროსგორდის ყველა უჭრა შევსებული იყო. ზაზამ ჟურნალი ისევ თავის ადგილას ჩამოკიდა მერე იმის ვახსენებამ შეაძრწუნა, კროსგორდის ყველა უჭრა შევსებული რომ იყო. თითქოს ეს მეტად უცნაური რამ ყოფილიყოს! არქიმედი... ფსკოვი... გარიბალდი... ველოსიპედი... რამზესი... ყველა ეს სიტყვა საოცარი სიზუსტითა და ამავე დროს უაზრობით კვეთდა და ავსებდა ერთიმეორას. ყველაფერი თავის ადგილზე იყო, გულმოდგინედ ჩაწერილი და... დამთავრებული! ვიღაცას ყველაფერი უკვე ეთქვა და ამ უჭრების მოხვედრებით სირთულეში გულდაგულ ჩაემელთაც ნარკოტიკების მსგავსად წამიერი გაბრუნება ძალუძთ, ყველაფერი წესიერად და თანმიმდევრულად იყო ჩალაგებული და დაბინავებული, როგორც კიღობანში დედაბრის ძველმანები, თვითონ რომ ქონებას ეძახის.

თითქოს ახლა, ამ წუთას იგრძნო პირველად, რომ ბატონი ვალერიანი მოკვდა. რომ ის აღარ იყო და მთელი თავისი დამფრთხალი ცხოვრება ხის წითლად შეღებილ ყუთში ჩაატია, ისევე როგორც ადრე ქიმიური ფანქრით და

წერილ სიტყვებს კროსგორდის უჭრებში ატევდა.

„რანაირ ლამაზ კროსგორდეს...“
 ხატავენ, — ფიქრობდა ზაზა, — და მინც ყველა ერთნაირია, დახშული, ჩაკეტილი. კვერცხივით! თუ შიგ ჩავარდი, ვერაფრით ველარ გამოხვალ. ვერც გამოამტკრევ. აი, წიწილა ამტკრევს და გამოდის. შენ კი... იმას სიცოცხლის ინსტინქტი ამოძრავებს... შენ კი... და ასე კვერცხში უნდა მოკვდე... მარტო... დომინო... რამზესი... არქიმედი...“

ზაზა სარკეში თავის თავს უყურებდა. მერე ხმამალა ჰკითხა:

— ხომ შეიძლება შენც?

სარკეში გამოსახულებამ ორივე წარბი ერთად ასწია, თვალები გაუდიდდა, თითქოს რაღაცის შეეშინდაო.

ზაზა დაიხარა და წყლის ნაკადს კეფა შეუშვია. თავი რომ ასწია, ისევ ხმამალა თქვა:

— დიახ, შენც? შენ რა? დიდი ვინმე გგონია შენი თავი?

პირისახე ტილოთი შეიმშრალა და ახლა თმის ვარცხნას მიჰყო ხელი. დერფანში გამოსვლა ერიდებოდა და ამიტომ არ ჩქარობდა.

კარი რომ გამოაღო, დაინახა, ბატონ ვალერიანის ცოლი მძინარე კაცს ანჯღრევდა. ზაზამ ქალს თავი დაუჭრა, თუმცა იმას არც კი შემოუხედავს. ზაზამ არც იცოდა ამ დროს როგორ უნდა მოქცეულიყო, უნდა ეთქვა რამე ქალისთვის თუ არა, შეჩერებულიყო, თუ საჩქაროდ ოთახში შეეკეტაიყო. იქნებ ჯობდა ეკითხა, რამე ხომ არ გჭირდებათ, რამე დახმარება ხომ არ შემიძლიაო. ვერაფერი ვერ ჰკითხა. ცოტა ხანს ასე სულელივით იყო გაჩერებული პირსახოცით ხელში. ეს კი უფრო უშმაფრებდა უხერხულობის გრძნობას. ყველაფერი ის. რასაც აქამდე არ ერიდებოდა, რაც მეზობლობაში ჩვეულებრივი იყო და ამიტომ ყურადღებას არ აქცევდა, ახლა ისე უზრდელად აჰყიტებდა, როგორც ოპერის სცენაზე მომღერლის პერანგიდან ამოჩაჩული წითელი მაისური. ის მწუხარე და ცოტათი

საზეიმო განწყობილებაც, რომელიც სიკვდილს თან მოეტანა, ყველაფერს თითქოს თავისებურს მოითხოვდა: სიარულს, ლაპარაკს, ხელის უბრალო მოძრაობასაც კი. ახლა ზაზა თავისუფლად ველარ გადაჭრიდა დერეფანს, ფლოსტების ტყაპატყუბით, ახლა ნელა თავჩაღუნულს უნდა გაეგლო. ახლა სულერთი არ იყო, თუ რას იტყოდა, უნდა ეთქვა განსაკუთრებული, ამ მდგომარეობის შესაფერი სიტყვა, რომელიც თუმცა ბევრის მიერ ერთნაირი ინტონაციითა და მიმიკით უამარავჯერ იყო წარმოთქმული, მაინც ყოველთვის პირველთქმულივით ეღერდა. ასეთი სიტყვა სულ რამდენიმე იყო. მათი ცოდნა ისევე ზუსტად იყო საჭირო, როგორც მათემატიკოსისთვის ფორმულებისა, რადგან სიკვდილსაც თავისი არითმეტიკა აქვს. ზაზამ კი ეს სიტყვები არ იცოდა.

ცოტა ხანს გაუნძრევლად იდგა, გრძნობდა, რომ ქალს ხელს უშლიდა. ქალი მძინარეს ვადვიძებას ცდილობდა, ზაზა რომ იქ იდგა, ისე მაგრად ველარ ანჯღრევდა მას. ალბათ, მასაც ზაზასი რცხვენოდა. ზაზას ყველაზე უფრო პირსახოცი უშლიდა ხელს, ზურგს უკან რომ ვერაფრით დაემალა. თუმცა ეს ხანში შესული ქალი, ალბათ, ყოველ დილით ზედავდა მას პირსახოცით ხელში. ზაზა, როგორც იქნა, თავის ოთახისკენ წამოვიდა, თავჩაღუნული მიდიოდა, კარს რომ მიუახლოვდა, თავი მაშინ ასწია, თვალი გაექცა და იმ ოთახში, სადაც ბატონი ვალერიანი ესვენა, ზეწარჩამოფარებული სარკე დაინახა.

ზაზა სახლიდან გამოვიდა და თავდაღმართს დაუყვა. ტროტუარზე ბიჭებს იმდენი ესრიალათ, რომ ფეხი ცურავდა. ჯერ სხვებივით ტროტუარის ნაპირზე სცადა სიარული, რადგან აფხეკილი თოვლი იქ იყო მიყრილი, ღრმა თოვლში ფეხი იფლობოდა და სიარულიც საშიში არ იყო. მერე რატომღაც მოერიდა, შეიძლება იმიტომ, რომ ვიღაც დედაბერს მიჰყვებოდა ფეხდაფეხ. ტროტუარზე გადმოვიდა, ფეხი რომ დაუცურდა, გაქანდა და თვითონაც ბატარა ბიჭივით

სრიალ-სრიალით ჩაათავა ყაზბეგის დაღმართი.

თერთმეტ საათზე რეპეტიცია იწყებოდა. თერთმეტამდე ორი საათი იყო დარჩენილი, ჯობდა ჯერ ესაუზმა, მერე ფეხით გაპოლოდა რუსთაველის პროსპექტს. ამისობაში ღროც გავიდოდა.

კიროვის ბაღს რომ გაუსწორდა, ქუჩა გადაჭრა და კაფე „გაზფხულში“ ავიდა. კაფე თითქმის ცარიელი იყო, მისი მინის კედლები ისე იყო შეორთქლილი, რომ გარეთ არაფერი მოჩანდა. კაფეში თბილოდა. საიდუმლოდ მოჩურჩულე გოგოსა და ბიჭს, კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან რომ ისხდნენ, წინ პატარა თოვლის ბაბუა დაედგათ. გოგონა თოვლის ხანდახან ხელს წაპკრავდა ხოლმე და თოვლის ბაბუა საცოდავად გადავირდებოდა გულაღმა. ბიჭი მაშინვე წამოაყენებდა, თუმცა გოგონას თვალს არ ამორებდა და რალაცას გაუთავებლად ეჩურჩულებოდა. ეტყობოდა, საკმაოდ დიდი ხანი იყო მას შემდეგ გასული, რაც ასე თამაზობდნენ, ახლა უკვე მექანიკური მოძრაობებით წააქცევდნენ და წამოაყენებდნენ ხოლმე თოვლის ბაბუას. გოგონას ლერწმის ღერი ჭიქაში ჩაედო და ისე სვამდა ლიმონათს, თან სკამზე ირხეოდა. ბიჭს წინ ყავის ფინჯანი ედგა, ლამბაქზე უამრავი ნამწვავი ეყარა. შეიძლება გეფიქრათ, ისინი გუშინს მერე ასე სხედან და არც კი გაუგიათ როგორ გათენდაო.

ზაზა იჯდა და უცდიდა, როდის მოხედავდა ანა. ანა, ალბათ, სამზარეულოში იჯდა ღუმელთან და მზარეულთან საუბრით ერთობოდა. მერე, როგორც იქნა, გამოვიდა.

ანა მალალი, ქერა გოგო იყო. დიდი, ლურჯი თვალები ჰქონდა. წამწამებს თითქმის არ ახამხამებდა.

— ა-ა! — თქვა მან. ზაზა რომ დაინახა, მივიდა და მაგიდას ტილო გადაუსვა. ზაზამ გაუღიმა. მერე ანა გატრიალდა, არც კი უკითხავს, რა მოგიტანოო. ის თვითონვე ურჩევდა ხოლმე საუზმის ზაზას. ზაზასაც სხვა გზა არ ჰქონდა, უხმოდ ემორჩილებოდა. ანა მალე დაბ-

რუნდა, ჩაი მოუტანა, მერე პური, კარა-
ქი და ყველი დაუღო მაგიდაზე.

— დღეს თოვს, — უთხრა მან ზაზას,
— ჩაი უნდა დალიო!

ზაზამ თავი დაუქნია, ჩაი მოსვა, კი-
ნაღამ პირი დაეწვა, ისეთი ცხელი იყო.
ანას გაეცინა:

— ცოტა დააცადე!

— მშია! — უთხრა ზაზამ.

— იცი, ჩემი ქმარი დაბრუნდა!

— რას მეუბნები?

— ჰო, დაბრუნდა.

— მომილოცავს!

— გმადლობთ.

ანა სკამზე ჩამოჯდა, მაგრამ მაშინვე
წამოხტა:

— რომელი საათია?

— ათის ოცი წუთია!

— ახლა აქ მოვა, ქვევით უნდა დავ-
ხედე!

— ქვევით რატომ?

— მარტო შემოსვლა რცხვენია.

— ხო-ო.

ანა წავიდა.

ზაზა ჩაის სვამდა და თან თოვლის
ბაბუას საცოდობას უყურებდა. ბიჭ-
მა თოჯინა თავისკენ გამოსწია. გო-
გონამ გვერდზე გაიხედა და ქვედა ტუ-
ჩი გამობურთა, გაიბურთა. ბიჭმა ბაბუა
ისევ წინ გააჩოჩა. გოგონამ ის ფეხზე
წამოაყენა, მაგრამ თითქმის მაშინვე
თავში წამოართყა და წააქცია. ბიჭმა
თოჯინის აღება დააპირა, გოგონამ დაა-
სწრო და თოვლის ბაბუა მკერდში ჩაიკ-
რა. ბიჭმა სიგარეტს მოუკიდა და ზა-
ზას გამოხედა.

ცოტა ხნის მერე ანა ჩია ტანის კაცს
შემოუძღვა. ის ცოლს მხრებამდე ვერც
კი წდებოდა. დარბაზში შემოვიდა თუ
არა, ქული მოიხადა და აქეთ-იქით რა-
ღაც საცოდავი ღიმილით მიმოიხედა.
კაცი მელოტი იყო. გამხდარი პირისახე
ჰქონდა. შუაში გადრეკილი ცხვირი
ოდნავ კუშტ იერს აძლევდა. ტყავის
მოკლე პალტო ეცვა, მოკრივეების
მწვრთნელს გავდა. ანამ ხელი ჩაჰკიდა
და ზაზასკენ წამოიყვანა კაცი უმწეო
ღიმილით წამოჰყვა. ანამ ის ზაზას მან-

ლობლად, მერე მაგიდაზე დასვა. ზა-
ზას შემოხედა, თითქოს ეკითხებოდეს,
როგორ მოგწონსო. თეიმურაზი მსკარად
ეტყობოდა, ამყობდა ასეთი კარგი ქმა-
რი რომ ჰყავდა. ზაზამ ტუჩები მოწ-
რუპა, სერიოზული სახე მიიღო და თავი
მძიმედ დაუქნია: აი, მესმისო! სხვა რა
უნდა ექნა?

კაცმა ქული ჯერ მაგიდაზე დადო, მე-
რე სასწრაფოდ იღო და აქეთ-იქით გა-
იხედ-გამოიხედა. ანამ ქული გამოართვა
და იქვე სკამზე დაუღო. მერე ანა წავი-
და. ცოტა ხნის მერე სამზარეულოდან
ორ ქალთან ერთად გამოვიდა. იმ ორ
ქალს ერთნაირი ლურჯი კაბები ეცვათ
და ერთმანეთსაც გაედნენ. ანამ მათ ქმა-
რზე აჩვენა ხელით. ქმარი თავჩაღუნუ-
ლი იჯდა იმ მოწაფესავით. რომელმაც
უკვე უპასუხა და ახლა ნიშნის დასმას
ელოდებოდა. ქალებმა ხელები ლოყებზე
მიიღეს, თავი გააქ-გამოაქნიეს და ანას
რალაცა უთხრეს ისე, რომ კაცისთვის
თვალი არ მოუცილებიათ. ანას კიდევ
უფრო გაუბრწყინდა სახე. როგორც იქ-
ნა, ქალები სამზარეულოში შებრუნდ-
ნენ, თუმცა მერე ერთი-ორჯერ კიდევ
გამოხედეს ანას ქმარს. ის კი იჯდა თავ-
ჩაღუნული და დამორცხვებული. ანა
მოვიდა, ქმარს ჭიქით არაყიანი და პური
მოუტანა. კაცმა არაყიანით სავსე ჭიქა-
ში პურის ნატეხი ჩააწო. ანა გატრიალ-
და, ახლა კოვზი მოუტანა ქმარს. მერე
თავზე დაადგა, დონიჯწმემოყრილი. იდ-
გა და დასცქეროდა, როგორ მიირომევე-
და ქმარი არაყიანს. ანა ბედნიერი იყო!

— ჩემი ქმარია! — უთხრა ანამ ზა-
ზას, თითქოს ზაზამ აქამდე არ იცოდა,
თუ ვინ იყო ეს კაცი.

ზაზამ კაცს თავი დაუჯრა. კაცი წა-
მოდგა, ზაზასთან მივიდა და ხელი ჩამ-
ოართვა. ზაზაც წამოდგა. კაცი გატრია-
ლდა, თავის ადგილას დაჯდა, თითქმის
იმწამსვე წამოდგა, ზაზასთან დაბრუნ-
და და სიგარეტების კოლოფი გაუ-
წოდა:

— მიირთვიო!

ზაზამ სიგარეტი ამოიღო და მადლო-
ბა გადაუხადა. კაცმა გაბრუნება დააპი-

რა, მაგრამ ისევ შემოტრიალდა და ის-
ანთი აუნთო. მერე თავის ადგილას დაჯ-
და, თვითონაც სიგარეტი გააბოლა. უკ-
ვე დამშვიდებული სახე ჰქონდა, აქეთ-
იქით აღარ იხედებოდა.

— არტისტია, — თქვა ანამ, — შენ-
სავით!

ანასაც ზაზა მსახიობი ეგონა.

— ოპო? — გაიკვირვა ზაზამ ზრდი-
ლობის გულისთვის.

— კოლეგა! — ჩაიხიბნითა ანას ქმა-
რმა.

— ცირკში მუშაობს. — თქვა ანამ.

— დიახ! — თქვა კაცმა და მინას ხე-
ლი ჩამოუსვა.

— აკორდეონზე უკრავს!

კაცმა ცოტა დაიმორცხვა და ჩაიცინა.

— მუსიკოსი ყოფილა! — ზაზას უნ-
დოდა ანა კიდევ უფრო ბედნიერი ყო-
ფილიყო.

— ჰამე! — უთხრა ანამ ქმარს, — რა-
ტომ არ ჰამე?

— მე წავალ! — თქვა ზაზამ. წამოდ-
გა და ფული მაგიდაზე დადო. იცოდა,
რა ღირდა მისი საუზმე.

კაციც წამოდგა, მათ ერთმანეთს თა-
ვი დაუკრეს.

კაფედან რომ გადიოდა, თვალი შეა-
სწრო, თოვლის ბაბუა ისევ მაგიდაზე
იდგა. მაგრამ გოგონამ მაშინვე ხელი
წაჰკრა და წააქცია.

ზაზა ვერის ბაზრის ახლოს მიწისქვეშა
გვირაბში ჩავიდა და მოპირდაპირე მხა-
რეს — „კომუნისტის“ რედაქციასთან
ამოვიდა. აქ ტროტუარიდან თოვლი გა-
დაეფხვიათ, ზოგ ადგილას ნახერხიც კი
დაეყარათ. ზაზა კედელზე ჩამოკიდე-
ბულ სტენდებთან გაჩერდა და დღევან-
დელი გაზეთის დათვალეირება დაიწ-
ყო. მერე საათს დახედა, კიდევ ორმო-
ცი წუთი რჩებოდა რეპეტიციის დაწ-
ყებამდე. რეპეტიციაზე წასვლა მაინც
და მაინც არ ეხალისებოდა, რადგან იქ
საქმე სრულიად არ ჰქონდა. სხვა თეატ-
რიდან მოწვეულ რეჟისორს — სანდრო
ყანჩაველს ეხმარებოდა, მისი თანაშემ-
წე იყო. მისი მოვალეობა იმით ამოიწუ-
რებოდა, რომ ჩუმად უნდა მჯდარიყო.

უთხრეს, დაჯექით და უყურეთ, ბევრ
რამეს ისწავლითო! ისიც რჩება და უყუ-
რებდა. სანდრო ყანჩაველი „პაპილუს“
დგამდა. თეატრის საუკეთესო ძალები
ამ სპექტაკლში იყო ჩამბმული. თეატრის
ორკესტრს ადიდებდნენ, ოპერიდან მო-
მღერალთა გუნდის მოწვევა უნდოდათ.
სპექტაკლს სამი მხატვარი აფორმებდა,
მათ კიდევ რამდენიმე შეგირდი ეხმა-
რებოდა. უზარმაზარ დეკორაციებს აკე-
თებდნენ. ელსინორის სასახლე ამ დე-
კორაციებთან შედარებით, ალბათ, პა-
წაწინა ქოხად თუ გამოჩნდებოდა.
მხატვრებს ოქროს ვარაუხე ჰქონ-
დათ აღებული გეზი. რეჟისორის ჩანა-
ფიქრით, სასახლეს ერთიანად უნდა ებ-
რჭყვილა და ებრწყინა. კომპოზიტო-
რი, რომელიც ამ სპექტაკლისთვის მუ-
სიკას წერდა, მერე, ალბათ, ამ მუსიკას
ოპერის დასაწერად გამოიყენებდა, რა-
დგან თითქმის ნახევარი უკვე დაწერი-
ლი ექნებოდა. რეპეტიციაზე იმდენი
ხალხი ირეოდა, რომ ზაზა ყველას ვერც
კი სცნობდა. საერთოდ, რეპეტიცია
ფიზიულტურის პარადის სამზადისს ჰგა-
ვდა. ვერც რეჟისორი სცნობდა ყვე-
ლას, განუწყვეტლივ ყვიროდა, რადგან
სხვანაირად თითქმის შეუძლებელი
იყო ყველასთვის გაეგებინებინა სათქ-
მელი. უცებ გაჩუმდებოდა, სკამზე გა-
დაესვენებოდა და გულზეხელმიდებუ-
ლი რამდენიმე წუთი თვალდახუჭული
იჯდა.

რეჟისორის თქმით, ეს „ხმამაღალი
სპექტაკლი“ უნდა ყოფილიყო. ბევრ
მსახიობს არ ესმოდა, რას გულისხმობ-
და რეჟისორი და ამიტომ რეპეტიციებ-
ზე ძალიან ხმამაღლა კითხულობდნენ
ტექსტს. რეჟისორი სამხატვრო საბჭოს
წევრებს რეპეტიციებზე არ უშვებდა,
ამიტომ საბჭოს სპექტაკლის დიდი იმე-
დი ჰქონდა. ფარიაოვას იქვე სცენის
კუთხეში სწავლობდნენ. ფარიაოვის
მასწავლებელს, გამხდარსა და სახენა-
ყვავილებ კაცს სკამზე ჩამომჯდარს ეძი-
ნა, ხელები მუხლებზე ეწყო და წელში
გამართული იჯდა. ფერმკრთალი და

თვალდახუჭული სანთლისგან ჩამოქნილი გვეგონებოდათ.

„ეს ბნელი და სისხლიანი ტრაგედია, — ამბობდა რეჟისორი, — სწორედ დაშნების ნაპერწკლებით უნდა იყოს განათებულიო“. მსახიობები მონოლოგებს კითხულობდნენ, გულხელდაკრეფილები, თვალეზვანათეთრებულები და შეშინებულები, რადგან რეჟისორი განუწყვეტლოვ უყვიროდა. ყველაზე მეტად ჰამლეტის როლის შემსრულებელს — ანზორ ჩაჩავას ეშინოდა იგიც სხვა თეატრიდან იყო მოსული, რეჟისორს წამოეყვანა. ეს ბიჭი ზაზას ადრეც ჰყავდა ნანახი — საპირველმანისო დემონსტრაციაზე თეატრის კოლონას მანქანაზე შემდგარი მოუძლოდა. მაშინაც ჰამლეტის კოსტუმი ეცვა და წვიმისგან მთლად გაუწუწული, მუკში სწევდა პაპიროსს.

რეჟისორი ორ მსახიობს ვერ უყვიროდა მხოლოდ: თეატრის დირექტორს, გიორგი უგრეხელიძეს, რომელიც ამ სპექტაკლში ხელმწიფის როლს ასრულებდა, და ოფელიას, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ია სიხარულიძეს, რომლის ქმარიც მეტად გავლენიანი თეატრალური კრიტიკოსი გახლდათ. ია ამბობდა, რომ საშიჯო (მის ქმარს ალექსანდრე ერქვა) რეცენზიის დასაწყერად უკვე ემზადებო.

თეატრის ქორეოგრაფი ბიბი ზაზას გვერდით უსაქმოდ იჯდა. ჯერ არავინ იცოდა, ამ სპექტაკლში ვის უნდა ეცეკვა. რეჟისორი კი ყოველ რეპეტიციაზე მის დასწრებას მოითხოვდა. ბიბის თანპოლონური ჟურნალი „ეკრანი“ მოჰქონდა, იქ და ფურცლავდა.

დირექტორი — გიორგი უგრეხელიძე რეპეტიციებზე ხელმწიფის კოსტუმით დადიოდა. თუმცა ჯერ კოსტუმების შეკერვამდე კიდევ ბევრი დრო იყო დარჩენილი, მისი კოსტუმი ადრე საგანგებოდ შეეკერათ. ხელმწიფის კოსტუმში გამოწყობილი, თავზე გვირგვინდადგმული დირექტორი რეპეტიციაზე რომ გამოჩნდებოდა, ცოტა ხნით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა,

რადგან ჯერ ერთი, ის დირექტორი იყო, მეორეც ხელმწიფის კოსტუმს მეტად ღირსეულად ატარებდა.

— ოჰო? — მოესმა ზაზას ქალის გაცივრებული შეძახილი.

— აა, — თქვა ზაზამ, — ზაირა!

— ვითომ ვერ დამინახე!

— ღმერთმანი, ვერ დაგინახე?

— თუ გვერდი გინდოდა აგველო!?

— არა-მეთქი!

— სად ხარ დაკარგული?

— არსად.

— სადმე ხომ არ იყავ წასული?

— არა, სულ აქა ვარ.

— ჩემი ტელეფონის ნომერი დაგავიწყდა?

— მახსოვს.

— თუმცა მე არ ვიყავ აქ...

— აი, ხომ ხედავ?

— ვითომ დარეკე?

— სად იყავი?

— მოსკოვში.

ზაზა მხოლოდ ახლა მიხვდა, რატომაც ვერ იცნო მაშინვე ზაირა — ზაირას თმა შეეღება. თმა ისეთი შავი ჰქონდა, რომ ოდნავ ლურჯი ფერი გადაჰკარავდა. ეს შეიძლება ქიმიური საღებავის ბრალიც იყო, შეიძლება კარგად არ იყოს გაზავებული. თმა შუბლზე ჩამოგვარცხნა და სწორედ შეექრა. ზაირამ თმაზე შეჩერებული მხერა დაიჭირა.

— მიხდება? — ჰკითხა.

— ძალიან!

— თუ ისე ჯობდა?

— ისეც კარგი იყო.

— მაინც რომელი ჯობია?

— ესეც კარგია.

— მაინც, მაინც? — ჩააცვიდა ზაირა.

— ასე უფრო გინდება.

— ვიცი, — თქვა ზაირამ.

— იქ შეიღებე? — ჰკითხა ზაზამ.

— ჰო.

— გინდება.

ზაირამ ჩანთიდან შავი სათვალე ამოიღო და გაიკეთა:

— ახლა?

— ახლაც!

— სად მიდიხარ?

— თეატრში.
 — გეჩქარება?
 — რეპეტიცია მაქვს.
 — ჩემი პალტო მოგწონს?
 — ძალიან. ესეც იქ...
 — ჰო, აქ არავის აცვია.
 — როდის ჩამოხვედი?
 — ორი დღეა.
 — აჰა.
 — შენ ტელეფონი არა გაქვს...
 — არა მაქვს...
 — რეჟისორი! — ზაირამ ირონიულად გაიცინა.
 — რა ვქნა? — ზაზამ ღიმილით ხელები გაშალა.
 — გეხუმრებენ... დიდი ამბავი!
 — დიდი ამბავი! — გაიმეორა ზაზამ.
 — სალამოს ბიძაჩემთან მივდივართ ყველანი. ხვალ კი მეცლება.
 — წარმოგიდგენია, ხვალ მოსკოვში მივდივარ!
 — რას მეუბნები?
 — ჰო, მივდივარ.
 — დიდი ხნით?
 — არა.
 — მაინც?
 — არ ვიცი.
 — თუ გინდა, ბიძასთან არ წავალ?
 — არა, უსათუოდ წადი. თქვენები რას იტყვიან?
 — შენ თუ გინდა, არ წავალ.
 — რას ამბობ, ბიძაშენი გაგიყვება!
 — მითხარი, გინდა?
 — უსათუოდ უნდა წახვიდე, უსათუოდ!
 — ოი, თურმე რატომ არ რეკავდი!
 — რატომ?
 — ჩემი ნახვა აღარ გინდა!
 — ვინ ვითხრა?
 — ამას რა თქმა უნდა?
 — ზაირა...
 — გაჩუმდი!
 — კარგი, გავჩუმდები!
 — სადაც გინდა წადი.
 — რა ვქნა...
 — ჰო და წადი, მე არ ვიშლი.
 — რეპეტიციის მერე დასაფლავება-

ზე უნდა წავიდე, მეზობელი მომიყვდა, მერე...
 — მე არ გვეითხები; არც მაინტერესებს!
 — სალამოს ისევ რეპეტიცია მაქვს.
 — ო, რა ცუდია, როცა კაცი ტყუის!
 — არ ვტყუი!
 ზაზამ საათზე დაიხედა.
 — წადი, — უთხრა ზაირამ, — რაღას უდგახარ?
 — ჰო, უნდა წავიდე!
 — ნახვამდის!
 — ზაირა!
 — შენ გგონია, გული გამისკდება დიდი ამბავი!
 — რატომ უნდა გაგისკდეს გული?
 — გეყოფა, გეყოფა!
 — რომ ჩამოვალ...
 — დამირეკავ არა? დიდი მადლობა!
 — რა ვიცი, თუ გინდა... დაგირეკავ...
 — თუ მინდა!
 — იქნებ არ გინდა?
 — შენთვის სულერთი არაა?
 — რა?
 — გინდა დარეკავ, გინდა არა!
 — არა, რატომ?
 — კარგი, კარგი, დაგაგვიანდა!
 — ჰო, მაგვიანდება.
 — ნახვამდის.
 ზაირას მალალი, ლამაზი ფეხები ჰქონდა აუჩქარებლად მიდიოდა, თან ჩანთას იქნევდა. უცებ ფეხი დაუხსლტა, მაგრამ მაშინვე გასწორდა. მოიხედა, ზაზამ ხელი დაუქნია. ზაირას ვითომ არც კი დაუნახავს, გზა განაგრძო.
 — ზაირა! — დაუძახა ზაზამ.
 ზაირა ვაჩერდა. ზაზა მასთან მივიდა. არც კი იცოდა, რატომ დაუძახა, ან რა უნდა ეთქვა.
 — რა იყო? — ჰკითხა ცივად ზაირამ.
 — გუნდების არ გეშინია? — სხვა ვერაფრის თქმა მოახერხა ზაზამ.
 ზაირა თავისი გარეგნობით იშვიათი სამიზნე იყო გუნდის სასროლად.
 — მე მიყვარს, როცა გუნდებს მესვრიან! — თქვა ზაირამ. ისეთი ცივი და გულგრილი მშერა ჰქონდა, რომ ზაზა წამით შეეცოყმანდა, ეს მართლა ზაირაა

თუ არაო. — სხვას რას მეტყვი კიდევ?
— ჰკითხა ზაზამ.

ცოტა ხანს დაუცადა, ზაზამ რომ ხმა
ვერ ამოიღო, გატრიალდა და წავიდა.

მერე ზაზა თეატრში მივიდა. თეატრ-
რიდან შინ დაბრუნდა. მერე ბატონ ვა-
ლერიანის პანაშვიდი იყო. მერე ავტო-
ბუსები მოვიდნენ. ორი ავტობუსი ხალ-
ხმა ძლივს გააგსო. საბურთალოს
ახალ სასაფლაოზე ავიდნენ. სასაფლაო-
ზე დიდი თოვლი იყო. ხალხი გაუკვა-
ლავ თოვლში მიდიოდა, თუმცა თოვლი
მთლად გაუკვალავი არ იყო. საფლავამ-
დე რეზინის ჩექმის დიდი ნაფეხურები
მოჩანდა. ეს კვალი ალბათ მესაფლავეს
დარჩა. სასაფლაოზე ხეები არ იდგა.
თოვლს სხვა საფლავები ისე დაეფარა,
იფიქრებდი, მარტო ბატონ ვალერიანს
სასაფლავებენ ამ ტრიალ მინდორშიო.
არაეინ ტიროდა. არც დამკვრელები იყ-
ვნენ, სამარის პირას დახვავებული მიწა
მშრალი იყო. თოვლს ჯერ მიწის დასვე-
ლება ღრმად ვერ მოესწრო. იქვე მე-
საფლავე იდგა, ნიჩაბს დაყრდნობილი,
დიდი, წითელი ხელები ჰქონდა. მერე
იმ კაცმა, წუხელ რომ დერეფანში ეძი-
ნა, ზაზას მკლავში ხელი გაუყარა, გვერ-
დზე გამოიყვანა და უთხრა:

— ა, ბატონო, ჩვენი ბოლო!

ზაზამ ვერაფერი უპასუხა.

— სანამ ცოცხლები ვართ, ეს არ გვა-
ხსოვს, — გააგრძელა კაცმა. მერე პაპი-
როსი გადააგდო და თოვლზე ფეხით
მოსრისა.

ზაზა იმათ ავტობუსს აღარ წა-
მოჰყოლია. ვაკე-საბურთალოს გზამდე
ფეხით ჩამოვიდა. შემთხვევით ტაქსმა
ჩამოიარა. ზაზამ გააჩერა, ჩაქდა და ისევ
რუსთაველის პროსპექტზე ამოვიდა. ში-
ოდა. ჯერ იფიქრა, გასტრონომში რამეს
ვიყიდი და შინ წავიღებო. მერე გაახსენ-
და, რომ სახლი სასაფლაოდან დაბრუ-
ნებული ხალხით იქნებოდა გავსებული.

სალამოვდებოდა. რუსთაველის პროს-
პექტზე გაშიშვლებული ჭადრები ბელუ-
რების გუნდებს დაეფარა, ერთი ყვილი-

ხივილი იდგა. ქაშუეთის წინ, ტირიფთან
ბავშვებს თოვლის პაპა გაეკეთებინათ...

— რას უდგებარ აქ? — მოესმა ზაზას.

ზაზამ მოიხედა, მისკენ პაპუნა მოდი-
ოდა.

— ო-ო, — თქვა ზაზამ, — პაპუნას
ვახლავარ!

— ვინმეს უცდი?

— არა. ისე გაეჩერდი. ნახე, რამოდე-
ნა თოვლის პაპა!

— შუადღემდე მეძინა, — თქვა პაპუ-
ნამ, — რა ღვინო იყო. თავი ვერ ავწიე!

— მძიმე ღვინო იყო!

— არ მიყვარს მძიმე ღვინო.

— არც მე.

— რა ვიცი, კი მაძალბდით და!

— მე გაძალბდნი? თამადა ხომ შენ
იყავი?

— კარგი ახლა, თუ ძმა ხარ!

— ეჰ, პაპუნა, პაპუნა!

— ჰო, რა იყო?

-- არაფერი.

— აქ რას უდგებარ-მეთქი?

— შშია.

— წამო, ხინკალი ვჭამოთ.

— არ მინდა.

— არც მე, ცხერის ხორცი მკლავს.

— რამე მინდა, წვნიანი.

— ხარჩო!

— თუნდაც!

— ჰო და წამო. ძმაო!

— სად წავიდეთ?

— მე წამომყევი.

პაპუნამ მკლავში ხელი გამოსდო:

— ფეხი მიცურდება, — მერე დაუმა-
ტა, — თოვლი არ მიყვარს!

— სად მიგყავარ? — ჰკითხა ზაზამ.

— აი ზღვა კი ნამდვილად მიყვარს,
ოლონდ ცურვა არ ვიცი! — გააგრძელა
პაპუნამ.

— მაინც სად მივდივართ?

— ცურვა რომ არ ვიცი, შეიძლება
იმიტომ უფრო მიყვარს. ვერ ვიტან გა-
შავებულ ღებილებს, კარგად რომ ცუ-
რავენ. აი, აქ ჩავიდეთ...

მათ კიბე ჩაიარეს და ნახევრად ბნელ
რესტორანში შევიდნენ.

— აღარც მახსოვდა, ეს რესტორანი თუ კიდეც არსებობდა. — თქვა ზაზამ.

— აი, ხომ ხედავი! — რატომღაც ნიშნისმოგებით უპასუხა პაპუნამ.

მერე დახლში მოფუსფუსე ოფიციანტს დიდის ამბით მიესალმა:

— გამარჯობა, ბიძია აქვსენტი, როგორ ბრძანდები?

— გმადლობთ, ბიძიკო, გმადლობთ!

— გვაძმევე რამეს?

— დაბრძანდით, ბატონო!

— ხარჩო თუ გაქვთ კარგი?

— იმე? — გაიკვირვა ბიძია აქვსენტი. პაპუნამ ზაზას თვალი ჩაუკრა:

— ხომ გოთხარი?

— ღორის მწვადს შევწვავთ კიდეც კარგს.

— ღორის?

— ბურვავია! — საჩქაროდ დააყოლა აქვსენტი.

— ესე იგი, დამწყები ღორია, — თქვა პაპუნამ, — აი, მე დამწყები მხატვარი ვარ!

— როგორ გეკადრებათ! — ბიძია აქვსენტიმ რატომღაც დაიმორცხვა, — დამწყები კი არა...

— აბა, დავრჩით! — პაპუნამ ხელი ასწია.

— კი, ბიძიკო, კი!

ზაზამ და პაპუნამ პალტოები გაიხადეს და გარდერობში მიიბარეს. პაპუნამ გარდერობის მცველიც მოიკითხა, მერე ხელების ფშვნეტით ისევ ბიძია აქვსენტის მიუბრუნდა:

— აბა, დავეჭვით!

— კი, ბიძიკო, კი!

— თქვენთან ცივა ცოტა!

— გათბებით, ბიძიკო, გათბებით!

ზაზა და პაპუნა დარბაზში შევიდნენ. დარბაზი თითქმის ცარიელი იყო, მხოლოდ ბოლოში ერთმანეთზე მიდგმულ ორ მაგიდას რამდენიმე ბიჭი შემოსხდომოდა. ბიჭები ჩვიდმეტი, თვრამეტი წლისანი იქნებოდნენ. ისინი უკვე მთვრალეები იყვნენ. ბავშვური სახეები წამოწითლებოდათ და უსიამოვნო შესა-

ხედავი იყვნენ, როგორც საერთოდ მთვრალი მოზარდები არსებობდნენ.

ესენი რომ დარბაზში შევიდნენ, ბიჭები წამოცვივდნენ და პაპუნას დიდი ამბით მიესალმნენ. ერთმა გულზე ხელი მიიღო, მეორემ კი ხელები პათეტურად გაშალა და თქვა:

— ბატონო პაპუნა, თუ გვიკადრებთ!

— ახლავე, ახლავე! — დაუძახა პაპუნამ.

— თუ შეიძლება, თქვენი ამხანაგიც!

— ახლავე! — პაპუნა მათკენ სასწრაფოდ გაეშურა, ზაზას კი, ისე რომ ბიჭებს არ შეემჩნიათ, ხელით ანიშნა, აქ დარჩიო.

ზაზა პირველსავე ცარიელ მაგიდას მიუჯდა. პაპუნა იმ ბიჭებთან მივიდა. ბიჭებმა დიდი სასმისი პირამდე გაუცხეს და მიაწოდეს. პაპუნამ რაღაც თქვა, ბიჭებმა გაიცინეს. ყველანი ფეხზე იდგნენ, თუმცა ორი შესამჩნევად ქანაობდა. ერთმა ზაზას გამოხედა, უაზრო, არაფრისმხედველი თვალებით. პაპუნამ მასაც რაღაც უთხრა, ბიჭებმა ისევ გაიცინეს. მერე პაპუნამ სასმისი გამოცალა. ერთმა ბიჭმა კედელზე მიყუდებული გიტარა აიღო, ფეხი სკამზე შემოდო და დაკვრა დაიწყო. ბიჭებმა რაღაც სიმღერა წამოიწყეს, გამყინავი ხმით მღეროდნენ. პაპუნა აღტაცებული თვალებით შესცქეროდა. სანამ სიმღერა არ დაამთავრეს, ფეხი არ მოუცვლია. მერე გამოეთხოვა, ერთმა ბიჭმა მხრებზე ხელები დაადო, მოსწია და ტუჩებში აკოცა. პაპუნამ კიდეც რაღაც თქვა, ბიჭებმა ისევ გაიცინეს.

მერე პაპუნა ზაზასთან დაბრუნდა.

— უპ, — თქვა მან, — მგონი გადავრჩი!

— ვინ არიან? — შეეკითხა ზაზა.

— ჩუ, — პაპუნამ ბიჭებს მიხედა, მერე ჩურჩულით დაუმატა, — მერე გეტყვი!

ოფიციანტმა სუფრა გაუწყო.

— ბიძია აქვსენტის ყველაფერი ვუთხარი, — პაპუნამ ოფიციანტს გაუღიმა, — თქვენ რა გქვიათ?

— დავითი, — ჩაიბუზღუნა ოფიცია-



ტმა, ეტყობა, მაინცა და მაინც პაპუნას გუნებაზე არ იყო.

— ჰო და, ბატონო დავით...

— ღვინო არ ვითქვამთ!

— მოდი, ღვინოს ნუ დავლევთ, — თქვა ზაზამ.

— ცოტა დავლიოთ, ცივა!

— რომელი ღვინო მოგიტანოთ? — შეეკითხა ოფიცინანტი.

— იმერული ღვინო თუ გაქვთ?

— არა!

— მაშინ „მუკუზანი“ მოგიტანე, ყველას ის სჭობია.

— ვინ არიან მაინც ის ბიჭები? — ჰკითხა ისევ ზაზამ, — ბატონო პაპუნას რომ გეძახდნენ?

პაპუნამ თონის პურის ნატეხზე წითელი ხიზილალა წაუსვა და პირში ჩაიდო.

— ბატონო პაპუნა, აღარ შეტყვი?

— ჰა? — შეეკითხა პაპუნა, თუმცა კარგად გაიგო, რასაც ეკითხებოდა ზაზა.

— რა დაგეშართა?

— ეგ ბიჭები ხულიგნები არიან, — თქვა პაპუნამ ჩურჩულით, ის წინ გადმოიხარა, სახე უცებ შეეცვალა, — განთქმული ხულიგნები!

— მერო შენ საიდან იცნობ?

— მე ყველას ვიცნობ

— კარგი ახლა!

— დედას გეფიცები, ხულიგნები არიან. დანები უღვეთ ჯიბეში.

— მაგ ლაწირაკებთან შენ რა საერთო გაქვს?

— ჩემს ბიძაშვილთან სწავლობენ, თემურთან.

— გიტარა კი კარგად უჭირავთ...

— შენ არ იცი, ახლა მუსიკალური ხულიგნები რომ გამოჩნდნენ, არა მართო ჩვენში, ყველგან. მუსიკაზე გიყვებიან, მხეცებივით.

— ერთი მაგათი...

— ჩუ!

მერე კარგა ხანს ჩუმად იყვნენ, უხმოდ შეეჭყეოდნენ საჭმელს. მერე პაპუნამ თქვა:

— დღეს ზაირა შემხვდა. რა ვოგოა!

— მეც შემხვდა.

— ყოჩაღ, ძმოს!

— თმა შეუღებავს, ნახე რა ცინკოლი უხდება.

— რა ვიცი...

— ჰო, რა იყო?

— არაფერი.

— აღარ მოგწონს?

— პაპუნა, შენ მაგდა თუ გასსოვს?

— წუხელაც დამირეკე, ეგ რომელი მაგდაა?

— აი, შენთან რომ ვიყავით, სახელოსნოში...

— მაგდა... მაგდა... არ მასსოვს!

— იცი, ზვალ მოსკოვში მივფრინავ!

— მოსკოვში რა გინდა?

— ისე.

— ისე მოსკოვში ვინ მიდის?

— აი, მე მივდივარ.

— მაგდა... მაგდა... ეგ ის ხომ არ არის, თეატრში რომ გყავდა?

— არა.

— შენ რა, ზაირას თავი დაანებე?

— რა ვიცი...

— სულელი ყოფილხარ!

მერე ხულიგნები აიშალნენ და წავიდნენ. წასვლის წინ პაპუნას ხელი დაუქნიეს. პაპუნა წამოდგა, იმანაც დაუქნია ხელი.

— რატომ ადექი? — ჰკითხა ზაზამ.

— რა იყო?

— გეშინიათ, ბატონო პაპუნა?

— თუნდაც რომ მეშინოდეს, საკვირველია?

— ასე უნდა იდგე ფეხზე?

— ჰო, სულ ასე უნდა ვიდგე ფეხზე,

— იყვირა უცებ პაპუნამ, — სულ ასე უნდა ვიდგე ფეხზე! რესტორნის შვეიცარივით! — წელში მოიხარა, — მობრძანდით! დიდი მადლობა! მობრძანდით!

— შენ რა, დათვერი?

პაპუნა დაჯდა. ცოტა ხანს თავჩაღუნული იჯდა, მერე ჩუმად ჰკითხა:

— შენ... შენ ფეხზე არ დგები?

— როცა საჭიროა, კი.

— მერე და იცი, როდისაა საჭირო?

— ვედილობ. მივხვდები!

— აი, მე კი არ ვიცი. შეიძლება ადრე მეც ვიციოდი. აღარ ვიცი, იმიტომ რომ

ხულიგნების მეშინია. შენ გგონია, მარტო ეგენია ხულიგნები? არა, ეგენი სხვებთან შედარებით ანგელოზები არიან. მერე რა, რომ სხვებს დანები არ უდევთ ჭიბეში, სამაგიეროდ ენა, კალამი ან თანამდებობა აქვთ. მოგსპობენ. მე კი... ცოლი მყავს..

უცებ სახე შეეცვალა და ზახას შეაშტერდა:

— იცი, რა უბედური ვარ?

— უბედური კი არა...

— შენ არ იცი. ვერ წარმოიდგენ...

უნდა გითხრა, უნდა გითხრა...

პაპუნა უცებ ძალიან აღელდა.

— ნუ შეტყვი.

— შენ იცი, რომ ჩემთვის სხვა ქალი არ არსებობს, ლეილას მეტი. მე ყველას ვეარშიყები, მაგრამ მარტო ის მიყვარს, მიყვარს, ძალიან მიყვარს..

— ვიცი..

პაპუნამ ჭიქა გამოცალა, გვერდზე გაიხედა და აცხატებული ხმით თქვა:

— ჰოდა, მგონი, ვილუბები.

— ილუბები?

— ლეილას ვილაც ბიჭი აცილებს ხოლმე. შენ იცი, ლეილას კონცერტზე სიარული უყვარს, მე დაღლილი მოვდივარ შინ, არაფრის თავი არა მაქვს. ჰოდა, ვილაც ბიჭი აცილებს ხოლმე...

— მერე?

— რა მერე, რა? ლეილას ვკითხე, ის ბიჭი ვინ არის-მეთქი, იცი, რა მიპასუხა? ექვიანობა უკულტურობააო. მართალია? მართლა ასეთი უკულტურობაა ექვიანობა?

— რა ვიცი...

— მოველაე!

ბილეთების სალარო აეროვაგზლის მერე სართულზე იყო. სალაროების წინ არავინ იდგა. თუმცა მინის კედლის იქით არც მოლარეები ისხდნენ თავიანთ ჩვეულებრივ ადგილას. ზახა მაგიდასთან მიდგმულ დაბალ სავარძელში იჯდა. სივარეტს ეწეოდა და მაგიდაზე უმეტესად უფროდ მიტოვებულ ვილაცის პორთფელს უყურებდა.

ტყავის შავი პორთფელი მაგიდაზე

საბეჭდ მანქანასავით მძიმედ იდო. პორთფელს რკინის პრიალა სავეტებზე ჰქონდა, ბოლოებზეც პრიალა რკინა ჰქონდა დატანებული.

ზოგი ბარგს დაკანკალებს, ჩემოდანზე ზის, თვლემს, მაგრამ კურდღლივით ფხიზლობს, ბარგი არავინ მოშპაროსო. ზოგი კი მიაგდებს სადმე კუთხეში უპატრონოდ. დაღის მერე არხეინად, დრო გაჰყავს. სწორედ ასეთ ზალხს ეკარგება ყველაზე ნაკლებად რამე. ბარგზე რომ მიჯაჭვული ზიხარ, მისი სიმძიმე მაინც გთრგუნავს, თითქოს ზურგზე გქონდეს მოკიდებული.

აღამიანი თურმე იმითაც იცნობა, თუ როგორი ბარგი აქვს. ზოგის ბარგი ლამაზია, ფერადი. თითქოს არც საკეტი ადევს, ხელს შეახებ თუ არა — გაიხსნება, როგორც ილუზიონისტის ყუთი და იქიდან რა არ გადმოცვივა, მსუბუქი და ლამაზი, ბავშვის სათამაშოებივით. ზოგის ბარგი კი პატარაც რომ იყოს, მძიმე მოჩანს, თითქოს შიგ ქვამარილი აწყვილიო. საკეტები ხომ აქვს მაგრად ჩაარზული, ზედ კიდევ კარგად მოზრდილი ბოქლომიც ადევს, ან თოკი აქვს შემოჭერილი, ბუსუსიანი და ქრელი.

ზახას ბარგი სრულებით არ ჰქონდა. შინიდან ისე იყო წამოსული, თითქოს აქვე ორთაქალაში უნდა გადასულიყო და მაშინვე უკან მობრუნებულყო. თუმცა კაცმა რომ თქვას, სანამ ვაკიდან ორთაქალამდე ფეხით ჩახვალ, შეიძლება თვითმფრინავმა მოსკოვში ჩაგასწროს.

ზახა მოსკოვში მიდიოდა. საღამოს უნდა გამობრუნებულყო, ასე ჰქონდა გადაწყვეტილი. რადგან დღეს კვირა იყო და დილის სპექტაკლის გამო რეპეტიცია არ იყო დანიშნული, შეეძლო ეს დღე როგორც უნდოდა ისე გაეტარებინა. არც ფული ჰქონდა იმდენი, დიდხანს რომ დარჩენილიყო. ესეც პალტოს ფული ჰქონდა შეგროვებული და... ჯანდაბას ახალი პალტო, ამასაც არაფერი უჭირს.

კარი გაიღო და მინის კედლის იქით ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა. ქალს პირი

თეთრი შალით აეხვია. მან მინაზე თითო დააკაქუნა, ზაზა თითოთვე იხმო და დაჯდა. ზაზა წამოდგა, სალაროს შიშით მიუახლოვდა, არ მითხრან, გაფრენა გადადესო. თუმცა ამ თოვაში არც იყო საკვირველი, გაფრენა რომ გადაედოთ. ამ პირახვეული ქალის დანახვამ შიში კიდევ უფრო გაუდიდა. ქალს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ამ ქვეყნად თვითმფრინავი საერთოდ არც კი არსებულყო. ზაზა სალაროსთან მივიდა, ქალმა ამოხედა, მას ნამდვილად კბილი ტკიოდა. ზაზამ რატომღაც ხელით ანიშნა, ერთი ბილეთი მინდაო, თითქოს თვითონაც უჭირდა ლაპარაკი. ქალმა რხლაც თქვა, ზაზამ ვერ გაიგო, თუმცა მიხვდა, ბილეთის ფასს ეუბნებოდნენ. რადგან ბილეთის ფასი წინასწარ იცოდა, შარგლის უკანა ჯიბიდან საფულე ამოიღო, ფული გადათვალა და ქალს გადააწოდა. ქალი რაღაცას წერდა, ზაზა მოთმინებით უცდიდა, თუმცა ბილეთის მიღება ძალიან ეჩქარებოდა, თითქოს ბილეთი ჯიბეში რომ ექნებოდა, გაფრენას ვეღარ გადადებდნენ. ქალმა ბილეთი ზაზას ცხვირწინ დაუდო. წამოდგა. ბილეთს თითო დაადო და რაღაც თქვა. ზაზამ ბილეთს იმ ადგილას დახედა, სადაც ქალს თითო ედო, იქ თვითმფრინავის გაფრენის დრო ეწერა. ქალმა ფული აიღო, უკრა გამოსწია და შიგ ჩაყარა. მერე ზაზას ისეთი თვალეზით ამოხედა, თითქოს ეუბნებოდა, ახლა მინც დამანებე თავიო. ზაზამ ქალს მადლობა გადაუხადა, ბილეთი საფულეში ჩადო და გამოტრიალდა. ქალმა ისევ დაუკაქუნა მინაზე, ზაზა მობრუნდა, ქალს შეხედა, ქალმა რაღაც წაილულულა, თან ხელი ლოყაზე ჰქონდა მიდებული, ზაზამ თავი დაუქნია, თუმცა ვერ კი გაიგო რას ეუბნებოდნენ. ქალი მიხვდა, ისე უქნევდნენ თავს, ზრდილობის გულისთვის, დაინახა, სარკმლის ქრილში გამოხედა და უთხრა: ავტობუსი! მერე ხელით ანიშნა. ავტობუსს აქ დაუკადო. ზაზამ ისევ გადაუხადა მადლობა. წამოვიდა და სავარძელში ჩაჯდა.

დიდხანს იჯდა ასე. სიგარეტს ზედი-

ზედ ეწეოდა. ეგონა დრო გაჩერდაო. ეჩქარებოდა და ღელავდა. ასე ღელავდა და ხოლმე, როცა სადმე შორს მინდობდა, ახლა კიდევ იმიტომ ღელავდა, რომ არ იცოდა, იქ როგორ დახვდებოდნენ, ვისთანაც ასე მიეჩქარებოდა, დიდი ხანია აღარ ენახა. თანაც შორს იყო მანძილი კი დროს ზრდის, ერთ დღეს თვედ გადააქცევს ხოლმე. შეიძლება ერთმანეთი ყოველ წამს გვახსოვდეს, თუ ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, რადგან თითქმის ერთ ქუჩებში დავდივართ, ერთსა და იმავე სახლებს ვუყურებთ, ყველაფერი ჩვენს შეხვედრებთანაა დაკავშირებული, ყოველი მოსახვევი რაიმე ისეთ შემთხვევას გვახსენებს, როცა ორივენი ერთად ვიყავით. თუმცა ერთმანეთს ვერ ვხვდებით, ერთ ცას ვუყურებთ, პაერს ვსუნთქავთ, ღამით საერთო ვარსკვლავები გვაქვს, შეიძლება ამიტომაც ერთნაირადაც კი ვფიქრობდეთ. რატომღაც გგონია, რომ ერთსა და იმავე სიზმრებს ვხვდავთ მაგრამ თუ შორი მანძილი გვეყოფს, თუ ჩვენს შორის თვალუწყდენელი სივრცეა ჩამდგარი, მაშინ ამ მანძილის ყოველი სანტიმეტრი საათის ისრის ერთ შემობრუნებას უდრის, რომელიც ჩვენს განშორებას ახანგრძლივებს. და საათის ისრები ბრუნავენ, უზარმაზარი, როგორც ქარის წისქვილის ფრთები, ისინი ნელ-ნელა კიდევ უფრო იზრდებიან, მთელ ცას ფარავენ, მათ მიერ გავლებული წრეები ემსგავსებიან ცის ზედაპირზე გაჩენილ ქავლებს, რომლებიც იმაზე მიგვანიშნებენ, რომ იქ ცის სიღრმეში, მანძილის გულგრილ უსასრულობაში ბევრი მოგონება ჩაიძირა და ჩვენ ერთმანეთი დაგვაიწყდა.

— თქვენც მოსკოვში მოდიხართ? — მოესმა ზაზას.

ზაზამ აიხედა. მის წინ შუა ტანის, კარგად ჩაცმული კაცი იდგა. ის ორმოცდაათი წლის იქნებოდა. პალტო გახსნილი ჰქონდა. პალტოს შიგნით მუჭი ლურჯი ძვირფასი კოსტუმი მოუჩანდა. თეთრი გაქათმებულ პერანგი ეცვა და ყელსახვევზე ოქროს ძეწკვი ჰქონდა დაბნეული. პორთფელის ასაღებად რომ

დაიხარა, მელოტი გამოუჩნდა, პატარა, პრიალა წრე.

ზაზა წამოდგა:

— დიახ!

— მაშ, წავიდეთ, ავტობუსი მოვიდო.

— გავფრინდებით? — ზაზას უნდოდა გაეგო, ფრენას ხომ არ გადადებენო.

— ხა-ხა-ხა-ხა! — რატომღაც გაიცინა კაცმა.

ისინი დაბლა ჩავიდნენ. ავტობუსი ზედ კიბესთან მოეყენებინა შოფერს.

ავტობუსში ავიდნენ და გვერდი-გვერდ დასხდნენ. კაცმა პორთფელი უკანა სკამზე გადადო, რადგან იქ არავინ იჯდა. მათ გარდა ავტობუსში ხუთნი ამოვიდნენ. ჯარისკაცი, რომელსაც ხის პატარა ყუთი ეჭირა, ცოლ-ქმარი, მათ აშკარად ეტყობოდათ ცოლ-ქმარი რომ იყვნენ, გავდნენ კიდევ ერთმანეთს. მათი შვილი, პატარა ბიჭუნა და ვიღაც გამხდარი მაღალი ქალი. ქალს ჩანთა ეჭირა, ჩანთიდან პატარა ყურდაცქვეტილ გოშის ამოეყო თავი, ძალს თვალები ლითონის ფოლაქებივით უზბინავდა. ქალმა ჩანთა მუხლებზე დაიდო და გოშის თავზე ხელი გადაუსვა. ჯარისკაცი რატომღაც შოფერის კაბინასთან განქრდა.

— დაქექი! — უთხრა შოფერმა. ის ზანტად ამოვიდა კაბინაში და საჭეს ისეთი სახით მიუჯდა, შეატყობდი, აეროდრომზე წასვლა რომ ეზარებოდა.

— ვიდგები! — გაიცინა ჯარისკაცმა.

— იღექი! — ნება დართო შოფერმა.

— დედიკო, ნახე ძალი! — დაიძახა ბავშვმა.

— წავედით? — იკითხა შოფერმა.

— წავედით! — ხალისიანად შეეხმინა ჯარისკაცი.

— დაიცადეთ! — თქვა ბავშვის მამამ.

— წადით, წადით! — მისმა ცოლმა შოფერს ხელი აუქნია, მერე ქმარს მიუბრუნდა და თითქოს დატუქსაო, გაკვირვებულმა უთხრა, — შალიკო?

ქმარმა თავი ჩაღუნა.

ავტობუსი დაიძრა.

— დედიკო, ძალი მინდა! — დაიძახა ისევ ბავშვმა.

ძალის პატრონმა ბავშვს მკონხანედ გადმოხედა. ეტყობოდა, თავის ძალს ბავშვების სათამაშოდ არ თვლიდა.

— ჩუ, — შეუწყრა დედა ბავშვს, — იცოდე, თვითმფრინავში არ ჩავსვამ!

— ძალიანაც კარგს იზამ, — ჩააბუზღუნა ქმარმა.

— შალიკო?

— დედიკო, ძალი მინდა!

— თვითმფრინავში კამფეტებს მოგცემენ! — უთხრა ბავშვს დედამ.

— კამფეტებს? — იკითხა ქმარმა.

— ჰო. კამფეტებს!

— ეგ რილასთვის?

— უნდა წუწნო, ყურები რომ არ ატყვიდეს.

— ყურები?

— ჰო, ყურები! — ქალს რატომღაც თვალები გაუბრწყინდა, — ყურები! ქმარმა საშინლად მოიწყინა, ცოლმა მუქლოვუნე გაჰკრა:

— შალიკო?

— ერთად უნდა ვიმგზავროთ, — უთხრა მეზობელმა ზაზას, — გავეცნოთ ერთმანეთს, — ხელი გაუწოდა, — დავით გამყრელიძე გახლავართ!

ზაზამ ხელი ჩამოართვა:

— მე ზაზა ყიფიანი ვარ!

— მუშაობთ სადმე? — ჰკითხა დავითმა.

— დიახ, თეატრში... რეჟისორი ვარ.

— აჰა.

ზაზას გაუხარდა, რომ იმ კაცმა სხვების მსგავსად არ უთხრა, ა-ა, გამიგონია, გამიგონიაო. ასე ეუბნებოდა უმრავლესობა, ვისაც ზაზა ეცნობოდა ხოლმე, თუმცა ეტყობოდათ, რომ ეს სახელი და გვარი პირველად ესმოდათ. რადგან ზაზა რეჟისორი იყო, ისინი თავს ვალდებულად თვლიდნენ ეთქვათ, გაგვიგონიაო. ასეთ ხალხთან ზაზას მერე ლაპარაკი უჭირდა, ისინი ხომ თავიდანვე ტყუოდნენ?

დავით გამყრელიძე ეჭიმი ყოფილა. ახლა რომელიღაც სამეცნიერო კონფერენციაზე მიდიოდა მოსკოვში.

— შე ერთი ამხანაგი მყავს, ექიმი, — თქვა ზაზამ.

— რომელი? — დაინტერესდა დავითი.

— თორნიკე უგრეხელიძე, შეიძლება გაგეგონოთ.

— თორნიკე? როგორ არა, — მერე რატომღაც ზაზას დააკვირდა, — მაშ, თქვენ თორნიკეს ამხანაგი ხართ?

ზაზამ რატომღაც უხერხულობა იგრძნო და თვალი აარიდა:

— დიას, სკოლაში ერთად ვსწავლობდით.

— თორნიკე! თორნიკე! — თქვა დავითმა და როგორც იქნა, გვერდზე გაიხედა.

ახლა ზაზა დაინტერესდა:

— თქვენ თორნიკეს იცნობთ?

— როგორ არა, როგორ არა!

უცებ ძაღლმა შეჰყეფა, თითქოს მხოლოდ იმისთვის, რომ დაემტკიცებინა, თოჯინა კი არა, ცოცხალი არსება ვარო.

ბავშვმა ისევ წამოიძახა:

— ძაღლი მინდა, ძაღლი!

ძაღლის პატრონი ქალი ფანჯარაში იხედებოდა. ისე დაძაბული იჭდა, ეტყობოდა, ბავშვის შეძახილები ნერვებს უშლიდა.

ჭარისკაცი დაიხარა, ყუთი გახსნა და იქიდან საჰყიპინებელი ამოიღო, პირში ჩაიდო და ჩაბერა. თან ბავშვს უყურებდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ელოდა, ბავშვი სინხარულით გადაირევავო. ბავშვმა კი ერთხელ შეხედა მხოლოდ და მაშინვე ისევ ძაღლს მიუტრიალდა.

ძაღლმა ისევ შეჰყეფა, ქალმა თავზე ხელი გადაუსვა, თითქოს ანიშნა, ბავშვებს ნუ აპყვებიო.

— კი, მაგრამ ყურები რატომ უნდა ამტკივდეს? — იკითხა შალიკომ ჩუმად.

— აუცილებელი კი არ არის. ნუ გეშინია! — ქალს უხაროდა ქმარზე მეტი გამოცდილება რომ ჰქონდა.

— აღრე ვერ მითხარი? — ჩაიჩურჩულა საყვედურით შალიკომ.

ქალმა ძაღლი ჩანთიდან ამოიყვანა და ფანჯრის მინას მიადებინა დრუნჩი, თი-

თქოს რაღაც დაანახავო. ბავშვი დღეს მუხლებიდან ჩამოცოცდა. ^{საქტორებს} იმ მხარეს გადაინაცვლა, სწიფე მსლოც იყო და იმანაც ფანჯარაში დაიწყო ყურება.

„ეს ქალი, ალბათ, სულ მარტო ცხოვრობს, — ზაზა ქალს უყურებდა, რომელსაც ძაღლი გულზე მიეხუტებინა, — არც ნათესავები ჰყავს. წერილსაც არავინ წერს“.

ზაზას რატომღაც ეცოდებოდა ისინი, ვინც ქუჩებში ძაღლებთან ერთად სეირნობდნენ. განსაკუთრებით კი ბულოგებისა და გერმანული ქოფაკების პატრონები. მას რატომღაც ეგონა, რომ ამ ჯიშისანი საფრთხობელების გვერდით მათი პატრონების რაღაც სულიერი ტკივილი იმალებოდა. ეს, რა თქმა უნდა, მეტად სუბიექტური გრძნობა იყო, რომსეირნე კაცის დანახვა მას რატომღაც აფიქრებინებდა, რომ ეს კაცი მაინც და მაინც ბედნიერი არ უნდა ყოფილიყო.

ეს პატარა გოშიაც, რომელსაც მეტისმეტი მოვლისგან ბეწვი მელნისფრად უბზინავდა, მისი პატრონის მიმართ უნებურ სევდას აღძრავდა.

ზაზა ერთხელ შეესწრო კაცისა და ძაღლის უცნაურ საუბარს. ეს იყო ვაკის პარკში, ზაფხულის ერთ ძალიან ცხელ დღეს. კაცი სკამზე იჯდა და მის ფეხებთან გაშოტილ ინგლისურ დოგს ხმადაბლა ელაპარაკებოდა. ის, ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ არავინ უსმენდა. რამდენიმე ნაბიჯის იქით მეორე სკამზე ზაზა იჯდა, მას ამ კაცისაგან ძეწნა ფარავდა.

— თუ უნდა, სულ ნუ მოვა, — ამბობდა კაცი, — სულ ნუ დაბრუნდება. ჩვენ ცოტა ხანს აქ ვისხდეთ. მერე წავიდეთ. ის კი თუ უნდა, სულ ნუ დაბრუნდება. მერე თუ გინდა, იმ ქუჩაზე გავიაროთ, გუშინ რომ ვიყავით. მერე რა, წავიდა, დიდი ამბავი? შე აღარც კი მასსოვს, თუ უნდა სულაც ნუ დაბრუნდება. მოდი, დღეს აივანზე დაიძინე, გრილა. შენ გგონია, დღესაც არ დამეძინება? აი, ძი-

ლის წამალს დაეღევ და გათავდა. დიდი ამბავი! დიდი ამბავი, თუ ჩვენთან ტელეფონი აღარ რეკავს, რა მოხდა? ის, თუ უნდა, სულაც ნუ დაბრუნდება. მე არც მინდა, რომ დაბრუნდეს, არც მინდა, გესმის? იმ ქუჩაზეც ნულა გავივლით, იფიქრებს, მე მეძებნო. წარმოგიდგენია, ჩვენ იმას ვეძებთ? ხა-ხა-ხა-ხა...

ზაზა იჯდა და ნატრობდა, ნეტავ არ შემამჩნიონო. სანამ ისინი არ წავიდნენ, ფეხი ვერ მოიცივალა.

ამასობაში ავტობუსი ქალაქს გაცდა და აეროდრომისკენ მიმავალ სწორ გზას დაადგა. ირგვლივ სულ დათოვლალი მინდვრები მოჩანდა.

— რამოდენა თოვლია! — თქვა დავითმა.

— ნამდვილად არ გაფრინდება! — ეს შალიკოს ხმა იყო.

— შალიკო! — ისევ შეუწყრა ცოლი.

— რა, შალიკო? რა?

— ჩუ!

— სულ უჩემოდ არ დადიხარ?

ცოლმა ნაძალადევად გაიცინა.

— ეს ბავშვი რაღად გვინდოდა, არ ვიცი?

— კარგი ახლა?!

— ისე, კაცმა რომ თქვას, ხუთი კაცის გულისთვის ხომ არ გაფრინდება?

— სხვებიც იქნებიან, — მიუტრიალდა ღიმილით დავითი.

ზაზას გაეღიმა.

— წავსულიყავი სოფელში, ორი წელია დედაჩემი არ მინახავს, — თქვა ჩუმად შალიკომ.

— კარგი ახლა, კაცო, რა დაგემართა?

— ა, ბატონო, გავჩუმდი.

როგორც იქნა, ავტობუსმა აეროვაგზალს მიიღწია.

— მივედით! — დაიძახა ჯარისკაცმა.

— მივედით კი, — ჩაიბუზღუნა შალიკომ.

— წამოიღე ეს ჩანთა, კაცო, — უთხრა ცოლმა.

— აბა, რას ვიზამ, ბატონო!

— კარგი ახლა.

აეროდრომზე გასასვლელ კართან მათ ჯგუფს სხვებიც შეუერთდნენ. ოცამდე კაცი მოგროვდა. მერე მათ შალალო, ქერა სტიუარდესა გაუძღვა. იქვე ახლოს მდგარ თვითმფრინავისკენ გაემართნენ.

— რამოდენაა, — თქვა ზაზამ შალიკოს გასაგონად, — ადვილი შესაძლებელია, ჩამოვარდეს.

შალიკო თავჩალუნული მიდიოდა, თითქოს არაფერი ესმოდა.

— ქამრები შემოიჭირეთ! პაპიროსს ნუ მოსწევთ! — თქვა სტიუარდესამ.

შალიკო ორივე ხელით სავარძლის სახელურებს ჩაფრენოდა. ცოლმა შეუქრა ღვედი.

— უცნაურია, — თქვა დავითმა, — სწორედ ამ დროს მომინდება ხოლმე პაპიროსის მოწევა.

ზაზა და დავითი თვითმფრინავშიც გვერდიგვერდ ისხდნენ.

— სადაა კამფეტი? — ჩაიჩურჩულა შალიკომ.

მერე შალიკო გაჩუმდა, მოსკოვამდე ხმა აღარ ამოუღია.

— ახლა ჩვენ ამსტრაქცია ვართ! — თქვა დავითმა.

— ბატონო?

— ამ სარკმლის იქით კი ცაა, — გაავარძელა დავითმა, — იცით, რამოდენაა ცა?

თითქოს თვითონ ცა ახალი გაზომილი ჰქონოდა. კიდევ კარგი, პასუხს რომ არ დაუცადა, რა უნდა ეპასუხა ზაზას? თვითონვე დაამთავრა აზრი:

— დიდი!

მერე ხმამალა გაიცინა ჯანმრთელი კაცივით, ხალისიანად.

ზაზას უნებურად გაეღიმა. ალბათ იმიტომ, რომ უკვირდა, რა უცებ შეიცვალა ეს დინჯი, დარბაისელი და თავისი ძალაში დარწმუნებული კაცი.

— გაიხედეთ! რა მზეა! რა ლურჯად ხასხასებს ცა დაბლა, მიწაზე კი თოვლი დევს, წარმოგიდგენიათ!

ს. მოსკოვი. კვირა დღე. მაგალა ქალაქგარეთა წასული.

ზაზა ინსენებს, როგორ შეხვდა მაგალს გამოფინაზე
პაპუნას სახელოსნო. რისტორანი „პერილი“.

მიწაზე თოვლი იდო. თოვლს დაეფარა ყველაფერი: გზები, ქუჩები, სახურავები. ხეების შიშველ ტოტებს ნადირივით ბრჭყალებით ჩაფრენოდა. ზედ ჯიუტად და მშვიდად ეფინა, თითქოს სამუდამოდ აპირებდა აქ დარჩენას. წვიმის მიღებზე, სახურავების კიდებზე ყინვის გრძელი ლოლუები ეკიდა, როგორც ზამთრის თეთრი ბოჭლომები. ზაზას ეგონა, ყველა ვინც თვითმფრინავში იჯდა, ახლა იმ თოვლზე ფიქრობდა. იმ ნაკვალევს დასცქეროდნენ, თოვლზე რომ დარჩათ. ამაზე ფიქრობდნენ, როცა სტიუარდესა საუზმეს არიგებდა, როცა საუზმის მერე სიგარეტს ეწეოდნენ, ან გაზეთებს ათვალეირებდნენ, ან ჰადრაკს თამაშობდნენ, ან კიდევ საგარძელში გადაწოლილები თვლემდნენ.

მერე თვითმფრინავი ვნუკოვოს აეროდრომზე დაეშვა. მერე ყველანი აეროვავზლის შენობისკენ გაემართნენ. იქ რიგში ჩადგნენ, რათა თავიანთი ბარგი აეღოთ.

ზაზა კი გასასვლელისკენ წავიდა.

— ზაზა! — დაუძახა დავითმა, — სად მიდიხარ?

— ავტობუსზე!

— ბარგი?

— ბარგი არა მაქვს.

— ჰო-ო. დაიცადეთ. ერთად წავიდეთ.

— კი, ბატონო.

ზაზა სკამზე ჩამოჯდა. ცოტა ხნის მერე შალიკოს ოჯახმა ჩაუარა. შალიკოს ორი დიდი ჩემოდანი ეჭირა, გახარებული და ბედნიერი სახე ჰქონდა. რაღაცას აღვზნებული ლაპარაკობდა. მისი ცოლიც გახარებული იყო.

— ხომ ვითხარი, ხომ ვითხარი? — იმეორებდა ის.

მერე ჯარისკაცმა ჩაუარა. ზაზას დიდილით თავი დაუქნია. უცებ მოწყდა და კარისკენ დაიქცა. იქ მას შუახნის ქალი უცდიდა. ქალს თავზე და მკერდზე შე-

მოსხვეული დიდი თეთრი შალი უკან ზურგთან გაენასკვა. ქეჩის დიდი ჩექმეები ეცევა. ჯარისკაცმა ხელში აყვანა და უპირა, ქალმა შეჰკივლა. მერე ჯარისკაცმა ყუთიდან საპუპინებელი ამოიღო. პირში ჩაიღო და დააპუპინა.

ქალმა პირზე ხელი აიფარა და აქეთ-იქით დიმილით მიმოიხედა.

ამასობაში დავითიც გამოჩნდა. ერთ ხელში პორთფელი ეჭირა, მეორეთი კი უზარმაზარი ჩემოდანი მოჰქონდა, ფეხსაც ამშველებდა, მუხლს წაჰკრავდა ხოლმე.

ზაზა წამოდგა:

— შოიტათ, მოგეხმარებით.

— აი, ეს პორთფელი წამოიღეთ!

ზაზამ პორთფელი ჩამოართვა.

ისინი გარეთ გამოვიდნენ.

— ვინ თქვა, მოსკოვში ცივაო?

დავითმა პირიდან ორთქლი გამოუშვა.

— ავტობუსი, მგონი, იქ ჩერდება, — თქვა ზაზამ და შეგროვებულ ხალხისკენ ხელი გაიშვირა.

— ავტობუსი რად გვინდა? — იკითხა დავითმა.

— როგორ? — ზაზამ ვერ გაიგო, რის თქმა უნდოდა დავითს.

— ტაქსით წავიდეთ, — თქვა დავითმა. მერე გაიცინა, — აქედან სულ ტაქსით მივდივარ ხოლმე, როცა ვბრუნდები — ავტობუსით.

ტაქსის განჩრებაზე კარგა მოზრდილი რიგი იდგა. ეს კი იყო, ზედნიედ მოდიოდნენ მანქანები.

მანქანაში ერთხანს ჩუმად ისხდნენ. მერე ისევ დავითმა დაარღვია სიჩუმე:

— რომელ სასტუმროში უნდა გაჩერდეთ?

— მე ამ საღამოს უკან უნდა დაბრუნდე.

— ამ საღამოსვე?

— დიახ.

— მე სასტუმრო „მოსკოვში“ ვიქნები.

— ცენტრშია, თანაც კარგი სასტუმროა, — თქვა ზაზამ, ისეთი გრძნობა ჰქონდა, დავითის სათქმელს ამბობდა.

მერე ისევ გაჩუმდნენ.

— ისე თუ გამომივლით, კარგს იზამთ, — თქვა ცოტახნის მერე დავითმა, — რა თქმა უნდა, დრო თუ დაგრჩებათ.

— გმადლობთ.

— შეიძლება საათამდე შინ ვიქნები.

— დიდი მადლობა.

— ძალიან გამიხარდება. თქვენ რომელ ქუჩაზე უნდა მიხვიდეთ?

— მეც სასტუმროსთან ჩამოვალ.

— მითხარით, რომელ ქუჩაზე უნდა მიხვიდეთ?

— სასტუმროსთან ჩამოვალ, იქვეა.

— როგორც გენებოთ.

„არაფერი სჯობია კარგი კაცის გაცნობას, — ფიქრობდა მერე ზაზა, — თითქოს რაღაც იპოვე და გავიხარდა. როგორი უბრალოა, თითქოს ტოლები ვიყოთ. ყველა რომ ასეთი იყოს... ხომ შეიძლება თამაშობდეს? არა, ასეთები არ თამაშობენ! როგორ მაინტერესებს, რას ფიქრობს თორნიკეზე? თითქოს იმაზე ლაპარაკს თავი აარიდა, სიტყვა ბანზე ამივდო. როგორ გაუხარდა, ლურჯი ცა რომ დაინახა. არა, ასეთები არ თამაშობენ...“

კარლ მარქსის ძეგლს ვაცდა და სასტუმრო „მეტროპოლიტან“ გადავიდა. მერე აღმართი იწყებოდა, ამ აღმართს აუყვია. თოვლი ტროტუარებიდან პირწმინდად იყო ვადახვეტილი. ხელგზზე შესცივდა, პირსახეზეც ყინვის სუსხი მოეკიდა, სიგარეტიც გადაავდო, რადგან ამ ყინვაში არც მისი მოწვევა სიამოვნებდა.

„არა და რამდენი თამაშობს. ბევრ კარგ მსახიობსაც შეშურდობა. თუმცა მსახიობი იმათთან როგორ მოვა? როგორ ოსტატურად ისვამენ გრიმს, იკეთებენ ნილაბს. როგორ ოსტატურად გამოზატავენ სიბრაღულს ან თანავარძნობას. ტირიან კიდევ, ან როგორ იცინიან,

თითქოს გულით იცინოდნენ, გული კი ცარიელი აქვთ, უგრძობურად როგორც საფოსტო ყუთი. ჰო, საფოსტო ყუთი. მე კი შიგ წერილებს ვაგდებ, რა არ წერია შიგ, ყველაფერი, რასაც ვფიქრობ. ნუთუ რომ იცხოვრო, უსათუოდ ნილაბი უნდა გაიკეთო? ნილებსაც როგორ არჩევენ? ზოგს მზიარული ნილაბი აქვს გაკეთებული, ზოგს ბრძენის, ზოგს საქმიანი კაცის, ზოგს კი ხუმარასი, რადგან იცის, რომ ხუმარას ბევრ რამეს აპატიებენ“.

მერე პატარა ჩიხში შეუხვია. იმ ჩიხში რამდენიმე დიდი, სკოლასავით ან სამშობიარო სახლივით უფერული შენობა იდგა. ჩიხში თოვლიც მეტი იყო, არც ტროტუარები გადაეფხიკათ. სახლის ნომერი, ის რომ ეძებდა ხის ალაყაფის თავზე იყო დამაგრებული. ალაყაფს პატარა კარიც ჰქონდა დატანებული. ზაზამ კარი შეაღო და ბნელ გვირაბში შევიდა. გვირაბში ორი სადარბაზო შესასვლელი იყო, მარჯვნივ და მარცხნივ. ზაზამ რატომღაც მარცხენა შესასვლელი აირჩია, რადგან თვითონ გვირაბის მარჯვენა მხარეს მიდიოდა. სადარბაზოში შევიდა. იქ ნათურა ენთო და სამსაფეხურიანი კიბის თავში კიდევ ახალი კარი მოჩანდა. ზაზამ ზარი დარეკა. ცოტა ხნის მერე ვასაღების ჩხრიალი გაისმა. კარი გაიღო და დაბალმა, სათვალეობიანმა ქალმა გამოხედა. ზაზამ მაგდა იკითხა. მაგდა ნამდვილად აქ ცხოვრებულა. ოღონდ ახლა შინ არ იყო, ქალაქგარეთ ყოფილა წასული, თხილამურებით.

— დღეს ზომ კვირაა? — თქვა ქალმა და ისე გაიღიმა, თითქოს იმის თქმა უნდოდა, კვირა დღეს ქალაქში ვინ გაჩერდებო.

ზაზასთვის ეს მოულოდნელი იყო. მან განგებ აარჩია კვირა დღე. რადგან ეგონა, მაგდა უსაუთოდ შინ დაუხვდებოდა. ამას ვერც კი იფიქრებდა, რომ ის თხილამურებით სასიეროდ წავიდოდა. არ იცოდა. რა იქნა. ვერც გამოტრიალდა, თითქოს არ სჩეროდა. რომ მაგდა შინ არ იყო.

— როდის ჩამოვა? — იკითხა.



— გვიან ღამით, — ქალმა შეატყო ზაზა რომ შეწუხდა, — ხვალ დილით დაურეკეთ. და ტელეფონის ნომერი უთხრა.

ზაზამ ნომერი ჩაიწერა.

— თქვენ ძმა ხომ არ ხართ მისი?

— არა.

— თუმცა მაგდას ხომ ძმა არა ჰყავს!

— ნახვამდის... უკაცრავად!

— ნახვამდის, ხვალ დილით დაურეკეთ.

— გმადლობთ.

ზაზა გამოტრიალდა და ქუჩაში გამოვიდა. ერთი წუთითაც არ უფიქრია, რომ მაგდა შეიძლება შინ არ დახვედროდა.

კიკეთის მერე მაგდა დიდი ხანია აღარ უნახავს. თითქმის დაავიწყდა კიდეც. ერთხელ ლიზიკომ უთხრა, მაგდა მოსკოვში სწავლობსო. ერთხელ რუსთაველის პროსპექტზე მოჰკრა თვალი, ბადრის მანქანაში იჯდა. ეს იყო და ეს. სამა წელმა ისე გაიარა, არ შეხვედრია. მერე შინ რომ წიგნებს ალაგებდა, შემთხვევით ის სურათი იპოვა, კიკეთიდან რომ წამოჰყვა. დიდხანს უცქერდა, თითქოს ცდილობდა ის ძველი განწყობილება დაებრუნებინა. სურათმა ვერაფერი გაახსენა ისეთი, რომ ცოტათი მიანც აღლუვებულყო. კარგა ხანს ატრიალა ხელში კალენდრის ფურცელივით დაძველებული და უმაქნისი. უკვირდა კიდეც, რომ აქამდე შეენახა და არ დაკარგვოდა. ოღონდ მერე მაკრატელი აიღო და სურათი შუაზე გაჭრა, მარტო მაგდა დატოვა.

ერთ დღეს კი მაგდას მოულოდნელად შეხვდა ახალგაზრდა მხატვრების საგაზაფხულო გამოფენაზე. ზაზა ოჩიაურის ქანდაკებას ათვალიერებდა, რომ უცბად მის გვერდით ვიღაც გაჩერდა. ზაზას იქით არ გაუხედავს, მაგრამ ცოტა ხნის მერე იგრძნო, მას დაყინებით უყურებდნენ. ზაზამ წამით მოიხედა, მის გვერდით მაღალი გოგო იდგა. ზაზამ ისევ ქანდაკებას შეხვდა, მერე თითქოს გულმა რაღაც უაზრაო, ისევ მოხედა გოგოს.

გოგო მას უყურებდა. მათ ერთმანეთს შეხედეს.

— გამარჯობათ, — უთხრა გოგომ.

ზაზამ ვერ იცნო, გოგო მიხვდა.

— გამარჯობათ, ზაზა, — თქვა მან და გაიღიმა.

ზაზა გოგოს დააკვირდა:

— მაგდა?

— მიცანით?

— მაგდა...

მაგდა ძალიან გამოცვლილიყო, თითქოს სიმალღეშიც მოემატა, მაღალ ქუსლებზე შემდგარი ზაზას სიმალღე იყო. თმა მოკლედ შეეკრიჭა, მუქი ლურჯი კაბა ეცვა, რომელიც თუმცა თავისუფლად იყო შეკერილი, მისი დასრულებული სხეულის სითამამეს ვერ ფარავდა. თვალები თითქოს სულ მთლად გამოცვლოდა, უფრო ფიქრიანი და ფხიზელი მზერა ჰქონდა, ალბათ ამიტომაც ვერ იცნო უცებ. ხელში პატარა თეთრი წიგნი ეჭირა, რომელიც ახლა ნიკაპზე მიედო და ყველაზე უფრო ეს მოეწონა ზაზას, წიგნი რომ ნიკაპზე ჰქონდა მიღებული, თითქოს ამ ქვეყანაზე მხოლოდ მაგდას შეეძლო წიგნის ასე ნიკაპზე მიღება.

— როგორ გაზრდილხართ? — წამოცდა უნებურად ზაზას, რადგან სრულიად არ უნდოდა ეგრძნობინებინა. რომ მაშინ კიკეთში მას ბავშვად თვლიდა.

— გავზრდილვარ? განა მე როდისმე პატარა ვიყავი?

ეს შეკითხვა ზაზას უკვე ბურანში მოესმა, რომელიც მოულოდნელად დაეუფლა მის გონებას.

— თქვენ მოსკოვში სწავლობთ? — ჰკითხა ზაზამ.

— დიახ, მოსკოვში ვსწავლობ, — მოესმა ძალიან შორიდან, თითქოს მაგდას ხმა სადღაც დარბაზის სიღრმეში იმაღლებოდა, შორიდან უახლოვდებოდა.

— სამი წელია...

— სამი წელია? — გაიკვირვა მაგდამ, ის მიხვდა, რის თქმაც უნდოდა ზაზას.

— სამი წელი, — გაიმეორა ზაზამ.

— მე აქ უკვე მეორეჯერ ვარ, — თქვა მაგდამ.

ზაზამ მაგდა ისევ დაინახა, აქამდე თითქოს თვალისმომკრელ სინათლეში იყო ჩაქარგული, რომელსაც თვითონვე ასხივებდა.

— როგორ გაზრდილხართ? — გაიმეორა ზაზამ და იგრძნო, რომ ხმას ვეღარ იმორჩილებდა.

— ეირაფს ვგავარ! — გაიცინა მაგდამ.

— მოგწონთ? — ჰკითხა ზაზამ და ხელი ნახატებისკენ გაიჭინა.

— ძალიან! — უბასუხა მაგდამ.

— როგორ გაზრდილხართ?

— თქვენ კი ისევ ისეთი ხართ.

— ჰო, ისევ ისეთი ვარ.

— მართლა გავიზარდე?

— სხვანაირი გახდით.

— მე კი ვერ ვგრძნობ.

— სამი წელი...

— მოსკოვში ვსწავლობ, — თქვა მაგდამ.

— ვიცი.

— ეირაფს ვგავარ.

— აქ მეორეჯერ ხართ?

— დილით ვიყავი.

— გინდათ, ღავსხდეთ? — ზაზას უცებ საშინლად მოუნდა დაჯდომა, თითქოს როცა დაჯდებოდა, რაღაც შეიცვლებოდა.

— დავსხდეთ.

სკამებზე ჩამოსხდნენ. ზაზამ მაშინვე წიგნი გამოართვა, ისე რომ არც კი უკითხავს. მათხოვეთო. თითქმის ხელიდან გამოგლიჯა. მაგდამ ოდნავ გაკვირვებით შეხედა, წიგნსაც ნელა გაუშვა ხელი.

„რა მიმართება, — ფიქრობდა ზაზა, — რას ვშვრები?“

• მერე წიგნი ისევ დაუბრუნა.

— გქონდით! — გაუღიმა მაგდამ.

ზაზას თითქოს არაფერი ჰქონდა სათქმელი, თუმცა გრძნობდა კი, რომ დაუსრულებლად ლაპარაკი უნდოდა. ეშინოდა, მაგდა უცებ არ წამომდგარიყო და მივდივარო ეთქვა. ყველაფერზე უფრო ამის ეშინოდა. არც ის იცოდა, როგორ გაეჩერებინა... ცოტა ხანს მაინც...

როდემდის შეიძლებოდა ასეთი უაზრო ლაპარაკი გაგრძელებულყო? მასამ წუთს, ხუთს? მერე? *სიხარულით*

— თქვენ მათემატიკურ ფაკულტეტზე სწავლობთ, არა? — ჰკითხა ზაზამ.

— დიახ.

ზაზას მოეჩვენა, რომ მაგდამ მოიწყინა.

ახლა წავაო, — იფიქრა,

— როცა ჯამთავრებთ, თბილისში ჩამოხვალთ, ხომ?

— უსათუოდ თბილისში ჩამოვალ.

— არ გენატრებათ თბილისი?

— მენატრება.

ახლა უკვე საცაა უნდა გაწყვეტილიყო ამ უაზრო ლაპარაკის ძაფი.

— კარგი გამოუენა! — თქვა ზაზამ.

— მე არც ერთ მხატვარს არ ვიცნობ.

— ესენი სულ ჩემი ამხანაგები არიან.

— მე კი არავის არ ვიცნობ. არც მხატვრის სახელოსნოში ვყოფილვარ.

— გინდა წავიდეთ, მე წავიყვანთ.

— მართლა?

— აი, ახლავე წავიდეთ!

— ისინი არ ბრაზობენ?

— რატომ?

— მათთან სტუმრები რომ მიდიან?

— ბრაზობენ კი არა...

ზაზა წამოდგა:

— წავიდეთ?

მაგდამ ამოხედა. ზაზამ თვალი აარიოდა, თითქოს შეეშინდა, ამ წუთას რამე სისულელეს ჩავიდნო. მერე მაგდამ თქვა:

— წავიდეთ! — და წამოდგა.

გარეთ რომ გამოვიდნენ, მაგდამ იკითხა:

— სად უნდა წავიდეთ?

— საბურთალოზე.

— ავტობუსში ჩავსხდით.

ისინი ავტობუსში ავიდნენ. ცოტა ხანს ფეხზე იდგნენ, მერე ადგილები გათავისუფლდა და დასხდნენ.

— სულ არ ვახსოვდით? — ჰკითხა მაგდამ ზაზას.

— როგორ არა.

— მე კი მახსოვდით.



ეს ისეთი სახით თქვა, ვითომ არაფერი არ ეთქვას, ზაზას კი გული ამოუტრიალდა.

მერე მაგდამ ჩანთიდან კამფეტები ამოიღო.

— გინდათ?

— არა.

— გავიყოს.

კამფეტები შუაზე გატეხა და ნახევარი ზაზას გაუწოდა.

— ავტობუსში ჯღომა მიყვარს, — თქვა მაგდამ, — თითქოს თეატრია, ზინარი და ხალხს უყურებ.

— მე არ მიყვარს, — უპასუხა ზაზამ.

ზაზა ახლა მაგდაზე ბრაზობდა, თვითონ არ იცოდა რატომ, შეიძლება იმიტომ, რომ თვალს ვერ უსწორებდა, ანდა, თავისუფლად რომ ვერ ლაპარაკობდა. მაგდა სხვას ამბობდა, ის კი სულ სხვას პასუხობდა.

დიდხანს ისხდნენ ჩუმად, მაგდა ფანჯარაში იყურებოდა. მერე ზაზას შიში შეეპარა, წამოსვლა არ გადაიფიქროსო. ეგონა, მაგდა უცებ წამოდგებოდა და ავტობუსიდან ჩამოვიდოდა. თვითონაც უკვირდა, რადგან არც ერთ გოგოსთან ჯერ ასეთი დაბნეული არ ყოფილა. ამან კიდევ უფრო გააბრაზა და რატომღაც ძალიან ხმაძალა გაიმეორა:

— ხო, არ მიყვარს ავტობუსი!

მაგდამ წყნარად მოხედა და გაუღიმა, თითქოს რაღაც იგრძნო და ამშვიდებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვიღაც კაცი მაგდას თვალმოუწოვრებლად შეჰყურებდა. ზაზამ ეს ცოტა გვიან შეამჩნია. კაცი ახალგაზრდა იყო, ზაზაზე რამდენიმე წლით უფროსი, ღიმილი უწონოდ წამოზრდოდა. ერთ ხელში ჩანთა ეჭირა, მწვანე ლობიოს კონსერვებით სავსე, მეორეთი კი სკამის ზურგს ჩაფრენოდა.

„უყუროს, რამდენიც უნდა, უყუროს“, — გაიფიქრა ზაზამ.

მაგდა უცებ შემოტრიალდა და იმ კაცს შეხედა, თითქოს უცნობის დაყინებული მხერა იგრძნო. კაცმა არც ახლა მოაშორა თვალი. მაგდამ ისევ ფანჯარაში გაიხედა.

ზაზა წამოდგა:

— დაბრძანდით! — დაიძახა მაგდამ. და თავის ადგილზე მიუთითა.

— ზაზა? — დაიძახა მაგდამ.

— დაჯექი, დაჯექი, არ გესმის? — გაუმეორა იმ კაცს ზაზამ.

კაცმა უცებ სასოწარკვეთილი ხმით შეჰყვირა:

— რა გინდა ჩემგან, რა?

— წადი აქედან!

„რა მინდა მართლა ამ კაცისგან?“

კაცი საჩქაროდ გაეცალა და მძლოლის კაბინასთან გაჩერდა.

ერთი-ორჯერ კიდევ მოხედა ზაზას ზაზამ გაიგონა იმ კაცმა რომ თქვა:

— ხელიგნებით გაივსო ქვეყანამ!

— ზაზა, რა დაგემართათ? — ჰკითხა მაგდამ და მკლავზე ხელი მოჰკიდა, — დაჯექით.

— არაფერი, — წაილულულა ზაზამ, — უკაცრავად.

ავტობუსი გაჩერდა.

— ხელიგანი! — ახლა ხმაძალა დაიძახა ღიმიანმა კაცმა და ავტობუსიდან ჩავიდა.

ავტობუსი რომ დაიძრა, კიდევ დიდხანს იქნევდა მუშტს.

„რა ვიცი, — ფიქრობდა ზაზა, — მაგდა როგორია. ის ბადრი... ან მოსკოვში ვინ გაიცნო, ვისთან დადის. მე ხომ არაფერი ვიცი...“

დღეები მიდიოდნენ და მე სულ რაღაცას ველოდებოდი. არც კი ვიცოდი რას. ეს ლოდინი ჩემს ცხოვრებას იმედით ავსებდა. მეგონა, რომ ხვალ რაღაც კარგი მოხდებოდა. ხვალ... ხვალ... უსათუოდ ხვალ, ან ზეგ ან მახეგ... როდისმე... და მე მიხაროდა და ბევრ რამეზე თვალს ვხუჭავდი. მერე რა, თუ რაიმე მაკლდა, თუ რაღაც მინდოდა და არ მქონდა? ვიცოდი, რომ ის, რაც როდისმე უნდა მომხდარიყო, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენდა. დღეები, რომლებიც ლოდინში შეუმჩნეველად ქრებოდნენ, ისევ დაიბრუნებდნენ თავიანთ სახეს და მე თითქოს თავიდან დაეიწყებდი ცხოვრებას. თვითეული დღე, რომე-

ლიც ლოდინში გავატარე, გამეორდებოდა თავის ხმაურით, მზით ან წვიმით. მე ხელმეორედ გავივლიდი ამ წვიმაში, ოღონდ ახლა სხვანაირი ვიქნებოდი...

— რა თქვით? — მოუბრუნდა უცებ მაგდა.

— არაფერი!

— მეგონა, რაღაცა მითხარით.

ავტობუსი უკვე პავლოვის ქუჩაზე მიდიოდა.

— მალე მივალთ, — თქვა ზაზამ.

— ვიცოდე, მაინც ვისთან მივდივართ!

— პაპუნა კავსაძესთან.

— ვიცი, გამოფენაზე მისი სურათიც ჰქვია, „ქერა გოგო“.

— აი, სწორედ იმასთან მივდივართ.

— დიდი ხანია აქეთ ცხოვრობს?

— ის სოლოლაკში ცხოვრობს, აქეთ სახელოსნო აქვს.

— აჰა.

მხატვრის სახელოსნო რვასართულიან სახლის სხვენზე იყო. ლიფტი არ მუშაობდა.

— რა ვქნათ? — შეწუხდა ზაზა.

— რა უნდა ვქნათ?

— ლიფტი რომ არ მუშაობს?

— მერე რა?

— მაინც ავიდეთ?

— თუ გინდათ, უკან დავბრუნდეთ, — მაგდამ გაიღიმა.

კიბეს აუყუვნენ. ზაზა ამ კიბეზე არბოდა ხოლმე. ისე აირბენდა, ერთხელაც არ შეისვენებდა. ახლა კი ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით აღიოდა, მაგდას ხათრით.

— ვერ ვიტან ბიჭებს, გოგოების ჩანთა რომ დააქვთ, — თქვა მაგდამ.

ზაზამ ხელი გაუწოდა:

— მომეცით, მე წამოგიღებთ.

— არა, მართლა არ მიყვარს.

— მომეცით-მეთქი!

— აჰა! — მერე შვებით ამოისუნთქა. — ტყუილად არ მყვარებია!

როგორც იქნა, ავიდნენ. მაგდამ ჩანთა გამოართვა: გმადლობთ! ზაზამ კარზე დააკაკუნა.

— შემოდით!

ზაზამ კარი შეაღო, მაგდას კეპი დაუთმო და ოთახში შევიდნენ.

საკმაოდ დიდ ოთახს შუშის პერიქონდა. ერთ კედელზე გაურანდავი ფიცრებისაგან შეკრული წიგნების თაროები აეკრათ. თაროებზე ფირფიტებისა და მავნიტოფონის ფირების კოლოფები ელაგა. სხვა კედლებზე ნახატები ჩამოეკიდათ. ერთ კუთხეში საწოლი იდგა. საწოლს წითელი, დაგლეჯილი საბანი ეფარა, ბალიში იატაკზე ეგდო. იქვე კირში ამოთხვრილი რეზინის ჩექმები ეყარა. საწოლის უკან, კედელთან ცარიელი ბოთლები მოვგროვებინათ. ოთახში რამდენიმე მოლბერტი იდგა, მღებავის კიბესავით განაჩხული. შუა ოთახში ხის ტახტზე სკამი შეედგათ. სკამზე გოგონა იჯდა, ფეხფეხგადადებული. ხელში ჟურნალი ეჭირა და ფურცლავდა. ისინი რომ შემოვიდნენ, მხოლოდ წამით ასწია თავი, მაშინვე ჟურნალს დაუბრუნდა. თვითონ მხატვარი პირველად ვერც კი დაინახეს, ამიტომ ცოტა დაბნეულები, კართან შეჩერდნენ.

— რას უდგებართ? — შემოესმათ მერე.

გოგონამაც ისეთი სახით შემოხედა. თითქოს ეუბნებოდა, ნუთუ არ იცით, აქ როგორ უნდა მოიქცეთო. ზაზამ ქალაღები სკამიდან იატაკზე გადაჰყარა და სკამი მაგდას დაუდგა. მაგდა ჩამოჯდა, ჩანთა მუხლებზე დაიდო. წელგამართული და დაძაბული იჯდა, თითქოს საავადმყოფოს დერეფანში ზისო. ზაზა საწოლზე ჩამოჯდა და სიგარეტი ამოიღო. მაგდამ ანიშნა, მეც მომეცით, ზაზამ მიაწოდა. მაგდამ ჩანთა იატაკზე დადო, სიგარეტს მოუკიდა, თითქოს სითამამე მოემატაო, ირგვლივ მიმოიხედა.

ერთ კედელზე სულ იმ გოგონას პორტრეტები ეკიდა, ახლა რომ სკამზე წამოსკუბულიყო. პაპუნამ ასე იცოდა, თუ ვინმეს ამოიჩემებდა, გათავდა, მერე სულ იმას ხატავდა... სანამ არ მობეზრდებოდა. მობეზრებით კი ძალიან გვიან ბეზრდებოდა. ოთახი ერთი და იგივე გოგოს სურათებით ივსებოდა.

ზაზა აქ ბევრჯერ იყო ნამყოფი. ზაირასაც აქ უნიშნავდა ზოლმე პაემანს. იცოდა პაპუნა ვასალებს სადაც ინახავდა, დაუქითხავად აღებდა სახელოსნოს. ოლონდ საღამო ხანს, რადგან ამ დროს პაპუნა სახელოსნოში არაფრით არ მოვიდოდა, ლეილა არ უშვებდა.

მერე ზაირა სინათლეს ანთებდა, ლოგინიდან დგებოდა და ნახატებს ათვალეირებდა. პაპუნას დახატულ გოგონებს ენას უყოფდა. მათ ხან თმას უწუნებდა, ხან ცხვირს და ხან კიდეც რას. ნეტავი გამაგებინა ამ მათხოვებს პაპუნა სად პოულობსო.

ზაირასთვის თვითონ მხატვრობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან არ ესმოდა, ოლონდ, სხვა გოგონებისგან განსხვავებით, ამას არ მალავდა, მას შეეძლო მთელი საათი ელაპარაკა ამ საცოდავი გოგონების სიმახინჯეზე, თვალმოუშორებლად (ამ დროს ტუჩები მაგრად მოკუმული ჰქონდა) ეცქირა ნახატებისათვის, თითქოს მეტოქის ფოტო სურათებს ათვალეირებდესო. მათ ნაკლებ რაღაც გამოურკვეველი სიხარულით ლაპარაკობდა და თან ღამცინავი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, რადგან თვითონ აშკარად ჯობდა მათ, ვისაც ეს „სულელი“ მხატვრები დიდი მონდომებით ხატავდნენ.

მერე ლოგინში რომ იწვნენ, შიშვარეული ხმით ეკითხებოდა ზაზას: იქნებ შენც მოგწონს ეს გოგო? ზაზა არ პასუხობდა. ზაირა ჩააცივდებოდა: მიიწერა! ზაზა მაინც არ პასუხობდა. ზაირა მუშტებს უშინდა მკერდზე, ეხვეწებოდა, უბრძანებდა: სიტყვი, იქნებ შენც მოგწონსო! ზაზა მხარზე ხელს ჰკიდებდა: გაჩერდი, გეყოფა! ზაირა უცებ ჩუმდებოდა. მისი მკერძი, ზამბარასავით დაჭიმული სხეული უცებ ძალწართმეულივით დუნდებოდა, აღმური ედებოდა, თითქო უხილავი ცეცხლი წაეკიდო. გახურებულ ხელისგულს სახეზე უფათურებდა და ყურთან მიტანილი, გამშრალი ტუჩებით ერთსა და იმავე სიტყვას მხურვალედ უმეორებდა: მაკოცე... მაკოცე...

ზაირას ერთხელაც კეჭი წამოეცდენია, ცოლად შემირთო. *კეჭი წამოეცდენია, ცოლად შემირთო.* როგორღაც უფროს რომ გააცნო ზაზამ, მაშინ უთხრა: „აი, თურმე შეიძლება მეც გავთხოვდე!“ „განა შენ ეკვი გეპარებოდა?“ — ჰკითხა ზაზამ.

ზაირა დიდხანს უსიტყვოდ შესცქეროდა და მერე უთხრა.

— შენ არ ცდები, ბრიყვი რომ გგონივარ!

— მე მგონიხარ ბრიყვი?

— ოლონდ იცოდე, რასაც მოვინდომებ, რაც მომეწონება...

„რაც, თუ ვინც!“ — გუნებაში გაუსწორა ზაზამ.

— რასაც გადავწყვეტ, ყველაფერს გავაკეთებ და მაინც მივალწევ!

ამას რომ იტყოდა, მუშტს ნელ-ნელა შეჰკრავდა. აღისფერი, გრძელი ფრჩხილები ჰქონდა, იფიჭრებდი ისინი რაღაც უხილავს მწარედ ესობიანო.

— შენ კი, — ეტყოდა ზოლმე ზაირა, — შენ კი ისიც არ იცი, რა ვინაა. ჩემზე შეიდი წლითა ხარ უფროსი და ამ ქვეყნისა შენზე მეტი მესმის. რატომ არაფერს ამბობ, ლაპარაკი დაგავიწყდა?

— ზო...

— ჰო! ჰო, ჰო! ჰო! არა! არა! მეტი შენ არაფერი იცი!

— არაფერი...

— იცოდე, თვალებს ამოგკორტნი!

— კარგი.

— მაკოცე! ჩქარა! ჩქარა!

ზაზამ მხოლოდ ახლა დაინახა პაპუნა, დაჩოქილი ვედროში ფუნჯებს რეცხდა. წამოდგა და სტუმრებს მოხედა, მაგდას თავი დაუკრა. ფეხშიშველი იყო. თეთრი ტილოს შარვალი საღებავებით მოთხუპნოდა. მოლბერტთან მივიდა და ხატვა დაიწყო. ზაზა და მაგდა ისხდნენ და შეჰყურებდნენ. ოთახში სიჩუმე იდგა. მხატვარი, ეტყობა, შეჩვეული იყო მნახველებს, აქეთ არც კი იხედებოდა.

მერე გოგონამ ყურნალი ტახტზე დააგდო და მაგდას შეხედა. მაგდა სურათებს ათვალეირებდა. მის ახლოს კედელზე რომ ეკიდა.

— ძალიან მომწონს! — თქვა მან

ხმამალა. პაპუნას ყურიც კი არ შეუბერტყია. ალბათ ამასაც შეჩვეული იყო.

ის გოგო მაგდას თვალს არ აშორებდა.

— პაპუნა! — დაიძახა უცებ მან, თავნება ბავშვის უსიამოვნო ხმით.

— რა გინდა? — შეეკითხა პაპუნა და იმანაც მაგდას მოხედა, რადგან გოგონას მხერას გამოაყვალა თვალი.

— სიგარეტი მომაწოდე! — უბრძანა გოგონამ.

ამით მან ყველაფერი ახსნა: ჯერ ერთი, ის აქ უბრალო მოდელი არ ვახლდათ. მეორეც ის, რომ კაცს, რომლითაც თქვენ აღტაცებული ხართ, ჩემს ნებაზე ვათამაშებო.

პაპუნამ სიგარეტი მიუტანა. უკან გამობრუნება რომ დააპირა, გოგონამ დააწია: — ასანთიც! — თან მაგდასთვის თვალი არ მოუშორებია.

პაპუნამ ასანთი აღწო. მერე დაიხარა და მაგნიტოფონი ჩართო, ტახტზე რომ იდო. მუსიკის ხმა რომ გაისმა, პაპუნამ მაგდას მოხედა. მაგდამ იგრძნო, ეს მისი გულისთვის გააკეთეს, გაუბედავად გაუღიმა პაპუნას.

— სტრავინსკი, — თქვა მაგდამ.

პაპუნამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ხატვა განაგრძო, მაგრამ ახლა მაგდას რამდენჯერმე გამოხედა, ეტყობა, გაუკვირდა და დაინტერესდა.

— ყველაზე უფრო ეს მიყვარს! — მაგდა ზაზას მიუბრუნდა.

ზაზა მიხედა, მაგდამ თავი რომ იმართლა, მუსიკის ცოდნის გამოქვამებზე მეტიჩრობით არ მომსვლიათ.

პაპუნა ხატავდა. ფეხებთან ლიტრია-ნით წყალი ედგა, მალიმალ მოიყუდებდა ხოლმე. მაგდამ გაბედა და წამოდგა, ოთახში გაიარა. კედლებზე ჩამოკიდებულ ნახატებთან ახლოს მივიდა.

ზაზა მაგდას უყურებდა. გრძნობდა, სკლის სიღრმეში სიხარული როგორ იბადებოდა. სიხარული მკაფიო და ნათელი იყო, როგორც მზიანი დღე. იმასავით უსასრულო, არსად თავდებოდა და თავისი სინათლით ყველაფერს სას-

წაულის იერს აძლევდა, ამ მტკრიან ოთახსაც, ცასაც, ფანჯრებში, როგორც ლურჯად კრიალებდა.

ზაზას ესმოდა მუსიკის ხმა, ამ სასწაულს სტიქიური სიჭიუტით მახლობელს რომ ხდიდა.

მიწისა და ცის ერთდროული გაღვიძების ეპი სავსე იყო ნაყადულების თქრიალითა და კვირტების გამაყრუებელი აფეთქებით. ღრუბლების ბრმა ჩრდილები ვენებით აცახცახებელი ხელებით ეფერებოდნენ მიწის გრილ, ამობურთულ მკერდს. მიწა იყო შიშველი და მხიარული, როგორც ბუდას მუცელი და ოდნავ გასაგონად საამოდ კენესოდა.

ველზე ჯერ კიდევ უჩინარი მზის სხივებით აწითლებულ ბურუსში მიჰქროდა თეთრი ცხენების რემა. ცხენები ჭიხვინით გარბოდნენ სადღაც და წითელი ნისლის ნაფლეთი ხანძრის ალივით მისდევდა მათ.

ბალახის დაქვევტილ ღეროებზე თვალისმომკრელად ბრწყინავდა ცვარი და ბალახი ცის მოსასხამს ჰგავდა, აქ შემთხვევით რომ დარჩენოდა. და ირგვლივ ყველაფერმა იცოდა, რომ ცას წუხელ მიწასთან ერთად ეძინა და ქვებსა და ფოთლებზე ნამი ნეტარების ცრემლივით ბრწყინავდა.

ადამიანის ხელი გაუბედავად ეპოტინებოდა თოკს და რიყრყის გაურკვეველსა და არეულ ხმებს ერთვოდა ზარის ხმაც, ალისფერი და ამაყი, როგორც მკერდიდან ამოგლეჯილი გული, ზღვის ცხოველივით საიდუმლოდ რომ ფეთქავს.

ზარის ხმა ნელ-ნელა თამამდებოდა და იზრდებოდა. ახლა ის ხვეწნასა და მუდარას კი არ ჰგავდა, არამედ ძლიერს, სამყაროს ველურ ხმათა მომწესრიგებელსა და მბრძანებელს.

და საკვირველი მორჩილებით ერთმანეთის გვერდზე დგებოდნენ სიხარული და მწუხარება, ცრემლი და ღიმილი, კენესა და სიმღერა, წყევლა და დალოცვა, სიყვარული და სიძულვილი, მტრობა და ერთგულება, შური და სურ-



ვილი, სიკაბუჯე და სიბერე, სიცოცხლე და სიკვდილი. ეს ერთმანეთზე ჯაჭვის რგოლებივით გადაბმული წყვილები. და შენც იყავი ყველგან და ყველგანაში და შენი სულის ყოველი უმცირესი ნაწილაკი საესე იყო ვეებერთელა მზით, ცხენების ჭიხვინითა და სველი ბალახების პრიალით. და მოუთმენლად ელოდებოდი სიცოცხლის ახალი ტალღის დარტყმას, შორიდან გახაფხულის წყალდიდობის ყრუ გუგუნით რომ გაახლოვდებოდა.

— ბიჭო, ეს გოგო ვინ არის? — მოესმა ზაზას პაპუნას ჩურჩული.

ზაზა პაპუნას მიუტრიალდა, რომელიც ისე ამოსდგომოდა გვერდით, ვერც კი გაეგო:

— ეს მაგდაა!

პაპუნამ სახეგაბრწყინებულ ზაზას თვალი ჩაუკრა:

— აი, ეს შესმის!

ზაზა და მაგდა ავტობუსიდან ლენინის მოედანზე ჩამოვიდნენ. მაგდას ძალიან მოსწონებოდა პაპუნას ნახატები. მთელი ვზა შთაბეჭდილებებს უზიარებდა ზაზას. მაგდა ხმაიალა ლაპარაკობდა, ხელეზსაც იშველიებდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ზაზა სხვა აზრისა ყოფილიყო. ზაზას ეღიმებოდა.

მათ მოედანი გადატრეს და დადიანის ქუჩაზე გაუხვიეს.

— ოლონდ სულ ერთნაირად ხატავს. — თქვა ზაზამ.

— რა? — ვერ მიხვდა მაგდა.

— რაც ვიცნობ, სულ ასე ხატავს.

— მერე რა, ვანა ცუდია?

— ერთ რაღაცას მიაგნო და გათავდა. თუმცა რასაც მიაგნო, ის მეც ძალიან მოსწონს.

სწორედ ამ დროს მათ ახლოს მანქანა გაჩერდა.

— მაგდა! — დაუძახა ვილაძამ.

მაგდამ მიიხედა. ზაზას რატომღაც არ გაუხეღია იქით, რადგან მაშინვე მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო.

„ბადრი! ბადრი! ბადრი!“ — გაუელვა მას გულში.

— ბადრი? — მოესმა მაგდას ოდნავ გაკვირვებული ხმაც.

ზაზა ვანზე გადგა და სიგარეტს მოუკიდა. მერე მაინც გაიხედა მანქანისკენ: ბადრი და მაგდა ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. ბადრი ძალიან მაღალი, ლამაზი ბიჭი იყო. მერე მაგდამ აქეთ, ზაზასკენ ნაბიჯი გადმოდგა. ბადრიმ ხელით შეაჩერა, მაგდა უხმოდ გაჩერდა. ბადრიმ რაღაც უთხრა, მაგდამ თავი გააქნია და ისევე გამოტრიალდა, ბადრი წამოვიდა და წინ დაუდგა.

„ხომ არ მივიდე?“ — გაიფიქრა ზაზამ.

მაგდას აღარაფერი უთქვამს, პირდაპირ, ჯიქურად წამოვიდა, ბადრიმ ვზა დაუთმო. მაგდას მისთვის აღარც შეუხედავს, ზაზასთან მივიდა.

— მაგდა! — დაუძახა ბადრიმ.

— წავიდეო, — უთხრა მაგდამ ზაზას და მკლავში ხელი გაუყარა.

— მაგდა!

— წავიდეო! — გაუმეორა მაგდამ ზაზას.

ზაზამ ფეხი აითრია, რაღაც გაქცევასავით გამოდიოდა.

სწორედ ამ დროს მანქანის კარის ჯახუნი მოესმათ. მერე მანქანა ადგილიდან მოწყდა და გვერდით ჩაუტროლა.

ცოტა ხანს ჩუმად მიდიოდნენ. მაგდას ზაზასთვის ხელი არ გაუშვია. მერე ზაზამ ჰკითხა, უფრო იმიტომ, რომ უხერხული სიჩუმე დაერღვია:

— ბილეთები ავიღო, არა?

ისინი აღრე შეთანხმდნენ, დღეს კინოში წავიდეთო.

— რა? — მაგდა გაჩერდა და გაიმეორა, — რა?

— ბილეთებს ავიღებ-მეთქი.

თან იგრძნო, რომ ბილეთებზე ლაპარაკი ყველაზე დიდი უაზრობა იყო ახლა.

მაგდამ ხელი გაუშვა და წინ წავიდა, მიდიოდა და ჩანთას იქნევდა. ზაზა პასუხს უცდიდა, პასუხს კი არა, უნდობა მაგდას რამე ეთქვა, რადგან ეს უხერ-

ხული დუმილი მისმა უაზრო შეკითხვამ კიდევ უფრო გაამძაფრა. მაგდამ საკმაოდ გაუსწრო ზაზას. ახლა სინამდვილეში ნინასავით გაიჭიმა. მერე მათ ველოსიპედებზე შემჯდარმა ბიჭებმა ჩაუქროლეს. მერე ზაზა ვილაცამ გააჩერა, პაპიროსის მოკიდება სთხოვა. მერე თითქოს აქამდე ვერაფერს ხედავდაო, უცებ, მაგდასთან პირისპირ აღმოჩნდა, ეტყობა, მაგდა ელოდებოდა.

— რა? — ჰკითხა მან.

— რა? — შევეითხა თვითონაც, რადგან შეკითხვას არ მოელოდა.

— არაფერი.

უცებ მაგდა ისე ძალიან უცხო გახდა, თითქოს ჯერ სიტყვაც კი არ ეთქვას მისთვის. უცხო და ძალიან შორეული, გაუგებარი და მიუწვდომელი. ის სიხარულიც უცებ გაქრა, პაპუნას სახელოსნოდან რომ გამოჰყვა.

— მე აქ ვცხოვრობ, — თქვა მაგდამ.

ისიც უცებ გამოიცვალა. ახლა დაღლილი სახე ჰქონდა, აღარც იღიმებოდა. კედელს მხრით მიეყრდნო და თქვა:

— თავი მტკივა!

— წავალ, — უთხრა ზაზამ, — ნახვამდის.

— ნახვამდის, — უპასუხა მაგდამ და ხელი ისე უნიათოდ გამოუწოდა, ზაზას რომ არ ჩამოერთმია, ალბათ ჩამოუვარდებოდა.

ახლა საღამოს კინოში წასვლაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. აღარც ზაზას უნდოდა გაეხსენებინა, მიხვდა, აღარ ღირდა.

ზაზა გამოტრიალდა და წამოვიდა.

— თუ მოსკოვში ჩამოხვალთ...

ზაზა გაჩერდა და მიბრუნდა: მაგდა ისევ ისე იდგა, კედელს მხრით მიეყრდნობილი.

— თუ მოსკოვში შემთხვევით ჩამოხვალთ, მნახეთ, — და მისამართი უთხრა.

— გმადლობთ.

— თავი მტკივა, — თქვა მაგდამ და გაღივება სცადა.

ზაზა სწრაფი ნაბიჯით გაშორდა.

დრო იყო, სასტუმროს მფარველებს რუნა უკვე ოთხი საათი გამხლარდა. წითელ მოედანზე იდგა და ფიქრობდა, სად წასულიყო. თბილისში დღეს ვერ დაბრუნდებოდა. მოსკოვში ჩამოსული აქედან მაგდას უნახავად ვერ წავიდოდა.

„რა მოხდება? ერთი რეპეტიცია რომ გავაეღინო, მაინც არაფერს ვაკეთებ. რას შეტყვიან? ბოლოს და ბოლოს, ვეტყვი, რატომაც ვერ მივედი რეპეტიციასზე. გაიცინებენ. გაიცინონ. ეს არაფერი. მთავარი ის არის, რომ არ დამიჯერებენ. რა თქმა უნდა, არ დამიჯერებენ. თუმცა ვერც მე გავბედავ, რომ ყველაფერი მოუყუვე. რა საჭიროა, მაინც არ დამიჯერებენ. როცა იცი, რომ არ დაგიჯერებენ, რატომ უნდა მოუყუვე სიმართლეს? ჯობია, ვუთხრა ავად ვიყავი-მეთქი. ალბათ არც ამას დამიჯერებენ. მაგრამ ეს უკეთესია. მეცოდინება, ტყუილს რომ არ მიჯერებენ. რა თქმა უნდა, ეს გაცილებით უკეთესია. თვითონაც არ უნდა ჩააყენო ისეთ მდგომარეობაში ვინმე, რომ სიმართლეს არ დაგიჯეროს. მაშინ... სიმართლეს ვიტყვი, იმისთვის ხომ მაინც ტყუილი იქნება? არა, სიმართლეზე გაცივებენ. ვეტყვი, ავად ვიყავი-მეთქი“.

შიოდა. თავდაღმართს დაუყვა და სასტუმრო „მოსკოვის“ პირველ სართულზე კაფეში შევიდა. ისაიღია. კაფედან რომ გამოვიდა, სიგარეტი იყიდა, მერე სასტუმროს ვესტიბულში შევიდა, მოდებდს ვცდი, იქნებ ნომერი ვიშოვო. სასტუმროში თავისუფალი ნომერი არ ჰქონდათ. სასტუმროდან გამოსვლას აპირებდა, რომ გაზეთების კიოსკთან თავისი დილანდელი თანამგზავრი დავით გამყრელიძე დაინახა. წამით შეჩერდა, რატომღაც თავი ვალდებულად ჩათვალა, დაუნახავად არ გაცლოდა. ამ დროს დავითმაც მოიხედა: „ოჰო!“ მიუახლოვდა. ხელიც ჩამოართვა, თითქოს ერთმანეთი დიდხანს არ ენახათ. „თქვენც ამ სასტუმროში ხომ არ მოეწყვეთ?“ „არა“. „ისაიღილეთ?“ სწორედ ახლახან ვისაიღილეთ“. „მე კი მშვიდა, ახლა ვაპირებდი რეს-

ტორანში შესვლას. ნახეთ, ვინც გინდობდათ? „ვერა“. „იცი, რა ვქნათ, ცოტა გავიაროთ, მერე რესტორანში შევიდეთ; რა თქმა უნდა, თუ დრო გაქვთ. მე ჯერ ქუჩაშიც არ გავსულვარ. წავიდეთ?“

ქუჩაში გამოვიდნენ. ყინავდა. დავიამა ხელთათმანები ჩაიცვა.

— თქვენ რატომ არ იცვამთ ხელთათმანებს?

— ვერ შევეჩვიე.

ქარგა ხანს ისეირნეს ქუჩებში, მერე რესტორან „ბერლინი“ შევიდნენ. რესტორანში ბევრი ხალხი იყო, ძლივს იშოვეს ადგილი. დარბაზს სარკეებიანი ჭერი ჰქონდა, რომ აიხედავდი, მთელი რესტორანი მოჩანდა. მერე ორკესტრმა დაკრა დაიწყო. ვიღაც შუახანის ქალი გამოვიდა და იმღერა. ხალხი ცეკვავდა. დავითმა ისეთი გემოვნება გამოამყდავინა, რომ ოფიციალტი უცებ მოხიზლა. საიდუმლო სახით ჩასჩურჩულებდა კერძების სახელებს დავითს; დავითი მეტად სერიოზულად უსმენდა, რომელი კერძიც მოეწონებოდა, თითქმის მალა ასწევდა და ოფიციალტი ბლოკნოტში დიდი მოწიწებით ჩაიწერდა.

— მე ვედარაფერს შევქამ, — თქვა ზაზამ.

— წინასწარ ნუ იტყვი! — გააფრთხილა დავითმა.

— არა, მართლა არ შემიძლია! — გაელშია ზაზას.

მერე ოფიციალტი სუფრა გააწყო, თან დავითს შემოხედავდა ხოლმე, თითქოს ეშინოდა, რამე შეცდომა არ დაეშვაო. დავითი გასამხნეველად თავს უქნევდა. ოფიციალტი ახალგაზრდა ბიჭი იყო, მაღალი, საგულდაგულოდ დავარცხნილი, სველი თმა უკან ჰქონდა გადატყეცილი, ნაყვავილარი გრძელი სახე და თითქმის უფერული თვალები ჰქონდა. თეფშებს მაგიდაზე ისე დგამდა, თითქოს ბალეტის რომელიმე პას ასრულებდა და პაერში ატყორცნილ ქალს დაბლა უშვებდა.

მერე მათ მაგიდას ვიღაც ორი კაცი შემოუჯდა. მათ მორიდებით იკითხეს, ადგილი თავისუფალი თუ არისო, მერე მენიუ აღეს და გულდასმით შეუდგნენ

მის შესწავლას. ოფიციალტი ისე მოაჩვენა, თითქოს უკმაყოფილო იყოს. ღრმა კაცმა მათი მაგიდა რომ გაიხედა, ვეს, მაგრამ იმათაც ისეთივე გადაჭარბებული ყურადღებით მოემსახურა. ახალმოსულებმა შემწვარი ზუთხი და არაყი შეუკვეთეს, მერე უკვე წასული ოფიციალტი უკან დააბრუნეს და შეკვეთილს ლანგეტიც დაუმატეს.

ცოტა ხნის მერე მათი მაგიდა ისე აივსო, რომ საფერფლის ადგილი აღარ დარჩა.

მათ მეზობელ მაგიდასთან კაცი და გოგონა ისხდნენ. კაცს ჭალარა, გრძელი თმა ფაფარივით მხრებზე ეყარა, მოხუც დირიჟორს ჰგავდა. დიდი თავი ჰქონდა და ვიწრო მხრები, იფიქრებდით, ამ კაცს ლომის ნილაბი ხომ არ უკეთიაო. გოგონა ქერა იყო, პატარა პაქუა ცხვირზე ჭორფლი ეყარა, ტუჩები ოდნავ გაღებულნი ჰქონდა გაციებისა თუ ალტაციებისაგან. სკამზე დაძაბული იჯდა. თუმცა ცდილობდა უდარდელად გაეღიმა, ეტყობოდა, რომ რესტორანში პირველად იყო. მოწაფე გოგონასავით სადად ეცვა, თუმცა მთლად სადად არა, სწორედ ისე, როგორც სკოლის დამთავრების აღსანიშნავ საღამოებზე აცვიათ. ესტრადაზე მომღერალი ქალი სულ ამით შემოსცქეროდა, კაციც აქედან ხელს უქნევდა და რალაკას ხვიხვიხებდა. გოგონას მორიდებულად ეღიმიებოდა.

— ახლა შეიძლება თითო რომ დავლიოთ, — თქვა დავითმა და ჩანგალი დადო, — რატომ არ ჭამთ?

— ახლახან ვისადილე.

— კარგი, რომ დალევთ, მოგინდებოთ.

მათ ჭიქები ერთმანეთს მიუჭახუნეს.

— ეს ჩვენი გაცნობისა იყო! — თქვა დავითმა.

თუმცა რესტორანში ადგილი არ იყო, ხალხი მაინც შემოდებოდა. ზოგი კედელთან ჩერდებოდა, უცდიდა, იქნებ ადგილი გათავისუფლდესო. ორკესტრი უკრავდა. თითქმის ყველანი ცეკვავდნენ. ზაზას, დავითისა და მათი თანამესუფრეების გარდა. ამ ორ კაცს სახე უცებ

აუწითლდა, სკამზე გადაწოლილები, მოცეკვავეებს უყურებდნენ. ეტუობოდათ, რაიონიდან იყვნენ ჩამოსულები, ახლა დედაქალაქის ცხოვრებით სტუმრებოდნენ. ლომის ნიღბოსანი და გოგონაც ცეკვავდნენ, მხოლოდ მაშინ, როცა ორკესტრი ვალსს დაუკრავდა. კაცი თამამად ცეკვავდა, ომახიანი შეძახილებით დააქროლებდა გოგონას. გოგონას კი რცხვენოდა.

— თორნიკე, თორნიკე, — მოესმა ზაზას დავითის ხმა, — მამ, თორნიკე თქვენი კლასის ამხანაგია, არა?

— დიახ, ჩემი კლასის ამხანაგია. თქვენ რაღაც ვინღოდათ გეტქვათ თორნიკეზე.

— მე? თუმცა... მოდით, თითოც დავლიოთ.

რომ დალიეს, მაშინვე გააგრძელა:

— თუმცა ჯობია თქვენთან გულახდილი ვიყო, რატომღაც ასე ვფიქრობ და საშინლად მეწყინება, ჩემი შეხედულება მართალი თუ არ გამოდგა.

— კი მაგრამ...

„მაინც ასეთი საშინელი რა უნდა თქვას, ასე რომ უჭირს?“

— ამას წინათ ერთ წიგნს ვკითხულობდი და იქ ასეთი რამ ამოვიკითხე, საბედნიეროდ დროზე გამახსენდა, ეს კი ზუსტად იმას გადმოსცემს, რის თქმაც მინდოდა. აბა, მომისმინეთ. მისმენთ?

— როგორ არა!

— „საეჭვო შესაძლებლობის მოხერხებულად გამოყენების უნარი საერთოდ პატივისცემას არ იმსახურებს, მაგრამ ამას ბევრჯერ უფრო დიდი სახელი მოუტანია ადამიანებისათვის, ვიდრე ჭეშმარიტ ღირსებებს...“

— ვიდრე ჭეშმარიტ ღირსებებს, — გაიმეორა ზაზამ.

— დიახ, ვიდრე ჭეშმარიტ ღირსებებს. ახლა კი ბევრს აღმოაჩნდა ეს უნარი. განა არა?

— ვიდრე ჭეშმარიტ ღირსებებს, — თქვა ისევ ზაზამ.

მერე თორნიკე წარმოუდგა თვალწინ, მუქი ყავისფერი ზაშმის პალტოთი, ხელში მძიმე პორტფელით, მანქანისკენ მიე-

მართება, ხელით ჯიბეში მანქანის გასაღებს ეძებს.

— ო, ზაზა! ზაზა!

— გამარჯობა, თორნიკე!

— ასე უნდა ძველი მეგობრების დავიწყება? რას შერები, ისევ რეჟისორი ხარ?

— ჰო, ისევ რეჟისორი ვარ.

„კიდევ ვერ მოვედი ქუთაზე!“

— მე კი თეატრში ვერ დავდივარ, დრო არა მაქვს, სამეცნიერო სესიები, კონფერენციები, ხომ იცი...

— ვიცი, თორნიკე, ვიცი.

— ჩემი ახალი მანქანა შენ არ გინახავს.

— არა, არ მინახავს.

— მოდი მერე, ერთხელ გავისეირნოთ, ამას რა უნდა?

— არ გცალია, თორნიკე. კონფერენციები, სესია...

— კარგი ერთი! უკაცრავად, გავრბივარ, მინისტრი მელოდება.

— ზაზა! — მოესმა დავითის ხმა.

ამ სიტყვასთან ერთად ყუბმარასავით გასკდა მთელი რესტორნის ხმაური. აქამდე ფიქრს ისე გაეტაცნა, არაფერი ესმოდა.

— ბატონო?

— გაიცანი.

ის ორი კაცი მათს სუფრას რომ უსხდნენ, ზაზას უღიმიოდნენ, წამოიწივნენ და ხელი ჩამოართვეს. როდის მოასწრო დავითმა მათი გაცნობა?

— უკაცრავად, — თქვა ოღნავი დამორცხვებით.

ის ორი კაცი ციმბირელები ყოფილას, მოსკოვში მივლინებით ჩამოსულან, ხვალ უკან მიემგზავრებიან თურმე. დავითმა საერთო სადღეგრძელო დალია.

დერეფანში კედელთან ატუხული თორნიკე დგას. თორნიკეს ცხვირიდან სისხლი მოსდის, მუზლთან გახეულ შარვალზე ხელს იფარებს.

— რა მოგივიდა? — ეკითხება ღირეკტორი.

ბიჭები იქვე დგანან და უხმოდ შესცქერაინ.



— ფეხი დამიდეს, — ზღუქუნებს თორნიკე.

— ვინ დაგიდო ფეხი?
თორნიკე ბიჭებისკენ ხელს იშვერს.

— რატომ დაგიდეს ფეხი?

— იმიტომ, რომ გაკვეთილის ვაცდენა არ მინდა, — პასუხობს თორნიკე.

— აჰა! წადი, პირი დაიბანე.

— ამათ?

— რა ამათ?

— ამათ არ დასჯით?

— წადი, პირი დაიბანე-მეთქი.

— მაშინ მე ხვალ მაშაჩემს მოვიყვან.

— მოიყვანე! მოიყვანე! მოიყვანე! — ყვირის დირექტორი.

— კაცი შეიძლება ცნობილი არ გახდეს, — თქვა დავითმა, — ამისთვის არავინ დასძრახავს, მაგრამ უნდა ეცადოს, რომ ნამდვილი ადამიანი იყოს! ასე არ არის, ზაზა?

— ასეა, — უპასუხა ზაზამ.

ის უცებ გამზიარულდა, უნდოდა ხმაშალა მოეყოლა თორნიკეს ამბები, მაგრამ გადაიფიქრა, მოერიდა. რაც თვითონ ახსენდებოდა, ყველაფერი სასაცილოდ ეჩვენებოდა. თუმცა ამავე დროს გრძნობდა, რომ ეს მაინც და მაინც სასაცილო არ იყო. ახლა იგრძნო პირველად, რომ თორნიკე არ უყვარდა. აღრე არასოდეს უფიქრია ამაზე. განა მარტო თორნიკეს, კლასის რამდენ ამხანაგს ჩამოშორდა ისე, რომ არც კი უგრძენია.

ეს თავისთავად, თითქმის შეუმჩნევლად ჰდებოდა. შეიძლება იმიტომ, რომ ის, რაც ბავშვობაში სულ სხვანაირად მოჩანდა, რასაც ბავშვური, შეუგნებელი საქციელის იერი ჰქონდა, ახლა, სსოფნაში ამორტივებული, მძაფრი და მნიშვნელოვანი ჰდებოდა, რადგან იმ ასაკის გამამართლებელი საფარველი შორდებოდა, რომელსაც შეცდომათა მოსატყვეבלად თითქმის ყველაზე დიდი ძალა გააჩნია ჩვენს თვალში. ნამდვილად კი თურმე კაცის გონება არაფერს არ იფიქრებს. ის თუმცა საკმაოდ დიდი დავვიანებით, მაგრამ მაინც მთელი სისასტიკით თხოვს პასუხს მამეზღარა ამხანაგს და მთელი ტყვილით აცოცხლებს იმ ბალიშზე დაღრილი ცრემლების შემწარეს, რომელიც ბავშვობაში ამხანაგების ლალატის გამო დაგვიღვრია.

ნაგს და მთელი ტყვილით აცოცხლებს იმ ბალიშზე დაღრილი ცრემლების შემწარეს, რომელიც ბავშვობაში ამხანაგების ლალატის გამო დაგვიღვრია.

თურმე ადამიანის სული უამრავი სხვადასხვა ადამიანის არსებათა ნაწილაკებისაგან შედგება, მიუხედავად მოჩვენებითი სიმტკიცისა და ერთიანობისა, ის მაინც უცებ იშლება. ლალატი, შური, გულგრილობა მას ისევე დაუნდობლად შლის, როგორც რომელიმე განსაზღვრული ქიმიური ნაერთი — რკინას. ის ნაწილაკები ერთმანეთს შორდებიან, წყდებიან და ჩვენი არსებაც ნამდვილ, თვითმყობად სახეს იღებს. და თუ ადამიანს უნდა რამეს მიადწიოს, ჯერ უნდა საკუთარი თავი იბოვოს, ნახოს ვინ არის, რას წარმოადგენს თვითონ და თუმცა ყველაფერი, რაც შენმა არსებამ ჩამოიშორა, აქამდე მისთვის ჯავშანივით იყო, მაგრამ ეს კუს ჯავშანს უფრო გავდა, ცოცხალ პასიურობასა და უაზრობას. — თქვენ იცით, როგორ ტირიან ბავშვები?.. გულდათუ-თქული! — თქვა მან ხმამაღლა და გაკვირვებულ დავითს თვალი აარიდა, რადგან იმწამსვე შერცხვა თავისი ნათქვამისა.

სუფრაზე დუმილი ჩამოვარდა. თუმცა ზაზა მათ თვალს არიდებდა, გრძნობდა, რომ თანამოსუფრეები უყურებდნენ. უხერხულობა რომ გაეფანტა, თავს ძალა დაატანა და სიცილით თქვა:

— დავთვარი!

სუფრა უცებ გამოცოცხლდა, რადგან ასეთი გულწრფელი აღიარება ყოველთვის მზიარულებას იწვევს. მაშინვე ჭიქები სასწრაფოდ გაავსეს, შენი სიმთვრალისა არ გეჯერაო და გადააკრეს.

დავითმა ოფიციალური ხელით ანიშნა, მოდიო. ოფიციალტი მაშინვე მივიდა. დავითმა მას შავი ყავა შეუქვეთა:

— სიმთვრალეს უნდა ვებრძოლოთ, — თქვა მან ღიმილით.

— აი, თქვენ ექიმი ბრძანდებით, — უთხრა ერთმა ახალგაცნობილმა დავითს, — ნუთუ არაყი მართლა ვნებს გულს?

— ჩვენ არ გვერა, — თქვა მისმა ამხანაგმა და ღიმილით შეაჩერდა დავითს.

— არც მე, — უპასუხა დავითმა.

— სამწუხაროდ, ის არც წამალია.

— სამწუხაროდ.

— კი, მაგრამ, რით უნდა ვუმკურნალოთ ამ საცოდავ გულს. აი, მე ვალიდოლი ჯიბით დამაქვს.

— ვალიდოლი? — დავითმა გაიცინა,

— განა შეიძლება იმის მკურნალობა, რაც სიყვარულის, შურის ან სიძულვილის გამოა დაავადებული?

— თქვენ ჩვენთან რომ ცხოვრობდეთ, ყველაზე პოპულარული ექიმი იქნებოდით!

— მე ეს ყველაფერი მავიწყდება, — თქვა დავითმა, — როცა თეთრ ხალათს ვიცვამ... ამიტომ არა ვარ პოპულარული, გულმავიწყობა მღუპავს.

მუსიკა რომ დაუკრეს, ზაზა წამოდგა და იმ გოგონასთან მივიდა, ლომის ნიღბოსანს რომ ახლდა. გოგონა გაიწითლა, ზაზამ რომ საცეკვაოდ გაიწვია.

ცეკვის დროს ზაზამ თვალი მოჰკრა, მომღერალმა ქალმა გოგონას ხელი დაუქნია.

— დედაჩემია, — თქვა მორცხვად გოგონამ.

— ის კაცი მამაა, ალბათ, არა?

— დიახ, მამაა. რესტორანში პირველად ვარ, ჩემი დამადების დღეა.

რესტორანიდან გვიან გამოვიდნენ. ზაზა დავითს დაემშვიდობა, ამხანაგთან დავიძინებო, იცრუა, რადგან მარტოს უნდოდა ქუჩაში გავლა. დიდხანს იბორიალა. როდის, როდის გაახსენდა, რომ დასაძინებელი ადგილი არა ჰქონდა, ქუჩაში ვერ გაათენებდა, ციოდა.

„სადგურში ხომ არ წავიდე?“ — გაიფიქრა ზაზამ.

სწორედ ამ დროს სახლზე დამაგრებულმა უზარმაზარმა ფერადმა რეკლამამ შემოანათა: „სასტუმრო ბუდაბეშტი!“

რამდენიმე ნაბიჯის იქით სასტუმროს შესასვლელიც დაინახა. მივიდა, კარი შეაღო და შევიდა.

ვესტიბიულში შუქი უკვე ჩაქროთ.

ადმინისტრატორს მაგიდის პატარა ნათურა ენთო. ზაზა ადმინისტრატორის მაგიდას მიუახლოვდა და უნებოდ განერდა.

„სისულელეა, — ფიქრობდა ის, — აქ ნამდვილად არ იქნება...“

ადმინისტრატორმა თავი ასწია, ქერა ქალი იყო. ისეთი სიმშათიური სახე ჰქონდა, რომ ზაზას იმედი მიეცა.

ორივეს თითქმის ერთდროულად გაეღიმა. ზაზას იმიტომ, რომ სიტყვის ამოღებას ვერ ბედავდა, ადმინისტრატორი კი მოუხვდა, რატომაც ვერ იღებდა ხმას ზაზა.

— ხვალ დილით თუ დაცლით ოთახს?

— ჰკითხა ადმინისტრატორმა.

— რა ბრძანეთ? — ზაზამ ყურს არ დაუჭრა.

— აი, ახლახან განთავისუფლდა ერთი ოთახი, ბედი გქონიათ, ოღონდ ხვალ დილით უნდა დაცალოთ.

— უსათუოდ, დილით მაინც მივდივარ.

— ჰოდა, ბედი გქონიათ.

ზაზა ლიფტით მეხუთე სართულზე ავიდა, იქ სართულის მორიგემ გასაღები მისცა:

— ხუთას ოცდა შვიდი, ხელმარჯვნივ.

ზაზა დერეფანში მიდიოდა და კარზე წარწერილ ნომრებს კითხულობდა:

— ხუთას ოცდაერთი, ხუთას ოცდასამი, ხუთას ოცდახუთი... აჰა!

კარი გააღო, ოთახში შევიდა და შუქი არც კი აუნთია. ისე დაწვა. თითქმის მასწინვე დაეძინა.

კარის თავზე ნომრები ფოსფორწასმულივით ანათებენ ბნელში:

521...

522...

523...

524...

525...

526...

ზაზა ერთმანეთზე მიყოლებით ყველა კარს აღებს, ოთახში იხედება. ყველა ოთახში თავის თავს ხედავს, თვალდაჭყეტილს.

— უკაცრავად! — ამბობს ზაზა და

ქარს მორიდებით სურავს, — უკაცრავად!

დერფენი კი ძალიან გრძელა.

— მაგდა, მაგდა! — იძახის ზაზა.

— 521, 522, 523, 524, 525, 526 — ითვლის ვიღაც ხმამალა.

— ხუთას ოცდა ერთით, ხუთას ოცდა ოთხი! — აცხადებს დიქტორი.

ახლა ზაზა კალათბურთის მოედანზე ვარბის. ბადრი კალათში ბურთს აგდებს, ზაზას ხელს უქნევს, ზაზა ვითომ ვერ ამჩნევს:

— მაგდა! მაგდა! მაგდა!

— მე ვალსი არ მიყვარს, — ეუბნება გოგონა, რესტორანში რომ გაიცნო, — მამაჩემი კი დირიჟორია.

— სტაკოვსკი, ტოსკანინი, ფერერო, — ზაზა ყველა იმ დირიჟორის სახელის ჩამოთვლას იწყებს, ვინც კი გაუფია.

— არა! არა! — იცინის გოგონა.

კალათბურთის მოედნის ტრიბუნებზე მაყურებლის ნაცვლად სიმფონიური ორკესტრი ზის. ორკესტრის ლომის ნიღბსანი კაცი დირიჟორობს, ის ხელებს იქნევს, მაგრამ არაფერ არ უკრავს.

სიჩუმეა.

ცარიელ მოედანზე მარტო ბადრი დგას და კალათს ბურთს ტყორცნის.

— 521, 522, 523, 524, — ითვლის ვიღაც ხმამალა.

— მე არც ფრენა ვიცი, — ამბობს გოგონა, — და არც ჭორფლი მიხდება!

— მაგდა! — ყვირის ზაზა, — მაგდა! მერე ყველაფერი ეს ქრება. ახლა ზაზა პლიაჟზე ვარბის. პლიაჟია თუ უდაბნო? თუ პლიაჟია, ზღვა რატომ არ მოჩანს? თორნიკე შიშველია, საცურაო ტრუსი აცვია, ზედ ლუზა აქვს ამოქარგული. სილაში ორმო ამოუთხრია, შიგ ჩაწოლილა, ტანზეც სილას იყრის. საცაა სულ მთლიანად სილაში უნდა ჩაიმალოს. უცებ თავს მალა სწევს და ზაზას ეუბნება:

— კაცი შეიძლება ცნობილი არ გახდეს, ამისთვის არაფერ დაძრაბავს, მაგრამ უნდა ეცადოს, რომ ნამდვილი ადამიანი იყოს.

— ეგ ხომ მე უნდა მეთქვა შენთვის?

— უკვირს ზაზას, ყელში ცრემლის გორგალი აწვება. გრძნობს რამდენად უნდა მაგრამ რატომ უნდა ატყუებდნენ ასე უსინდისოდ?

— ხა-ხა-ხა-ხა, — იცინის თორნიკე, — დავასწარი, დავასწარი, შტერო! საერთოდ, თქვენ სუყველა შტერები ხართ, ხელოვნების ხალხი. ამას ისტორიაც გვასწავლის.

— რომელი ისტორია?

— ხა-ხა-ხა-ხა, — იცინის თორნიკე და სილაში იმალება, მისი სიცილიც წყალივით იწრიტება სილაში.

ზაზას უნდა მივიდეს და წამოაყენოს, მაგრამ ადგილიდან ფეხს ვერ ძრავს, უნდა რაღაც უთხრას, მაგრამ ხმას ვერ იღებს.

და ამ გახურებულ სილაზე იქვე ყინულის ქოხი დგას. ქოხში მაგდა ზის.

— მაგდა! — უხარია ზაზას.

— ა-ა. — ამბობს მაგდა, — ა-ა!

— ეს რა არის? — ეკითხება ზაზა და ყინულის ქოხზე უჩვენებს.

— ეს ყინულის ქოხია, — პასუხობს მაგდა და თან სხვაგან იხედება, — ესკიმოსის ქოხი.

— ყინულის ქოხი რად გინდა?

— მცივა.

— მერე ეს ქოხი გათბობს?

— ყინულს რომ სითბო ჰქონდა, არ იცოდი?

— არა.

— ესკიმოსები სულ ასე ცხოვრობენ. თოვლის ქოხებში.

— ყინული სად იშოვებ?

— ყინული ყველას გვაქვს, აი, აქ, — ამბობს მაგდა და მკერდზე ხელს იღებს, — მე ჩემი ყინულისგან ქოხი გავაკეთე, იმიტომ რომ მცივა.

— ნახე, როგორი მზეა! — ეუბნება ზაზა.

მაგდა პასუხის ნაცვლად ხმამალა თვლას იწყებს:

— 521, 522, 523, 524, 525...

მერე ზაზას უნდა, რომ სხვას გავდეს. კალათბურთის მოედანზე გამოდის, ცდილობს ბურთი კალთაში ჩაავდოს, არაფერი გამოდის. ხელები არ ემორ-

ჩილება. ტრიბუნებიდან სიცილი ესმის. ზაზა მალა იხედება: პაპუნა, თორნიკე, ლეილა. მაგდა, ბადრი ერთად დამსხდარან და იცინიან. საშინლად რცხვენია. დამალვას ცდილობს, მაგრამ მოედანზე სად დაიმალება?

— მოდი აქ! — ესმის გოგონას ხმა, რესტორანში რომ გაიცნო.

გოგონას ჭოლგა უჭირავს. ისინი ჭოლგის ქვეშ იმალებიან. წვიმს.

— შენ ნინიკო ხომ არა ხარ? — ეკითხება ზაზა და აკვირდება.

— არა, — პასუხობს ჩურჩულით გოგონა და წითლდება.

— შენ არც მაგდას იცნობ? — ეკითხება ზაზა გოგონას.

— არა. გინდა ვიცეკვო?

— წვიმს.

— ეს თოვლია! თოვლი! თოვლი! თოვლი! — ყვირის გოგონა მხიარულად და თოვლში გარბის.

— თოვლი? — უკვირს ზაზას, — თოვლი? — თითქოს თოვლი აქამდე არასდროს ენახოს.

9. მაგდა

დილით არც კი უსაუზნია, ისე გაიქცა მაგდასთან. კარი ისევ იმ ჭალმა გაუღო, გუშინ რომ შეხვდა.

— მაგდა რომ არ არის შინ?

— არ არის?

— უნივერსიტეტში წავიდა. მე ვუთხარი, თქვენ რომ იყავით. დაიბარა, ადრე დაებრუნდებიო. შემობრძანდით, შინ დაუცადეთ,

— არა, გმადლობთ.

ჭალმა შეატყო, ზაზა ძალიან რომ შეწუხდა.

— დილით რატომ არ დარეკეთ?

— ვერ მოვახერხე.

რატომღაც სრულიად არ უფიქრია, ტელეფონით რომ დაერეკა.

ჭუჩაში გამოვიდა.

„სად წავიდე?“

გადაწყვიტა, ესაუზნა, ამასობაში, ალბათ, მაგდაც დაბრუნდებოდა.

„წუხელ რომ არ დამელია, ადრე მოვიდოდი და ვნახავდი. წუხელ ერთხელაც არ გამსხენებია მაგდა“.

შეიძლება განგებაც გაურბოდა მაგდაზე ფიქრს. ახლაც აქ რომ მოდიოდა, შიშით ევსებოდა გული, რადგან არ იცოდა, მაგდასთვის რა უნდა ეთქვა.

„მეტყვი, მივლინებით გამოგზავნეს და შემოვიარე-მეთქი“.

მაგდა უკანასკნელად ისე ცივად დაშორდა, რომ არაფრის იმედი არ ჰქონდა. თვითონაც კარგა ხანს იყო მაგდაზე გაბრაზებული. დარწმუნებული იყო, არასოდეს მასთან შეხვედრას

აღარ იფიქრებდა. ერთ ხანს თითქოს გადავიწყდა კიდევ. მერე ლიზიკო შეხვდა ჭუჩაში და იმან უხსენა. ლიზიკოს მაშინ აღარ მოშორდა, კონსერვატორიაში მიგაცილებო, უფრო იმის იმედით, რომ იქნებ კიდევ დაცდენოდა მაგდას სახელი. ლიზიკოს მეტი არაფერი უთქვამს. მერე ბადრი დაინახა კინოში, ვილაც უცნობ გოგონასთან ერთად. „აჰა, — გაიფიქრა მაშინ, — მე კი ბადრი მოსკოვში მგონია. იქნებ მაგდას ბადრი არ უყვარს?“ ამ ფიქრმა პატარა იმედი აღუძრა, თუმცა გრძნობდა, რომ თავის თავს ატყუებდა.

მერე თოვლი მოვიდა. სწორედ იმ თოვლმა აურიო თავ-გზა, იმან გაახსენა მაგდა, უკვე დავიწყებული რომ ეგონა. ახლა თოვლს აბრალებდა ყველაფერს. თუმცა ეს შეიძლება საკვირველად მოგეჩვენოთ, მაინც ამაში სიმართლის ნატამალი ერია.

ზაზამ ისაუზნა. მერე ნელი ნაბიჯით დაბრუნდა უკან მაგდას სახლისკენ. იცოდა, ჯერ არ იქნებოდა დაბრუნებული, მაგრამ მაინც სახლთან ახლოს ერიოა ლოდინი, თითქოს იქ რომ დაუცდიდა, უფრო ადრე დაბრუნდებოდა. პატარა ჩინში მუშები ტროტუარებიდან თოვლს ფხეკდნენ. ერთი წერაქვს ურტყამდა ტროტუარზე მიყინულ თოვლს, მეორე კი ნიჩბით ხვეტავდა. ზაზა იდგა და უყურებდა, თან ერთ ადგილას ფხეებს აბაკუნებდა. ზაზას ძალიან შეს-

ცივდა. დაინახა, კედელზე ნიჩაბი იყო მიყუდებული. მივიდა და აიღო:

— გინდათ, მოგეხმარებით!

მუშებმა ერთი კი შემოხედეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ. ზაზამ პალტო გაიხადა და ურიკაზე, რომელზეც იმ მუშების პალტოები ეყარა, დაავდო, მერე ნიჩბით თოვლის გადახვეტა დაიწყო, უცებ დაიღალა და ხელები მოწყდა, მაგრამ თავი არ გაანება, მუშების შერცხვა. ისინი არაფერს ეუბნებოდნენ, ზედაც არ უყურებდნენ. პირველმა დაქანცვამ უცებ გაუარა, ახლა ხალისით მუშაობდა. დასცხა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. სახეზე. სვიტრის გახდაც დააპირა, რომ ამ დროს მაგდას ხმა შემოესმა:

— ზაზა?

ზაზამ თავი ასწია და მაგდა დაინახა. მაგდას გაკვირვებული სახე ჰქონდა. ზაზამ გაუღიმა, მაგდამაც ღიმილით უპასუხა. ეს ღიმილი იყო სწორედ, ზაზას სითამამე რომ შესძინა. ნიჩაბი კედელზე მიყუდა, ურიკიდან პალტო აიღო და მაგდასთან მივიდა:

— გამარჯობათ!

— აქ რა გინდათ? — ჰკითხა მაგდამ.

— აი, ვმუშაობ.

— თქვენ იყავით გუშინ ჩემთან?

— მე ვიყავი.

— დიდიხანია მოსკოვში ხართ?

— დიდიხანია.

— სად ცხოვრობთ?

— „ბუდაპეშტში“.

— შევიდეთ შინ, აქ რატომ ვღაგავართ.

მაგდამ ჩანთიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო. დერეფანში ბნელოდა. მაგდამ სინათლე აანთო. პალტოს დასაკიდზე ადგილი არ იყო.

— პალტო ოთახში დადეთ, — უთხრა მაგდამ.

კედელზე თხილამურები იყო მიყუდებული.

— ეს თქვენი თხილამურებია?

— არა.

ისინი მაგდას ოთახში შევიდნენ. ოთახშიც საკმაოდ ბნელოდა, მაგდამ აქაც

აანთო შუქი. პატარა ოთახში ტახტი, მაგიდა და წიგნების კარადი, კედელზე კედელზე ეურნალიდან ამხსტელნი შუქი მინგუეის სურათი იყო გაკრული. საწოლზე მაგნიტოფონი ეგდო. მაგდამ პალტო გაიხადა და სკამზე გადადო.

ზაზას პალტო ისევ ხელში ეჭირა, მაგდამ გამოართვა და ისიც სკამზე გადადო.

— მეგონა, ყვითელი ქუდი გეხურებოდათ, — უთხრა ზაზამ.

— ყვითელი ქუდი?

— მოქსოვილი, მაღალი ქუდი.

— ქუდს ვერ ვიხურავ, — თქვა მაგდამ.

— კარგი ოთახია. — ზაზამ ოთახს თვალი მოავლო.

— კი, კარგი ოთახია.

— ამ ბინაში თქვენი ნაცნობები ცხოვრობენ?

— არა, ოთახი ნაქირავები მაქვს. დაჩქვით.

ზაზა დაჯდა. სიგარეტის კოლოფი ამოიღო, მაგდას გაუწოდა.

— არ მინდა, — უთხრა მაგდამ, — გმადლობთ.

თვითონ ტახტზე დაჯდა. ზურგით კედელს მიყურდნო. ზაზას გამოცვლილი მოეჩვენა, თითქოს გამხდარიყო კიდევ მუქი ნაცრისცფერი, სქლადნაქსოვი სვიტრი ეცვა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

„რატომ მოვედი?“ — გაიფიქრა ზაზამ.

კარგა ხანმა გაიარა ისე, რომ არც ერთს ხმა არ ამოუღია. მაგდას ხელები მუხლებზე ეწყო, წელგამართული იჯდა, ქანდაკებასავით. თვალი რალაცისთვის გაეშტერებინა, მაგრამ, ეტყობოდა, ვერაფერს ხედავდა. ზაზა სიგარეტს სიგარეტზე წევდა და მაგდას თვალმოუშორებლად შესცქეროდა. ოთახში დაძაბული სიჩუმე იდგა. ასეთი სიჩუმეა მაშინ, როცა ადამიანები ხედებიან, რომ რალაც უნდა თქვან, მაგრამ ვერ კი ამბობენ, ხმის ამოღება არ შეუძლიათ. გრძნობენ, თვითეულ ყალბ სიტყვას

შეუძლია დაამსხვრიოს ყველაფერი, სა-
რკმლის მინები.. ოთახი... სახლი...

მერე ტელეფონმა დარეკა. მაგდას
თითქოს არც კი გაუგია მისი ხმა. ტე-
ლეფონი ჭიუტად რეკდა ზაზამ წამოდ-
გომა და ტელეფონთან მისვლა დააპირა.
ტელეფონი თურმე კარადის გვერდზე,
პატარა მაგიდაზე მდგარა, ზაზას აქამდე
არც კი შეუნიშნავს. წამოდგომა დააპირა,
მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ეს მი-
სი საქმე არ იყო, უბრალოდ ტელეფონის
ზარის სიჭიუტემ აიძულა წამოწეუ-
ლიყო.

მერე ტელეფონი გაჩუმდა.

ზაზა წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა,
თუმცა გარეთ ვერაფერი დაინახა, ისე
იყო შეორთქლილი მინები.

ტელეფონმა ისევ დარეკა.

მაგდა ისევ არ განძრეულა, თითქოს
დაყრუვდაო.

„ვინ ურეკავს? — გაიფიქრა ზაზამ,
— მე ხომ არაფერი ვიცი, მე ხომ
სრულიად უცხო ვარ...“

ამას იმიტომ ფიქრობდა, რომ ტელე-
ფონის გავრძელებული, ჭიუტი რეკვა
თითქოს იმას ანიშნებდა, რომ ვინც რე-
კავდა, მას ქონდა უფლება, მომთხოვნი
და მოუტრიდებელი ყოფილიყო.

„კი, მაგრამ, რამდენხანს უნდა რე-
კოს ასე?“ — გაიფიქრა ზაზამ და მაგ-
დას შეხედა. მოულოდნელობისაგან
გაშრა, რადგან დაინახა, რომ მაგდა ტი-
როდა. ტიროდა, თუმცა შეიძლება თვი-
თონაც ვერ გრძნობდა ამას, რადგან
ისევ ისე იყურებოდა, ერთ წერტილს
მიშტერებულად.

ზაზა ახლოს მივიდა:

— მაგდა!

მაგდას თითქოს არ გაუგიაო, არ მო-
უხედავს.

ზაზა ტახტზე ჩამოჯდა:

— რა ვატირებს, მაგდა?

უცებ იგრძნო, რომ შენობით მიმარ-
თა, მაგრამ უკან აღარ დაუხეცია და
ისევ ისე გააგრძელა:

— რა ვატირებს, მაგდა, მითხარი!

მერე ხელი მოხვია. მაგდას სახე არ
შეუცვლია, იჭდა ისევ ისე წელგამარ-

თული და ცრემლები ლაპალუპით ჩამო-
სდიოდა.

— ნუ ტირი, ნუ! — ზაზამ შეკრძლზე
მიიკრა მაგდა, — ნუ!

მერე თითქოს თავბრუ დაეხვიაო, თვი-
თონ აღარ იცოდა, რას აკეთებდა, მაგ-
დას ლოყასა და თმაზე კოცნიდა, ასე
თავბრუდახვეული ეჩურჩულებოდა:

— ნუ ტირი, გენაცვალე, ნუ!

მლაშე და მდღლარე ცრემლები ტუჩს
უწვავდა, მაგდას მთელი სახე სველი
ჰქონდა. ზაზა უცებ გამოერკვა, რადგან
მიხვდა, რომ მაგდა მის კოცნას სრულე-
ბით ვერ გრძნობდა. თითქოს სხვაგან
იყო გადასული, სადღაც ძალიან შორს,
საიდანაც მართო თვითონ შეეძლო და-
ბრუნება.

და ეს სიშორე იმდენად ცხადი იყო,
რომ ზაზამ კიდევ ერთხელ ჩათვალა
თავისი თავი ზედმეტად და უცხოდ და
მაგდას ტირილის სრულიად შემთხვე-
ვით, უნებურ მოწმედ. წამოდგა გულ-
დაწყვეტილი და დაბნეული.

სიგარეტს მოუკიდა და ტელეფონს
შეხედა, რატომღაც დარწმუნებული
იყო, კიდევ რეკავსო. ტელეფონი კი
დუმდა.

— რა სულელი ვარ, — მოესმა მაგ-
დას ხმა, — შაბათიე...

ზაზას ხმა არ გაუცია, იმიტომ რომ
არ იცოდა, რა ეპასუხა.

მაგდა წამოდგა:

— ახლავე ჩაის ავადუღებ.

— არ მინდა, გმადლობთ.

— სხვა არაფერი მაქვს.

ზაზამ სიგარეტს მოუკიდა. მაგდამ მა-
გიდასთან მიდგმული სკამი გამოსწია
და დაჭდა:

— თბილისშიც თოვს?

— თოვს.

— როგორ მენატრება თბილისი.

— ჰო, თოვს...

— აქ კი პირველი ნოემბრიდან თოვ-
ლი დევს...

„არაფერი აქვს სათქმელი, — გაიფი-
ქრა ზაზამ, — ან რა უნდა ჰქონდეს?“

— აქ დიდხანს დარჩები?

— არა, დღეს მივდივარ.

— ჰო-ო.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

„ჩვენებ ჰგონია, მოსკოვში მართლა თოვლის სახვეტად ჩამოვედი!“ — გაბრაზდა უცებ ზაზა. თუმცა გრძნობდა, არავითარი უფლება არ ჰქონდა, რომ ასე გაბრაზებულიყო. „მაგას ჰგონია, მე აქ თოვლის სახვეტად ჩამოვედი. მეც ბრწყინვით ჩავეჭექი თვითმფრინავში და ჩამოვფრინდი...“

— ჩაი დავლიოთ, — თქვა მაგდამ, — უცებ აღუღდება.

წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

ზაზა ასეთ სულელურ მდგომარეობაში ჯერ არ ყოფილა. ერთი სული ჰქონდა, სანამ აქედან წავიდოდა, მაგრამ რაღაც ძალა აჩერებდა. შეიძლება ეს თავმოყვარეობაც იყო, არ უნდოდა თავი დაეჯერებინა, რომ ყველაფერი ასე უცებ დამთავრდა. ყველაზე უფრო ამის დაჯერებაა ძნელი, ამიტომ ბოლომდე იმედი გაქვს, შეიძლება მეჩვენება, ან მატყუებენ, ნამდვილად კი ყველაფერი კარგადააო. და შენც იცი, იცი კი არა, იმ ქაობში, რომელსაც სისულელე ჰქვია, ყელამდე ეფლობი. საკვირველი ის არის, თუმცა გრძნობ, რომ ყელამდე ჩაფლული ხარ, მაინც რაღაცას ელოდები.

მაგდა შემოვიდა. კარადიდან ჰიქები გადმოიღო და მაგიდაზე დააწყო, მერე თეფშები მოიტანა:

— მე ქმრის დიდი ფესხაცემლები უნდა მეცვას და სულ შინ უნდა ვტრიალებდე, თქვა მან სიცილით, — მათემატიკა, კიბერნეტიკა, გამოშთვლელი მანქანები ყველაფერი ეს პოზაა, მე უნდა ცოცხი მეპიროს ხელში, ანდა სარეცხს ვრეცხდე.

მაგდამ ეს ისე უბრალოდ და თავისუფლად თქვა, რომ ზაზამ გაიფიქრა, მაგდას მე ნამდვილად არ ვუყვარვარო. რადგან ამის თქმა ასე თავისუფლად მხოლოდ იმათთან შეიძლება, ვისაც მხოლოდ უბრალო ნაცნობად თვლი.

— მერე და რა გიშლის ხელს? — ზაზას უნდოდა მისი ხმა დამცინავი ყოფილიყო.

— რა? — მაგდამ ზაზას შემოხედა, ცოტა ხანს დაკვირვებით უცქირა, მერე თვალი მოაშორა და თქვა, — არაფერი!

იმ წამსვე ოთახიდან გავიდა.

„არაფერი“, რა თქმა უნდა, არაფერი!“

უცებ თავისუფლება იგრძნო, თითქოს რაღაც მძიმე ტვირთისგან განთავისუფლდა.

მაგდა შემოვიდა, ხელში ჩაიდანო ექირა, ჰიქებში ჩაი დაასხა, ასხამდა და თან გაწყვეტილ საუბარს აგრძელებდა:

— არაფერი არ მიშლის ხელს, მე თვითონ ვარ ასეთი, როგორ გითხრა... უცნაური. შენ კიდევ გაიცინებ (ეტყობოდა, იგრძნო, ზაზამ რომ დასცინა) მე კი არ მინდა, რომ უცნაური ვიყო, სრულებითაც არ მინდა. ყველას გონია, რომ მე ვთამაშობ. რომ ახლა ასეთი მოდაა, უცნაური უნდა იყო. მე კი, ხომ გითხარი, ერთი უბრალო გოგო ვარ.. ოღონდ სიცივის მეშინია...

— მერე, მოსკოვში რა გინდა, აქ უფრო არ ცივა?

მაგდამ ჰიქა ზაზას მიუჩოჩა, მერე სკამზე ჩამოჯდა:

— შაქარი ჩაყარე.

ზაზამ შაქარი ჩაყარა.

— აი, ეს ნამცხვარი მიატანე, ცოტა ხმელი კია... ხანდახან, მგონია, გავგიჟდები, ისე მინდა თბილისში ყოფნა...

მერე ჩაი მოსვა:

— მგონი, არც აღუღებულა! არა უშავს... შენ გაგიკვირდა, რომ ვიტყვი. არა?

— რა ვიცი...

— მე თვითონაც გამიკვირდა. არ მეგინა, რომ სხვასთან ვიტყობდი. მართო ვტირი ხოლმე, როცა სულ მართო ვარ...

— მე მგონი, თბილისში რომ ჩამოხვიდე, ჯობია. იქაც ისწავლი მათემატიკას.

— ზაზა, იცი, მე შენ ძალიან მომწონხარ...

— „ახლა მეტყვის, მეგობრებად დავრჩეთო“, — გაიფიქრა ზაზამ და მწარედ გაიღიმა.

— არა, მე არ გეხუმრები. თვითონაც

არ ვიცი, რატომ მომწონხარ, კარგად არც კი ვიცნობ, მაგრამ ნამდვილად მომწონხარ... აი, წელან რომ ვტிரოდი, მაინც კიდევ უფრო მომეწონე, თუმცა არც მახსოვდი, ოთახში რომ იყავი, რომ გამოვფხიზლდი, მერე მომეწონე.

ზაზას მოეჩვენა, ვილაძის ჯიბრით უმეორებდა მაგდა, მომწონხარო, მხოლოდ ეს აღაპარაკებდა. თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და როცა მაგდამ ისიც თქვა, ვიცი, შენც მოგწონვარო, უთხრა:

— არა, მაგდა, მე არ მომწონხარ.

— არ მოგწონვარ? — მაგდა ისევ დააკვირდა, მერე სახე ძალზე მზიარულმა ღიმილმა დაუფარა — აჰა, ესე იგი შენ არ მოგწონვარ?

— ჰო, არ მომწონხარ. — ამას რომ ამბობდა, გრძნობდა, რომ ბავშვივით სულელი იყო.

მაგდას ნელ-ნელა სახე შეეცვალა, ჭერ გაკვირებული იერი მიიღო, მერე საცოდავი და უმწეო, რატომღაც ძლიერ-ძლიერობით თქვა:

— მაშ, არ მოგწონვარ, არა?

— არა...

ზაზას ეგონა, რომ მაგდა თამაშობდა, როგორც კატა დაჰქერილ თავს, ისე ეთამაშებოდა, ეს კი აბრაზებდა, ახლა მას მაგდა სძულდა.

— მე კი მეგონა, — თქვა მაგდამ, — მე კი მეგონა...

— არა, მაგდა, არასოდეს არ მომწონებხარ...

უცებ დაინახა, რომ მაგდა ისევ ტიროდა, ისევ გაუჭვავდა სახე, ისევ გაუშტერა თვალები რაღაცას.

— შენ რა გეშინია? — უთხრა ზაზამ, ის უკვე აშკარად ბრაზობდა, — რა გეშინია?

მაგდას თითქოს არც კი გაუგონია.

— გეყოფა! — უყვირა ზაზამ, — გეყოფა თამაში!

მაგდა წამოდგა, ჩანთიდან ცხირსახოცი ამოიღო, ისევ მაგიდასთან დაჯდა.

— ჰო, მეყოფა, — თქვა მან ჩუმად, — მეყოფა თამაში...

— გეყოფა, — გაიმეორა ზაზამ, მაგ-

რამ სიტყვა გაეგზავრა, რადგან სანამ სიტყვას უამთავრებდა, ეგრძნო, მაგდა გულწრფელად ტიროდა.

— ღმერთო ჩემო, რისთვის გვეპირდება ამდენი ტყუილი? — იკითხა მაგდამ და გვერდზე გაიხედა, თითქოს კიდევ ვილაძე ეგულუბა ოთახში და იმას მიმართავსო.

„თავისას განავრძობს!“ — გაიფიქრა ზაზამ.

— არა, სულ სხვა რამეზე ვლაპარაკობ, — თქვა მაგდამ, თითქოს ზაზას მიუხედავად, — აი, მე დღეს დედაჩემის წერილი მივიღე. ეს უკვე მეათე წერილია, რომელიც არც კი გამიხსნია... იმიტომ რომ ტყუილის მეშინია. მეზიზღება!

ზაზა გაჩუმდა. რა მისი საქმე იყო, რატომ არ კითხულობდა მაგდა ზედის წერილებს?

წამოდგა:

— მე წავალ, დროა.

მაგდამ ამოხედა:

— მიდიხარ?

— ჰო, დროა.

— გინდა, გავაცილებ?

— არა, ნახვამდის.

— ზაზა, — მაგდა ცოტა ხანს გაჩერდა, თითქოს ფიქრობდა, რა ეთქვაო, — არ გეწეინოს...

— რა უნდა მეწეინოს? — ჰკითხა ზაზამ უღარდელი კილოთი.

— ჰო, არ გეწეინოს. მე ასეთი უცნაური ვარ. ვახსოვს, პაპუნასთან რა კარგი იყო?

— მახსოვს.

— ცოლს რატომ არ ირთავ? — ჰკითხა მაგდამ, — დროა.

ეს ყოველად უაღვილო შეკითხვა იყო. ამით ყოველგვარ იმედს, ისევ რომ წამოეყო თავი, წყალი გადაესხა. აქამდე ზაზას კიდევ შეეძლო ეფიქრა რაღაც, როცა წამოდგა, გადაწყვეტილი ჰქონდა. ვეტყვი. რომ უიმისოდ ყოფნა არ შემძლიაო. ეს აზრი თითქმის მისდაუნებურად მომწიფდა შეგნებაში, სიბრაზისა და მოჩვენებითი უღარდულობის საპირისპიროდ. მომწიფდა და ზაზამ კი-

ნალამ კიდეც ერთი სულელური ნაბიჯი გადადვა.

„კიდეც კარგი, — გაიფიქრა მან, — მთლად სასაცილო გავხდებოდი!“

— დროა, — შემოესმა ისევ მაგდას ხმა.

— ჰო, დროა, — დაუდასტურა ზაზა-მაც. — შეკირთავ, ალბათ, — მერე დაუმატა, — მალე!

— აი, ლიზიკო, რა კარგი გოგოა, შეს ადგილას იმას შევირთავდი!

— ლიზიკო?

— ჰო, ლიზიკო. იცი, როგორ მოსწონხარ, ბავშვობიდან.

— მოეწონვარ?

— მე ისე მიყვარს ლიზიკო. ლიზიკოსავით არავინ მიყვარს. ისეთი ჩუმია, წყნარი.

— ლიზიკო? — ზაზა აშკარად გავიწვევებული იყო.

— მაპატიე, — უთხრა მაგდამ, ისინი უკვე კარებში იდგნენ, — არ უნდა მოსულიყავი ჩემთან... მე ყინულისა ვარ... მერე აეროდრომზე, როცა თვითმფრინავისკენ მიდიოდა, ზაზა თავისთვის ერთ სიტყვას იმეორებდა:

„ყინული! ყინული! ყინული!“

მერე თვითმფრინავი ნელა აიწია მაღლა. მერე სტიუარდესას ხმა შემოესმა:

თვითმფრინავი რვა ათასი მეტრის სიმაღლეზე მიფრინავს. საათში შვიდასი კილომეტრის სიჩქარით. თვითმფრინავში ტემპერატურა ნორმალურია. გარეთ კი...

ალარ გაუგია, რამდენი გრადუსი თქვა, რადგან უცებ საოცრად მოუნდა მაგდასთან დაბრუნება.

(გაგრძელება იქნება)

კეკელიძე მარკიანი

ახალი ღმრთობის წიგნიდან

• • •

ომიდან დაბრუნების შემდეგ

...მაგრამ ეს მოხდა ჩემს უნებურად,
რომ დაგიბრუნდი ისევ ცოცხალი...
დავბრუნებულვარ,
დავბრუნებულვარ,
ძველ კალაპოტში ჩადგა ორწყალი.

ისევ ასტეხეს გრგვინვა ხევეებმა,
კვლავ გაჩნდა ფერი ათასნაირი
და აიტაცეს ცისარტყელებმა
ჩემი და მორცხვი ჩემი შაირი.

ნისლივით ჰქრება თურმე მოწყენა,
რაც მჭირდა დალით და უშენობით,
დავიწყებული ძველი ოცნება
დღეს ნათელივით სულში შემოდის.

დავბრუნებულვარ,
დავბრუნებულვარ,
დულს და გადმოდის მთებში
ორწყალი...
მაგრამ ეს მოხდა ჩემს უნებურად,
რომ დაგიბრუნდი ისევ ცოცხალი.

თია თიალე

თია, თიალე,
გული მზიარული,
ვაზი მსხმოიარე,
ყანა თავდახრილი,
შიიარ-მოიარე.
თია თიალე.

თია თიალე,
შუქი მთვარისა,
მხოლოდ ნამცეცია
ძველი სიზმარისა,
ახლა ფოთლებზე რომ
თრთის და შარიშურობს;
ძველი წამებისა,
ძველი სიზმარისა
გახსოვს კიდევ რამე
მალა, ზეცის წიგნში
ძველო სტრიქონებო,

ჩემო ჩანიშნულო
თია თიალე.

თია თიალე,
ცხრამთა მოვიარე
და გზა დიდებამდე
კიდევ შორი არი,
თია თიალე.

შენი ქებათ-ქება
ისევ მენატრება,
ისევ მომინდება
შენი შემართება,
თვალთა შენათება!
თია თიალე.

თია თიალე,
ისევ სიხარული,



ისევ მორიდება,
სადღაც მიმალული
შუქი მომინდება,

ზეცა მოციმციმე
ვარსკვლავ-მსხმოიარე.
ოია ოიალე.

ულექსოდ, ჩემთვის...

ულექსოდ ჩემთვის დილა არ დილობს,
ულექსოდ ჩემთვის აღრე ბინდდება
და სუნთქვა ვინღა გამაიდვილოს,
თუ შთაგონება გამიფრინდება.

ვერ გამაცოცხლებს წვიმა მაისის,
ძარღვებში სისხლს ვერ ამიჩქრიალებს,
დაღგება ჩემი სიმწრის დაისი,
ვერ მოვიშუშებ დარღს და იარებს...

მაშინ სიცოცხლე ქვეყნად არა ღირს,
გამიჭირდება მზესთან თამაში,
დავკენები, როგორც მინდვრის ბალახი
მოულოდნელად ხმება გვალვაში.

ულექსოდ ჩემთვის დილა არ დილობს,
ულექსოდ ჩემთვის აღრე ბინდდება
და არც მსურს სუნთქვა გამაიდვილო,
თუ შთაგონება გამიფრინდება.

• • •


ეს მწველი დარდი ვისღა გავანდო:
ლექსი გავუშვი ბედის ამარა.
ვაინავარდოს,
გაინავარდოს,
გაჰკვეთოს ლურჯი ზეცის კამარა!

ნუ შეგაშინებს ღრუბლის მორევი,
შენ შეკრული ხარ ზღაპრულ ტიფივით.
შენ შეკრული ხარ ჩემი გონებით,
სიხარულით და გულისტკივილით.

იჭროლოს.
ცხრამთა გადაიჭროლოს,
გადულახველი გზა გადალესოს.
ო, მხნედ იყავი, ჩემო სტრიქონო,
ჩემო სევდავ და ჩემო ალერსო.
შორს შენგან შიში, სასოწარკვეთა,
ვინღა მოგაყარონ გზაზე ტალახი.
წელში გასწყვიტე — ელვა გაჰკვეთე,
ბევრი ქელი გაქვს გადასალახი.

მხურვალე მზესთან ფრთები გაშალე
და დუნედ ფრენას ნულარ ეცდები,
მოგავარაყებს ოქროს ჭავშანით
გავარვარებულ მზის ნაპერწკლები...

რადგან გაგაბი მძიმე უღელში,
გამოუცნობო დარდო ფარულო,
იფრინე მხოლოდ ჩემდა ნუგეშად
და მხოლოდ ჩემდა სასიხარულოდ.



იაკინთა ღისაშვილი


გალაკტიონი

მან პოეზიის თვალუწვდენი გაშალა ველი,
 თვალმარგალიტი დააფრქვია აურაცხელი,
 იყო მგზნებარე, ზოგჯერ ნაზი, სათუთი, ნელი
 და კაცის სულში იღუმალი გრძნობის მხილველი.
 ახლაც ვხედავ და მეგობრული ვერ წვდება ხელი,
 სიკვდილის გემით სიცოცხლეში აღარ მოველი,
 მაინც გვაშუქებს მისი სიტყვის დიდი კანდელი, —
 სევდის, ცრემლის და სინანულის მარად მომგვრელი.
 სადღა იგი ყმაწვილური გრძნობა პირველი
 და გატაცება, გატაცება განუსაზღვრელი,
 გურიის მთები, თმაგაშლილი ქალის ხელები
 და სველ სილაში ჩამარხული ვარდის ცრემლები!
 ქარი და წვიმა, ლაყვარლების შორი ნათება.
 იქვე თვითონაც ელვასავით ინთება, ქრება,
 ცეცხლიც ეღება, იალება და არ იწვება,
 მისი ციაგით მშობლიური მიწაც კი თბება
 და სამუდამოდ, სამუდამოდ ჩვენს გულში რჩება.

ზღვის ასული

ზღვის ტალღების თქრიალი და
 ვნებამტკბარი სუნთქვა მესმის,
 როცა ხმელზე გამოვიდა.
 თვალთა ისრებს გულში მესვრის.
 მონუსხული, მოხიბლული
 დავეშვები ზღვის ნაპირსა,
 მეც ზღვასავით მიძგერს გული,
 სასწაულის დანახვისას.
 ასე ვრჩები გაშეშებით,
 მე ორი ზღვით შენაპყრობი,
 თუმცა ვსუნთქავ რაღაც შვებით
 და ვლოცულობ ხელაპყრობით.

ეს წუთები, ეს განცდები,
 ნუ თუ წავა და არ მოვა,
 დრო წაიღებს შავი ფრთებით:
 და დამარხავს ზვირთთა გროვანა
 არა, არა, არა მჭერა,
 რა ჩააქრობს უკვდავ წამებს,
 დროც ჩერდება, — ეაჯება
 ნახშირივით თვალწამწამებს, —
 არ ჩავეიქრეს არასოდეს,
 ზღვის ასული სახელალი,
 სამუდამოდ აღმასოდეს
 და გვათბობდეს მისი ალი.



პეიკაჲ ლოკანაშვილი მიხეილი ღა აღმქსანდრე

მოთხრობა

1

აღმქსანდრე ჯერ ხუთი წლისაც კი არ იყო, ყველა ნიჭიერს რომ ეძახდა. ბავშვმა არც იცოდა, რაში გამოიხატებოდა მისი ნიჭი. რატომღაც არ სიამოვნებდა, მოურიდებლად რომ აქებდნენ და სტუმრებს ემალებოდა. მხრებზე ტვირთად აწვა მახლობელთა ქება და იმედები.

ეს კი იყო, აღმქსანდრეს ხატვა უყვარდა — ხეს ყავისფერი ტოტები ჰქონდა, ტოტებზე მწვანე ფოთლები ხარობდა. ზღვა ლურჯი იყო, წითელი გემიდან შავი ბოლი ამოდიოდა და ცაში იკარგებოდა. შავი თევზები გაბრტყელებულიყვნენ ზღვის ზედაპირზე. სახლს კედელი, ფანჯარა და კარი ჰქონდა, სახურავიდანაც დაკლავნილი ბოლი ამოდიოდა. მზე ყვითელი იყო, ანდა წითელი, მოკლე სხივები ჰქონდა. ცაში გამჰვირვალე თვითმფრინავი ეკიდა.

ზამთრობით აღმქსანდრეს გასასეირნებლად რომ გამოიყვანდნენ, პირდაპირ საცოდაობა იყო ბავშვის ყურება — აღმქსანდრეს მძიმე ყურებიანი ქუდი ეხურა, პალტოს ქვეშ ორი ჯემპრი ეცვა და კაშნე ისე მაგრად ჰქონდა მოქერილი, სულს ძლივს ითქვამდა. თავს გვერდზე ველარც ატრიალებდა, ვინმე გამვლელი თვალში რომ მოუვიდოდა, მთელი ტანით შემოტრიალდებოდა, ამნაირად თუ გააყოლებდა მზერას. ისე იყო გაკოჭილი, ტირილსაც ველარ ბედავდა.

აღმქსანდრე შვიდი წლისა რომ შესრულდა, სკოლაში შეიყვანეს. მუსიკალურ სკოლაშიც ამეცადინებდნენ, ვიოლინოს განხრით. თუმცა აღმქსანდრეს კარგი სმენა ჰქონდა, ვიოლინოზე დაკვ-

რა მაინც არ ეპიტნავებოდა. ძალიან ცოტას მეცადინებოდა და მაინც ხუთები ჰქონდა. იქნება მართლა ნიჭიერი იყო აღმქსანდრე?

თუ მოეწყინებოდა, ხატავდა. ახლა მის ზღვაზე გემებთან ერთად ნავებიც ტივტივებდა. თვითმფრინავიდან პარაშუტით ხტებოდნენ მამაკები, სწორუპოვარი კაპიტანი გემის საქვესთან იდგა. ხატვა დიდად არ სიამოვნებდა, უბრალოდ, დრო გაჰყავდა.

ვიოლინოზე მეცადინეობასაც ძალაუნებურად შეეჩვია. იცოდა, დღეში ორი საათი აუცილებლად რომ უნდა გაეწერა და უხალისოდ, მაგრამ მაინც ყოველდღე უკრავდა. სკოლაშიც ხუთები ჰქონდა, თავისუფალი დრო მაინც რჩებოდა და მხატვრული კითხვის წრეში შეიყვანეს. იქაც უხალისოდ კითხულობდა მხიარულ მოთხრობებსა და ლექსებს.

მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდებოდა, ველოსიპედზე რომ შეჯდებოდა ხოლმე. იმ დროს რომ დაგენახათ, ველარც იცნობდით — ველოსიპედს აღმა-დაღმა დააქროლებდა, მანქანებს ეჯობებოდა, ბევრჯერ იტყინა ხელ-ფეხი, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა. სხვა დროს რომ შეგეხედათ, ვერც დაიჭერებდით, აღმქსანდრე ასეთი გადარეული თუ იყო.

საერთოდ კი ჩუმი ბავშვი გახლდათ, ხმას იშვიათად თუ ამოიღებდა, რადგან მხატვრული კითხვის წყალობით ყოველი სიტყვის წარმოთქმისას დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა. ვიოლინოზე დაკვრა ისევე ეზარებოდა და ცოტათი სინდისიც კი აწუხებდა — საბოლოოდ მა-

სწავლებელს იმედებს ვერ გაუფართოლებო. მაინცდამაინც არც ტოლებთან თამაში ეხალისებოდა. კიდევ კარგი, ველოსიპედი რომ ეგულებოდა.

ალექსანდრე ორკესტრშიც მეცადინეობდა. ძალიან მკაცრი ღირიეორი ჰყავდათ, ბავშვებს არ უყვარდათ ის კაცი. ალექსანდრესათვის ორკესტრში დაკვრა წამება იყო, მაგრამ ერთხელ ძველი ღირიეორის ნაცვლად სარეპეტიციო დარბაზში სწრაფი და მხნე ნაბიჯით შემოვიდა გამართული კაცი, უეცრად შეჩერდა, მოსწავლეები შეათვალიერა, გაიღიმა და სთქვა: — გამარჯობათ, გვრიტებო, მე თქვენნი ახალი ღირიეორი ვარ.

ბავშვები პირდაღებულნი შეაქქერდნენ, კაცმა გაიცინა, უეცრად ძალიან სერიოზული სახე მიიღო და თავი დახარა — მიხეილ სანაძე! ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით...

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს, ახლადშემოსულმა კი საქმიანად გამოაცხადა — გთხოვთ დაიკავოთ ადგილები, რომელია კონცერტმეისტერი? ძალიან კარგი, რას უკრავთ? ო, ფრანც შუბერტი ღიღებულისა, აბა, ავაწყოთ ინსტრუმენტები.. არა, სწორი არ არის, — სახე მოკმუნა და წაილიღინა — ლა-ა..

ყველასათვის აშკარა ვახდა, რომ ახალ ღირიეორს აბსოლუტური სმენა ჰქონდა — მის მიერ აღებული ნოტი როიალზე შემოწმდა.

— ბოდიში, როგორ მოგმართოთ ხოლმე? — ჰკითხა პირველმა ვიოლინომ.

— მაშის სახელს გეტყოდით, მაგრამ რა საჭიროა ასეთი ოფიციალობა, მანსტრო დამიძახეთ.

მშვენიერად ამბობდა ამ სიტყვას — „მანსტრო“. „მანს“-ს ისე იძახდა, თითქოს ზევით, ცისკენ მიფრინავდა; ოდნავ მოღუნულიც რომ ყოფილიყო, მაშინვე გასწორდებოდა და ისე იტყოდა — „მანს“. შემდეგ კი „ტრო“-ს ისეთი ნაზი თრთოლვით წარმოსთქვამდა. თითქოს ამ მარცვალს წვრილი თოკი ჰქონდა გამობმული და ისე არხევდა. მოკ-

ლედ, მაშინვე შეაყვარა ბავშვებს ეს სიტყვა.

— აბა, ვახსენოთ ღმერთი და მღაბწყოთ. — მხნედ წარმოსთქვა და ხელები მალლა ასწია, — ვუკრავთ შუბერტს!

დაიწყეს თუ არა, მაშინვე ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა — საწყალი ფრანცი თქვენს ხელში... აბა, მიპასუხეთ, ყურები რომ ჩამოგიყრიათ, რა სწერია, როგორ დაუკარიოთ?

— ფორტისიმო.

— მერე, ეგ სიტყვა რას ნიშნავს?

— „ძალიან ხმამაღლა“-ს ნიშნავს, მანსტრო, — უთხრა პირველმა ვიოლინომ.

— მერედა, დღეს არაფერი არ გიჭამიათ? ქალაქუნებო...

მერვეკლასელი ბიჭებისათვის ეს დიდი შეურაცხყოფაა. მათ ვიოლინოები, ალტები და ჩელოები მოიმარჯვეს და მოეშხადნენ, მაგრამ მანსტრო მიხეილმა თქვა: — მისმინეთ, ჰაბუკებო და გოგონებო. მე თქვენ გასწავლით, როგორ უნდა დაუკრათ ფორტისიმო — იგი ჩაფიქრდა. საოცარი სახე ჰქონდა ამ კაცს — თუმცა ხშირად ილიმებოდა და თვალეები უციმციმებდა, მაინც დანადვლიანებული გეგონებოდათ.

— დიდი ხნის წინათ, — დაიწყო მანსტრომ, — ცხოვრობდა ერთი კაცი — სამსონი. იგი ძალიან ღონიერი და ამასთანავე სამართლიანიც იყო. მისი ძალა მისსავე თმაში იყო, — მანსტრომ თავზე გადაისვა ხელი. — და აი, ერთხელ, მას მიეპარა ბოროტების მოციქული და თმა მაკრატლით შესჭრა. გამოეღვიძა თუ არა კეთილ სამსონს, მაშინვე დილა ხის გადატეხვა მოუნდა, ხელი წაჰკრა, მაგრამ თვითონვე წაიჭია. შემდეგ წამოდგომაც კი გაუჭირდა.

მიხეილი ბავშვების ასაკს ითვალისწინებდა და დარწმუნებული იყო, მის ნაამბობს სასურველი შედეგი მოჰყვებოდა. ამიტომაც ძალზე ხალისიანად ლაპარაკობდა.

— ძლივს დაიარებოდა ჩვენი ბეჩაევი სამსონი, — განაგრძობდა მანსტრო. —

ახლა მასავით უძლური აღარავინ იყო დედამიწის ზურგზე. ბარბაცებდა, დალასლასებდა იგი. ერთხელ გულმა ველარ მოუთმინა და ზეცას შესთხოვა — ღმერთო, ღმერთო, დამიბრუნე ძალაო. ღმერთს შეეცოდა სამსონი და დაუბრუნა ძალა. გახარებული სამსონი დიდ მთას დაეძგერა, ხელები შემოხვია და სულ დაფშვნა. გესმით, — ფეხზე წამოდგა მაესტრო, — მთა დაფშვნა, უშველებელი მთა, გესმით, როგორ მოხშუის მიწა, მძიმე ლოდები ენარცხებიან, აი, ესაა ფორტისიმიო! აბა, ვითომ სამსონები ხართ, დასცხეთ, აბა! — მაესტრომ ხელი დაიჭინა თუ არა, მოსწავლეების ხემები გამეტებულად ეძგერა სიმებს. რალაც გასაოცარი ხმები გაისმა, ორ მოსწავლეს სიმებიც კი გაუწყდა. მგრძნობიარე მაესტროს კანი აებურძგლა, მაგრამ...

— ბრავო, ბრავისიმიო, — შეაქო მან მოსწავლეები, — თქვენია მომავალი.

პატარა ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ თავახიანად გამოაცხადა — ცოტა ნელა დაუკარით, ყმაწვილებო, სამსონი მხოლოდ ერთი კაცი იყო.

ალექსანდრე მხატვრული კითხვის წრეში ისევ დადიოდა. იქ მთელი წლის განმავლობაში სწავლობდა, თუ როგორ უნდა წაეკითხა მხატვრულად ო. თუმანიანის პოემა „ერთი წვეთი თაფლი“. ვიოლინოზე დაკვრას ვანაგრძობდა. სხვა მუსიკალურ საგნებსაც ასწავლიდნენ. ერთი სიტყვით, ალექსანდრეს ხელოვნებასთან გარკვეული კავშირი ჰქონდა, მაგრამ ეგრეთწოდებული აღმაფრენა აკლდა. ერთადერთი მასწავლებელი. ვისი დანახვაც ამზიარულებდა, მაესტრო მიხეილი იყო, მაგრამ ორიოდეთვის შემდეგ ორკესტრში ახალი დირიჟორი მოვიდა. მას ძალიან ამაყად ეჭირათავი, თანაც ტრაბახი უყვარდა — თურმე ერთხელ ბორჯომის პარკში დირიჟორობდა და მოულოდნელად სინათლე გადაიწვა. არ დავიბენიო, უამბობდა ბავშვებს ახალი დირიჟორი, ხელზე ცხვირსახოცი შემოვიხვიე, ორკესტრანტებმა

თეთრი ნაჭრის მოძრაობა დაინახეს და რიტმი არ დაიკარგაო. მუსიკოსებმაც ბნელეში ნოტებს როგორ მარწყვდნენ, ამაზე არაფერი უთქვამს. ალბათ, ზეპირად თუ იცოდნენ. მოკლედ, კაცი ვერ გაიგებდა, ტყუილს ამბობდა თუ მართალს, ალექსანდრე კი ეჭვით შესცქეროდა მას და ძველი მაესტრო ასხენდებოდა.

მეთერთმეტე კლასში ალექსანდრე საბოლოოდ დარწმუნდა, მისგან პროფესიონალი მუსიკოსი რომ არ გამოვიდოდა. მეცადინეობაზე ხელი აიღო და თავს დამნაშავესავით გრძნობდა, როცა თავის ვიოლინოს უყურებდა — ტყუილად ნაწვალზე ვიოლინოს. მხატვრულ კითხვასაც თავი მიანებდა. რამდენჯერმე მაესტრო მიხეილი დანახა ქუჩაში. მაესტრომ არხეინად სიარული იცოდა, გუნებაში რომელიმე ნაწარმოებს ლიდინებდა და ამ ნაწარმოების ტემპის შესაბამისად დადიოდა — ხან სწრაფად, ხან ნელა. მარჯვენა ხელის თითებს მკერდზე ათამაშებდა, ილიმებოდა და ცოტა გაკვირვებულ გამვლელებს მოხერხებულად უქცევდა გვერდს.

2.

ალექსანდრემ სკოლა დაამთავრა და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. პირველ ხანებში ლექციებს არ აცდენდა, აუდიტორიაში გრძელ მერხზე ჯდებოდა და ლექტორს უსმენდა. ხანდახან ფიქრებში გაერთობოდა, ანდა თანაკურსელებს ათვალერებდა.

ალექსანდრეს კურსზე ოცდასამი გოგო სწავლობდა, ერთ-ერთ მათგანს კი... თამუნა ერქვა. ლექციების დროს თამუნა თავის ამხანაგს ეჩურჩულებოდა, რაც კარლოს არ სიამოვნებდა. იგი მკაცრად შეხედავდა ხოლმე თამუნას და გოგონა ჩუმდებოდა. კარლო ოცდათხუთმეტი წლის მამაკაცი იყო, ჯარი და ფლოტი მოვლილი ჰქონდა, უკვე ჰკუაღამჯდარი კაცი გახლდათ და ჩვიდმეტი წლის გოგონას ასეთი საქციელი აღელვებდა ხოლმე. ერთხელ, როცა მისმა მზერამ

ველარ გასჭრა, პირდაპირ იერიშზე გადავიდა — ქალიშვილო, თუ შეიძლება, ხუ ჩურჩულეთ.

— კი მაგრამ, რას გიშლით მაგისი ჩურჩული? — გაიკვირვა თამუნას ამხანაგმა.

— რას და მიშლის! სწავლა მინდა მე!

— რაშია საქმე? — იკითხა ლექტორმა.

ზმას არავინ იღებდა.

— რაშია-მეთქი საქმე?

— ამ კაცს სწავლა უნდა. — გამოაცხადა უცებ თამუნამ.

— რომელს?

— მე, პატივცემულო, — ფეხზე წამოდგა კარლო.

— ძალიან კარგი, ძალიან, — მოუწონა ლექტორმა, — დაბრძანდით.

სწავლის დაწყებიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, ალექსანდრე უნივერსიტეტის სიმფონიურ ორკესტრში რომ ჩარიცხეს. დარბაზში შევიდა თუ არა, მანქანა მიხეილი დაინახა. იგი რაღაც ამბავს ჰყვებოდა — ჰოდა, თავისი სიტყვა რომ შეესრულებინა, ბევრს შრომობდა, თანაც ზეციდან ნიჭით იყო დაჯილდოებული. მართალია, წონაში დაიკლო და გაძვალტყავდა, თავის გადაწყვეტილებას მაინც ხორცი შეასხა. ასეა, ბევრი უნდა იმუშაოთ. თქვენ რა გნებავთ? — ალექსანდრე ვერ იცნო.

— მე თქვენთან გამომგზავნეს.

— ო! — გაეხარდა მანქანის — რაზე უკრავთ?

— ვიოლინოზე.

— რა დაამთავრეთ?

— მუსიკალური ტექნიკუმი.

— დიდებულია, ღმერთმანი, თქვენი სახელი მაჩუქეთ.

— ალექსანდრე.

— ოო, კარგი სახელია, მაკედონელი.. ინსტრუმენტი გაქვთ?

— დიახ.

— რომ ვერა ვხედავთ? — თვალები განგებ მოკუტა.

— მომავალ რეპეტიციაზე მოვიტან.

— ძალიან კარგი, ყოჩაღ, — გაამხ-

ნევა მანქანაში, — ახლა კი დაჩქეტი და გვიყურე.

ცოტახანს ფიქრობდა, შერე გამოცრევა და ომანიანად გამოაცხადა:

— ვუკრავთ ბიზეს!

ზედმეტი არ იქნება, ორკესტრს თვალი რომ გადავავლოთ. ძირითადად იგი შედგებოდა ხელმოცარული მუსიკოსებისაგან, მეექვსე-მეშვიდე კლასში სწავლას თავი რომ დაანებეს. იყვნენ ისეთებიც, მუსიკალური ტექნიკუმი რომ ჰქონდათ დამთავრებული, ხოლო რამდენიმეს უმაღლესი მუსიკალური განათლება ჰქონდა. მოკლედ, ასეთი ჰრელი ხალხი სტადიონზე თუ შეიკრიბება. რამდენიმე ინსტრუმენტი სულაც არ იყო — პირველი საყვირი მხოლოდ კონცერტებზე მოდიოდა, ოპერიდან იწვევდნენ. არ იყო ფლეიტა და ჰობოიცი. პირველ ვიოლინოებს არაუშავდათ, ასე თუ ისე უკრავდნენ, მეორე ვიოლინოებში კი ბევრი „უცოდინარი“ იჭდა, ძნელად დასაყრავი ადგილების დროს მხოლოდ ხემის ქნევა ევალებოდათ, ოღონდ ისე, რომ ვიოლინო არ უნდა აეხმაურებინათ.

— აბა, დავიწყეთ!

დაიწყეს. რადგან ჰობოი არ იყო, მის პარტიას მანქანაში ღილინებდა და თან დირიჟორობდა. დროდადრო შეიძლებოდა მიხვედრა, რას უკრავდნენ. უეცრად მანქანაში ხელების ქნევა შესწყვიტა და საშინლად გაბრაზდა — კლარნეტი! რატომ არ შეხვედი დროზე?

„კლარნეტი“ თავი ჩაღუნა.

— ვის ვეკითხები?

— ჩავფიქრდი.. უნებურად.

— აჰა! ჩაფიქრდი, არა? ოო, მოაზროვნე ხარ? შენი ჰირიმე... რა დროს ფიქრია, თავხედო!

„კლარნეტი“ ოცი წლის ჯგელი იყო. ფეხზე წამოდგა და საკმარის უკმხად უთხრა — თქვენ ცოტა ენას მოუარეთ.

— ღმერთო დიდებულო, — გაიოცა მანქანაში, — ვის უბედავ, თავზეხელაღებული? დასტოვე დარბაზი! ნუ გამაბრაზებ, თორემ შემდეგ გვიანდა იქნება თითზე კბენანი.



— ბოდიში, მავსტრო.
 — მიპატიებია, ჯანდაბას. უნდა დავ-
 წყნარდე... შესვენება!
 უცნაური კაცი იყო მავსტრო მიხეი-
 ლი.

ტრამვაი დაიძრა.
 — ბოდიში, თუ შეიძლება, გადა-
 წოდეთ, ერთი ბილეთი მინდა.. ოჰ,
 თქვენა ხართ?

— დიახ, გამარჯობათ, ერთი ბილე-
 თიც მომეცით, — ალექსანდრემ სამ-
 კაპიციანი გაუწოდა კონდუქტორს.

— რატომ წუხდებით, — დაიმორ-
 ცხვა თამუნამ.
 — რას ბრძანებთ, რა შეწუხებთა...

ტრამვაი მოსახვევს მიუახლოვდა და
 გოგონა უეცრად გვერდზე გადაიხარა;
 სკამს ხელი ჩასჭიდა და თავი ძლივს
 შეიმაგრა, მერე მორცხვად გაუღიმა
 ალექსანდრეს.

— თქვენ წელს დაამთავრეთ, არა?
 — დიახ.
 — მეც.
 — მოგწონთ ჩვენი კურსი?
 — რა ვიცი, ჯერ თითქმის არავის არ
 ვიცნობ.

— რა თქმა უნდა, ათ დღეში ძნელია
 ადამიანის გაცნობა.
 — დიახ.

ტრამვაი მიდის, მიდის, რახრახებს.
 — თქვენ რა გჭვიათ?
 — მე? ალექსანდრე.
 — სანდრო?
 — არა, ალექსანდრე.

ტრამვაი გაჩერდა.
 — მე ახლა ჩავდივარ, გმადლობთ,
 ნახვამდის.
 — ნახვამდის, რისი მადლობა...

3.

— აბა, დავიწყეთ! ვუკრავთ დაისის
 შესავალს. ჰობოი არ არის, არა? არა
 უშავს, მეორე ციფრიდან დავიწყეთ.
 აწყვეთ ინსტრუმენტები? ძალიან კარგი,
 აბა, ყურადღება.. ერთი, ორი, სამი,
 ოთხი, ერთი, ორი, სამი.. კლარნეტ! რო-

მელი ნოტები სწერია მეორე ციფრის
 მეორე ტაქტში?
 — მაპატიეთ, მავსტრო.

— თავიდან დავიწყეთ. არა, თავიდან
 კი არა, მეორე ციფრიდან. ყურადღე-
 ბა... ერთი, ორი...

უეცრად სინათლე ჩაქრა.
 — რაშია საქმე? — გაისმა მავსტროს
 ხმა.

— სინათლე გადაიწვა, — წამოიძახა
 ალექსანდრემ.
 — მართლა? აბა გარეთ გაიხედე.
 მთელ შენობაში გადაიწვა თუ მხოლოდ
 აქ?

— მთელი შენობა ჩაბნელებულია,
 მავსტრო.

— სამწუხაროა; ალბათ, ცოტა ხნით
 გამოორთეს. რალა დაგვრჩენია, გულ-
 ხელი დავიკრიფოთ და დავიცადოთ.
 ხმას არავინ იღებდა.

— ცუდია, ცუდი, სინათლე რომ გა-
 დაიწვა, — თქვა მავსტრომ და იკითხა,—
 არა?

არც ახლა ამოუღია არავის ხმა. ალე-
 ქსანდრემ ვიოლინო მუხლებზე დაიდო,
 შემდეგ თითი ფრთხილად გამოჰკრა
 სიმებს.

— ბნელა, — ხმამალა გამოაცხადა
 ვილაცამ.

— არა უშავს, — გაისმა მიხეილის
 ხმა, — თუ გინდათ, მეტად საინტერესო
 ამბავს მოგიყვებით.

— დიახ... მოგიყვებით, მავსტრო.
 — უფრო სწორად, ეს ამბავი კი არა,
 ერთი გენიოსის დახასიათებაა. გინდათ?
 — დიახ.

— მაშინ, დავიწყებ... ესე იგი. ასე —
 მისი სახელია ჯოაკინო. გვარი კი რო-
 სინი. იგი დაიბადა 1792 წლის 29 თებერ-
 ვალს; მაინცაღამაინც 29 თებერვალს,
 წარმოვიდგენიათ? იგი დაიბადა აპენი-
 ნის ნახევარკუნძულზე, მშვენიერ იტა-
 ლიაში. ბავშვობა და ყრმობა გაატარა
 თვალწარმტაც ქალაქში, რომლის სახე-
 ლია პეზარო. დიდი როსინი პატარაო-
 ბაში ცელქი და მოუსვენარი ბიჭუნა
 იყო. იგი ფეხშიშველა დარბოდა მწვა-
 ნე ბალახზე, ზეთისხილის ხეებზე აძვრე-

ბოდა ხოლმე და, ალბათ, ალტაცებით შესცქეროდა იტალიის კრიალა ცას. მშვენიერი სმენა მემკვიდრეობით მიიღო, დედისაგან — ანა გვიდარინი მეტად მუსიკალური ქალი იყო. პატარა როსინი ყურს უგდებდა აღრიატიკის ზღვის ფშინევას, ყინულოვანი ჩანჩქერების ხმაურს, ფოთლების შრიალს, წისკვილის საამო გუგუნს და ყოველივე ამისა და ვინ იცის, კიდევ რის გამო, მშვენიერ ხასიათზე დგებოდა და ლაღად, თავისუფლად სუნთქავდა. ეს ის სუნთქვაა — გენიოსის სუნთქვა. ასეთი იყო იგი ბავშვობაში და შემდეგაც, მთელი სიცოცხლის მანძილზე. მან ყოველთვის იცოდა, როგორ უნდა ესუნთქა. რამდენიმე წლის შემდეგ კი მუსიკა მისთვის ჰაერი გახდა, ყველა ხედებოდა ამას, დიდი მაესტროც ასე ამბობდა თავის თავზე: „მუსიკა ჩემთვის ჰაერია, რომლითაც ვსუნთქავ“. ასე ამბობდა იგი. ხომ არ მოგწყინდათ ჩემი ლაპარაკი?

— რას ბრძანებთ, მაესტრო. — უთხრა პირველმა ვიოლინომ.

— აღარ იკითხავთ, რა ხდებოდა ამ დროს იტალიაში? საწყალი იტალიელები ამ დროს ავსტრიელთა უღელქვეშ იმყოფებოდნენ. საბრალოებს, არ გაუმართლათ საფრანგეთის რევოლუციამ, რომელსაც იმედით შესცქეროდნენ, არც ნაპოლეონმა, არც ვენის კონგრესმა. ისინი კიდევ უფრო თავისუფლებას მოკლებულნი აღმოჩნდნენ, გაწამებულნი და იმედგაცრუებულნი, რეაქციის ქვეშ მოკყვნენ, თითქოს იმედიც გადაიწყვიტეს... ზანტად, მძიმედ გადიოდა უხალისო დღეები, საბრალო იტალიელებმა აღარ იცოდნენ, რა ელონათ.. თითქოს არსაიდან არ იყო საშველი... და როგორ გგონიათ, აღმოჩნდა თუ არა გამოსავალი? აღმოჩნდა აღმოჩნდა, რადგან სწორედ ამ დროს მთელ იტალიაში გაისმა როსინის უშფოთველი, დიდებული, ღვთაებრივი სუნთქვა. მთელი ხალხი — ეს გატანჯული, იმედდაკარგული ადამიანები მიაწყნდნენ იტალიის საოპერო თეატრებს, სადაც დასი

აღმაფრენით ასრულებდა ისეთ შედეგებს, როგორიცაა „ტანკრედო“, „იტალიელი ქალი ალფირში“, „ხევილიტო დალაქი“, „ვილჰელმ ტელი“, „ქურდი კაქკაქი“ და ასე შემდეგ. ხალხში ეპიდემიასავით გავრცელდა როსინის დიდებული სუნთქვა, იტალიელებმა შევებით ამოისუნთქეს, თითქოს დაავიწყდათ კიდევ ის უბედურება, იმ ხანებში რომ გამოიარეს. აი, რა შეუძლია მუსიკას, მე დიდებულ მუსიკას ვგულისხმობ, რატომ უნდა. სუნთქვა მთავარია, თუ მუსიკის საშუალებით ლაღად სუნთქვას ისწავლი, მაშინ აღარაფერი აღარ დაგადარდიანებს, აღარაფერი გინდა, პურიც კი. თუმცა, — მაესტრო დაფიქრდა, — სიმართლე რომ ითქვას, პური მაინც საჭიროა. ცხოვრებაში კი.. ო, სინათლაც მოვიდა. ცხოვრებაში კი მხიარული, ენამოსწრებული კაცი იყო დიდი ჯოაკინო. იუმორის შესანიშნავი გრძობა ჰქონდა, ქალები უყვარდა და უეცარი გაბრაზებაც იცოდა — თუმცა იმ ხანებში ასანთი არ არსებობდა, ასანთივით აფეთქდებოდა ხოლმე. ასეთია მისი მოკლე, მეტად მოკლე დახასიათება, ახლა კი რეპეტიცია განვაგრძობთ. მართლა, მე ხალხში მაქვს როსინის ოპერების მშვენიერი ჩანაწერები; ვინც ამ ფირფიტების მოსმენას მოისურვებს, მისთვის ჩემი სახლის კარი მუდამ ღია იქნება. ახლა კი განვაგრძობთ, ვუკრავთ დაისის შესავალს. პობოი არ არის, არა? არა უშავს, მეორე ციფრიდან დავიწყეთ. ყურადღება.. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ერთი, ორი, სამი... კლარნეტ!!

— გამარჯობათ, ალექსანდრე.

— გამარჯობათ, არ შეგიშვავთ ლექტორმა, თამუნა?

— მე თვითონ არ შევსულვარ. უხერხულია, დამაგვიანდა და...

— მეც დამაგვიანდა, როგორც ხედავთ. საათი გაჩერებულა და... რა ექნათ?

— რა ვიცი, აბა — თავი გვერდზე გადასწია გოგონამ და უეცრად შეეშინდა — დეკანი რომ გაგვიბრაზდეს?

— რას ამბობთ... თამუნა, — გაიღიმა ალექსანდრემ, — ვერც ვაიგებს. რა მოხდა, პირველად დავაგვიანეთ. მართლა, აქ შეიძლება ჩვენმა დეკანმა გამოიაროს, სადმე სხვაგან მოვიცადოთ და მეორე საათზე შევიდეთ.

— კი მაგრამ, სად წავიდეთ?

— ბალში მოვიცადოთ, გინდა?

ბალში გრილოდა. დაბალი კაცი ხეებს რწყავდა და სასიამოვნო სიგრილე იდგასკამზე დასხდნენ, გოგონამ თმა შეისწორა, მერე ხელი მუხლზე დაიღო და ფეხსაცმლის წვერით წითელ მიწაზე რაღაცა გაჩხაპნა.

— ხატვა იცით? — ჰკითხა ალექსანდრემ.

— არა. რატომ მკითხეთ?

— ისე.

— ისე არაფერი არა ხდება.

— როგორ არა.

— მაინც?

— რა ვიცი, აბა? — მხრები აიჩეჩა ალექსანდრემ.

— ეს რა ხეა?

— ეს, მგონი, ცაცხვია... შეიძლება ცაცხვი არ იყოს, მაგრამ არც მუხაა. მუხას უფრო სხვანაირი ფოთლები აქვს და საერთოდ სხვანაირია.

— რკოცა აქვს.

— დიახ, რკოც.

— ალექსანდრე, გინდა, კევი ვიყიდოთ?

— როგორც გნებავთ.

— არ ვიყვარს კევი?

ალექსანდრეს არ მოსწონდა, როცა ვინმე კამეჩივით იცოხნებოდა.

— რა ვიცი...

— წამოდი, ვიყიდოთ.

ბალის შესასვლელთან მზემოკიდებულ კაცი იჭდა და ეშმაკურად იძახდა — აბა, კევი, კევი, სიყვარულის წამალი.

ალექსანდრეს აშკარად ესიამოვნა ამ სიტყვების გაგონება, თამუნა ოდნავ წამოწითლდა.

— მოგვეციტ კევი, — ალექსანდრემ იმ კაცს აბაზიანი გაუწოდა.

— ა, ჰირიმიე.

— ორი არ გვინდა, ერთი.

— ორი აილე, შე კეთილო კაცო, წამალი კი არ არი...

— ერთი გვინდა, ერთი, — ხურდა — არ მინდა.

— იცოცხლე, გენაცვალე, იბედნიერეთ...

ახლა კი თამუნა აშკარად წამოწითლდა და შადრევანისაკენ გაემართა. ალექსანდრე უკან გაჰყვა. შადრევანს ვიღაც მსუქანი კაციც მიუახლოვდა და ნაბიჯს აუჩქარა; ორიოდ წამით დაასწრო თამუნას და წყალს დაეწაფა. ძალიან დიდხანს სვამდა; ალექსანდრე შადრევანთან მივიდა, დადგა, მიმოიხედა, მერე საათს შეხედა; კაცი ისევ სვამდა წყალს და თამუნა გაბრაზებით დასცქეროდა სქელ კისერზე. როგორც იქნა, კაცი წელში გაიმართა და მთელის გრძნობით ამოიხენეშა. თამუნამ ათვალწუნებით შეხედა, და კაცმა თვალი აარიდა. მერე თამუნამ კევი წყალში გაავლო და სკამისაკენ გაემართა.

— გავიყოთ, გინდა?

— კი.

თამუნა გემრიელად ამოძრავებდა ყბებს და თავს აქანავებდა. ალექსანდრემ უყურა, უყურა და გაიღიმა.

— რატომ იციანი?

— კევი... გეყვარებია.

4

მიხეილი და ალექსანდრე ერთმანეთს ტროლეიბუსის გაჩერებასთან შეხვდნენ.

— ოჰ, შენ ვიოლინო არა ხარ?

— დიახ.

— რატომ ვააცდინე ბოლო რეპეტიცია.

— არ გამოცდენია, მაესტრო.

— მართლა? ყოჩალი ბიჭი ხარ.. შენი სახელი მაჩუქე.

— ალექსანდრე.

ამასობაში ტროლეიბუსიც მოვიდა. ჯერ მიხეილი შევიდა, კონდუქტორს მაშინვე მანეთიანი გაუწოდა და გაეხუმრა — ორი ბილეთი მომეციტ პარტერში, თუ შეიძლება.

კონდუქტორი სქელი, წითელლოყება

ქალი იყო. ჯერ ვერ მიხვდა, რა უთხრეს, შემდეგ მიხვდა და გაიღიმა.

— გაიღიმეთ, გაიღიმეთ, უფრო გაბედულად, — შეაგულიანა მაესტრომ—სიცილი ჯანმრთელობაა.

— მე შავი ფული მაქვს, — მორცხვად ჩაუბრუნა ალექსანდრემ.

— შავი? ვერ დავიჯერებ.

ალექსანდრე დაიბნა, კონდუქტორი ალტაცებით შესცქეროდა მიხელის.

— აი, მაესტრო.

— არ აიღოთ, — უთხრა მიხელმა კონდუქტორს, — ეს თუ შავია, მე მტრედისფერი ვყოფილვარ.

კონდუქტორმა ჩაიკისკისა.

— აბა რა არი?

— ოქროსფერია, ყმაწვილო.

ალექსანდრემ დაიმორცხვა.

— თან მანეთიანის დახურდავებაც მინდა. ხომ დამიხურდავებთ?

— სიამოვნებით, პატივცემულო, — გაუღიმა კონდუქტორმა.

— მშვენიერი ქალი ბრძანდებით. მე რომ დიქტორი ვიყო, დღესვე რადიოში გამოვაცხადებდი: თბილისის დროით 17 საათი და 18 წუთია. ვიწყებთ გადაცემას ბავშვებისათვის. გამარჯობათ, ბავშვებო. იცით თუ არა თქვენ, ბავშვებო, რომ აფრიკაში ბინადრობს ორსართულიანი სახლის ოდენა მწერი და რომ (მაესტრომ ტროლეიბუსს თვალი მოავლო) მერვე მარშრუტის № 81 ტროლეიბუსში მუშაობს გულისხმიერი და ღირსშესანიშნავი კონდუქტორი?

კონდუქტორმა გულიანად გადაიხარხარა. სქელი ქალი იყო, სიცილის დროს თვალები ეხუტებოდა.

ტროლეიბუსიდან რომ ჩამოვიდნენ, მაესტრომ ცოტათი მოიწყინა. შემდეგ ალექსანდრეს მიუტრიალდა — სადმე ხომ არ გეჩქარება?

— არა, არსად.

— მაშინ უნივერსიტეტის ბაღში ჩამოვსხდეთ და ვილაპარაკოთ, კარგი?

სკამზე როგორც კი დასხდნენ, მიხეილმა ჰკითხა — შენ გიყვარს მუსიკა?

— დიახ.

— ძალიან კარგია, ძალიან. მუსიკა,

ჩემო ალექსანდრე, საერთაშორისო ენაა. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ გეგონოს, საყოველთაოდ ცნობილი აზრია. ასეა თუ ისე, მუსიკა ყველასათვის ხელმისაწვდომია, უფრო სწორედ — ყურმისაწვდომი. არ არსებობს ისეთი ადამიანი, მუსიკა რომ არ უყვარდეს — უკანასკნელ რეგვენსაც კი უყვარს მუსიკა. ერთხელ, როცა დიდებული როსინი ვენეციაში თავის რომელიღაც ოპერას ღირიფორობდა, მტრებმა დარბაზში მოსყიდული სალახანები შეუგზავნეს. ამ ბნელ პირობებში უნდა ჩემშალათ ოპერა — უნდა დაესტვინათ, ელჩივალათ და ასე შემდეგ. ისინი შლეგებივით შეიჭრნენ დარბაზში, იქ კი... იქ ისმოდა დიდი მაესტრო როსინის დიდებული, უდრტივული. ღვთაებრივი სუნთქვა, დარბაზში დაფარვატებდა ოცნება ჯერ არანახულ, მომზიბველ ქვეყანაზე, სადაც ადამიანები მშვიდად, ბედნიერად და უდარდელად ცხოვრობდნენ. დარბაზში შეცვნილნი შეკრთნენ, დაიბნენ, შემდეგ კი გაინაბნენ და როცა უვერტიჟურა დამთავრდა, ტაშისცემისაგან კინაღამ ჩამოინგრა ვენეციის მშვენიერი თეატრი. ისინი ტაშს უკრავდნენ და თან ღრიალებდნენ — ბრავო, მაესტრო, ბრავისიმო!!! ოპერა ტრიუმფით დამთავრდა, ბანკეტზე მაესტრო როსინი ლამაზი ქალების შუაში იჯდა და არც იცოდა, რას გადაურჩა... იგი თავს არხეინად ვრძნობდა მომზიბველი ქალების საზოგადოებაში და ნელ-ნელა წრუპავდა ქარვისფერ ღვიწის.

მიხეილმა სული მოითქვა და პატარა ხანს ჩაფიქრდა.

— ეეჰ, მაინც რა უცნაური დარგია ჩვენი დარგი, — განაგრძო მაესტრომ — კუნთმაგარ ძალოსნებსაც კი არა სჭირდებათ იმდენი ვარჯიში, რამდენიც ჩვენ. თუ მუსიკოსობას დააპირებ, ყოველდღე რვა საათი მაინც უნდა დაუკრა, ხოლო დარჩენილი დრო ფირფიტების მოსმენასა და მუსიკაზე ფიქრს უნდა მოანდომო. სიზარმაცე და მუსიკა ისევე ვერ შეეთვისებიან ერთმანეთს.



როგორც... ცეცხლი და ყინული. მთავარია მუყაითობა და სიბეჭითე, უმთავრესი კი მაინც ნიჭია. თუ მუსიკოსს ნიჭი არა აქვს, ტყუილია, წასულია იმისი საქმე. უნიჭო კაცი შეიძლება ფილოსოფიისა და ფილოლოგიის დოქტორი გახდეს, მუსიკოსობას კი ვერ მიეერთმევთ, ჩემო კარგო. ეს ხელოვნების კანონია, ჩემო. ხოლო ნიჭი, ალექსანდრე, დაიკარგება, კატორღული შრომა თუ არ გასწიე. სამაგიეროდ, რა უნდა იყოს უფრო დიდი ჭილდო, კარგ მუსიკოსობას რომ ალემატებოდეს? არაფერი. ჩემი შეკითხვა სულელურია, მაგრამ მაინც ჭეშმარიტებაა. თანაც, თუ ნიჭით არა ხარ დაჯილდოებული, დღეში რვა საათს ვერ დაუკრავ. თუმცა, როგორც ყველგან, გამონაკლისი აქაც გვხვდება. ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში ერთი პორტუგალიელი პიანისტი ჩამოვიდა — სეკვირო კოსტა. შესანიშნავი პროგრამა ჰქონდა, კონცერტზე უყოყმანოდ წავედი. და აი, ეს კაცი სცენაზე გამოვიდა, როიალს მიუჯდა და ყველაფერი უშეცდომოდ დაუკრა თავიდან ბოლომდე, მაგრამ ვაი იმ დაკვრას — ეს იყო მოვალეობის შესრულება. ის ნაწარმოებები დიდ შინაგან ლელვას მოითხოვენ; მის დაკვრაში კი განცდის ნატამალიც არა სჩანდა. ისე, ვაგხიხარია, კარგი ტექნიკა ჰქონდა. ასე რომ, მხოლოდ შრომა არა სწყვეტს საკითხს, მაგრამ დიდი მუშაობის გაწევა მაინც აუცილებელია, აუცილებელი, ალექსანდრე.

მაისტრომ მიმოიხედა, ალექსანდრესაკენ გადაიხარა და ჩუმად უთხრა: — არ გეგონოს, ასე რომ ვლაპარაკობ, თითქოს ბევრს ვმუშაობდე. არა, ჩემო კარგო, ჩემდა საუბედუროდ, ზარმაცი ვარ. ამაშია ჩემი უბედურება. ნიჭი კი არ მაქვია, მაგრამ... ეეჰ, ალექსანდრე, ალბათ ისედაც იცოდი, ზარმაცი რომ ვარ, შენ საზრიანი გამომეტყველება გაქვს.

— თამუნა, თურმე ახალი ფილმი გამოსულა.

— მართლა?

— კი. და ძალიან აქებენ.

— ეჰ, ხანდახან აქებენ და მაინც არ ვარგა.

— არა, ახლა ისეთმა ადამიანებმა აქვს, რომ ნამდვილად კარგი იქნება.

— მაშინ მართლა კარგი იქნება. მე ძალიან მიყვარს კარგი ფილმები.

— მეც.

— მართლა?

— კი. იცი, თამუნა, ამ ახალ სურათს ძალიან აქებენ.

— მაშინ ღირს ნახვა.

— რა თქმა უნდა, თანაც... შენ რომელი ფილმები მოგწონს?

— მე მომწონს... „ლილი“ და „ჩრდილი და სინათლე“. შენ?

— მე — „წეროები მიფრინავენ“. ამასწინათ ერთი იტალიური სურათი ვნახე — „ვაკანტური ადგილი“. ძალიან მომეწონა.

— ჰო? მე არ მინახავს. ათი დღე იქნება, კინოში არა ვყოფილვარ. დიდი სიამოვნებით ვნახავდი რომელიმე კარგ ფილმს..

— მეც...

— იცი, ალექსანდრე, შენ რომ ჯარისკაცი იყო და უცებ ტყვე მოგიყვანონ და გითხრან, დახვრიტო, რას იზამ?

— რა ვიცი, თამუნა.. არ ვიცი.

— იქნება ისიც ვითხრან, რომ იმ ტყვეს საზარელი ამბები აქვს ჩადენილი?

— მაშინ მოვკლავ.

— და თუ სულ არაფერი იცი იმის შესახებ?

— მაშინ შემეცოდება. რა ვიცი, ვინ არის, ვინ ელოდება.

— სწორი ხარ. შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, ალექსანდრე.

— თამუნა, დღეს ერთი ახალი ფილმი გამოსულა, ძალიან აქებენ.

— მართლა?

— არა გჯერა?

— კი მჯერა.

— თამუნა, მართლა გინდა, რომ ახლა კარგი ფილმი ნახო?

- კი.
- მაშინ... წავიდეთ, გინდა?
- წავიდეთ, ალექსანდრე.

5.

— ოო, ამას ვის ხედავს ჩემი თვალები, მობრძანდი, მობრძანდი, ჩემო ალექსანდრე, მოგწონს ჩემი ოთახი?

— დიახ, ძალიან კარგია...

— საწვიმარი აქ ჩამოვიდე, აი, ამ სავარძელში დაბრძანდი, ხედავ, როგორ გამეხარდა შენი მოსვლა?

— დიახ, მაესტრო.

— შე ვიცი, რისთვისაც მოხვედი, მაგრამ ჭერ მიმოიხედე, ჩემო კარგო, მარტოხელა კაცის პირობაზე ოთახი დამკამყაოფილებლად მაქვს მოწყობილი, არა? თუმცა, მე მგონი, ქალის ხელი აქაურობას მაინც აკლია.

— არა, რატომ...

— როგორ არა, ალექსანდრე. მე რომ ცოლი მყავდეს. აქაურობა აქაურობას არ დაემსგავსებოდა. ბუნდოვნად ხომ არ ვლაპარაკობ?

— არა, რასა ბრძანებთ.

— ხათრიანი ხარ, ალექსანდრე, — გაუღიმა მაესტრომ — ისე, კარგი ცოლი კარგია.

— დიახ.

— შენ ახლა „დიახ“-ს მეუბნები და თან, ალბათ, ფიქრობ — მერედა, თუ კარგია, მაესტროს რატომ არა ჰყავს ცოლი?

— არა, ეგ არ მიფიქრია.

— როგორ არა, მაგას გაიფიქრებდი.

— არა, მაესტრო...

— ცოტათი მაინც არ გაგკრა გულში მაგ აზრმა?

— ცოტათი კი.

— ჰოდა, მეც მანდა ვარ... ალექსანდრე, მე შენ აგისხნი, რატომ არა მყავს ცოლი. ხომ ხარ უკვე თვრამეტი წლისა?

— დიახ.

— ჰოდა, თვრამეტი წლის ადამიანთან ამ თემაზე ლაპარაკი უკვე შეიძლება. კარგად მისმინე, ალექსანდრე. თუმცა მე ჩემს თავისებურებას ვერა

ვგრძნობ, ყველა ნაცნობი თავისებურ ადამიანს მეძახის. ალბათ, მართლაც, ასეთი ვარ. ეს კი ამ შემთხვევაში კარგია, ქალებს მოსწონთ თავისებური ადამიანები. აი, მაგალითად, დიდი როსინი მეტად თავისებური პიროვნება იყო. როსინის ქალები დასდევდნენ, ჩემო ალექსანდრე, არ ასვენებდნენ, იმასაც ეს უნდოდა, მეც ეს მინდა, მაგრამ... — მაესტრო უცებ შეჩერდა და შიშით შეხედა — უიმი, ალექსანდრე, არ იფიქრო, რომ რაიმე მსგავსებას ვგრძნობ როსინისთან. ეს ჩემი მხრიდან თავხედობა იქნებოდა.

— რას ბრძანებთ, მაესტრო.

— სწორად ვბრძანებ, ჩემო. გაინტერესებს, როგორი დამოკიდებულება ვითარდება ჩემსა და ქალებს შორის?

— დიახ, ბატონო მიხეილ.

— მაშინ, დიდი როსინიდან პირდაპირ ჩემზე რომ არ გადმოვიდეთ, ცოტა ხანს სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— სიამოვნებით, მაესტრო.

მიხეილი ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გადაიხედა — ვილაცა კაცი თავისთვის მიდის, — უთხრა ალექსანდრეს, — დღემთმა ხელი მოუშართოს.

— დიახ.

— წარმოგიდგენია? ის მიდის და ვერცა გრძნობს, რომ მე ვუყურებ და წარმოტებას ვუსურვებ. მე კი ასე არ შემოძლია, მე თუ ვინმე მიყურებს, მაშინვე გული მიგრძნობს. ეს კი... ეეჰ, შე სქელკანიანო... — მიხეილი უეცრად უკან გადმოხტა.

— რა იყო... მაესტრო, — შეშფოთდა ალექსანდრე.

— ამოიხედა! იმან...

— იმ კაცმა?

— ხო.

— მართლა?

— არა, ტყუილად. რა ვქნა, რას ვბტებოდი უკან, რამე არ იფიქროს, ვინმეში არ ამრიოს. არა, მაინც რა მომივიდა, რატომ გადმოვხტი?

ალექსანდრე ჩუმად იყო.

— მითხარი რამე!

— არა უშვას, მაესტრო.

— ვითომ?

— რა თქმა უნდა, რა მოხდა ისეთი?

— რა ვიცი, ჩასაფრებული ყაჩაღი არ ვეგონო, — გაიხუმრა მანქანის მძღვენი და ისევ გაბრაზდა — თბილისში რამდენი ქუჩაა, რამდენი პროსპექტი და ჩიხი, რაღა აქ მოუხდა გავლა?

— ხომ არ იცნობდით?

— ვისა, იმ კაცს? რას ამბობ, ალექსანდრე, რომ ვიცნობდე, გამარჯობას ვეტყვოდი.

— მანქანა, მანქანით, მაგრამ... ისეთი რა მოხდა?

— არაფერი, ჩემო; უბრალოდ ყველაფრის გაზვიადება მიყვარს. შეიძლება ამიტომაც არ მოვწონვარ ქალებს. ახლა კი შეგვიძლია, ქალებზე ვადავიდეთ, არა?

— დიას.

— იცი, რას გეტყვი, ალექსანდრე? თუმცა ქალი და კაცი თანასწორია, კაცი მაინც უფრო ძლიერია, ქალი კი უსუსტი. როცა ქალი კაცს მიახლოებს თავს, ამას კიდეც არა უშავს, ხოლო თუ პირიქით მოხდა, ეს უკვე... ეს უხერხული იქნება, არა? ქალს უყვარს, როცა მამაკაცში ჰქუას, გონებასა და თვითდაჯერებულებას ხედავს. იბადება კითხვა — როგორ უნდა მოიქცეს კაცი, რომ ქალმა მასში დაინახოს სწორედ ეს ჰქუა, ეს გონება და თვითდაჯერებულება? პასუხი ასეთია — უპირველეს ყოვლისა, კაცს არ შეშვენის ბევრი ლაპარაკი. მისი სიტყვა მოკლე უნდა იყოს, მაგრამ ჭკვასივით მაგარი და დამაჯერებელი. ქალთან ბევრს თუ ილაპარაკებ, წასულია შენი საქმე. თავი ამაყად უნდა დაიჭირო, უნდა სთქვა მხოლოდ: ზო, არა, შესაძლებელია. ათასი სიჭკვიანისა და სისულელის ვაფიქრება შეგიძლია, მაგრამ ზედმეტი სიტყვა არ უნდა დაგცდეს. მე კი, ალექსანდრე, რაც პირზე მომადგება, ყველაფერს ვამბობ. აი, ახლაც გულახდილი ვარ, გულგადახსნილი, როგორც იტყვიან. ჰო, ჩემდა საუბედუროდ, თავდაპირველად ზედმეტად ეფექტური ვარ — არ ვიბნევი. საინტერესოდ ვლაპარაკობ, ენამოსწრე-

ბულიცა ვარ. ქალს აშკარად მოსწონება, რომ სიამოვნებს ჩემთან ყოფნა. შეიძლება ვადის დრო, ჩემი ეფექტურობა არ მატულობს და მოსაწყენი ხდება. თანაც... აქ პატარა გადახვევა უნდა გავაკეთო, ალექსანდრე. ყველასა ჰყავს თავისი კერა, ადრე თუ გვიან, ყველას ეყოლება. ჩემი კერა ჩოსინია, დიდი მანქანა. როცა ქალს გვერდით მივყვები, მისი დიდებული სუნთქვა მახსენდება, მეც მინდა, რომ ისე ვსუნთქავდე, თუმცა კარგად ვიცი, რომ ეს არ შემიძლია და გულში ნაღველი მეპარება, მაგრამ არ ვიმჩნევ. პირიქით, ამის დასამალავად ვლაპარაკობ ყველაფერს. რაც კი ენაზე მომადგება. ბუნებრივია, სისულელებებს ვიძახი და ერთ მშვენიერ დღეს მივიღებ წერილს, სადაც ნაჩქარევი ხელით სწერია: „ჩვენი შეხვედრა შეცდომა იყო. ლ. ვ.“ ანდა ხელს აწერს თ. მ., ან ზ. ნ., ან ჯ. ლ., ექ, ასეთები ბევრი იყვნენ. ერთხელ ერთ ქალს შევხვდი, გავიციანი, დავუახლოვდი და კინოში წავედი. გადაწყვეტილი მქონდა, სიყვარული ამეხსნა მისთვის. ამისათვის საჭირო გახდა, მანქანა როსინიზე არ მეფიქრა. როგორც იყო, ჩემს თავს ვძლიე. იმ ქალის სახელს არ გეტყვი, ცოტათი უხერხული სახელი აქვს, თუმცა ამას არა აქვს მნიშვნელობა. კინოდან რომ გამოვედით, გარეთ წვიმდა. ვავიფიქრე. ტრამვაში ვეტყვი-მეთქი, მაგრამ ვაგონში ერთი მოხუცი კაცი ისე მომიჩერებოდა პირში, რომ ვერაფერი ვუთხარი. რაღაც მნიშვნელოვანის თქმა რომ მინდოდა, ამას, მე მგონი, ფისოც ვრძნობდა. უჰ, მაინც წამომცდა მისი სახელი. არავის არ უთხრა, კარგი?

— ვის უნდა ვუთხრა, მანქანა?

— არავის, გეხუმრე. ჰოდა, მშვენიერ ხასიათზე ვიყავი და უცებ ტრამვაში ათიოდე წლის ბიჭუნა ამოვიდა. თავიდან ფეხებამდე სველი იყო, თმიდან წურწურით ჩამოსდიოდა წყალი, პერანგი ტანზე მიკვროდა და სველი კედლები ეცვა; მხრები უცახცახებდა, ძალიან მეტყველი თვალები ჰქონდა. ჩვენ მალე ჩამოვედით ტრამვიდან, მე კი იმ ბავ-

შემა დამადარდიანა, მოვიწყინე. ფისომ კარგახანს იცადა თავის სადარბაზოსთან, ეგონა, ძალიან მნიშვნელოვან ამბავს ვეტყვოდი, მაგრამ მე ის ბავშვი მედგა თვალწინ და ხმა ვეღარ ამოვიღე. ფისომ იცადა, იცადა, მერე გაბრაზდა, ფეხი დაჰკრა და წაეიდა. მეც სახლში წამოვედი. პაპიროსიც მოვწიე, ის ბავშვი ხშირად მახსენდებოდა. მე ძალიან სწრაფად მეცვლება ხასიათი, მაგრამ მეორე დღესაც ცუდ ხასიათზე ვიყავი და სულ სახლში ვიჭექი, მესამე დღეს კი დაზღვეული წერილი მივიღე ფისოსაგან: „ჩვენი შეხვედრა შეცდომა იყო, დარეკანი“.

საერთოდ, ძალიან არაპრაქტიკული ვარ — რა იქნებოდა, ჯერ ფისოსათვის სიყვარული ამეხსნა, შემდეგ კი იმ ბავშვზე მეფიქრა? მაგრამ ასე არ შემიძლია, გრძნობებს ავყევები ხოლმე, იმ წუთში ვერაფერს ვიტყვოდი, რადგან ის ბავშვი თვალწინ მედგა. თუმცა ზედმიწევნით ვიცი, პრაქტიკული კაცი როგორ უნდა მოიქცეს, მაინც არაპრაქტიკული ვარ. მაგალითად, ვიცი, რომ პალტო ზაფხულში უნდა შეიძინო, ხოლო ჩალის ქუდი ზამთარში; ასე უფრო ადვილია, მაგრამ ასე არ ვიქცევი. ეს წვრილმანია, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც... ახლა კი, ალექსანდრე, ამეებს რომ გიყვები, ჩემი მარტოხელობის ბრალია, ისე კი კარგად ვიცი, როსინის მოსასმენად რომ მოხვედრი. სწორი ვარ?

— დიახ.

— აი, ამ წუთში დევს ყოვლისშემძლე ფირფიტა — „ქურდი კაჟკაჟის“ უვერტიჟურა. მას შეუძლია ადამიანის გარდაქმნა უკეთესისაკენ. და თუ ნებას მომცემ...

ვილაცამ დააკაჟუნა.

— მობრძანდით! ოო, არჩილ, მობრძანდით, დაბრძანდით, გაიცანით — ჩემი ორკესტრის ნამდვილი წევრი — ალექსანდრე, ჩემი მეზობელი — არჩილი. ალექსანდრე წყნარი, ზრდილობიანი ქაბუკია, არჩილი კი უბატოსნისი და მორიდებული კაცია. დაბრძანდით, ვიწყებთ!

არჩილი უხალისოდ ქამოჭდა სკამზე. მესტრომ ფირფიტა უკრავდა და დღე...

— მუსიკა გიყვართ, არჩილ?

— რა ვიცი, კი.

— აბა, სმენად გადაიქეცი, ვიწყებთ.

არჩილი ისმენდა. ცალი ყურით ისმენდა, რადგან ძალიან ეჩქარებოდა. გული ვერ დაუდო მუსიკას, მხოლოდ ერთხელ მოეჩვენა, რომ მოხდენილი ჰქაბუკი და ლამაზი ქალიშვილი მალალ ბალახში დარბოდნენ და ცაც კრიალებდა. მეტი არაფერი.

მუსიკა შეწყდა. მესტრო გაოგნებული იჭდა სავარძელში, ალექსანდრეც სიჩუმე გაგრძელდა, მერე არჩილმა თქვა — თუ შეიძლება, სკამები მათხოვეთ. სტუმრები მიცდიან და...

— ო, წაიღეთ, წაიღეთ, სიამოვნებით, — გამოფხიზლდა მიხეილი.

— მე წავალ, მესტრო.

— რატომ?

— რა ვიცი.

— მითხარი, რა...

— რა ვიცი, ჰერს ჩავყლაპავ.

— აა, — გაიღიმა მესტრომ — ასეა, როცა როსინის მოისმენ, შეუძლებელია კედლებით შემოფარგლულ ადგილას გაჩერება. ყოჩაღ, მე შენ ტყუილად არ მოვასმენინე ეს ფირფიტა, წადი, ძვირფასო...

— რომელი საათია, ალექსანდრე?

— ცხრა. ხომ არ გეჩქარება?

— არა, ისე გკითხე.

„ნეტავი რატომ მკითხა?“ — გაფიქრა ალექსანდრემ და ჩუმად შეხედა. თამუნა ჩაფიქრებული იყო, ნელა მიიბიჯებდა. უკვე ბნელოდა, ამ წყნარ ქუჩაზე აღარ იყო ხალხი. ალექსანდრეს ძალიან უნდოდა, რომ თამუნას მხარზე ჩამოედო ხელი და ასე ევლოთ. გუშინაც ასე უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა. რატომღაც ეგონა, რომ თამუნა გაბრაზდებოდა და საერთოდ აღარ გაეკარებოდა.

— შენ უკრავ, ალექსანდრე?

— კი, ვიოლინოზე ვუკრავ.

— რა დაამთავრე?

— ტექნიკური.

— მე კი მიეჭვსე კლასიდან გამოვედი.

— კარგი გიქნია.

— რას ამბობ, ალექსანდრე? მაშინ პატარა ვიყავი, არ მესმოდა.

— სწორს ვამბობ, თამუნა. ასეა — თუ მუსიკოსობა გინდა, მთელი ცხოვრება უნდა გასწირო, თუ არადა სულერთია, ორ კლასს დაამთავრებ თუ კონსერვატორიას. ჩვენი ღირიეორიე ასე ამბობს, თუ მუსიკოსობას აპირებ, მთელი ცხოვრება უნდა გასწირო.

— მართლა, თქვენი ღირიეორიე როგორი კაცია?

— იცი, რა კარგი კაცია? — ალექსანდრე ლაპარაკის გუნებაზე დადგა — ეგეთი ნიჭიერი აღამიანი არ მინახავს, აბსოლუტური სმენა აქვს, მაგრამ.. საწყალი, მე მგონი ხელმოცარული კაცია. სიმართლე რომ ითქვას, ჩვენი ორკესტრი არ ვარგა, თამუნა. ის კი ღირიეორიე და თითქოს ვერ ამჩნევს, შეცდომებს რომ ვუშვებთ. ხანდახან, ათასში ერთხელ, არ ვიცი, რა დაემართება ხოლმე და არც ერთ მცდარ ნოტს არ აგვაღებინებს. მაგრამ ასეთ დროს მთელი რეპერტიციის განმავლობაში ათიოდე ტაქტს თუ დავუკრავთ. ისიც აიღებს და ჩვეულებრივად განაგრძობს ხოლმე. კონცერტებზე ხანდახან არც თუ ისე მომზადებულნი გამოვდივართ, ის კი ისე მხნედ შემოდის სცენაზე. გეგონება, პირველხარისხოვანი ორკესტრი აბარია. სცენაზე გამოსვლის საკუთარი მეთოდი აქვს — ზოგს თვალს ჩაუკრავს, ზოგს მხარზე მოუთათუნებს ხელს, მერე სცენის შუაგულში დადგება, ყველას გაგვიღივებს და ასე ვიწყებთ დაკვრას. რაც არ უნდა ცუდად დავუკრავთ, ბოლოს მაინც შეგვაქვებს ხოლმე.

— კი მაგრამ, ვის ატყუებს?

— რა ვიცი. იცი, რაშია საქმე. — თქვა ალექსანდრემ და... მხარზე ჩამოა-

დო ხელი; რაღაც საშინელის მოლოდინში გაინაბა, მაგრამ თამუნას ხმა არ ამოუღლია და შევებით ამოისუნთქა. საოცარი სიხარული მოაწვა და ანგარაშმიუტეხლად ალაპარაკდა — შეიძლება არც გვატყუებს, შეიძლება ჩვენი გამხნელება უნდა. ის ისეთი კარგი კაცია, რომ გულს არ გაგვიტეხს. იმას ძალიან უყვარს როსინი, დიდი მეესტრო. როსინი მისი კერპია, ყველასა ჰყავს კერპი...

ალექსანდრეს თამუნას მხარზე ედო ხელი და სხაბასტუბით ლაპარაკობდა.

• • •

მეორე დღეს, ლექციების დამთავრების შემდეგ, ალექსანდრეს ჯგუფელები ორად გაიყვნენ და კამათი ასტეხეს — ნაწილი იძახდა, რომ N დიდი მწერალია, სხვები კი ამბობდნენ, რომ არც ისეთი დიდია, ხალხს რომ ჰგონია. ისინი ჯერ ოცი წლისაც კი არ იყვნენ და ძალიან ხამამალა კამათობდნენ.

— რას ამბობთ. — ცხარობდა ერთი ვაეი — ჯერ მხოლოდ მისი დიალოგები რადა ღირს, რა შეედრება მის მოკლე ფრაზებს, მის ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

— ჰოდა, მას სწორედ ისეთი მდიდარი გამოცდილება ჰქონდა, რომ თავისუფლად შეეძლო, უფრო დიდი მწერალი გამოსულიყო.

ალექსანდრე ხედავდა, რომ თამუნას ძალიან აინტერესებდა კამათი N-ის შესახებ. ძალიან მოუნდა, რომ გადაეწყვეტი სიტყვა ეთქვა.

— რას ამბობ? — წამოიძახა იმ ვაემა — განა შეიძლება, რომ აღამიანი უფრო დიდი მწერალი გამოვიდეს, ვიდრე N? მას არც ერთი სიტყვა არა აქვს ზედმეტი, ყოველ წინადადებაში ისეთი ქვეტიქსტები აქვს, რომლებიც თავისთავად რომანს უდრის.

N-ის ნაწარმოებები უმრავლესობას წაკითხული ჰქონდა. მისი მოთხრობები თბილისში რამდენიმე წლის წინათ წაკითხეს. პირველ ხანებში ყველას მოს-

წონდა N, ყველა აღფრთოვანებული იყო, ყველგან გაისმოდა მისი ქება, იგი ერთგვარ ეტალონად გადაიქცა. სხვა მწერლების ნაწარმოებებში დაყენებით ეძებდნენ მის გავლენებს და ხანდახან პოულობდნენ კიდევაც. ზოგიერთს კი ისე გაუწყალა გული ამ გაუთავებელმა ქება-დიდებას, რომ გაბრაზებულ გულზე თვალი გადაავლო N-ის ნაწარმოებებს და ცდილობდნენ, რაიმე ნაკლი აღმოეჩინათ. გარკვეული ძიების შემდეგ მათ „აღმოაჩინეს“ N-ის რამდენიმე ნაკლი, რომელთა შორის უმთავრესი იყო...

— არ არის საჭირო ეგეთი ქვეტიქსტები, — ხმაილა თქვა ალექსანდრემ და იგრძნო, თამუნა ინტერესით რომ შეაქცერდა. ამან გაამზნევა და გაბედულად განაგრძო ლაპარაკი: — ადამიანს გადაჭრილი პასუხი უნდა ჰქონდეს ყველაფერზე, N-ს კი არ უყვარს გადაჭრილი პასუხების გაცემა.

— ასეთი იყო მისი თაობა, — ამოყვად წარმოსთქვა ვილცამ.

— მითუმეტეს — პასუხი უნდა გამოეძებნა. სწორი ვარ თუ არა? გვეპირდება თუ არა ჩვენ პასუხი?

— რა ვიცი...

— მე კი ვიცი — გვეპირდება!

ასე დამთავრდა კამათი, თამუნა აღტაცებით შესცქეროდა ალექსანდრეს. სხვა საიდუმლოებების ვაგებაც მოუნდა და უთხრა — ალექსანდრე, შენ მოხერხებული ბიჭი ხარ. მე ძალიან მაინტერესებს, რატომაა შენი მანქანა ასეთი უცნაური კაცი? იქნებ გამიგო...

— მაგაზე ადვილი რა არის, — დამაჯერებლად უთხრა ალექსანდრემ — ის ძალიან გულახდილი კაცია. ყველაფერი რიგზე იქნება, ამ დღეებში გამოველაპარაკები.

6.

— ჩემო ალექსანდრე, — დაიწყო მანქანა, — ხელოვანთა ერთ ნაწილს აქვს საერთო მიზანი — ესაა უკვდავება. უფრო სწორად, ეს მიზანი კი არა, საო-

ცრად ძლიერი ეჩინა. ამ ეჭვით შექცობილნი, ისინი თეთრად აფრენდნენ დღეებს, პოულობენ საუკეთესო ელერადობის რითმებს, ერთმანეთში ახავებენ სხვადასხვა ფერებსა და ხაზებს, სულს უნერგავენ ცივ მარმარილოს, ეძებენ მანამდე არგაგონილ მელოდიებს და დაძაბული მუშაობის შემდეგ დაღლილნი დაეცევიან საწოლზე და გრძნობენ, რომ რამდენიმე მილიმეტრით კიდევ უფრო მიუახლოვდნენ მიზანს. მიზნამდე კი კილომეტრებია, ჩემო. ხელოვანთა მეორე ნაწილი სულ სხვაგვარი ხალხია, ალექსანდრე. მათ არც უფიქრიათ, თუ რაა უკვდავება. ისინი უკვდავებად იზადებიან, თუ შემდეგ ყალიბდებიან, ეს კაცმა არ იცის. ფაქტი ისაა, რომ ისინი თავიდანვე შეჩვეულნი არიან უკვდავებას, ისინი აღარ ფიქრობენ ამის შესახებ. რაც არ უნდა შორი გზა გაიარონ, ანდა შორი გზა ჰქონდეთ გასავლელი, ისინი არაფრად არ ჩააგდებენ ამას, რადგან მათ ახასიათებთ ყველაზე ძვირფასი თვისება — მათ შეუძლიათ ფრენა... და არა მილიმეტრობით გადაადგილება. ალექსანდრე, თუმცა მე ვერ დაგისახელებ ვერც ერთ ასეთ მხატვარს, ვერც ერთ ასეთ პოეტსა და მოქანდაკეს, რადგან ნაკლებადა ვარ გათვითცნობიერებული ხელოვნების ამ დარგებში, მე მაინც შემიძლია დაგისახელო ასეთი კომპოზიტორი — ესაა როსინი. აი, ვისში ფუთქავდა უკვდავება, აი, ვინ იყო თავისი შედეგების ავტორი! ალექსანდრე, რაც მე გაიამბე, ეს მხოლოდ ჩემი აზრია. მე ვიცი, რომ დამაჯერებლად ელერს შემდეგი ფრაზა — „თუ ბევრს არ იმუშავებ, მიზანს ვერ მიაღწევ.“ მაგრამ მე მგონია, რომ როსინის არასოდეს არ ჰქონია არავითარი მიზანი. უბრალოდ, იგი ისეთი იყო, როგორც იყო. და ეს სავესებით კმაროდა იმისათვის, რომ დღეს, ესე იგი საუკუნენახევრის შემდეგ, მე ასე აღტაცებით ვლაპარაკობ მის ქმნილებებზე. არ გვეგონოს, რომ მხოლოდ მე ვარ მისი თავყვანისმცემელი. ჩვენ ბევრნი ვართ. მაგრამ მე

იმით გამოვიჩინევი, რომ როსინის ერთი რამით ვგვევარ კიდევაც. ეს მსგავსება... სიზარმაცე. მე, რა თქმა უნდა, არა მაქვს სიზარმაცის უფლება, მას კი... მას ჰქონდა. მან იცოდა თავისი საქმე! როცა ოპერას შეუქვეთავდნენ, საოცრად ხანმოკლე ვადას თხოულობდა როსინი — თვენახევარს. შენ, ალბათ, გგონია, ჩემო ალექსანდრე, რომ იგი ამ თვენახევარს ათენებდა და აღამებდა, არა? ცდები. როსინი მთელი თვის განმავლობაში უდარდელად დასერილობდა იტალიის ცის ქვეშ, ეშმაკურად ათვალეგრებდა ქალებს და არხეინად თვლემდა რბილ სავარძელში. ასე გადიოდა მთელი თვე, ხოლო მომდევნო ორი კვირის განმავლობაში იგი მშვიდად იწვა რბილ ტახტზე, ხელში ბატის ფრთა ჰქონდა მორჩვებული და ასე იქმნებოდა ისეთი ოპერები, როგორცაა „ტანკრედი“ და „სევილიელი დალაქი“. პირადად მე გგონია, რომ როსინი — ეს სიჭაბუკეა, მომხიბლავი, უდარდელი, მუდამ სანატრელი. და სიჭაბუკეთვე ვხსნი იმ გარემოებას, რომ როსინის ორმოცი წლის ასაკის შემდეგ ოპერა აღარ დაუწერია. იგი ისმენდა თავის ნაწარმოებებს, საცმოდ კარჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობდა, ვასუქდა, ეჭამების დაჟინებულა რჩევის შედეგად ხანდახან გასასერიწებლად გამოდიოდა. იგი მიდიოდა ნელა, მძიმედ, ჯოხის კაყენით და თაყვანისმცემელთა ბრბო უკან მოსდევდა. ისინი ალტაცებით შეჰყურებდნენ მას და ერთმანეთს უჩურჩულებდნენ — ხედავ, როსინი, დიდი მავსტრო...

ალექსანდრე, მე გგონი, შეეცდი, ბელოვანნი ორ ჯგუფად რომ დაყავი, ალბათ, არავინაა, როსინისავით ადვილად რომ მიეღწიოს დიდებისათვის... თუმცა, შეიძლება პოეტებშიც გამოერიოს ასეთი ვინმე, არა?

— ალბათ, მავსტრო.

— ეეჰ, მე ძალიან პატარა მავსტრო ვარ, ჩემო... ღირიეორისაგან ძალიან შორსაა უკვდავება, მაგრამ მაინც გამორიცხული არ არის. ღირიეორის უპირატესობა ისაა, რომ მას ისე შეუძლია

ორკესტრის ამეტყველება, როგორც მოესურვება. მე პირველხარისხიან უტრუკესტრს ვგულისხმობ, რომ ბქმმქუნტანრა სჯობია ღირიეორობას — გამოდინარსცენის შუაგულში, თავს ზრდილობიანად დაუკრავ ხალხს, შემდეგ ორკესტრისაკენ შეტრიალდები, ჯოხს დააკაყუნებ და მთელი ორკესტრი სულგანაბული შემოგაკცქერდება. ხელებს შემართავ, მერე დაიქნევ და ყველაფერი დაგემორჩილება, ყოველი ინსტრუმენტი — ემოციური ვიოლინოები, ნაღვლიანი ჩელოები, მშრალი და უდარდელი კლარნეტები, რომანტიული ჰობოი, ზედაპირული, ჰაეროვანი ფლეიტა. მრისხანე საყვირები და ტომბონები, ჩუმი და მორიდებული ვალტორნები, ეშმაკური ტუმბრის ფაგოტები, მგრგვინავი დოლები და თეფშები, მეოცნებე არფები, დინჯი და დარბაისელი კონტრაბასები. იღუმალი ინგლისური საყვირი... მე მიყვარს ჩემი საქმე, ალექსანდრე, ძალიან მიყვარს, მაგრამ მე ძალიან პატარა მავსტრო ვარ. მე რომ დიდი მავსტრო ვიყო, სიკვდილის შემდეგ არ დავიკარგებოდი — რომელიმე ქუჩას ჩემს სახელს დაარქმევდნენ, უფრო სწორად — გვარს. რა უნდა იყოს ამაზე კარგი, ვთქვათ, ბიჭი ეუბნება გოგოს: „ხეალსად შევხვდეთ?“ „სადაც გინდა.“ „მავსტრო სანაძის ქუჩის კუთხეში მოდი, მ საათზე, კარგი?“ „დაიბა!“ უპასუხებს მორიდებული გოგონა, რა უნდა იყოს ამაზე კარგი, ჰა? ხომ არ შეეტოპე, ალექსანდრე?

— არა, რასა ბრძანებთ.

— ეეჰ, ჩემო ალექსანდრე, — განაგრძო მავსტრომ — ტრაბახში ნუ ჩამომართმევ, გეთაყვა და ძალიან ნიჭიერი ვიყავი. ჰე-ე, როგორი ნიჭიერი, — მიხეილმა მოიწყინა, — მაგრამ ეს წყეული სიზარმაცე ხელს მიშლიდა. შენა გგონია, მუსიკა არ მიყვარდა? არც ერთი წამით არ გაიფიქრო! მუსიკით ვცოცხლობდი და ვიცოცხლებ. იცო, რატომ გავზარმაციდი? ეხლავე მოგახსენებ. ჯერ როიალზე ვუკრავდი, შემდეგ ჰობოიზე.. ო, მშვენიერი ინსტრუმენტია ჰო-

ბოი, კლარნეტი არ მიყვარს... ფლეიტაც მაინცდამაინც გულზე არ მეხატება. ღირიყორი ამას არ უნდა ამბობდეს, მაგრამ მაინც... ჰოდა, ყველაფერს ძალიან ადვილად ვითვისებდი და ბევრი თავისუფალი დრო მრჩებოდა, ჩემო... იმანო... ჰო, ალექსანდრე! მაპატიე, როცა ბავშვობას ვიხსენებ, ქვეყანაზე ყველაფერი მაგიწყდება. აღარ ვიცოდი, თავისუფალი დრო როგორ მომეკლა და იცი, რა დავიწყე? ფიქრი, ოცნება დავიწყე, ჩემო ძვირფასო. პეი, რა მარტივი და გულუბრყვილო ოცნება მიყვარდა მაშინ, თუმცა მხოლოდ ერთი შეხედვით იყო გულუბრყვილო, რადგან კარიერისტული მისწრაფებანიც ერია — მინდოდა, რომ დიდი ადამიანი გამოვსულიყავი. მე, როგორც საოცრად არაპრაქტიკული კაცი, ისე გამიტაცა ოცნებამ, ისე შემეჩვია, რომ... დამიჯერებ, ალექსანდრე? დიდი განსხვავება არც არას ახლა ჩემთვის, ოცნებაში გამეხარდება რაიმე თუ სინამდვილეში.

თუმცა ალექსანდრეს ხმა არ ამოუღია, მაესტრომ მაინც საჭიროდ სცნო შემდეგის თქმა:

— შენ, ალბათ, არა გჯერა, ალექსანდრე, ახლავე აგისსი. ოცნებასაც გააჩნია. ერთ-ერთ მათგანს დაწვრილებით მოგიყვები და მერე შენ განსაჯე, სწორი ვარ თუ არა. დღეს გულახდილი ვარ, გულგადახსნილი. როგორც იტყვიან. მე ისე ნათლად წარმოვიდგენ ხოლმე ყველაფერს, რომ... ახლავე მოგიყვები — აი, ვთქვით მიედივარ სახლში, ვარ დიდი ღირიყორი და მორიგი რეპეტიციის შემდეგ სახლში ვბრუნდები. ჩემი კარის წინ დიდი თაიგული დევს, შიგ პატარა ბარათია, სადაც ლამაზი ხელით სწერია: „მაესტროს თაყვანისმცემლებისათვის“. მე თუმცა მობეზრებული მაქვს ამგვარი ამბები, მაგრამ მაინც მიხარია. სახლში ბიჭუნა შეგებება, ჩემი სისხლი და ხორცი. იგი თუმცა ექვსი წლისაა, უკვე მშვენივრად უკრავს ვიოლინოზე ვივალდის კონცერტს. და აი, ბიჭუნა დებეშას მაძლევს. მე ვკითხულობ: „საქართველო, მაესტრო სანაძეს. იტალია მოუთ-

მენლად გელოდებთ. იტალიელი მუსიკოსები“. და აი, თვითმფრინვით ლოკალ მიაპობს სივრცეს, თვითმფრინვებში მგზავრები, მე, ჩემი ბიჭუნა, მფრინავი და ჰაეროვანი სტიუარდესაა. აგერ, მონანიც. აეროდრომზე გამოჩენილი იტალიელი მაესტრო მხედება. იტალიაში ზაფხულია, იმ მაესტროს მსუბუქად აცვია, მეც. ჩვენ ვზივართ რომელიღაც ბაღში, ჩემი ბიჭუნა და იმ მაესტროს შვილიშვილი დაქერობანას თამაშობენ. ჩვენ ღრმად ვისუნთქავთ დიდებულ ჰაერს და თან ჩემი ხმით ვსაუბრობთ მაესტრო როსინიზე, რომელმაც იცოდა თავისი საქმე. სადამოთი ლა-სკალა გაქვილილია, ნემსიც კი ვერსად ჩავარდება. მე სცენაზე ჩემებურად გამოვდივარ და დარბაზი ტაშისაგან ზანზარებს. შემდეგ ხელებს მაღლა ავწევ და სამარისებური სიჩუმეა. და აი, ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით ორკესტრი ასრულებს მარშს ვაგნერის ოპერიდან „ტანგეიზერი“. შენ იცი ეს მარში, ალექსანდრე?

— დიახ.

— მაშინ საჭირო აღარ არის მისი აღწერა. მერე ვუკრავთ ბეთოვენის მე-სამე სიმფონიას, შემდეგ სიმებიანი ორკესტრი ასრულებს ჰენდელის მეთორმეტე კონცერტს. შენ მოგისმენია ეს კონცერტი, ალექსანდრე?

— არა.

— ო, დიდებული კონცერტია. მშვენიერი და თანაც თუ შეიძლება ასე ითქვას, მორადებული. ამ კონცერტში გენიოსის თავდაქერილობა იგრძნობა, ჩემო. შემდეგ ბისზე ვასრულებთ უფერტიურას მოცარტის ოპერიდან „სერალოდან გატაცება“, შემდეგ კი... როსინის „ქურდი კაჰკაჰის“ შესავალს. წარმოგიდგენია, როგორი აღფრთოვანებულები დამჩნებოდნენ ტემპერამენტისანი იტალიელები? ისინი კვლავ მევედრებიან რააშეს შესრულებას, მე კი ღონე აღარ შემწევს, დავილაღე. და უეცრად ორკესტრანტებს სცენაზე გამოაქვთ რომაელი, რომალთან ხანშიშესული, გამოცდილი პიანისტი ჯდება, ხოლო სცენაზე გამოდის ჩემი ბიჭი, ჩემი ქეთის კო-

ლოფი, და ისინი უკრავენ ვივალდის კონცერტს. და აი ახლა, ალექსანდრე, იტალიელ მანსტროს და საერთოდ ყველას თვალები სიხარულის ცრემლითა აქვთ სავსე. გარდა დიდებული აწმყო-სა, ისინი ბრწყინვალე მომავალსაც ხედავენ. ახლა კი კეთილი ინებე და მიპასუხე, ალექსანდრე — უნდა იოცნებოს თუ არა იმ კაცმა, ვისაც გონებაში ასეთი მშვენიერი სურათები ესატება?

— დიახ.

— სრული პასუხი!

— აუცილებლად უნდა იოცნებოს, მანსტრო.

— ჰოდა, მეც მანდა ვარ.

ქუჩაში ტროლეებუსმა ჩაიარა. ეს ჩვეულებრივი ტრანსპორტი იყო გრძელი, სქელი, ყვითლად შეღებილი. ალექსანდრეს ყურადღება არ მიუქცევია ამ ამბისათვის, მანსტრომ კი ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— ოცნებაში ყველაფერი ადვილად ხდება, სინამდვილეში კი ყოველივე ეს გაცილებით ძნელად მისაღწევია, ალექსანდრე.

• • •

თამუნა ძალიან მხიარული გოგონა იყო, მაგრამ საოცრად სიამოვნებდა, ხანდახან სერიოზულად რომ ეჭირა თავი. მითუმეტეს ისეთი ნათელი გონების ადამიანთან, როგორაც იყო ალექსანდრე.

— ესე იგი, გული გადაგიშალა, არა?

— კი. მე არ ვიცოდი, მაგრამ თურმე არსებობს ისეთი ადამიანების კატეგორია, ვისთვისაც სულერთია, ოცნებაში გაეხარდება რაიმე თუ სინამდვილეში.

თამუნას უეცრად ძალიან მოეწონა სიტყვა „კატეგორია“.

— კატეგორიაო, შენ ამბობ? იქნებ ასეთები ერთეულები არიან...

— რა ვიცი, შეიძლება. მომავალი დაგვიდასტურებს, ჩემო თამუნა, მთავარი დაკვირვებაა. თუ ადამიანი ფხიზლად იქნება, ყველაფერს გაიგებს.

— რა თქმა უნდა. მერედა შენ რა აზრისა ხარ მანსტროსთანა ადამიანებზე?

— ეს ცოტათი რთული საკითხია, თუმცა არა, არ არის რთული. მე მგონი, ასეთმა ადამიანებმა შეიძლება სხვა-საე გადასდონ ეს უდარდებლობა, ეს ოცნება და არაპრაქტიკულობა. რა თქმა უნდა, ზედმეტად პრაქტიკულობა არ ვარგა, რადგან ამ შემთხვევაში ადამიანი ძალიან მშრალი ხდება, მაგრამ ყველა უნდა იყოს იმდენად პრაქტიკული, რამდენადაც საჭიროა.

— სწორი ხარ, ალექსანდრე. ესე იგი, ამ ადამიანმა შეიძლება სხვა ადამიანზე უარყოფითად იმოქმედოს, არა?

— სავსებით შესაძლებელია.

— მერედა, რას უყურებ.

— ა? — ალექსანდრეს უცებ შეეშინდა — რა მითხარი?

— რა და, ასეთ ადამიანს უნდა აუხსნა, რომ მისი საქციელი გასაკიცხია.

— დამიჯერებს კი?

— უნდა დააჯერო. მე მგონი, შენ ეს შეგიძლია, ალექსანდრე.

— იცი რა, თამუნა? შენ მართალს ამბობ, ხვალ, რეპეტიციის შემდეგ, შეიძლება მოველაპარაკო, მე მგონი, ყველაფერი რიგზე იქნება.

7

ნათურა მკრთალად ანათებდა ეზოს, ფოთლებდაცვნილი ხეები ძლივს მოჩანდნენ სიბნელეში. ფანჯარასთან კაცი იდგა და შეორთქილი მინის მიღმა უყურებდა ფიფქებს. ყველაფერს ფარავდა პირველი თოვლი. ფიფქები ტრი-ალით ეშვებოდა მიწაზე. სიბნელეში გაუჩინარებულ მავთულებზეც ეცემოდა ფიფქები, სახურავებზე თხლად იღო თოვლი.

მინაზე შუბლმიბჯენილი კაცი გარეთ იყურებოდა. გარეთ ბარდნიდა, ფიფქები ბეუტავდა ნათურის მკრთალ შუქზე, გაუთავებლად. ხევიანად თოვდა. კაცმა თითით გაწმინდა შეორთქილი მინა. მას ძალიან უყვარდა თოვლი. იგი გარეთ იყურებოდა და ხან ეგონა, რომ ფიფქე-

ბი მხიარულად მოსდევდნენ ერთმანეთს, ხანაც ეგონა, რომ ისინი სვედიანად ცვიოდნენ ციდან.

კაცი ღიღბანს იღვა ფანჯარასთან. იღვა, სანამ თოვლმა ყველგან არ დაიბუღა:

ეზოში მდგარ სკამზე ჩამოჯდა, მავთულებზე წამოწვა ჯამბაზივით, სქლადდათოვლილი სახურავები უხარმარარი ფრინველის ფრთებს დაამგვანა და კაცმა სინათლე ჩააქრო და დაწვა.

სანამ დაიძინებდა, მას უხაროდა, რომ მეორე დღით ქალაქი იქნებოდა ძალიან თეთრი, სუფთა, ქათქათა.

* * *

— მობრძანდით! ოო, ალექსანდრე, რა კარგია, რომ მოხვედი. იცოდი, ავად რომ ვარ?

— რეპეტიციებზე რომ არ მობრძანდით, მაშინვე გავიფიქრე...

— მაესტრო ავად ხომ არ გახდაო, არა?

— დიახ.

— ჯერ პალტოს ნუ გაიხდი, აბა, ახლოს მოდი.

მაესტრომ პალტოზე ხელისგული მიადო — ზამთრის სურნელება აქვს შენს პალტოს, სუსხი შემოგყვია ოთახში, ალექსანდრე.

— მაპატიეთ, ახლავე გაიხდი, მაესტრო.

— მაპატიეთო? რას ამბობ, ალექსანდრე, მე ისე მიყვარს თოვლი, ძლივს ვიგრძენი მისი სუნთქვა შენი ტანსაცმლის წყალობით. ეეჰ, უკვე გათბა პალტო, შეგიძლია გაიხადო... ახლა კი დაბრძანდი.

ალექსანდრე სკამზე ჩამოჯდა.

— ძალიან მიყვარს თოვლი, — დაიწყო მაესტრომ, — მარტოოდენ სიტყვა „თოვლი“ კი წარმოუდგენელ სიამოვნებას მანიჭებს. როცა ამ სიტყვას იტყვიან, მაშინვე წარმომიდგება ნახშირის-თვალეხა თოვლის ბაბუა, მოუსვენარი ბავშვები ციგებზე და გუნდით ხელში, თხილამურებზე შემდგარი ახოვანი ქალაქები, სახურავებზე ჩამოკიდებული

ყინულის ლოლუები და კიდევ ბევრი რამ. ახლა კი ნამდვილად თოვლი იქითხე, მარტოოდენ სიტყვა „თოვლი“ თოვლი იმითაც არის კარგი, რომ თუ მოვა, ყველგან მოვა, სადაც კი გაიხედავ, ყველაფერი თოვლითაა დაფარული. შენ მიდიხარ, მიდიხარ და რომელი ნოხი და ხალიჩა შეედრება თოვლზე სიარულს. მიდიხარ, თოვლი ქრიალებს შენს ფეხქვეშ, უყურებ ლოყებდაწითლებულ, ბედნიერ ბავშვებს, შენს ფეხქვეშ კი: „ჰრაჰ!“ მიდიხარ, გორაკებიდან ციგით ეშვებიან, ციგა სწრაფად მიჰქრის ქვემოთ, ქარი სახეს უწიწკნის ბავშვებს, ციგა გვერდზე აყირავდება, ყველა იცინის, გაყინულ ჰაერში ზარის წკრალივით გაისმის ბავშვების სიცილი, შენს ფეხქვეშ კი: „ჰრაჰ!“ მიდიხარ, ბიჭები გუნდებს ესვრიან გოგონებს, ხან ააცილებენ, ხან შიგ ბეჭებში მოარტყამენ, ყველაფერი ეს ხალისითა და სიხარულითაა აღსავსე, მიდიხარ და, რაც მთავარია, საოცრებავ, როგორი მსუბუქი ჰაერია გარეთ, როცა თოვს — ისე ადვილად სუნთქავ, ისე ძალდაუტანებლად... თოვლი გაიძულებს, რომ ისუნთქო ისე, როგორც სუნთქავდა... როსინი, დიდი მაესტრო. ხედავ, ალექსანდრე. მე კი ავად გახვდი, მაინც დამაინც ახლა, როცა გარეთ თოვს.

— ფანჯარა ხომ არ გამოვალო, მაესტრო?

— გამოალე, ჩემო კარგო. მე მაგრად შევიფუთნები, შენ კი ფანჯარა გამოალე.

* * *

— ვერ უთხარი, ალექსანდრე?

— ვერა.

— რატომ?

— რა ვიცი, — ალექსანდრეს შერცხება, — მართლა, ავად იყო და შემეცოდა.

— კარგად მოქცეულხარ. ავად თუ იყო, არ უნდა გეთქვა.

— ჰო, სწორედ მაგიტომ არ ვუთხარი.

ისინი ხმადაბლა საუბრობდნენ, რადგან მათ გვერდით ქალი იჯდა. ქალს ბავშვი მოეყვანა ბაღში და თვალყურს ადევნებდა. ბიჭუნა დარბოდა. დახტოდა, მიწით ხელებს ისვრიდა.

— როგორ შეიცვალა ამინდი, არა? — აბა, ვინ იფიქრებს, გუშინ რომ თოვლი იყო. ნამდვილი გაზაფხულის დღეა.

ბავშვმა დედასთან მიიბრინა, მაგრამ რაღაცას წამოჰკრა ფეხი და წაიქცა. ქალი სწრაფად წამოიღვა და ბავშვს მივარდა, ალექსანდრეც წამოიღვა.

— რაზე ხომ არ იტყინა? — ჰკითხა ქალს თამუნამ.

— არა, ასე ხშირად ეცემა.

ბავშვი ჯერ დაბნეული იყო, მერე თამუნას შესფოთებული სახე დაინახა და ტირილის გუნებაზე დადგა.

— არ იტირო, არ იტირო, — ეუბნებოდა ქალი.

ბავშვმა ღრმად შეისუნთქა ჰაერი, სახე მოედრიცა და ყველა მიხვდა, რომ ჩქარა ღრიალს ამოუშვებდა.

— მიწამ გატყინა ფეხი, არა? — უთხრა ალექსანდრემ, — აბა, შენც ატყინე მიწას, აბა, დაარტყი, დაარტყი

ბავშვი ყოყმანობდა — აღარ იცოდა, ეტირა თუ მიწისათვის სამაგიერო გადაეხადა.

— აბა, დაარტყი, ესე დაარტყი, ესე, — თამუნამ ფეხი დაჰკრა მიწაზე.

ბიჭუნამაც გულიანად დაარტყა ფეხი მიწაზე და აშკარად დაეტყო, რომ აღარ იტირებდა.

— მოდი, შეილო, ახლა ნამცხვარი ექამოთ, — ალერსიანად უთხრა ქალმა — აბა, პირი გააღე.

ბავშვმა თავი გაიქნია.

— ჰამე, შეილო, აბა პირი გააღე.

ბავშვი გაჯიუტდა.

— ჩაყლაპე, თორემ ბიძია შეჭკამს (ალექსანდრეს პირველად უწოდეს „ბიძია“), აი, აი, ჩაყლაპა, ჩაყლაპა, — ქალმა ალექსანდრეს პირთან მიუტანა ნამცხვარი.

— მეც შეჭკამ, მეც შეჭკამ, — თქვა

თამუნამ და ნამცხვრისაყენ მიიწია. ბავშვმა საჩქაროდ გააღო პირი და ალექსანდრე წამოიღვა. ბავშვმა დაეცა ქერდა ბიჭუნას.

— ჰამე, შეილო, და ამსიმაღლე გაიზრდები, გენაცვალე, — მოეფერა ქალი. ბავშვმა დაკვირვებით შეათვალიერა ალექსანდრე.

8

კონცერტის დაწყებას ხუთიოდე წუთი აკლდა. ორკესტრის წევრები საკრავებს აწყობდნენ.

— სალამი, მავსტრო.

— ო, ალექსანდრეს გაუმარჯოს, როგორა ხარ?

— დღეს ვერ დავუკრავ, ხელი ვიტყინე.

— რას მკუბნები, ძალიან გტკიავ?

— ისე, საშუალოდ.

— ნუ დაუკრავ, ჩემო ალექსანდრე. ოღონდ პირობა მომეცი, რომ ეჭიმთან აუცილებლად წახვალ.

— წავალ, კი.

— აბა, შენ იცი.

— მავსტრო, ერთი რამ უნდა გკითხოთ.

— მიბრძანე, ჩემო ალექსანდრე.

— მავსტრო, ჩვენს ორკესტრზე რა აზრის ბრძანდებით?

— ეეჰ... თუმცა, მოყვარულების პირობაზე მშვენიერად უკრავთ.

— მართლა? კი მაგრამ, მოყვარული კომპოზიტორების ნაწარმოებებს რომ არ ვუკრავთ?

— მერე რა... ცდა ბედის მონახვერეაო, ხომ გაგიგია.

— თუ „ვერა შეჯდა მწყერი ხესა“, ა, მავსტრო?

— იცი რა, ალექსანდრე? მე არ მომწონს შენი ლაპარაკი. გულახდილი კაცი ვარ და გულახდილადვე გეუბნები.

ალექსანდრემ ძალა მოიკრიფა და უთხრა: — მავსტრო, მაპატიეთ, მაგრამ... თქვენ ერთი ახირებული ჩვევა გაქვთ. რაც არ უნდა სამწუხარო ამბავი შეგხვდეთ, მაინც ისე შეალამაზებთ, რომ

ბოლოს კმაყოფილი რჩებით. ეს „შელამაზება“ პრაქტიკულად რომ ხორციელდებოდეს, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ სინამდვილეში საქმეს ვერ შევლით.

— ეს შენი სიტყვებია, ალექსანდრე?

— დიახ, ჩემია. თქვენ ასე იქცევით და ვერცა გრძნობთ, რომ შეიძლება სხვასაც გადასდოთ ეს მანე ჩვევა. ვინ იცის, რამდენი ადამიანი გაუბედურეთ.

— შენ ამას მეუბნები, ალექსანდრე? მე მეუბნები, თუ ვინმე სხვას? — მიხეილმა უკან მიიხედა.

— თქვენ გეუბნებით, დიახ! თქვენ კინალამ არ ამიყოლიეთ, კინალამ არ შემანვიეთ ვერტოფოდებულ „ოცნებას, რომელიც ისე დამაჯერებელია, რომ სინამდვილეს უდრის“. კიდევ კარგი, რომ... — ალექსანდრე შეჩერდა.

— რა — კიდევ კარგი?

— რა და..

— მიდი, დაამთავრე, ნუ გეშინია.

— კიდევ კარგი, საკმარისი გონება რომ გამაჩნია, — ჩუმად თქვა ალექსანდრემ.

მიხეილმა გადაიხარხარა. ნერვიულად, ძალად იცინოდა. უტყრად სიცილი შესწყვიტა, შეაცქერდა და უთხრა — იცი, რას გეტყვი? წადი აქედან, ალექსანდრე.

ალექსანდრემ ნერწყვი გადაყლაბა.

— მე კი წავალ, მაგრამ ერთი რამ უნდა ვითხრათ: თქვენ ცხოვრებაში ხელმოკარული კაცი ბრძანდებით, — და დაცინვით დაუმატა, — მესტრო.

— გაეთრიე აქედან, — უთხრა მიხეილმა, — სადაც გინდა, იქ წადი, ოღონდ შენი „საკმარისი გონება“ სადმე არ დაგჩხეს.

ალექსანდრე შეტრიალდა და დარბაზში ჩავიდა. თამუნას გვერდით ჯაჭა და ფარდას შეაცქერდა.

— უთხარი?

— კი, — მიუგო ალექსანდრემ და ამაყად გაიფიქრა — „მე ვიყავი თამაში, გაბედული, მტკიცე“.

დარბაზში სინათლე ჩააქრეს, ფარდა

გაიხსნა. ორკესტრის წევრები ცდილობდნენ დარბაზისაკენ არ წაეხეცნათ სცენის შუაგულში გამოვიდა მსუქანი კონფერანსი და გამოაცხადა — კომპოზიტორი აზმიფთარაშვილი, ბალდადური, შეასრულებს ორკესტრი, ჯირიფორი მიხეილ სანაძე. კანტი-კუნტად ტაში დაუკრეს, მიხეილი გამოსვლას აგვიანებდა.

„ეჰე“, გაიფიქრა ალექსანდრემ, „შეიძლება ველარც გაბედოს დირიფორობა ჩემი სიტყვების შემდეგ“.

დარბაზი ჯერ მშვიდად იცდიდა, შემდეგ ოდნავ ახმაურდა. მესტროს საკუთარი მეთოდი ჰქონდა — იგი სცენაზე გამოდიოდა მხნელ, გაბედულად, დამაჯერებლობა და იმედი შეჰქონდა ორკესტრში — ერთს მხარზე მოუთათუნებდა ხელს, მეორეს საალერსო სიტყვას ეტყობა, მესამეს თვალს ჩაუკრავდა, შემდეგ მთელ ორკესტრს ღიმილით მოავლებდა თვალს და...

ახლაც ასე გამოვიდა სცენაზე. ხალხს თავი დაუკრა, შემდეგ ორკესტრისაკენ შეტრიალდა და ხელები მადლა ასწია.

ორკესტრმა შეასრულა ძველებური საცეკვაო, რომელსაც ადრე კინტოები ცეკვავდნენ. ამ მივიწყებულ მელოდიისი იყო რალაცა სითბო, და ხალხი კარგახანს ტაშს უკრავდა. გახარებულმა მაესტრომ მადლობა გადაუხადა ხალხს და ორკესტრს შესძახა — ყოჩაღ, არწივებო! ტაშისცემამ მაესტრო აიბულა, რომ „ბალდადური“ ისევ დაეკრათ. ეს უკვე პატარა, ძალიან პატარა გამარჯვებას უდრიდა, მაესტროს ნამდვილი ტრიუმფი კი შედგა იმავე დამეს, ორ საათზე.

9.

მეორე დღეს მაესტრომ თავისი ორკესტრის ერთ-ერთი წევრი დაიმარტოხელა და უთხრა:

— იცი, რას გეტყვი, კონსტანტინე? მე გუშინ ერთმა ადამიანმა ძალიან მაწყენინა. ისეთი რამ მომხაზა, რომ... მე იმ ადამიანს ვენდობოდი, ისევე, რო-

კორც ახლა შენ გენდობი. უცნაური რამ უნდა ვიამბო, დღეს გულახდილი ვარ, გულგადახსნილი, როგორც იტყვიან. გუშინ, მისი სიტყვების შემდეგ, საოცრად მომინდა ისეთი რამ, რაც დამამშვიდებდა და გამახარებდა, გესმის, კონსტანტინე? გუშინ ძილი არ მომეკარა, თვალი კი მოვხუჭე, მაგრამ მაინც დამიფრთხა ძილი. ღამის ორ საათამდე ასე ვიწევი, და... იცი, რას გეტყვი, კონსტანტინე? ყოველთვის არსებობს გამოსავალი, ოღონდ მიგნება უნდა. უეცრად ბრწყინვალე აზრმა გამინათა გონება — ავდექი, ფრაკი ჩავიცვი, თმა დავივარცხნე, ერთი სიტყვით, ყოველნაირად მოვემზადე, შემდეგ კარადიდან საყვარელი ფირფიტა გამოვიღე და რადიოლაზე დავდე. სინათლე ჩაეაქრე, მარცხენა ხელით რადიოლა ავამუშავე, მარჯვენა ხელი კი დავიჭინე და მაშინვე „ქურდი კაქკაჰის“ დიდებული უვერტიურა გაისმა. ჩემს წინ, სიბნელეში იყო მშვენიერი ჯა ნანატრი ორკესტრი, თვალები მაინც დახუჭული მქონდა და ისე ვამოძრავებდი ხელეbs. ყველა ინსტრუმენტი ისე მემორჩილებოდა, როგორც მე მიწოდდა, ყოველივე ჩემს განკარგულებაში იყო — ემოციური ვიო-

ლინოები, ნაღვლიანი ჩელოები, შშრბლი და უდარდელი კლარნეტები, რომ მანტიული ჰობოი, ზედაბრწყული, მანჯროვანი ფლეიტა, მრისხანე საყვირები და ტრომბონები, ჩუმი და მორიდებული ვალტორნები, ეშმაკური ტემბრის ფიგოტები, მგრგვინავი დოლები და თეფშები, მეოცნებე არფები, დინჯი და დარბისეღი კონტრაბასები, იღუმელი ინგლისური საყვირი... მე ზუსტად და მკაფიოდ ვღირიფორობდი, როგორც ეს გამოჩენილ მანესტროებს შეჰფერით, ჩემი ოთახი სავსე იყო საოცნებო ხმებით და, ალბათ, ჩემს მეზობლებსაც ძილში ჩაესმათ ეს უცნაური, საუცხოო ჰანგები. ეს ტრიუმფს ჰგავდა, კონსტანტინე, — მე ვღირიფორობდი და ჩემს პატარა ოთახში გაისმოდა დიდი როსინის უდარდელი, ღვთაებრივი სუნთქვა.


— კი მაგრამ, მუსიკა რომ დამთავრდა, ალბათ, ძალიან დაგწყდათ გული, — უთხრა კონსტანტინემ.

— რატომ, ჩემო?

— ტაში რომ არაეინ დაუკრა.

მანესტრომ საყვედურით შეაგლო თვალი და გაკვირვებით ჩაილაპარაკა.

— განა ჩვენ მხოლოდ ტამისათვის ვიღწვივით. კონსტანტინე?



6. გპარიზილი


• • •

არ დაგანებებ თავს,
არ დაგანებებ სხვას,
არ გჯერა?! ჰკითხე მზეს,
თუ გინდა ჰკითხე ზღვას.
მავრამ არ ჰკითხო ფოთოლს,
სიოსთან რატომ თრთის,
ან როგორ უყვარს ტალღა
პატარა კიპარისს.

• • •

თქარა-თქურით მირბის წვიმა,
მწვანე რტოზე შეკრთა ჩიტი,
და თეთრ ზამზახს, თეთრ უბეში,
ჩაუყარა მარგალიტი.

კურცხალ-კურცხალ სტირის კვირტი,
პეშეებს ივსებს ლორთქო მდელი
და ბუჩქებზე უმწიფარი
წვიმის წვეთი კურკანტელობს.



პეპრ პესაძე

ქართვმეღბი ოგენემში

მამინ ზახხელი იწურებოდა.

ჩვენ ვისხედით მალაღკერიან, ძველებერ ყაი-
ღაზე მოწყობილ ოთახში, ოღნავ მოჩუქველ ძვე-
ლებერ სავარძლებში და ველოდით განაჩენს.
ეს ზურაბ გვასალიას ოთახი იყო. ეიყავით სამნი
და ვცდილობდით საოკეანო თევზჭვერ გემზე
მოწყობას. მე უღონო სერგილის გარდა აღარა-
ფერს ვგარძნობდი. ძნელია, როდესაც შენი საყუ-
თარი სურვილის ასრულება შენგან დამოუკიდებ-
ხელ პირობებზე ან პირებზეა დამოკიდებული.
რაც მომეთხოვებოდა, ყველაფერი ვაჯავყეთ და,
ახლა, მხოლოდ ველოდი.

გარეთ ცხელიდა. თბილისის ბული ასდიოდა
და მე სული მებუთებოდა. უკვე დიდი ხანი იყო
მებუთებოდა სული და ვთქვი:

— აღარაფრის თავი აღარა მაქვს.

სწინადა, დგება ისეთი წამი, როდესაც გარძნობ,
რომ მეტი აღარ შევიძლია ერთ ადგილას გაჩე-
რება, რომ ვინღა მოსწყვედ და წახვიდე საღდაც,
სულერიოია სად. დგება ზოღმე ისეთი დღე, რო-
დესაც საყუთარი თავის შეგარძნება გეკარგება,
გამუღმებული ერთფერიგონებისაგან და ყოველ-
დღიერობისაგან გინღუნდგდება გონება, აღქმისა
და შეფასების უნარი; და მამინ, საჭიროა, რაც
შეიძლება სწრაფად ვასცილდე ერთ ადგილს და
სხვა სფეროში ამოიყო თავი. ამას გარდა, მოგ-
ზურობის წყურვილი, სერგილი ახლის ნახვის
და განცდისა, — ეს ადამიანთა ბუნების უმთავე-
რესი მოთხოვნეილებაა. სხვა რა ახალისებს და
აყოცხლებს გონებასა და სულს ისე, როგორც
მოგზაურობა. დიდი ინტენსივად ფილოსოფოსის
ჭერბერტ სპენსერის თქმით, მოგზაურობა იმგვარ-
ი წიგნია, რომელიც ყველზე საჭიროა და სა-
სარგებლო, ჭკუის სასწავლო, და რომელიც
სამუღამოდ რჩება ჩვენს მესხიერებაში.

საქართველოს თევზის მრეწველობის სამმართ-
ველი და ქართული საოკეანო თევზჭვერი ფლო-
ტი ამ საშიოდ წლის წინათ დაარსდა. მისი ორ-
განბერტორი და სულის ჩამდგმელი გახლდათ
პლატონ საპანაძე, რომელმაც ქერ კიდვე რუ-
სეთში გაითქვა სახელი. მას დიდი ღვაწლი

მიუძღვის საბჭოთა კავშირში თევზის მრეწვე-
ლობის დაარსებასა და განვითარებაში. პლატონ
საპანაძის სახელი ყოველი მებუღაურისთვისაა
ცნობილი. როდესაც ჩვენში ამის პირობები
შეიქმნა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მან არ
დაიზარა და ხელი მოჰკიდა საქართველოში საო-
კეანო თევზჭვერი ფლოტის შენების საქმეს. ათას
ცხრაას სამოცდორ წელს ბათუმის გემთსად-
გომში ღუზა ჩაუშვა პირველმა ქართულმა ტრაუ-
ლერმა, რომლის ფოტოგეგმეზე შევი ასობით
ეწერა „შოთა რუსთაველი“. მას შემდეგ გავიდა
წლები, ქართული საოკეანო თევზჭვერი ფლო-
ტი გაიზარდა; დღეს იგი ხეთამდე ტრაულერს
ითვისებს, რომელშიც კი, აღბათ, ხეთი ამდენი
ეყოლება.

უკანასკნელი ათეული წლები რომ არ მიეი-
ლოთ მხედველობაში, შეიძლება ითქვას, რომ
ქართველ კაცს ზღვისკენ ზურგი ჰქონდა მიქცეუ-
ლი. ჩვენი სახლის ფანჯრები ზღვის მხარეს არ
ამზირებოდნენ. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ გეო-
გრაფიულ, ეკონომიერ და პოლიტიერ მდგო-
მარობაში. უნდა გავისხენოთ ისიც, რომ სა-
ქართველოს პირველი კოლონიზატორები, —
ბერძენები სწორედ ზღვიდან მოკავდნენ და პირ-
ველი დარბევა ქართველებმა სწორედ ზღვიდან
შოსულნი ხალხისგან ვანიცადა. ქართველთა მიერ
ზღვა თითქმის სრულიად არ იყო გამოყენებუ-
ლი, როგორც მიმოსვლის საშუალება. ბერძენ-
თათვის, ნორვეგიელთათვის თუ პორტუგალიელ-
თათვის მებუღაურობა ისეთივე შესისხლბორცე-
ბული რამაა, როგორც ჩვენთვის შეუენახეობა.
ამგვარად, ეს ჩვენთვის მეტად ახალი ხილია. სა-
ზოგადოებრივი შრომის ყოველ დარგს სჭირდებ-
ბა საყოთარი პროფესიული კულტურის გამო-
მუშავება, რაც ხელის ერთი დაკერით არა ხდებ-
ბა. იგივე ითქმის მებუღაურობაზე. დაგვირდებ-
ბა მრავალი წელი, ათეული წლებიც, რათა მებუღ-
აურობაში ფესვები ვაიდგვას ეროვნულ სულში,
ჩვენს ეროვნულ მისწრაფებებს შეუხმინდეს,
და, რაც მთავარია, იქცეს ტრადიციად. მაგარამ
მომავალს მუღამ საწყისი განაპირობებს, —

კარგ საქმეს კარგი სათავე იქვს და სასიხარულო და სიძულადო სწორედ ისაა, რომ საქართველოში ქართული საოკეანო თევზჭერა ფლოტის დაარსებას კარგი წინა საფეხურები გააჩნია.

* * *

გავიდა ზაფხული. შემოდგომაც დაილია და ზაზთარაც მიიწერა. ჩვენი წასვლის საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო, — უკვე ვირიცხებოდათ საოკეანო თევზჭერის ფლოტის კადრებში მებღაურებოდ. ახლა, ველოდით მხოლოდ გემს, რომელზეც უნდა გვემოყვება და რომლითაც ოკეანეში უნდა გავსულიყავით. ჩვენ სამში ყველაზე „ნორმალური“ ზურაბი გამოდგა და როდესაც კარგი სამსახური იშოვა, იშვამსვე ხელი აიღო ოკეანეში გადასასვლელად. თამაზ ოქრუაშვილი და მე კი ყოველ ექვსს გარეშე წაიხილეთ.

ცამეტ მარტს მივიღეთ ტელეგრამა: „სასწრაფოდ გამოცხადდით ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოში“. იმ დღესვე მოვემზადეთ, გამოვეშვიდობეთ ყველას და ღამის მატარებელს გადავიყვით. ფოთში გავიგეთ, რომ, ახლად მიღებულ ტრატულერ „თბილისზე“ ჩავერიცხეთ. ტრატულერი უკვე იდგა კალინინგრადის გემთმისადგომთან და ვეიპავს ელდა.

— არა, ამ თბილისს კი მაინც ვერა და ვერ მოეშორდი, პა... — ვუთხარი თამაზს, როცა სასტუმროს რესტორანში ესაღილობდით.

— აბა, ბედო, არ ვინდა? სიცილით მიპასუხა მან.

კალინინგრადში ოცდაერთ მარტს ჩავფრინდით. მზიანი დღე იდგა და სიცოცხეს სრულიად არ ეგრანობდით. ავტობუსი ველოდებოდა. პორტისკენ გავქანდით. გასავლელი გემონდა საკმაოდ გრძელი ტრასა, რომლის ორსავე მხარეს ვრცლად გადაშლილია მინდვრები და მენახური ტყეები. ქალაქის დასაწყისში იდგა ომის მსხვერველს ვადარჩენილი და სახელდახელოდ შეეეთებული საცხოვრებელი სახლები. ედღეს ადგილადგვიან ნატყვიარი ეტყობოდა, რბი ფერის იყვნენ და მოწყვნილად გამოიყურებოდნენ. თანდათან ჩნდებოდა ახალი შენობები. ჩვენ უკვე გავდიოდით ქალაქის შუაგულს, მაგრამ მთელ ქალაქს მაინც უხალისო ელფერი გადასკრავდა. ან იქნებ ეს მარტის თვის ბრალი იყო.

ჩვენი „თბილისი“ პურის საფეხევი კომბინატის წინ იდგა. თავისი სითფართო, სიახლითა და სიკობტაით იგი გამოირჩეოდა გასწვრივ მდგარ ტრატულერებისა, სეინერებისა და გამწეებისაგან. როდესაც გემბანზე ფეხი დაედგით, სიხარულისა და სიამაყის გრანობამ შეგვიპყრო ყველანი, რომ მომავალში ასეთ კობტა და დახვეწილ გემზე მოგვიხდებოდა ცურვა და ცხოვრება. ძველი მუსიკაურები თამაზამ მიმოდოდნენ, იშვამსვე შეუდგნენ მათთვის ნაცნობი დანადგარებისა და აწეების სინჯვას. ახლები კი სატრალაო ხიღბე

ასახელებ ტრატთან შევგროვდით და ველოდით განკარგვლებას.

მარტის გემი

კაპიტანი გიორგი სვანიძე მღვიმეში და მზიარულად დაგვხედა ახლადმოსულებს. მისი სახელი წინათაც გავიცვინა. აღარ იგი მატროსად ცურავდა სხვადასხვა გემებზე, შემოაბდა ვე-შაიმჭერ ფლოტში; შემდეგ, დამათყრა საზღვაოსნო სასწავლებელი, დავუფლა გემის მართვის საქმეს და, ბოლოს, მოიპოვა შორეული ნაოსნობის კაპიტნის საპატიო წოდება. იმ დღეს იგი მზიარულად და მეგობრულად შეგვხდა ყველას და ვეითხრა:

— აბა, ვერ ისახებოდა, დანაყრდით. მერე, შევიყრიბით და გავისუბებოთ, გავეცნოთ ერთ-მანეთს.

ჩვენ ბარგი იქვე გემბანზე დავტოვეთ და მატროსთან სასაღილო ოთახისკენ გავემართეთ.

კოცმა სამზარეულოს ვიწრო ფანჯრიდან თავისი წერილი, შვეი თვალები შემოგვანათა და მოგვესალმა:

— ბიჭებს გავმარჯოს!
— რომერტს სიცოცხლე! — მიესალმნენ „ძველები“. ახლებმა მორიდებით დავუქართოეთ.

— უკვე აქა ხარ, ბიჭო.
— აბა შენ იცი, როგორ პურს გავაქმდე!

იმ დღეს კოცმა მართლაც გემბანზე სადილი გვაქამა. სადილის შემდეგ კაპიტანმა პატარა კრება მოაწყო კაიუტ-კომპანიაში. ყველას სათითაოდ გავეცნო. ძველებს, უბრალოდ უღიმოდა, ახლებს კი გვეკითხებოდა სახელსა და გვარს; სადაურებს ვეყავით, სად ვმუშაობდით მანამდე და რატომ დავაპირეთ მებღაურება. მეტად გულობილ და სასიამოვნო კაცად მოგვეჩვენა. მან მოკლედ გავაცანო „თბილისის“ მოწყობილობა, მისი სიახლენი, მოკლედ მოგვიხაზა მომავალი რეისის გეგმა და, შემდეგ, ჩვენი თავი ვადასვა კაპიტნის უფროს თანამშრომელს — ნიკოლოზ მხატვარს.

ეს ადამიანი თამაზსა და მე პირველ, უხუე კაცად მოგვეჩვენა. მთელი კრების მანძილზე, შუბლმეკრული იქდა და წარბებსქვემოდან გვათვალაურებდა.

— დიდი გორბი ვინმეა, ეტყობა, — ვუთხარი თამაზს.

— ნაღდად სულს ამოგვხდის... — მიპასუხათამაზმა და ორივეს გავველიმა.

პირველად ჩვენ ასე შევაფასეთ ნიკოლოზ მხატვარი: ოცდაათტომეტი, ორმოცი წლის კაცი, — ხვეულ თმამი ჰარბად შერეული ჰალარა, სხის მკვეთარი ნაკთები, ოდნე ამტკრეული თაფლისფერი თვალები, შეკავებული ღმილი პირქვე გარეგნობის აძლედა.

მხატვარი ლამაზაკობდა მოკლე წინადადებით, ვარყვეით. ამოკითხათსია, გავანაწილა კაიუტებში და ბოქმანს უბრძანა მოვეთავსებინეთ. ამგვარი იყო ჩვენი და-



კამიტის უფროსი მოადგილის ხანმოკლე შეხვედრა. პირველი ორ კვირამდე დაუკავით. იმ ხნის მანძილზე თითქმის ყოველდღე გვიხდებოდა მისი ნახვა, მაგრამ იქ მაინც არ დამუარკუნულა ისეთი კავშირი, როგორც შემდგომ, ზღვაში. დილით მატროსები ეტვირთავდნენ გემს სხვადასხვა საჭირო საკონლით, პროდუქტებით; დატვირთვასა და პროდუქტთა მიღებას ხელმძღვანელობდა უფროსი მოადგილე. მთელი დღის მანძილზე ხან იქ, ხან იქ ვაისმოდა მისი შეტასილები და ბრძანებები.

თამაზ ოქრეაშვილი და მე დავბინადრეთ მკ-40-ე კაიეტაში, რომელიც ხელ წინაყრდოსთან იყო მოთავსებული. კაიეტები შეიანინუნავდნენ იყო მოწყობილი: ორსაწოლიანი ოთახები, სუფთა, დიდი იზოტერმობილი კარგად განათებული ფართო სკამები, პატარა მაგიდები, ტანსაცმლის დასაკიდებელი კარადითა და პირსახანით.

რეწის დაწყებამდე თევზჭერ გემზე მატროსები ბოცმანის ხელთ არიან, ემორჩილებიან უშუალოდ ბოცმანს. ჩვენი ბოცმანი — ემელიანე კეშელავა — ორმოცდაათ წელს მიღწეული მებღაურის იყო. თექვსმეტი წლის ასაკიდან ზღვაში გასულა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გესიამოვნებდა ამ კაცთან ჭლომა და მისი ამბების მოსმენა: მებღაურებს კი უყვართ ამბების მოყოლა. ჩვენი ბოცმანი ვერ იტანდა, როდესაც მებღაურს შეაშინებდა სიზარმაცეს, სიმბლაღეს, არამირღამირობას, უვტლობას და თვითონ ყველას მიმართ მტკად მხრწეული ამხანაგი და მასწავლებელი იყო.

დიდიდან ხუთ საათამდე გემზე მუშაობდით. სალაშოთი კი გავდიოდით ქალაქში სასაიერნოდ. კალინინგრადი მეტად მშფოთვარე, ხმაურისაჲ, დასახული და საინტერესო ქალაქია. პირველ ორ დღეს ფეხით დავებებებოდით ქუჩებში, მკლილობით გვენახა ყველაფერი: ვათვალიერებდით მარკოსის ტილში ნაგებ სარულ დანგრევას გადარჩენილ სახლებს, სასახლეებსა და გულსიებს. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე ემანდილ კანტის საფლავმა მოახდინა. საფლავი რატუშის დასავლეთ კედელთან იყო მოთავსებული. ფორმით წაგავდა უზარმაზარ კუმბს. ნაგები იყო ზაცი აფერისფერი მარმარილოთი. ისეთივე მშფოთრე, რელიგიურად მარტოე, მკაცრი და იდეალური, როგორც თვით კანტის ფილოსოფია. დიდხანს ვიდექი კანტის საფლავთან. უცნაური გრძნობა მიპყრობდა. ბრგვლოე მიღამო მორტიტლებული იყო. მიწიდან აქა-იქ სახლითა საძირკვლებს ამოეყოთ დაშლილი გვერდები. ომამდე აქ უიქვილად ღამაზე შინობები იქიებოდა. ომისგან მოშინშვლებულ მიღამომი ბავშვები თამაშობდნენ.

კანტის საფლავის გარდა ვნახე შიღერისა და გოეთეს ძეგლები. გოეთე იჭდა სავარძელში, ხელები მიიმედ დაედო სახელურებზე და შუ-

ბლმეშვეხნილი ჩასჩერებოდა მიწას. შიღერ ფიგურაში იგრძნობოდა მწერლის სიხილდე და ღრმა აზროვნება. შიღერის ფუნქციონირებად შენართული, შებღვახსნილი, ფართოდ გახელოლა თვალებით სივრცეში იშვარებოდა. მოქანდაკის ბრწუნვალად გამოეხატა ქვაში ის მღელვარება, მშფოთვარე სული, მისწრაფება და დუდგრომობა, რაც ამ დიდ მწერლის ყოველ ნაწარმოებში არის ჩაქსოვილი.

კალინინგრადში ყოცხისას კედლე ვრთი რამ აღიბეჭდა ჩემს მუხსიერებაში: იქ, სადაც „თბილისი“ იჭდა, პერის საფუქვეი კომბინატის გვერდით უზარმაზარი შენობა იყო ამართული, რომლისთვისაც ყუბნარებს სულ შთლად ჩაეღწეა ფერდები. მაგრამ სახლი მუარად აქმუნებრიათ და იგი ასლაც შეერგეულად იჭდა მალაღ, ღაცხრილული და თვალუბამოღამებელი. მისი დანახვა უცებ შეზარადა კაცს, ისეთი ნელვლიანი, დაკარგილებული და გამოფიტული ჩანდა მის უჩარჩოებო ფანჩრებში ცა იცრიცებოდა, რადგან სახლს არ შერწენოდა არც სახურავი და არც უჯანი კედელი. ის მაინც იჭდა და არ იშლებოდა, თითქოს გარდასულ, საშინელ დღეთა მოსაგონებლად. ამ სახლთან მოდიოდნენ ბავშვები. ისინი ნანგრევებში ბოვლოდნენ რკინის კარკასებს, დაცილლ ვაზნებს, იარაღის დაკანგულ ნაწილებს და თამაშობდნენ იმას, რაც ერთ დროს სიციხედ იყო. ისინი თამაშობდნენ ომობანას ამ ომგადახდელი სახლის სართულებზე და ყოველივე ამის ცქერა სევედისმოგვერელი იყო. ზოგჯერ სახლს მიადგებოდა ძველებურ სატვირთო მანქანებზე შემოსლარი ვერმანულ და საბჭოთა სამხედრო საშოსელში გამოწუბილი აღამიანები და ისინიც ბავშვებითი იწუებდნენ ომობანას თამაშს. კინორეისორი ცდილობდა რაც შეიძლებოდა, ზუსტად განესახიერებინა ომის სურათები: აღამიანები ესროდნენ ერთმანეთს, იხოებოდნენ, იბრძოდნენ, სწირავდნენ თავს, მაგრამ ყველაფერი ეს ღია ცის ქვეშ, იმ ფერდებდალწილად და ხამდვილომგადახდელი სახლის წინაშე ჩანდა გართობად.

კალინინგრადში ყოველწაირად ვედილობით კარგად გაგვეტარებინა დრო და, რაც შეიძლება, მეტი სიამოვნება მიგველო. მიწაზე ყოცხისას მებღაურები უტრთხილდებიან, დიდად აფასებენ ყოველ წუთს. მათ იციან, რომ მალე ისე ზღვაში გავლენ და თვეებით მანძილზე ფუნს ვერ დადგამენ დედაიწუხს. ქალაქში ყოცხისას მებღაურებები არაფერს ზოგავენ, რათა შეიგრძნონ მიწიერი სიამოვნება, განიცადონ სიყვარული, თუნდაც სწრაფწარმავალი; განიცადონ სილაშხე და დაითურნენ ძვირფასი ღვინით... ჩვენც, ახალბედა მებღაურები ვნახვდით ძველებს და მათებურად ვერთობოდით.

შედ აპირებს ჩვენმა ტრადუციამ დღეა აქშევა და დასვენა კალინინგრადის ყურეს ფართოდ



გადაშლილ ბალტიის ზღვისკენ. „თბილისს“ უნდა მოეხაზა დიდი წრე, გაეყოლო ათასობით კალამებრი და ჩასუღიყო სამხრეთ აფრიკის მიდამოებთან, — ყერძოდ, უოლფინგ-ბუჩის უტრემი. პორტლის ვასელის ღღეს მოეთმენადა ველოდით. ის ორი ვერა, რომელიც ქალაქში გვიტარებოდა, დედასეზონებდა ვრძელი გვერეცენებოდა. მუდამდღე ვეთათხოვოდით კაპიტანსა, თუ შტურმანებს, როდის ვავიდოდით ზღვაში. ისინი ირონიულად შემოგვხედავდნენ ხოლმე და ლიხილით გვიასტუებდნენ:

— სად ვერქარებთ? ზღვაში ვინდათ, არა? იმასაც მოეწყობებოთ, ნაპირზე წაგვიყვანეთო, იხვეწებოდნენ.

მაგრამ მაშინ ჩვენ ახალბედები ვაყავით და როდესაც ნაპირს ვშორდებოდით გული სიხარულით გვიცემდა. მხოლოდ ერთხელ ავტეტანა წამიერმა სედეამ: პორტიდან ვასელისას „თბილისს“ გამოსამშვიდობებელი საყვირის მისცა. ჩვენ გვიბაძა ათასმა ხმამ ერთდროულად. ერთდროულად ახლავდა პორტში მდგარი ყველა გემი. რამდენიმე ხნით გარემო დამაყრუებლად ავუგუნდა. და მხოლოდ მაშინ ვიგბენსი, რომ მივდიოდი ძალიან შორს, ეშორდებოდი მიწას და ჩემი მგზავრობა იქნებოდა ძნელი და სახიფათო. გვიკვილებდნენ სრულიად უცნობები: პორტის მუშები, უზბალო გამკლავლები, ქალენი, ბაჭყალი, კაცები... ჩვენ არცერთს მათგანს არ ვიცნობდით, მაგრამ ისინი იღვინენ და გვიტყვებდნენ ზელს და გულში, ალბათ, ბედნიერ მგზავრობას გვისურვებდნენ. არა, ზღვაში მიმავალ გემთა ვაცილებმა უფილა სულ სხვაგვარი, სულ სხვაგვარი და ძნელად გამოსათქმელი. გემები დიდხანს ვანაგრძობდნენ ვეპუნს და ტანში ერთბაშად მივლიდა. მე არ მწყინდა, რომ ეცოდნებოდა ნაპირს, მაგრამ რაღაც გამოუთქმელი ნაღველი მიპყრობდა, ახლაც კი ვერ ვაგრძელებვარ, რას ვგრძნობდი მაშინ.

დიდხანს მივყვებოდით კალინინგრადის ხელოვნურ არხს, რომელიც რამდენიმე ათეულ კილომეტრზეა ვადკიმული. ბოლოს, თვალწინს ვიდაიშალა ზღვა. — მადლობა დმერთს! ვაგელოთ! — ეთქვა და დრმად ჩაესუნთქე ზღვას ნესტიანი ჰაერი. სატრალა ხიდზე ვიდექი. ბალტიის ზღვის ცივი, მსუსხავი ქარი ქროდა. „თბილისს“ ლაღად მიპაობდა ტალღებს, ხოლო უკან მოგვსდევდა თოლიათა ვუნდა.

„B, IV, 65.

თოლიები ისევ მოგვსდევენ. ავგაყუნენს დილთა შვიდ საათზე. ვაგელოთ ვემაზნზე და შეუვღეწით შემოაბას. ვარ სატრალი ბრიგადში. ვისწავლე ვვარლის ჩაწა... ბევრი ვიშეყავით. ოთხ საათზე, — შაბაში. ერთი ბიჭი არ მომეწონა. თავის გამოჩენა სურდა და ბაქიბუქობდა, ძველი მუზღაუერი ვარო. სინამდვილეში არაფერი იყო. დაწარჩენები კარგი ბიჭებია. ვანაკეთობ

ბით შირონ დედენავა. სასიმშრენინეცქმამზე მუშაობა ამ ბრიგადში. „შემაგვინებენ ხეხეც, ონეც და მოფიქრებაც...“

დავიწყებ იქიდან, რომ ბირეული მეზღვაური, რომელსაც დეუბალოვდი, იყო ბათუმელი ვორა ურუმაძე. ძალიან კარგი ბიჭი ოდნავ დამალი. მოეღვაერი ეშმაკური გამოხედვით, სწრაფი და საქმის კარგი მკოდნე. სწორედ მან მიხარია სატრალა ბრიგადში ჩაეწერილიყავი, თხუნამეტი წლიდან მუშაობდა ბათუმის პორტში ხან ვამწეზე, ხან სეინერზე, ხანაც კაპარტზე. ძალიან მიხაროდა, როდესაც ჩემთან შემოვიდოდა ხოლმე კაიუტაში, რადგან ვარ კიდევ არ ვიყავი შეთვისებული უცხო გარემოს და გემზე თარს უზერებულად ვგრძნობდი. მუშაობის დროსა, ვორა ხშირად დამხედავდა. თუ რაიმე მიკვირდა, მომესმარებოდა და მასწავლიდა. ჩვენ ერთ ბრიგადში ვიყავით. ყველანი ხალისიანად ვმუშაობდით. მუზღაურები ვამუდმებით ხუმრობდნებოდა იცინოდნენ. ხუმრობა და სიცოცხლე აუცილებელი რაიმე გემზე. ამას მივხვდი ვანაკეთობით მაშინ, როდესაც ექვსი თვე ზღვაში დავყავი. ჭეჭვრობით კი მხოლოდ მეორე დღე იყო, რაც ბალტიის ზღვაში მიცურავდით. ვიცოდებ, რომ შეუადლისთვის მიწა გამოჩნდებოდა და ხშირხშირად ვიხედებოდი ირგვლივ ვაღაწოლო სიერცემი. ეს ნისლიანი იყო და წელი ბრიზი უბრაქადა. ვახტა უცვე მოთერებოდა, როცა გემს უამრავი თოლია შემოეხვია, — ფრინველი მაშინ გამოჩნდება ვემთან, თუ ნაპირი ახლოსაა. მართლაც, სულ მალე ორივე მხრიდან მიწა გამოჩნდა.

- კონტინენტი?
- ჰო. მარჯვენე შევედეთია, მარცხენე დანია.
- შიპსუხა ვალერი დონდემ. ვალერი დონდემ — უფროსი ტრალმასტერი — თავიდანვე მოეწონა. შემდგომ, ჩემი საუკეთესო აშანავა ვახდა იმ მოგზაურობაში.
- ნეტავ რომელიც ქალაქი თუ გამოჩნდება? — ვიკითხე.
- საეშაოდ ბევრი. ვერ მალმე, მერე — კობენაკენი, ჰელსინგორფი...
- მუშაობას ვანავარობდით. მე ვემუშაობდი და თან თვალს არ ვაშორებდი მიწას. შორიდან იგი ვაცილებით ლამაზი და მიმზიდველი ჩანდა.

— ზუნდის სრუტეს ვავდივართ, — მითხრა ვალერიმ.

ზუნდის სრუტე არც თუ ისე ვანიერია და ვაწოლილია კუნძულ ზელანდიასა და შევედეთის ნაპირებს შორის. შევედეთის ნაპირები შთავორიანი. რამდენიმე ხნით მზემ ვამოანათა და ძალიან ლამაზი გამოჩნდა ამ ქვეყნის შთათავრებები. მდელოები და მინდვრები. მინდვრები ერთმანეთისაგან იყოფოდნენ ტყის ნაკეთებით. ფერდობები აჭრებულელი იყო უამრავ ფერ-

ბად, როგორც ჩვენთან სენიეთში იცის ხოლმე. ოღონდ, რა თქმა უნდა, მთელ გარემოს თავისებური იყოს დაქარავედა.

როდესაც ზუნდის სრუტეზე გავდობდით, გზად გვხვდებოდა იალქნიანი ნაგებობა. ისინი ლაღად მაპობდნენ ტალღებს და სულ ახლის ჩავიჭრობდნენ. ზედ ისხდნენ თეთრ, ყვლიან სვიტრებში და თეთრ შარვლებში გამოწყობილი კაცები და ქალები. ისინი სეირნობდნენ და ერთობოდნენ. მე კი ეშორებოდი ყოველგვარ ვართობას და მათი სრულიადაც არ მშურდა. მუხლავურებს გვახალისებდა ამგვარი შეხვედრები... შემდეგ, გვედით კატეგატის სრუტეში. ჩვეუარეთ კენჭულ ლესოსა და ანკოლს. ლამაზი კენჭულები იყო. ნაპირების გასწვრივ მოჩანდა ვილები. ვილების წინ მცირე ზომის პლაჟები იყოფოდნენ ერთმანეთისაგან. სიცივის გამო პლაჟები და ვილები ცარიელი იყო და კენჭულებზე სიმშვიდე, მყუდროება სუფევდა.

ბაღის ზღას უწინდებურად ტყეისფერი გადაქარავედა. საერთოდ, ეს ზღვა არ გამოირჩევა სიღამაზით: წყალი უმეტესად უფერულია, — მოვრიე და ცივი. როდესაც კენჭულებს გავედით თაღებზე ჩაოგვეკიდდნენ. მერე, ზღვა ონივ ადღღდა. იქნებოდა, ასე ხეთ ბლამდე. მე პირველად ვიქევი გემზე და დაძაბული ველოდებოდა, თუ როგორ იმოქმედებდა ღვე. ჩემმა სასახაროდ მცირე ზომის ღვეა მსომავებდა კიდევ.

— მოიცა, ქერ ბისკაის ყურეში შევიდეთ და მერე ვნახოთ როგორ იქნები, — მიხატეს ძველმა მუხლავურებმა. ბისკაი, ეს მუდმივად მღვივარე უტრეა. აქ ტალღების სიმაღლე და სიძლიერე ხშირად თორმეტ ბალს აღწევს. ბისკაის გზა სასაფლასაც უწოდებენ, რადგან აქ მრავალი გემი დაქარავედა უგზოუკვლოდ. სწორედ ამ ყურეში დაიშხვრა ესპანეთის დიდი არმადა, როდესაც ინგლისისკენ მიიწვედა მამივლ დატვირთული და საბრძოლველად გამზადებულია. ბისკაის ყურემ ვადაარჩინა მამინ ინგლისი და საბედისწერო როლი თამაშა ესპანეთის ისტორიაში. მაგრამ ბისკაის ყურემდე კიდევ საკმაო მანძილი უნდა გავველო. ვერყვრობით მესამე დღე თენდებოდა, რაც ზღვაში მიეცურავდით.

ამ ხნის მანძილზე მუხლავურები უფრო დაუვალოდ ერთმანეთს. ჩემს გვერდით, 41 კილოტრში ცხოვრობდნენ მუხტარ მიაქე და ოდელია. არა, ოდელია ეს მისი ზედმეტსახელი გახლდათ, სინამდვილეში კი შალვა ტყუბუჩავაძე იწოდებოდა. მინდა ვაყრიოთ ვეისესეო, თუ რატომ დაერქვა ეს ზედმეტი სახელი შალვას. — გემზე არ ყველას ზედმეტსახელები გვქონდა. როდესაც საქართველოდან უნდა გავფრინდით ვით კალინინგრადასკენ, ჩვენი შალვა ქუთაისის აეროდრომზე ცმუტავდა.

— ბიჭო, მეშინია, ხომ იცი! გამოვიტყუებო, ოღონდ არ გამცე, — მიხატა მუხტარი კილოტრში და კიდევ უფრო დაუწერილდა ოდელია. წერილი, წაწვეტებული ნაყოფი სახისა. — იცა, აქამდე თვითმფრინვში კი არა ვმყდარავა!

— მერე და რისი გეშინია? ახლა მთელი ქვეყანა დაფრინავს — გავამზნევესავით.

— რა ვიცი, აბა!

შანც არ ისვენებდა სანამ თვითმფრინვში ჩაქდებოდა სულ ცმუტავდა და ბოლთასა სცემდა. ბოლას, ჩავსხედით. სხვადასხვა ადგილებზე აღმოვჩნდით. თვითმფრინვის ფართო საყარძელში რომ მოკალათებულა, წერილი თვალები დაუქვეტია და თურმე ილუმინატორიდან ხარბად მიანერდა დედაიწეს. როდესაც თვითმფრინავი მიწას ასცილდა, მოიბუზა, ხელები მუხლებს შორის მოამწყვდია და მისუსტებულა ხმით „ოდელია“-ს სიმღერა დაიწყო. მოსკოვამდე ერთხელეც არ შეჩებულა, თავი არ შეუტრიალებია, — იურებოდა ილუმინატორში და ოდელიაო, წმუტუნებდა. მის გვერდით მსხდომი თავს ძლივს იკავებდნენ, რომ ხმადალა არ დაეწყოთ სიცილი... ჰოდა, ასე შეერქვა შალვას ოდელია. მერე კეთილი კაცი იყო. მანამდე არც ზღვაში უმუშავინა და მე გამოვიკირდა, რამ წამოიყვანა ამ ხნის კაცი ოკეანეში და თანაც ასეთ სამუშაოზე. იქნებოდა ასე ორმოცდახუთი წლის, როდესაც მასთან კაიუტაში შევიდოდი, გაღმოიღებდა თავისი ეზო-კარისა და ცოლ-შვილის სურათებს; როდესაც შუაოკეანეში თვეზს ვიპერდით და ძალიან გავიკრებოდა, ატებდა წუწუნს: — რა მინდოდა, ახლა მე აქ! სწორი არ იყო ჩემი ცოლი, რომ მუენებოდა, ამ ხნის კაცს კიუა გამოგელიათ?! რა ჩემი საქმე იყო მატროსობა?! ბიჭო, ომი გამოიყარე იშხელა კაცმა, ომი, და ახლა აქ უნდა ჩავიხრჩო? სად, მერე? სადღაც გადაქარავულში? ვაი, ვაი... თვის მდგომარეობას სიწარუნარვეი ხუმრობით გამოხატავდა ხოლმე. ჩვენი ვიცინოდით.

საკავრეკის სრუტეში საღამოთი შევედით. ეს სრუტე საკმაოდ დაბოლოვლიანია. ბინდი ოდგა და ვარშემო არაფერი ჩანდა. ვარეთ ცოლდა ჩვენი გარსდით კაიუტებში. მე მსიამოვნებდა საკეთარი თავის აღქმა ამ ჩემთვის უჩვეულო პირობებში. ლამისთვის ქარმა და ღვევამაც იშხელა. წამოვიდა წვიმა. თამაზი და მე უხმოდ ვიწეით საკუთარ საწოლებზე. მალე დაბნელდა. წოლა მომხვრდა და გადაეწვეტიე ბოცემთან შეესულიყავი. ბოცემანის კაიუტაში კიდევ ორი მუხლავური დამხვდა. ისინი საუბრობდნენ და სახეებზე ოდნავი შემოთება ეხატებოდათ.

— სად, რომელ ადგილას? — იკითხა ერთმა.

— ჩვენგან ჩრდილო-დასავლეთით.

— ჩრდილოეთის ზღვაში, არა?

— ასე გამოდის, სადღაც მანდ უნდა ხდებოდეს ის ამბავი. — უბასუხა ბოცემანმა.

— რა ამბავია? ასეთი რა მოხდა? — ვიკითხე მე.

— ჩრდილოეთის ზღვაში გემი შეეღალა თბო-
ვლობს. რადიოკვანძში განუწყვეტლივ მეორ-
დება SOS...

— მერე, არ დავეხმარებოთ?

— რა თქმა უნდა. თუშე, შორს კი არიან.

აღუღებამ მეც ამიტანა. წუთით წარმოვიდ-
გინე, რა დღეში იქნებოდნენ იმ გემზე მყოფი
ადამიანები.

მერე, დავიშალენით. როცა დავიძინე, სიზმარ-
ში ვხედავდი, თუ როგორ იძირებოდა გემი ჯა
ჩვენ როგორ ამოგვეყვავდა ადამიანები წყლიდან.
მთელი ღამე ამგვარ სიზმარებს ვხედავდი. მეორ-
ე დღით კი გავიგე, რომ ის გემი ინგლისე-
ლებს გადაურჩენიათ.

„თბილისი“ ისევ სამხრეთისკენ ჰქონდა გეზი
აღებული. საჭეზე იდგა ჩემი მეგობარი თამარ
ოქრუაშვილი. იგი მეორე მესაჭედ ირიცხებოდა.
არსად არ გამოიცილობა ადამიანის ბუნება ისე
აშკარად, როგორც მოგზაურობისას, და მე მა-
ხაროდა, რომ ჩემს თანამგზავრში არ შეეშლება-
ვარ. ის მებრუნებდა გულკეთილი და ალალი ადამი-
ანი აღმოჩნდა.

ერთხელ, ღამის ეახტის შემდეგ, როცა კაიუ-
ტში შემოვიდა და დაწოლას ამბრებდა,
მიიხრა:

— კაპიტანი მაგარი კაციია...

— რატომ?

— მთელი ღამე თვალი არ მოუხუტავს. საშ-
ტურმანო ხიდზე იდგა ჩემს გვერდით და პირა-
დად ხელმძღვანელობდა გემის მართვას.

— მართლა?

— რას იციანი! სრუტეებში გავლისას უპირა-
ვი გემი გვეხდებოდა...

— მერე?

— მართლა არცაა ინდო. თვითონ იდგა მთელ
ღამეს და შტურმანობდა. კარგად იცის საჭე
კარგი კაცია.

— მგონი შეგიყვარდა?...

— რატომაც არა?! ისე იქცევა, რომ ჰატეხს
ვეცი. ხომ იცი, გზაში ყველაფერი მოსალოდნე-
ლია, თუ ფრთხილად არ იქნები...

— ეს ყველგან ასეა.

— არა ეს იმიტომ ვთქვი, რომ თურმე მარ-
ტო ჩვენ არ გვიყვებს წვალება...

— აბა, რა გეგონა.

— მთავარია, უყვარს გემი.

— კი, სხვა რა უნდა უყვარდეს კიდევ,
მეფრე სიცილით.

კაპიტანი გიორგი სვანიძე, მართლაც ენერგო-
ულად უძღვებოდა, როგორც გემის მართვის,
ასევე წარმოების საქმეს. მას დიდი ღვაწლი მი-
უძღვის იმაში, რომ ეკაბეი ყოველთვიურად
გვემას გადაჭარბებით ასრულებდა.

(მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ ისეთი ნი-

კიერი და გამოცდილი კაპიტნები, როგორც გა-
ორგი სვანიძე, უნდა ზრუნავდნენ არა-მარტო
სოციალისტური ვალდებულებების პირდაპირად
შესრულებაზე, არამედ იმაზეც, რომ რაღაც სა-
ჭარბელოში საოცნაო თევზჭერის ფლოტი
ახალი ხილა, ზღვს უნდა უწყობდეს მის ვაზ-
რდას, განმტკიცებას, ფლოტში სამართლიანო-
ბის ტრადიციის ჩამოყალიბებას, ნაციონალური
კადრების შემოკრებასა და აღზრდას, და, რაც
მთავარია, ისეთი სპეციფიკური მართვისა და
ურთიერთ დამოკიდებულებათა სისტემის შექ-
მნას, რაც ქართველ კაცს არ გაუძნელებს ზღვა-
ში ცხოვრებასა და მუხლგაურული პროფესიის
შეფუძნებას. მაგრამ ეს მარტო კაპიტნებს კი არა,
მათ ბირველ მოადგილეებსაც ეხება)

იყო დამეგები, როდესაც მოწყენილობა ამი-
ტანდა; როდესაც ეფიქრობდი წარსულზე, სახ-
ლზე, ახლობლებზე და გვიანობამდე არ შეძინე-
ბოდა. ჩემს წარმოდგენაში სახლი იყო რაღაც
ისეთი, რაც თავისთავად არსებობდა, რაც —
გსურდა თუ არ გსურდა, გვეუთვნოდა შენ და
მედამ შენთან იყო. ეს იყო ისეთი ნავსაყუდ-
არი, რომელსაც დაღლილობის ქაშის მიადგებოდი
და ისიც ვალდებული იყო გულისადა შეგვედ-
როდა. მისი აუცილებლობის შეგრძნება თურმე
შაშინ უფრო მწვედებდა, როდესაც შორს ხარ
წასული და ხარ მარტო. ფეჭრე კი, რომ ის
არსებობს, დამაშვიდებელია და იმედის მომ-
ცეში. სიმარტოეში ადამიანებიც გაცილებით
ქეიფდნენ ხდებიან შენთვის. იმ სიყვარულს,
რომელიც ყოველდღიურობაში ჩლუნდებდა, მარ-
ტობის დროს უფრო მამარად აღიქვამ.

— ხვალ ბისკაის ყურეში შევდგობართ, —
მიიხრა თამარმა და ფეჭრე შემაწყვეტინა.

— ერთი ესეც ვნახოთ, ჰა?! ძალიან კი გვი-
მინებენ!

ლა-მანშის სრუტე ღამე გავიარეთ. ძლიერი
ქარი ქროდა, გემი ირწეოდა და ჩვენ კაიუტებში
ვისხედით. ილუმინატორიდან ღამის სიშავის
გარდა არაფერი ჩანდა. იშვიათად თუ გაარღვე-
და წყვილიანობა მდგარი შეჭერა. მისტოერ
განწყობილებაზე გაყენებს ამგვარი ღამე ოცა-
ნეში.

თორმეტ აპრილს დილის შვიდ საათზე ბის-
კაის ყურეში შევდგით ფეხ: გაუცდით ბრეტა-
ნის ნახევარკუნძულს თუ არა, უცერად დასა-
ვლეთის ძლიერმა ქარმა დაგვიხერა და ტალღამ
გემბანი ჩამორცხა.

— შევედით ბისკაის ყურეში. აბა, მაგრად
იყავით ბიჭებო! — გაისმა კაპიტნის უფროსი
მოადგილის ხმა.

ჩვენ სასადალოში ვიყავით და საჭმელს შე-
ვაჭკუოდით.

— ვნახოთ ერთი, რას გვიხამს?

ვერ მოასწრო ამის თქმა, რომ გემი ძლიერად



გაღწევა მარცხენა ფერდზე და მივიღებზე დადგმული ჯამები ერთიმეორის მიყოლებით ვაფრინდა გემბანისკენ. ყველაფერი აირია. მესხეთურები სკამებზე თავს ძლივს ამაგრებდნენ: ზოგი იცინოდა, ზოგი ივიწებოდა, ზოგიც მისტიკოდა დაყარულ ლუკმას... ასე გვამცნო ბესიამ თავისი არსებობა. ის ლელავდა. რამდენიმე შეხლევათა წამოხტა და საპირფარეოსაკენ გაიქცა. უშეღრობამ თავი ანება უკამს. თამაზი და მე ვისხედით და ველოდით, თუ როდის გავხდებოდით ცუდად. მართალია, თავბრუ გვეხვევოდა ოდნავ, მაგრამ ადგილიდან მაინც არ ვდგებოდით.

— რაც არ უნდა გარყვედეს, უკამს თავი არ უნდა დაანებო. უარესია, — ამბობდა ბოცმანი. — პირადად მე, როცა უკამს, უკეთა ვარ.

ჩვენ ბოცმანის ახრი გავიხიარეთ და უკამა ვანუგარეთ.

სალამოსთვის ღელვამ კიდევ იმატა. ცას ტყეისფერი გადაკვირდა. ზღვა შიშისმოგვრელი ვახდა და მისი ტალღები გაუღმებით ეხლებოდნენ ილუმინატორებს, ხოლო წინაურდოსა და კიოსს გემბანზე ისინი, ქალაქს შემოსული შტრის ლაშქარივით დათარეშობდნენ. ქარი ზეოდა, ტალღები მთებზევით იმართებოდნენ და გემი ცხვირით იძირებოდა მათ შორის გაჩენილ უფსკრულში.

— ღელვა ათ ბალს აღწევს! — გამოაცხადეს სპიერმა.

ეკიპაჟის ნახევარზე მეტი თავს ცუდად გრძობდა. ვახშვად სულ ათიოდ კაცი გამოცხადდა. დანარჩენები ლოკინიდან არა დგებოდნენ. კაპიტანი ჩამოივლიდა კაიუტებში და ბუკებს ამხნევებდა. ზოგი ძალიან იყო შემინებულნი. განსაკუთრებით ოდელია. დღიურში ასე მიწერია:

„ოდელია საშინლად გრძობს თავს. ძლივს გააფრთხლებდა ხოლმე კაიუტიდან, ისიც იმიუთვის, რომ საპირფარეოსკენ წაივდეს. მკედრის ფერი გადაჰყარავს სახეზე. შემეცოდა და ვინახულა.“

— როგორა ხარ, ოდელია? — ეკითხებ.

— ვერ, რაღა. ბისკაია ეს თუ რაღაც წანდაბა, როდის გაათვლება, ნეტავ?

— მალე, ხეალ დღის გავალთ. — ვუპასუხებ.

— ვაი, ბიჭო! ახლა, ვიწუქი და გულს შევეკითხებ: ხომ ჩამიყვან ფოთში, გულო? ხომ არ მიოღატებ?

— შერე, რაო?

სიცილს ძლივს ვიკავებდი.

— სამჯერ ძლიერად დაიძვერა, თითქოს მიიხრა: ჩაიყვან, ჩაიყვან! ჩაიყვან! ხოდა, ჩამიყვანს, ხომ იცო?

— ჩაიყვანს, აბა, რა იქნება?! —

— რა იქნება და ისა, ჩემო ბატონო, რომ ცოლი უფრო უკვიანი გამოდგა. მაფრთხილებდა,

ე სიბერეში გადასული კაცი სად მიდიხარ, სახლში. დეტეო... ვაბრაზებული ვუკმანტყმდები შენ რა გესმის-მეთქი, დედაცოცო... კლდნია მეტი, — იმას თუ მე?! ვაი, ცოლო და შეილოს... —

— ნუ გეშინია, ოდელია. ყველაფერი კარგად დასრულდება. ფულით ჭიბვედატენილი ჩახვალ და... —

— ისე ღებტენა ჩემს აქ გამოშვებს სასხრები წყლითა და ქარებით! —

დასუსტებული მაინც არ კარგავდა იუმორის გრძნობას. ბევრი სხვაეც ცუდადა გრძნობდა თავს. ჩვენ კი, თამაზი და მე, — ყველადაგასაოყრად საუკმესაც ვუკმადით და როდესაც კაპიტანი მეორეოცე კაიუტაში შემოვივლიდა და გეკითხავდა, როგორა ხართ თბილისელებო, — მხედ ვეგებუბოდით. კიდევ კარგი, რომ ჩრდილო-დასავლეთის ქარი ქროდა. სამარისპირა დინება რომ ყოფილიყო, კიდევ მეტ ხანს მოყუნდებოდით ბისკაის გავლას. ასე კი მეორე დღის დასასრულს გავკოვდით ამ მუდამ მულეარე ყურეს და ჩავეყვით ქერ ესპანეთის, ხოლო შემდეგ პორტუგალიის ნაპირებს.

როდესაც ბისკაის ყურე გავიარეთ, კაპიტანმა სპიერით მოგვმართა ეკიპაჟს: „ეს ჩვენი ტრაუღერის და ახალბედა მესხეთურთა ნათლობა იყო. ვულოცე მთელ ეკიპას, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ყველანი განმართულად ხართ, გისურვებთ ასევე მედგრად დაუდგეთ მომავალ სინელეებსაც“. თქვა მან.

მალე ბისკაი უკან დარჩა. სამხრეთით ოკეანე უფრო დაწყნარდა. თავისუფალ დროს მე გავდიოდი წინაბრდოზე და გავხედავდი თვალწევდნელ სივრცეს. მშირად ზღვას აღვიქვამდი მუდამ მოძრავ ცოცხალ არსებად. ყოველ ცოცხალ არსებაში დავრთვილია ენერჯია, რომელიც უნდა დახარჯოს, დაწესას... და ოკეანეც ასე იყო. მას ჰქონდა ძალა და ცდილობდა განთავისუფლებულიყო. და იგი ღელავდა.

ესპანეთის ნაპირების გავლას სამ დღეს მოვედით. ამასობაში კიდევ ერთ მესხეთურს დაეუბლოდით — ვახტანგ კახაშვილს. კახელი ბიჭი იყო, ოცდაექვსი წლისა; მეტად ვაჟაკური ბუნების, სულიერადაც და ფიზიკურადაც ძლიერი, შესახედავად სასიამოვნო. ჯარში სამსახურის დამთავრების შემდეგ, რუსეთში დარჩენილია, კალინინგრადში დოქტობებულა და იქვე დასახლებულა. ჯერ ქარხანაში მოწყობილია, შერე, კალინინგრადის თევზსაქერ ფლოტში ჩარიცხულა. სულ სამი წელი იყო, რაც ცურავდა. ცოლშვილს მუდამ სიყვარულით ახსენებდა. საოცარი ნახა და კეთილი გამოხედვა ჰქონდა ამ მალად, ნამდვილი ქართული შესახედაობის ახალგაზრდა კაცს. მაგრამ ყველზე მეტად მე მასში მომწონდა პირდაპირობა და პატოსნება, — როგორც შრომაში, ასევე ამხანაგებთან. არ მახსოვს რა პირობებში დავახლოვდით. მახსოვს, ბისკაის

უფროს გავლის შემდეგ, ის და გორა ურთმავე შემოვიდნენ ჩვენს კაბუტაში. ბევრი ვილაპარაკეთ. ზღვაში, საერთოდ, წარსულზე მეტს ლაპარაკობენ. თუმცა, ზეგლუბზეც ასეა. ადამიანს წარსულზე იმტომ უყვარს ლაპარაკი, რომ ის, რაც გარდახდა, აწუხობს ნათლად ჩანს და იმის შეფასებაც ადვილი ხდება. ჩვენ ვლაპარაკობდით განვლილ დღეებზე. მე უცნაურ გუნებაზე დავდიქი: თითქოს მიხაროდა რაღაც და იმე დროს ამოუხსნელი სევდა მერეოდა. მე და თამაზს არაფერ გვექონდა შემონახული, გამახსენდა და დალუგა მომინდა.

— ხომ არ დაგველა? — ვკითხვ ვაბტანჯს.

ყველას აუფრთხუნდა თვალები. აბა, გემზე ვინ იტყვის სასმელზე უარს. ჯერ ერთი ბოთლი ამოვიღეთ. დაეცალეთ, მეორეც გაეხსენით. შერე შემოგვიერთდა ვაღერი დონდუა და ვალიკო აკუბას დია, — ჩვენი ტრალმასტრები. ვალიკო ბევრს ჰყვებოდა თავის თავგადასავლებზე და ჩვენ მზარულად ეციინოდით. ვალიკო იყო ნამდვილი მეზღვაური, ისეთი, როგორც მასაც. წიგნებში აღწერენ ზოლში.

— ჩაველი ზერსონში? — ვატაცებთ დაწყებდა მომდევნო თავგადასავლის გადმოცემას. — სად წაიფილოდი უბარველსად? რა თქმა უნდა, ჩემს ცოლთან. (უნდა ვახსენო რომ მეზღვაურებს ბევრ ქალაქში ჰყავთ თავიანთი ქალები, რომელთაც ისინი ცოლებს ეძახიან. აღარ მახსოვს რამდენი ასეთი ცოლს ჰყავდა ვალიკოს. მიეფიცა სადაც ცხოვრობდა; შევალე კარი და...)

ჩვენ ვაციინოდით, თანდათან გვეკიდებოდა არაფერი, — სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ ეიმყოფებოდი კაბუტაში, მეზღვაურებთან ერთად, ოცენაში, ხოლო გარეთ ზუოდა ქარი, იდგა ღამე და ზღვა ოღნავ გვიარწევდა.

სანამ რწყვის ადგილამდე მივიდოდით, მეზღვაურებმა დღეში შედა საათს ვმუშაობდით. მგვრამ სატრალა ბრიგადის წევრებს მეტი მუშაობა გვახდებოდა. დასამზადებელი იყო ტრალეები: საფსკერო და პელაგიური. საქმე ბევრი იყო და ჩვენც დაუღალავად ვმუშაობდით. ყოველ დღე ახალ რასმეს ვსწავლობდი და თანდათან ვეთავისებოდი მეზღვაურულ ცხოვრებას. თექვსმეტ აპრილს გავცდით კადისის ყურეს და, ამგვარად, დაიწყო შესვლა ტროპიკულ რკალში. ჩვენს აღმოსავლეთით აფრიკა იყო. გემის გარშემო, უწინდებურად, უამრავი თილია დაფრინავდა, მგვრამ უცე სულ სხვა ფორმისა და ზომის, გამოჩნდნენ შავი ფერის თოღები, რომლებიც მანამდე არასდროს შენახა. გამოჩნდნენ ალბატროსებიც. ალბატროსი ოკეანის ყველაზე დიდი ფრინველია. შესახედავად ძალიან ლამაზია: აქვს თეთრი ქათქათა ბუმბული, გრძელი, მოქნილი და ძლიერი კისერი; თვალები შავი, ხოლო ნისკარტი მოწითალო, მსხვილი, ბოლოში მოკაუჭებული. მე მოძინელებმა ამ უცხო ფრინველის ყველა გარეგნული შტრიხის ნათლად

გადმოცემა. მაგალითად მისი თვალები უცნაურად ადამიანური; მათ ზემოთ ვიქოცხვებოდათ ცა ვიწრო ზოლად გავლუბული წიფელი მის გარეგნობაში იხატება დედოფლური სიღარბისადა, მოძრაობები, — თუნდაც თავის დევრდვ მიტრიალება, — არაჩვეულებრივად დიდი და ელასტიური. როდესაც ეუღკერდი ტალღებზე მონანავე აღბატროსს, მე იგი მგონებდა ქალს, რომელიც შესახედავად ძალიან ლამაზი, ძალიან მკაცრი და ძალიან ამაყია. ზომით ალბატროსი დიდი არის. როდესაც ფრთები გაშლილი აქვს განივი სიგრძე ოთხ მეტრს აღემატება.

მთელი ცვირის მინძილზე ზურვის ქარი ქროდა, გვეზმარებოდა დინებაც და ჩვენ სწრაფად მივიწყედით სამზრეთისაკენ. შეუმჩნევლად ვცილდებოდით მარტყოს მიწას. მიწას, რომლის დასაველეთით მადიერას კუნძულები მდებარეობს; გავიარეთ ესპანეთის სასარა. ლამაზი ჩანდა ღამით კანარის კუნძულები: ლანსაროტი, ფუერტევენტურა, ტერერია, — რომელზეც გაშენებულია დიდი საბორტო ქალაქი სანტა-კრუს, — და კიდევ სხვა კუნძულები, რომელთა წინ უამრავი შექტურები ციციანთეობივით კითხოდნენ. ძნელა გადმოსაცემი ის განწყობილება, რომელიც შეგნი დამაბედმა ვადამილი წყლის სიერეში კუნძულის დანახვისას. თავს გრძობდა დაკარგულ არსებად, და მიწას, მიწის, უმცირეს ნაგლექსაც აღიქვამ, როგორც რაღაც სათუთს, ახლობელსა და საიმედოს.

რაც უფრო სამზრეთით ვიწყედით, მით უფრო გამჭვირვალე ხდებოდა ცა, ზღვა ღებულობდა და ლურჯ ფერს და მზე მით მეტად მცხუნვარებდა. დამით მოვარე თეთრად ანათებდა და სინელეც გამჭვირვალე ხდებოდა თითქოს. მზარად ჩვენ მიეყვებოდით მთვარის მიერ ოცენებზე გადებულ ვერცხლისფერ, ბილეს და მე მასხენდებოდა ბოდღერის ლექსები პროზად.

ჩვიდმეტი აპრილისათვის მოგრძობ ვველა საკირო ტრალის კეთებას და მზად ვიყავით თევზის ჭერისათვის. დაიწყოთ სათადარიგო ბადეების გამზადება. ამ დროისათვის განედის 20° ვცილდებოდით უკვე. ზღვა საოცრად იცვლიდა ზოლში ფერს: აქ ოგი შექი მწვანე ფერისა იყო და შესახედად ოღნავ არასისამოვნო. გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი ფრინველი. ზომით ალბატროსზე მეტიც და მოყვანილობითაც სხვაგვარი: ფერად რუხი, ნისკარტი შუბის წვერით წაწვეტებული, თვალები მრგვალი სისხლიანი და ბოროტი; ფრთები ძლიერი და ღამურას ფრთებსავით დატეხილი. ისინი მტაცებელ და ვერავ ფრინველსა ჰგავდნენ. მოძრაობა სწრაფი და უხეში ჰქონდათ. დაფრინავდნენ ჩვენს გარშემო და სრულად არ გვაქცევდნენ ყურადღებას. გემის მახლობლად მხოლოდ იმისთვის ტრიალებდნენ, რომ საცვები ენახათ. მათ ფრენაში არავითარი ჰაეროვნება არ იყო, მე ისინი არ მომწონდა და არასდროს ვუყარდი თევზს.

— რა კვირა ამ ფირველს? — ვეთხე ბო-
მანს.

— მგონი, ბაქანებია. — მიპასუხა.

დიდი ხანი იყო ჩრდილოეთ ტროპიკის ზონა
გაგვეწო და ახლა ვუახლოვდებოდით მწვანე
კონცხის კენჭულებს. მწვანე კონცხის კენჭულე-
ბი ზომით ძალიან პატარა, რიცხვით — მრავ-
ალი. თავად მწვანე კონცხის საშხრეთით, ყურე-
ში, გაშენებულია ქალაქი დაკარი. დაკარის ყუ-
რეში თერამეტ აბრილს შუადღისით შევედით.
კიოს გემბანზე ვმუშაობდით, როცა კაპიტანი
გიორგი სვანიძე სატრალს ხილზე გამოვიდა და
გვითხრა:

— ბიჭებო, ტრალი გამაზადეთ ჩისაშვებად.
კარგი ჩანაწერებია და, ბარემ, ვასინაჟეთ კი-
დეც, ტრალი როგორ მუშაობს.

ყველანი სასწრაფოდ წამოგვტოთ, მივანებეთ
თავი გვარლებს ჩაწინს და უკვე გამზადებული
ტრალის გაწყობას შევუდგეთ.

ტრალი, რომლითაც ტრაულერებზე თევზს
იჭერენ, ძირითადად შესდგება ორი ნაწილისა-
გან: პირველი — ეს თვით ტრალია, ანუ, ის
ნაწილი, რომელიც თევზს „ხეგრავს“ და ბადეში
აწყვდევს; მეორე, — ტომარაა, რომელიც უკ-
ვე დამწვანებული თევზი თავს იყრის, გროვდუ-
ბა და იტენება. ტომარაში დაახლოებით 40 ტონა
თევზი ეტყევა. როგორც ადრე აღვნიშნე, აბ-
სტობობს ორი სახის ტრალი: საფსკერო და პელა-
გიური. პელაგიური ტრალით წყლის ზედა ფე-
რეში მტურავ თევზს იჭერენ: ათი, ოცი, ოც-
დაათი მეტრის სიღრმეზე. თავად თევზებიც თავი-
ანთი ადგილმდებარეობის მიხედვით ორ ნაწი-
ლად გაყოფიან: არიან თევზები (მაგალითად,
სარდინა) რომლებიც ვერ უძლებენ წყლის დიდ
წნევას, დიდ სიღრმეზე ვერ ჩადიან და ცურა-
ვენ წყლის ზედა ფენებში. არიან მეორე სახის
თევზებიც, (მაგალითად, კარჩხანა, კოჩილა,
სკუმბრია), რომლებიც მუდმივად ზღვის ქვე-
და ფენებში იმყოფებიან. ამ სახის თევზებს იჭე-
რენ საფსკერო ტრალით. საფსკერო ტრალიც
პელაგიურის მსგავსია, ოღონდ მისი „საყლაბა-
ვი“, ანუ ის ნაწილი, საიდანაც თევზი ბადეში
ემწვდევთ, უფრო ფართოა, ტრალის ბოლოები
მაგრდება ფლოადის გრძელ ვარსკვლავზე. ვარს-
კვლების სიგრძე ათასი მეტრია. ისინი დახვეულია
ჭალამბარის დოღზე. როდესაც ტრალს წყალში
ჩაუშვებენ, მემანქანე ჭალამბარს ჩართავს და
გვარლებს დაუშვებს. გვარლებს უშვებენ იმისდა
მიხედვით, თუ რა სიღრმეზეა თევზის გუნდი
განლაგებული.

იმ დღეს კაპიტანმა გვიბრძანა გაგვეწყო საფს-
კერო ტრალი. შე ველავდით. თეორიულად ყვე-
ლაფერი შესწავლილი მქონდა, მაგრამ პრაქტი-
კულად — ეს ჩემთვის პირველი ტრალის ჩაშვე-
ბა იყო. „თბილისი“ პირველად აგდებდა
ტრალს ზღვაში. ყველანი ღელავდნენ. ბოლოს,

როცა ყველაფერი გავაზადეთ, კაპიტანმა ბრძა-
ნა:

— ჩაუშვით ტრალი!

ვალერი დონდუამ ჭალამბართან მდგარ მემან-
ქანეს ანიშნა მანქანა ჩაერთო, ჭალამბარი ავუ-
გუნდა. ტრალი დაქანეს, თანდათან ჩაუშვეს
ზღვაში. ლამაზი სანახავი იყო, თუ როგორ მიცუ-
რავდა ბადე ჯერ წყლის ზედაპირზე, მერე თან-
დათან როგორ ჩაიძირა და რამდენიმე ხნით დაკ-
ლანდილი კვალი დასტოვა.

— მიეცით შვიდასი მეტრი, — ბრძანა კაპი-
ტანმა.

შვიდასი მეტრიო, ანიშნა ხელით ვალერიმ მე-
მანქანეს და ჭალამბარის დიდი მთელი სისწრა-
ფით დატრიალდა. სისწრაფეს ტრალის ჩაგდე-
ბისას უღიდესი მნიშვნელობა აქვს. როცა კარგი
ჩანაწერია ეხალატში, დროულად უნდა იმოქ-
მედო, თორემ თევზის გუნდმა შეიძლება ადგი-
ლი გადაინაცვლოს და მერე, იქნებ ვეღარც კი
დაიპოვო.

ამგვარად, დაკარის მიდამოებში ჩაუშვა თავი-
სი პირველი ტრალი „თბილისმა“. როდესაც
ტრალი ზღვაში ჩაიძირა, ვალერი დონდუამ და-
კიდევ რამდენიმე მეზღვაურმა სასწრაფოდ შეა-
გროვა ვერცხლის ხუროდა ფული და მუქით
წყალში ისროლა, — გაყოლა ბადეს. ეს მეთე-
ვთა ჩვეულება ყოფილა პირველი ტრალი
სულ ოცობდენ წუთს გავაჩერეთ წყალში და ამო-
ვიღეთ ოთხი ტონა თევზი. ამდენი თევზი ერთად
ჩემს სიცოცხლეში არ შენახა. (რა ვიცოდი, რომ
რამდენიმე დღის შემდეგ, თათქმის ყოველდღი-
ურად ამეიდგებდით ამაზე ოცეგრე მეტ თევზს)
თანაც რა თევზი არ იყო: უმეტესად კარჩხანა,
ზღვის ლღაეი, გველოვეზა, მცირე და საშუალო
ზომის სკაროსი და სხვა. შე კიოს გემბანზე
დაყალიბი თევზის გარშემო ვტრიალებდით და
ძველ მეზღვაურებს ეგვათხებოდით თევზთა სახე-
ლებს. ყველა გაბარებული იყო. მერე, კაპიტან-
მა ბრძანა, თევზი ბუნეკრებში ჩაეყარათ, ხოლო
საამჭროს მატროსებო საამჭროში ჩასულიყვენ
ნედლეულის გადასამუშაველად, იმ დღეს შე
მოკლედ გავეყანი თევზის დამუშაების პრო-
ცესს, რაც მოკლედ მინდა ამ გვერდზე გადმოვ-
ცე: როდესაც ტრალს გემბანზე ამოიღებენ, სატ-
რალი ბრიგადის მეზღვაურები ნინებენ თევზს
ჩაყრიან ბუნეკრებში. „თბილისზე“ იყო სულ
ოთხი ბუნეკრი: ორი დიდი და ორიც პატარა.
ოთხივეში ოცდაოთხი ტონა ეტეოდა. ბუნეკრე-
ბიდან ელევატორის საშუალებით თევზი გადა-
დის საამჭროში და იყრება ტრანსპორტიორზე.
ტრანსპორტიორის გასწვრივ დგას მუშების ერთი
ნაწილი, რომლებიც თევზს პროტინებში აწყუ-
ბენ. პროტინებში ჩაწყობილ თევზს ათავსებენ
სართულზე და დაყოფილ ურციებში. ურციები კი,
შემდეგ, მყინავ კამერებში შეაქვთ, სადაც ტემ-
პერატურა — 30° აღწევს. კამერებში თევზს და-
ახლოებით ორ საათს აჩერებენ. საამჭროს მუშა-

თა იმ ნაწილს, რომლებიც ტრანსპორტიორთან დგანან და თევზს ახარისხებენ და აწეობენ ურიკებში, „გამანაწილებლები“ ეწოდებოთ. მუშათა მეორე ნაწილს თევზი გამოაქვს მუინავ კამერებიდან. ისინი სარკველენ უკვე ბრეტებულ დახურულ თევზს, აწეობენ ყუთებში და მეორე ტრანსპორტიორის საშუალებით გახვანან ტრანსპორტიორის ამ ნაწილს ეწოდებოთ „გამომგდებლები“. ტრინში კიდევ ორი მებლავარი დგას, რომლებიც თევზის ოკლათილოიან ყუთებს სართულებად აღაგებენ. თევზის მუინავ ტრავლერებზე სულ სამი ტრინია და მათში ერთევა 450 ტონა თევზი. როდესაც ტრინებში აივსება, თევზს ახარებენ თავისუფალ მანას, ან სახლვარავითის რომელიმე მასლობელ პარტში ჰყიდიან. ასეთია მოკლე თევზის წარმოების პროცესი. თავიდან ყოველივე ეს თამაზსა და მე ძალიან საძნელო საქმედ გვეჩვენებოდა; მაგრამ მალე შევისწავლეთ და თითოეული პროცედურის ჩატარება თვალდახუჭულებსაც შეგვიძლო.

დაკარის მდამოებში სულ ორჯერ ჩავუშვით ტრალი. ეს იყო საკონტროლო ჩაშვება. ვაიბი გავეცნო თევზის წარმოების პროცესებს და ჩვენ ისევ სამზრებით დავუყვით ოკეანეს. დაკარი უკან დაბრუნდა. ვაიბარეთ ბისავუშის კენძულები, სიგრა-ლეონე, ლიბერია, სხილოს ძელის ნაიბი, ოქროს ნაიბი და შევედით გეინის ყურეში:

ზღვამ ისევ იცვალა ფერი. უფრო ღერჭი და ლამაზი გახდა. ცხელიდა. სიტყე ყოველდღობრად მატულობდა. თერთმეტი საათიდან ოთხ საათამდე გემბანზე აღარ გავდიოდით უკვე სამუშაოდ. სიტხისაგან გათანგულები კაიბტებში იყისებოდა და კონდენსები გვქონდა ჩართული. კაიბტებში გრილობდა, მაგრამ კონდენსირებულ ჰერს ამიყარს ოდნავი გემო დაქრავდა და მამბრებდა. როდესაც გარეთ გავდიოდით, ისეთი შეგვამტება მქონდა, თითქოს ორთქლს ქებაში შემედგა ფეხი.

ვეახლოვდებოდით ევატორს.

ნასამბრალს, მარცხენა ბორტიდან ვეშაბთა გუნდი გამოჩნდა. მათ უკან მისდევდნენ ვეშაბთიშქარი პატარა გემები. გემები პატარა და ძველი ჩანდა. დაახლოებით ორმოცდაათი მეტრით იყენენ დაშორებულნი ვეშაბთა გუნდისაგან. ვეშაბები უშფოთველად გარბოდნენ, თითქოს არცა ჩებობდნენ თავი დაეღწიათ. მათი მოძრაობა იყო დინჯი და ელასტიური. ზოგჯერ ისინი ჩაყინებადდნენ, და რამდენიმე ხნით თვალთაგან მიუღარებოდნენ; მერე, ისევ ამოიზიდებოდა მათი მუქი ფერის ვლუვი მზხინავი ზურავი. პირდაპირ ჩენი მოძრაობებით მოიწვედნენ. მერე გვზი იცვალეს და მიმოიფანტნენ. ვეშაბთიშქარმა გემებმა სულ ახლოს ჩაგვიარა. მოწინავე გემის ცხვირზე ვიღაც ზანგი პარბუნმოძარკვებული იდგა; ფიგურა ერთ აღტილას გაქვევებული, დამაბული, როგორც სასარკლად მოზიდული

შეილდი. მის უკან გუნდად შეგვდევდლოყენენ სხვა ზანგი მებლავარები და ვეშაბებს თვალურს აღევნებდნენ. მკაპი შეგონა, რომ შესაძლებელი იყო, სადმე კიდევ პარბუნებით ვეშაბების დახოცვა. როდესაც გემებს ვვერდო ჩავედარეთ, ზანგი მებლავარები ზელის ქნევითა და შემახილებით მოვეგასალმენ. ჩვენც ვესალმებოდით უცნობ მებლავარებს.

ვეშაბთა ქერის ამ სურათმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ვეშაბები ძალიან ლამაზები იყენენ, მაგრამ ლამაზი იყო აღამიანიც, რომელიც გემზე პარბუნალმართული იდგა და ელოდა ვადამწყვეტი წამის მოახლოებას. შემდეგ, მე სმირად მიფიქრია, თუ აღამიანის მიმართ შიში რამდენადღაა გამჭდარი თვით უდიდეს ცხოველებშიც. ვეშაბებს კედის ერთი მოქნევით შეეძლოთ ჩაგმირათ სამივე პატარა გემი, მაგრამ ისინი შიანც ვაურბოდნენ მათ. ეს ზოგადი შიში ისევე არსებობს ცალკეულ ცხოველში, როგორც ზოგადი შეგვამტება უბრალობისა თვითეულ აღამიანშია ფესვეამდგარა.

22/IV

ქრის საშინელი ჭარი. იგი უფერად ამოგარდა და აღარ ჩამდგარა. ისევე უფერად მოიღრუბლა ცა; ვახდა რუხი ფერისა, ხოლო ზღვა უამრავი თეთრი ბატუნებით დაიფარა. ბუნება თითქოს რალაყმ ვაამორტა და მქივნავარბდა. პორიზონტი ვაქტრა. „ვევლამ დაბრეთ ილუმინატორი. დაიწვება ტროპიკული წვიმა“, — აღხადებს შტერმანი სპიკერში. მე ილუმინატორს არ ვუტრავ და მშიამოვნებს, როგორ მებლებაცელი ჰაერი სახეში. უცნაურად ვარ ატაცებული. ვეყურებს როგორ შიამბოს გემი მძიმე ბურუსს. მარცხენა მხრიდან ჩვენსკენ იწევს შავი ფარდის მსგავსი რალაყ. ეს რალაყ სწრაფად გვიახლოვდება. უცებ, შევერით ერთმანეთს და სახეზე მებლება უზარმაზარი წვეთები. მტკიცეულად მებლებს. ტროპიკული წვიმა, სულ მოლად გაეხვიეთ შავ ფარდაში და აღარაფერი ჩანს გარშემო. გემი კი მტკიცედ აგრბოლებს თავის გზას. ისეთი გრამობა მქვს, თითქოს საყუთარი ფეხით მივაბოყებ მკვრელ რალაყებზე.

- როგორა ხართ? — კარი შემოალო ყორამ და შემოვიდა.
- ისე რა.. დეიდალე. რატომ დგახართ?!
- ყორა დაქდა.
- რას აკეთებდით? — ვკითხე.
- უნა ვავლესეთ.
- როგორ? რას ნიშნავს?
- იყინის.
- ესე იგი, ვტრამახობდით, — თავს ვიქებდით.
- მართლა? არ ვიცოდი...
- მერე ვავიხსენეთ, რომ ბათუმშიც მიაგარო წვიმა იყოდა ხოლმე. ტროპიკული წვიმა სულ ორიოდვე საათს ვაგრბელდა. ამგვარი დღეებმა



მე ჩემს სიცოცხლეში არ შენახა, და, ალბათ, ვერც ველახსდაროს ენახავ, თუ ისევ ეკვატორთან არ ამოყვავი ოდესმე თავი. მთელი ზღვა დამსგავსებოდა წულთ პირთამდე ავსებულ უზარმაზარ ქვაბს, რომელშიც უთვალავი სადილ-სარბოდან შხაპი ისმებოდა. ორი საათის შემდეგ ამინდი დაწყნარდა ისევ უეცრად, როგორც აირია. ცა მოიწმინდა, და თითქოს არაფერი მომხდარაო, მხემ უღარდელად ააბრკუვილა ტალღები.

ოცდაათს აპირის ეკვატორზე შევდგი თვეს და დღეეუთ მისი გადაკვეთა. ამ დღისათვის მთელი ეკვატორ ხალხისა და დიდის მონღოლებით ემზადებოდა. როგორც მოგვხსენებთ, ეკვატორის გადაკვეთისას გემზე აუცილებლად ეწყობა ნებტუნის დღესასწაული, და ჩვენს ბოცმანს, — გამოიდიღ, ჰველ მეზღვაურს დაველა ამ დღესასწაულის სათანადოდ ჩატარება. ბოცმანს შიამაგვრეს ხუთი მეზღვაური. სასწრაფოდ იქნა გამოთლილი ნებტუნის მეფური საჯარძელი, მისი ამალისთვის მორთულობა და ხმლები; აგრეთვე ჭედები, ნიღბები და კიდევ სხვა მრავალი რამ. ნებტუნი თეთონ ბოცმანს უნდა განესაბიერებინა, ზღვის დედოფალი — რადისტ გოგონას, ნებტუნის ამალას კი ჰველი მეზღვაურები შეადგენდნენ.

როდესაც ჩვენი ტრავლერი ეკვატორი აღერ წყლებში შეეცრდა, კაპიტანმა სპიკერით გამოაცხადა: „იწყება ნებტუნის დღესასწაული და ახალბედა და მოუნათელავ მეზღვაურთა ნათლობა! „ღამაზად მოხატულ მეფურ საჯარძელში მჭდომარე ნებტუნი მისმა ამალა კინოს გემბანზე გამოიყვანა. ნებტუნს ჰქონდა გრძელი თეთრი წერტი, თეთრი უღვაში, ხელთ ოქროს შუბი ეპყრა და თავზე ედგა ოქროს გვირგვინი. მის ვარშემო დახტოდნენ ზღვის ქაჩები, რომლებიც მწივან სმით გაკვიოდნენ, და ბუკია და დადღაფსა სცემდნენ. მოპირდაპირე მხრიდან მეზღვაურებმა ხელით ჩამოიყვანეს სირინოზი და ნებტუნს მიუსვეს გვირგვინი. როდესაც ნებტუნმა და მისმა ამალამ თავთავისი ადგილები დაიკავე, სადღესასწაულოდ გამოწყობილი კაპიტანი გოგარგი სანაძე, მისი პირველი მოადგილე ალი ანთიძე და უფროსი თანამეწყვე ნიკოლოზ მხატვარი, ერთმეორის მიყოლებით ჩამოყენენ ტრავს, რათა სალამი თქვათ და მოწიწებით დაეკრათ თავი ზღვათა და ოკეანეთა და ყოველთა წყალთა მეუფისათვის და ავლით ნებართვია უშეალოდ მის სამფლობელოში ცურვისა. მეტად სახალისო სანახავე იყო ყოველივე ეს.

— საიდან მოდიხართ მეზღვაურნო, ან კიდევ საით გაგოწყვიათ? — დიწყად, ამაყად ჰკითხა ნებტუნმა კაპიტანს.

— საქართველოს წყლებიდან, შვიი ზღვიდან, მეფე ბატონო. უოღთიშაბესისკენ მივემგზავრე-

ბოთი — უპასუხა კაპიტანმა და მორჩილად დევრა თავი.

ნ ა რ კ ა ნ ე ს უ ლ ი

— აგრე შორს რისთვის გაგოწყვიტე? — ეკითხა სარბევად, სათარემოდ წამოსულხართ? ან მონათლულნი თუ ხართ ჩემს წყლებში? ჩემი ღვინო თუ დაგიღვევიათ? ჩემი პური თუ გკუპიათ?

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ნებტუნის მზლებლებმა მოზრდილ სინზე დაწყობილი პური, ვველი და დოჭით ღვინო მოარბენინეს და კიბები შეუხვეს სტუმრებს. კაპიტანმა სადღევრძელი უთხრა ნებტუნს: შეუქო ქუა, მკლავი და სამეფო; ბევრი სასიამოვნო სიტყვა უთხრა, რათა გული მოეღობო. ამ პრისხანე ბატონისა და სასმისი დაცალა. ტრადიციული გასაუბრების შემდეგ დაიწყო ახალბედა მეზღვაურების მონათლა. მათი რიცხვი საკმაოდ დიდი იყო „თბილისზე“. იყვნენ ისეთი მეზღვაურები, რომლებიც, მართალია, დიდი ხანი მუშაობდნენ ფლოტში, მაგრამ ეკვატორი ჯერაც არ გადაკვეთათ; ამიტომ, მათაც უნდა მიეღოთ ნათლობა. ნათლობის პროცესი ძირითადად სამი ეტაპისაგან შესდგება: მოუნათლავი მეზღვაური ჯერ თვით ნებტუნის წინაშე უნდა წარსდგეს, მერე მას გაბანენ გემბანზე სახელდახელოდ გაიწყობო, ზღვის წყლით ავსოს აუზში და საგანგებოდ შემზადებულ ღვინოს დაადევიანებენ. ჩვენს ტრავლერზე დღესასწაულმა მხიარულად ჩააბრა, კიკი მეფური სადილით ვაგვიმსახიროდა, დვინოც ჩამოგვიროგეს და ზედზედ ვსეამლით ზღვათა და ოკეანეთა და ყოველთა წყალთა ბრწყინვალე მეუფის, — ნებტუნის სადღევრძელის.

მაშ ასე, ნებტუნმა ნება დაავართ ვცეურა მის სამფლობელოებში, ვკვირა თვეში და ჩვენც თამაზად ვაწვიეთ საზმრეთისაყენ. გადავლახეთ ეკვატორი. ვინების ყურეც უკან დაავრჩა. ვარშემო დატურავდნენ დელფინები, — მთელი ჯოგი დელფინებისა მივიტოლა წინ, საერთოდ, დელფინებს უყვართ გემის მახლობლად თამაში. ეს ამიტომ, რომ მათ არ ეშინოთ ადამიანის. ზღვის ეს ცხოველები, ცხოველები-მთქვი გამობობ, რადგან ისინი ძმდუმწოვრები არიან და ეეშაის ნაირთა რიგებს, ვანეტყვენებიან. ადამიანის ერთგულნი არიან. მათ ამ ერთგულებას ამტკიცებს სპეციალურ და მხატვრულ ლიტერატურაში ვადმოცემული ფაქტობრივი მასალა. ასე ვგაგალთად, არსებობდა დელფინი — ლოცმანი. ეს დელფინი ერთი საპორტო ქალაქის მისადგომ კლდოვან ნაპირებთან იყოფებოდა მუდმივად. იგი ყოველ გემს, რომელიც კი ნავსადგურში შესვლას აპირებდა, წინ წარუძღვებოდა და ვაატარებდა ძნელად ვასავალ კლდეებს შორის. ამ საპორტო ქალაქის მისადგომებთან მრავალი წყალქვეშა კლდეც იყო და დელფინ-ლოცმანს გემები მუდამ კარგი გზით მიჰყავდა. სანამ ის დელფინი ცოცხალი იყო, ნავსადგურს ლოცმანი

— ადამიანი არ ჰყოლია. იგი დიდხანს ლოც-
მანობდა და, ერთხელ, უბედურმა შემთხვევამ
მოკლა. რომელიღაც გემმა შუაზე გადასერა
დელფინი — ლოცმანის სხეული, ამ ამბავს ჩვე-
ნი ბოცმანი მომიყვია. ცნობილია კიდევ ერთი
ფაქტი, როდესაც დელფინმა ქალი გა-
დაარჩინა. თურმე, რომელიღაც დასვენებულს
საქმოდ შორს გაუტურავს. გზად რამდენიმე
ზევიგენი ასდევნიდა, ზევიგენი მეტად ვერაგი
ოყენია. მასობობდა ყოფილან დელფინებიც.
მათ შეუნიშნავთ მცურავი ქალი და დადევნებუ-
ლი ზევიგენები; ამ ქალისთვის წრე შემოურტ-
ყამთ, — ზევიგენებისთვის საშუალება ამ მიუცო-
თი ადამიანს მიახლოვდნენ, — და უწყებ-
ლად ნაპირზე გაუყვანიათ. არსებობს კიდევ სხვა
მრავალი გადმოცემა დელფინებზე. ჩვენს ტრადი-
ციის ისინი ხშირად თან ახლდნენ და ლაღად
მიგვიძლიდნენ ხოლმე. ვეშაპები იშვიათად-
და გვხვდებოდნენ. ოკეანე უმეტესად ცარიელი იყო
და ვსიამოვნებდა ამ თვალად სახილველი
უსასრულობის შერგანება.

• • •

ძალიან ცხელია. განსაკუთრებით შუადღის-
ით. როდესაც მზე ძალს კარგადღა მამინაც
ცხელია. ცხელია ღამითაც და მე ვალერის
ვკითხვ:

— ნუთუ უოლფი-ბეიშიც, ამგვარი სიცხე იქ-
ნება?

— არა უოლფი-ბეიში გაცილებით ვგრილება,
— მიახლოება ვალერიმ.

ვალერი დონდუა და მე ამ დროისათვის საყ-
მოდ დავუახლოვდი ერთმანეთს. საღამოობით,
მუშაობის შემდეგ, ვისხედით კაბეტაში და ვთა-
მობობდით ვინც, ან პრეტერანსს. დილით, მუ-
შაობის დროსაც ერთად ვიყავით და იგი ყო-
ველთვის კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩემ-
ზე. საყმოდ განათლებული ახალგაზრდა კაცი
იყო, ერეკოდა ლიტერატურაშიც; რაც მთა-
ვარია, მას ჰქონდა ის ნათელი და განსაღი აზ-
როვნების უნარი, რასაც სწავლითა და ვარჯი-
შით ვერ შეიძენს ადამიანი. გემზე უდრეად
ვერავინ მიმართავდა, თუთონ კაპიტანიც. თავის
საქმეს მუდამ კეთილსინდისიერად ასრულებდა
და საქმის კარგი მცოდნეც ვახლდათ. ოღონდ,
ერთს კი ვამჩნევდი: იგი ხშირად გაღიზიანებუ-
ლი, გამრანებული ჩანდა. ისეთი იყო, თითქმის
ითმენდა რაღაცას და ბეზრდებოდა. არ შეიძ-
ლება ითქვას, რომ გულჩაობსრობილი იყო, მაგ-
რამ არც ენაწყვიანობით გამოიჩინებოდა. ერთ-
ხელ როდესაც მხოლოდ ორნი ვისხედით, კა-
ბეტაში და ინტიმურად ვსაუბრობდით, მიხსრა:
ჩემი ამბავი ყველა ჩემმა მეგობარმა იცის. მე
მათთან დამაძლურ არაფერი მაქვს. არც არის
რაიმე დისამალი...

მე შემეძლო, მაგრამ ვერ ვაგებდე უფრო
დაწერილებით მკითხვა მისი პირადი ცხოვრების
ამბავი. საერთოდ. მეუხერხულება ადამიანთა პი-

რად ცხოვრებაში ზედმოწევნით გარკვევა, თითქ-
მის არაფერი ვიცი ვალერიზე.

„У моряка свои судна“ ამ სიტყვებით
იწყება ერთი რუსული სიმღერა, რომლის მე-
ლოდიაც არასოდეს ამოვარდებია ჩემი გულიდან,
როგორც არ წარიშლება ჩემს მესხიერებაში სა-
ხეები ამ პართველ მეთევზე-მეზღვაურთა, რომ-
ლებიც ჩემი ხანმოკლე მეზღვაურობის განმე-
ლობში ვაგიციანი და დავუახლოვდი. მათ, მართ-
ლაც, საყუთარი ბედი და ცხოვრება აქვთ, ბევ-
რად განსხვავებული მიწაზე მოქმედ ადამიანთა
ბედისა და ცხოვრებისაგან. ჭერ თავად უნდა
გამოსცადო, რას ნიშნავს თვეების მანძილზე
ნაპირს მოცილება, მოწყვეტა საყვარელ ადამი-
ანებისაგან, რომ ვაგო ფასი ამ მსხვერპლისა.
მე ვერ ვიტყვი, თითქმის მეთევზეთა თავგანწირ-
ვა მათ მიერ წინასწარ იყოს განსაზღვრული; ან,
თუნდაც, მათ მიერ შეწირული მსხვერპლი წი-
ნასწარ იყოს ამორჩეული, თავგანწირვისა და
ვაცაქობის ცნება მეტად პირობითია, ხშირად,
ადამიანები ვერც ამჩნევენ, რამდენად მძიმე
ტვირთს ატარებენ და რაოდენ დიდი მსხვერპ-
ლის გაღება უხდებათ. მაგრამ ამას ამჩნევენ
და აფასებენ სხვები.

ვალერი დონდუას და კიდევ მრავალთ, რო-
მელთა შესახებაც ქვემოთ ვილაპარაკებ, თავიან-
თი შესაძლებლობებისა და უნარის მიხედვით
ძალია შესწევთ სხვათა მსგავსად მიწაზე იყ-
ხოვრონ და იპრობონ; მაგრამ მათ აქვთ მოყ-
ვლობის შერგანება. ისინი ხედავენ, რომ საჭი-
რინი არაა იმ ადგილს, სადაც არიან და სიმე-
რებს არ გატრბიან. მათ შექმნეს საყუთარი
ცხოვრება, რომლის გადმოცემა აქ შეუძლებელ-
აა. რაღაც ადამიანთა ცხოვრება, ეს არის მათი
არა ფიზიკური არსებობის ისტორია, არამედ
ისტორია მათი სულიერი განცდებისა. მე კი აქ
შევეცდები რამდენიმე ფაქტობრივი, ზედპირუ-
ლი ამბავი გადმოვცე.

ვალერი კონსტანტინეს ძე-დონდუა დაბადა
ქუთაისში, აქვე დაამთავრა მან საშუალო სასწავ-
ლებელი. ერთი მხრივ საყვირველია, ქუთაისში
მცხოვრებ ბიუს მეზღვაურთა გახდომა რად უნ-
და მოსურველობა.

— ზღვა მაშინ შემეყვარა, როდესაც მამამ
ფოთში წამიყვანა. მეონი მევიწინებით იყო გაგ-
ზავნილი, — ასე დაიწყო ვალერიმ თავისი ამ-
ბავი ჩვენ ხშირად ვუყვებოდით ხოლმე ერთმან-
ეთს საყუთარი ამბავს. — ამას გარდა, ბევრი
წიგნი წამეკითხა მეზღვაურებზე. როდესაც სკო-
ლა დავემთავრე, სახელგამში ასეთი ბროშურა
შემხვდა: „Куда поступить учиться“. წაგიკით-
ხე, ბევრი ვიფიქრე და ბოლოს ამოვირჩიე: „Мос-
ковский технический институт рыбной про-
мышленности“ გადავწყვიტე შევივზე ყოფილიყ-
ვით.

1955 წელს ვალერი ამ ინსტიტუტის „სარე-
წიო თევზმურ“ ფაკულტეტზე ჩაირიცხა; დაამ-

თავი 1960 წელს. ამის შემდეგ იწყება მისი ნამდვილი მებრუნებელი ცხოვრება.

— პირველად პეტროპოლისის „თევზკომბინატში“ ინიერირად გამაწესეს. მაგრამ დიდხანს ვერ გაძვლი, — მიაშბო სიცილით, — მე შეთვეზე მინდობა ვყოფილიყავი, აქ კი კანტორაში ჩამსვდა და ოქმებს მაწერებდნენ. ზოგჯერ ონგვის ტებაზე მახდებოდა გასვლა. კატარღებზე გავყვებოდი ნამდვილ მეთევზებებს და მრცხვენოდა, რომ თევზის ჰერაში სრულიად უცივი ვიყავი. უბრალო კვანძის გაცეთებაც კი არ შემიძლო. მრცხვენოდა, მათთვის რაზე შევითხა, რადგან მათ უფროსად, მთავარ ინჟინერად ვითვლებოდი. ჰოდა, თავი დავანებე.

პეტროპოლისიდან ვალერი მერმანსკი გადასულა. მერმანსკი მეთევზეთა საწრთობი ქალაქია. აქ იგი უბრალო მებრუნებელად მოწყობილა სეინერ „სალტინზე“. ორი წელი უმეზავია; ჯერ მტროსად, შემდეგ კი დრიფტსტერად. მერმანსკის გატარებულ წლებს ვალერი მუდამ სიყვარულით იხსენებდა.

— რომ თქვოდ, რა კარგი იყო? — მტვროდა ვალერი და ჰიქის დაუცილიდა. — ორთვიანი რეისიდან რომ ებრუნდებოდით, მთელი ეკიპაგი გემიდან პირდაპირ ზღვისპირა პატარა რესტორან „ნაიაკში“ შევყარდებოდით; ჯერ თითო არყის ბოთლს მოვიყურებდით, შემდეგ მაგიდებს მივუსხდებოდით და გათენებამდე ვიჭიფებდით. მეორე დღეს ჩვენ ჩვენს ცოლებს მოვინახულებდით. მერე და რა კარგი ვოგო მყავდა მერმანსკიში? ცხეფრთავალება, თეთრი... უბრალოაზარი მეყრდი და თეძოები ჰქონდა. ძალიან მიყვარდა.

— რა უყავი, მერე?

— არაფერი. ერთხელ ხუთთვიან რეისზე წავიდით და რომ დაებრუნდი, აღარ დამხვდა. სხვა მეთევზე შეეყვარებია.

— მერე?

— რა, მერე! ჩვენი ბედი ასეთია. მეთევზეთა ქალები ლამაზები არიან.

ლამაზები, მაგრამ სულელები და დაუდგრომლები. თანაც, ცოლი ხომ არ იყო...

— აკი თქვი, ცოლები ვინახულებო.

— ეგე! ჩვენ ყველა იმ ქალს ცოლს ვეძახით, ვისთანაც დიდხანს ვვიცხოვრობა. ნამდვილი საცოლე ქალი კი ჯერაც ვერ მინახავს. ძნელიაა რომ ვნახო. ჩვენ ხომ უმეტესად ზღვაში ვართ...

ვალერი ამას სიცილით მიხეებოდა.

მერე, როდესაც საქართველოში საოკეანო თევზმჭერი სამმართველო დაარსდა, ის ქართველი მეთევზე-მებრუნებელი, რომლებიც მიშობ-სეულნი იყვნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საბორტო ქალაქებში, დაბრუნდნენ სამშობლოში, რათა მოსაწილეობა მიეღოთ ამ დიდ საქმეში — ხელი შეეწყობთ ქართული საოკეანო თევზმჭერი ფლოტის დაარსებისათვის. მრავალი ქართველი მეთევზე პირადად პლატონ საპანაძის

მოთხოვნით ჩამოვიდა. პლატონ საპანაძემ დიდი მუშაობა გასწია, რათა ნაციონალურმა ცენტრებით უბრუნებულ ქართველმა მებრუნებელმა დონდუაც სწორედ მისი მოთხოვნით გამოემეც საქართველოში.

1963 წელს ვალერი დონდუამ ბათუმის თევზმჭერი კომბინატში დაიწყო მუშაობა. ტრავლერ „მთა რუსთველი“ მან ატლანტიკის ოკეანეში გააკეთა პირველი რეისი. შემდეგ, ინდოეთის ოკეანეში, შემდეგ, ისევ ატლანტიკაში...

— და აი, ახლაც ატლანტიკაში ერთადავართ. ვალერიასა და მე ხშირად გავვიტარებია საღამოები ერთ კაიუტაში და დიდხანს ვცისაუბრია. მის არანვეულებრივად საღი აზროვნების უნარი ჰქონდა. კარგად იცოდა მათემატიკა, ერკვეოდა ლიტერატურაში და უყვარდა პრეფერანსის თამაში. ვალერის კლდე სმა უყვარდა. თუმცა, რომელ მებრუნებელს არ უყვარს სმა შორეულ რეისებში, ტროპიკებში, მებრუნებებს უოველდღეთად ეყუთვის ორასი გრამი ღვინო, მაგრამ ამ უღუფას იშვითად ვლებულობდით. ვალერის არანვეულებრივი ნიჭი ჰქონდა გემზე ალკოჰოლური სისხლეების აღმოჩენისა. როდესაც უკვე თევები დაეუავით შუა ოკეანეში, ჩვენთვის სულერთი იყო რას დაეღვედით. მთავარი იყო რაიმე დაგველა და ზოგჯერ მინც განგვეტვირთა გამუდმებული მძიმე შრომით მებრუნებელი სხეული. ოკეანეში მუშაობისას უცნურად პირჭეუდება კაკი, ხდება უხეში და კალიზიანებული. ხოლო ალკოჰოლი კარგ გუნებაზე გვაყენებდა და ბევრ რაჟს ვვაიწყებდა. ჩვენ ესეამდით ვანტრეველად ყველაფერს. განსაკუთრებით კარგი იყო ვალერი სიმტრიალეში. უკვებადა ანგედობებს მებრუნებთა ცხოვრებიდან, ხმამალა იცინოდა და მღეროდა რუსულ სიმღერას „ნორნი კოტ“. იგი სრულიადაც არა ჰგავდა მებრუნებელს. მისი ნატიფი სახის ნაყთები და ხელები უფრო პიანისტს მაგონებდა, და მე ხშირად ვეუბნებოდი: ვალერი შენ არა ხარ მებრუნებელი, მითუფრეს მეთევზე. შენ ხარ პოეტი! და ვალერი იცინოდა. მაგრამ ამის ვერ ვიტყოდი მუშაობის დროს. მუშაობის დროს იგი იყო ნამდვილი მუშა. მას არ უყვარდა ზედმეტი ყვირილი, ან ვინება, — ვინება კი მებრუნებებს ძალიან უყვართ. მაგრამ გემბანზეც, იგი უცნაურად არისტოკრატიული იყო. ზემს მესხინებამი ვალერი დაზნა, როგორც ჰეროგანი არსება, რომელიც კინოს გემბანის კლდეზე ხელებაშვერილი იღვა და დაჟინებით მიჩერებოდა წყლის ზედაპირიდან ამოტიტბეებულ თევზით დატენილ ბაღეს. აი, ყველანი გაუნძრეველად ედგავართ და ველით მის ნიშანს. ხელის ოდნავი მოძრაობით იგი გვანიშნებს რაც უნდა გვაკეთოთ. ის იყო ნამდვილი დირიჟორი.

— შენ ხარ გემბანის დირიჟორი, ვალერი! — ვტვროდი ხოლმე და ისიც მზიარულად გაიცილებდა.

• • •

მეთევზეობა კაცური და ღვთისგან დალოცვილი საქმეა. ბიბლიის მიხედვით თევზის კერა, თვით ღმერთმა განუწესა ადამიანებს. წყნარ ამინდსა თუ მღელვარე ზღვაში, როდესაც ტალღები გემბანს რეცხავენ, შენ უნდა იდგე შენთვის განუთენიანლ ადგილას და ასრულებდე შენს საქმეს: უნდა სჯიმო მსხვილი გეარლები, ზურგით ზილო მძიმე ტვირთი; როცა გიბრძანებენ, აძვრე ფოკ-მაიტაზე, დადგე აწწებთან, ჩაუშეა ბადე; მერე ელოდო, მოწყურებული თვალებით ელოდო, როდის გაივსება სათევზე ტომარა, რომ გემბანზე ამოიღო. როცა ბაღეს იღებ და ტომარა სავსეა აფართქალღებულ თევზით, შენ აღარაფერა გინაღლებსა, აღარ ვახსოვს, რომ დაიბაღე და ვინაყოფის სიხარული. მერე თევზს ყრი ბუნკერებში, და მუშობას განაგრძობ. თავდება ვახტა, დაღლილი ადინარ საყუთარ კაიეტაში, უღონოდ მიეგდება საწოლზე და მეგობარი, რომელიც შენ შემდეგ ვახტზე გასასულელად ემზადება, გითხავეს:

- იყო თევზი?
- ევლამდე, — უპასუხებ.
- დაიბაღე?
- ძალიან... — და დავეძინებ.

მეთევზეობა კაცური საქმეა და ზიფთიანიც. მცირელი შეცდომაზე საკმარისია სატრალი ბრიადაში მომუშავე მეზღვაურისთვის, რომ რაიმე მარცხი მოხდეს. საკმარისია ოდნევი უყურადღებობა, რომ ღელვის დროს წყალში ამოყუო თავი.

ერთხელ ბაღეს ვიღებდი და მარჯვენა ამწესთან ვიდექი. ზღვა ღელავდა. ტალღები აღწევდა შეიდი ბალის სიმაღლეს, წყლის ზედაპირზე კი თევზით დატენილი ბაღე ტრავტივებდა. ღელვის დროს განსაკუთრებული სიჩქარეა საქობო ბადის ამოღებისას, თორემ მოსალოდნელია ძლიერმა ბიძგმა გეარლები დაწყვიტოს და ტალღები ბაღეს გაიტაცებენ. ჩვენ ვჩქარობდით და გვიხაროდია, რომ ტომარაში ამდენი თევზი მოგროვდა. ტალღა ხარბად ამოგორდებოდა ხოლმე კიროს გემბანზე და შხუილით გაინავარდებდა. ტალღის ამოსვლის დროს ჩვენ მავრად ჩაკვირდებოდით ამწის საკვს, რომ წყალს არ გავტაცებო. შტურმანი ცდილობდა როგორმე ისე დაეწყვიტებინა გემი, რომ ტალღებს ჩვენამდე არ მოედინა, მაგრამ მეტიც ტალღა მაღალი იყო და თავისას შერებოდა. ახალბედა მეზღვაური ყოველთვის თამამი და უყურადღებო. და მეც ხშირად მავიწყდებოდა, რომ შესაძლებელი იყო რაიმე ზიფთი შემთხვევოდა. დაფინებით მიეჩერებოდი მხოლოდ ვალერი დონდუსს, ჩვენს ტრალმასტერს, რათა მისი არცერთი ბრძანება არ გამომჩინებოდა. თავიდან ფეხებამდე ვალემპულეები ვიყავით. ქარი შეფეხს სახტეში გვახლიდა და არეზანის მალაყლიდან ჩქქქმებში მარილიანი წყლის ტბორები ჩამდგარიყო.

— ფრთხილად! — მომესმა ვალერის ძახილი მაგრამ უკვე გვიან იყო.

უცებ, ზურგიდან რაღაც დადგმამდე დამჩნებია, ამიტოვად, ფეხქვეშ მყარი გამომაკალა და დამატრიალა. მე გულადმა მიგქროდი საითლიც და ჩემს მალა ვლვისებური სისწრაფით იცვლებოდნენ მებლავართა სახეები: გაოცებული, ფართოდ გახსილი თვალები, დაღებული პირი, გამოწვდილი ზელები... მერე, ქალამბარს ძლიერად შევეჩახე და ახლა უკან ვავჯანდი. სრულიად უღონო ვიყავი. არაფრის გაყვებმა არ შემეძლო და მხოლოდ შემთხვევამ გადაამარჩინა. უკან დაბევისას ჩემი ტანსაცმელი წამოვტოვებ ბუნკერის კაშკა და წყალს აღარ ვამატანა, ბიჭები ვარს შემომგებენ. წყალი გემბანიდან გაიბარა და ვარტიანებული, ფეხზე ძლივს წამოვდექი. როცა დაინახეს, რომ უკული არაფერი მომსვლია, ბიჭების შემოფოთებული სახეები შეიცვალა. ატყდა სიცილი, ხუმრობა, მერე, მეც ვიცინოდო, მაგრამ მეორე დღეს, კაპიტანმა გამომიძახა და მკაცრად გამიცხა. მართლაც დამ, მცირე უყურადღებობის გამო, ზღვას თავისუფლად შეეძლო გავეტაცე ეს შემთხვევა ზემოთის საბედნიეროდ დამთავრდა, მაგრამ მომხდარა ისიც, რომ გამოცდილი მეზღვაურები აღმოჩენილან ბორტის იქით ამღვრეულ ტალღებში.

— ბაკლანებმა გადაარჩინეს! — სიცილით ვიძახოდით ერთ ტრალმასტერზე, რომელიც ბაღეს შემთხვევით გადააყვია ზღვაში.

ზღვა საკმაოდ ღელავდა. ბაღეს უშვებდნენ. ღელვის დროს ტალღის ვერ არ მოქვს ხოლმე ბაღე და, მერე, უცებ იცის ვატაცება. ტრალის ჩამსვების დროს ბაღეს თვალი რაღაცას წამოედო და ტრალმასტერმა ვასწორება სცადა. მან ფეხი დასდგა ბაღეზე და უცებ ტრალამ ძლიერად დაქანა ტომარა. ტრალმასტერს ფეხი და უცდა, ზურგით დაეცა და თევზივით გაყევა ბაღეს ზღვაში. გემზე ერთი ალიაქოთი შეიქმნა. ლამე იყო. ბნელოდა. სანამ მანქანას გამოკრთავდნენ, გემი საკმაო მანძილით დაშორდა იმ ადგილს სადაც კაცი ჩავარდა. სასწრაფოდ ჩაუშევეს ნაეი და ძებნას შეუდგნენ. მაგრამ, ამა, როგორია შუა ოკეანეში ღამით კაცის მონახვა. ერთმა სახედისწერი შემთხვევამ გადაარჩინა ტრალმასტერი. ატლანტიკური ბაკლანები მეტად ხარბი ფრინველებია. დღისით, თუ ღამით ისინი არ შორდებიან მეთევზეთა გემებს და ზღვაში გადაყარული თევზით იკვებებიან. ზოდა, ამ ბაკლანებს, ზღვაში ბაღეს გადაყოლილი კაცი თევზი ჰკონებიან. შემოგებენ ვარშემო და კორტინა დაიწყენ. ისევ ბრუნვების ტრანსამულამ უშველა საწყალს, თორემ სულ მოლად დაპკორტინდნენ. ნაეში ჩამსხდარმა მეზღვაურებმა მიიქციეს უყრადღებო იმას, რომ ბაკლანებმა დაპვეოდნენ ერთ წერტილს და იქითენ ვასკურეს. მართლაც რომ სულზე მიუსწრეს. ფრინველებ-

ბის მოგვრიებით და თან ეურვით არაქათგამოც-
ლილი მეზღვაური უკვე ნახვერად ჩაიბრუნოდა.
— ბაკლანებმა ვადაარჩინეს! — ეციხნოდით
მერე იმ ტრალმასტერზე. მაგრამ ის საშინელი
წუთები მაინც არასდროს გვავეწყუდებოდა.

• • •

ბაკლანი ხარბი ფრინველია, მაგრამ ბაკლანზე
ხარბი იყო ჩვენი ტექნოლოგი ნუგზარ კობრეი-
ძე. თუ ტრალმასტერის საქმე თევზის მოპოვე-
ბაა, ტექნოლოგი მოპოვებელი თევზის დამუშა-
ვებას ხელმძღვანელობს. ზღვიდან ამოღებული
თევზი უკვე ტექნოლოგს ეკუთვნის და უნდა
ვენახათ რა ბავშვური აღტაცებით ხედებოდა
ჩვენი ნუგზარი უოველი დიდი ტრალის ამოღე-
ბას. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა როცა
ამწვებზე ოცდაათი ტონა თევზით გატენილი
ტომარა დეკლდებოდა. ზორბა ტანის, საკმაოდ
ჩასტეხებული და ლოყებდავითა ტექნოლოგი
ჭარბსავით ტრიალებდა და გვიყვიროდა:

— აბა, ჰე, ბიჭებო, თევზი არ გავვიფშდეს.
დროზე ჩაუღმეთ ბუნჯერებში!

აი, თევზი ბუნჯერებში ჩავყარეთ, მაგრამ
ტექნოლოგი მაინც არ ტოვებდა გემბნას, მსუ-
ნავი თვალებით იქით-იქით იურებდა, ეგებ სად-
მე თევზი დარჩაო. მერე, უცებ თვალს მოკრავს
კუთხეში შერჩენილ თევზს და მისკენ გაქან-
დება. ბაგეზე ლომილადაყრული და სახეგაბრ-
წყინებული ხელში შეათამაშებს, შეათვალი-
ერებს და ფრთხილად ჩააგდებს ბუნჯერში.
შემდეგ, ნასიამოვნებლად ხელს მარჯვლენ გა-
ისევას და ისევ გაიხედ-გამოიხედდება. ერთხელ,
შემწონდა, რომ ზღვის ლომებს თევზს ეუფრიდი.

— სადაა, ბაჭო, ვადისაყრელი თევზი! —
მომყარდა და ლანძღვა დამიწყო.

მე შეცინებოდა. ამ უძღებს ოცდაათი ტონა
თევზი ბუნჯერში მოემწყვდია და ასვრამიან
თევზს მისტიროდა. მაგრამ ტექნოლოგი წიო-
რედ ასეთი უნდა იყოს.

ნუგზარი ყველას ძალიან გვიყვარდა, რადგან
მეტად კეთილი ბუნების კაცი იყო. რეწვის
დაწყებისთანავე ძალიან დაუფასოვდი. ისიც
თბილისელია გახლდათ. თევზმჭერ ფლოტში სულ
მესამე წელი შემოხმდა. ქიმიისა და კვების ტექ-
ნოლოგიის განხრით, პოლიტექნიკური ინსტი-
ტუტის დამთავრების შემდეგ, მან გადაწყვიტა
ზღვაში ემუშავა სპეციალობის მიხედვით. ამ
დროისთვის სახელდახელოდ იკრიბებოდა კად-
რები ქართული ფლოტისათვის. 1963 წელს
ნუგზარი ტრაულერ „შოთა რუსთაველზე“ ჩა-
ერიცხა ჯერ უბრალო მეზღვაურად. სურდა
შეჩვეოდა ზღვას და პირადად გაეცნობოდა თევ-
ზის წარმოების სპეციფიკის ტრაულერებზე. პირ-
ველი რეისი ინდოეთის ოკეანეში გააკეთა.
ნუგზარ კობრეიძისათვის ეს ყველაზე საინტე-
რესო მხარე იყო პროგრესი ინტოლოგიის ასევე
ტექნოლოგიური პროცესების თვალსაზრისით,

რადგან ინდოეთის ოკეანეში ყველაზე მდიდა-
რი ისტო — ფუნაა. ასე დაიწყო მისი მუშავე-
ლობა. შემდგომ, სატრანსპორტის სამსახურ-
ში გემ „ალანანზე“ ორჯერ იმოგზაურა წითელ
ზღვაში, ხოლო, 1965 წელს, როდესაც ქართულ
ფლოტს „თბილისი“ შეემატა, სამმართველოს
გამგეობამ იქ დანიშნა კაპიტან-დირექტორის
პირველ მოადგილედ წარმოების დარგში. ტექ-
ნოლოგობა თევზმჭერ ტრაულერზე მეტად საძ-
ნელი საქმეა, მაგრამ ნუგზარ კობრეიძემ ძალ-
ღონე არ დაიშურა, რათა თავი გამოეჩინა.
პირველ დღეებიდანვე დიდი მონდომებითა და
ენტუზიაზმით შეუდგა ნაყირ ვალდებულებათა
შესრულებას. სასიხარულო ისაა, რომ იგი ზრუ-
ნავს განა საკუთარ კარიერაზე, არამედ საქარ-
თველოში საოკეანო თევზმჭერი ფლოტის გან-
ვითარებასა და წინსვლაზე. თავის თეორიულ
კოდნას ნუგზარი საუცხოოდ იყენებდა პრაქ-
ტიკაში. მაგალითად, თევზის ნარჩენებიდან
ფქვილისა და ტექნიკური ზეთის ნარჩენდება
ჩვენი სრულიად ახალი რამაა და ჯერ კიდევ
შეუთვისებელი. ნუგზარმა ენერგიულად მოკი-
და ხელი ამ საქმის დანერგვის ტრაულერ „თბი-
ლისზე“ და მართლაც, თუ თევზის ფქვილად
დამზადების წარმატება გვემით 1,9 ტონას უდ-
რიდა, მარავალი ცდნას და მეშუაობის შედეგად
გვახაყი ახერხებდა წარმატების გაზრდას დღე-
ღამეში 5 ტონამდე. ეს ხერხებოდა ცალკეული
პროცესებისა და ტექნიკურ ცვლილებათა ხარ-
ჯზე, რასაც ნუგზარ კობრეიძე და უფროსი მე-
ქანიკოსი გ. ს. შამფორია ხელმძღვანელობდნენ.
ამას გარდა, „თბილისზე“ საუცხოოდ აითვისეს
თევზის ზეთის გამწმენდილი აპარატურა, თავი-
დან საქმე არც თუ ისე კარგად მიიწევდა, შემ-
დეგ კი, ყველაფერი აეწყო, დადგინდა და
ნუგზარ კობრეიძისა და შამფორიას ბეჯითობის
წყალობით თევზის ნედლეულის მცირედი ნა-
წილიც კი არ იკარგებოდა. მოპოვებული თევზი
სხვადასხვა სახით ბარტყლად სამშობლოს.

• • •

ჩვენ თევზის ჯოგებს დაქსდევით ხან უოლ-
ფინშ-ბეის მდამოებში ხან კვიბატუნთან, ხანაც
ლენინდსთან. ხშირად გადიოდა მთელი თვე ისე,
რომ ნაბირს ვერ ხედავდით. ხშირად, ისე ვი-
ყავით მუშაობაში ჩაღვლენი, რომ ვერ ვხე-
დავდით ვერაფერს. და ეს ყველაფერი ძალიან
ახალი იყო ჩემთვის. ალბათ, არასდროს დამავი-
წყდება ის საღამოები, როდესაც თევზი არ მო-
დიოდა, და ჩვენ უსაქმოდ ვეყარეთ გემბანზე.
ტრალი წყალში გვექონდა ჩაგდებული და გემი-
ხანტად მიიწევდა ნაბირის ნაწიერზე. სამხრეთ
აფრიკის უდაბნოსებური ნაპირები საოცრად
ვეგოტიკური და ლამაზია, საოცრად ლამაზია
მზის ჩასვლაც სამხრეთ აფრიკაში. უცხად, შე-
წამულად იღებება ცის დასავლეთი, ღრუბლის
თეთრი ქულებიც სიწითლი იყლინებოდა. სი-
რულე ედებს ზღვასაც — თითქოს დღეღინებმა
დაღვარეს იქ სისხლი, დღეღინების სისხლი ადა-



მიანის სისხლივით წითელი და თბილია. დასავლეთისკენ ყველაფერი წითელ ფერში ეხვევა ვარდა ნაპირისა. სამხრეთ აფრიკის უდაბნოსებური ნაპირი კი მთავორიანია. იგი მეტ ყუბისდრად იხაზება ამ სიწითლეში. ეს ისე იყო, თითქოს შავი ფანქრით გადაესვათ ტალღისებური ზოლი ზედ პორიზონტთან. მერე, აღმოდებულ ცაზე ჭერ მკრთალად, ბოლოს ვარკვევით გამოიკვეთება ახალი მთიარე. ის მსუბუქად დავილება ცის შუაველზე როგორც ხანგი ქალის მომინანქრებული დიდი საყურე. მთვარე ხდება მინანქრისფერი. შემდეგ ვარსკვლავებიც გამოინდებიან. მეწამულ ფერად შეღებილ პორიზონტსა და მომინანქრებულ მთვარესთან შედარებით ვარსკვლავები ღრუჭ ნაებრწყლებად კრთიან და მთელი სამუარო ემსგავსება უდიდესი შემოქმედის შივრ შესრულებულ საოცარ ნახატს.

ასე ჩაიღობა მზე სამხრეთ აფრიკის უდაბნოსებურ სანაპიროებთან.

• • •

შუა ოკეანეში, როდესაც მოწყვეტილი ზარ მიწას და სამშობლოს, ყველაზე ძნელად ასატანია იმის გავება, რომ ეინზე შენსავით შორეთში გადაკარგული გარდაიკვალა. აღამიანის ერთერთი ინსტინქტია, ყოველი მოვლენა თავის თავს დაუკავშიროს და საყუთარი თავი დინახოს სხვის აღვილას, შუა ოკეანეში ძნელია უბრალო გაფიქრებაც იმაზე, რომ შეიძლება მოკვდეს. ერთი მხრივ, მაგრამ მიწა მიანი სიძველეს დასაურდენია და მიწაზე სიკვდილი ვითომ გვაღვლებსა კიდევ. თანაც არასასიამოვნოა იმის წარმოდგენა, რომ სიკვდილის შემდეგ ტომარაში გაგზავნენ და შენს გვამს ტალღებს მისცემენ. ძნელია კიდევ ბევრი რამის წარმოდგენა და როცა „თბილისზე“ შეეიტყუებ, რომ რუსულ ტრაველს „შედარზე“ ერთერთი მეზღვაური გარდაიკვალა, ყველანი გაეუხრდიოთ. სასადილოშიც ჩურჩულით ველაპარაკებოდით ერთმანეთს.

- ნეტავ რას უხამენ?
 - ალბათ, ჩვენი წესით... წყალში ისერაინ.
 - ფუ შავის...
- ყველას სახეზე იტყობოდა შეკავებული აზღვრება.
- ხომ შეიძლება შეე მოკვდეს.
 - რატომაც არა. აგერ, მახნოსაც შეუძლია ზღვას მივებაროს, — ძებრა ვიღაცამ.
- მახნოს სახე შეეცალა. თვალები გაუქვავდა და დაიძაბა.

მე ვივქეი, ვუსმენდი მათ და ვფიქრობდი. რომ მართლაც ცუდი იყო ასე, შუა ოკეანეში სიკვდილი. თუმცა სიკვდილი ყველგან ცუდი იქნებოდა, — იმისთვის, ვინც კვდება, სულერთი იქნება, სად მიაკითხავს სიკვდილი. მერე, მე ისიც გავიფიქრე, რომ მეზღვაურთათ-

ვის საღდაც უფრო ღამაზია ზღვაში სიკვდილი, სიკვდილი ოკეანეში.

მე წინაერლოს გემბანზე გავედი. საღამოვდებოდა და წყლის ზედაპირზე გაწოლილი სივრცე ბუნდოვანი იყო. ოკეანე ჩანდა სიკვდილივით დუნდუნად და უცოლის მომცველი. „ის ყველას, სულ ყველას დაგვიტყვს“. მე კიდევ გავიფიქრე, რომ მეზღვაურისთვის გაიცლებით უფრო ღამაზი იყო აქ, შუა ოკეანეში გარდაცვალება. ოკეანეში სიკვდილი ჩემთვისაც ღამაზი იქნებოდა. თუმცა, ამ სიკვდილივით ოკეანის შიგარბება ოკეანეში სიკვდილზე უფრო ღამაზი იყო.

• • •

- ვისი ვახტაა?
- მხატვარის.
- აბა, კარგია, თვეში იქნება.

ასე ვამბობდი, როცა ღამის ვახტის დროს სამტურმანო ხიდზე ნიკოლოზ მხატვარი იდგა. მართლაც, არ მახსოვს, რომ მისი ვახტისას ერთი დიდი ტრალი მიიწი არ ამოკველო. კაპიტნის უფროსი მოადგილე, რომელმაც ჩვენზე თავიდან ბრახიანი და არასასიამოვნო კაცის შთაბეჭდილება დასტოვა, არანვეულებრივად კეთილი ბუნების აღამიანი გამოდგა. შეიძლება ითქვას, რომ მთელ გემზე იგი ყველაზე კარგი კაცი იყო. ჩემი იქ ყოფნის დროს არ ყოფილა შემთხვევა, რომ მხატვარს ვინმესთვის ეყვარა. ან რომელიმე მეზღვაურს მისი ბრძანება არ შეესრულებოდა. მეზღვაურობის ნიჭი ამ აღამიანს ტრადიციით გადმოეცა, — ბათუმელ მხატვართა ოჯახი მეზღვაურთა ოჯახია.

- არა, ძნელია მაინც. ძნელია ამდენი ხნით სახლს მოწყვეტა, — ვეთხარა ერთხელ.
- რა თქმა უნდა ძნელია, მიჭირს კიდევ. მაგრამ ზღვა — ეს უკვე ჩვევაა, — მამაებმა ნიკომ დიმილიო.

როგორც მოგეხსენებათ, ჭართული გემები სულ სამიოდ წელია ჩადგნენ საბჭოთა თევზმკერი ფლოტის რიგებში და იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენს მეზღვაურობას ოდნავი ირონიით უქეპროდნენ. უოლფვიშების უფრეში ჩვენი ორი გემის გარდა ოცამდე რუსული გემი იჭერდა თევზს, და მინდა აღვნიშნო, რომ თევზის მოპოვების მხრივ ჩვენ პირველ რიგებში ვიარსებოდით. მაგრამ, ზოგჯერ, მინც ვერ ვიცილებდით ქილიურ გამოხედვას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბაზებს მივადგებოდით თევზის გადასატვირთავად.

ადრეც ავღნიშნე: როცა ტრავლერი სრულად დაიტვირთება თევზეულით, იგი პროდუქციას ან პორტში ჰყიდის, ან კიდევ საყუთარ ბაზებს აბარებს. ჩვენ უზეტესად საყუთარ ბაზებს ვაბარებდით თევზის დამუშავებულ პროდუქციას. რეწვის დროს ყოველი საათი ძვირ-



ფასია, მაგრამ როდესაც ბაზს მივადგებოდით, ყველანი ერთგვარად ეცდილობდით ვადატვირთვის დრო გავევგრძელებინა. შუა უკანაში ბაზა, — ეს იყო დიდი ქალაქი; თუნდაც იმიტომ, რომ ბაზაზე არის ჭინწი და ბევრი ქალი. ბაზაზე არის სიმშვიდე და სისუფთავე. და ვერ წარმოიდგენთ, რამდენად სასიამოვნოა ქალის უბრალოდ ყურება, როდესაც იგი თვეების მანძილზე საერთოდ არ ვინახავს. ქალის კი არა, უბრალოდ, ახალი სახის დანახვაც სიბარულს გვკრის, ვერ ვიტყვი, რომ იმ ბაზებზე, რომაში ქალები იყვნენ, მაგრამ შუა ოკეანეში, თეთრთუთი მთაგანი ჭინა ლაღობრივადა შეგონა. ხშირად, ბაზებზე ქალი იყო ექიმი და ჩვენს სიბარულს საზღვარი არ ჰქონდა. საწრაფოდ გადავიცვამდით სუფთა ტანისამოსს, გაიცეთებდით პალსტრებს და კაპიტანს გამოვეუცხადებდით:

— თავს ძალიან ცუდად ვგრძობ, ბატონო კაპიტანო. ძალიან ვთხოვთ, ერთი წუთით ექიმთან გადავალ.

ღმერთმა იცის, რას არ მოვიმიზნებდით. იმდენად მოვაბურებდით თავს, რომ კაპიტანი, ყვირილს იწყებდა:

— წადით! წადით! თავი ღამინებთ! ვერ წარმოიდგენთ: როგორ მსიამოვნებდა გაცირილებულ ლაბორატორიაში თეთრბალათიანი, ქერა თმიანი ახალგაზრდა ექიმი ქალის წინ ჯდომა და ლამაზობა. ეს ჩემთვის ლ-სკაპას ოპერაში სტუმრობას უდრიდა.

ასე რომ, მიხედვით, რაც იყო ბაზა შუა ოკეანეში და რატომ ეცდილობდით ბაზასთან დიდხანს გავჩერებულყავით, მაგრამ ზოგიერთი ბაზის მატროსებმა და შტურმანებმა ეს სხვაგვარად გაიგეს: მათ ზარმაცობა და უუნარიანობა აგვეჩვენეს, ვითომ ჩქარა არ შეგვეძლო თვეების ვადატვირთვა. ყერძოდ, კალინინგრადის ბაზა „მუსონის“ მატროსებმა შესვენების დროს გადმოგვჩაბეს:

— რა, ღონე გამოგვლიათ, ქართველებო? გიჟით მუშაობა?

ამან უკვე ჩვენს თავმოყვარეობაზე იმოქმედა და გაებრაზდით. იმ დღეს არცერთი ჩვენგანი ექიმთან არ ვადასულა და შეზღვევებში პირობა დავდეთ ერთგულად გვემუშავა.

რამდენიმე სიტყვით, მოკლედ მინდა გადმოვიცხადოთ თვით ვადატვირთვის პროცესი:

ვადატვირთვა ხდება ტრაულერის ტრიუმფიდან ბაზის ტრიუმფში ამწებზე დაკიდულ „პარაშუტების“ მეშვეობით. თითოეულ ტრიუმფში რვა-რვა კაცი. ჩვენ „პარაშუტ“ უნდა გავვიტოოთ თვეებით დატენილი ყუთებით. პარაშუტში ეტრევა ორმოცი ყუთი, რომელიც 32 კილოგრამს იწონის. ყუთები მშუობრად უნდა დააღვოთ ერთიმეორეზე, რომ ამწეებით ვადატანისას პიერშივე არ გადმოცვივდეს. ოთხი საათის შემდეგ პირველ რვა კაცს მეორე რვა კაცი ცვლის და ასე ვრძელდება მთელი დღის გან-

მელობაში. მაგრამ „მუსონის“ მატროსები, ჯობდა, ჩემად უოფილიყენენ. **არქანგელსკი** — ამა ერთი ქართული ციციკლი-შეფუთვით — გადმოგვჩაბა ამწესთან მღვარა ბოცანში.

ბიჭები დატრიოდნენ, ყუთების დაწყობას აღარ აცდიდნენ ერთმანეთს. წამითაც არ შეჩერებულა არცერთი და ბევრი რომ არ გავაგრძელო, 400 ტონა თვეში 32 საათში გადაეტვირთეთ. ეს იყო რეკორდი. ასე სწრაფად უოლშიფ-ბეის ყურეში არც ერთ ტრაულერს არ გადაუტვირთავს გაყინული თვეში. ჩვენმა ექიმმა ელვაგამინისაგან წერილობითი მადლობა მიიღო. ეს იქით იყოს და უნდა გენახათ „მუსონის“ მატროსები როგორ ამოდიოდნენ ტრიუმფიდან. არაქათგამოცილილი უღონოდ მიჩილ-ფორტებდნენ უზარმაზარ გემბანზე, ზოლო ჩვენს სიცილით, მივძახოდით, „აბა, როგორა ხართ, ვაგახებრეთ, თუ არა!“ მივძახოდით და თან სიმღერასაც მივყავლებდით. ეს ამბავი თითქმის ყველა ტრაულერსა და ბაზას ჰორად მოედო, და მას შემდეგ, როცა კი რომელიმე ბაზას მივადგებოდით, ბაზის კაპიტანი თავის მატროსებს ზემორობით აფრთხილებდა:

— ქართველები არ გააბრაზოთ! არაქათს გა-მოგაცლიან!

ყველაფერი კარგი იყო, ერთის გარდა, — საუბედუროდ, აღარავის სჯეროდა, ჩვენი ავადმყოფობა, და ქერათმიანი ექიმებთან ვეღარ გადავდიოდით.



როდესაც სამხრეთ აფრიკის სანაპიროებს მივალწვიეთ, ჩვენს ქვეყანაში გაზაფხული იწყებოდა, ზოლო იქ იწურებოდა შემოდგომა. დამეები უმეტესად ნისლიანი იყო. მაგრამ იქაური ნისლი სრულიად განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ნისლისაგან. სინათლე შემოსული მწერბივით ტრიალებდა პერსის მსხვილი წვეთება და ათიოდ ნაბიჭვად აღარაფერი ჩანდა. ეს თითქოს ნისლიც არ იყო, არამედ მყარი სინესტე. ნისლი ისეთი მყარი იყო, რომ მის შეხებასაც იგრძნობდი. გაგილოდით თუ არა გემბანზე, ნახევარ საათში თავიდან თვეზემდე ვსუელდებოდით. ტანსაცმელი არასიამოვნოდ ცვი ხდებოდა. ნისლი წვიმასავით გავსებულდა. მას თითქოს ვემოც კი დაჰკრავდა, — რაღაც სპეციფიკური გემო და ფორტებში მძიმედ ემუშებოდა. სამხრეთ ტრაპიკის მდამოგებში ნისლი წვიმასავით იყო, მაგრამ წვიმა კი მთელი იმ ზეით თვის მანძილზე არ მოსულა. ეს უნაპური რომ იყო ჩემთვის, ბევრი რამ სხვაც მიულოდნელი გახლდათ, ყერძოდ ზღვის ღომებთან დამეგობრება. ზღვის ღომები მუდამ ვარს ეხვეივნენ ჩვენს გემს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სარდინას ვიჭერდით და თვეებით სასუნ ბაღე ამოგქონდა. ღომები სარდინა უყვართ და როცა

მათ დაინახავდით, წინდწინ ვხედვდებით, რომ ახლომახლოს სარდინას ჯოგები დაცურავდა. როდესაც დრეიფტე ვიღვებით, ეს უწყინარი ცხოველები მაშინაც ტრიალებდნენ გემის გარშემო და ჩვენ თვეზს ჩაუვადებდით ხოლმე. ხშირად ზღეობდა, რომ თვეზით სავეს ბადეს ამოკვეთბოდა ერთერთი მათგანი. ეს უხარმაზარი ცხოველი თვეზთან ერთად დაენარცებოდა გემბანზე და მოულ არეუ-ღარევის გამოიწვევდა. ჯერ გაბრტეებული იყო და ფრუტუნებდა. მერე გაოგნებული მიმოიხედავდა, სადა ვარო; ცნობის-მოყვარობით შეგვათვალთვარებდა და როცა მისვდებოდა, რომ არც თუ ისე სახარბიელო ადგილას აღმოჩენილა, იშვამსვე პირს იბრუნებდა ზღვისკენ და ფარფლებიანი კიდურებით ზღვისკენ წაუძუძუდებოდა. თუ ზელს არ ვახლებდით და არ დავაპირებდით მის შეკავებას, იგი მშვილად გადაეშვებოდა ტალღებში. მაგრამ ხშირად ჩვენ თამაში გვიწოდდა და წყალში გადახტომას არ ვანებდებოთ. მაშინ, ეს უხარმაზარი ცხოველი შევევირუნდა, გამოიჩინდა ბასრ კბილებს, თვალებს დააბრიალებდა და ტანის ძლიერი მოძრაობით შიშოვდა. ზღვის ლომები, ბაქალანები და ალბატროსები ჩვენითვის უმოთვრეს განსართობს საგანს წარმოადგენდნენ. მაგრამ თვეზმეკერ გემებზე გართობა რა სახსენებელია! თვეზმეკერ გემებზე ცხოვრება ეს არის ერთი მთლიანი და დაძაბული მუშაობა, მუშაობა დღისითა და ღამითაც; როცა თვეზი მოდის, ყველა ფეხზეა და ყველა თავის საქმეს უძღვება. ბევრმა არ იცის, წარმოადგენილიც კი არა აქვს, რა გაქირებებით, როგორი სიმძლეების გავლავებით მოიპოვება და მუშავდება თვეზის პროდუქტი. მაგრამ ის სიმძლეები მხოლოდ აწრობდნენ ჩვენს სხეულსა და სულს. რამდენიმე ახალგაზრდა, მახოსე, იმდენად სუსტი ჩანდა რეწვის დაწევისას, რომ მე ვეჭვობდი, ამან რას უნდა გაუძლოს მუთქი, მაგრამ ვიყლია თვეზები, და ყველაფერი პირიქით მოხდა. ის ახალგაზრდა საოკრად ვიქამართელდა, დავაქაცდა და ნამდვილი კაცი გახდა. ზღვა მართლაც რომ აწრობს ადამიანებს, იგი თვალნათლივ აელენს იმას, თუ ვის რა შეუძლია, ვის რა ძალა აქვს.

• • •

ზღვაში დიდი ხნით მოგზაურობისას, როდესაც ნაპირი არა ჩანს, იკარგება დროისა და სივრცის შეგრძნება. მაგრამ მწვავედმა შეგრძნება იმ დროისა, რომელიც უკვე დაბარჯდა რამელიც მოჰაეალში უნდა დახარჯო. ყველაფერი ეს იმ შეუძნეველი ფიქრის დროს ხდება, უსაზღვრო სივრცის ყურებისას რომ აგვევითება ხოლმე. ზღვა განზოგადოებულ ფიქრს აჩვევს ადამიანებს. უცნაური, მაგრამ თურმე მაშინ უკეთ ხედავ საკუთარ ცხოვრებას, როდესაც სხვა ცხოვრებითა ცხოვრობ. ზღვაში გატარებული

თვეების მანძილზე, მე გამდუმებით ვინსტებდა განვლილი წლებს, ჩემს ახლომდებარე ფიქრებზე და მხოლოდ ერთი: რა უკეთესი დროა კაცი თავისთვის, რა უფროდელია მანტრას დროსა და მეობას წერილობას საგნებზე ზრუნვაში.

ყველაზე დიდი მტერი, — ხვალისდელი დღის იმედი, — ატყუებს ადამიანებს და აკარგინებს უამრავ დროს, — დროს, რომლის მანძილზეც მათ უნდა იცხოვრონ. ხშირად ბედს ვემდურით, თითქმის განგებამ მერად მტერი წლები დაგვა-სახუტკა იმისთვის, რომ რამე შეეძინათ; კაცო კი უზირველეს ყოვლისა შემოქმედი არსებია. ადამიანისთვის მინიჭებული სიოცქლის წლები სავესებით საკმაოა, თუ კი იგი მათ საკუთარი სულის გამოშლავებასა და აშაღებას მოახმარს. მაგრამ ყოველთვის იმის ბრალია, — ადამიანის იმითი უკეთესი თვისი სიოცქლის წლები, — რომ იგი მათ წერილობებში და ხშირად არაფრისთვის ფანტავს. ხოლო, როდენ უმნიშვნელოა ჩვენი ფიზიკა, მე დატრწმუნდი მაშინ, როცა ვიღვტი ხოლმე გემის ქიშხე და ვუუბრებდი გარშემო გადაშლილ უსაზღვრო სივრცეს, უსაზღვრო სილამაზეს. მანამდე ვე არა მხოლოდ წარგნებიდან ამოიყვითება. მაგრამ მაშინ, მე საკუთარი თვალით ვხედავდი, რომ ჩემი სხეული წარმოადგენდა უმცირეს, უბილავ წერტილს ვეება სამყაროსთან შედარებით; რომ იგი არა-ღირსი იმისა, დაქანკალიბზე და ანებიერებდემ, იმ უსაზღვრო სივრცეების ცქრისას, ხშირად სრულიად ვიკარგებოდი, მაინც უდებოდა ყველაფერი, — საკუთარი თავიც და იმ წამებში მე ვხედვდოდი ისეთივე ძლიერი, როგორც სამყარო; მე ვგრძნობდი იმას, რაც ვიყავი სინამდვილეში და მთელი სამყარო ჩემში ეტეოდა. ასეთი წამები ყოველ ადამიანს დაუდგება, როდესაც იგი და-ჩნება მარტოკა ბუნების უსასრულობის წინაშე, იქ, სადაც მოწვევითი ვიყავი ჩვეულ ვარემოს, ნათლად ვხედავდი, როდენ ხშირად ზემოქმედებდა იგი ჩემზე. გარემო მუდამ ცდილობს ადამიანის მომწვევდევს თავის მარწმუნებში; მაგრამ თუ კაცს სურს იყოს თავისთავადი, მან ყოველთვის უნდა იმოქმედოს ისე, როგორც ფიქრობს და როგორც ამბობს. მაგრამ ახლა, როდესაც ისევე მოგხვდი ამ ორიმტრიალში, იმე სიმძლე-რით ვანიციდი, თუ როგორ ჩნელია იარსებო და იყო ადამიანი. სიოცქლის მანძილზე ჩვენ უშე-ტესად ვარსებობთ და ვცხოვრობთ კი ძალიან მცირე ხანს. ადამიანთაგან ძალიან ცოტას აქვს ცხოვრების ნიჭი. ძალიან ბევრს უძღუნდება აღქმის უნარი და ვეღარ ხედავს რამდენად საე-სეა და ლამაზი ნამდვილი ცხოვრება. ჩვენი უბე-დურება სწორედ ისაა, რომ უმეტესობა ცხოვ-რებას საგნებით განსაზღვრავს. როდესაც ადამიანები საგნებით ინთქმებიან და ავიწყდებთთ თ-ვისი არსებობის სულიერი საწყისები და მიხნე-ბი, მათთვის ცხოვრება ჩალის ფსადაც არა-ღირს. მათთვის ცხოვრება არასინტერესო ხდე-



ბა. და მაშინ, როცა მოწყვეტილი ვიყავი საკუთარ ცხოვრებას, ნათლად ვგრძობდი, რომ ადამიანის უპირველესი მოვალეობა—ეს ცხოვრებაა.

• • •

ერთ დღის გემბანზე ვმუშაობდი, როცა სპიკრით გამოაცხადეს: „ველოცავე დაბადების დღეს ახალგაზრდა მუზელფერს აკავი ვიორჯის-ზე ვასაქეს. ეუსერებებთ ჩანართელობას, ხანგრძლივ სიღობეს...“ ვაქირებულბა ირგვლივ მიმოვინებე და ხმაშალა წამოვიმასხე:

— ნუთუ ოცდაექვსი ივლისია?

— მოგვილოცეს!

ბიჭები სათითოდ მილოცადნენ.

ვახტის შემდეგ კაიუტაში ავიდი, ჩავინებე სარკეში და საკუთარი თავი შევათვალიერე. არა, ისეთივე ვიყავი, როგორც წინათ. მარტოკას მინდობდა ყოფნა და საპელინგატორო ხილზე ავქევი. ციოდა. ნისლიანი ამინდი იდგა და ზღვა სრულიად არ იძროდა. გამახსენდა რამდენიმე დაბადების დღე, რომელიც ამხანაგებთან ერთად თბილისში მზიარულად ვამიტარებია, და შეშენანა. აქ კი ერთი ჰიქა ლენინოც არ გამანდა, საკუთარი თავი რომ მდღევგრებულბინა. ციოდა და ნიაჟმა სახესა და ხელეზე შეშახო თევზის ქუცედი. კანი დამქვიმა და ძალიან არ მესიამოვნა. საოკრად მომინდა თავი ამომვეო ორთქალის ციფერი აბანოში, ვაქსელთავეთლიყავი, მოშეცილებინა თევზის სენი; მეგრე, ჩამეცა თეთრი პერანგი და შავი კოსტუმი, დამქდაროყავი ოპერის თეატრში და მენახა „ეიზელი“: მე ძალიან მომინდა ვაჩახახებულ ოპერის თეატრში ჯდომა და, ვაბრაზებული, ჩემს კაიუტაში ჩავედი.

— სადა ხარ, ბიჭო?

— მასპინძლობაც ასეთი უნდა, რაღა?

კაიუტაში თამაზ ოქრეაშვილი, ვახტანგ კახაშვილი და ნუკრი გოჩაშვილი დამხედნენ. სუფრანზე დაყარათ ჩვენზე ხელით გამოყვანილი ატლანტიკური სუშმბრის ზურგიელი, პური, შემწვარი სარდინა.

ვახტანგი იქვე კუთხეში რაღაცას ჩალიჩობდა.

— რას აკეთებ, ბიჭო? — ვკითხე.

— კრუშონს.

— რას?

— აჰ, ნახე, ისეთი კრუშონი გაეკეთო, სულ ტუჩები აგცამაცუნდა.

უცებ კარგ გუნებაზე დავდექი. თამაზი ღილით პრიდა პერს და თან წამოიძახებდა ხოლმე: „ქვიფიი! ქვიფიი!“ ბოლოს, „კრუშონი“ დამხადდა და მეფერი სუფრას მივუსხედით. ვახტანგმა გურკვეველი ფერის სითხე ჩამოასხა სირჩებში და იმ წამსვე „შიპრის“ სენი მეცა.

— ტრანშიო არ გავგონოს, ბიჭო!

— არა, ბრწყინვალე რაღაცაა. — სიცილით ეუბასხე.

ვახტანგი ალალი, გულთბილი კახელი ბიჭი იყო; ნუკრიც ალალი, გულთბილი ქართლელი; ხოლო ჩვენ, თამაზი და მე, ალალად მოსიყა-

რულე თბილისელები. და, აბა, წინ რა დაგვიდგებოდა.

— უსეც, ჩენი კაკოს სადღევგრებულბეწის წარმოთვე ვახტანგმა.

— კაკო, დიდხანს იცოცსლე და მუდამ ამზე უკეთესი კრუშონი გეცას.

— თქვენც კარგად იყავით.

და რაც შეიძლებოდა სწრაფად დავცაღეთ სირჩებში.

ამგვარად ვიღვლესასწაულე ჩემი ოცდაშექვსე წელიწადი უოლფმ-შევის სანაპიროთთან.

• • •

რუსულ გემებზე ხშირად შემხვედრია მეთევზე ქალები და გავოცებულვარ. რუსულ ენაში ამის შეხატევისი ერთი სიტყეაც არსებობს—რიბაქა, ქართულში კი არა გვაქვს, რადგან ისტორიულად ამ სიტყვის წარმოშობი შინაარსი არ გავაჩინია. საკვირველი არაა, რომ ქალთა ემანსიპაციის საკითხი დასავლეთში, კერძოდ, ჩრდილო-დასავლეთის ქვეყნებში დასევა. ევროპის ჩრდილო-დასავლეთ ქვეყნების ქალები ბუნებით უფრო თავისუფალი არიან და ბევრში უტოლდებიან მამაკაცებს. შეიძლება ეს მამაკაცების ბრალიც იყოს. ოქმეცა, მე აქ არ ვაპირებ ამ საკითხის ფსქოლოგიური, თუ ისტორიულ-სოციალური ასპექტი ვანხილვას. მე, უბრალოდ, შინდობდა მეთქვა, რომ ოკეანეში რუსულ გემებზე ხშირად შემხვედრია „რიბაქები“ და გავოცებულვარ, რადგან გამიფიქრია: ჯერ ჩვენთვის რამდენად ძნელია აქ ყოფნა, და ქალებისათვის რაღა იქნება-მეთქი.

ერთხელ ბახას „ურალის მთებს“ მივადექით ფქვილის გადასატვირთავად. ფქვილის გადატვირთვა ძალიან დამლული და არასასიამოვნო სახეშაოა. შეშაობს და შემდეგ სულ მთლად თევზის ფქვილითა ხარ დამტვერილი, მძიმე ტომრების თრევისაგან წელი გტყევა და არასასიამოვნო სუნისაგან გული გეკრევა. ჩვენს ტრაულერზე გადატვირთვას ხელმძღვანელობდა მესამე შტურმანი, ბახაზე მიღებულ ტომრებს კი ერთი გოკანი ითვლიდა. მას ჰქონდა დალლილი, ოღნავ დაღვრემილი სახე და ღია ცისფერი თვალბი. ის იყო დამალი, გამხდარი და ეცეა მეთევზის უხეში ტყაბუქა... შხისგან დამწვარი უავისფერი კანი; თმა ჩალისფერი, პირი ოღნავ ფართო, მაგრამ ტრჩები თხელი და ფერმკრთალი; ტყაბუქის ქვეშ ნატიფი სეიტრისიდან მოუჩანდა შალაღი, ბავშვური კისერი. მისი სხეული ჩანდა საოკრად სუსტი, მაგრამ მაღალი შუბლი და ქვედა უბა გამოხატედა უკმაყოფილებას, მამაკაცურ უკმაყოფილებას. როდესაც პარაშეტი დატვირთავდით, ის ღამაზად აზოღავდა ორივე ხელს, და მტევენების წრიულ მოძრაობით ანიშნებდა აშქსთან მდგარ მესაქეს, ასწიეო.

მთელი ვახტის მანძილზე თვალს არ ვამორებ-

და და არაჩვეულებრივად მსიამოვნებდა მისი ურება. როდესაც ვახტა დამიმთავრდა, წინა-ერდოზე გავედი და, როგორც ვიყავი, ფეხილში ამოსვრილი, ისევე გადავხტი ბაზაზე.

ის უკვე კათრისკენ მიდიოდა.

— Девушка!

უკან არც კი მოუხედავს.

სირბილით წამოვეწეე და მხარზე ხელი მჭიმედ დავადე. მე ახლოს დავინახე მისი წყლიანი ცისფერი თვალები და შებლზე ჩამოცვენილი ჩაოსვრები თმა და გამელიძა.

— Чего смеешься?

— Так, просто...

— Просто сумашедшие смеются.. — მიიხარა.

მე კიდევ უფრო გავიცინე.

— А я сумашедший. Во всяком случае, здесь.

მასაც ვაღიძა. ერთხანს მიუხრებდა, მერე, სახეზე ირონიული გამომეტყველება გადავტარა, თვალები გაუხდა ნაღვლიანად დამყინავი და მკითხა:

— Что, матрос, соскучился?

— Нет, ни это, просто очень много смотрел на тебя.

ისევ გამიღიმა და მოგვიანებით მიმასუხა:

— Видела...

ერთხანს ვიდექი და აღარ ვიცოდი, რა შეთქვა, ის კი იმავე გამომეტყველებით შეცქეროდა. ჩვენს ვარშემო მებუღავურები დადიოდნენ. ყველა მუშაობდა და ჩვენ კი საოცრად ვგავდით პაემანზე სასეირნოდ გამოსულ წყვილს. უხერხულად ვიგრძენი თავი. ბოლოს, ისევ იმან გამომიყვანა მდგომარეობიდან.

— Чего стоишь?—მკითხა.

— А ты не приглашаешь? Может, где-нибудь найдется белого.

— Вот ещё, захотел.. Что, соскучился?

— Нет, ни это, просто... а я на гитаре играю!

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქმის ვიყავი სხვა, სრულიად სხვა არსება და ჩემს მაგიერ ის ლამაზაკობდა.

მან ხმამალა გაიციხა და აშკარად გამოაჩინა თავისი თეთრი კბილები. ჩანსალი. მოგრძო კბილები ჰქონდა. მერე, დიდხანს მიყურა და მიიხარა:

— Пойдём.

შევედით საშვიკროში, რომელიც ბაზის წინაერდოზე იყო მოთავსებული. ვიწრო, პატარა ოთახში სამნი ისხდნენ და სევამდნენ რუმინულ ლენოსს.

— Шкил, гостей не примешь?

— А почему и нет?!

შვიკერი შუახნის, ჩასკვნილი კაცი იყო. ბოხი, ხრინწიანი ხმა ჰქონდა.

— А белого нет?

— Найдется и белого.

ერთერთმა ხის ყუთი გახსნა და ნახევრად დაკლილი „მასკოვსკი“ დაამჩრო.

— На, держи.

გამოვართვი, რუსულად დავილოცე და, ბოთლიდანვე მოვიყუდე.

— Ишь ты, глотает!—სიტყვით თქვა შვიკერმა.

იქვე მდგარ ხის მაგიდაზე ჩამოვსხედით. არაყ-მა უცებ შემახურა და უცნაურმა სიხარულმა ამიტანა. შვიკერმა ლენოს ჩამოასხა და ამხანაგებთან საუბარი განავტარა. არცერთი არ გვაქცევდა უფრადლებას და თითქმის მარტოკები ვიყავით ოთახში.

— А тебя как зовут?—ვკითხე.

— Сашок, а тебя?

— Костя.. выней?!

საშოკმა ბოთლში დარჩენილი არაყი კიჭაში დაისხა და დალია.

— Хорошо?

— Очень

თვალები დახტვა და სახე მოეკუმუნა. ახლა იგი დემსტავსა პატარა, ნახ ბიჭს და მომინდა მოეფერებოდინ.

— Шкил, дай ему гитару.

— Нет, пока ещё выпью,—ვთქვი მე.

— Ну, пей.

არაყი აღარ იყო და მე ლენოს მომამწოდეს. ლენოსც ბოთლიდან დავლიე.

— А он, всё с бутылки.

თითქმის ბოლომდე დავცალე ლიტრიანი და ვუთხარა:

— Теперь ты.

გამიღიმა და უხშირად ჩამომართვა ბოთლი. მანაც ბოთლიდან დალია.

— Ну, сыграй.

მე გიტარაზე ცუდად ვუკრავდი. შვარამ მაინც გამოვართვი. ძალიან კარგ ხასიათზე ვიყავი და დაიწყე „Ах ты море, море голубое“... ვუღიანი ერთხმად ამგუნენ. სიმთვრალე სულ მთლად მომეკიდა და მე ხმამალა ვმღეროდი ისე, რომ კისერზე ძარღვები მებუზებოდა. ჩერე. კიდევ სხვა სიმღერა ვინაღერეთ და მე გიტარას ხელიდან აღარ ვუშვებდი. კიდევ დავლეოთ და კიდევ ვიმღერეთ. მეჩერე კიდევ, და ყველანი ძალზედ დაითვრით. საშოკი თვალს არ მიაცილებდა. მე ამის ვგრძნობდი. და მიხაროდა.

— Ах Костя! был бы ты у нас!..—მიიხარა ახარტში შესულმა შვიკერმა და გიტარა ხელიდან გამომტაცა. მხრებში მოიხარა, გიტარას ზემოდან დააწეა და სიმები წელილ პანგებულ ააქურა, — ძველი ოდესტური რომანსი. სიმღერა ტანგოს მოტივზე იყო აგებული და მე ვუთხარა:

— Сашок, потанцуем.

— Вот ещё захотел...

მორცხვად დახედა შარვალსა და მაღალყვლიან უბეწ ფეხსაცმელებზე: ნახად გვერდზე გადახარა წვილი, მაღალი კისერი.

— Ничего, Сашок. дайвай потанцуем.

მაგიდიდან ჩამოვტი, წელზე მოვიკდე ხელე-ბი და იატაკზე ჩამოვსვი.

— А ты, сильный! — დიმილით მიბჩრა.

— Да, я очень сильный. Знаешь, какой я сильный? — ვუთხარი და უცებ ცხენით დავიჭიხინე.

— Ишь, ты. — საშოკი გაოცებული მიუ-რბოდა. მე გავიცინე და კიდევ დავიჭიხინე-მერე, ორივე ხელი შემოვაქდე და ცეკვაში ავიყოლიე. ის უკვე შემოვრალი იყო და ოდნავ აღმერული, ცისფერი თვალებით დაეინებით მომჩერებოდა. ფერმკრთალი ბაგეები ბრაზი-ანად მოეყვამა. ისე მომჩენენა, თითქოს მიბრაზ-დებოდა. მისი სიბრაზე იყო მამაკაცური და ამისგან განსხვავებით მე მსიამოვნებდა, რომ სხეული მაშინასვით მსუბუქი ქონდა. ზოგჯერ, სურვილი მომიღიდა ამტაცა და მიფერებო-დი, მაგრამ მას ერთხელაც არ გავხსნია ბაგეები. ეცეკვადით დიდხანს და ბოლოს, საშოკმა ჩურ-ჩულით მკითხა:

— А ты не хочешь поцеловать?

— Хочу.

— Тогда, почему...

წამით-პასუხი დავუყოვნე. არ ვიცოდი, შეთქ-ვა თუ არა რასაც ვფიქრობდი. მერე, ვუთხარი:

— А ты, такая...

— Какая...

— Ты должна сама...

უცებ, ჩემი ხელები მოიშორა, ისევ მოკემა ბაგეები, სწრაფად, მამაკაცურად შებრუნდა და გარეთ გავიდა. უკან გავყვი. უკვე ბნელოდა და გემუბზე პროექტორები აენათოთ. ბორტთან დავდექით. რამდენიმე ხანს უბოდ ვუფერებდით წყალს. ზოგჯერ, ზღვის ღომები ამოყოფდნენ თავს ტალღებიდან და ცნობისმოყვარეობით მიმოიხედავდნენ. წყალი ძალიან შავი იყო და გემების იქით ძალიან ბნელოდა. მე საშოკის გვერდით ვიდექი და ხელმოკრედ მომიწდა ამე-ტაცა ხელში და ბავშვივით მივალერებოდი. ის ძალიან ჰგავდა განაწყენებულ, პატარა ბიჭს.

— А я не хочу... — კბილებში გამოსცრა.

— Сашок...

— А я не хочу... — გაბრაზებით გაიმეორა.

პაერზე ვასკლისას სიმთვრალე კიდევ მეტად მოეკადა და თვალეებზე ცრემლი მოადგა.

— Я хочу, что'н мня целовали... —

უცებ სმამილა წამოიძახა და თვალეებში ჩამ-ცქერდა. მის თვალეებში ცრემლი იყო დაგუ-ბებული, ტუჩები დაწითლებოდა, დაბერვოდა და ახლა ის ჰგავდა რუსულ ზღაპრებში იღწე-რილ თხუნიან გოგონას. მისდამი უცნაური სინა-ზე ვივარჩინე:

7. „მნითობა“, № 3.

— Сашок.

— Не хочу, сама... — წამალურწმ იმეორებდ და თავს ძლიერ იკავებდა სმამილა. არ დუნყო ზღუტენი.

— Сашок.

ამ დროს საოცრად არასასიამოვნოდ და უდ-როოდ, უადგილოდ გაისმა:

— Матросу Васадзе выйти на вахту!

...ქალთა შორისაც არიან ატანილები, რომელ-თა სულ სხეულში არ ეტყვა და სიითლიც მამა-კაცურად ისწრაფვიან, რომ სურვილი დაითოკონ. ქალთა შორისაც არიან ასეთები და მათ გამო-ხედვაში მუდამ უკმყოფილებაა, უკმყოფილე-ბა და წყურვილი. ისინი იტანჯებიან, იტანჯებიან მითუმეტეს, რომ არიან ქალები. მე მიყვარს ასე-თი ქალებიც, მიყვარს და შემბრალებიან. ამ დღის შემდეგ საშოკი აღარასდროს მიხახავს.

• • •

ტრალი ჩავდევით. მერე ბოგზე ჩამოეკვით და მუხლებზე ხელებდაყრდნობილები, დალი-ლები ვუფერებდით, ზღვაში როგორ იძირებო-და ბაღე და სტოვებდა თეთრ კვალს.

— ხეთი წუთიც და საამქროში, — ეთქვა მე.

— რა, გეზარება? — თქვა ვალერიმ.

— უელში ამოვივიდა. სულ ერთი და იგივე. ვირა, შინა, ვირა, შინა. სულ ერთი და იგივე. მომბუზრდა.

— ჟერ სადა ხარ.

— გემბანი, ტრალი, მერე საამქრო, მერე ისევ ტრალი, მერე კიოტა, მერე ისევ ტრალი... სმაუ-რიც სულ ერთი და იგივე. ველარაფერს ვგროზობ!

— აღერ დაიწყე. წინ კიდევ სამი თვე დარჩა.

— ენთუ მოხლოდ ოთხი თვე გავიდა?

— ისიც არ ვასულა.

— საოცარია, თითქოს არაფერი მომხდარა.

— რა გინდა მოხდეს? რა უნდა მოხდეს ამ შუა ოკეანეში?

— არ ვციცი. კლდეს შინაც დავეკახობ... აზრი აღარა აქვს. გაბრუებულღვიოთა ვარ.

— რალას მოდოდი? ქალაქში გაერთობოდი შინაც. იფ, ახლა ქალაქში რა ამბები ხდება.

— არაფერიც არ ხდება, არსად არაფერი არ ხდება! ნახე, რა გაჩერებული ზღვა? კაცს სული შეეხუტება.

— ბოდავ.

— ებოდავ კი არა...

— არა, აქეთ შინაც რა მოგაბრენინებდა.

— შინდოდა შენახა...

— ჰე, ჰე... რა უნდა გენახა აქ. წყალი?

— არა, შინდოდა, რამე მომხდარიყო.

— ბოდავ... რა უნდა მომხდარიყო? რა უნდა გენახა?

მართლაც რა უნდა მენახა, რა, თუ არა ის, რაც ჩემში იყო.

— თეთრი ვეშაპი, — უცებ ვუპასუხე.

— ბოდავ. თეთრი ვეშაპი არ არსებობს.

— არსებობს. იყო ერთი ასეთი პიროვნება —
ქენრი მელვილი. ის მუზღვადური იყო და სწამ-
და, რომ თეთრი ვეშაბი არსებობს.

— რაღაც არ გამოვიდა.

— მე კი გამოვიდა და ვიცო, რომ არსებობს.

— ბოდავ. თეთრი ვეშაბი არ არსებობს. ისიც
ბოდავდა, შენი მელვილი!

— სულ ერთია. ქენრი მელვილი კარგი კაცი
იყო. ოღონდ, მას უნდოდა მოეყლა თეთრი ვეშა-
ბი. მე კი ნახვითაც დავკმაყოფილდებოდი. თა-
ნაც, სრულიად არ შინდა მისი მოყვლა.

— ბოდავ. თეთრი ვეშაბი არ არსებობს, კა-
კო.

— შენ ეს ბოდავ გკონია, იმიტომ რომ არ
იცი.

— ეჰ, შენც ერთი... მე ის ვიცო, რომ საამქრო-
ში ჩასვლის დრომ მოაღწია, ადევკ...

— არ შინდა. ცოტა ხანს ვიჯდები.

— ხომ იცო, იყვირებენ.

— იყვირონ. რაღაც ისეთი გრძნობა მაქვს,
რომ ახლა თეთრმა ვეშაბმა უნდა ამოყოს ზურ-
გა.

— ბოდავ. მე წავედი...

— წადი...

ვალერი ადგა და გამშორდა.

ვირა, მინა, შერე საამქრო, შერე ისევ გეშა-
ბი, ისევ ტრალი, ვირა, მინა; შერე კაიურა და
ხანმოკლე ძილი. გადიოდა თვეები და მე შეგო-
ნა, რომ ჩემს გარშემო არაფერი ხდებოდა. ოკუ-
ნე ნათქვამა ყველაფერს და ჩვენ ძალიან ვიღლე-
ბოდით. შინდოდა, მომხდარიყო რაიმე, და მა-
შინ, ვერ ვხედავოდი, რომ ყველაზე დიდი, რაც

ხდებოდა, ხდებოდა ჩემში. ვერ ვხედავოდი,
რომ ყოველ განსაცდელზე დიდი განსაც-
დელი ეს იყო იმ მომენტების, როდესაც მდებ-
ბას ატანა და საუბრეებზე იმდენი ვაგონი მდებოდა
თვეების გადალახვა.

გადიოდა თვეები და ახლა, როცა ყველაფერს
ვისხნებ, ვხედავ, რომ ჩემს გარშემოც უამრავი
რამ ხდებოდა. მაგრამ მე მიზნად არ დამი-
სახავს დაწვრილებით მომეთხორო ყველაფერი,
რაც იქ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას შეი-
ღენდა. ჩემს გარშემო ცხოვრობდნენ ადამიანე-
ბი, ისინი შრომობდნენ და არაჩვეულებრივი
სიცხადით ავლენდნენ თავიანთ თავს ყოველ
წერილმანში. ჩემს გარშემო ვხედავდი მშრო-
შელ ქართველ მუზღვადურებს და ბევრი რამ მა-
ხარებდა. მიხაროდა, რომ ისინი იქაც, შუაოკეა-
ნეშიც არ ჰქარგავდნენ თავიანთ თვისებებს, თა-
ვიანთ მეობას და ამგვარებდნენ შრომისა და
დისციპლინის მაღალ კულტურას. დღეს სათუო
აღარ არის, რომ საქართველოში სწრაფად განვი-
თარღება საოკეანო თევზმკერი ფლოტი. მაგრამ
ფლოტს სჭირდება ადამიანები და კარგი იქნება,
რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა — იმ ახალგაზრდებ-
მა, რომელთაც აჭუთ გამბედაობა, — მოსინჯონ
თავიანთი ძალა. სხვა რომ არა იყოს რა, ზღეაში
გატარებული რამდენიმე წელი უდიდესი სკო-
ლა იქნება მათთვის, მათი ვაგეაქობის საუკეთეს-
ო საწრთობი საშუალება. სხვა რომ არა იყოს
რა, საქირაო კაცმა ერთხელ მაინც გასცუროს
შორეული ნაბიჯებისკენ.

პავლე ინგოროვა

შოთა რუსთაველი

(1166—1250)

კარი პირველი

საქართველოს ისტორიული წარსული

I

ქვეყანა კველი კულტურისა

ელინთა უძველესი ისტორიკოსი პეროდოტე, რომელსაც „ისტორიის მამა“ ეწოდა, თავის დიად შრომას იმით იწყებს, რომ მოგვითხრობს ელადისა და კოლხეთის ურთიერთობის შესახებ, რაც ჭაღარა წარსულს, ტროას ომის წინარე ხანას, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულს მიეკუთვნება. კოლხეთი ძველი საქართველოს ერთ-ერთი ნაწილია, დასავლეთ საქართველო.

„ისტორიის მამის“ მარტოდენ ეს მოწმობაც ნათლად წარმოგვიჩენს, თუ რაოდენ ძველია ქართული კულტურის საწყისები.

საქართველო, რომელიც კავკასიაში, ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარეობს, არის ქვეყანა ევროპის კულტურული წრისა, ხოლო დასავლეთის ტრადიციებთან ერთად საქართველომ შეითვისა აგრეთვე აღმოსავლეთის კულტურული ტრადიციებიც, მოგვცა რა ამ კულტურათა თავისებური სინთეზი.

საქართველოს კავშირზე — ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში — კლასიკური აღმოსავლეთის ქვეყნებთან, — ასურეთ-ბაბილონთან, ხეთურ და ურარტულ სამყაროსთან, მეტყველებენ მატერიალური კულტურის ძეგლები და ლურსმნული დამწერლობის ტექსტების ისტორიული ცნობები, რომლებიც ეკუთვნის მეორე-პირველ ათასწლეულებს ქრისტიანული წელთაღრიცხვის უწინარეს. ამავე დროს საქართველოს რომ უძველესი დროიდანვე ახლო კავშირი ჰქონდა დასავლეთთან, ძველ ელინურ მსოფლიოსთან, ამის შესახებ მოგვითხრობენ არა მხოლოდ ანტიკური ავტორები, არამედ ამასვე მოწმობენ მსოფლიო გავრცელების მქონე ლეგენდები, ასე — ლეგენდა არგონავტების მგზავრობისა კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად (ეს თქმულება ჰომიროსის წინადადრინდელი ეპოქით თარიღდება), ასევე დიადი ლეგენდა პრომეთე-ამირანისა, რომელიც კავკასიის ქედზე იყო მიჯაჭვული; ეს უკანასკნელი ლეგენდა ელი-

ნურმა სამყარომ საქართველოდან შეითვისა და მან განუმეორებელი მხატვრული ხორცშესხმა ჰპოვა ესქილეს გენიალურ ტრაგედიაში. *გენიალური ხელოვნება*

უფრო გვიან პერიოდში, ელინიზმის ეპოქასა და რომაულ ხანაში, საქართველო მაღალი კულტურის ქვეყანაა, დამოუკიდებელი სახელმწიფო დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე. ჩვენი წელთაღრიცხვის I და II საუკუნეებში საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს რომისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის ისტორიაში. თუ რა დიდი პოლიტიკური ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს სახელმწიფო ამ ეპოქაში, ამას ადასტურებენ ანტიკური ავტორები, რომლებმაც აგვიწერეს საზეიმო მიღება, მოწყობილი რომში იმპერატორ ადრიანეს მიერ საქართველოს მეფე ფარსმან II-ესთან შეხვედრის დროს ჩვენი წელთაღრიცხვის 138 წელს. ფარსმანმა მონაწილეობა მიიღო დიდ რელიგიურ ცერემონიაში — კაპიტოლიუმზე შესწირა მსხვერპლი და შას უდიდესი პატივი მიაგეს: ცხენზე მჯდომი ქართველი მეფის ქანდაკება აღმართულ აქნა მარსის ტაძარში.

IV საუკუნის დასაწყისში, 337 წელს, საქართველოში ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო სარწმუნოებად. საშუალო საუკუნეებში საქართველო აღმოსავლეთ-ქრისტიანული მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ბიზანტიისაგან განსხვავებით საქართველოში ბრწყინვალე განვითარება მიიღო საერო ლიტერატურამ. საშუალო საუკუნეთა ქართული კულტურის ისტორიაში XII—XIII საუკუნეებს ოქროს ხანა ეწოდება. ამ დროს საქართველოში ვითარდება ჰუმანიტური მოძრაობა, რომელიც შეიძლება შევადაროთ მომდევნო საუკუნეების ევროპულ რენესანსს. ამ ხანას ეკუთვნის შემოქმედება დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველისა, რომელიც, არის ავტორი გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნისა“. რუსთაველი იყო დიდი მომღერალი ჰუმანიზმისა, ერთი პირველმაუწყებელი რენესანსის იდეებისა ევროპის ლიტერატურაში.

II

საქართველო და აღმოსავლეთ-ევროპის მსოფლიო საშუალო საუკუნეებში. რენესანსის პათიადი.

ვიდრე გადავიდოდეთ შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვაზე, წინასწარ ჩვენ აქ მოგვიხსენება ახლო გავეცნოთ საქართველოს XII—XIII საუკუნეთა, რუსთაველის ეპოქის საქართველოს.

როგორც მოხსენებული გვქონდა, ანტიკური ხანის დასასრულს, 337 წელს, საქართველოში ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. ეს თარიღი ვახდა ეპოქალურ მიჯნად საქართველოს ისტორიაში. ჯერ კიდევ ამაზე ადრე, ანტიკური ხანის ბოლო პერიოდში, საქართველო თავისი კულტურით უახლოესად იყო დაკავშირებული ელინურ-რომაულ სამყაროსთან, ანუ უფრო ზუსტად საკუთრივ ელინურ სამყაროსთან. უნდა ვიცოდეთ ამასთან, რომ ამ ეპოქაში ანტიკური ხანის ბოლოს, საქართველო ტერიტორიულადაც უშუალოდ ესაზღვრებოდა ეთნიკურ საბერძნეთს, ბერძნულ მოსახლეობას ანატოლიაში (მცირე აზიაში). ეთნიკური საზღვარი საქართველოსა და ბერძნულ ანატოლიას შორის გასდევდა მცირე აზიის პონტოში, ტრაპიზონის ზონის დასავლეთით. ამ მიჯნის

ერთ მხარეზე მდებარეობდა ეთნიკური საბერძნეთი, მიჯნის მეორე მხარეზე (ტრაპიზონის მხარის ჩათვლით) მდებარეობდა ეთნიკური საქართველო.

ხოლო მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად იქმნა აღიარებული როგორც რომის იმპერიაში, ისე საქართველოში (ეს თითქმის ერთდროულად მოხდა, IV საუკუნის პირველ ნახევარში), საქართველო ხდება ნაწილი დასავლეთის სამყაროსი. ამ დროიდან მოცილებული, მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე, საქართველო, როგორც თავისი ძველი კულტურით, ისე თავისი ისტორიის მაგისტრალური ხაზით, სახელმწიფოს პოლიტიკური მიზანდასახულობითა და ცივილიზაციის იდეალებით, არის განუყოფელი ნაწილი დასავლეთისა, ევროპის მსოფლიოსი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ დასავლეთის ცივილიზაცია ვახდა პოლიანად ევროპის კონტინენტის ცივილიზაციად საშუალო საუკუნეებში. ანტიკურ ხანაში დასავლეთის ცივილიზაციის გავრცელების ძირითადი არე შემოიფარგლებოდა ხმელთაშუა ზღვის აუზით. დასავლეთის ცივილიზაციის არეში ანტიკურ ხანაში არ შედიოდა უდიდესი ნაწილი ევროპისა, მისი ჩრდილოეთი ქვეყნები. ხოლო საშუალო საუკუნეებში დასავლეთის ცივილიზაცია დროთა მანძილზე თანდათანობით იქცა სრულიად ევროპის ცივილიზაციად, დასავლეთის ცივილიზაციას ეზიარნენ ჩრდილო ევროპის ახალი ხალხები.

საშუალო საუკუნეთა მეორე ნახევარში, XI—XIII საუკუნეებში, ევროპის კულტურული სამყარო განიყოფება ორ მთავარ რეგიონად:

I. აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი, რომელშიაც შედიან: ბიზანტია; ამიერკავკასიის ძველი კულტურული ქვეყნები — საქართველო და სომხეთი; ბალკანეთის სლავეთი; აღმოსავლეთი სლავეთი — კიევის რუსეთი.

II. დასავლეთ ევროპის რეგიონი, რომელშიაც შედის დასავლეთი ნაწილი ევროპისა: რომანული და კელტური ქვეყნები, გერმანული ქვეყნები, დასავლეთ სლავების ქვეყნები.

გაყოფა ევროპისა, დასავლეთის სამყაროსი, ამ ორ დიდ რეგიონად არ იყო დროებითი ან შემთხვევითი. მას სათავეები ანტიკურ სინამდვილეში აქვს.

დასავლეთის დიდ ცივილიზაციას ანტიკურ ხანაში ორი მთავარი განშტოება მოეპოვებოდა — ელინური და რომაული.

აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი შემკვიდრეა ელინური ცივილიზაციისა; დასავლეთ ევროპის რეგიონი — შემკვიდრეა რომაულისა.



ევროპის ქვეყნებში XI—XII საუკუნეებში იწყება ჰუმანისტური მოძრაობა, რაც საუკუნეთა შემდეგ ევროპის დიდი რენესანსით დაგვირგვინდა. ეს ჰუმანისტური მოძრაობა თავს იჩენს XI—XII საუკუნეებიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, როგორც აღმოსავლეთ ევროპის მსოფლიოში, ისე დასავლეთ ევროპაში.

პირველ-სათავე ამ მოძრაობისა არის მთავარი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპის მსოფლიოსი — ბიზანტია. და ეს ბუნებრივიცაა. ევროპის ქვეყანათა შორის ბიზანტიაში ყველაზე ძლიერი იყო ანტიურობის ტრადიციების გადმონაშთები. ბიზანტია ეს ხომ იგივე საბერძნეთია, ცივილიზაცია ძველი ელინური ენისა, რომელზედაც შეიქმნა ანტიკურ ხანაში დიადი მწერლობა კატობრიობისა, დიადი ფილოსოფია, შთაგონებული ადამიანის თავისუფალი სულით.

აქ საჭიროა აღინიშნოს ამასთან, რომ ანტიურობის ტრადიციების გავლენებზე ბიზანტიაში აღდილი ჰქონდა არა მხოლოდ XI საუკუნეში, არამედ ამავე ადრეც, რამდენიმეგზის. ეს ტრადიციები ბიზანტიაში ხან ნელდება, ხან ისევ მძლავრდება. ასე, IX საუკუნის მეორე ნახევარში და X საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენ ვხედავთ ბიზანტიაში ანტიკური მწერლობისადმი ინტერესის ერთგვარ გამოვლიძებას, სდგება ქრესტომათიები და კრებულები, რომლებშიაც შეაქვეთ ანტიკური მწერლობის ნაწარმოებნი, სწავლობენ მათ. მაგრამ ამას არ ჰქონდა ფართო მოძრაობის ხასიათი; ამასთან იგი არ ამაღლებულა რენესანსული სახის ჰუმანიზმის იდეებამდე.

ხოლო XI — XII საუკუნეთა მანძილზე ევროპის მსოფლიოში თანდათანობით გაიშალა რენესანსული სულის ჰუმანიტური მოძრაობა, ჯერ ბიზანტიაში — XI საუკუნის ნახევრიდან, საქართველოში — XI საუკუნის დასასრულიდან, დასავეთ ევროპაში XII საუკუნეში.

ასე, ერთი-მეორის მიდევნებით არსდება აკადემიები და უნივერსიტეტები: ბიზანტიაში (მანგანის აკადემია, XI საუკუნის შუა წლებში), საქართველოში (გელათის აკადემია XII საუკუნის დასაწყისში), დასავლეთ ევროპაში (საფრანგეთში უმაღლესი სასწავლებლები პარიზისა და შარტრისა XII საუკუნეში, იტალიაში — ბოლონიის უნივერსიტეტი XII საუკუნეში), რომლებიც ჰუმანიტური მოძრაობის კერები გახდნენ.

არაა ინტერესს მოკლებული აღნიშნოთ ამასთან, რომ XI საუკუნეში ბიზანტიის ჰუმანიტური მოძრაობის მეთაურთა რიგებში ბერძნების გვერდით ჩვენ ვხედავთ ქართველებს. როგორც ცნობილია, კონსტანტინეპოლში 1083 წელს ანათემით შეაჩვენეს ბიზანტიური რენესანსის დიდი მოღვაწე ფილოსოფოსი იოანე იტალოსი. იოანე იტალოსის თანამოღვაწე იყო ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელიც ამ დროს ბიზანტიაში მოღვაწეობდა. ამ ქართველმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწიმ დევნა განიცადა იოანე იტალოსთან ერთად 1083 წელს. ჩვენამდე მოღწეულა წერილი იოანე იტალოსისა, მიმართული ქართველი ფილოსოფოსისადმი, რომელშიაც იგი მოიხსენებს, თუ რა სიმტკიცე, რა სიმაღლე სულისა გამოავლინა მისმა ქართველმა მეგობარმა დევნის ეამს.

იოანე პეტრიწი XI საუკუნის დასასრულს ბიზანტიიდან საქართველოში ჩამოდის. საქართველოს მეფემ დავით აღმაშენებელმა, დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ, ჰუმანიტური მოძრაობის დიდმა მესვეურმა, იოანე პეტრიწი მოიწვია გელათის აკადემიაში. დავით აღმაშენებელის თანამედროვე ძველ-ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში, გელათი, სადაც აკადემიასთან ერთად არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი, მოიხსენება „სასწავლოდ ყოვლისა კეთილისა“. „მოდვრად სწავლულებისად“, „სხვად ათინად“ (= მეორე ათინა). გელათის ეწოდება აგრეთვე „ახალი ათინა“. დავით აღმაშენებელის თანამედროვე პოეტი შავთელი (I) გელათს უწოდებს „ელადას“. ეს სახელწოდებანი გელათისა „სხვა ათინა“, „ახალი ათინა“, „ელადა“, კარგად გამოხატავს მნიშვნელობას გელათის აკადემიისა, როგორც ქართული ჰუმანიზმის კერისა.

არაა ამასთან მნიშვნელობას მოკლებული აღნიშნოთ ისიც, რომ აქ მოხსენებული ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მემკვიდრეობას კარგად იცნობდა შოთა რუსთაველი, შოთას პოემაში არის ადგილები, სადაც გვაქვს გამოხმაურება იოანე პეტრიწის ფილოსოფიური იდეებისა.



III

ბიზანტია და საქართველო.

პოლიტიკური მითარება ახლო აღმოსავლეთში

XI—XII საუკუნეთა ბანილიზმ.

ჩვენ აქ მოგვიხდება შევეხოთ ზოგიერთ საკითხს ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან.

XII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა საქართველოს ძლიერი ზოგად-კავკასიური სახელმწიფო.

XII საუკუნის დასაწყისიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე ხდება თანდათან განმტკიცება საქართველოს ზოგად-კავკასიური სახელმწიფოსი.

XII — XIII საუკუნეთა საზღვარზე, თამარ დიდის ეპოქაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის (ბიზანტია—კავკასიის რეგიონის) პოლიტიკურმა ცენტრმა გადმოინაცვლა ბიზანტიიდან საქართველოში.

ჩვენ აქ მოკლედ განვიხილავთ, თუ რამ განაპირობა, რასთან იყო დაკავშირებული ეს დიდი ცვლილებანი აღმოსავლეთ ევროპის მსოფლიოს ამ ზონაში.



XI საუკუნის ნახევრიდან იწყება თურქების (სელჯუკების) დიდი გადმოსახლება აზიიდან სამხრეთ კავკასიაში და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში.

XI საუკუნის მეორე ნახევარში თურქებმა დაიპყრეს:

I. სამხრეთ-კავკასიაში:

ა) სომხეთი, რომელიც ამ დროს აღარ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, არამედ ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში იყო მოქცეული;

ბ) არანი (სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერ-კავკასიის მხარე).

II. საკუთრივ ბიზანტიის იმპერიაში თურქებმა დაიპყრეს ანატოლიის (მცირე აზიის) დიდი ნაწილი.

ეს იყო არა მხოლოდ დაპყრობა, არამედ ამ ქვეყნების მეტ ნაწილში ჩამოსახლება თურქი ნომადებისა, რამაც შესცვალა ამ მხარეთა ეთნოგრაფიული სახე. კერძოდ, ამ დროიდან მოკიდებული ბიზანტია საბოლოოდ ჰკარგავს იმპერიის უაღრესად მნიშვნელოვან ტერიტორიებს, ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ანატოლიას, თურქთა მასიური ჩამოსახლების გამო.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიას, თურქთა მასიურ ჩამოსახლებას ადგილი ჰქონდა არანში, რის შედეგადაც ეს მხარე თურქული გახდა.

სომხეთში თურქების ჩამოსახლებას თემცა ასეთი ფართო სახე არ მიუღია, მაგრამ ცალკეულ მხარეებში აქაც გაჩნდა მნიშვნელოვანი თურქული მოსახლეობა.

ხალხთა ეს დიდი მოძრაობა შეეხო აგრეთვე საქართველოს. XI საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველო აწარმოებს განუწყვეტელ ბრძოლებს თურქებთან. თურქებმა დაიპყრეს კიდევ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი მხარე და სცადეს აქ დასახლება და დამკვიდრება, თუმცა საბოლოოდ ფეხი ვერ მოიკიდეს. საქართველოს ხელისუფლება, გამაგრებული დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, განაგრძობდა შეუწყობელ ბრძოლას თურქების წინააღმდეგ.

XI საუკუნის დასასრულს საქრთველის მდგომარეობა შეიცვალა.

თუ XI საუკუნის მეორე ნახევარში წარმოებდა თურქების შემოტევა დასავლეთისაკენ, XI საუკუნის ბოლოს იწყება ევროპის ხალხთა საწინააღმდეგო მოძრაობა აღმოსავლეთისაკენ, ჯვაროსანთა ლაშქრობანი.

დასავლეთ-ევროპელთა ჯვაროსნებმა 1096 წელს დაიკავეს იერუსალიმი, დააარსეს პალესტინაში დასავლეთ-ევროპელთა იერუსალიმის სამეფო, ხოლო სირიაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, და ჩრდილო მესოპოტამიაში შეიქმნა დასავლეთ-ევროპელთა სამთავროები.

ჯვაროსანთა ომების გამო თანდათანობით შენედა თურქებისა და ახლო აღმოსავლეთის მუსულმანთა ექსპანსია საქართველოსა და ბიზანტიის წინააღმდეგ.

ასეთი იყო ვითარება, რომელიც შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში XI საუკუნის დასასრულისათვის.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობა, რასაკვირველია, დიდად გააძლიერა იმ გარემოებამ, რომ ახლო აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, დამკვიდრდნენ დასავლეთ-ევროპელები.

მაგრამ ამვე დროს საქართველოს უდიდესი საფრთხე შეუქმნა მეორე გარემოებამ, სახელდობრ იმ შედეგებმა, რომლებიც მოჰყვა ხალხთა დიდ გადასახლებას XI საუკუნის მეორე ნახევარში. ეს საფრთხე იმაში მდგომარეობდა, რომ მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიკავეს ბიზანტიის აღმოსავლეთი ნაწილი, ცენტრალური და აღმოსავლეთი ანატოლია, საქართველო ტერიტორიულად მოსწყდა ბიზანტიას, და მათსადავე მოსწყდა ევროპას.

საქართველო განმარტოებული რჩება ამიერ-კავკასიაში. მას არა აქვს უშუალო კავშირი, საერთო საზღვარი — არც ბიზანტიელებთან, არც პალესტინა-სირიაში დამკვიდრებულ დასავლეთ-ევროპელებთან.

ხოლო მრავალ-ერიან ამიერ-კავკასიაში საქართველოს გარდა არ არსებობს არც ერთი სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ XI საუკუნის დასასრულიდან (მას შემდეგ რაც დასავლეთ-ევროპელები დამკვიდრდნენ პალესტინა-სირიაში) დაისახა და განახორციელა დიდი გეგმა: გასწმინდა თურქთაგან საქართველოს მთელი ტერიტორია, ხოლო ამის შემდეგ გაანთავისუფლა ამიერ-კავკასიის ნაწილი — ვიდრე კასპიის ზღვამდე, დარუბანდის კარებამდე, და ამით საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ზოგად-კავკასიურ სახელმწიფოს.

ყოველივე ეს განხორციელებულ იქნა XII საუკუნის პირველ მეოთხედში, 1100—1125 წლებში.

საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ამ დროს არის დაგით აღმამენებელი, რომელზედაც ზემოთ ვეჭონდა საუბარი, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე საქართველოს ისტორიისა, უგანათლებულესი ადამიანი საუკუნისა, ქართული ჰუმანიზმის დიდი მოღვაწე (დამაარსებელი გელათის აკადემიისა — „ახალი ათინისა“).

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ პალესტინა-სირიაში დამკვიდრებული დასავლეთ-ევროპელები უდიდესი იმედით შესცქეროდნენ აღორძინებულ ძლიერ საქართველოს. ისინი საქართველოს სთვლიან თავის ბურჯად:

ისეთ ძალად, რომლის შიშით მუსულმანები ვერ ბედავენ იერუსალიმის სამეფოს წინააღმდეგ გამოლაშქრებას.

დავით აღმაშენებელის თანამედროვე, ჯვაროსანთა ომების ისტორიკოსი გოტიე კანცლერი ავგუსტის ცნობილ დიდგორის ბრძოლას, რომელიც გადაიხადა საქართველოს ჯარმა დავით აღმაშენებელის მეთაურობით 1121 წელს. დიდგორის ბრძოლა — უმთავრესი გადამწყვეტი ბრძოლა იყო დიდ ომში, რომელსაც აწარმოებდა საქართველოს წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთის მუსულმანთა დიდი კოალიცია. გოტიე კანცლერი მოგვითხრობს, რომ მუსულმანთა ამ კოალიციამ — „გადაწყვიტა საქართველოში ლაშქრობა დავით მეფის წინააღმდეგ, რათა მისი დაქვევისა ანუ განდევნის შემდეგ თავისუფლად და სრულად შეუდგეს იერუსალიმისა და ანტიოქიის დამორჩილებას და ამოწყვეტას“; მაგრამ დავით აღმაშენებელის ლაშქარმა, რომელიც 80.000 ჯარისკაცისაგან შესდგებოდა, მუსულმანები სასტიკად დაამარცხა და ამით იხსნათ საქრისტიანო.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან ისიც, რომ იმავე გოტიე კანცლერის ცნობით, დავით აღმაშენებელის ჯარის შემადგენლობაში დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა საქართველოში ჩამოსული ფრანკების ერთი რაზმი.

მოგვყავს კიდევ ერთი ამონაწერი ამავე ეპოქის სხვა დოკუმენტიდან, წერილიდან, რომელიც დაწერილია დავით აღმაშენებელის გარდაცვალების შემდეგ, დავითის მემკვიდრის დემეტრე I-ის დროს; ამ წერილში, რომელიც ვაგზავნილია ანსელუსის, ქრისტეს საფლავის ფრანგი კლირიკოსის მიერ იერუსალიმიდან საფრანგეთში, პარიზში, და მიმართულია გალიენ ეპისკოპოსისა და პარიზის ნოტრ-დამის კრებულისადმი, სხვათა შორის, შემდეგს ვკითხულობთ:

„...ქართველთა მეფეს დავითს — კასპიის კარი (= დარუბანდის კარი), ვოგსა და შავოგს რომ ზღუდავს, ეჭირა და სდარაჯობდა; მისი შვილი აქამდე მასვე ასრულებს, — ვისი ქვეყანა და სამეფო (საქართველო) მიდელთა და სპარსთა (მუსულმანთა) წინააღმდეგ, ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია“.

„ჩვენი“ — ე. ი. დასავლეთ-ევროპელთა იერუსალიმის სამეფოს წინა ბურჯი.

IV

საქართველოს სახელმწიფო

XII-XIII საუკუნეთა

XII საუკუნის მანძილზე და XIII საუკუნის პირველ ათეულ წლებში საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ისტორია სხვადასხვა რიგად წარიმართა.

ბიზანტია XII საუკუნის მანძილზე ინარჩუნებს თავისი დიდი კულტურის მთელ ბრწყინვალეობას, მაგრამ უკვე იწყება აღმოსავლეთ ევროპის ამ ოდესღაც უძლიერესი სახელმწიფოს დაისი.

ბიზანტიის სახელმწიფოსათვის საბედისწერო აღმოჩნდა ხალხთა ის დიდი გადასახლება, რომელსაც ადგილი ჰქონდა XI საუკუნის მეორე ნახევარში.

როგორც მოხსენებული გვქონდა, XI საუკუნის მეორე ნახევარში თურქ-სელჯუკებმა დაიკავეს ბიზანტიელთა ეროვნული ტერიტორიების დიდად მნიშვნელოვანი ზონა მცირე აზიაში, ცენტრალური და აღმოსავლეთი ანატოლია; თურქები აქ ჩასახლდნენ და დამკვიდრდნენ. ბიზანტიელთა ამ ძველ მიწა-წყალზე შეიქმნა და თანდათან გაძლიერდა თურქთა სახელმწიფო, რუმის სასულთნო.

რომელიც XII საუკუნეში მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში.

ბიზანტიელთა ხელში მცირე აზიაში XII საუკუნეში დარჩმ მხოლოდ დასავლეთი ანატოლია — ნიკეის ზონა, და ამას გარდა ვიწრო ზოლი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ადგილ-ადგილ გადაჭრილი თურქთა ხელში მყოფი ტერიტორიებით.

ამავე დროს ბიზანტიას ზიანი მიაყენა აგრეთვე ჯვაროსანთა დიდი მასების არა-ერთგზისმა გავლამ ბიზანტიის მიწა-წყალზე.

ხოლო 1204 წელს მოხდა უდიდესი კატასტროფა ბიზანტიის ისტორიაში: ამ წელს, მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა ევროპის ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფების მეტოქეობის გამო, ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინეპოლი (კონსტანტინეპოლი არასოდეს არ აღებულა მისი დაარსებიდან, IV საუკუნიდან, ვიდრე ამ დრომდე). 1204 წლიდან არსდება ლათინთა (დასავლეთ-ევროპელთა) სახელმწიფო ცენტრით კონსტანტინეპოლში, რომლის არსებობამ გასტანა 65 წელი.

1204 წლიდან ბიზანტიის სახელმწიფოს ხელისუფლება გადავიდა მცირე აზიაში და დამკვიდრდა ანატოლიის დაუპყრობელ ნაწილში, დასავლეთ ანატოლიაში, ცენტრით ქალაქ ნიკეაში. მხოლოდ 1269 წელს შესძლეს ბერძნებმა კონსტანტინეპოლის დაბრუნება და აღდგენა ბიზანტიის სახელმწიფოსი.

მას შემდეგ ბიზანტიის სახელმწიფომ იარსება კიდევ უფრო ხანი, ვიდრე 1451 წლამდე, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო ძველი ბიზანტიის იმპერია.

გავეცნოთ ამის შემდეგ პოლიტიკურ ვითარებას საქართველოსა და კავკასიაში XII—XIII საუკუნეებში.

საქართველოს სახელმწიფო, რომლის საზღვრებში XII საუკუნის პირველ მეოთხედში გაერთიანდა ამიერ-კავკასიის მთავარი ნაწილი, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, XII საუკუნის მანძილზე თანდათან განმტკიცდა და გაძლიერდა.

ხოლო XII—XIII საუკუნეთა საზღვარზე, თამარის ეპოქაში, საქართველო წარმოადგენს ევროპის ცივილიზაციის დიდ სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთის მიჯნაზე. საქართველომ დაიჭირა ბიზანტიის ადგილი.

საქართველოს სახელმწიფო ამ ეპოქაში არის დიდი პოლიტიკური ცენტრი, რომელთანაც დაკავშირებულია კავკასიის ყველა ქვეყანა, რომელიც აერთიანებს კავკასიის ყველა ხალხს.

ჩვენ აქ საჭიროდ ვთვლით უფრო დაწვრილებით აღვნიშნოთ, თუ რას წარმოადგენდა, რა ტერიტორიულ საზღვრებში არსებობდა საქართველოს სახელმწიფო და საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული კავკასია თამარ დიდის ეპოქაში, XII—XIII საუკუნეთა საზღვარზე.

თამარ დიდის ეპოქის სახელით აქ ვგულისხმობთ თამარისა და მისი მემკვიდრის გიორგი-ლავას მეფობას, დაწყებული 1184 წლიდან და გათავებული 1220 წლით (საზღვრები და პოლიტიკური ერთეულები აღნიშნულია 1220 წლისათვის).



1. საქართველოს სახელმწიფო.

საქართველოს სახელმწიფო, როგორც მოხსენებული გვექონდა XII საუკუნის პირველი მეოთხედიდან მოიციავდა ამიერ-კავკასიის მთავარ ნაწილს, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა:

1. საქუთრივ საქართველო;
2. ჩრდილოეთ სომხეთის ორი პროვინცია: ანისი და დვინი.
3. შირვანი.

ჩრდილო სომხეთის პროვინციების შესახებ საკიროა აღვნიშნოთ: ბრძოლები სომხეთის ამ ტერიტორიების განთავისუფლებისათვის მუსულმანთა ბატონობისაგან ხანგრძლივი და მძიმე იყო, იგი გაგრძელდა მთელი საუკუნე. ახლო აღმოსავლეთის მუსულმანობა არ ურიგდებოდა ამ მხარეთა დაკარგვას და არა ერთხელ უცდია მათი უკან დაბრუნება, რადგან სომხეთში მნიშვნელოვანი თურქულ-მუსულმანური მოსახლეობა იყო, რომელიც აქ დამკვიდრდა სელჯუკთა დიდი ვადმოსახლების დროს XI საუკუნეში. ჩრდილო სომხეთის ამ პროვინციების განთავისუფლება დაიწყო 1124 წლიდან, როდესაც ქართველთა ჯარმა დაავით აღმაშენებელის სარდლობით გაანთავისუფლა ანისი. წყაროებში მოთხრობილია, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა, დავით აღმაშენებელის მოთავეობით, და სომეხი ხალხის წარმომადგენლებმა, ეკლესიამ, მთავრებმა და ქალაქის ხელისუფლებამ, საერთო საზეიმო კრება გამართეს ანისის განთავისუფლების გამო. ანისის საკათედრო ტაძარს, რომელიც მეჩეთად იყო ქცეული, ჩამოხსნეს ნახევარ-მთვარე და მის ნაცვლად აღმართეს ჯვარი. დავით აღმაშენებელი შევიდა ტაძარში, მიუახლოვდა საფლავს სომხეთის დედოფლისა, რომელიც ტაძარში იყო დაკრძალული, და ახარა მას ქვეყნის განთავისუფლება. ანისის კრება ეს იყო ზეიმი ქართველთა და სომეხთა, ამ ორი მოძმე ხალხის შეგობრობისა.

შირვანი შემოერთებულ იქმნა საქართველოსთან დავით აღმაშენებელის დროს 1120—1124 წლებში.

საქართველოში შემავალი ქვეყნებიდან — ქრისტიანული ქვეყნები — საქუთრივ საქართველო, ჩრდილო სომხეთის ორი პროვინცია, და ერთი მხარე შირვანისა — კაბალა (რომელიც ქრისტიანი აღვანებით იყო დასახლებული) — შეადგენდა ერთს უნიტარულ სახელმწიფოს. რაც შეეხება შირვანს, იგი ითვლებოდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ავტონომიურ სამეფოდ, რომლის სათავეში იდგა ადგილობრივი დინასტი შირვან-შაჰი.

შირვანში დიდი იყო ირანული კულტურის ტრადიციები. ირანული მოსახლეობა გაჩნდა შირვანში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში. შირვანის ქვეყანაში მდებარეობს დარუბანდის კარები, სადაც კავკასიონის მთები ადგება კასპიის ზღვას და იკეტება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მომავალი გზები; დარუბანდის კარის დასაცავად ირანს ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში შირვანში ჰყავდა მუდმივი გარნიზონები. ამ დროიდან გაჩნდა შირვანში ირანული მოსახლეობა (თათები — შირვანელი ირანელები). ხოლო შირვანის აბორიგენული მოსახლეობა იყო კავკასიელი აღვანები (ნაწილობრივ ირანიზებული), ლეზგები და ლეზგის ჯგუფის სხვა დაღისტელი ტომები.

შირვანში XII—XIII საუკუნეებში შეიქმნა დიდი სკოლა ირანული პოეზიისა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გაუვსვათ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში გაერთიანება ამიერ-კავკასიის დასახელებულ მხარეთა არ იყო შემთხვევითი ან დროებითი მოვლენა. ამან გაუძლია მრავალ განსაცდელს; იგი არ დარღვეულა მონგოლთა მფლობელობის დროსაც კი, და იარსება მონგოლთა მფლობელობის შემდეგაც, გიორგი ბრწყინვალის ხანაში, XIV საუკუნის მანძილზე.

II—III. საქართველოს სახელმწიფოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული კავკასიის ქვეყნები.

საქართველოს სახელმწიფოსთან (რომელიც, როგორც განვმარტეთ, მოიცავდა კავკასიის ცენტრალურ ნაწილს, სახელდობრ ამიერ-კავკასიას, გარდა სამხრეთი სანაპიროებისა) — პოლიტიკურად დაკავშირებული იყო კავკასიის ყველა ქვეყანა.

ეს კავშირი სხვადასხვა სახისა იყო.

II — ა. ერთი რიგი ქვეყნები ითვლებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატად, შეადგენდნენ საქართველოს სახელმწიფოსთან მჭიდროდ დაკავშირებულ ერთს პოლიტიკურ გაერთიანებას.

ეს ქვეყნები იყვნენ:

ა. პროტექტორატები ჩრდილო კავკასიისა.

ოთხი ქვეყანა, დასახლებული ჩრდილო კავკასიის მთიელებით:

1. ლუნძეთი (თანამედროვე ავარია), დაღისტანის სამფლობელოებით.
2. დურძუკეთი (-საჩჩინო);
3. ოვსეთი;
4. ქაშაგეთი (-საჩჩერქეზო).

ბ. პროტექტორატი დასავლეთისა I:

5. ტრაპიზონის სამეფო.

გ. პროტექტორატი დასავლეთისა II:

6. კარნუ-ქალაქის (არზრუმის) საამირო.

ეს ქვეყნები ითვლებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური მფარველობის ქვეშ, და როგორც გადმოგვცემს XIII საუკუნის დასაწყისის ქართველი ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოდღარი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ იდეოლოგიას გამოხატავს, ყველა ეს მოკავშირე ქვეყნები საქართველოს სახელმწიფოს მიერ იყვნენ „თავისუფლებითა ცხოვრებასა და მტერთაგან უზრუნველობასა“.

ჩვენ საგანგებოდ შევანერგებთ მკითხველის ყურადღებას თამარის ეპოქის ისტორიკოსის ამ პოლიტიკურ ფორმულაზე, საიდანაც ვგებულობთ, თუ რა სიმაღლემდე ასულა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგია XII—XIII საუკუნეებში, რუსთაველის ეპოქაში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დოქტრინის თანახმად—საქართველოს სახელმწიფო, მასთან ერთად საქართველოს სახელმწიფოში შემაველი ავტონომიური შირვანის სამეფო (მისი ორი ქვეყანა — შირვანი და დარუბანდი) და საქართველოს სახელმწიფოს ექვსი პროტექტორატი (ოთხი ჩრდილო კავკასიაში და ორი ანატოლიის სანაპიროზე, — ტრაპიზონის სამეფო და კარნუ-ქალაქის საამირო)—წარმოადგენდა ერთს პოლიტიკურ თანამეგობრობას. რომელსაც საქართველოს სახელ-



მწიფომ მიაჩნდა „თავისუფლებითი ცხოვრება“ და „მტერთაგან უზრუნველობა“.

მოგვეყვას ისტორიკოსის ტექსტი:

„და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარშემო ქართლისა:

სახლი შ ა რ ვ ა ნ შ ე თ ი და დ ა რ უ ბ ა ნ დ ე ლ თ ა,

ლ უ ნ ძ თ ა (დალისტნელთა),

დ უ რ ძ უ კ თ ა (ჩაჩანთა),

ო ვ ს თ ა,

ქ ა შ ა გ თ ა (ჩ ე რ ქ ე ზ თ ა),

კ ა რ ნ უ-ქ ა ლ ა ქ ე ლ თ ა,

და ტ რ ა პ ი ზ ო ნ ე ლ თ ა,

რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამისი მიერ (საქართველოს მიერ) იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“.



რამდენიმე შენიშვნა ტრაპიზონის სამეფოს შესახებ.

ტრაპიზონის სამეფო ყოფილი ნაწილია ბიზანტიის იმპერიისა, რომელიც XIII საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს პროტექტორატის ქვეშ იმყოფება.

ტრაპიზონის სამეფოში, იმ საზღვრებში, რომელშიაც იგი პირველად შეიქმნა, იყო როგორც ქართული, ისე ბერძნული მოსახლეობა. აღმოსავლეთი ნაწილი სამეფოსი (საკუთრივ ტრაპიზონის მხარე, ვიდრე თერმოდონამდე) ქართული ქვეყანაა; ხოლო დასავლეთი ნაწილი ტრაპიზონის სამეფოსი (სამისონ-სინოპის მხარე), ისევე როგორც ტრაპიზონის სამეფოსთან დაკავშირებული პაფლაგონია — ბითინია (დავით კომნენის სამფლობელო) — ბერძნული ქვეყნებია. ვინაიდან სამეფოში, აღნიშნულ საზღვრებში, რომელშიაც იგი პირველად შეიქმნა, ბერძნული მოსახლეობა მეტი იყო, იგი პირდაპირ არ შემოუერთებიათ საქართველოს სახელმწიფოსთან, არამედ შექმნილ იქმნა ცალკე სამეფო საქართველოს პროტექტორატის ქვეშ. სამეფოს სათავეში თამარმა დაადგინა ბიზანტიის ძველ იმპერატორთა შთამომავალი ალექსი კომნენი, აღზრდილი საქართველოში, რომელიც საქართველოს პოლიტიკის გამტარებელი იყო.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ კომნენთა დაყენებას ტრაპიზონის სამეფოს სათავეში საქართველოს მფარველობის ქვეშ, „კეისარის“ ტიტულით, გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა; ეს იყო მანვერებელი იმისა, რომ საქართველო არის მემკვიდრე და შემცველი ბიზანტიის იმპერიისა, რამდენადაც ბიზანტიის იმპერატორთა ძველი დინასტიის წარმომადგენელი, კომნენი, კეისარი, საქართველოს პროტექტორატს აღიარებდა.



III-ბ. საქართველოს სახელმწიფოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული ქვეყნების მეორე ჯგუფს შეადგენდა საქართველოს სახელმწიფოს ვასალური მუსულმანური სამეფო-სამთავროები; ესენი იყვნენ:

1. ა რ ა ნ ი ს (განძის) სასულტნო;
2. ნ ა ხ ჭ ე ვ ა ნ ი ს საამირო;
3. შ ა პ - ა რ მ ე ნ თ ა სასულტნო;
4. ე ზ ი ნ კ ი ს (ერზინჯანის) საამირო.

ამ ოთხი მუსულმანური ვასალური სამეფო-სამთავროების პოლიტიკური სტატუსი შემდეგი იყო:

1. ეს ქვეყნები სცნობდნენ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ სიუზერენიტეტს;

2. ვალდებულნი იყვნენ არ დაემყარებინათ პოლიტიკური და სამხედრო კავშირი სხვა მუსულმანურ სახელმწიფოებთან, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ;

3. ამავე დროს საქართველო თავის მხრივ აძლევდა ამ მუსულმანურ ქვეყნებს, როგორც ეს აღნიშნული აქვს XIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსს, „ზავისა სიმტკიცესა მათგან შეუტოდებლობასა შინა“, ე. ი. საქართველო აძლევდა ამ მუსულმანურ ქვეყნებს მუდმივი ზავის გარანტიას, რამდენადაც ისინი არ აღრევდნენ ვასალური ქვეყნების სტატუსით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ვასალურ სახელმწიფოთა ამ მეორე ჯგუფს, გარდა ზემოთდასახელებული ოთხი ქვეყნისა, XIII საუკუნის დასაწყისში ეკუთვნოდა აგრეთვე კარნუ-ქალაქის (არზრუმის) საამირო, მაგრამ 1210-იან წლებში კარნუ-ქალაქის მთავრობამ აღძრა შუამდგომლობა საქართველოს წინაშე, რათა მათთვის მიენიჭებინათ სტატუსი პროტექტორატისა, ე. ი. პირველი ჯგუფის ქვეყნებისა, მოკავშირე ქვეყნისა. საქართველოს სახელმწიფომ დააკმაყოფილა თხოვნა, და როგორც აღნიშნულია XIII საუკუნის დასაწყისის ქართულ მატრიანეში, საქართველოს სახელმწიფომ „შემოიხვეწა კარნუ-ქალაქელი მოყვრად და ერთგულად“. კარნუ-ქალაქს მოხსნეს ხარკი; ხოლო დაავალეს კარნუ-ქალაქს საჭიროების დროს გამოეყვანა ჯარი, რომელიც ამიერიდან საქართველოს ლაშქარის ნაწილად ითვლებოდა. ამასთან, რამდენადაც კარნუ-ქალაქის საამიროს მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანული (სომხური) იყო, საამიროს დროშაზე, მუსულმანური მთვარის გვერდით, გამოსახულ იქნა ქრისტიანული ჯვარი.

•

საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფერო კავკასიის გარეთ, ჩრდილო ირანში.

საქართველოს სახელმწიფოსთან დაკავშირებული ქვეყნების მესამე ჯგუფს შეადგენდა საქართველოს გავლენის სფერო ჩრდილო ირანში (შიდა ადარბადაგანში). XIII საუკუნის დასაწყისში, 1208/9 წელს, ჩრდილო ირანის არდაველის სულტნის საქართველოს საზღვრებში შემოჭრისა და ანისის აოხრების საპასუხოდ, 1210 წელს საქართველოს ჯარმა ილაშქრა ირანში ვიდრე ხვარასნამდე და გურგანის ქვეყნამდე. ამ ლაშქრობის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში შევიდა ჩრდილო ირანის (შიდა ადარბადაგანის) სასულტნოები: არდაველისა, მარანდისა, თავრეისა და მიანესი, რომელნიც ამ დროიდან საქართველოს „მოხარაჯე“ (მოხარკე) ქვეყნები გახდნენ. სამხრეთ საზღვარი საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში მოქცეული ამ სასულტნოებისა გასდევდა: სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე ქალაქ მარალის მხარის ჩრდილო მიჯნას; ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე — ირანის ერაცის ჩრდილო მიჯნას.

—

ასეთი იყო პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოს სახელმწიფოსი, რომლის გარშემო XII—XIII საუკუნეებში გაერთიანდა კავკასია, და როდესაც, როგორც აღნიშნავს ამ ეპოქის ისტორიკოსი, კავკასიის ხალხებმა საქართველოს მიერ მიიღეს „თავისუფლებითი ცხოვრება და მტერთაგან უზრუნველობა“.

ჩვენ ამით ვასრულებთ საქართველოს ისტორიული წარსულის ამ ზოგად მიმოხილვას.

საქართველო XII — XIII საუკუნეთა, როდესაც დაიწერა ვეფხისტყაოსანი. წარმოადგენდა ევროპის ცივილიზაციის დიდ სახელმწიფოს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მსოფლიოთა მიჯნაზე.



კარი მიორა
ქართული ლიტერატურის განვითარების ჰეზი
და
რუსთაველი

XVIII საუკუნის ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი შოთა რუსთაველის პოემას აღარებს ცოცხალ ხეს, რომლის რტოები მუდმივად გამოსცემენ ნაყოფს, ხოლო ფესვები ღრმად არის გადგმული მიწაში.

რუსთაველის პოემა მართლაც არის ასეთი მუდმივად ნაყოფის მომცემი ცოცხალი ხე ქართული პოეზიისა, რომლის ფესვები ღრმად არის გადგმული ქართულს მიწაში. რუსთაველის პოემა თავისი ძირებით ორგანულად დაკავშირებულია საქართველოს ძველ კულტურასთან, იგი არის ნაყოფი ძველი ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი განვითარებისა, უმაღლესი გამოვლინება ამ კულტურისა.

რუსთაველის ფენომენი შეუძლებელია გაგებულ იქმნას ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირების გარეშე, ძველი ქართული კულტურის რთული სპეციფიკისა და ლიტერატურული გარემოს გაუთვალისწინებლად.

ამის გამო, ვიდრე შევხებოდეთ შოთა რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებას, ჩვენ აქ მოგვიხდება გავაშუქოთ მაკისტრალური ხაზები ძველი ქართული ლიტერატურის განვითარებისა, და ვუჩვენოთ ის პირობები, რომელთაც მოამზადეს რუსთაველის უკვდავი ქმნილების წარმოშობა.



ლიტერატურა ქართულს ენაზე შესაძლოა შესწავლილ იქმნეს, ჩვენი ცოდნის თანამედროვე მდგომარეობაში, 15 საუკუნის მანძილზე. უძველესი ძეგლები ქართული ლიტერატურისა, რომლებიც ვერაწერობით ცნობილია, ეკუთვნის IV—V საუკუნეებს ჩვენი წელთაღრიცხვისა.

მაგრამ დასაწყისი მწერლობისა ქართულს ენაზე, როგორც ეს შესაძლოა დადგენილ იქმნეს მთელ რიგ მონაცემთა მიხედვით, ბევრად უფრო აღრინდელს ხანას ეკუთვნის, ვიდრე IV საუკუნე.

ქართული მწერლობის დიდი სიძველის მაჩვენებელია უწინარეს ყოვლისა თვით ქართული ანბანი, რომელიც თავისი ტიპით წარმოადგენს ფინიკურ-ბერძნული ოჯახის ალფაბეტების აღრინდელ სახეობას. ქართული ანბანი არის განშტოება ბერძნულისა, მაგრამ არა კლასიკური ბერძნულისა, არამედ არქაული ბერძნულისა. რომ ქართული ანბანი მომდინარეობს არქაული ბერძნული ალფაბეტიდან, ამას ცხად ჰყოფს ქართული და არქაული ბერძნულის შედარებითი პალეოგრაფიული ანალიზი (ქართულ ანბანში შერჩენილია არქაული ბერძნულიდან ასოთა მოხაზულობის თავისებურებანი, შერჩენილია აგრეთვე ასოთა რიგი, შერჩენილია გარკვეულ ადგილებში ის ასოები, რომლებიც გვიან ხანაში გამოაკლდა ბერძნულ ალფაბეტს; ამას გარდა ქართულ ალფაბეტში თავდაპირველად მიღებული ყოფილა არქაული ბერძნულისათვის დამახასიათებელი „ბუსტროფედონული“ წერა).

აღნიშნულის მიხედვით ქართული ანბანის წარმოშობა არ შეიძლება მიეკუთვნოს უფრო გვიან დროს, ვიდრე VII—VI საუკუნეები ძველი წელთაღრიცხვისა.

ქართული მწერლობის ძველი ტრადიციების შესახებ დაცულია ცნობები ისტორიო წყაროებშიაც.

ძველ-ქართულ მატრიანებში აღნიშნულია, რომ საქართველოს მეფემ ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ფარნავაზის მეფობა ეკუთვნის ელინისტურ ეპოქას, ალექსანდრე მკვედონელის შემკვიდრების — დიადოხების ხანას, III საუკუნეს ძველი წელთაღრიცხვისა.

ფარნავაზის დროს, ჩანს, ჩატარდა რეფორმა ქართული ანბანისა, დართვა ანბანის ბოლოში ცალკე სავანგებო ნიშნებისა სპეციფიური ქართული ბგერებისათვის (რაც არქაულ პერიოდში, ჩანს, ნიშანთა შეერთებული დაწერილობით გადმოიცემოდა).

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ამავე დროს მომხდარა აგრეთვე რეფორმა კალენდარისა, შემოღებულ იქმნა ადგილობრივი ნაციონალური ქართული წელთაღრიცხვა, რომლის დასაბამად მიღებულია 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა. ეს თარიღი, 284 წელი, საიდანაც იწყება ქართული წელთაღრიცხვა, ეგრეთწოდებული „ქართული ერა“, არის თარიღი საქართველოს (იბერიის) დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებისა საქართველოში.

ამრიგად, ცნობა, რომ ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართული“, ქრონოლოგიურად ემთხვევა ამ ხანას, კალენდარის რეფორმას, ქართული ადგილობრივი წელთაღრიცხვის შემოღებას 284 წელს.

ქართული მწერლობის სიძველის მაჩვენებელია აგრეთვე ერთი ცნობა, რომელიც დაუცავს ანტიკური ხანის ბერძენ ავტორს ხარაქს პერგამელს (II საუკუნე წელთაღრიცხვისა). ხარაქსის ამ ცნობის თანახმად „ქრისთგრაფია“, ხელოვნება ოქროს ასოებით წერისა ტყავზე, კოლხეთიდან გავრცელებულა საბერძნეთში.

ასეთია ეს მნიშვნელოვანი ცნობები, რომლებიც დაცულია ქართული მწერლობის არქაული ხანის შესახებ, როგორც ქართულს, ისე ბერძნულს წყაროებში.

დაღუპვა ქართული მწერლობის ადრინდელი ხანის ძეგლებისა, რომლებიც IV საუკუნეზე უწინარეს დროს ეკუთვნოდნენ, გამოწვეული იყო ქრისტიანობის გავრცელებით საქართველოში, რაც IV საუკუნის დასაწყისში მოხდა. მებრძოლი ქრისტიანული ეკლესია სდევნიდა ეგრეთწოდებული „წარმატული“ ხანის ლიტერატურულ შემკვიდრებას, და ამის შედეგად წინა-ქრისტიანული მწერლობის ძეგლები ზოგი მოსობილ იქმნა, ზოგიც თანდათანობით დაიწყებდას მიეცა და ამ გზით დაიღუპა. აქ ჩვენ გვაქვს ანალოგია ისლამის წინააღობინდელ ირანის ლიტერატურის ისტორიასთან, როდესაც, მუსულმანობის გაბატონების შედეგად, თანდათანობით მოისპო უმდიდრესი, ისლამის წინააღობინდელი ირანული (ფაშაური) ლიტერატურა.

მაინც წინა-ქრისტიანული ქართული მწერლობის გავლენა, ბუნებრივია, უკალოდ ვერ გაქრებოდა, და ეს გავლენა მოსჩანს კიდევ მომდევნო ხანის ქართულს ლიტერატურაში. ახალმა ქართულმა ლიტერატურამ, რომელიც IV საუკუნეში ქრისტიანობის საფუძველზე წარმოიშვა, შეითვისა ძველი „წარმატული“ მწერლობიდან როგორც ანბანი, ისე, ჩანს, ზოგიერთი ლიტერატურული ტრადიციებიც (კერძოდ, ტრადიციები საერო მხატვრული მწერლობისა). შეითვისა ამ ახალმა ლიტერატურამ ძველი ლიტერატურიდან სავსებით დამუშავებული, უაღრესად მდიდარი სალიტერატურო ენა. უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი ქრისტიანული მწერლობის უძველეს ტექსტებში უკვე მოცემულია ქართული სალიტერატურო ენის კლასიკური ნიმუშები, და ისეთი ძეგლები, როგორიცაა მაგალითად იაკობ ცურტაველის ჰაგიოგრაფიულ-ისტორიული თხზულება, რომელიც ზუს-

ტად V საუკუნით თარიღდება, ეკუთვნის ძველი ქართული პროზის უბრწყინველეს ნაწარმოებთა რიცხვს.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ წინა-ქრისტიანული პერიოდის მწერლობიდან, როგორც ირკვევა, მომდინარეობს ანტიკური ხანის საქართველოს (იბერიის) მეფეთა სია ეჭვსი საუკუნის მანძილზე, დაწყებული IV საუკუნის დასასრულიდან ძველი წელთაღრიცხვისა და მოყვანილი IV საუკუნის დასაწყისამდე ჩვენი წელთაღრიცხვისა და რომელიც წარმოდგენილია ქრისტიანობის ხანის ძველ-ქართულ საისტორიო თხზულებებში. ამ სიის ყოველმხრივი ანალიზი, მისი შეფარდება ბერძნულ, რომაულ და ძველ-ირანულ წყაროების ჩვენებებთან, ადასტურებს, რომ ეს სია ავთენტურია. ამჟამად იგი ამოღებულია წარმართობის ხანის ძველ-ქართული საისტორიო თხზულებებიდან.

ქართული ლიტერატურის განვითარების გზები, დაწყებული IV—V საუკუნეებიდან — ვიდრე რუსთაველის ეპოქამდე, ე. ი. XII—XIII საუკუნეებამდე, წარმოგვიდგენს თავისებურებებს, რომლებიც გამოარჩევს ქართულს ლიტერატურას საშუალ-საუკუნეების აღმოსავლეთ-ევროპის ქრისტიანულ ლიტერატურათა ციკლიდან. პირველი და ძირითადი თავისებურება ის არის, რომ საქართველოში ბრწყინვალე განვითარება მიიღო წმინდა საერო მხატვრულმა მწერლობამ. როგორც ცნობილია, საქართველოს უახლოეს მეზობლებს, ბიზანტიის წრისა და წინა-აზიის ქრისტიანული მსოფლიოს ხალხებს, ბიზანტიელებს, სირიელებსა და სხვებს, არ მოეპოვებოდათ საშუალ-საუკუნეთა განმავლობაში საერო სიტყუაკაშმული ლიტერატურა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რომლის შედარებაც შეიძლებოდას ქართულთან. ქართული მწერლობა ამ მხრით წარმოადგენს ყველაზე შესანიშნავსა და ყველაზე მნიშვნელოვანს მოვლენას საშუალ-საუკუნეების ქრისტიანულ ლიტერატურათა შორის.

სურათის სისრულისათვის საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქართული მწერლობა საშუალ-საუკუნეებისა, ცხადია, არ განისაზღვრებოდა საერო მხატვრული ლიტერატურის დარგით. ქართულ მწერლობაში მდიდრად იყო წარმოდგენილი ყველა დანარჩენი დარგები, რომლებსაც კი ვხვდებით საშუალ-საუკუნეთა სხვა ქრისტიანულ ლიტერატურებში; ასეთებია: ჰიმნოგრაფია (სასულიერო პოეზია); პაგიოგრაფია (თავისებური ეპიკური სასულიერო მხატვრული მწერლობისა); თეოლოგიური ლიტერატურა; ცალკეა აღსანიშნავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარგი ძველი ქართული მწერლობისა — ისტორიოგრაფია, არა მხოლოდ სასულიერო, არამედ, პირველ რიგში, საერო, რომელმაც დაგვიტოვა უძვირფასესი მემკვიდრეობა, მთელი რიგი პირველხარისხოვანი ძეგლები; შემდეგ — საფილოსოფო ლიტერატურა (უმთავრესად ნეოპლატონიკოსები), აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურის დარგები (მედიცინა და ბუნების-მეტყველება და სხვ.).

ქვემოთ, ძველი ქართული ლიტერატურის განვითარების მიმოხილვის დროს, ჩვენ მხედველობაში გვექნება პირველ რიგში საერო მხატვრული მწერლობა, და ძველი ქართული მწერლობის დანარჩენ დარგებს მხოლოდ მოკლედ შევხებით.

ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში, ვიდრე რუსთაველის ეპოქამდე, სამი პერიოდი განირჩევა, რომლებიც შემდეგს ქრონოლოგიურ რკალებს მოიცავს:

პირველი პერიოდი — IV საუკუნიდან ვიდრე VII საუკუნის ბოლომდე;

მეორე პერიოდი — VIII საუკუნიდან — XI საუკუნის მეორე ნახევრამდე;

მესამე პერიოდი — საკუთრივ რუსთაველის ეპოქა — შეიცავს ხახას/XI საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII საუკუნის შუა წლებამდე.

ერეკნულნი
ნიკოლოსიანი

პირველი — არქაული პერიოდი ქართული ლიტერატურისა, როგორც მოვიხსენიეთ, ეგრეთ-წოდებულ „წარმართულ“ ხანამდე აღწევს და გრძელდება IV—VII საუკუნეთა მანძილზე.

ქართული ლიტერატურის ამ პირველ არქაულ პერიოდს კერძოდ ის ახასიათებს, რომ ქრისტიანული იდეოლოგია ამ დროს არ არის მთლიანად გაბატონებული. ქრისტიანობის გვერდით ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას ძველი ქართული წარმართობა, მანძიანიობა. გავრცელება ჰქონია აგრეთვე მანიქეიზმის თავისებურ ქართულ სახეობას, რომელიც ქრისტიანიზმისა და მანიქეიზმის რელიგიურ-ფილოსოფიური იდეების დაახლოების ცდას წარმოადგენდა. ამას გარდა, თვით ქრისტიანული ეკლესია არ წარმოადგენდა ამ დროის მონოლითურ მთლიანობას, აქ ცალკეულ პერიოდებში ადგილი ჰქონდა განხეთქილებას, იგი იყოფოდა სექტებად და ფრაქციებად.

გასაგები ხდება ზემოთ-აღნიშნულის შემდეგ, რომ ქრისტიანულ ეკლესიას ასეთ პირობებში არ შეიძლებოდა ჰქონოდა, და არცა ჰქონია შეუზღუდველი ბატონობა იდეოლოგიის სფეროში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქართული განათლება ამ ეპოქის დასაწყისში უპირატესად დასავლურია, ელინისტური.

ამის დამადასტურებელია კერძოდ ის ფაქტი, რომ III—IV საუკუნეთა საზღვარზე კოლხეთში არსებობდა რიტორიკული სკოლა, რომელიც დიდი სახელით სარგებლობდა თვით საბერძნეთში.

ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი და ორატორი IV საუკუნისა თემისტოქოსი (317—390) ვაღმოგვეცემს, რომ მან განათლება კოლხეთის ამ რიტორიკულ სკოლაში მიიღო. თემისტოქოსი წერს: „რიტორიკის ნაყოფნი მოვსწყვიტე ფიზიკის (რიონის) მახლობლად, სადაც არგომ (არგონავტებმა) დაისადგურა (კოლხეთში)“. თემისტოქოსი მოგვითხრობს, რომ კოლხეთის ეს სკოლა „ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზეუმის ტაძრად...“, რომელიც ასწავლიდა — თუ როგორ გაიწრთენა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდენ ელინთა საზეიმო დღეობებზე“.

გარდა იმისა, რომ თემისტოქოსს კოლხეთის ამ რიტორიკულ სკოლაში უსწავლია, ამ სკოლაშივე მიუღია განათლება თემისტოქოსის მამას, ევგენიოს ფილოსოფოსს. თემისტოქოსი წერს, რომ მისმა მამამ ევგენიოსმა „თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ (კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში) შეიძინა“ (ევგენიოსი, როგორც ცნობილია, შემდეგ ფილოსოფიის მასწავლებლად იყო კონსტანტინეპოლში).

ქართულ-ბერძნული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან IV საუკუნეში აქ საჭიროა მოვიგონოთ აგრეთვე სიახლოვე ელინურ ფილოსოფიურ წრეებთან ბაკურიასა, ქართველი უფლისწულისა, საქართველოს მეფეთა შთამომავლისა, რომელიც IV საუკუნის ბოლო მეოთხედში გადასახლებულა ბიზანტიაში. აქ ბაკური მიუღიათ საიმპერატორო კარზე და იგი დაუნიშნავთ იმპერიის სეფე-ჭარის უფროსად და პალესტინის მონაპირე მთავრად. IV საუკუნის ბერძენი მწერალი გელასი კესარიელი ბაკურს ასე მოიხსენებს: „მეფის შთამომავალი, იბერთა შორის სახელოვანი“.

ბიზანტიაში ყოფნის დროს ბაკურს ჩვენ ვხედავთ ნეოპლატონიკოსთა ფილოსოფიურ წრეში. ბაკური ვასცნობია იმპერატორ იულიანე განდგომილის მას-

წავლემელსა და მეგობარს, გამოჩენილ ფილოსოფოსსა და რიტორს ლიბანიუსს.

ბაკურს, ლიბანიუსთან დამეგობრების შემდეგ, 391 წელს გაუგზავნა ლიბანიუსისათვის ეპისტოლე ფილოსოფიური შინაარსისა. ეს ეპისტოლე საჩვენებელია იმისა, რომ ბაკურსი იყო ანტიპატრიარქული განწყობის მქონე. მან იხსენიებს, რომ ბაკურსის ეპისტოლის საგანი ყოფილა ის ფილოსოფიური საკითხები, რომლებიც აღელვებდა ნეოპლატონიკოსთა წრეებს, რომ ეს ეპისტოლე დიდი ნიჭით და უნაკლო ფორმით, მაღალი რიტორიკული ხელოვნებით ყოფილა დაწერილი.



უდიდესი მოვლენა ქართულ-ბერძნული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან საშუალო საუკუნეებში არის მოღვაწეობა გამოჩენილი მოაზროვნის პეტრე იბერიელისა.

პეტრე იბერიელი (412—488) იყო ძე საქართველოს (იბერიის) მეფის ბაკურისა, რომელიც წყაროებში დიდი ბაკურის სახელით არის ცნობილი.

ბაკურ მეფე, რომის იმპერიასთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, 424 წელს იძულებული იყო წარეგზავნა თავისი შვილი მძევლად კონსტანტინეპოლს თეოდოსი იმპერატორის კარზე. პეტრეს კონსტანტინეპოლში თან გაჰყვა ქართველთა წევრი, მათ შორის იოანე ლაზი, მასწავლებელი პეტრესი, დიდად განათლებული ადამიანი, რომელსაც, როგორც ფიქრობენ მკვლევარნი, განათლება ჰქონდა მიღებული კოლხეთის ცნობილ ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაში; პეტრეს თან გაჰყვა აგრეთვე ზაქარია ქართველი, პეტრესთან თანშეზრდილი, რომელმაც შემდეგ დასწერა პეტრე იბერიელის ბიოგრაფია. პეტრესთან, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, განუყრელად არიან ეს ორი პირი, მასწავლებელი პეტრესი იოანე ლაზი (რომელიც გარდაიცვალა 465 წელს) და ზაქარია ქართველი.

პეტრე განსაკუთრებული პატივით იყო მიღებული თეოდოსი იმპერატორის კარზე. კონსტანტინეპოლში ჩასვლის შემდეგ პეტრემ განაგრძო სწავლა და საფუძვლიანი განათლება მიიღო. პეტრემ „ისწავლა ენა ბერძნული და ასურებრივი და ფილოსოფოსობა სრული“, — როგორც აღნიშნულია ზაქარია ქართველის მიერ დაწერილ პეტრეს ბიოგრაფიაში.

უფრო გვიან პეტრე გაემგზავრა კონსტანტინეპოლიდან პალესტინაში და შედგა ბერად. პალესტინაში პეტრეს აირჩევენ მაიუმის (ლაზის) ეპისკოპოსად.

პეტრე იბერიელის უშუალო მოღვაწეობის ასპარეზი იყო პალესტინა, მაგრამ პეტრეს თავის სამშობლო იბერიასთან უახლოესი კავშირი ჰქონდა. ზაქარია ქართველის ბიოგრაფიის ცნობით პეტრემ—„აღაშენა სახლი სასტუმრო ქალაქსა შინა (იერუსალიმსა) და განუსვენებდა მომავალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთა“.

საქართველო IV—V საუკუნეებში ახლო ურთიერთობით იყო დაკავშირებული პალესტინასთან. V საუკუნის დასაწყისში პეტრე იბერიელის მამის ბაკურის მიერ იერუსალიმის მეზობლად აგებულ იქნა მონასტერი, რომელსაც დაუცავს უძველესი ქართული წარწერები, მათ შორის V საუკუნის დასაწყისისა.

თვით პეტრემ პალესტინაში (აგრეთვე ეგვიპტეშიაც) რამდენიმე მონასტერი დააარსა. მათ შორის მთავარი იყო იერუსალიმში აგებული მონასტერი ქართველ მოღვაწეთათვის, რომელსაც ეწოდებოდა ქართველთა ანუ იბერთა მონასტერი.

ქართველთა ეს სავანე, პალესტინის მეორე ცნობილ პუნქტთან, საბაწმინდის სავანესთან ერთად, გადაიქცა ქართული განათლებისა და მწიგნობრობის

მნიშვნელოვან ცენტრად, აქ ფართოდ გაიშალა ქართული სალიტერატურო მოღვაწეობა აღრეულ საშუალო საუკუნეებში.

იმ წყაროებიდან, რომლებიც დღემდე ცნობილი იყო (პეტრე იბერიელის ბიოგრაფიები, რომლებიც V—VI საუკუნეთა საზღვარზე დაიწერა, — იოანე რუფუსისა და ზაქარია ქართველისა; „პერიფორიები“ იმავე იოანე რუფუსისა; „საეკლესიო ისტორია“ ზაქარია რიტორისა; „საისტორიო ისტორია“ ევაგრე სქოლასტიკოსისა და სხვ.) ჩვენ ვიცოდით, რომ პეტრე იბერიელი და იოანე ლაზი იყვნენ დიდად საინო წარმომადგენლები თეოლოგიური აზროვნებისა რომის (ბიზანტიის) იმპერიაში V საუკუნეში. პეტრე იბერიელი ითვლებოდა მონოფიზიტური მოძღვრების ცნობილ ლიდერად და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. მას დიდი პატივით ეპყრობოდნენ თვით მოწინააღმდეგენი.

ხოლო ამ ბოლო დროს, იმ გამოკვლევათა შედეგად, რომლებიც გამოაქვეყნეს ქართველმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ (1942 წ.) და ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ჰონიგმანმა (1952 წ.) დადგენილია, რომ პეტრე იბერიელი არის ავტორი იერეთ-წოდებული არეოპაგიტული კრებულისა, ფილოსოფიური ტრაქტატებისა, რომლებიც V საუკუნის მეორე ნახევარში იყო გამოქვეყნებული დიონისე არეოპაგელის სახელის წარწერით.

არეოპაგიტული კრებული ერთ-ერთი უდიდესი ძეგლია საშუალო-საუკუნეთა ფილოსოფიური აზროვნებისა. არეოპაგიტული ფილოსოფია წარმოადგენს ქრისტიანობის შეფარდებას ნეოპლატონიზმის ფილოსოფიურ იდეებთან.

არეოპაგიტული კრებული პეტრე იბერიელს გამოუქვეყნებია ბერძნულად; უძვეელია იგი პარალელურად გამოქვეყნებული იყო ქართულად ან თვით პეტრეს მიერ, ან მის მოწაფეთა მიერ, რომლებიც მოღვაწეობდნენ პეტრეს დაარსებულ იერუსალიმის ქართულ სავანეში (იბერთა მონასტერში) და საბაწმინდაში, რომლებიც ქართული განათლებისა და მწიგნობრობის დიდ ცენტრებს წარმოადგენდნენ პალესტინაში V საუკუნიდან მოცილებული.

არეოპაგიტული კრებულის ქართული ტექსტი V საუკუნისა ჩვენს დრომდე არ გადაჩენილა. ჩვენ დრომდე მოღწეულა არეოპაგიტული კრებულის მეორე ძველ-ქართული თარგმანი XI საუკუნისა, შესრულებული დიდი ქართველი მწერლისა და ფილოლოგის, ქართული ჰუმანიზმის მოღვაწის ეფრემ მცირის მიერ. XI საუკუნის ამ ძველ-ქართულ ტექსტს დართული აქვს კომენტარები მაქსიმე აღმსარებლისა და ეფრემ მცირისა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ პეტრე იბერიელის დიონისე არეოპაგელის სახელით წარწერილ ფილოსოფიურ ტექსტებს კარგად იცნობს შოთა რუსთაველი. შოთა თავის პოემაში სახელდებით მოიხსენიებს ორ ფილოსოფოსს: პლატონს და დიონისეს, რომელსაც შოთა ასე უწოდებს: „ბრძენი დიენოს“. შოთას პოემაში ჩვენ გვაქვს გამოხმაურება არეოპაგიტული ფილოსოფიის იდეებისა.

ჩვენ აქამდე ვეხებოდით ქართულ-დასავლური ურთიერთობის საკითხებს. ამასთან ერთად აქ აღვნიშნავთ აგრეთვე ფაქტს ქართულ-აღმოსავლურ ურთიერთობათა ისტორიიდან.

ჩვენ უკვე მოვიხსენეთ, რომ საქართველოში ამ ეპოქაში გავრცელება ჰქონდა მანიქეიზმის ქართულ სახეობას, რომელიც წარმოადგენდა ქრისტიანობისა და მანის რელიგიურ-ფილოსოფიური იდეების გაერთიანებას. ეს მოძღვრება განსაკუთრებით ფართოდ ყოფილა გავრცელებული V საუკუნეში. იყო პერიოდები V საუკუნის მანძილზე, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი რელი-

გიური ორგანიზაციის — ქრისტიანული ეკლესიის — სათავეში იდგნენ ქრისტიანულ-მანიქეური სინკრეტული მოძღვრების მიმდევარნი.

ქართული მანიქეიზმის ამ თავისებურ სახეობას თავისი წარმომადგენლები ქართულ მწერლობაშიაც ჰყოლიათ. ამათ რიცხვს ეკუთვნოდა მოზიდანო, რომელიც ქართული ეკლესიის მეთაური (მთავარ-ეპისკოპოსი) იყო V საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში. ვახტანგ გორგასარის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მოზიდანი „წერდა წიგნებსა ყოველისა საცთურებისასა“, რომლებიც ორთოდოქსალური ქრისტიანული მოძღვრების თვალსაზრისით მიუღებლად ითვლებოდნენ.

V საუკუნის ნახევარში, როდესაც ორთოდოქსალურმა ქრისტიანობამ მოიკა ძალა და ქართული ეკლესიის სათავეში ჩადგა მებრძოლი ქრისტიანობის წარმომადგენელი მიქაელი, მოზიდანის ნაწერებს ეკლესიამ აუტო-და-ფე გაუშარათა.

ვახტანგ გორგასარის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მოზიდანის თხზულებანი ცეცხლს მისცეს, „დაწვა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ“.

ჩვენ აქ არ ვეხებით IV—VII საუკუნეთა ქართული მწერლობის სხვადასხვა დარგებს, როგორცაა:

I. ისტორიოგრაფია (მთავარი ძეგლია „მოქცევა ქართლისა“, რომელშიაც დაცულია მეტად მნიშვნელოვანი ექსცერპტები წინაქრისტიანული ანტიკური ხანის საისტორიო თხზულებებიდან);

II. ჰაგიოგრაფიულ-ისტორიული ლიტერატურა (ამ დარგიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლებია: მარტვილობა შუშანიკისი — იაკობ ცურტაველისა, მარტვილობა ცხრათა კოლაელთა, მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა);

III. პოლიტიკური ლიტერატურა (ეპისტოლენი კირიონ I ქართლისა კათალიკოსისა);

IV. ორიგინალური ქართული თეოლოგიური ლიტერატურა (ამ დარგიდან აღსანიშნავია ორი სიტყვა „ნათელთათვის“, წარწერილი ნინოს სახელით);

V. ჰიმნოგრაფიული პოეზია — (ქრისტიანული ჰიმნები), რომელიც უაღრესად მდიდარ დარგს წარმოადგენს.

აქ ჩვენ მოკლედ შეეჩერდებით საერო მხატვრულ მწერლობაზე.

ამ ეპოქის ქართული საერო მხატვრული მწერლობის ფართო დიაპაზონი შესაძლოა წარმოვიდგინოთ იმის მიხედვით, რომ VII საუკუნეში ქართულს ენაზე არსებულა თარგმანი ისეთი კაპიტალური ძეგლისა, როგორც იყო ირანული ეპოსის განთქმული კრებული „ხვატაჰ-ნამაკი“ ანუ „უფალთა წიგნი“ (ეპიური ციკლი ფერიდუნეიდან — ბაჰმანამდე). ეს კრებული „უფალთა წიგნი“, როგორც ცნობილია, არის პროტოტიპი ფირდოუსის „შაჰ-ნამესი“.

აღსანიშნავია, რომ „უფალთა წიგნის“ ქართული ვერსია, როგორც ირკვევა, შეიცავდა არა მხოლოდ პროზაულ მოთხრობას, როგორც ეს ფაქტურ დედანში იყო, არამედ იგი ნაწილობრივ ლექსადაც ყოფილა დამუშავებული. „უფალთა წიგნი“-ს ჩვენ დრომდე მოღწეულ ექსცერპტებში, რომელიც დაუცავს ძველ-ქართველ ავტორს ლეონტი მროველს, შერჩენილია ტექსტი, დაწერილი რითმიანი ლექსით „დაბალი შაირის“ მეტრით. აქ, VII საუკუნის ამ ნაწ-



ყვეტში უკვე მოცემულია უმეტესაქლებოდ იგივე სალექსო ფორმა დაბალი შაირისა, რაც ბევრად უფრო გვიან XII—XIII საუკუნეთა საზღვარსკვლავეკში გამოჩენა შოთა რუსთაველმა¹.

რომ ამ პერიოდში ქართული ლექსი, მისი კლასიკური სახით, უკვე დამკვიდრებული ყოფილა ქართულ მწერლობაში, ამას ადასტურებს აგრეთვე ჩვენ დრომდე მოღწეული „პროკოპის მარტვილობის“ ქართული ტექსტი. ეს ძეგლი ეკუთვნის ხანას არა უგვიანეს VI—VII საუკუნეთა (თარიღი ირკვევა იმის მიხედვით, რომ ძეგლში ჯერ კიდევ წარმართული ქართული საკალენდარო ტერმინოლოგია არის მიღებული). და აი ამ ძეგლში ჩვენ გვხვდება ციტატი ჰო მ ი რ ო ს ი დ ა ნ, ლექსად, ოც-მარცვლიდი ძველ-ქართული საზომით (ოთხ-მუხლი ხუთეულით).

ამავე პერიოდში, როგორც ეს დასტურდება მოსე ხორენელისა და გრიგოლ მაგისტროსის ცნობებით, ქართულად არსებულია ვერეთრაგნას ეპოსი. არა სჩანს მხოლოდ, წარმოადგენდა ვერეთრაგნას ეპოსი მხოლოდ ზეპირიტყვიერების ციკლს, თუ იგი წერილობითი სახითაც იყო აღბეჭდილი (ყოველ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ ვერეთრაგნის ეპოსის გამოძახილს ჩვენ ვპოულობთ ძველ-ქართულ წერილობით ძეგლში „ჰამბაევი ვახტანგ გორგასარისა“).

ამავე არქაულ პერიოდში ქართულს ენაზე არსებულია თარგმანი ანტიკური საისტორიო რომანისა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ, რომელიც კალისტენეს სახელით არის წარწერილი. ამ რომანს გავლენა მოუხდენია უძველეს ქართულ ისტორიოგრაფიაზე.

ამავე ეპოქაში ქართულად არსებულია ისტორიული რომანი იულიანე განდგომილისა და იობიანეს შესახებ, რომელიც იულიანეს რომანის სახელით არის ცნობილი. იულიანეს რომანი ბერძნულ ენაზე დაიწერა V საუკუნეში. VI საუკუნის პირველ ნახევარში იგი უთარგმნიათ სირიულად. ქართულ ენაზედაც იგი თარგმნილი ყოფილა ადრეულ საშუალო საუკუნეებში და დიდის პოპულარობით სარგებლობდა ძველ ქართულ ლიტერატურაში. ასე, ამ რომანით სარგებლობს ავტორი ვახტანგ გორგასარის ამბავისა (IX ს.) და თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილი (XIII ს.). რომანს პოპულარობა არ დაუქარგავს გვიან ხანამდე.

*

გადავდივართ ქართული ლიტერატურის განვითარების მეორე პერიოდზე, რომელიც გრძელდება VIII საუკუნიდან XI საუკუნის მეორე ნახევარამდე. ეს არის ფეოდალიზმის ხანა საქართველოში.

დიდ როლს თამაშობს ამ ეპოქაში საქართველოს ეკლესია. იგი მონოლითურ ერთეულს წარმოადგენს. სექტებად დანაწილება მოისპო და ერთმა ბიზანტინოფილურმა ფრთამ (ქალკედონიტები) შეუზღუდავი ბატონობა მოიპოვა.

წამყვანი როლი ქართული ლიტერატურის ამ მეორე პერიოდში ეკუთვნოდა საქრისტიანო-სასულიერო მწერლობას. ეს არის კლასიკური ხანა ძველი ქართულ სასულიერო მწერლობისა.

მაგრამ საერო მხატვრული მწერლობის ტრადიციები არ შეწყვეტილა

¹ მოგვიანს აქ, როგორც უძველესი ნიმუში ქართული ლექსისა, ციტატი „უფალთა წიგნიდან“, რომელიც ეხება ირანული ეპოსის გმირს აფრიდონს, და რომლის შესახებ ეპოსში ნათქვამია:

„რომელმან შექრა ჯაჭვითა ბევრასდ გუელთა უფალი,
დაბა მთასა რაჲს ზედა, რომელ არს კაცთ-შეუვლი“.

ამ ეპოქაში, იგი განაგრძობდა არსებობას პარალელურად სასულიერო მწერლობასთან.

ამ ეპოქის სალიტერატურო ძეგლებიდან ცალკეა აღსანიშნავი მხოლოდ ორი: ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა“ და უჯარმოელის „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“.

ეს ორი ძეგლი წარმოადგენს საისტორიო თხზულებებს, ეპიურ ხაზებში დამუშავებულს.

ორივე ძეგლს აშკარად ეტყობა გავლენა საგმირო რომანების ქანრისა; უცილობელი ხდება, რომ ამ დროს ქართულად უკვე იწერებოდა საგმირო-სა-რაინდო რომანები იმ ტიპისა, როგორც იყო, მაგალითად, შემდეგ-დროინდელი „ამირან-დარეჯანიანი“. მთელი რიგი ეპიზოდები ლეონტი მროველისა და უჯარმოელის ისტორიულ-ეპიურ მოთხრობებში დამუშავებულია ასეთი საგმირო-სარაინდო რომანების სპეციფიური სტილით.

საერო მწერლობა ამ პერიოდისა, როგორც ირკვევა, მდიდრდებოდა თარგმნილი ძეგლებითაც. ასე, ამ დროს უთარგმნიათ ქართულად განთქმული დიდაქტიური ეპოსი „ქილილა და დამანა“, რომლისაგან გადაარჩენილა მოკლე ექსცერპტი.

„ქილილა და დამანა“-ს რთული ლიტერატურული ისტორია ჰქონდა: მისი პროტოტიპი (ფანჩატანტრა) ინდოეთში ჩამოყალიბდა, აქედან VII საუკუნეში წარმოიშვა ფაჰლური რედაქცია, ხოლო უკანასკნელიდან მომდინარეობს არაბული ვერსია. უძველესი ქართული ვერსია თარგმნილი ყოფილა არაბულიდან, როგორც ამას ადასტურებს ქართულს ექსცერპტში დაცული ლექსიკური ნიშნები.

ქართულ-არაბულ აზლო ურთიერთობას საერო მხატვრული მწერლობის დარგში მოწმობს კერძოდ ტერმინები „მოშაპირე“ (პოეტი) და „შაპირი“ (ლექსი), რომელიც ამ დროს არაბულიდან შემოდის ქართულ მწერლობაში და საყოველთაო გავრცელებას ღებულობს.

მეორე პერიოდის მხატვრულ მწერლობაში ცალკეა აღსანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც წარმოგვიდგენენ სასულიერო და საერო პოეზიის ელემენტების შეერთებას.

ასეთია, კერძოდ, ჰაგიოგრაფიული პოემა „აბუჯურა“, რომელიც IX საუკუნეს ეკუთვნის. ამ პოემას საერო პოეზიასთან აკავშირებს, ჯერ ერთი, ფორმა (იგი შეიცავს გარითმულ ტექსტს). სიუჟეტის მხრივაც იგი წარმოადგენს სასულიერო და საერო პოეზიის ელემენტების შეთავსებას (აქ დამუშავებულია, სასულიერო ელფერის დაცვით, რომანული ეპიზოდი).

საერო მწერლობის ელემენტებს შეიცავს აგრეთვე X საუკუნის განთქმული ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელი“. ამ მრავალ-პლანიან ნაწარმოებში, რომელიც ეკუთვნის პირველი ათასწლეულის ქართულ ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებთა რიცხვს, ჩართულია ცალკე ნოველები რომანული შინაარსისა, რომლებიც გვისახავენ ქართული ფეოდალური საზოგადოების გარემოს. აღსანიშნავია ამასთან, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში ჩვენ გვაქვს ბუნების გრძნობა, აქ ჩვენ გვხვდება არტისტულად დახატული ქართული პეიზაჟი.

ამ ეპოქის შესანიშნავ ლიტერატურულ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის განთქმული ქართული მოთხრობა „სიბრძნე ბალაჰვარისა“, რომელსაც მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა საშუალ-საუკუნეთა მწერლობაში.

მოთხრობას „სიბრძნე ბალაჰვარისა“ საფუძვლად უდევს ჰინდური თქმუ-

ლება ბუდას შესახებ. გარდა იმ ინტერესისა, რომელსაც იწვევდა ბუდას თავდადასავალი, ნაწარმოები ხიბლავდა მკითხველებს შეუდარებელი შალაპოეტური იგავებით.

ამ მოთხრობას რთული და საინტერესო ლიტერატურული ისტორია ჰქონდა. თქმულება ბუდას შესახებ, რომელიც ქართული მოთხრობის პროტოტიპი გახდა, ჩანს, პირველად ჩაწერილი იყო ფაჰლაურ (სამუალო ირანულ) ენაზე VI—VII საუკუნეებში. ფაჰლაურიდან მომდინარეობს არაბული ვერსიები VIII საუკუნისა.

ამავე ეპოქაში (არა უადრეს VII საუკუნისა და არა უგვიანეს IX საუკუნისა) ქართველ მწერალს იოანე საბაწმიდელს გადაუმუშავებია ეს თქმულება ბუდას შესახებ, მოუხდენია მისი შინაარსის ქრისტიანიზაცია და ახალი სახე მიუცია მოთხრობისათვის.

ქართული მოთხრობა შემდეგ ცნობილი გახდა მთელს ქრისტიანულ მსოფლიოში.

ქართულ მოთხრობას მსოფლიო რეზონანსი შეუქმნა მეორე ქართველმა მწერალმა ეფთიმე მთაწმიდელმა (958—1028). ეფთიმე ერთ-ერთი უპოპულარესი ქართველი მწერალი იყო საშუალ-საუკუნეებში, რომელმაც უკვდავყო თავისი სახელი თარგმანებით ბერძნული ენიდან ქართულს ენაზე. სიტყვის დიდი ოსტატი, იგი თანაბარს ბრწყინვალეობით ჰფლობდა როგორც ქართულს, ისე ბერძნულს. ეფთიმემ მოახდინა ბუდას ლეგენდის ქართული ვერსიის ხელმოწერა და გამუშავება, გააფართოვა იგი, და გამოაქვეყნა ეს ახალი რედაქცია ქართული მოთხრობისა ბერძნულ ენაზე, სათაურით: „მოთხრობა ბარლამისა და იოსაფის შესახებ“.

ეფთიმეს რედაქცია XI საუკუნის შუა წლებში ბერძნულიდან ითარგმნა მეორე მსოფლიო ენაზე — ლათინურზე. ამის შემდეგ მოთხრობა — ეფთიმეს რედაქციით — ნამდვილს მსოფლიო რეზონანსს აღწევს, იგი ითარგმნება ბერძნულიდან და ლათინურიდან ევროპისა და წინა-აზიის ხალხთა ყველა ენებზე (ამასთან ზოგიერთ ენაზე იგი ითარგმნა რამდენიმეჯერ). საშუალ-საუკუნეთა მსოფლიოში იშვიათად თუ პრგებია რომელიმე წიგნს ისეთი პოპულარობა, როგორიც ამ ძველ-ქართულ მოთხრობას, დამუშავებულს ეფთიმე მთაწმიდელის მიერ.

აქ ჩვენ შევჩერდებით აგრეთვე ქართული მწერლობის ერთ ძეგლზე, რომელსაც ეწოდება „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, რომელიც X საუკუნეს ეკუთვნის.

ამ ნაწარმოებში მოცემულია მესიანისტური შეხედულება ქართული ენის მაღალი დანიშნულების შესახებ. მწერლის განცხადებით, ქართული ენა დიდი ენაა, „შემკული და კურთხეული“, რომელშიაც დამარხულია „უოველი საიდუმლო“, რომ ქართული ენა მარად-ყამ იარსებებს და თვით ხალხთა დიდი განკითხვა, რომელიც მოხდება მესიის მეორედ მოსვლის დროს, ქართულ ენაზედ შესრულდება.

ამავე დროს მწერალი ქართულ ენასა და ბერძნულ ენას ერთ სიმაღლეზე აყენებს, აღნიშნავს, რომ ეს ორი ენა მეგობრებია, რომ ამ ორ ენას მფარველობს ორი დედა, — ნინო ქართველთა განმანათლებელი და ელენე დედოფალი, განმანათლებელი ბერძენთა. მწერლის სიტყვით, ნინო და ელენე არიან მოყვარულნი დანი, ისევე როგორც სახარებაში მოხსენებულნი დანი მარიამ და მართა.



ასეთია შინაარსი X საუკუნის ამ ძეგლისა, რომელიც შთაგონებულია დედა-ენის დიდი სიყვარულით და ქართველ-ბერძენთა მეგობრობის ურთიერთობით. ჩვენ აქ არ ვეხებით ამ ეპოქის, VIII—XI საუკუნეთა უაღრესად მდიდარ და დიდი მასშტაბების მქონე ქართულ სასულიერო ლიტერატურას, სადაც წარმოდგენილია ყველა ის დარგები, რაც ბიზანტიურ სასულიერო მწერლობაში არსებობდა.

აქ მოკლედ შევჩერდებით ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაზე. ჰიმნოგრაფიული პოეზია სპეციფიური ჯარგია საშუალო საუკუნეთა პოეზიისა, როგორც შინაარსით, ისე ფორმით. ჰიმნები ეს პოეტური სავალობლებია ქრისტიანული ელფერიით, მისი თემატიკა მომდინარეობს ქრისტიანობის ისტორიისა და რელიგიური მოძღვრების რკალიდან; ხოლო ამასთან ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში გვაქვს ფილოსოფიური ლირიკის დიდი ნაკადი.

აქ საქირთა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ჰიმნოგრაფიული პოეზია ორგანულად დაკავშირებულია მუსიკასთან, ჰიმნები იგალობებოდა.

ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზია იწყება IV საუკუნიდან, ქრისტიანობის დამკვიდრებიდან საქართველოში.

ხოლო ახალი ეპოქა ქართულ ჰიმნოგრაფიაში შეჰქმნა VIII—IX საუკუნეთა მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა (758—860). გრიგოლ ხანძთელმა იგივე როლი შეასრულა ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, რაც იოანე დამასკელმა ბერძნულში. როგორც იოანე დამასკელი, ასევე გრიგოლ ხანძთელი არის ერთდროულად შესანიშნავი პოეტი და ამავე დროს დიდი მუსიკოსი—კომპოზიტორი. გრიგოლ ხანძთელს ეკუთვნის პოეტური ჰიმნების კრებული „დიდი იადგარო“, რომლის პოეზიას დიდად აფასებდნენ საშუალო საუკუნეებში, ხოლო მისი მუსიკა საფუძვლად დაედო მომდევნო პერიოდის ქართულ საეკლესიო გალობას.

მეორე დიდი ფიგურა ამ ეპოქის ქართულ ჰიმნოგრაფიული პოეზიისა არის მიქაელ მოდრეკილი, მრავალმხრივ შესანიშნავი პოეტი და ამავე დროს მუსიკოსი—კომპოზიტორი.

მიქაელ მოდრეკილს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ჰიმნოგრაფიის ისტორიაში, კერძოდ იმ მხრივ, რომ მან დიდი შრომა გასწია ქართული ჰიმნოგრაფიული შემკვიდრების შეგროვებისათვის, მან შეაგროვა როგორც ჰიმნების პოეტური ტექსტები, ისე მათი მუსიკა. ჩვენ დრომდე მოღწეულა მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი და მისივე რედაქტორობით გადაწერილი კრებული ქართული ჰიმნოგრაფიისა (გადაწერილია იგი 978—988 წლებში). პოეტური ტექსტები მიქაელის კრებულში განწყობილია პარალელური მუსიკალური დამწერლობით, თავისებური მოხაზულობის ძველი ქართული სანოტონიშებით.

ამებამდ ძველი ქართული სანოტო დამწერლობა ამოხსნილია, რის შემდეგაც ამერყველდა ძველი ქართული მუსიკა მთელი თავისი სიდიადით.

ჩვენ აღარ ვჩერდებით დანარჩენ პოეტ ჰიმნოგრაფებზე. მოვიხსენებთ მხოლოდ იმ პოეტებს, რომელთა ლექსების მხატვრულ ფორმაში იგრძნობა საერო პოეზიის გავლენა, რომელთაც შეუთვისებიათ საერო პოეზიის სპეციფიური მეტრები და რითმა. ესენია X საუკუნის პოეტები: ფილიპე ბეთლემელი, იოანე-ზოსიმე, სტეფანე სანანოის-ძე.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ამ ეპოქის ქართული მწერლობის დიდად მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფია. ამ ეპოქაში

იწერება საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ძეგლები, რომლებიც შეტანილ იქმნა ქართულ მატრიანეთა დიდ კრებულში „ქართლის ცხოვრებაში“ იწერება საეკლესიო ისტორიის შემცველი თხზულებანი.

ცალკეა აღსანიშნავი ისტორიულ-ბიოგრაფიული ლიტერატურა.

ამ უანრის ნაწარმოებთაგან პირველ რიგში უნდა მოვიხსენოთ იოანე საბანიძის თხზულება, მარტვილობა აბო თბილელისა, ისტორიული ძეგლი VIII საუკუნისა, რომელშიაც ასახულია ეპოქა, ეროვნული იდეალები ეპოქისა.

ისტორიულ-ბიოგრაფიული ლიტერატურის უანრს ეკუთვნის აგრეთვე ორი ნაწარმოები, რომლებიც შეიცავს ქართველ მწერალთა მოღვაწეობის აღწერას, და რომლებიც ძველ-ქართული ლიტერატურის მშვენებას წარმოადგენენ: ესენია:

ბიოგრაფია ქართველი მწერლის ეფთიმე მთაწმიდელისა (958 — 1028) და მთაწმიდელ ქართველ მოღვაწეთა, აღწერილი გიორგი მთაწმიდელის მიერ 1040-იან წლებში;

ბიოგრაფია გიორგი მთაწმიდელისა (1009 — 1065), აღწერილი გიორგი მცირის მიერ 1065 წლის ახლო.

ეს ორი ძეგლი დიდად მნიშვნელოვანი წყაროა ქართული კულტურის ისტორიისათვის. ამასთან ორივე ძეგლი აღბეჭდილია დიდი ლიტერატურული ღირსებებით.

•

მესამე პერიოდი ქართული ლიტერატურისა მოიცავს ხანას XI საუკუნის მეორე ნახევრიდან—XIII საუკუნის შუა წლებამდე. ეს არის რუსთაველის ეპოქა ქართული მწერლობისა, პერიოდი, რომელშიაც უშუალოდ მოამზადა ნიადაგი შოთას გენიალური პოემის წარმოშობისათვის.

აღნიშნული პერიოდი ქრონოლოგიურად ემთხვევა საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურული დიდი აღორძინების ეპოქას.

რუსთაველის ფენომენის ახსნა შეუძლებელია ისე, თუ არ იქმნა გათვალისწინებული უაღრესად ორიგინალური ქართული კულტურა XII—XIII საუკუნეთა.

მართლაც საიდან მომდინარეობს ის სიფართოე მსოფლმხედველობისა, ის ჭეშმარიტი ჰუმანიზმის სული, რომლითაც გამსჭვალულია რუსთაველის პოემა?

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ჰუმანისტური მოძრაობა რენესანსული სულისა (წინა-რენესანსი), რომელიც ჯაიწყო საქართველოში XI საუკუნეში, ერთდროულად ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად, საქართველოს სპეციფიურ პირობებში გაღრმავდა და ახალ სიმაღლემდე ავიდა.

ამის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი წინა-პირობა ის იყო, რომ საქართველო, ევროპის ცივილიზაციის ქვეყანა, იმყოფებოდა ორი მსოფლიოს მიჯნაზე, ქრისტიანული დასავლეთისა და მუსულმანური აღმოსავლეთისა. საქართველოს უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ორივე მსოფლიოსთან, საქართველოს ნიადაგზე ხდებოდა შეხვედრა და შეჯვარება როგორც ქრისტიანული დასავლეთის, ისე მუსულმანური აღმოსავლეთის კულტურათა. ეს გარემოება გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რომ საქართველოში დაძლეულ იქმნა საშუალ-საუკუნეობრივი ვიწრო რელიგიური განკერძოება, გადალახულ იქმნა საშუალ-საუკუნეობრივი კარხაკეტილობა და განსაზღვრულობა, მოხდა განთავისუფლება საშუალ-საუკუნეობრივი აზროვნების არტახებიდან. ამ ნიადაგზე გაღრმავდა და ახალ სიმაღლეზე ავიდა ჰუმანისტური მოძრაობა საქართველოში.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა გამანაყოფიერებელი შეხვედრა და თავისებური სინთეზი საქართველოში გააადვილა განსაზღვრებას ხელსაყრელმა პირობებმა, რომლებიც შეიქმნა საქართველოში XI და XII საუკუნეებში და XIII საუკუნის დასაწყისში. როგორც უკვე საუბარი გვქონდა ამ საგანზე, XII საუკუნის მანძილზე და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველო გადაიქცა დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად, რომლის გავლენის სფეროში თანდათანობით შევიდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის კულტურული წრის ხალხები. XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანდა მთელი მრავალ-ეროვნო კავკასია; საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შევიდა კერძოდ შირვანი, სადაც ესოდენ ძლიერი იყო ირანული კულტურის ტრადიციები; საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებულია მუსულმანური არანი, თურქულ-სელჯუკური მხარე ამიერკავკასიისა. საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებულია აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მთიელთა დიდი კოლექტივი, სადაც ქრისტიანობასთან ერთად გავრცელება აქვს ადგილობრივ ხალხურ კულტებს; საქართველოს პროტექტორატს შეადგენს ტრაპიზონის სამეფო, რომელიც ადრე ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა და სადაც ქართველების გვერდით მოსახლეობდნენ ბერძნები; ტრაპიზონის სამეფო ეს არის ზონა, სადაც ეთნიკური საქართველო და ბერძნული ანატოლია ტერიტორიულად ესაზღვრებოდა ერთმანეთს ანტიკური ხანიდან მოკიდებული და სადაც ელინურ ტრადიციებს უძველესი სათავეები ჰქონდა.

აი ამ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში, რომელსაც წარმოადგენდა XII—XIII საუკუნეთა საქართველო, რომელშიაც კულტურულ თანამშრომლობას ეწეოდნენ ქართველებთან ერთად მეზობელი ერები, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის კულტურული წრის ეროვნული კოლექტივები, წარმოიქმნა ბრწყინვალე ქართული კულტურა, ეს უაღრესად თავისებური ჯა განუმეორებელი სინთეზი ორი კულტურისა, დასავლეთისა და აღმოსავლეთისა, რომლის მსგავსი ჩვენ არ გვაქვს სხვაგან საშუალო საუკუნეთა მანძილზე.

მხოლოდ ამ პირობებში, ან ფონზე ხდება გასაგები რუსთაველის პოემა, ის სიფართოე მსოფლმხედველობისა, ის ინტერნაციონალური სული, თავისუფალი ვიწრო ეროვნული კარჩაკეტილობისაგან და სარწმუნოებრივი განკერძოებისაგან, რომლითაც გამსჭვალულია ვეფხისტყაოსანი.

*

აქ საჭირო იქნება შევჩერდეთ იმაზე, თუ კონკრეტულად რა პირობებში და რა სახით ხდებოდა შექცვარება საქართველოს ნიადაგზე დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მომდინარე კულტურულ გავლენათა.

ჯერ დასავლეთის შესახებ.

თუ XI საუკუნემდე ქართველი მწერლები ბერძნულიდან სთარგმნიდნენ უმთავრესად სასულიერო მწერლობის ძეგლებს, ხოლო საერო ლიტერატურიდან ქართველ მწერალთა ყურადღებას იქცევდა უმთავრესად საისტორიო ხასიათის ნაწარმოებნი (ხრონოლოგიები, საისტორიო რომანები). XI—XIII საუკუნის საქართველოში სხვა სურათი გვაქვს: XI—XIII საუკუნის საქართველოში ჩვენ ვხედავთ ინტერესის გაღვივებას ძველი ელინური მსოფლიოსადმი, ძველი ბერძნული ლიტერატურისა და ფილოსოფიისადმი.

ეს მეტად მნიშვნელოვანი გონებრივი მოძრაობა—ინტერესი ანტიკური მსოფლიოსადმი არ დაწყებულა საქართველოში, მისი პირველ-სათავე, როგორც მოხსენებული გვქონდა, არის ბიზანტია, და მან აქედან გაიკვალა გზა

საქართველოში. ეს მოძრაობა მომდინარე ბიზანტიიდან, რომელთანაც საქართველო უახლოესად იყო დაკავშირებული თავისი კულტურით. ბიზანტიის იმპერატორებმა XI—XIII საუკუნეთა ქართულ კულტურას და ჰუმანიტარული ფერმენტის როლი შეასრულა. ცხადია, XI საუკუნის საქართველოში შემზადებული ყოფილა საამისოდ ნიდავები, რაკი აქ ამ გონებრივს მოძრაობას ფართო გასავალი მიეცა.

ბიზანტიის ჰუმანიტურ მოძრაობაზე XI საუკუნისა ჩვენ აქ შეგვიძლია არ გავაგრძელოთ სიტყვა. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ ბიზანტიის ამ ჰუმანიტური მოძრაობის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურებია XI საუკუნის მოღვაწენი მიქაელ პსელოსი და იოანე იტალოსი, რომელთაც გააცოცხლეს ბიზანტიაში ანტიკური ფილოსოფიის (უმთავრესად ნეოპლატონიზმის) ტრადიციები. ცენტრი ამ მოძრაობისა იყო მანგანის აკადემია, რომელიც დაარსდა კონსტანტინეპოლში XI საუკუნის ნახევარში.

აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის ჰუმანიტურ მოძრაობაში თვით ადგილობრივ ბიზანტიაში, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, მონაწილეობასღებულობენ ქართველები. ასე, ბიზანტიის ჰუმანიტური მოძრაობის მეთაურთა რიგებში, როგორც აღენიშნეთ, იყო განთქმული ქართველი მოღვაწე ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. როდესაც XI საუკუნის ოთხმოციან წლებში ბიზანტიაში დაიწყო რეაქცია ჰუმანიტური მოძრაობის წინააღმდეგ და ფილოსოფოსი იოანე იტალოსი ბიზანტიის ეკლესიამ შეაჩვენა, იოანე იტალოსთან ერთად დევნა განიცადა იოანე პეტრიწი.

XII საუკუნის დასაწყისში, როგორც აღენიშნეთ, საქართველოში არსდება გელათის აკადემია, რომელიც აგრძელებს კონსტანტინეპოლის მანგანის აკადემიის ტრადიციებს. გელათის აკადემიის პირველი რექტორი („მომღვართ მომღვარი“) არის არსენი იყალთოელი, ენციკლოპედისტი, რომელიც მანგანის აკადემიაში იყო აღზრდილი და სალიტერატურო მოღვაწეობა მანგანაში დაიწყო. არსენი იყალთოელი დაახლოებული პირია დავით აღმაშენებელისა, გელათის აკადემიის დამაარსებელისა.

გელათის აკადემიაში, დავით აღმაშენებელის საგანგებო მოწვევით, მოღვაწეობას იწყებს იოანე ფილოსოფოსი პეტრიწი.

დავით აღმაშენებელის მეგობდრის დემეტრე I-ის დროს გელათის აკადემიაში მოღვაწეობს მეორე ფილოსოფოსი, რომელიც აგრეთვე იოანეს სახელს ატარებს: იოანე ფილოსოფოსი ჰიმეტიელი. დემეტრე I-ის გარდაცვალების შემდეგ (1156 წელს) იოანე ფილოსოფოსი ჰიმეტიელს დაუწერია აგრეთვე საისტორიო შრომა („კასილოღრაფია“) დემეტრე I-ის მეფობისა.

დასაბეღებულთა გარდა გელათის სკოლას XII—XIII საუკუნეებში წარმოადგენს მთელი პლეადა მოღვაწეთა (პეტრე გელათელი, იეზეკიელი, არსენი ბულმანისმისძე და სხვანი).

XII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში, გარდა გელათისა, დაარსდა მეორე ცენტრი ქართული განათლებისა—იყალთოს აკადემია, რომლის ორგანიზებაში ღვაწლი მიუძღვის გელათის აკადემიის პირველ რექტორს არსენი იყალთოელს.

ქართველ მოღვაწეთა ელინოფილურმა წრეებმა XI—XIII საუკუნეებში გააცოცხლეს საქართველოში ბერძნული ფილოსოფიის ტრადიციები. მათ თარგმნეს ქართულად ბერძნული ფილოსოფიური ძეგლები, უმთავრესად ნეოპლატონიკოსები: პროკლე დიადოხოსი („კავშირნი“); პორფირი („შეყვანილება“); ამონიოს ერმიოსი (კომენტარები არისტოტელეს „კატეგორიებისა“ და „პორ-



ფირის „შეყვანილებისა“); ნემესიოს ემესელი („ბუნებისათვის კაცისა“); ენოს ალექსანდრიელის დიალოგი.
 ნეოპლატონიკოსებს გარდა ითარგმნა არისტოტელე („კატეგორიები“), „მეტაფიზიკა“
 რი ერმინია“).

ცხადია, ამ დროსვე თარგმნილი იყო პლატონი, რომელსაც ხშირად ასახელებენ XII—XIII საუკუნეთა ქართულ ძეგლებში, მაგრამ ტექსტები არ გაუარჩინილა.

ქართული ფილოსოფიური აზროვნება ამ ეპოქაში დიდ სიმაღლემდე აღწევს. ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი დიდი მოვლენაა არა მარტო ქართული ფილოსოფიის, არამედ ასევე საშუალო საუკუნეთა ევროპის ფილოსოფიის ისტორიაში. იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური ნაშრომი „განმარტება პლატონურისა ფილოსოფიისა“, სადაც ეს „შესანიშნავი ქართველი მოაზროვნე სქოლასტიკური ფილოსოფიის საწინააღმდეგო პოზიციებზე დგას და ანტიკური ფილოსოფიის ტრადიციებს აგრძელებს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც ჩვენ საშუალო საუკუნეთა დასავლეთის ფილოსოფიამ დაგვიტოვა.

ინტერესები ქართული ელინოფილური წრეებისა ამ ეპოქაში არ განისაზღვრებოდა მარტო ფილოსოფიით.

ჯერ კიდევ XI საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ეფრემ მცირემ, ქართული ჰუმანიზმის დიდმა პიონერმა, ქართულს ენაზე მოგვცა საყურადღებო ნაშრომი „ელინთა მეზღაპრეობა“ (ბერძნული მითოლოგიის მიმოხილვა). რომელიც ჩვენ დრომდე მოღწეულა.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ XII საუკუნეში ქართველი მკითხველები, როგორც ირკვევა, გასცნობიან თვით ჰომიროსსაც. ჯერ კიდევ აკადემიკოსი ნ. მარი თავის შესანიშნავ გამოკვლევებაში XII საუკუნის ქართველ მეზობტბეთა შესახებ დაასკვნა, ძველ ქართულ მწერლობაში დატული ლიტერატურული ჩვენებების მიხედვით, რომ ქართულს ენაზე XII საუკუნეში უნდა არსებებულყო ჰომიროსის ეპოსი. ამის შემდეგ შესაძლო გახდა უფრო ზუსტად დადგენა, რომ ჰომიროსის ეპოსი გადმოუღიათ ქართულად 1123—1125 წლებში, შემოკლებული გადმოცემის სახით. ჰომიროსის ეპოსის ეს ვერსია, როგორც ირკვევა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველ ქართულ მწერლობაში.

რომ ქართული განათლება XII—XIII საუკუნეთა კლასიკურ ტრადიციებს შეიცავდა, ამის მაჩვენებელია ისიც, რომ XII საუკუნეში ქართულად უთარგმნიათ ანტიკური მწერლობის ძეგლი აფთონის რიტორიკა, რომელიც ძველად სასკოლო სახელმძღვანელოს როლს ასრულებდა.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ცხადი ხდება, რომ XI—XIII საუკუნეთა საქართველოში დასავლეთის კულტურა წარმოდგენილი ყოფილა ძლიერი ნაკადით.



დიდი იყო აგრეთვე კავშირი აღმოსავლეთთანაც.
 თარგმანები აღმოსავლური ენებიდან ქართულად XI საუკუნეზე უფრო ადრე ხანებშიც სრულდებოდა, და ეს საკმაო ფართო მასშტაბით (ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი), ხოლო XI საუკუნიდან კულტურული კავშირი უფრო ორგანული ხდება და ლიტერატურული ურთიერთობა აღმოსავლეთთან განსაკუთრებით ფართო ხასიათს ღებულობს. ქართულ ენაზე ითარგმნება როგორც სამეცნიერო ხასიათის თხზულებანი (ასე, ამ დროიდან მოღწეულა ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ძეგლი, როგორცაა არაბული სამედიცინო ენციკლოპედია, განყოფილებებით ანატომიიდან და ფიზიოლოგიიდან, თარგმნილი ქართულად 1206 წლის ახლო), ისე საერო მხატვრული ლიტერატურა.

მგვრამ ეს ცოტაა. ამ ეპოქაში არა თუ ითარგმნებოდა ქართულად საერო მხატვრული მწერლობის ძეგლები, არამედ XII—XIII საუკუნეებში საქართველო თვით იყო ცენტრი აღმოსავლური, კერძოდ, ირანული მწერლობისა. ის არის, რომ შირვანი, რომელიც XII—XIII საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოსთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული, როგორც ავტონომიური სამეფო, სწორედ ამ ეპოქაში წარმოადგენდა აღმოსავლური, კერძოდ, ირანული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს. შირვანის პოეტთა სკოლას ეკუთვნოდნენ: განთქმული ნიზამი, უდიდესი ეპიკოსი აღმოსავლეთისა ფირდოუსის შემდგ, ხაყანი, აბულ-ალა, ფალაგი ეხსიკეტი და სხვანი. ეს მწერლები, რომლებიც წარმოშობით კავკასიელები იყვნენ, მოქალაქეები საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული ქვეყნებისა, და რომელთა სალიტერატურო მოღვაწეობა აქ, კავკასიაში ჩატარდა, უშუალო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ და ყოფილან კიდევ ქართულ სალიტერატურო წრეებთან.

ქართულ მატრიანებში დატულია აღწერილობა, თუ როგორ ღებულბდნენ თბილისში, საქართველოს სამეფო კარზე მოსულს შირვან-შაჰს და როგორ იმართებოდა ზეიმები მგოსნების, პოეტურ ნაწარმოებთა მთქმელების მონაწილეობით.

შირვანელი პოეტი ხაყანი დაკავშირებულია საქართველოსთან თავისი შემოქმედებით, მისთვის ახლობელი ყოფილა საქართველოს გარემო და ამის გამოძახილი ჩვენ გვაქვს მის პოეზიაში.

ეგვევ ითქმის ნიზამის შესახებ. ნიზამის განთქმული პოემა „ლეილა და მეჯნუნი“; ეს უმშვენიერესი რომანტიული ეპოპეა აღმოსავლეთისა, როგორც გამორკვეულია, დაკავშირებული ყოფილა თავის წარმოშობით საქართველოსთან. ირკვევა ამასთან ისიც, რომ ამ ნაწარმოების ქართული თარგმანი გამოქვეყნდა იმავე წლებში, როდესაც დაიწერა დედანი.

გარდა იმისა, რომ საქართველოსთან პოლიტიკურ კავშირში მყოფი შირვანი იყო მნიშვნელოვანი ცენტრი ამ ეპოქის აღმოსავლური, კერძოდ ირანული პოეზიისა, თვით თბილისში საქართველოს სატახტო ქალაქში, არსებობდა აკადემია ირანელ-არაბ სუფიებისა და პოეტებისათვის. ეს აკადემია დაარსებული იყო დავით აღმაშენებლის მიერ XII საუკუნის დასაწყისში (1123—1125 წლებში). იგი, ბუნებრივია, ასრულებდა ერთგვარი შუამავლის როლს საქართველოსა და აღმოსავლეთის კულტურული ურთიერთობის საქმეში, ლიტერატურისა და ფილოსოფიის დარგში.

ქართულ-აღმოსავლური კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის დამახასიათებელია, რომ ქართველი პოეტი XII—XIII საუკუნეთა ჩახრუხაიისძე, თანამედროვე რუსთაველისა, გამოდიოდა ირანსა და არაბულ ქვეყნებში, როგორც მოგზაური პოეტი, ლექსებით სპარსულსა და არაბულ ენებზე.

ამავე დროს დადასტურებულია, რომ მუსულმანი პოეტები სწერდნენ ოდებს თამარზე და საქართველოს მეფეებზე.

ქართული ლიტერატურისა და აღმოსავლური, პირველ რიგში, ირანული ლიტერატურის უშუალო ურთიერთობის ამ პირობებში გასაგები ხდება ის ახლო კავშირი, რომელიც ამ ლიტერატურათა შორის არსებობდა.

დასასრულ, დავგრჩენია წარმოვადგინოთ რუსთაველის ხანის სალიტერატურო ძეგლთა მოკლე მიმოხილვა.

თუ რამდენად მრავალმხრივი იყო ქართული პოეზია ამ ეპოქისა, ამას გვიჩვენებს ჯერ მართო *ars poetica* რუსთაველისა, რომელიც შენახულა ვეფხისტყაოსნის შესავალში. ამ პატარა ტექსტში გაბნეული ხაზებიდან ვხედავთ, რომ ამ

დროს არსებობდა მთელი წრეები პოეტებისა. მათ შორის ყოფილან ისეთნი, რომელთათვის თვით გენიალური შოთა იმეტებს სახელს „კარგი“.

მუშავდებოდა სხვადასხვა დარგები პოეზიისა; იწერებოდა მონუმენტალური პოეტური ძეგლები, ეპიური პოემები, რომელთა შესახებ შოთა ამბობს:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი...“

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
შობურთაღსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრევე მელექსესა ლექსთა გრძელია თქმა, და ხევა,
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლეა“.

იყვნენ „ცოტა“ პოეტებიც, რომელთა შესახებ შოთა ირონიულად შენიშნავს:

„ვამსგავსე მშვილდი ბედიით ყმაწვილთა მონადირეთა,
დიდსა ვერ მოკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა“.

ეპიური პოეზიის გვერდით მუშავდებოდა მსუბუქი ლირიკის ქანრები:

„შესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად,
საშოკოდ, საღალობოდ, ამხანაგთა სათნველად,
ჩვენ შათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად“.

ეს მრავალფეროვანი, მდიდარი პოეზია XII—XIII საუკუნეებისა, ნაწილობრივ დაიღუპა მომდევნო ხანაში, იმ ბნელ საუკუნეთა მინძილზე, რომლებიც მოკვდა მონგოლთა მფლობელობის დამყარებას საქართველოში XIII საუკუნიდან მოკიდებულ, განსაკუთრებით კი XIV—XV საუკუნეთა საზღვარზე, თემურის გამანადგურებელი შემოსევების დროს.

ის ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც გადაურჩნენ ამ კატასტროფას და ჩვენ დრომდე მოაღწიეს, და აგრეთვე ლიტერატურული მასალები, რომლებიც მოიპოვება დაკარგულ ძეგლთა შესახებ (ლიტერატურული მოწმობანი, ექსცერპტები და სხვ.) მინც იძლევა საშუალებას წარმოდგენა შევადგინოთ შოთას ეპოქის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე.

ჩვენ აქ დავემყოფილებით მთავარ სალიტერატურო ძეგლთა ჩამოთვლით.

ეს ძეგლები შესაძლოა დავანაწილოთ სამ ჯგუფად: სალიტერატურო ძეგლები აღმოსავლური წარმოშობისა (თარგმანები, გადმოკეთება); სალიტერატურო ძეგლები დასავლური წარმოშობისა; ორიგინალური ძეგლები.

აღმოსავლური წარმოშობის სალიტერატურო ძეგლები ამ პერიოდშიც საკმაოდ მრავალრიცხოვნად ყოფილა წარმოდგენილი. ასე, ირკვევა, რომ ქართულ ენაზე ამ დროს არსებულა: ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ (საგმირო ნაწილი, როსტომის ციკლი); ფახრედინ გურგანელის „ვისი და რამინი“; ნიზამის „ლეილა და მეჯნუნი“; ნიზამის „ხოსრო და შირინი“; რომანი „ვამეყ და აზრა“ (ჩანს, უნსურის ვერსია); უცნობი მწერლის რომანი „სალამანი“; რომანი „ანალათ და შატბიერ“.

ჩვენ, რასაკვირველია, შემცდარი ვიქნებოდით, თუ დავსაყვნიდით, რომ ამ ძეგლთა ქართული ვერსიები წარმოდგენდნენ ირანული ორიგინალების პედანტურ, სიტყვა-სიტყვით თარგმანს. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ძველ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში არსებობდა ტრადიცია ეგრეთ-წოდებული თავისუფალი თარგმანებისა. ძველი ქართველი ავტორები ხშირად იძლეოდნენ უცხოურ ნაწარმოებთა თავისუფალ გადამუშავებას.

ამის მაგალითს წარმოგვიდგენს XII საუკუნის ქართული რომანი „ვისრამიანი“, რომელიც ბევრ ხაზებში გვაგონებს დასავლურ თქმულებას „სტრანტან და იზოლდა“-ს შესახებ. ქართული რომანი „ვისრამიანი“ დამოკიდებულია ფანოზდინ გურგანელის ირანული დედნიდან, მაგრამ ქართველ ავტორს ბევრი თავისებურება შეუტანია ტექსტში. კერძოდ, ირანული „ვის-ო-რამინი“-ს სტილი ხასიათდება გადაჭარბებული აღმოსავლური „ყვავილოვნებით“, მხატვრული ზომიერება აქ დარღვეულია, ხოლო ქართულ რომანში ეს ნაკლოვანება აცილებულია იშვიათი მხატვრული ტაქტით. ქართული რომანის ავტორი სიტყვის ბრწყინვალე ოსტატია და ქართული ვისრამიანი წარმოადგენს ძველი ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლს.

რაც შეეხება დასავლური წარმოშობის სალიტერატურო ძეგლებს, მათ შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ნაწილობრივ საუბარი. უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ქართულ ენაზე არსებულა ჰომეროსის ეპოსის შემოკლებული ვერსია, რომელიც გამოუქვეყნებია უცნობს ქართველ მწერალს 1123—1125 წლებს შორის.

დასავლური წყაროებიდან მომდინარეობს აგრეთვე დიდაქტიური ხასიათის რამდენიმე კრებული, ეგრეთ-წოდებული „აპოფთეგმები“. ამ კრებულებში შესულია აფორიზმები, სენტენციები და დიდაქტიური ხასიათის მაქსიმები, რომლებიც მიეწერება ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს, მწერლებს, ისტორიულ მოღვაწეებს. XII საუკუნეში ქართულად არსებულა აპოფთეგმების როგორც პროზაული ტექსტები, ისე ლექსითი ვერსიებიც (იამბიკური ლექსებით).

ორიგინალური ძეგლები XI — XIII საუკუნეების ქართული საერო მხატვრული მწერლობისა წარმოადგენილია როგორც ეპოსის, ისე ლირიკის ქანრებით.

უძველესი ლირიკოსი, რომლის ნაწერები ჩვენ დრომდე მოღწეულა, არის შ ა ვ თ ე ლ ი (I), რომელსაც ეკუთვნის ლირიკული პოემა დავით აღმაშენებლის (1089—1125 წ.) შესახებ. ამ პოემას „აბდულ-მესიანი“ ეწოდება. შავთელი განსაკუთრებული პოეტურობით სარგებლობდა ძველს საქართველოში ვეფხისტყაოსნის ცნობილ ბიბლიოგრაფიულ სტროფში შავთელის შესახებ საგანგებოდ აღნიშნულია:

„აბდულ მესია — (ივლისხმება „უქია“) შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“.

სპეციალურ ლიტერატურაში გამორკვეულია, რომ შავთელს გაგლენა მოუხდენია რუსთაველზე. შოთას პოემაში ჩვენ რამდენსამე ადგილას გვხვდება რემინისცენციები შავთელის აბდულ-მესიანის სტროფებისა.

ძველი სალიტერატურო გადმოცემა ამავე ხანას, XI—XII საუკუნეთა საზღვარს მიაკუთვნებს მეორე ძველ ქართველ პოეტს ძაგნაკორელს, რომლის მიერ შექმნილი სალექსო ფორმა დამკვიდრდა ძველ ქართულს მწერლობაში და „ძაგნაკორული“-ს სახელით იყო ცნობილი.

ქართული ლირიკა თამარის ეპოქისა წარმოადგენილი ყოფილა მთელი რიგი პოეტებით, რომელთაგან ყველაზე ცნობილია ჩახრუხაისძე. მისგან მოღწეულა ლირიკული კრებული „თამარიანი“, რომელიც შეიცავს 12 ოდას, მიძღვნილს მეფის თამარისადმი. ოდები დაწერილია თამარის მეფობის პირველ ნახევარში, 1184—1193 წლებში. უფრო გვიან ჩახრუხაისძე გამგზავრებულა საქართველოდან და შემოუვლია მთელი იმ დროის ცნობილი მსოფლიო: ირანი, ინდოეთი, გადასულა ჩინეთში, ყოფილა ხაზარეთში, ყოფილა რუსეთში; შემდეგ შავი ზღვით გამგზავრებულა კონსტანტინეპოლში, აქედან გადასულა ჩრდილო



აფრიკაში, შემოუვლია მალრიბი, ეგვიპტე, არაბეთი და ერაყი. ირანულსა და არაბულს ქვეყნებში ჩახრუხაისძე გამოდიოდა როგორც მოგზაური-პოეტის ლექსები სპარსულსა და არაბულს ენებზე.

ჩახრუხაისძის თავგადასავალი მოთხრობილია ორს ძველ-ქართულ ელევგიაში, რომლებიც დაწერილია XIII საუკუნის დასაწყისში (პირველი ელევგია ეკუთვნის პოეტის ძმას ჩახრუხაისძე-მეორეს, ხოლო მეორე ელევგია პოეტს ბარამანს).

თამარის ეპოქაში მოღვაწეობს იოანე შავთელი (მეორე), რომელიც სახელოვანი პოეტი ყოფილა და რომელსაც თამარის მეორე ისტორიკოსი XIII საუკუნის პირველი მეოთხედისა ასე უწოდებს: „ფილოსოფოსი და რიტორი ლექსთა გამომთქმელი“. მეორე წყაროში XIII საუკუნისა იოანე შავთელს ეწოდება: „სანთელი სულიერისა ფილოსოფოსობისა“. პოეტური შემეკვიდრეობა იოანე შავთელისა დაკარგულია; გადარჩენილა მხოლოდ ერთი ჰიმნი, „გალობანი ვარძიისანი“, რომელიც დაწერილია 1205 წელს.

აქ უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ქართული ჰუმანიტური მოძრაობის დიდნი მესვეურნი, საქართველოს მეფენი — დავით აღმაშენებელი, დემეტრე I და თამარ დიდი, იყვნენ არა მხოლოდ განათლებული მეცენატები ქართული მწერლობისა.

დავით აღმაშენებლისაგან ჩვენ დრომდე მოღწეულა „გალობანი სინანულისანი“, პოეტური ნაწარმოები, აღბეჭდილი დიდი ტალანტით. ამას გარდა, XII საუკუნის საისტორიო ძეგლში „ისტორია და აზმანი შარავანდედთანი“ დაცულია ცნობა, რომ დავით აღმაშენებელმა 1121 წელს დიდგორის გამარჯვების გამო (როდესაც დამარცხებულ იქმნა მუსულმანთა დიდი კოალიცია, შემოჭრილი საქართველოს საზღვრებში) დასწერა ქართველთა ზეიმის აღსანიშნავად „იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად“. იგი ჩვენ დრომდე არ მოღწეულა. ამას გარდა, შავთელის „აბდულმესიანის“ მიხედვით, რომელიც დავით აღმაშენებელისადმი არის მიძღვნილი, ირკვევა, რომ დავით აღმაშენებელს ეკუთვნოდა „იგავნი“, რომელსაც შავთელი ადარებს ბიბლიის ისო ზირაქის იგავებს.

დემეტრე I (1125—1155) წყაროებში მოიხსენება როგორც ცნობილი პოეტი. მისი ლიტერატურული შემეკვიდრეობიდან გადარჩენილა რამდენიმე ლექსი, მათ შორის პოეტური ჰიმნი — „შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული“, რომელსაც დღემდე მღერიან საქართველოში.

თამარის პირველი ისტორიკოსი თავისი შრომის უკანასკნელ თავს მიუძღვნის შამქორის ომს. ამ ომის დროს საქართველო დიდი განსაცდელის წინაშე აღდგა; ეს იყო მუსულმანთა „სალმრთო ომი“, გამოცხადებული საქართველოს წინააღმდეგ. ხალიფის მოთავეობით ამ ომში საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანდა ახლო აღმოსავლეთის მუსულმანთა. ხალიფმა მუსულმანთა ლაშქარს, უძლეველობის ნიშნად, წარუძღვარა თავისი დროშა, მწვანე დროშა ისლამისა. მუსულმანთა ლაშქარი დამარცხდა შამქორში (1195 წელს). ისტორიკოსი ვადმოგვეცემს, რომ ხალიფის დროშა, ტროფეის სახით მოტანილი თამარის წინაშე, თამარმა წარგზავნა გელათში, და ნიშნად ერის ზეიმისა დაწერა ლექსი („იამბიკო-ხუთეულის“ ფორმით). ისტორიკოსს მოჰყავს თამარის ეს ლექსი და ამით ამთავრებს თავის მოთხრობას.

თამარის ეს ლექსი აღბეჭდილია სიდიადით. იგი დიდ პოეზიას ეკუთვნის.

თამარისაგან მოღწეულა აგრეთვე მოკლე ლექსები „ხუთეულეები“ (ყოველი ლექსი ხუთ-ტაეპოვანია), რომლებიც წარმოადგენს ერთ ციკლს: „მზის შარავან-დნი“. აქაც ჩვენ გვაქვს ნამდვილი პოეზია. ყოველი „ხუთეული“, ეს ლაკონიური პოეტური ფორმა, აღბეჭდილია მხატვრული სრულყოფით.

XII—XIII საუკუნეების ქართული ეპოსი წარმოდგენილია ორი ქანრით: რომანტიული ეპოსით და სარაინდო რომანით.

სარაინდო რომანის ნიმუშს წარმოადგენს მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანი“. ეს ვრცელი სარაინდო რომანი დაწერილია XII საუკუნის ნახევარში და ჩვენ დრომდისაც მოღწეულა. მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანს“, ჩანს, კარგად იცნობდა რუსთაველი და შოთას პოემის ზოგიერთ ეპიზოდში შესაძლოა შემჩნეულ იქმნეს მოსე ხონელის რომანის გამოძახილი.

რაც შეეხება რომანტიკულ ეპოსს, ამ ქანრის მრავალ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც არსებულა XII—XIII საუკუნეებში, და რომელთა შესახებ შენახულა ლიტერატურული ცნობები, გადარჩენილა მხოლოდ ვეფხის-ტყაოსანი. ამის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად დიდი იყო ის კატასტროფა, რომელიც განიცადა საქართველომ მომდევნო საუკუნეებში და რამაც იმსხვერპლა კლასიკური ხანის ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი.

მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოები რომანტიკული ეპოსის ქანრისა, როგორც ეს ირკვევა ლიტერატურული ცნობების მიხედვით, იყო განთქმული პოეტის — სარგის თმოგველის პოემა „დილარგეთიანი“. დაწერილი 1190-იან წლებში. პოეტ ჩახრუხაისძის XII ოდის ტექსტის მიხედვით, სარგის თმოგველის პოემას დიდი სახელი ჰქონია მოპოვებული თანამედროვეთა შორის. ასევე ვეფხის-ტყაოსნის ბოლოში დართულ ბიბლიოგრაფიულ სტროფში მადლად არის შეფასებული სარგის თმოგველის პოემა.

XII საუკუნის წყაროებში დაცულია ცნობები რომანტიული ეპოსის მთელი რიგი სხვა ძეგლების შესახებ, რომლებიც ჩვენ დრომდე არ მოღწეულა. ასეთებია რომანები „ეთერიანი“, „ოსანოზ და შარიელ“ და სხვანი.

კერძოდ, XII საუკუნის რომანტიული ეპოსი „ეთერიანი“, როგორც ირკვევა, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა და იგი გადასულია ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. „ეთერიანი“ („აბესალომ და ეთერი“), ფართოდ გავრცელებული პოეტური თქმულება ქართული ფოლკლორისა, წარმოადგენს, როგორც ირკვევა, XII საუკუნის ქართული რომანის ხალხურ ვერსიას.

წმინდა მხატვრული ლიტერატურის გვერდით ამ ეპოქაში მალაღ განვითარებას აღწევს მწერლობის სხვა დარგები. ეს ეხება, პირველ რიგში, ქართულ ისტორიოგრაფიას.

XII—XIII საუკუნეთა ქართული ისტორიოგრაფიის ოთხი ჩვენ დრომდე მოღწეული ძეგლი წარმოადგენს კლასიკური ხანის ქართული მწერლობის ნამდვილ მშვენიებას. ეს ძეგლებია:

საქართველოს ისტორია გიორგი II-ისა და დავით აღმაშენებლის ხანისა (1072—1125 წლები), რომელიც დაწერილია 1125 წლის ახლო;

„ისტორია და აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც აგვიწერს გიორგი III-ის ხანას და თამარის ეპოქის პირველ პერიოდს (1155—1196 წლები) ძეგლს თამარის პირველ ისტორიას უწოდებენ. დაწერილია იგი 1196 წელს.

მეორე ისტორია თამარის ეპოქისა (მოიცავს თამარის მეფობის მეორე პერიოდის აღწერას, 1212 წლამდე) დაწერილია XIII საუკუნის პირველ მეოთხედში.

ბასილი ეზოსმოდგარის ისტორია, რომელიც მოიცავს თამარის ეპოქის მთლიან აღწერილობას, დაწერილია XIII საუკუნის პირველ მეოთხედში.

არ არის არავითარი გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ ქართული ისტორიოგრაფიის ეს ძეგლები დგანან ერთ რიგში ბიზანტიური ისტორიოგრაფიის საუკეთესო ძეგლთა გვერდით.

ეს ავტორები ქართული პუბლიცისტიკის სკოლის წარმომადგენლები არიან. მათი შრომები ფართო ისტორიულ პორიზონტს გადაგვიშლის.

ამავე დროს ეს ნაწარმოებნი კლასიკური ქართული პროზის უშესანიშნავესი ძეგლებია.

ჩვენ ამით ვამთავრებთ ქართული ლიტერატურის ამ ზოგად მიმოხილვას. ასეთი იყო ქართული ლიტერატურის განვითარების გზები საუკუნეთა მანძილზე.

რუსთაველის პოემის წარმოშობა შემზადებულია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურით.

(გაგრძელება იქნება)

ნომერი ნათამაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და ეპოქის ზნე-ჩვეულებანი

რუსთაველი უმღერის სიყვარულს, რომელიც ადამიანს სწმენდს, აფაქიზებს და მორალურად სრულყოფს. აზრს, რომ სიყვარული არის მაღალი და ამამაღლებელი ძალა, პოემაში თავისებური რთული დასაბუთება აქვს. სიყვარულის დოქტრინას, რომელიც პოემაში უდიდეს როლს თამაშობს, აქვს როგორც ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური, ისე სოციალური მხარე.

ამ დოქტრინის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ რუსთაველისთვის სიყვარული (კონკრეტულად: „მიჯნურობა“) არის „პირველი და ტომი გვართა ზენათა“. თუ ამ დღესდღეობით უხმარ ფილოსოფიურ ტერმინთა აზრს გავხსნით, აქ ნათქვამია, რომ მიჯნურობა არის პირველი და უმაღლესი ზეციურ „იდეათა“ (პლატონის ტერმინით) შორის, იგია „იდეათა იდეა“, სამყაროს იერარქიის მწვერვალი. პლატონისთვის უმაღლესი

იდეა ანუ იდეათა იდეა იყო „სიკეთე“. რუსთაველმა, რომელიც პლატონის ამ მოძღვრებას, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა, „სიკეთის“ მაგიერ სამყაროს სათავეში „მიჯნურობა“ დააყენა.

რაც შეეხება მაღალი სიყვარულის რუსთაველისეული დოქტრინის სოციალურ მხარეს, იგი იმაში მდგომარეობს, რომ ქალი პოემაში მის მოტრფიალ ვაჟზე მაღლა დგას სოციალურ კიბეზე ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ტოლია. ეს კიდევ ერთი ზედმეტი მიზეზია იმისა, რომ ვაჟის დამოკიდებულება ქალისადმი ატარებდეს სამსახურის ხასიათს: თუ ვაჟს სურს, რომ თავისი სრულყოფილი და სოციალური დიდების შარავანდით მოსილი სატრფოს ღირსი იყოს, მას უნდა ახასიათებდეს იდეალური რაინდისათვის საჭირო ყველა ღირსება, რაც პროლოგშია ჩამოთვლილი („თვალად სიტურფე“, „სიბრძნე“ და სხვ. იხ. სტრ. 23). ეს შეხედულება ღრმა ფესვებითაა დაკავშირებული ქართულ ისტორიულ სინამდვილესთან და რუსთაველის ეპოქის ევროპულ კურტუაზულ კულტურაში მკვეთრი ანალოგიები მოეძებნება.

მაღალი და დაბალი სიყვარული, რუსთაველის თვალში, იმით განსხვავდება,

* „მნათობის“ ამ ნომრის ტირაჟის ნაწილში ნ. ნათამაძის ეს წერილი დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სტროფის უხეში, ვულგარული, ავტორისეული მცდარი ინტერპრეტაციით. ტირაჟის უდიდეს ნაწილში სტატია ქვეყნდება შესწორებული სახით. რედ.

რომ პირველი პლატონურია, მეორე კი ხორციელი.

„იგი (მიჯნურობა) სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უხის დიდი ზღვარი“.

რუსთაველის მრავალი აღმოსავლელი და დასავლელი თანამედროვის შემოქმედებაში სიყვარულის ლირიკული გამოხატვა თუ ეპიკური აღწერა დაკავშირებულია სიყვარულის მეტ-ნაკლებად მყარსა და სრულ „თეორიასთან“ და ამ მხრივ რუსთაველი გამონაკლისი არაა მათ შორის. მაგრამ რუსთაველი, როგორც სიყვარულის მხატვარი, მაინც თავისებურია იმ მხრივ, რომ მისთვის დოქტრინა და მხატვრული პრაქტიკა ანუ სიყვარულის ე. წ. „ფსიქოლოგიური ნახაზი“ მეტად ფაქიზადაა შერწყმული ერთმანეთში. მასთან განსაკუთრებით გვიჭირს იმის გარჩევა, თუ სად თავდება დოქტრინა და სად იწყება მხატვრული ინტუიცია და სუბიექტივიზმი. იმისთვის, რომ სწორად და სრულად ამოვხსნათ პოემის მხატვრული წინაფიქრი, რომ სწორად განვსაზღვროთ, თუ რაში მიჰყვება რუსთაველი თავის თანამედროვეთა აზროვნებას და რაში იჩენს ორიგინალობას ამ უკანასკნელის მიმართ, სხვა ყველაფერთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ რუსთაველის-დროინდელი ქართველი საზოგადოების ზნე-ჩვეულებანიც, რომელნიც რუსთაველის შემოქმედების კულტურულ-ისტორიულ ფონს ქმნიან: მათი შეხედულებები ადამიანთა სოციალურ და პირად ურთიერთობაზე, მორალზე, რელიგიაზე და ა. შ.

რა ვიცი თ ჩვენ რუსთაველის ეპოქის შეხედულებათა შესახებ, კერძოდ, ქალისა და ვაჟის ურთიერთობაზე? სხვა ქრისტიანული ქვეყნების სარაინდო ყო-

ფსა და კულტურაში, რომელსაც თამარის ეპოქის ქართველი სამხედრო წოდების ცხოვრება ბევრი რამით ჰგავს (საფრანგეთში, გერმანიაში XII—XIII ს. ს.), მიწიერი სიყვარული ისევე მაღალ სიყვარულად ითვლება, როგორც შორით ბნედა და შორით აღვა, რომელზედაც რუსთაველი ლაპარაკობს. მაღალი სიყვარულის მთავარი განმასხვავებელია მისი აღმზრდლობითი, ამამალებელი ძალა. დასავლეთის „კურტუაზულ“ პოეზიასა და რომანებში, როგორც წესი, ღვაწლმოსილი ყმარაინდი თავისი გათხოვილი სატრფოს სიყვარულს იღებს ღვაწლის ჯილდოდ. თუ მართალია ნ. მარისა და სხვათა აზრი XII ს-ის საქართველოში რაინდობისა და რაინდული მიჯნურობის განვითარებული ინსტიტუტის არსებობის შესახებ, მაშინ სრულებით უსაფუძვლო იქნება, ამ მიჯნურობაში მხოლოდ პლატონურობის კულტი დაეუშვათ. ხოლო თუ საზოგადოების ნამდვილ ცხოვრებაში გავრცელებულ შეხედულებათა თანახმად, მაღალი რაინდული სიყვარული სატრფოსთან შეერთებას არ გამორიცხავდა, მაშინ აღარც ისაა სავალდებულო, რომ საგანგებო დასაბუთების გარეშე რუსთაველს ასეთი რიგორიზმი მივაწეროთ.

ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხრივ. გარდა რაინდობის სპეციფიკური ინსტიტუტისა, სამეფო კარის ზნე-ჩვეულებათა შექმნაში უთუოდ როლს ითამაშებდა მეზობელი ქვეყნების კართა გავლენაც (ბიზანტია, სპარსეთი) და, პირველ რიგში, ქართული ეროვნული ადამ-წესებიც. ყველა ეს ფაქტორი ქართველ არისტოკრატიულ საზოგადოებას უკარნახებდა უაღრესად ფრთხილ დამოკიდებულებას გაუთხოვარი ქალის უმანკოებისადმი

(ცალკადაც ამ ფაქტორებს აღარ განვიხილავთ).

აი, ამ საკმაოდ ღარიბ, მაგრამ ზოგად ზანებში მაინც საგულისხმო ისტორიული კავშირებისა და ანალოგიების ფონზე უნდა იქნას განხილული „ვეფხისტყაოსნის“ ის მოტივები, რომლებიც ქალ-ვაჟის ურთიერთობას შეეხება და რომლებშიაც გაგრძელებულ ზნე-ჩვეულებებთან ერთად და მათ ფონზე ავტორის საკუთარი ეთიკური მრწამსი და შემოქმედებითი ინდივიდუალობა მკაფიოდ გამოიხატება. იმის ნიშნად, თუ როგორი რთულია ეს საკითხი და როგორი სიფრთხილე გვმართებს მასზე მსჯელობასას, რომ ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი არ გავაუბრალოთ და არ დავჩრდილოთ, ან არ დავიყვანოთ იგი შიშველ ნატურალიზმამდე, გამოდგება პოემის ყველა ეპიზოდი.

„ვეფხისტყაოსნის“ ცნობილმა მკვლევარმა ზ. ავალიშვილმა ამ ოცდაათი ოც წლის წინათ წამოაყენა დებულება, რომ, როცა ავთანდილი ტარიელის მოძებნის შემდეგ არაბეთს ბრუნდება და თინათინი მას შეხვედრის დროს „საწადელს უსრულებს“ და სამახსოვრო „მარგალიტს“ უძღვნის, ამ სცენაში ავთანდილის ღვაწლის ჯილდოდ შეუღლება უნდა ვიგულისხმოთ.¹ მკვლევარის არგუმენტაცია შემდეგია: თინათინი ავთანდილს, თავის მიჯნურს. სამსახურად (ტარიელის მოსაძებნად) გზავნის, მანამდე ერთგულებას აღუთქვამს და ჯილდოს ჰპირდება.

„კოკობი და გაუფრქველი, დაგზვდე ვარდი დაუმუნარი“ ეუბნება თინათინი, ხოლო მისი დაპირების საერთო აზრი,

როგორც შემდეგ ვტყობილობთ, ავთანდილმა ასე გაიგო:

„მიბრძანა: მიცან აშავი მის ყმისა
დაკარგულისა,
მოხვიდე, სრულ ვქმნა მაშინდა შენი
წადილი გულისა“ (153)

„ნათქვამს ისიც უნდა დაუშვაროთ, — სწერს ავტორი, — რომ განხილული ადგილის ცოტა ქვევით აღწერილია რუსთაველისებურად ის სევდა და მელანქოლია, რომელთაც შეიპყრეს ავთანდილი „ლხინი ესე აწინდელის“ შემდეგ, სახლში რომ დაბრუნდა და აუცილებელ (მეორე) გაყარაზე რომ იფიქრა.

„საუვარლისა სიახლესა მოშორება
გამწარებს.
ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა
ასუღარებს, ახუარებს.
ყმა მივიდა, საწოლს დაქდა, ზოგჯერ
ტირს და ზოგჯერ ბნდების,
მაგრა ახლავს გონებთა საუვარელსა,
არ მოსწყდების.

ამის შემდეგ მოდის ცნობილი ტაეპი:

გული ჯრულია კაცისა, ხარბი და
გაუძლომელი,
გული თამ-თამად ყოველთა ჭირთა
მომო, ლხინთა მდომელი!

და სხვა... მერე კი ისევ „მარგალიტს“ ვხვდებით.

„რა გულსა უბოხა გულისა საქმენი
საველოსონი,
მან მარგალიტნი მოიხვნა, მის მზისა
სამყვეისონი.
მის მზისა მკლავსა ნაბამნი, მის
კბილთა შესატყვისონი,
პირსა დაიდვა, აკოცა, ცრემლი სდის,
ვითა ბისონი.

¹ ზ. ავალიშვილი, „ვეფხისტყაოსნის საკითხები“, პარიზი, 1931, თ. „მიჯნურობა“.

ზ. ავალიშვილის მოყვანილ ინტერპრეტაციას არ ეთანხმება ალ. ბარამიძე. „ეს მოსაზრება თავიდან ბოლომდე მცდარია — წერს ავტორი, — საერთოდ დაკვირვებული რუსთველოლოგის (ზ. ავალიშვილის) ამ ინტერპრეტაციით ეკვის ქვეშ არის დაყენებული „ვეფხისტყაოსანში“ ასახული ზნეობრივი და ეთიკური მოძღვრების არსი, „ვეფხისტყაოსნის“ ამადლებული და ფაქიზზნეობიანი სიყვარულის ხასიათი. მკვლევარს რუსთველური სიყვარული დაუყვანია „ვისრამიანისებურ“ სექსუალობამდის“¹.

ზ. ავალიშვილის ინტერპრეტაცია არ გაიზიარა ვ. ნოზაძემ². მისი არგუმენტაცია შემდეგია: მარგალიტი არის შეუღლებებისა და სიყვარულის სიმბოლო და არა ფიზიკური სიახლოვისა, როგორც ეს ზ. ავალიშვილის ინტერპრეტაციით გამოდის. თინათინმა აეთანდღის მისცა ნამდვილი მარგალიტი, როგორც სიყვარულის, მომავალი შეუღლების ნიშანი; ამ წყვილის სიხარულს თავისი კულმინაციისათვის არ მიუღწევია: ასეთი კულმინაცია მხოლოდ მომავალშია მოსალოდნელი და ღვთისგან გამოსათხოვი:

„ღმერთმან ქნას და გაუსრულდეს ღვინის
ასე აწინდელი“;

711-ე სტროფი, მკვლევარის თქმით, არ არის სწორად გაგებული ზ. ავალიშვილის მიერ. მისი აზრი ასეთია:

I ტაეპი: რა სჯობს, რომ კაცმა ვიშერი ბროლსა და ლალს შეახოს (ახოს). ვიშერი — თვალ-წამწამებია, ბროლ-ლალი — ღაწვები. მთლიანი აზ-

რია: სიყვარულის ღვინი როცა აღმზიანში მორცხვობას იწვევს, რომ თვალს დახუტავს და წამწამებს თავის ლოყებს შეახებს. დ. ჩუბინაშვილის განმარტებას: „ვიშერი უღვაშია, ბროლ-ლალის ღაწვები, ტაეპი კოცნის მეტაფორას შეიცავს“ მკვლევარი არ იზიარებს.

II ტაეპი: ვ. ნოზაძეს პირდაპირი აზრით ესმის, როგორც ხეებზე მსჯელობა (ალვასა და საროზე). მეტაფორების გახსნის ცდა არაა მოცემული.

III ტაეპი: ვინც ასეთ მორცხვ კაცს უყურებს, ეს არის სასიხარულო. მისი ვერ ხედვა სავაგლახოა. „ზომ არ შეიძლება აქ ლაპარაკი ასეთი იყოს: ვინც მათ ერთად უყურებს, იგი გახარებულია, ვინც ვერა, ის სავაგლახოა. სისულელე გამოდის“.

IV ტაეპი: ვინც მოყვარეს გაეყრება, მას ახი ეყოს ანუ ოხვრა შეექმნას და ამიტომ იჩივლოს, იახოს.

ამას მოსდევს სამართლიანი მსჯელობა იმაზე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ „მტლამა-მტლუში“ რომანი არაა და რომ რუსთველი მიჯნურობას და მრუშობას ერთმანეთში არ ვარეკდა.

ზ. ავალიშვილის და ვ. ნოზაძის დავაში გასარკვევად საჭიროა მათი არგუმენტების დაწვრილებით განხილვა, დავიწყოთ უკანასკნელით.

ა. „მარგალიტი“ არ აღნიშნავს არც „შეუღლებას“ და არც რაიმე სხვა ამბავს, ფაქტს. იგი აღნიშნავს მხოლოდ ხელშეუხებლობას და ამას თვალნათლივ მოწმობს ვ. ნოზაძის მიერ აღმოსაველური პოეზიიდან მოყვანილი ადგილები.

ბ. „ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ღვინი ესე აწინდელი“ არ ნიშნავს „შესრულების“, „სურვილთა ახდომის“ თხოვნას. „ღვინის შესრულება“ შეუქ-

¹ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 88.

² ვ. ნოზაძე, ფერთამეტყველება, გვ. 129-133.

ლებელია: „შესრულება“ შეიძლება სურვილისა და არა ლზინისა. „გაუსრულდეს“ აქ შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ „სრული გაუხდეს“, „სამუდამო გაუხდეს“, „სულ გაუგრძელდეს“ (აქი სიტყვა „სულ“, რომელიც თავისი ერთ-ერთი მნიშვნელობით „მუდამ“-ს უდრის. ეტიმოლოგიურად „სრულ“ სიტყვაა და მეტი არაფერი). აზრი, ამგვარად, ნათელია: „ღმერთმან ქმნას და ეა ლზინი, რომელსაც ავთანდილ-თინათინა ერთმანეთის სიახლოვეში ჰპოვებენ, სამუდამო გახდეს, მას განშორება ნულარ დაარღვევს“.

გ. 711-ე სტროფის I ტაეპის ნოზაძისეული ინტერპრეტაცია მეტად ხელოვნურია. მასზე ბევრად დამაჯერებელია ჩუბინაშვილისეული ინტერპრეტაცია. ნოზაძის მიერ ციტირებული (იხ. ზე-მით). ამ უკანასკნელს მხარს უჭერს იმავე სარიტომო სიტყვის ხმარება ანალოგიური მნიშვნელობით 715-ე სტროფში.

დ. 711-ე სტროფის II ტაეპი ნოზაძის ინტერპრეტაციით აბსოლუტურად გაუგებარია. რა შუაშია აქ ხეები — სარო და ალვა? ესენი შეიძლება გავუგოთ მხოლოდ მეტაფორულად, როგორც წერწეტი ტანის აღმნიშვნელი (ასეთი მეტაფორა „ვეფხისტყაოსანში“ ჩვეულებრივია).

ე. 711-ე-სტროფის III ტაეპი ვ. ნოზაძის ყველაზე ძლიერი არგუმენტი, მაგრამ მინც არა გადამწყვეტი. ამ ტაეპის აზრი შეიძლება ასეც აგხსნათ: ამა რა? ა) საყვარლის სიახლოვე (ამაზე ლაპარაკია I—II ტაეპებში, ბ) ის, რომ კაცი იყოს მშვენიერი, იდეალური სილამაზის პატრონი, მკვრეტელთა დამატყვევნი (III ტაეპი). გმირთა სილამაზის არამოტივირებული, უეცარი გახსენება პოემის ავტორისთვის საზო-

გადოდ უცხო არ არის, მით უმეტეს, თუ ამას რითმა მოითხოვს (ავაგლახიოს, მაგრამ ვის? თავის ვერ-მკვრეტს), ეს გაგებაც მთლად ბუნებრივი არაა. კერძოდ, ცოტა უცნაურია გადასვლა I—II ტაეპთა თემიდან III ტაეპის თემამდე.

ამ სტროფის მეოთხე ტაეპი პირველ სამთან უშუალოდ დაკავშირებული არაა და როგორც ზ. ავალიშვილის, ისე ვ. ნოზაძის ინტერპრეტაციას თანაბრად იტანს.

ვ. ყველაზე ძლიერი არგუმენტი, რომელიც შეიძლებოდა ვ. ნოზაძისა და ალ. ბარამიძის შეხედულებების სასარგებლოდ მოგვეყვანა და რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობისა იქნებოდა, ეს ისაა, რომ როცა ფატმანი ავთანდილს აშოკობას დაუწყებს, ავთანდილი ფიქრობს:

„თქვა: ყვაი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია.
მაგრა მას ზედა ბულბულსა ჯერ ტებოლად არ უმღერია“.

მეტაფორები რომ გავხსნათ, მივიღებთ შემდეგ აზრს, რომლითაც ავთანდილი, თითქოს, თინათინის ლალატს (ფატმანთან თავის ურთიერთობას) ამართლებს: „ვარდს (ავთანდილს) ცოდვად არ ჩაეთვლება ყვაეთან (ფატმანთან) ურთიერთობა, რადგან ბულბულს (თინათინს) ჯერ ამ ვარდზე არ უმღერია, ე. ი. ავთანდილთან ჯერ ისე ახლოს არ არის, რომ ავთანდილს ფატმანთან კავშირი ლალატად ჩაეთვალოს. ეს შინაგანი დიალოგი ხდება გულანშაროში, ე. ი. ავთანდილ-თინათინის იმ შეხვედრის



მერე, რომლის ინტერპრეტაციასაც და-
ვა ეხება. მაგრამ, ვფიქრობთ, „ბულბუ-
ლის ვარდზე ტურფად მღერის“ მეტა-
ფორა აქ უნდა ნიშნავდეს სიახლოვის
სამუდამოდ გაგრძელებას.

ყოველივე თქმულის შემდეგ სადაო
სცენის აზრი მთლიანად ასე უნდა გავი-
გოთ: ავთანდილის ლეწლის მადლიერი
თინათინი ავთანდილს გადაწყვეტილე-
ბას (მეორედ წასვლას ტარიელის ძებ-
ნად) უწონებს. თინათინსა და ავთან-
დილს შორის ყველაფერი გარკვეულია,
გარდა ერთისა, რასაც თინათინი ასე
გამოხატავს:

„ჩემი თქვი, რა ვქნა ბნელ-ქმნილმან, მზე
მიმეფაროს, მი, ცისა?“ (706).

ე. ი. შენი სიშორე როგორ გაეძლო?
ავთანდილის პასუხია:

„ყმაჲან ჰკადრა: სიახლითა შერთე ჳირი
ფვიდსა მე რვა,
ცუდი არის დამზრალისა ვასათობად
წყლისა ბერვა,
ცუდი (ე. ი. ამო) არის სიყვარული,
ჳვევით კოცნა მზისა წვერვა,
რა გეახლო, ერთხელ ვა და რა მოგშორდე
ათასჯერ ვა“ (707).

რას ნიშნავს „მზის წვერვა“, ნათელი
არაა, მაგრამ მთელი სტროფის აზრი სა-
ერთოდ ვასაგებია: აქ ლაპარაკია, ერთი
მხრივ, ავთანდილის ტანჯვაზე თინათი-
ნის სიახლოვეში და სიშორეში (ეს მო-
ტივი სხვაგანაც გვხვდება), მეორე მხრივ,
რაღაც გაუბედავი, დაუსრულებელი ნა-
ბიჯის უსარგებლობაზე, რომელიც
„წყლის ბერვის“ და მზის მაგიერ „ჳვე-
ვით კოცნის“ სახეებშია გამოხატული.
პირველის (სიახლოვეში ტანჯვის აზრი
ამ კონტექსტში შეიძლება მხოლოდ მი-
ულწევლობის ხაზგასმა იყოს. მეორეზე
უსარგებლობაზე) ლაპარაკი შეიძლება

მხოლოდ შესავალი იყოს რაღაც თხოვ-
ნისა, რომელიც ამას მრწყებდა (შემ-
დეგი სტროფი, მართლაც, უფრო გაბე-
დულ განდობას შეიცავს):

„მალვა მწანს, შავრა გარდახდა ჳიმი
პატიეთა სიმალი“ (708).

შემდგომი სტროფი კი უკვე სავე-
ბით კონკრეტულ და თავისებურად და-
საბუთებულ თხოვნას გამოხატავს:

„მესმა თქვენი ნაუბარი, გავიგონე რაცა
ბრძანე“ („შენ სიშორეს როგორ გაეძღბო“.
იხ. 706, 6).

„ვარდსა ჳაცვი მოპოვებს, ეკალთამცა
რად ვეფხანე!
შავრა, მზეო, თავი მზესა ჳემოთვის
სრულად დაგვანე,
სიციცხლისა სიმიელო ნიშანი რამ წამატანე“.

ხაზგასმული სიტყვა „გავიგონე“ რუს-
თაველის ენაში ნიშნავს „გაგებას“, „მი-
ხვედრას“ და არა „სმენით გავგონებას“
(აქი „სმენით გავგონების“ აღსანიშნავად
აქვე სხვა ჳმნა, „მესმა“ იხმარება). ამ-
გვარად, ავთანდილი თინათინს ეუბნება:
„გავიგონე შენი ნათქვამი, გავიგე, რაც
ბრძანეო“. რაკი აქ „გაგებაზე“, „მიხვე-
დრაზე“ ლაპარაკი, მამ თინათინის სი-
ტყვებშივე („მე რა ვქნა ბნელ-ქმნილ-
მან?“) რაღაც ისეთი ყოფილა, რასაც
მიხვედრა, გაგება სჭირდება და რაც
პირდაპირ არაა ნათქვამი. ეს ისაა, რომ
სანამ ავთანდილი თავის სათხოვარს გა-
ბედავდეს, თინათინი თვით უმხელს თავისი
გრძნობის სიძლიერეს. ეს ზედმი-
წევნით ეგუება რუსთაველური მაღალი
ტრფობის საერთო კონცეფციას: ვაჟი
ქალის რიდსა და კდემას იცავს, სიყვა-
რულის გამხელის ინიციატივა ქალს
ეკუთვნის.

ამგვარად, ავთანდილის აზრი შემდე-
გია: ჳირში ლხინს ვეძებდი, ტანჯვაში —
შენს სიყვარულსო. მამ მადირსე სრული

ბედნიერება (III ტაქტი). ამ თხოვნაშია იმ ვრცელი შესავალის გამართლება, რომელიც მას უძღვის. მომდევნო სტროფის I—II ტაქტებში. საუბარია იმაზე თუ როგორ ნაზად, დაყვავებით ესაუბრება ავთანდილი თავის სატროფოს.

„უმა ტპილი და ტპილ-ქართული,
საყეთისა ხელის მხდელი.
შესა ვერე ეუბნების, ვით ვაზრდისა
ამო მზრდელი“ (710).

ამას კი მოსდევს დაშორება, რომელსაც ავთანდილი მეტად დრამატულად განიცდის და რომლის დროსაც თავის გულს შემდეგი საგულისხმო სიტყვებით მიჰმართავს:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და
ვაუღლომელი,
გული ვამ-ვამად უოველთა ჭირთა მამო,
ლხინთა მწდომელი“.

ფაქტობრივ მხარეზე უფრო არსებითი მნიშვნელობა ჩვენთვის აქვს პოეტის მხატვრულ ჩანაფიქრს, რომელიც ამ სცენაში თავის გამოხატულებას პოულობს. ეს ჩანაფიქრი კი მეტად ფაქიზია, იგივე, საკითხის ემპირიული მხარის შესავსად, სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს გაგებული.

თუ ზ. ავალიშვილის თვალსაზრისზე დავდებით, მაშინ განხილული სცენის პათოსი იმაში უნდა დავინახოთ, რომ იდეალური მეფე-ქალი თინათინი, მიუხედავად თავისი თვალშეუღვამი ბრწყინვალეობისა (შდრ. რუსთაველის, აგრეთვე მისი თანამედროვეების ტროპიკა), არაა მიუწვდომელი თავისი თავდადებული მიწურისათვის. აღამიანური გრძნობა და განცდა-წუხილი მას იმდენადვე ახასიათებს, რამდენადაც ყველა ქალს (შდრ. ტარეღლის მონათხრობი: „მწადდა, მაგრამ ვერ შევმართე შემოკლდომა, შემოხვევა“) და თავისი თამამი

გადაწყვეტილებით იგი, გრძნობის/გამკლავებასთან ერთად, ^{ჩანაფიქრებს} სხვათა დიდის განსაცდელსა და წიფათს. ამგვარ ფსიქოლოგიურ გააზრებასთან კავშირშია ის, რომ ავთანდილი ამ ბედნიერი პაემნის შემდეგ განიცდის გრძნობათა უეცარ აფორიაქებას, რაც თავის ზენიტს სწორედ ამის მომდევნო დაშორებაში აღწევს. აქვე ამ მეორე დაშორებაში, მოცემულია პოემის დრამატიზმის ზენიტიც. მაგრამ, რაც უნდა სრული და ბუნებრივი იყოს რუსთაველის მხატვრული ჩანაფიქრის ასეთი ამოხსნა, სადავო სცენის ზ. ავალიშვილისეული გაგება მაინც ვერ ჩაითვლება სარწმუნოდ და ვერ ჩაითვლება სწორედ ისევე მხატვრული ჩანაფიქრის მხრივ. საქმე ისაა, რომ პოეტი თვით ცდილობს ეს სცენა კდემისა და იდემალების ბურუსით შემოსოს.

შინ მობრუნებული ავთანდილი მარგალიტებს მოიღებს, თინათინის ნაწუქარს, „მის მზისა სამეყვისოს“; „მეყვისი“ არის „მოყვარე“, „საყვარელი“, მარგალიტი, მაშასადამე, თინათინის სიყვარულის სიმბოლოა.

საკითხავია: რაში მიჰყვება რუსთაველი განხილულ სცენაში თავის თანამედროვეთა გემოვნებასა და ეთიკურ წარმოდგენებს და რამდენად? ცხადია ამთავითვე, რომ იგი მიჰყვება მხოლოდ იდეალური გმირების მხატვრული ლიტერატურის ტრადიციასა და პოზიტიურ ეროვნულ მორალს, რომელიც ქალის უმანკოებისადმი ფრთხილი მოპურობით ხასიათდება, და არა ზნეთა ერთგვარ თავისუფლების ტრადიციას, რომელსაც რაინდული სიყვარული და კარისკაცული ცხოვრება გულისხმობს. მაგრამ ამ მყარი ტრადიციის შიგნით იგი მაინც ერთგვარ თავისუფლებას იჩენს: ბუნებრივ, აღამიანურ გრძნობებს არსე-

ბითად, მცნებებზე მეტ ყურადღებას უთმობს.

ზემოთქმული მხოლოდ იდეალურ გმირთა ურთიერთობას შეეხება. რომ აქ ტრადიცია, რომელსაც პოეტი მიჰყვება, არის საგმირო ეპიკის ტრადიცია, ეს განსაკვირვებელი არაა. მაგრამ სამაგიეროდ პოემის სხვა პერსონაჟთა მოქმედებაში, კერძოდ კი მათ ურთიერთობაში მთავარ იდეალურ გმირებთან მკაფიოდ ჩანს ზნეთა ის ერთგვარი თავისუფლება, რომელიც შეპირობებულია ქრისტიანული ასკეტიზმისადმი რწმენის შესუსტებით და დამახასიათებელია საერთოდ კარისკაცული ცხოვრებისათვის.

ასეთი ტიპური მსუბუქი ურთიერთობის ნიმუშია ასმათის მიერ ტარიელთან გათამაშებული „მიწობა“, რომლის განმავლობაში ასმათმა იცის, რომ ნესტანის შუამავალია, მაგრამ ნესტანზე გამიჯნურებულმა ტარიელმა ეს არ იცის და ასმათის წინადადებას დაუმიჯნებლად მიჰყვება.

„...მიუყოლობა არ ვარცა, დამწამებს
(ასმათი) უმძრახობასა,
ჩემგან იმედსა გარდიწყვეტს,
მერამე დამიწყებს ვმობასა.
მივწყვრე, რაცა პასუხად მპართებდა
„მიწობასა“ (360).

ეს ხდება მაშინ, როცა ტარიელის მიჯნურობა ნესტანისადმი თითქმის თავის ზენიტშია. ამ დროს, როგორც მას ჰგონია, მასთან სააშიკოდ მოსულ ასმათს ის სრული თავაზიანობით ხვდება და მზადაა მასთან ფლირტი გააბას: „რათ ჰზი, მუნ თუ სიყვარული ჩემი გვირსა?“ ასმათი კი, რომელმაც მას ნესტანის მოციქულობა უნდა გადასცეს, შემდეგი არაორაზროვანი ქათინაურით მიმართავს:

„მიზრა: დღე ესე სირცხვილად მეღებინ
გულსა ჩაღობასა,
გგონია ჩემგან წინაშე ამითუნის მომწყობობა,
მაგრამ აჲ მიღებს იმედსა შენგან
ცდისავე მალობა,
ამას თუ ღირსეარ, არ ვიტყვი, მაკლია
ღმრთისა წყალობა“ (374).

ტარიელის ამ ქცევის მოტივაციის სუსტი ცდები, რაც მის მონაყოლშია შიგადაშიგ მოცემული, საქმის ვითარებას არსებითად არ ცვლის („თავი მივეც თმობა-ქმნათა... აუგისა საკრძალველად“ და ა. შ.).

ეს ეპიზოდი იმასაც გვიჩვენებს, თუ რამდენად უმართებულო იქნება, რომ რუსთაველს — აქაო და იგი მაღალი მორალის მქადაგებელი პოეტიაო, ყოველგვარი თავისუფალი აზრის გამოთქმის საშუალება წაგართვათ და ხელი ავიღოთ მისი შეხედულებების გამორკვევასა და შესწავლაზე საზოგადოებაში ქალისა და ვაჟის ურთიერთობის შესახებ. ეს ეპიზოდი შექს ჰფენს გულანშაროს ეპიზოდსაც.

ავთანდილი ძმანაფიცის დახმარების მიზნით უახლოვდება ვაჟრის ლამაზ ცოლს და, თავისი მაღალი სატრფოს ღალატის სრული შეგნებით, ფატმანის სარეცელზე მალულად „ცრემლსა სწვიმს“:

„მას ლამეს ფატმან იამა ავთანდილთანა
წოლითა.
უმა უნდოგვარად ვხვევის ყელსა ყელთა
ბროლითა.
ჰკლავს თინათინის გონება (თინათინზე
ფიქრ), ძრწვს იღუმლითა ძრწოლითა,
გული მზეცქმნილი ვასჭრია მზეცთავე
თანა ბროლითა.

რენესანსული ფერებით ნახატ ქალაქ გულანშაროში მომხდარი, ეს მეტად თავისუფალი ეპიზოდი, სრულებით გარკვეულ შთაბეჭდილებას სტოვებს თანამე-

დროვე მკითხველში, რომელიც პოემაში რელიგიური ბორკილებიდან გამოხსნის ძეგლსაც ხედავს და მზადაა ავტორის პათოსიც, ამ ეპიზოდის მიხედვით, იმაში დაინახოს, რომ იგი მსუბუქ ფლირტს გვაჩვენებს, ასე ესმის ეს ეპიზოდი, სხვათა შორის, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ყველაზე ფაქიზ უცხოელ შემფასებელს მ. ბოლრასაც, რომელიც წერს, რომ პოეტი გარეგნულად, თითქოს ჰგმობს ავთანდილის ამ სულწასულობას, მაგრამ ამავე დროს ცბიერად ელიმება არა მარტო ფატმანზე, არამედ ავთანდილზედაც, რომელმაც ამ ბუნებრივ ადამიანურ ცდუნებას ვერ გაუძლო. მაგრამ ნამდვილად ეს მთლად ასე არ არის. რუსთაველის ეპოქას და მის საზოგადოებას არ მიაჩნია დიდ ცოდვად მიჯნურისათვის მსუბუქი ფლირტი მის სატრფოზე ნაკლები სოციალური მდგომარეობის და ნაკლები ადამიანური ბრწყინვალეების ქალთან! (ტარიელ-ასმათის ეპიზოდი ამის მკაფიო ილუსტრაციაა), და პროლოგში მოცემული მცნებაც, რომ მიჯნური თავისი ტრფობის საგნებს არ უნდა იცვლიდეს, როგორც ჩანს, ამ მაღალ სატრფოს ეხება და არა მცირე რომანებს. პირიქით, ამ ეპიზოდში მთავარი ისაა, რომ ავთანდილს არ უნდა ფატმანთან რომანი (და არა ის, რომ ამის ნება არა აქვს) და სწორედ ამაშია ეპიზოდის პათოსი. რუსთაველი აქ მხოლოდ ქრისტიანული მორალის მიმართ კი არაა ორიგინალური, რომელიც შემთხვევით ხორციელ

კავშირს და, მასთან ერთად, ყოველგვარ სიხარულს კრძალავს (აქედან: პროტესტი მისთვის უკვე განვლილი ეტაპია) — იგი ორიგინალურია თვით ამ არისტოკრატიული ტრადიციის მიმართ, იგი გრძნობას უფრო თავისუფლად ხატავს, ვიდრე საოჩინდო-სამიჯნურო კულტის ნორმები მოითხოვს: შორს მყოფი სატრფოსადმი ერთგულების ღრმად ადამიანური გრძნობა, რომელიც ავთანდილს ტანჯავს, მას უფრო აინტერესებს. ვიდრე რაინდული სამიჯნურო კულტის მცნებები.

იმისათვის, რომ სწორად იქნას გაგებული „ვეფხისტყაოსნის“ მოტივები, საერთოდ, და ამ წერილში განხილული მოტივები კერძოდ, უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: „რენესანსის“ ცნება, რომელიც დიდი ხანია რაც სავსებით მართებულად იხმარება ჩვენი დიდი პოეტის შემოქმედების დასახასიათებლად, გულისხმობს მხოლოდ მისი ფილოსოფიურ-ეთიკური აზროვნების თავისუფლებას და მისი პოეტური განცდის მრავალმხრივობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მის სოციალურ მრწამსს. თავისი სოციალური მრწამსით რუსთაველი სავსებით მიჰყვება იმ რწმენა-შეხედულებებს, რომლებიც თამარის ეპოქის საქართველოს ცხოვრებას საფუძვლად ედო. ხოლო მისი შეხედულებები მორალზე ზოგადად, არსებითად, ისეთივე მკაცრი და უკომპრომისოა, როგორც იყო და უნდა ყოფილიყო, ისტორიული აუცილებლობის ძალით, თამარის დროინდელი ქართველი მმართველი წრის მორალი. აქედან გამომდინარეობს არსებითი მნიშვნელობის დასკვნა რუსთაველის პოემის სამიჯნურო მოტივების შესახებაც: თუმცა რუსთაველი იდეალურ, მაღალ სიყვარულსაც უმღერის სწორუპოვარი პათოსით და ვაჭართა ქა-

¹ აღსანიშნავია, რომ ტრუბადურებსაც დასაშვებად მიიჩნიათ, რომ კაცს მაღალი სიყვარულის გვერდით მეორე, მგრძნობელობისათვის განუთვნილი საუვარულო გაეჩინა. ეს უკანასკნელი არისტოკრატიული წრის ქალი არ უნდა ყოფილიყო.

ლაქისთვის (აგრეთვე, ყოველდღიური საკარო ცხოვრებისათვის) დამახასიათებელ მსუბუქ ურთიერთობებსაც უდიდესი რეალიზმით ხატავს, მაგრამ ეს განსხვავებული მოტივები და განწყობილებანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი მხატვრული კონცეფციის სხვადასხვა სართულზე თავსდება. მეორენი წარმოადგენენ ემპირიული ცხოვრების ნაწილს, რომელსაც იგი კარგად იცნობს და ანგარიშს უწევს. პირველნი არიან მისთვის სასურველი, სათაყვანებელი, იდეალური სინამდვილის ნაწილი, რომელსაც იგი თავისი რწმენა-შეხედულებების მიხედვით ქმნის (რადა თქმა უნდა, საქართველოს რეალური სინამდვი-

ლიდან აღებული მორალისაგან. აქ იგულისხმება, სხვათა შორის, თაყმარეს მღიჯ როვნებისა და მისი კარისათვის დამახასიათებელი დიდი სიფაქიზე და სიწმინდეც).

ესაა ერთ-ერთი გამოვლინება რეალიზმისა და რომანტიზმის იმ უნიკალური შეზავებისა, რომელიც რუსთაველის განუმეორებელი მიღწევაა ლიტერატურის ისტორიაში.

სიცოცხლისა და ადამიანის სიღიადის ისეთი ჰიმნისთვის, როგორცაა „ვეფხისტყაოსანი“, ისევე უცხო და მიუღებელი იქნებოდა ბოკაჩოსებური სითამამე, როგორც უცხოა ზედმეტი რიგორიზმი და ასკეტიზმი.



აკოდონ ნუსუპიძე

„სახალხო კაპიტალიზმის“ ბურჟუაზიულ-რევოლუციონისტული თეორიის კრიტიკა

თანამედროვე კაპიტალიზმის აბოლოგეტები, რომლებსაც განზრახული აქვთ ყოველმხრივ დაიკვან ეს საზოგადოება, უდიდესი მონდომებით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ძველი ბურჟუაზიული წყობილების ნაცვლად თითქოს განხორციელდა რაღაც, ახალი წყობილება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „სახალხო კაპიტალიზმი“.

1959 წლის 17 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა ჰ. ლოჯმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამერიკის ეკონომიკური სისტემა შეიძლება შევადგასოთ როგორც „ეკონომიკური ჰუმანიზმი“ და არა როგორც „მონოპოლისტური კაპიტალიზმი“.

აღნიშნული შეხედულება ამჟამად საყოველთაო გავრცელებას პოულობს მთელ ბურჟუაზიულ სამყაროში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და სხვ. კაპიტალისტურ ქვეყნებში.

„ბურჟუაზიული წყობილების დამცველები — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — ცდილობენ იყოლიონ მასები სულიერ ტყვეობაში და იგონებენ სულ ახალ „თეორიებს“, რომლებიც ნიღბავენ ბურჟუაზიული წყობილების ექსპლოატატორულ ბუნებას, ცდილობენ შეაღამაზონ კაპიტალიზმი. ისინი გვარწმუნე-

ბენ, თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმში შეიცვალა თავისი არსი, გახდა „სახალხო კაპიტალიზმი“, რომელშიც ხდება საკუთრების „დაქსასვა“ და კაპიტალის „დემოკრატიზაცია“, ქრებიან კლასები და კლასობრივი წინააღმდეგობანი, „თანაბარდება შემოსავალი“ და ისპობა ეკონომიკური კრიზისები“.

დამახასიათებელია, რომ იმპერიალიზმის იდეოლოგები „სახალხო კაპიტალიზმით“ ცვლიან „კაპიტალიზმის“, „იმპერიალიზმის“ ცნებასაც კი, რომლებიც სულ უფრო არაპოპულარული ხდებიან ფართო მშრომელი მასების თვალში.

რა თქმა უნდა, ამით ბურჟუაზიული და რევოლუციონისტი ავტორები ცდილობენ უარყონ ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმი უკიდურესობამდე ამწეავებს წინააღმდეგობებს, რომლის იქით რევოლუცია იწყება, რომ იმპერიალიზმი არის სოციალისტური რევოლუციის წინაღუ და სხვ. მეტიც, ისინი იმპერიალიზმის ლენინურ თეორიას საერთოდ მოძველებულად აცხადებენ.

ინგლისელმა ლეიბორისტულმა ეკონომისტმა ბარატ ბროუნმა გასულ წელს გამოაქვეყნა ნაშრომი: „იმპერიალიზმის შემდეგ“, სადაც ავტორი ცდილობს გვი-

1 სკკპ პროგრამა, 1961, 57—58.

ჩვენს „უმპერიალიზმო“ კაპიტალიზმში. წიგნში აღნიშნულია, რომ იმპერიალიზმის ლენინური თეორია მოძველდა, ძალა დაკარგა.

ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ „საბანკო კაპიტალის შეზრდა მრეწველურ კაპიტალთან წარმოქმნის „ფინანსურ კაპიტალს“ და ამის საფუძველზე ფინანსურ ოლიგარქიას, ავტორის მტკიცებით, სრულებით არ არის დამახასიათებელი ინგლისისათვის¹.

ამავე სულისკვეთებით გამსჭვალულია მეორე ლიბორისტ ეკონომისტის რიტა ჰინდენის ნაშრომიც: „იმპერია და მომავალი“, რომელიც გადაჭრით აღიარებს იმპერიალიზმის მოსაობის ფაქტს.

რაც შეეხება ჯონ სტრეჩის დიდად გახმაურებულ წიგნს „იმპერიის დასასრული“, მასში ხომ გარკვევით არის ნათქვამი, რომ კაპიტალიზმი განთავისუფლდა კიდევ თავის ერთ „ძველ ტანსაცმლისაგან“, ნებაყოფლობით სთქვა უარი იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმისაგან² თითქოს იმპერიალიზმის შემდგომი პერიოდი არის „კეთილდღეობის სახელმწიფო“ და სხვ.

ჯ. სტრეჩის „იმპერიის დასასრულის“ ძირითადი ნაწილი მიმართულია ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომის: „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ ძირითადი დებულებების წინააღმდეგ, სახელდობრ, რომ თითქოს იმპერიალიზმისათვის არ არის დამახასიათებელი მონოპოლიების ზრდა, საბანკო კაპიტალის შეზრდა მრეწველურ კაპიტალთან, სახელმწიფოზე მონოპოლიების კონტროლი, კაპიტალის გატანა, კოლონიური ხალხების ექსპლოატაცია და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ „სახალხო კაპიტალიზმის“, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ და სხვ. იმპერიალისტური თეორიების წარმოშობის

საფუძველს კაპიტალიზმის ბუნების შეცვლის, კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ შესაძლებლობის ცალბედიანი წარმოადგენს.

ახლა ბურჟუაზიულ აპოლოგეტებს შორის იშვიათად მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც არ ამტკიცებდნენ, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი თითქოს ძირეულად განსხვავდება წინანდელ, XIX საუკუნის კაპიტალიზმისაგან, რომ ძალაში იყოს მარქსის დებულებები თანამედროვე კაპიტალიზმის მიმართ და სხვ. მათი მტკიცებით თანამედროვე კაპიტალიზმისათვის სავსებით გამოუყენებელია მარქსიზმი, მან დაკარგა მნიშვნელობა.

„არაფერი ისე არ გვიჩვენებს ცხოვრების ამერიკული წესის ძალას და ამერიკის სისტემის საუკეთესო შემგუბლობას, როგორც ამერიკის კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია“¹ — წერდა აშშ მონოპოლისტური კაპიტალის ორგანო „ფორჩუნ“ ჯერ კიდევ 1951 წელს.

1959 წელს ქ. ტოკიოში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც თანამედროვე კაპიტალიზმის ბუნების ცვლილების საკითხს მიეძღვნა, თავის სიტყვაში ჯონ სტრეჩიმ განაცხადა: „მე მჯერა, რომ ბრიტანეთში და განსაკუთრებით ამერიკაში, მან (კაპიტალიზმმა ა. ნ.) ძირეული ცვლილება განიცადა დემოკრატიის ზეგავლენით“².

სტრეჩიმ მხარი დაუჭირა მომხსენებელს პროფ. შიგეტსურუს იმაში, რომ ზდება კაპიტალიზმის სოციალიზმში „გადაზრდა“, რომ ეს არამართო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც არის და სხვ.

როგორც ცნობილია, „ტრანსფორმაციის“ თეორია შეიცავს მტკიცებას კაპიტალიზმის ძირეული ცვლილებების შესახებ. ამ თეორიის თანახმად მნიშვნელოვნად შესუსტდა კაპიტალიზმის კანონები, ძალა დაკარგა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია, მონოპო-

¹ Marxism today, February 1964, p. 58.

² John Streachy, The End of Empire, 1959 p. 139.

¹ Fortune, February, 1951, p. 79.

² Has Capitalism change?, 1956, p. 77.

ლია საკუთრების კოლექტიურ ფორმად იქცა, გაჰქრა კლასები და კლასობრივი წინააღმდეგობანი, აღარ არსებობს ექსპლოატაცია, მოისპო სილატაკე და გუკირეება, თითქოს სახელმწიფო იქცა ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტ ძალად და სხვ.

„ტრანსფორმაციის“ თეორიის საშუალებით ბურჟუაზიული ეკონომისტები ცდილობენ შეასუსტონ ის დიდი გავლენა, რომელიც მეურნეობის მსოფლიო სოციალისტურ სისტემას გააჩნია კაპიტალისტური ქვეყნების ფართო მშრომელ მასებზე. უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიული „თეორეტიკოსების“ ეს მტკიცება არ არის ახალი. მშრომელ მასებზე ზეგავლენის მოსახდენად ამ ხერხს ისინი წინათაც მიმართავდნენ.

ვ. ი. ლენინი თავის დროზე სასტიკად ებრძოდა კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ თეორიას, რომელიც ბერნშტეინის და მისი მომხრეების ერთ-ერთ იდეოლოგიურ საგანძურს შეადგენდა. თავის შენიშვნებში ნ. ი. ბუხარინის წიგნზე: „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“, ვ. ი. ლენინი სათაურზე: „ტრანსფორმაციული პროცესის საერთო თეორია“ შენიშნავდა: „რაო...?? БОУ-ყე?“ „a la Spencer??“. ბუხარინის სიტყვების გამო კომუნისტურ საზოგადოებაში კაპიტალისტური საზოგადოების გადაზრდის შესახებ, ვ. ი. ლენინი შენიშნავდა: „პო, მადლობა ღმერთს: თუნდაც არა...“ „ტრანსფორმაცია“ და არა საერთოდ, არამედ ცნობილია რა რაში!!“¹

ზოგიერთი ბურჟუაზიული ავტორი კაპიტალიზმის ახლანდელ საფეხურს ახალ ერას უწოდებს, ეს არის თითქოს

ტექნოკრატის პერიოდი, რამდენადაც წარმოების უშუალო მმართველად გამოდიან საინჟინრო-ტექნიკური მალეები¹.

ზოგიერთები კაპიტალიზმის ამ საფეხურს, „შერეული ეკონომიკის“, „შერეული კაპიტალიზმის“ ერას უწოდებენ, რაც აგრეთვე სწორი არ არის.

რეფორმისტული თეორეტიკოსები აცხადებენ, რომ კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციას“ ჩვენ მივეყვართ ან უკვე მიგვიყვანა „დემოკრატიულ ან ჰუმანურ სოციალიზმთან“. ამ შეხედულებას აშკარად იცავენ მემარჯვენე სოციალისტური ლიდერები, თანამედროვე ოპორტუნისტები, რომლებიც აღიარებენ კაპიტალიზმის სოციალიზმში „გადაზრდის“ შესაძლებლობას, რასაც თითქოს ადგილი აქვს ამჟამად.

დამახასიათებელია, რომ ეს ცრუ მეცნიერული მტკიცება მათ მარქსიზმის შემოქმედებით განვითარებად მიაჩნიათ, უარყოფენ სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის პერიოდში.

„სახალხო კაპიტალიზმის“ იმპერიალისტური თეორიის გამოხატულებას წარმოადგენს ისიც, რომ მისი ავტორები მას იყენებენ სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგალითად, დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი ავტორი ვ. დრეკსლერი თავის წიგნში „სახალხო კაპიტალიზმი“

¹ აღნიშნული თეორიის მრავალ ვარიანტს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია „მმართველობითი რევოლუციის“ ანუ „დირექტორული საზოგადოების“ თეორია, რომლის მიხედვით მსხვილ-კაპიტალისტურ წარმოებსა და კორპორაციებს არა კაპიტალისტები, არამედ დაქირავებული დირექტორები, მმართველები განაგებენ.

ამ თეორიის თანახმად ტექნიკისა და მსხვილი მანქანური წარმოების განვითარების შედეგად შესაქუთრე კაპიტალისტები თანდათანობით ისპობიან, მათ ადგილს იკავებენ ინჟინრები და ტექნიკოსები („ტექნოკრატები“).

¹ «Ленинский сборник», XI, გვ. 348.

² იქვე.

აღნიშნავს: „აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის თანამედროვე ვითარებაში, კაპიტალისტურ საზოგადოებრივ სისტემას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს შანსი შეინარჩუნოს არსებობა და წავიდეს წინ, თუ ის ისარგებლებს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის შეინაცვანი მხარდაჭერით... თუ დასავლეთის თავისუფალი ხალხი თავის სახლში შესძლებს წარმართოს სახალხო კაპიტალიზმის საზოგადოებრივი განვითარება ამა თუ იმ სახით. მაშინ ბოლშევიზმს გამოეცლება ნაიდაგი მისი იდეოლოგიური აგრესიისათვის“¹. ასეთი განცხადებებით სავსეა თანამედროვე ბურჟუაზიული პრესა.

ისმება კითხვა: მართლაც ხომ არ შეიცვალა კაპიტალიზმი მარქსის შემდეგ? თუ შეიცვალა რა ზომით? არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ ამ უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში კაპიტალიზმის სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია არავითარ ცვლილებას. ვის შეუძლია, მაგალითად, უარყოს რომ გიგანტური მონოპოლიები, რომლებიც იმპერიალიზმის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენენ, რომლებმაც შეცვალეს თავისუფალი კონკურენცია, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ამჟამად კაპიტალიზმის მთელ ეკონომიკაში? ვის შეუძლია უარყოს ბანკების ახალი როლი? ისინი უბრალო შეამავლებიდან ხომ მძლავრ ფინანსურ ბერკეტებად იქცნენ, რომლებიც ებღაუჭებიან ყველა ქვეყნის სიმდიდრეს?

კაპიტალის გატანა კი, რომელიც თითქმის ჯერ კიდევ უცნობი იყო მარქსის პერიოდისათვის, რანტიე ქვეყნების ხელში გადაიქცა კოლონიური და ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების დამონების მძლავრ იარაღად.

მაგრამ იმეორებს ყოველივე ეს კაპი-

ტალიზმის ბუნების შეცვლას? რა თქმა უნდა, არა. „უდავოა, რომ კაპიტალისტურ სამყაროში ბევრმა მოკვლენამ, ისტორიის ამ ახალ ეტაპზე, — აღნიშნავს გეს ჰოლი, — ნამდვილად განიცადა ცვლილება, მაგრამ კანონები და კაპიტალიზმის თვით ბუნება დარჩნენ ძველი. კრიზისების ციკლურობა, მათ შორის მათი ხანგრძლივობაც, შეიცვალა, მაგრამ ისინი ძველებურად ჰარბ-წარმოების კრიზისებია, რომლებიც ტიპურს წარმოადგენენ კაპიტალიზმისათვის. თუმცა ძალთა ახალი თანაფარდობა მსოფლიოში აძნელებს იმ გამოყენებულ იქნას როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღი, ხოლო თვით იმ ალარ არის გარდუვალი... ბრძოლა მსოფლიოს იმპერიალიზმის გადნაწილებისათვის და კაპიტალისტური ქვეყნების მიერ სხვა ქვეყნებს დაპყრობისათვის გრძელდება, ამგვარად, არსებითად კაპიტალიზმის ბუნება უცვლელი დარჩა“¹.

საკვ XXII ყრილობის დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ მთავარი ცვლილება, რომელსაც ადგილი აქვს კაპიტალისტურ საზოგადოებაში ე. წ. „ტრანსფორმაციაში“ კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ იმპერიალიზმი შევიდა მზის ჩასვენებისა და დაღუპვის პერიოდში.

ამგვარად, კაპიტალიზმის აღნიშნული ცვლილება არ იძლევა საფუძველს იმ სახელწოდებების გამართლებისათვის, რასაც თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები და ოპორტუნისტები გვთავაზობენ კაპიტალიზმის უკანასკნელი ეტაპის დასახასიათებლად, მათ შორის უსაფუძველოა ე. წ. „სახალხო კაპიტალიზმი“.

მიუხედავად ამისა, თუ ამ თეორიას ამჟამად ასეთ დიდ რეკლამას უკეთებენ მთელ კაპიტალისტურ სამყაროში, თუ მას ბევრი თავყანისმცემელი ჰყავს ბურჟუაზიულ ავტორებს შო-

¹ Гюнтер Фабиунке, Капитализация заработной платы — обман, М., 1959, стр. 19. 10. „ახალი“ № 3.

¹ Gas Hall, End the Cold War, New century Publishers, NY, 1962, p. 6.

რის, ეს აიხსნება იმ ამოცანებით, რასაც იმპერიალიზმის დამცველები მას უყენებენ.

„სახალხო კაპიტალიზმის“ თეორიას იმპერიალისტებისათვის, გარდა ყველაფრისა, აქვს უდიდესი პროპაგანდისტული მნიშვნელობაც. კაპიტალიზმის შელამაზება, მისი ექსპლოატატორული ბუნების დაფარვა, დემოგოგიური მსჯელობა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების, წარმოების ანარქიისა და კრიზისების მოსპობის შესახებ და სხვ.—აი, ბურჟუაზიული პროპაგანდის მიზანი ამჟამად, რაც უდიდეს საშუალებას წარმოადგენს მშრომელ მასებზე იდეოლოგიური ზეგავლენის მოსახდენად.

ბურჟუაზიული პროპაგანდა აშკარა ტყუილს, სიცრუეს—სინამდვილედ ასაღებს; სწორედ ბურჟუაზიული ტიპის პროპაგანდას გულისხმობს მ. ოუგლი როცა ამბობს: „სამწუხაროდ, სწავლულ-საზოგადოებრივ მკოდნეთა თვალსაზრისით ტერმინს „პროპაგანდა“... ყოველდღიურ ხმარებაში უკავშირებენ ტყუილის გავრცელებას ან ცდას დაარწმუნონ მოსახლეობის სხვადასხვა ფენა იმაში, რომ მათ უნდა დაიჭრონ გულბრყვილო, საშიში ან ანტი-საზოგადოებრივი იდეები“¹.

ბურჟუაზიული პროპაგანდის ყალბი აზრი კიდევ უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პროპაგანდის ერთ-ერთი გამოჩენილი თეორეტიკოსი ლ. დუბი სპეციალურად შეუდგა პიტლერული გერმანიის პროპაგანდის გამოცდილების გაზიარებას. ფაშისტური გერმანიის პროპაგანდიდან იგი ვანსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პრინციპს, რომლის მიხედვით „საკითხის გადაწყვეტის დროს ერთადერთი კრიტერიუმი არის: პროპაგანდა დამეყაროს ჭეშმარიტებას თუ სიცრუეს... ჭორები მიზანშეწონი-

ლია, თუ შეუძლებელია მათი ჭარყოფა“².

ბურჟუაზიული პროპაგანდა არის ნათლად გამოხატავს მეორე ბურჟუაზიული ავტორი დ. უ. ოლბიგი, როცა ამბობს: „როგორც დოქტორმა გებელსმა სთქვა, თავისთავად პროპაგანდას არ გააჩნია ფუნდამენტალური მეთოდი. მას აქვს მხოლოდ მიზანი: დაიპყროს მასები. ყოველგვარი საშუალება არის კარგი, რომელიც ემსახურება ამ მიზანს“³.

ცხადია, ბურჟუაზიულ პროპაგანდას არანაკლები როლი უჭირავს „სახალხო კაპიტალიზმის“, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ და ყველა სხვა მონაქორთა პოპულარიზაციის, მათი სინამდვილედ გამოცხადების საქმეში.

ამ ფაქტის დაფარვა ამჟამად არ შეუძლიათ თვით ბურჟუაზიულ ავტორებსაც კი. „ცნობილია, მაგალითად, რომ,—აღნიშნავს ამერიკელი ფსიქოსოციოლოგი ნ. პაუელი, — „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“—არის ფრაზა, რომელიც დაახლოებით მოსახლეობის ნახევარს არ ესმის. მაგრამ, ნიშნავს ეს იმას, რომ იგი პროპაგანდისათვის გამოუსადეგარია? არა, არ არის სავალდებულო. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ეს უმთავრესად დამოკიდებულია ინდივიდუალურ თავისებურებებისა და ემოციური ტონისაგან, რომელსაც იგი შეეხება“⁴.

„სახალხო კაპიტალიზმი“ რომ იმთავითვე ბურჟუაზიული პროპაგანდის ლოზუნგს წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს მასების გონების და-

¹ L. Doob, Goebel's Principles of Propaganda, 1950, p. 415.

² W. Albig, Modern Public Opinion, NY, 1956, p. 325.

³ N. J. Powell, Anatomy of Public Opinion, p. 453.

⁴ M. B. Ogle, Public Opinion and Political Dynamics, Boston, 1950, p. 227.

პერობას, ამას ვერ ფარავენ თვით იმპერიალიზმის დამცველები.

„სახალხო კაპიტალიზმი“ თავდაპირველად იხმარა ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ერიკ ჯონსტონმა თავის წიგნში „განუსაზღვრელი ამერიკა“, რომელიც 1942 წელს გამოქვეყნდა. ის ასახელებს შემდეგ სამპერობას, როგორც „სახალხო კაპიტალიზმის“ აუცილებელ ელემენტს: 1. მოსახლეობა დანაზოგით—კაპიტალი — „სახალხო კაპიტალიზმისა“; 2. ხელსაყრელი საქმიანობის გაფართოება ყველსათვის, ვისაც დაზოგვა სურს, თუნდაც მცირე მასშტაბით, და 3. კეთილსინდისიერი და დაუბრკოლებელი კონკურენცია ფასების შესამცირებლად, რათა ამაღლდეს მყიდველობითი უნარი, დაიზოგოს ხალხის კაპიტალი“¹.

ცნობილია, რომ როცა 1956 წელს „სახალხო კაპიტალიზმის“ შესახებ მსჯელობა გაჩაღდა აშშ მთავრობის ოფიციალური ორგანო გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა: „ყველაზე მნიშვნელოვანს... წარმოადგენს „სახალხო კაპიტალიზმის“ სახელწოდება. თუ მანამდე ჩვენ იგი არ ვაგვაჩნდა, ეს იყო დიდი მინუსი მსოფლიო მასშტაბით ადამიანთა გონების დაუფლები-სათვის ბრძოლაში. სახალხო კაპიტალიზმმა უნდა შეავსოს ეს ვაკუუმი“².

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ ამ ყბადაღებულ განცხადებას ფართოდ გამოეხმაურა თითქმის ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული პრესა. მაგალითად, ავსტრიული გაზეთი „ტაგესცაიტუნგი“ წერდა: „სახალხო კაპიტალიზმი, უეჭველად, წარმოადგენს საკმაო აგრესიულ ლოზუნგს, რამდენადაც თვით ამ ცნებაში ჩადებულია პასუხი კომუნისტური სახალხო დემოკრატიისადმი“³.

ისმება კითხვა: რატომ სწორედ ამჟამად ისმება კაპიტალიზმის დამცველებისათვის ასე მწვავედ „მსოფლიო მასშტაბით ადამიანთა გონების დაუფლების“ ამოცანა?

პასუხი სავსებით გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელ ხანებში კაპიტალიზმის მდგომარეობა უაღრესად გართულდა. კოლონიური რეჟიმის დაშლა დიდად აძნელებს იმპერიალიზმის ბატონობის შენარჩუნებას, სისტემატიურად ღრმავდება კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, იზრდება მშრომელთა უკმაყოფილება იმპერიალიზმის რეჟიმით.

მთავარ დარტყმას კაპიტალიზმს აყენებს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოშობა და მისი გაძლიერება. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, სოციალისტური იდეოლოგიის ღრმად შეჭრა მასებში.

ერთ-ერთი ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი ე. როსტოუ, რომელიც მტრულად არის განწყობილი სოციალისტური იდეოლოგიისადმი, იძულებულია აღიაროს, რომ ამჟამად მსოფლიოში მარქსის „კაპიტალი“ უფრო მეტი საღებდა ვიდრე ბიბლია“.

ზემოხსენებული ავსტრიული გაზეთი „ტაგესცაიტუნგი“ წერდა: „კაპიტალიზმის მარქსისტულმა ვაგებამ პპოვა... ფართო ვავრცელება. ამის მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გამოთქმა „კაპიტალიზმი“ დასავლეთის ბურჟუაზიულ წრეებშიც კი მრავალმხრივ ესმოდათ და ესმით, როგორც საღანძღავი და სამარცხვინო სიტყვა“⁴. ბურჟუაზიულმა წყობილებამ სრული კომპრომენტირება განიცადა ფართო მშრომელი მოსახლეობის თვალში, რაც უაღრესად დიდ შემ-

¹ Eric Jonston, America Unlimited, NY, 1942, p. 96.

² New York Times, 15. March, 1956.

³ A. Ардеев, А. Вебер, Новые эксперименты с „народным капитализмом“, 1958, стр. 63.

⁴ Eugene W. Rostow, Planning for Freedom, 1958, p. 39.

⁵ Г. Ардеев, А. Вебер, Новые эксперименты с „народным капитализмом“, 1958, стр. 63.

ფოთებას იწვევს მის დამცველთა შორის.

ცხადია, ასეთ ვითარებაში მართლაც, რომ საჭიროა ბურჟუაზიის ინტერესებისათვის მისმა დამცველმა ეკონომისტებმა ამტკიცონ, რომ ხდება კაპიტალიზმის „ტრანსფორმაცია“, კაპიტალიზმი „ეზრდება“ სოციალიზმს. მუშები და კაპიტალისტები ორივე კაპიტალისტია, კაპიტალიზმის განვითარებაში დაიწყო ახალი ერა, „პროდუქტთა სიუხვისა“ და მაღალი მოხმარების ერა და სხვ.

ეს არის კაპიტალიზმის აშკარა შეღამაზება, მისი აპოლოგეტიკა, რაც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ე. წონსტონი აღნიშნავს, რომ „მიუხედავად მისი მრავალი ნაკლოვანებისა კაპიტალიზმს არ ესაჭიროება აპოლოგეტიკა, ის ბრწყინავს სრულყოფილობით“¹.

მაგრამ თუ რამდენად „სრულყოფილია“ კაპიტალიზმი, ჩანს თვით წონსტონის სიტყვებიდან. იგი მონოპოლიტებს უდიდეს ბოროტებად აცხადებს, ისინი უსაზღვროდ ძარცვავენ მოსახლეობას, რის გამოც იძულებულია მოჩვენებითად მაინც გააყრიტყოს ისინი. მეორე ბურჟუაზიული ეკონომისტი ლ. მიზესი წერს: ბევრი ადამიანი... განიხილავს მას (კაპიტალიზმს ა. ნ.), როგორც საზოგადოებრივ ეკონომიკური ორგანიზაციის საძაგელ ფორმას, რომელსაც მოაქვს მხოლოდ ბოროტება და სიღატაკე“².

...ცხადია ჩვენ გვინდა განვთავისუფლდეთ მონოპოლიტების ბოროტებისაგან“³—აღნიშნავს ბურჟუაზიული ეკონომისტი ლ. ჰარისი.

ამერიკელმა ბურჟუაზიულმა ეკო-

ნომისტმა ე. გოლბრეისმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ეფნისწულს კაკითხს, სათაურით: „სიტუაციის საზოგადოება“, რომელშიც დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ კაპიტალისტურ სამყაროში. ამ ნაშრომში ამერიკის შეერთებული შტატები გამოცხადებულია პროდუქტთა სიუხვის ქვეყნად, ე. ი. ავტორი უაღრესად შეღამაზებულად წარმოგიდგენს ამერიკის კაპიტალიზმს. „ამჟამად, აღნიშნავს ე. გოლბრეისი, საქონელი არსებობს უხვად: ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო მეტად კვდებიან იმით, რომ ზედმეტს ჭამენ და არა იმით, რომ ჭამენ ნაკლებს“⁴.

ამ განცხადების მცდარობა არ არის ძნელი გასაგები. კაპიტალიზმის პირობებში რა მაღალ დონეზეც არ უნდა იდგეს ესა თუ ის ქვეყანა, არ შეიძლება შეიქმნას პროდუქტთა ნამდვილი სიუხვე, მით უფრო არ შეიძლება მოისპოს მშრომელთა სიღატაკე, გაჭირვება, რის შესახებაც ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ იმპერიალიზმის დამცველები.

ეს არ არის შემთხვევითი და მოულოდნელი. ასეთ ლათიებით დიდი ხანია ირთობენ თავს კაპიტალიზმის დამცველები. ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინი 1912 წ. აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიული რეფორმისტები, ხოლო მათ შემდეგ ზოგიერთი ოპორტუნისტი სოციალ-დემოკრატიის რიგებიდან, ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მასების გაღატაკება არ ხდება. „გაღატაკების თეორია“ სწორი არ არის: მასების კეთილდღეობა თუმცა ნელა, მაგრამ იზრდება, უფსკრული შეძლებულთა და ღარიბთა შორის კი არ ღრმავდება. არამედ მცირდება“⁵.

ვ. ი. ლენინი ხასტიყად აყრიტიკებდა ამ შეხედულებას, სათანადო ფაქტებითა და მასალებით აბათილებდა

¹ Eric Johnston, America Unlimited, NY 1942, p. 87.

² L. Mises, Anti—Capitalism mentality NY, 1967, p. 58.

³ C. Lowel Harriss, The American Economy, 1959, p. 409.

⁴ J. H. Golbraith, The Affluent Society, Camb., 1958, p. 12².

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18 გვ. 527.

მას. კავიტალისტურ საზოგადოებაში, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — რომელიც სწრაფად მდიდრდება, მუშების შედარებითი წილი სულ უფრო ნაკლები ხდება, ვინაიდან სულ უფრო სწრაფად მდიდრდებიან მილიონერები“¹.

ამიტომ ყოვლად მიუღებლად უნდა ჩაითვალოს ის, როცა ამჟამად არა მარტო რეფორმისტი და რევოლუციონისტი არამედ ზოგჯერ პროგრესულ ეკონომისტებსაც კი, შესაძლებლად მიაჩნიათ სილატაკის მოსაპობა ბურჟუაზიულ წყობილების პირობებში.

მხედველობაში გვაქვს ისეთი ცნობილი ამერიკელი მარქსისტი ეკონომისტი, როგორც არის ე. პერლო, რომელიც წერს: „ამერიკელმა მუშებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ მოსპონ სილატაკე, თუნდაც კავიტალიზმის ბატონობის პირობებში“².

ამერიკის შესახებ სწორი იქნება თუ მ. პარინგტონის სიტყვებით ვიტყვი, რომ არსებობს „ორი ამერიკა“, სილატაკისა და სიმდიდრისა. „ორი ამერიკის“ მონაცემები სრულებით არ არის ის, რაზეც დარწმუნებით წერს გოლბრეისი, არ არის „პროდუქტთა სიუხვის“ ქვეყანა.

როგორც ცნობილია, გოლბრეისი ხედავს რაღაც „პროდუქტთა სიუხვის“ ამერიკაში, მაგრამ, როგორც ბურჟუაზიული ეკონომისტი ვერ ხედავს, ან არ ხედავს, მოსახლეობის დაბალ მყიდველობით უნარს. კავიტალისტურ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც „პროდუქტთა სიუხვის“ მიზეზი არის მოსახლეობის უმრავლესობის მყიდველობითი უნარის შემცირება. ეს არის კანონი, რომლის მოქმედებაც უკანასკნელ ხანებში უფრო ძლიერდება, ვიდრე ამას ადგილი ქონდა წინათ.

ასეთ მოკორილ ამბებზე ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების შესახებ დამყარებულია მეორე ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტის უოლტ როსტოუს თეორიაც, რომელიც მან ჩამოაყალიბა წიგნში „ეკონომიკური ზრდის სტადია. კომუნისტური მანიფესტი“.

აღნიშნული წიგნი შეიცავს შემდეგ მთავარ ნაწილებს: 1. ეკონომიკური განვითარების დაყოფა ხუთ სტადიად; 2. აშშ და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიული ზრდის შედარება; 3. იმპერიალიზმის ანალიზი და 4. მარქსიზმის გადმოცემა და კრიტიკა.

მთავარი ამ წიგნში არის განვითარების სტადიების თეორია, რომელიც ავტორის თქმით „საბოლოო ანგარიშით წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის თეორიას და მთელ მის ერთობლიობით თანამედროვე ისტორიის, საერთოს, თუმცა შეიძლება, არასრულ თეორიას“³.

როსტოუს ეკონომიკური ზრდის თეორიის თანახმად: მთელი საზოგადოება შეიძლება დავიყვანოთ შემდეგ ხუთ კატეგორიამდე: ტრადიციული საზოგადოება, გარდამავალი სტადია, რომელსაც გააჩნია გარდაქმნის საფუძვლები; საზოგადოება, რომელიც განიცდის ძვრის პროცესს; მომწიფების საზოგადოება და საზოგადოება, რომელმაც მიიღწია მასობრივი მოხმარების უმაღლეს დონეს“⁴.

არ შეუძლებით აქ ამ სტადიების ცალ-ცალკე დახასიათებას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სტადიების თეორია მიზნად ისახავს უარყოს საზოგადოებრივი განვითარების მარქსისტული პერიოდიზაცია, უარყოს საზოგადოებრივი-წარმოებრივი ურთიერთობების ისტორიული განვითარების შეცნიერული დიალექტიკის კანონები.

როსტოუს მთავარი მიზანი ის არის,

¹ ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 18 გვ. 528.

² People's World, Saturday, April 4 1964, p. 6.

³ M. Харингтон, Другая Америка, М., 1963, стр.

⁴ W. W. Rostow, The Stages of Economic Growth, 1960, p. 1.

⁵ Ibid, p. 4.

რომ გვიჩვენოს, თუ როგორ აღწევს საზოგადოება ეკონომიკური განვითარების შედეგად უმაღლეს საფეხურს: „მასობრივი მოხმარების უმაღლეს დონეს“. სწორედ, ასეთ უმაღლეს დონეს მასობრივ მოხმარებაში თითქოს უკვე მიღწია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ამგვარად, იმპერიალიზმზე, როგორც კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიაზე ლაპარაკიც კი, არ შეიძლება¹.

თუ ასეა, თუ აშშ ვახდა პროდუქტთა „სიუზის საზოგადოება“, თუ მან მიღწია „მასობრივი მოხმარების უმაღლეს დონეს“, როგორც ფ. ალენი წერს: „შეერთებული შტატები იმყოფებიან არა სოციალიზმის გზაზე, არამედ სოციალიზმის შემდგომ სტადიაში“² და სხვ. მაშინ „სახალხო კაპიტალიზმი“, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ არ უნდა იყოს სინამდვილეს მოკლებული, მათ რაღაც გამართლება უნდა ქონდეს. მაგრამ ეს, ასე არ არის.

როგორც თვით, „სახალხო კაპიტა-

¹ თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიები ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტური ეკონომიკის მიმართულებას განსაზღვრავს, არა მონოპოლიები, არამედ მოხმარებლები. აქედან, კაპიტალისტური წარმოების მიზანს მათი აზრით შეადგენს არა მოგების მიღება, არამედ ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ისინი იმასაც კი ამტკიცებენ, თითქოს კაპიტალიზმს გააჩნდეს ადამიანთა მოთხოვნილების აღრიცხვის მექანიზმი.

მაგალითად, ა. ბერლი თავის წიგნში: „ზეღისუფლება საყოთრების გარეშე“ იღნიშნავს, რომ კაპიტალისტური სისტემა ფლობს ისეთ მარკეტულზელ მექანიზმს, რომელიც საშუალებას იძლევა „შევაფასოთ რესურსები და მოთხოვნილებები და კრედიტის, დარწმუნების საღი აზრისაღმი მიმართვის გზით წაეაქვოთ კერძო ბიზნესმენების წარმომადგენლები დააკმაყოფილონ ადამიანთა მოთხოვნილებანი“ (A. Berle, Power Without Property, 1959, p. 133). რა თქმა უნდა ასეთი მექანიზმი არის სრულ სიღრმე, რომელსაც არავითარი სერტო არა აქვს სინამდვილესთან.

² Ю. Жидин, Изменился ли капитализм, 1956, стр. 5.

ლიზმის“, ისე „სიუზის საზოგადოებას“ და „მასობრივი მოხმარების უმაღლეს დონის“ თეორიებიც, მოგონილია ბურჟუაზიული მეცნიერების მიერ მონოპოლისტური კაპიტალისტებისა და ფინანსური ოლიგარქიის ბატონობის დასაცავად.

„სახალხო კაპიტალიზმის“ ერთ-ერთი ცნობილი კრიტიკოსი გ. ფაბიუნე წერს: „სახალხო კაპიტალიზმს“ ჩვენ განვიხილავთ როგორც იდეოლოგიურ მოვლენას (იმპერიალისტური „მოძღვრება სახალხო კაპიტალიზმის შესახებ“) და როგორც იმპერიალისტური ეკონომიკური პოლიტიკის (ლონისძიებათა და მეთოდების განსაზღვრული სისტემა) სპეციფიკურ მოვლენას. „სახალხო კაპიტალიზმის“ ორივე მხარე დაკავშირებულია ერთმანეთთან. ამიტომ მის აღმოცენებასა და განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩვენი შეხედულებით. ურთიერთ დაკავშირებული იდეოლოგიური და ეკონომიკური ხასიათის ორი ჯგუფის მიზეზებმა“¹.

ასეა თუ ისე, ეს თეორია თავიდან ბოლომდე მიმართულია იმპერიალიზმის დაცვის, თანამედროვე კაპიტალიზმის შეფერადების საქმის განხორციელებისადმი.

„სახალხო კაპიტალიზმის“ იმპერიული-სტატური მოძღვრების მთავარი შინაარსი ის არის, რომ თითქოს სოციალიზმს არ შეუძლია მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება, მოსახლეობის გამოყვანა იმ დღუჭირი ცხოვრებიდან, რომელშიც ისინი მოექცნენ კაპიტალიზმის დროს.

ამ მიზანს თითქოს მოხერხებულად ასრულებს „სახალხო კაპიტალიზმი“, სადაც კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად არსებობს „სოციალური პარ-

¹ Гюнтер Фабюнке, „Народный капитализм“ в теории и на практике, ИЛ, М., 1959, стр. 17.

ტნიორობა¹, „ხალხის ერთობა“, მუშებისა და კაპიტალისტების ინტერესთა ერთიანობა.

იგი ქმნის ილუზიას თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში სოციალიზმის ისეთი, კერძოდ „დემოკრატიული სოციალიზმის“ ტიპის შესახებ, რომელიც საესეებით უზრუნველყოფს მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობის მაქსიმალურ ამოღებას, ამიტომ მიზანშეწონილი არ არის კაპიტალიზმის რევოლუციური გზით მოსპობა, კაპიტალისტური ექსპლოატაციის მოსპობა.

„სახალხო კაპიტალიზმის“ თეორიის მიხედვით კაპიტალიზმის ხალხურობის ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს კაპიტალის „დემოკრატიზაცია“, „საკუთრებაში ემონაწილეობა“, „კაპიტალისტთა ხალხის შექმნა. თვითუფლები უნდა იყოს მესაკუთრე,—ეს არის თანამედროვე ბურჟუაზიის ლოზუნგი მასების მოსატყუებლად.

ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახურის ბროშურაში, რომელიც მიძღვნილია 1956 წელს უოლ-სტრიტის მიერ მოწყობილ მოძრავე გამოფენისადმი, ნათქვამია: „თითქმის თვითუფლები ამერიკელმა მოქალაქემ მოითავსა თავისი საშუალებანი სახელმწიფოებრივი ან კერძო საწარმოებში: სადაზღვევო საზოგადოებებში ან შემნახველ სალაროე-

¹ „სოციალური პარტნიორობის“ თეორია ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის „თანამეგობრობის“ ქადაგების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. ის ფორმირებული იქნა ჯერ კიდევ 1891 წ. პაპების ლეე XIII და 1931 წელს პიუს XI ენციკლიკებში, როგორც კათოლიკური სოციალური მოძღვრების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც გამოვრებით ნერავდა დასაუღლის ქვეყნების ბურჟუაზიულ-კლერკალური წრეები. ამჟამად „სოციალური პარტნიორობის“ ბურჟუაზიული სოციოლოგიური აზრის „ახალ“ სიტყვად ასაღებენ, „ახსიათებენ მას როგორც „სახალხო კაპიტალიზმის“ ელემენტს ე. ი. კაპიტალიზმს კლასების ვარემ“ (Г. Ардаев, А. Вебер, „Новые эксперименты с „народным капитализмом“, М., 1958, стр. 5).

ბში, საინვესტიციო კომპანიებში ან საენსიო ფონდში, რომლებიც თავის მხრივ კაპიტალის ინვესტირებას ახდენენ მრეწველობაში.

დამოუკიდებელი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ აგრეთვე აქციების უშუალო მფლობელები. ეს მოასწავებს კაპიტალიზმის აღმოცენებას მთელი ხალხისათვის“.

ამ, და, მრავალ ასეთ ილუზიას შეიცავს „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორია, რომელიც ემსახურება მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს.

ეს ილუზია გარკვევით გამოსჭვივის თვით ცნების „სახალხო კაპიტალიზმის“ განსაზღვრებიდან, რომელსაც იძლევიან მისი შემქმნელი. ამ განსაზღვრების მიხედვით „სახალხო კაპიტალიზმი“—არის ეკონომიკური სისტემა, რომელშიც არ არსებობენ არც მდიდარი და არც ღარიბი ადამიანები, ხოლო მთელი ხალხი მიეკუთვნება საშუალო ფენას. „სახალხო კაპიტალიზმის იდეა,—ნათქვამია დასავლეთ გერმანიის მრეწველობის ორგანო „ინდუსტრიელური“ში“, სოციალური თვალსაზრისით წარმოადგენს თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე აუცილებელ იდეას. მას აქვს კავშირი ყველა ჩვენს პრობლემასთან, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ, ისე სახალხო მეურნეობრივთან. მისი საშუალებით იმედოვნებენ მიიღონ ყველაფერი: კაპიტალების ბაზარი, განკურნონ წვრილ მენახბრეთა ავადმყოფი ფსიქოლოგია და კონფლიქტები, რომლებიც ამჟამებენ ჩვენს სოციალურ სტრუქტურას“¹.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. მოტიანილ ამონაწერებიდან, ნათლად ჩანს, ვისთვის და რატომ არის შეთხზული „სახალხო კაპიტალიზმი“. ვის ინტერესებს ემსახურება იგი.

„სახალხო კაპიტალიზმის“ თეორია

¹ „Osterreichische neue Tageszeitung“, 8. IV. 1956. იხ. Г. Ардаев, А. Вебер, Новые эксперименты с „народным капитализмом“ 1958, გვ. 5.

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური სახელმწიფოებრივი დოკტრინაა, მას იცავენ და დიდ პოპულარიზაციას უწევენ არა მარტო ბურჟუაზიული ავტორები, არამედ მთავრობის გამოჩენილი მოღვაწეები, მათთან ერთად თანამედროვე რეფორმისტები და რევოლუციონისტები, რომლებიც აშკარად დადგენენ იმპერიალიზმის დაცვის სამსახურში.

„სახალხო კაპიტალიზმის“ ერთ-ერთი ბურჟუაზიული დამცველი ჯოზეფ მონსენ-უმცროსი, წერს: „თუმცა ეს კონცეფცია შესაძლოა არ წარმოადგენს იმდენად დამთავრებულს, რომ მოგვეცეს თანამედროვე კაპიტალიზმის სრული ახსნა-განმარტება, შეიძლება ეკვი არ შეგვეპაროს იმაში, რომ სახალხო კაპიტალიზმის თეორიას, ფართოდ იყენებენ ჩვენი თანამედროვე ეკონომიკური სისტემის დასაცავად, გასამართლებლად და გასამარტებლად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. როგორც ასეთი, ის წარმოადგენს ამერიკის იმპერიალიზმის ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგიას“.¹

დამახასიათებელია, რომ „სახალხო კაპიტალიზმის იდეა ფართოდ გავრცელდა არა მარტო აშშ, არამედ სხვა ქვეყნებშიც — ინგლისში, დასავლეთ გერმანიაში, საფრანგეთში, იაპონიაში, იტალიასა და სხვ.

ინგლისში, მაგალითად, „სახალხო“ კაპიტალიზმის“ პოპულარიზაციას ეწევიან გ. კოული, ჯ. სტრეჩი, კროსლენდი და სხვ. „სახალხო კაპიტალიზმი“, — აღნიშნავს გ. კოული, სოციალური უზრუნველყოფის გარანტირებას ახდენს ყველა ადამიანისათვის, ამ რევოლუციის გარეშე თანდათან ფართოვდება ადამიანთა უფლებების სფერო...“².

დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიული ეკონომისტი ფერდინანდ ფრიდი

სტატიაში „საკუთრება თვითუფლისათვის“, წერს: „ამგვარად, შრომითი შემოსავალი იზრდება, ზოლო არაშრომითი მცირდება. ისეთ დიდ შემოსავლებს, როგორც რამდენიმე ათეული წლის წინათ იყო, დღეს უკვე ადგილი არ აქვს. მამასადავამე, მსხვილი კაპიტალები, რომლებიც ახასიათებდა კაპიტალიზმის გაფურჩქვნის ეპოქას, ახლა არ შეიძლება აღმოცენდნენ. ეს მით უფრო შეუძლებელია, რაც ჩვეულებრივი ხდება კაპიტალების დაგროვება ხალხთა ფართო ფენებში და მისი დაყოფა ნაწილებად, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს წვრილი აქციები. კაპიტალიზმი კი, რომელსაც მხარს უჭერენ ხალხთა ფართო მასები, უკვე არ არის კაპიტალიზმი სიტყვის საკუთარი გაგებით“. და, ქვევით: „... მაგრამ თუ ცნობილი ხდება ცალკეული ადამიანის თავისუფალი საკუთრება საზოგადოებაში მისი უფრო მეტი დაქსაქსის პირობებში, აღმოცენდება ისეთი სახალხო კაპიტალიზმი, რომელიც უკეთ არსებობს ამერიკაში და რომელიც პრაქტიკულად იქცევა ხალხთა ასოციაციად“³.

1957 წელს ლ. ერჰარდმა, რომელიც მაშინ მეურნეობის მინისტრად მუშაობდა, გამოსცა წიგნი, სათაურით: „კეთილდღეობა ყველასათვის“, სადაც იგი „სახალხო კაპიტალიზმს“ ახასიათებდა როგორც „საბაზრო მეურნეობის ახალ სოციალურ ეტაპს“.

ბონში „სახალხო კაპიტალიზმის“ ფედერალური რესპუბლიკური პრობანდის სპეციალური სამინისტროც კი შეიქმნა, რომელიც მიზნად ისახავდა პრაქტიკულად განეხორციელებინა „ხალხის საყოველთაო კეთილდღეობა“.

ამასთან დაკავშირებით, 1957 წლის ივლისში გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა: „დასავლეთ გერმანია, ისე, როგორც ავსტრია, შეუდგა „სახალხო კა-

¹ За рубежом, № 8, 22 თებერვალი, 1964, გვ. 26.

² G. Cole, Socialism and Fascism, L. 1960, p. 821.

³ О. Ренгольд, Свободное хозяйство, ИЛ, М., 1961, стр. 39.

პიტალიზმის“ პროგრამის განხორციელებას, რომელმაც წარმოების საშუალებათა მფლობელობა უნდა გაანაწილოს ფართო მასებს შორის, როგორც საუკეთესო ალტერნატივა სახელმწიფო საკუთრებასთან შედარებით, რომელსაც იცავს კომუნისმი და სოციალიზმი“.

„სახალხო კაპიტალიზმის“ საბოლოო შიზანი,—წერს გზუთი,—მდგომარეობს იმაში, რომ „შეაკავოს კომუნისმი და სოციალიზმი „პროლეტარების“ „პატარა კაპიტალისტებად“ გარდაქმნის გზით, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების დასაყრდენს თავისუფალი მეწარმეობის პრინციპის საფუძველზე“¹.

დასავლეთ გერმანიაში „სახალხო კაპიტალიზმის“ განსაკუთრებულ თავანისმკემლებს წარმოადგენენ ნეოლიბერალები — რიოხე, რიუსტოვი და სხვ.; რომლებმაც იგი რალაც „მესამე გზის“ სახით მონათლეს. ეს „მესამე გზა“ არ არის არც კაპიტალიზმი, არც სოციალიზმი. მიაი ავტორების სიტყვით იგი არის „ეკონომიკური ჰუმანიზმი“ ანუ „სოციალური საბაზრო მეურნეობა“, რომლის კრედოც განსახლვრა ლ. ერპარდმა.

„სოციალური საბაზრო მეურნეობა, —წერდა ლ. ერპარდი,—წარმოადგენს მესამე პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემას ორი არსებული სისტემის გარდა: ერთი მხრივ, მეურნეობის ცენტრალურ-მმართველობითი სისტემისა და, მეორე მხრივ, თავისუფალ საბაზრო მეურნეობის (ეკონომიკური ლიბერალიზმი) სისტემას შორის“².

„მესამე გზასთან“ ახლოს გაცნობა ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი არის მონოპოლისტური კაპიტალისა და ფინანსური ოლიგარქიის ბატონობის გაძლიერების, მშრომელთა ექსპლოატაციის კიდევ უფრო გადიდების საბრძოლო პროგრამა.

იგი მტკიცედ იცავს კერძო საკუთრებას¹, გამოდის მუშეებისათვის ზეღფასის მომატების წინააღმდეგ, იცავს სოფლად მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის შექმნის აუცილებლობას, მოითხოვს ბინის ქირის გადიდებას, წინააღმდეგია სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევისა, მიაჩნია რა, რომ იგი ეწინააღმდეგება „თვითულის დამოუკიდებლობის“ პრინციპს და სხვ.

ნეოლიბერალები აცხადებენ, რომ მათ შექმნეს ახალი ეკონომიკური სისტემა, რომელსაც თითქოს დიდ წარმატებები გააჩნია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ძნელი დასანახი არ არის, რომ ამ სისტემის, „სოციალური ბაზრის მეურნეობის“ ახალ „მესამე გზად“ გამოცხადებით, ისინი აშკარად ფარავენ სახელმწიფოებრივ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ნამდვილ სახეს.

მშრომელი მოსახლეობის წინაშე კიდევ უფრო დიდ დანაშაულს ნეოლიბერალები ჩადიან იმით, რომ „მესამე გზას“, ფაქტიურად სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალის დიქტატურას აალებენ, როგორც ეკონომიკურ სისტემას, რომელიც თითქოს ყველაზე უკეთ შეესაბამება მოსახლეობის ფართო მასების ინტერესებს.

„მესამე გზის“ თეორიის მიზნები და ამოცანები გარკვევით არის გამოხატული ამ თეორიის ერთ-ერთი დამცველის ა. რიუსტოვის ნაშრომში: „ნეოლიბერალიზმის პროგრამა“. ა. რიუსტოვი წერს: „ჩვენ ვიმყოფებით თავისუფალ სამყაროსა და ბოლშევიკურ აღმოსავლეთს შორის უდიდეს მსოფლიო ბრძოლის ცენტრში. რათა გავუძლოთ ამ ბრძოლას, ჩვენთვის ყველაზე უფრო აუცილებელია საკუთარი ეკონომიკუ-

¹ New York Times 22, July, 1957.

² Ф. Н. Щевяков, Идеологи западно-германского империализма, М., 1962, გვ. 59.

¹ „ძლიერი შეიძლება იყოს ის, — წერდა ლ. ერპარდი 1957 წლის 11 ივლისის გაზ. „კელტას“ ნომერში, — ვინც თავის ცხოვრებას ივებს საკუთარ საფუძველზე“.

რი შეხედულებანი და საკუთარი ეკონომიკური პროგრამა, რომელსაც ჩვენ დაუშუბირისპირებდით კომუნისმის პროგრამას. დაგვიანებული კაპიტალიზმის ძველი ტრადიციული მეურნეობა არავითარ შემთხვევაში არ უპასუხებს ამ მოთხოვნილებას. საკმარისია ვიფიქროთ იმაზე, რომ მხოლოდ დაგვიანებული კაპიტალიზმის ეკონომიკიდან აღმოცენდნენ სოციალური საკითხები, კლასობრივი ბრძოლა, კომუნისმი და სოციალიზმი. როგორ შეუძლია ამ ეკონომიკურ წყობილებას წარმატებით ემსახუროს კომუნისმისგან დაცვას? რაც ჩვენთვის აუცილებელია გვქონდეს—ეს არის ახალი საკუთარი დამთავრებული სოციალური ეკონომიკური პროგრამა, რომელიც გამოიტანდა გაკვეთილს და გააკეთებდა აუცილებელ დასკვნებს სოციალურ საბაზრო მეურნეობის უარყოფით გამოცდილებიდან¹.

როგორც ვხედავთ, ე. წ. „მესამე გზა“ „სახალხო კაპიტალიზმის“ გერმანულ ვარიანტს წარმოადგენს, რომელიც თითქოს ახალი თვისებით ხასიათდება, რომლისთვისაც თითქოს უცხოა კლასობრივი ანტაგონიზმი, კრიზისები, ანარქია და სხვ.

აღსანიშნავია, რომ „მოდერნიზაციული“ „სახალხო კაპიტალიზმის“ პროპაგანდას ამჟამად ფართოდ ეწევიან არა მარტო დასავლეთ გერმანიაში, არამედ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში — საფრანგეთში, ავსტრიაში, შვეიცარიაში და სხვ. რომელთა მიზანიც ყველგან ერთია — თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობათა, კლასობრივი ანტაგონიზმისა და ქონებრივი უთანასწორობის, კაპიტალიზმის მანკიერებათა დაფარვა, რაც ამჟამად მოასწავებს ბურჟუაზიულ ეკონომიკურ და სოციოლოგიურ მეცნიერებათა კრიზისს.

„სახალხო კაპიტალიზმის“ გამო-

ცხადება კაპიტალიზმის უკანასკნელ ეტაპად სრული სიყალბეა. კაპიტალიზმი და ოპორტუნისტულია კაპიტალიზმის სოციალიზმში „გადაზრდის“ თეორია, რომელსაც ბურჟუაზიულ ავტორებთან ერთად მხარს უჭერენ რეფორმისტები და თანამედროვე რევოიონისტები.

კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადია, მისი უკანასკნელი ფაზა — არის იმპერიალიზმი. კაპიტალიზმის განვითარება იმპერიალიზმის დროს, მიუხედავად მისი ლობისა და პარაზიტისმისა, არ წყდება. ამიტომ თუ უახლესი კაპიტალიზმი გადაეზარდა მისი განვითარების „ახალ“ საფეხურში, ეს სრულებით არ მოასწავებს კაპიტალიზმის უკლასო, უანტაგონიზმო და უკაპიტალისტებო, უექსპლოატაციო, უკრიზისო, უანარქიო წყობილებას.

ზოგიერთი ბურჟუაზიული ავტორი მიუთითებს ჩვენი პარტიის XX ყრილობისა და კომუნისტური პარტიის პროგრამის სათანადო დებულებას კაპიტალიზმიდან სოციალიზმში მშვიდობიანი, პარლამენტარული გზით გადასვლის შესახებ, აღნიშნავენ, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალიზმის განვითარება მიდის სწორედ ამ გზით, აქ თითქოს მშვიდობიანად ხორციელდება სოციალიზმი.

ეს არის სრული პროვოკაცია.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმში მშვიდობიანი გადაზრდა არ უარყოფს კლასობრივ ბრძოლას. „ყოველივე ეს — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ გზით, რომ ფართოდ განუწყვეტილ ვითარდებოდეს მუშების, გლეხთა მასებისა და ქალაქის საშუალო ფენების კლასობრივი ბრძოლა მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ, რეაქციის წინააღმდეგ, ღრმა სოციალური რეფორმებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის“¹.

¹ Н. Шевяков, Идеологи западно-германского империализма, М., 1962, გვ. 63.

¹ სკკპ პროგრამა, 1961, გვ. 44.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერია მსხვილი კაპიტალისტური მონოპოლიები და ისინი არ ფიქრობენ მუშათა კლასის მიმართ წაყიდნენ რაიმე დათმობაზე.

ამიტომ ამერიკის შეერთებულ შტატების გამოცხადება უკლასო სოციალისტურ საზოგადოებად, როგორც ამის შესახებ ხშირად გვარწმუნებენ ამერიკის მსხვილი ბურჟუაზიის დამცველები, აშკარად მოგონილი ამბავია. აშშ მსხვილი მონოპოლიების ორგანო: „ნი მეგეზინ ოვ უოლსტრიტ“ თავის 1960 წლის 8 ოქტომბრის ნომერში წერდა შემდეგს: „... ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ნამდვილად განახორციელა XIX საუკუნის სოციალისტური ოცნება და დღეს ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენენ მსოფლიოში უდიდეს სოციალისტურ სახელმწიფოს, ვინაიდან მათ განახორციელეს სოციალისტური თეორიის სამი ძირითადი პრინციპი: პრინციპი პირველი — პიროვნების თავისუფლება; პრინციპი მეორე — წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება; პრინციპი მესამე — ხალხს შორის სიმდიდრის თანაბრად განაწილება“¹.

ასეთ დემაგოგიურ განცხადებებს ჩვენ ხშირად ვხვდებით არამარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

თვით „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორია ერთ-ერთი ასეთი დემაგოგიის ნიმუშს წარმოადგენს, რომლითაც სცვლიან იმპერიალიზმს: ამბობენ არ არსებობს იმპერიალიზმი, არამედ არსებობს „სახალხო კაპიტალიზმი“. „ეკთილდღეობის სახელმწიფო“; არ არსებობს კლასობრივი ბრძოლა, არა-

მედ არსებობს კლასთა ჰარმონია; არ არსებობენ კაპიტალისტები და მკობლები, არამედ არსებობს „კაპიტალისტთა ხალხი“; არ არსებობს ანარქიული მეურნეობა, არამედ არსებობს მოწესრიგებული, რეგულირებული საზოგადოება; „კაპიტალის დემოკრატიზაციამ“ საყოველთაო ხასიათი მიიღო — აი, რა უალბ „თეორიულ“ პრინციპებზეა აგებული „სახალხო კაპიტალიზმის“ იმპერიალისტური თეორია.

არ არის ძნელი დასაანახი, რომ იგი თავიდან ბოლომდე მიმართულია იმპერიალიზმის ლენინური თეორიის ძირითადი დებულებების წინააღმდეგ, რომელიც სათანადოდ უნდა იქნეს მხილებული და გაკრიტიკებული, როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ვულგარული რეაქციული თეორია.

„ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას, — წერდა ფ. ენგელსი, — არ შეუძლია არც კრიზისების თავიდან აცილება საზოგადოდ, არც ცალკე კაპიტალისტების დაცვა ზარალისა, უიმედო ვალებისა და გაკოტრებისაგან, არც ცალკეული მუშების ხსნა უმუშევრობისა და გაკოტრებისაგან, არც ცალკეული მუშების ხსნა უმუშევრობისა და სიღატაკისაგან“¹.

ენგელსის ეს სიტყვები საუკეთესო პასუხს წარმოადგენს იმპერიალიზმის თანამედროვე აპოლოგეტებისათვის, რომლებსაც მიზნად დაუსახავს ხელოვნურად შეთხზული ანტიემციციურული თეორიების უხამსი პროპაგანდით, დამტკიცონ კაპიტალიზმის შეცვლა „ჰუმანური“, ადამიანის ბუნებისადმი შესაბამისი საზოგადოებით. ასეთ საზოგადოებას მხოლოდ კომუნისმი წარმოადგენს.

¹ „The Magazine of Wall Street“, 8 October, 1960, p. 15.

¹ ფ. ენგელსი, ანტი-დურონიკი, 1952, გვ. 380.

შალვა ჩაიანი

მხატვრული სიტყვის ოსტატების ნააზრევნი

ამ ბოლო წლებში გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი მწერლების ლიტერატურულ-კრიტიკული და თეორიულ-ესთეტიკური ნარკვევების კრებულები. მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიბუროს გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, შალვა დადიანის, ირაკლი აბაშიძის, ლეო ქიაჩელის, დემნა შენგელაიას, შალვა აფხაიძის, სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ნატროშვილის, აკაკი გაწერელიას, ვიქტორ გაბესკირიას და გიორგი შატერაშვილის ნარკვევებშია ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საკითხებზე.

ირაკლი აბაშიძის წიგნში — „მაღალი ოსტატობისათვის“, მოთავსებული წერილები მთლიანად შეეხებიან საბჭოთა ლიტერატურის ძირეულ საკითხებს. ერთ-ერთ ასეთ საკითხს შეადგენს, თუ რა განძი შეაქვს ყოველ ცალკე ერს სულიერ ღირებულებათა ჩვენს საერთო საუნჯეში. მართებულად მიუთითებს ი. აბაშიძე, რომ სამწუხაროდ, საბჭოთა ლიტერატურის თეორიაში ჯერ კიდევ სუსტად არის დამუშავებული ახალი ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაციონალური ფორმის პრობლემა.

საბჭოთა ლიტერატურის მთავარ და მახასიათებელ თვისებას შეადგენს სიახლოვე ცხოვრებასთან, სიახლოვე ადამიანთან. „ლიტერატურის მთავარი თემა ყოველთვის იყო და არის ადამიანი, ადამიანის სული. მწერლობა ხომ ადამიანის მცოდნეობა! როგორ შესძლო მწერალმა ადამიანის სულის ჩვენება, აი, საიდან იწყება ოსტატობის საკითხი“ (იქვე, გვ. 31-35). ცხოვრებასთან სიახლოვე მწერლისათვის ნიშნავს სიანლო-

ვეს ადამიანთან, მის საქმესთან, მწერალს აუცილებლად უნდა ახასიათებდეს მხატვრული სიმართლის გრძნობა.

ი. აბაშიძის ლიტერატურულ წერილებს ახასიათებს კონკრეტული ისტორიზმის სული. აფასებს რა ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის ამა თუ იმ მოვლენას, იგი ცდილობს გაითვალისწინოს, თუ რამდენად გამოხატავს ის ცხოვრებისა და ადამიანების ისტორიულ განვითარებას, თუ როგორ შეესატყვისება თავისი დროის ამოცანებს.

ლეო ქიაჩელის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა მისი ნაწერების მეხუთე ტომი. ამ ტომში მოთავსებული წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მწერლებსა და მათ ნაწარმოებებზე, საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ მწერლის ნახევარი საუკუნის გამოცდილება, მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებანი.

პირველი, რაც ამ ტომის გაცნობისას გვეცემა თვალში, ეს ის არის, რომ მისი ავტორი თავიდანვე იდეური, რეალისტური ლიტერატურის მომხრე იყო, რასაც იგი იცავდა არა მარტო თავის მხატვრულ პრაქტიკაში, არამედ აგრეთვე თავის თეორიულ-ესთეტიკურ ნააზრევნიც.

ტომი იხსნება წერილით ილია ჭავჭავაძეზე. დასაწყისშივე ხაზგასმულია, რომ ი. ჭავჭავაძე იყო არა მარტო დიდი პოეტი, მწერალი და მოაზროვნე, არამედ ქართველი ხალხის გენია, მისი მამა და კეთილისმყოფელი. ლეო ქიაჩელი მიუთითებს, რომ ი. ჭავჭავაძის შემოქმედებითი დიაბაზონი ენციკლოპედიურ ხასიათს ატარებდა: „ილია ჭავჭავაძის

შემოქმედება ვლინდება ყველა დარგში, რაც კი კაცობრიობის სულს თავის მისწრაფებათა გამოსახატავად საასპარეზოდ გამოუყენებია. არც ერთი ენარი შემოქმედებისა მისთვის უცხო არ იყო. საოცარია ის სტილურ-ესთეტიკური მთლიანობა, რომელიც მის ნაწერებს ახასიათებს. თვით პუბლიცისტიკაც კი ამ მთლიანობის აუცილებელი ელემენტია“ (იქვე, გვ. 7).

ი. ჭავჭავაძისათვის საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელი ძალა არის ხალხი; ხალხი ქმნის ყველა მატერიალურ და სულიერ ღირებულებას. ი. ჭავჭავაძეს ღრმად ესმის ხალხთა მასების როლი. მისი შეხედულება არსებითად ეს არის მოძღვრება ხალხზე, როგორც კაცობრიობის ისტორიის გადამწყვეტ ძალაზე. მართებულად შენიშნავს ლეო ქიაჩელი: „ილიას არ სწამდა მეფეების სახით წარმოდგენილი ისტორია, რომელშიც ხალხი იჩრდილებოდა. მას არ უყვარდა მეფეები და ომები, მიუხედავად სულიერ-მატერიალური კულტურის ათას წლოვან ძეგლებში ისევე ცხადად და მკაფიოდ, როგორც ცოცხალ სინამდვილეში“ (იქვე, გვ. 7). როგორც მართებულად მიუთითებს „ტარიელ ვოლუას“ ავტორი, ი. ჭავჭავაძემ „პირველმა მიაგნო და ჩამოძვრწა ფართო დიპლომატიის ხალხური სახეები“ (იქვე, გვ. 8). გამომდინარე აქედან, „ბრძოლა იყო ილია ჭავჭავაძის სტიქიონი. როგორც მწერლისა და პატრიოტის. მის მთავარ საჭურველს მშრომელი ხალხის სიმართლისა და ღირსებათა ურყევი რწმენა შეადგენდა“ (იქვე, გვ. 8).

ლეო ქიაჩელის წერილების კრებულში მოთავსებულ მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ა. წე-

რეთლის შესანიშნავი მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ მხატვრული მასალები. ეს ნარკვევი მისმა ავტორმა 1930 წელს გამოაქვეყნა.

ლეო ქიაჩელის აზრით, „ეს მოთხრობა მრავალნაირად არის საყურადღებო, მაგრამ განსაკუთრებულ ლიტერატურულ ღირსებას ანიჭებს მას იშვიათი კომპოზიცია და შესრულების ის ოსტატობა, რომელიც გამოიხატება თხრობის მხატვრული ხერხების გამოყენებაში და სრულრად ეთანაბრება ამავე ენარის ნაწარმოებთა გამოჩენილ, საყოველთაოდ ცნობილ ავტორთა ოსტატობას“ (იქვე, გვ. 13). ამ სიტყვებში ფრიად საგულისხმო მოსაზრებაა, გამოთქმული „ბაში-აჩუკის“ შესახებ, როგორც ორიგინალურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებზე. შემდეგ ლეო ქიაჩელი ახასიათებს ამ ნაწარმოებში გამომკვლავებული ოსტატობის ნიმუშებს.

„ბაში-აჩუკის“ კომპოზიცია თავისი სირთულით დიდტანაიან რომანს შეეფერება. ესევე ითქმის თხრობის ხერხებზედაც, რომლებიც აგებულია საიდუმლოებათა კვანძების თავისებურ გაშლაზე. მართალია, ეს ხერხი არ არის ახალი, მაგრამ „აკაკის ხელოვნება იმაში გამოიხატება, რომ მან ეს გაცვეთილი ხერხი ისე თავისებურად გამოიყენა, ისე ჩააქსოვა მოთხრობის სხეულში, რომ სრულიად გააბუნებრივა, ხერხის სახე დაუკარგა და სიუჟეტის განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად გახადა“ (იქვე, გვ. 15).

ახასიათებს რა „ტრფობა-წამებულისა“ და „მიმქრალი შარავანდელის“ ავტორს, ლეო ქიაჩელი წერს: ვასილ ბარნოვს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ მწერლობაში, რომელსაც მან მრავალფეროვანება შემატა თავისი ორიგინალობით, თემატურ-ფილოსოფიური და სტილურ-ფორმობრივი თავისებურებით. ვასილ ბარნოვი „იმდენადვე მხატვარია, რამდენადაც მოაზროვნე; ეს ორი თვისება განუყრელია მის შემოქმედებაში: მის მიერ შექმნილი მხატვრული სახე, უწინარეს ყოვლისა, ფი-

ლოსოფიურად არის გააზრებული (იქვე, გვ. 35).

ლეო ქიაჩელი დაინტერესებულია იმით, რომ განსაზღვროს ვ. ბარნოვის როგორც მწერლის თავისებურება: „როგორც ყველა დიდი მწერალი, ვასილ ბარნოვიც ფლობს იშვიათ საიდუმლოებას მოვლენების სიღრმეში ჩაწვდომისა და მათი უზუსტესი შეფარდების იმ მიზნებთან, რომლებიც მის მთავარ მხატვრულ ამოცანას წარმოადგენენ. აქედან გამომდინარეობს ვასილ ბარნოვის ნაწარმოებების შემოქმედების ძალა, რომელიც ყოველთვის ეფექტური რჩება მკითხველისათვის, მიუხედავად ხატვის, აზროვნებისა და მეტყველების სისტემის სირთულისა, რაც ვასილ ბარნოვს ახასიათებს. ლაპარაკობს რა ეგნატე ნინოშვილის შესახებ, ლეო ქიაჩელი არკვევს, თუ რით დაიმსახურა მან დიდი ადგილი ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში; „მან ახალი, შინაგანი იდეური ძალა შემატა XIX საუკუნის ქართულ პროზას, თავისი ეპოქის ახალი, მოწინავე სულისკვეთება შთაბერა მას და ახალი სახეებითა და ხასიათებით გაამდიდრა“ (იქვე, გვ. 42). ე. ნინოშვილის მიერ დახატული სახეები თავს გვაყვარებენ თავიანთი სიმართლით, უშუალო განცდებით და ნამდვილი ადამიანობით. ეგნატე ნინოშვილმა შექმნა საკუთარი, განუმეორებელი გალერია მხატვრული სახეებისა. მათი დანახვა და მივნება ცხოვრების ზღვაში შეიძლებოდა მხოლოდ იმ მკვეთრი თვალით, რომელიც ეგნატე ნინოშვილს გააჩნდა, იმ დიდი სიყვარულით ანთებული გულით, რომელიც ეგნატე ნინოშვილის უფაქიზესი ბუნების სამკაულს წარმოადგენდა (იქვე, გვ. 42). უსპეტაკესი სიყვარულით, ინტიმური გრძობებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი ხალხის წრიდან გამოსული გმირები და მწერალი. ე. ნინოშვილი სავსებით მივიდა ხალხის გულთან.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებას ლეო ქიაჩელი განსაზღვრავს, როგორც

უმნიშვნელოვანეს საფეხურს XX საუკუნის ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში. „ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების გარეშე ძნელი წარმოსადგენია ახალი ქართული პროზა, მისი ნამდვილი სახით, ფორმალურ-ლიტერატურული მიღწევებითა და იდეურ-პოლიტიკური მონაცემებით“ (იქვე, გვ. 47). ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ინტერესები არასდროს არ დაცილებია ნამდვილ მხატვრულ მიზნებს, მისი ყურადღების სფერო იყო ადამიანის შინაგანი, სულიერი სამყარო. აქ გამომჟღავნდა მისი თავისებურება, როგორც მწერლისა.

კრებულში ყურადღებას იქცევს ის წერილებიც, რომლებიც შეეხებიან დიმიტრი ყიფიანს, დავით კლდიაშვილს, შიო მღვიმელს, იაკობ ნიკოლაძეს, ილია ნაკაშიძეს, დავით სულიაშვილს და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ლეო ქიაჩელს მხედველობიდან არ გამოპარვია ახალი საუკუნის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მწერალი და მოღვაწე, რომელთაც სამსახური გაუწიეს თავის ერს, თავის ხალხს.

ლეო ქიაჩელის ლიტერატურულ-ესთეტიკური ჰორიზონტის სიფართოვეზე მიუთითებს მისი საფუძვლიანი და დაკვირვებული წერილები ი. კრილოვსა და ლევ ტოლსტოიზე, მაქსიმ გორკისა და რომენ როლანზე, ანატოლ ფრანსსა და რაბინდრანათ თაგორზე, აგრეთვე დანტე ალიგიერზე.

ლეო ქიაჩელს უყურადღებოდ არ დუტოვებია ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიული პრობლემებიც. განსაკუთრებით გაამახვილა მან ყურადღება რომანისა და მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის პრობლემაზე. ეს ის პრობლემებია, რომლებიც ყოველთვის იქცევდნენ ყურადღებას და დღესაც ფრიალ აქტუალურია.

ე. გამსახურდიამ სერიოზული ყურადღება მიაქცია ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრობლემებს, თავისი შეხედულებანი წამოაყენა მხატვრული შემოქ-

მედების რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე.

კ. გამსახურდია ცდილობს გაარკვიოს ნოველის, მოთხრობისა და რომანის განსხვავება ერთმანეთისაგან, განსაზღვროს თვითეული მათგანის თავისებურება: „ნოველაში, მოთხრობაში ერთი პიროვნების, ან რამდენიმე ადამიანის ცხოვრების ერთი მომენტია მის გამძაფრებულ სიტუაციაში განსახიერებელი და ეს ყოველივე აგებულია ერთ ფაბულარულ მაგისტრალზე. რომანი იმითაც განსხვავდება ნოველისაგან, რომ აქ მთავარ მაგისტრალს პარალელური სიტუაციები თან ახლავს. გარდა ამისა, ნოველაში უკვე შზა სქემებია ხასიათისა მოცემული (ისევე როგორც მოთხრობაში), შზა ხასიათები, ხოლო რომანისტი ახასიათებს თანდათანობით, ანვითარებს ჩვენ თვალწინ“ (ტ. VI, გვ. 523-530).

რომანის ნიშნების დახასიათებისას კ. გამსახურდია ასახელებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. „რუსთაველის რომანის უმთავრესი მაგისტრალია მიჯნურობა ნესტანისა და ტარიელისა, მაგრამ პარალელურად მოცემულია ავთანდილისა და თინათინის, ფატიმანისა და ავთანდილის გამიჯნურების ამბები, ბედი ასმათისა, ფრიდონისა და სხვათა. რომანში აუცილებელია ეს პარალელური ხაზები არამცთუ ხელს არ უშლიდნენ მთავარ მაგისტრალს ფაბულისას, არამედ აღრმავებდნენ, ავსებდნენ მას. ბოლოს ეს ყოველივე ფინალში აგვირგვინებდეს დედაზრს ქმნილებისას... რუსთაველის კომპოზიციაში, უწინარეს ყოვლისა, საგულისხმოა თანმიმდევრობა ფაბულის განვითარებისა, მოქმედების მკაცრი მონოლიტობა. ალაგ-ალაგ რუსთაველსაც მოეპოვება ლირიული განხეცვა, მაგრამ ეს ახასიათებს, არა მარტო პოემას, არამედ კლასიკურ რომანსაც. რომანს რომაელები „დრამას“ უწოდებენ. სიტყვა „დრამა“ ბერძნულად მოქმედებას ჰქვია. როგორც დრამას, ისე რომანსაც მოეპოვება დრამატიული იდეის მონოლიტური

მთლიანობა, ექსპოზიციაში მოცემული საფუძვლები კონფლიქტის განხილვაში ნობითი განვითარება პერსპექტივისა და ბოლოს კონფლიქტების გახსნა, კატასტროფაში ნაჩვენებია“. (იქვე, გვ. 530).

რომანი ლექსისა და პოემებისაგან განსხვავდება ხასიათების ჩვენებით. რომანი დრამასთან ერთად იძლევა ხასიათების გაღერას. რომანისტი ერთსა და იმავე ქმნილებაში უნდა ათავსებდეს პათეტიურს, ელეგიურს, დრამულსა და თანაც სატირულ-ჰუმორისტულ ტონს. მისთვის ნიშანდობლივია რომანიულობა. ეს ელემენტი მას ყოველთვის ახასიათებდა, ყველა ხალხთა ლიტერატურაში (იქვე, გვ. 530-531).

რომანისტს დიდი პოეტის ფანტაზიასთან ერთად უნდა მოეპოვებოდეს დიდი მეცნიერის გულდინჯი შრომისა და დაკვირვების უნარი. დაკვირვება საჭიროა მწერლისათვის ისევე, როგორც მეცნიერებისათვის (იქვე, გვ. 533).

კ. გამსახურდია იმ აზრისაა რომ მწერალს ვერ უშველის მარტოდენ ფანტაზია. მას ამასთანავე უპირველეს ყოვლისა ესაჭიროება ცხოვრების ღრმა ცოდნა, რეალური ადამიანის ბუნებისა და თვისებების საფუძვლიანი ცოდნა.

კ. გამსახურდია ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლების მაგალითზე ასაბუთებს, თუ რამდენად აუცილებელია მწერლისათვის ცხოვრების სერიოზული ცოდნა.

ტიციან ტაბიძის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და ნარკვევები ნათელყოფენ მათი ავტორის მაღალ გემოვნებას, განსწავლულებას, დაკვირვებულ თვალს, ერთდროულად და კვლევადობის უნარს.

ტ. ტაბიძემ პირველმა გამოთქვა მრავალი საგულისხმო დებულება თუ მოსაზრება, რაც შემდეგ გაიზიარა ლიტერატურის ისტორიამ. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის ვაჟა-ფშაველას შესახებ გამოქვეყნებულ ორ წერილზე, რო-

მლებიც პოეტმა დაწერა ამ ოცდაათი წლის წინათ.

ტ. ტაბიძის მართებული თქმით, ვაჟა-ფშაველამ მკითხველს გადაუშალა ახალი სამყარო თავისებური მოქმედი პირებით, რომელთა უმრავლესობა ამაღლებული მორალის მქონეა. ვაჟა-ფშაველა ეყრდნობოდა ცოცხალ ხალხურ შემოქმედებასა და მის ფესვებს. ვაჟას შემოქმედებაში მძლავრად არის გამოხატული ორი მოტივი — ეროვნული და სოციალური. მის ნაწარმოებებში მოჩანს იმდროინდელი სოფელი, მთელი თავისი სოციალური წინააღმდეგობით.

ტ. ტაბიძემ ერთმა პირველთაგანმა მიაქცია ყურადღება ვაჟა-ფშაველას „ფშაველი ჯარისკაცის წერილს“, რომელსაც იგი სამართლიანად უწოდებს შედეგს. „ამ ლექსში მთელი ვაჟაა. აქ ყოველი სტრიქონი სუნთქავს სიმართლით, რომელიც მართო ვაჟას შეუძლია გახადოს ღვთაებრივად. აქ მთელი რწმენა, ცრუმორწმუნეობა, გულის სიჩვილე, ვაჟაყობა, ომის ცეცხლი და საჩეჩელი ისეა გადაბმული, შექსოვილი, რომ ვაგრძნობინებს პოეტის ჯადოქრობას... მას მხოლოდ ის აწუხებს, რომ „სამშობლოს უშველოს თავისი ხარჯითა“.

ტ. ტაბიძე საგანგებოდ ეხება ზოგიერთ იმ გაუგებრობას, რომელიც გამოითქვა ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტობის შესახებ. მისი თქმით, „შეუძლებელია ვაჟას დეკადენტურ გადახრახვ ლაპარაკი“. ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტად გამოცხადება უფრო მეტად ანალოგიების ინერციას მიეწერება. „საზოგადოდ მისტიციზმის დამახასიათებელი თვისებაა სიმბოლიზმი, მაგრამ ვაჟა-ფშაველა სწორედ იმის დამამტიციებელია, რომ მისტიციზმი არ არის ქართული მწერლობის თანდაყოლილი თვისება: ვაჟა-ფშაველას აზროვნება მთლიანად ეწინააღმდეგება მისტიციზმს“. ტ. ტაბიძე სავსებით დამაჯერებლად უარყოფს ვაჟა-ფშაველას კავშირს სიმბოლიზმთან, მის სიმბოლისტობას. ვაჟა წერის მანერით

რეალისტიკა. ეს განსაკუთრებით ითქმის მისი პროზის შესახებ. ვაჟა-ფშაველას პროზა მოელის კიდევ მკვლევარს, და ეს მკვლევარი ადვილად დამამტიციებს, რომ სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ პროზის ასეთი ოსტატი არ ჰყოლია ქართულ ლიტერატურას. მისი პროზის გამართული, დახვეწილი სტილი დიდხანს დარჩება ქართულ ლიტერატურაში, როგორც სანაიმუშო, ბრწყინვალე.

ვაჟა-ფშაველას დიდი დამსახურებაა ეპიკური პოეზიის განვითარება. ქართული ეპოსის საუკეთესო ნაწარმოებებად ჩათვლებიან მისი პოემები.

ვაჟა-ფშაველა ბუნების დიდი მესაიდუმლეა. მაგრამ ბუნება მისთვის არ არის უსულო არსება. ამიტომ პოეზია ვერ დაასახელებდა უკეთეს პოეტს, რომელსაც „შეედლო გადმოეცა ეს შინაგანი გრძნობა ბუნებისა და ადამიანის თანყოფისა“. ამის დამადასტურებლად ტ. ტაბიძე ასახელებს „ბატრიონის“ პროლოგს, რომელსაც შედეგსა და კოსმოგონიურ ჰიმნს უწოდებს.

ტ. ტაბიძემ საგანგებო წერილი მიუძღვნა დავით გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას ურთიერთობას. ტ. ტაბიძეს დ. გურამიშვილი მიაჩნია ვაჟა-ფშაველას წინამორბედად. ეს არსებითი ხასიათის მართებული მითითება იყო, რაც შემდეგში სავსებით გაიზიარეს მკვლევარებმა.

რასაკვირველია, ამ წერილებში არის სადავო მოსაზრებაც. მაგალითად, ჩვენ მთლად მართებულად არ მიგვიჩნია მოსაზრება, თითქოს აქაი წერეთელი სავსებით უარყოფდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. ცნობილია, რომ ა. წერეთელი ახასიათებდა რა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებს, წერდა: „ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“, ერთი უკეთესთაგანია ჩვენს მწერლობაში. წერილმანი ლექსები, როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმის ბაჩანასი და თედოსი საზოგადოდ სამარგალიტო შაირები არიან!.. პროზა ხომ კიდევ უკეთესი“ (იხ. ა. წერეთელი. თხზულებანი, სა-

ხელგამი, 1957 წ., ტ. VI, გვ. 134).

გაქვრით, მაგრამ საგულისხმო მოსაზრება აქვს გამოთქმული ტ. ტაბიძეს „კალმასობის“ შესახებ. იგი ამ ნაწარმოებს უწოდებს შედეგს, ენციკლოპედიას. „კალმასობა“ არის მე-18 საუკუნის „ფეოდალური საქართველოს ეპოპეა“ და „დაწერილია რაბლეს საკადრისი იუმორით...“ „ეს პირველი ნაწარმოებია ქართულ მწერლობაში, სადაც გვხვდება ბატონყმობის კრიტიკა“.

მაღალ შეფასებას აძლევს ტ. ტაბიძე უიარაღოს „მამელუკს“. ამ მოთხრობის შესახებ იგი წერს: „უიარაღოს „მამელუკი“... წერის მხრივ სანიმუშოა რეალისტური სკოლისათვის. მას ახასიათებს მოქნილი დიალოგი, მომენტალური დახასიათება, პეიზაჟის ვაცოცხლება, ლოკალის დამორჩილება და შეუდარებელი სისადავე“. „მამელუკი“ დიდი სოციალური იდეების შემცველი ნაწარმოებია, რომელშიაც ვაბედულად გაისმის ხმა ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ“.

საგულისხმო მოსაზრებები აქვს ტ. ტაბიძეს გამოთქმული ბაჩანას, დავით კლდიაშვილის, ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ.

ტ. ტაბიძეს ეკუთვნის კრიტიკული წერილები საიათნოვას, ალექსანდრე შირვანზადეს, ალექსანდრე პუშკინისა და ალექსანდრე გრიბოედოვის შესახებ. საკითხის ღრმა ცოდნით და დაკვირვებით დახასიათებულია ამ მწერალთა შემოქმედება, ხაზგასმულია ხალხთა მეგობრობის იდეა მათ ნაწარმოებებში.

ტ. ტაბიძის ნიჭის მრავალფეროვნებასა და აზროვნების სიფართოეს მოწმობს მისი წერილები ალექსანდრე სუმბათაშვილზე, ზაქარია ფალიაშვილზე, ვახტანგ მკვედლიშვილზე, კოტე მარჯანიშვილზე, ნატა ვანჩაძეზე, ნიკო ფროსმანზე და იაკობ ნიკოლაძეზე.

„რჩეული წერილების“ მიხედვით სიმონ ჩიქოვანი მკითხველის წინაშე წარმოსდგება, როგორც ფართო დიაპაზონი. „მეათობი“, № 3.

ნის მკვლევარი და მოაზროვნე, რომელიც კარგად იცნობს მრავალსაუკუნოვან მდიდარ ქართულ ლიტერატურას. ს. ჩიქოვანს მრავალი ახალი და დამაჯერებელი მოსაზრება აქვს გამოთქმული ქართული ლიტერატურის სახელოვან წარმომადგენლებზე — შოთა რუსთაველზე, დავით გურამიშვილზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა-ფშაველაზე, აგრეთვე ახალი ქართული მხატვრული შემოქმედების მესტიყვევებზე: ტიცთან ტაბიძეზე, ალექსანდრე აბაშელზე და ლადო ასათიანზე. ამ საგულისხმო ნარკვევებში გამოთქმული მრავალი მოსაზრება შემდეგ გაიზიარა ქართველმა საზოგადოებამ და ლიტერატურისმცოდნეობამ.

ს. ჩიქოვანი მწერალში ყოველთვის ეძიებს იმას თუ როგორია მისი საზოგადოებრივი მისწრაფებები და მხატვრული თავისებურება. მისი ყურადღების ცენტრშია მწერლის აზროვნების ხასიათი და ოსტატობა, დადგენა იმ სიბრტყისა, რაც მოაქვს შემოქმედს. წერილს ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ იგი იწყებს ასე: „ნიკოლოზ ბარათაშვილმა უჩვეულო მხატვრული თავისებები შემოიტანა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში და ქართულ ლექსს დიდი ლირიკული განსჯისა და დაფიქრების უნარი შესძინა. „მერანის“ ავტორმა თითქმის სრულიად შეცვალა მაშინდელი ქართული ლექსის ბუნება, ჩვენს პოეზიაში გამეფებული სასიმღერო კილოს ნაცვლად ლექსში ინტონაციური მხარე გაამდიდრა, მოსპო რიტმის ინერციული მდინარება და სიტყვაკაზმულ მწერლობაში თავისებური მონუმენტურობა დაამკვიდრა, უარყო ქართულ სალირიკო პოეზიაში ადრე შემჩნეული გადამეტებული გრძნობადობა და ნაცვლად იმისა შთაგონებულ ფიქრთ და განსჯას დაუქვემდებარა თვითნებური ლირიკული მხილება, ქართულ ლექსში ახალი აქტიური ხასიათის რიტმი შემოიტანა და დახვეწილი მხატვრული გე-

მოვებით აამალა ჩვენი პოეტური კულტურა“ („ჩვეული წერილები“, გვ. 122). აქ არის წარმოდგენილი თეზისებურად ჩამოყალიბებული დებულებები. შემდეგ იგი ამ დებულებების ვრცელ გახსნას იძლევა მთელ წერილში.

„მერანის“ სათავეებს ს. ჩიქოვანი ეძებს არა უცხოურ პოეზიაში, როგორც ეს ადრე იყო გავრცელებული ქართულ მკვლევართა შორის (ი. მეუნარგია, კ. აბაშიძე), არამედ მას ეროვნული ძირები აქვს, ქართული პოეზიის ტრადიციებიდან მომდინარეობს, უპირატესად და განსაკუთრებით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“.

ს. ჩიქოვანის თქმით, ნ. ბარათაშვილმა თავის პირდაპირ წინამორბედად რუსთაველთან ერთად ჩასთვალა შვეთელი და ჩახრუხაძე, ხოლო ქართული ხალხური პოეზია შთაგონების პირველ წყაროდ მიიჩნია. ქართულ პოეტურ მეტყველებაში მან გაუხსნა გზა რეალიზმს. ნ. ბარათაშვილმა შეგნებულად უარყო მუხამბაზური, აღმოსავლური კილო, „აღადგინა ძველი ქართული კლასიკური ლექსის კულტურა და მისი განახლებით ევროპული გზა დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში“ (იქვე, გვ. 170).

ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ვრცელ ნარკვევებში ფართოდ არის დახასიათებული პატრიოტული და სოციალური იდეები, რაც განსაზღვრავდა ამ დიდი ქართველი მწერლების მხატვრულ შემოქმედებას. იგი დამაჯერებლად მიუთითებს ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის რეალიზმის არსებით ნიშნებზე და პოეტურ ნოვატორობაზე.

ს. ჩიქოვანის მსჯელობის თემა მის „ჩვეულ წერილებში“ მრავალფეროვანი და ანგარიშგასაწევია.

ფრიად საინტერესო პოეტის ვიქტორ გაბესკირიას წიგნი „წერილები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე“ ყურადღებას

იქცევს უმთავრესად მწერლის ამა თუ იმ ნაწარმოების კონკრეტული დაკვირვებული ანალიზით. ეს „წერილები“ შეგნებიან როგორც თანამედროვე მწერლებსა და მათ ნაწარმოებებს, აგრეთვე გამოჩენილ ძველ ქართველ მწერლებს (შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვ.).

საგულისხმოა, რომ ვ. გაბესკირია არ იფარგლება მარტოოდენ მხატვრული ლიტერატურით, იგი საინტერესოდ მსჯელობს თეატრისა და დრამატურგიის რთულ პრობლემებზე, მხატვრობაზე, თარგმანებზე, ხალხურ პოეზიაზე და სხვ.

ვ. გაბესკირია მწერლის როლს, მნიშვნელობას აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ემსახურება იგი საზოგადოებას, ხალხს. რაგინდ ნიჭიერი იყოს მწერალი, მას, უპირველეს ყოვლისა, ესაჭიროება მოქალაქეობრივი შეგნება, საქვეყნო ინტერესებით გამსჭვალვა, ხალხისადმი თავდადებული სამსახური. ერთ-ერთ თავის საუკეთესო ნარკვევში — „დიდი მწერალი — დიდი მოქალაქე“, რომელიც მიძღვნილია ვაჟა-ფშაველასადმი, იგი წერს: „მშრომელი ხალხი — ერთადერთი სწორად წამმართველი ძალა ცხოვრებისა — მწერლისაგან ყოველთვის მოითხოვდა, რომ ნიჭიერებასთან ერთად დიდი მოქალაქეობაც გამოემქვანებინა...“

ამავე ამაღლებული მოქალაქეობის ძლიერ თვისებას ხედავს ამ წიგნის ავტორი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში.

კრებულში ყველაზე მეტი რაოდენობის ნარკვევებია მიძღვნილი ვაჟა-ფშაველასადმი. ამ ნარკვევებში დახასიათებულია ვაჟა-ფშაველას ბრწყინვალე შემოქმედების არსებითი მხარეები. ვ. გაბესკირია ვემოვნებით: და დაკვირვებულ ანალიზით წარმოგვიდგენს ვენიალური ქართველი პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

რამდენიმე წერილი მიძღვნილია შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნისადმი“ („ვეფხისტყაოსნის“ მარგალიტები“, „ვეფხისტყაოსნის სტრიქონები“, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპის ვაგეზისათვის“). ზოგიერთი ტექსტოლოგიური ხასიათის შენიშვნის გარდა, ვ. გაბესკირია გვაცნობს თავის დაკვირვებებს „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილ მხატვრულ სახეებზე უმთავრესად ისეთებზე, რომლებიც ადრე, როგორც მხატვრული სახეების გამომხატველი სრულიად არ ყოფილა შემჩნეული, ან თუ შეუნიშნავთ, კვლავ სურს საუბარი მათ ღირსებაზე. ვ. გაბესკირია მიუთითებს: „ვეფხისტყაოსნის“ მარგალიტებზე მხოლოდ მის მხატვრულ სახეებსა და აფორიზმებს როდი ვთვლით. „ვეფხისტყაოსანში“ ისეთი სტროფებიც გვხვდება (ზშირად რამდენიმე ერთად). რომლებიც პოემის ორგანული ნაწილები არიან, მაგრამ ამავე დროს დამოუკიდებელ ლირიკულ ლექსებს — შედეგურებს წარმოადგენენ“.

თავისი შეხედულების დასადასტურებლად ვ. გაბესკირიას საკმაოდ ბევრი მხატვრული სახე ანუ, როგორც თითონ უწოდებს, მარგალიტი მოაქვს „ვეფხისტყაოსნიდან“. აქედან დავასახელებთ მხოლოდ ორიოდეს: ერთხელ ჭავჭავაძისაგან დიდად შეწუხებული მეფე როსტევიანი იკითხავს, როგორ არის ჩემი ასული თინათინო, რაც ამგვარად არის გამოთქმული „ვეფხისტყაოსნის“ 104 სტროფში. „ხანი გამოხდა, იკითხა: „ნეტა რასა იქმნს ქალიო, ჩემი ღზინი და ჭავჭავი, ჩემი სოფლისა წყალიო“. ვ. გაბესკირია შენიშნავს: „რუსთაველი თინათინის ჭავჭავს კი არა შვსსაც ადარებს. ამგვარ მეტაფორებს პოეზიაში ხშირად ვხვდებით. მაგრამ ამაზე მეტად ჩვენ გვზიზღავს და გვაოცებს ლამაზი ასულის წყალთან მიმსგავსება. ეს, ერთი შეხედვით, მოულოდნელი და საკვირველი შედარება, ბუნებრივად გვეჩვენება შემდეგ გარემოებათა გამო: წყალი, რა თქმა უნდა, წყაროსი, სისპეტაკის, სინაზის, კეთილწყოფელობის გამოხატულება;

თინათინიც ასეთივეა მამის თვალში; თინათინის ღიმილს, თინათინის მრავალჭერ ალბათ, ისევე ვაუზნარებია. ისევე დაწაფებია, როგორც წყაროს წყალს; ეტყობა, რომ როსტევიანი თინათინის სილამაზისა და სისპეტაკის ელვარებას ისე შეჰხარის, როგორც წყლის ანკარებას, მაეოცხლებლად ეპყურება მის სულს“.

ვ. გაბესკირია ფრიად საინტერესო დაკვირვებებს გამოსთქვამს საბჭოთა მწერლობის მრავალი წარმომადგენლის შესახებ. მისი ყურადღების ცენტრშია ვ. ტაბიძე და ლეო ქიაჩელი, გ. ლეონიძე და გ. ქიქოძე, ვ. ნატროშვილი, ანა კალანდაძე და სხვ.

თანამედროვე პოეტებიდან ვ. გაბესკირია ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევს ახალი ქართული პოეზიის სიამაყეს — გალაკტიონ ტაბიძეს. გალაკტიონისადმი მიძღვნილია რვა მცირე მოცულობის ნარკვევი. ერთად თავმოყრილი ეს თავისებური წერილები საკმაოდ სრულ და ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ვალ. ტაბიძის შემოქმედების საინტერესო მხარეებზე. ვ. გაბესკირია ხედავს სადაოსაც, გაუმართლებელსაც, და ამის თაობაზე მთელი პირდაპირობით ლაპარაკობს. მაგრამ მისთვის მთავარია ცალკეული ლექსის დაკვირვებული, საქმის ცოდნით ჩატარებული ანალიზი, რის შედეგად გვიჩვენებს იმ სიახლეს, ნოვატორულს, განუმეორებელს, რაც ნიშნდობლივია ამ შესანიშნავი ქართველი პოეტისათვის.

ვ. გაბესკირია მიუთითებს, რომ ფორმის მხრივ ვალ. ტაბიძეს მრავალი სიახლე ახასიათებს, მაგრამ ამავე დროს იგი არ უარყოფს „ძველ ფორმებსაც“. მისა „განცდანი ხან ახალი, ხან ძველი ფორმით გვევლინებოდნენ; როდესაც ეს განცდანი ნამდვილად პოეტური და დიდი იყო, ძველ ფორმასაც იმშვენებდნენ და ახალსაც“. ეს იმას ნიშნავს, რომ, ნოვატორობასთან ერთად, ვალ. ტაბიძის პოეზიაში შევნიშნავთ ტრადიციის ძალასაც. ეს არის ქეშმარიტი პოეტის შემოქმედებითი გზა.

ვალ. ტაბიძის პოეზია მდიდარია ორი-

გინალური და ღრმად პოეტური მხატვრული სახეებით. ვ. გაბესკირია უმთავრესად ახასიათებს იმ მხატვრულ სახეებს, რომელნიც მსჯელობის საგნად ჯერ არ გამხდარა, როგორც, მაგალითად, „ან გზა მიტოვებული, როგორც ძველი სიყვარული“, „მაისი იყო, მთას მოხვეოდა გაზაფხულისა მითროლოვარე ხელი“, „ტყე ტაძარივით იყო მაღალი“, „ნიაჲმა ამ თქმით ბევრი იცინა, ტყეში შეიჭრა და მიიძინა“ და სხვ. მართლაც, ლამაზი და ორიგინალური მხატვრული სახეებია!..

ვ. გაბესკირია თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ მსჯელობაში ერიდება სხვების მიერ უკვე არა ერთგზის ნათქვამის განმეორებას, იგი ყოველთვის ცდილობს

ახალი კუთხით მიუდგეს, ახალი კუთხით გააშუქოს მწერლის შემოქმედება. ამ მხრით ყურადღებას იქცევს მისი წერილი ანა კალანდაძის ლექსებზე.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ ნაწილობრივ განხილული და აგრეთვე მხოლოდ დასახელებული კრებულები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმაზე, რომ თითონ მხატვრული სიტყვის ოსტატი მწერლები მონაწილეობენ უშუალოდ თეორიულ-ესთეტიკური და კონკრეტულ-ლიტერატურული პრობლემების გარკვევაში, კრიტიკულ განხილვაში, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული მხატვრული პოეზიის, პროზის და დრამატურგიის განვითარებისათვის.



ქართული კომედიოგრაფიის ერთი ნიმუში

პოლიკარპე კაკაბაძის ოთხმოქმედებიანი კომედია „დავით მერვე“, როგორც სათაურიც მიგვანიშნებს, ისტორიულ ქარგაზეა შექმნილი. მისი საბოლოო რედაქცია გამოქვეყნდა 1954 წელს.

ავტორს უნდოდა შეექმნა კომიკური სიტუაციები და კომიკური ხასიათები, მაგრამ არა განყენებული იდეისა და შეხედულების საფუძველზე, არამედ ეროვნული ტიპაჟის თუ ნაციონალური თვისება-ხასიათების მოშველიებით.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, რომ ავტორი უხვად იყენებს ქართული ხალხური „თეატრონის“ ნიღბებს თუ პერსონაჟთა სახეებს, მაგრამ მდიდარი და კოლორიტული ხალხური მასალიდან ის შედარებით უფრო ინდივიდუალიზებულ სახეებს ძერწავს და აძლევს მათ „ლიტერატურულ“ ხარისხს, განმაზოგადებელ შინაარსს. დოკლაპია ჯონდო, ფუსფუსა ქონდარა, ლიბარიტე კიკოტე, მეტსახელად ქოსატყუილა, მუსუსელა მოშკობა, ნაცარქექია გოსტაშაბი თუ როსტომ ბრძენი — ხალხური, ზეპირსიტყვიერი, სასახიობო შემოქმედების პოპულარული გმირებია, მაგრამ სწორედ მათი შემწეობით, უფრო სწორად, მათი ლიტერატურისებული სახეებით დრამატურგმა დახატა ისტორიული ეპოქა, ეროვნული ტიპაჟით. გვიჩვენა ეროვნული ხასიათების ზოგიერთი ისტორიული საფუძველი.

მართალია, კომედიის ავტორს ელოდა საშიშროება იმისა, რომ ხალხური ნიღბების გროტესკული ხასიათი ან სატირიკული მხილება, რომელიც მის ნაწარმოებს ასე ჭარბად ახლავს, გააყალბებდა თუ მეტად გააზვიადებდა მასში წარმო-

დგნილი ხასიათების მხატვრულ შინაარსს. მეორე არანაკლები საშიშროება იყო იმისა, რომ კომედიურ ჩარჩოშია მოქცეული ქართველი მეომრების მიერ ბახტრიონის მტრებისგან გაწმენდის და მათი საარაგო დამარცხების ცნობილი ისტორიულ-პატრიოტული ფაქტი. მაგრამ ავტორმა ორივე ამ საფრთხეს ოსტატურად აარიდა თავი. პირველს იმით გაართვა თავი, რომ თავისი სამხილებელი მიმართება სავსებით გარკვეულ ისტორიულ ხანას და სოციალურად ცნობილ ფაქტებს დაუკავშირა — კერძოდ, გვიანფეოდალური ეპოქის ჩამორჩენილ, მტრებისაგან სასომხდილ საქართველოს. მეორე გარემოება ავტორმა მიაგააუყენებლა, რომ ბახტრიონის აღება, რომელიც ისტორიულად სრულებით სხვა ხანაში მოხდა (1659 წ., დავით მეფე კი მეფობდა 1293-1311 წლებში), და მტრის გარეკვა სიუჟეტური ხაზიდან თითქმის ამოიღო, უშუალო ინტერესთა წყებიდან უგულვებელყო და მხატვრულად მთავარი არ გახადა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „დავით მერვეში“ ისე მძაფრად არაა გადმოცემული ისტორიის შეგრძნება, როგორც ამას ვხვდებით პოლიკარპე კაკაბაძის დრამატულ ფრაგმენტებში — „დიმიტრი მეორე“ (1946 წ.). ისტორიზმის გრძნობა ისტორიულ კომედიაში ბევრად მკრთალია. მართალია, ამის საფუძველი ისაა, რომ ავტორი ფართოდ იყენებს, ასე ვთქვათ, ქართული ხალხური ხელოვნების „ზედროულ“ მხატვრულ ინვენტარს, სახეებს, რომლებსაც ისტორიული გრიმი და ისტორიული კოსტუმი თითქმის არ შერჩენია და

(მხატვრული შინაარსის და მნიშვნელობის გარდა) იცვლიდა და იხდიდა მათ, ალბათ, ყოველი ეპოქისა, და დროის „მოდის“ შესაფერისად. რაღა თქმა უნდა, კომედლის ყოველი ცალკეული სურათი, ეპიზოდი თუ მხატვრულად სრულყოფილი შტრიხი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოქმედება ფეოდალური საზოგადოების წიაღში და მძიმე ისტორიულ-სოციალურ უკუღმართობათა ფონზეა გადატანილი; მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კონკრეტულ-ისტორიული ჩარჩოს ნაცვლად მკითხველი უფრო ეროვნულ-ისტორიულ სარბიელს და ხალხური წარმომავლობის სახეებით დასახლებულ გარემოს ხედავს.

ცნობილია ახლო-აღმოსავლეთის კულტურული ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების შეფერხება XIII-XV საუკუნეებში. მონღოლ-თათართა საუკუნოვანი ბატონობის მძიმე ხანაში ქართული საზოგადოებრივი განვითარების შეფერხების შესაფერისია მისი სულიერი და ეკონომიურ-პოლიტიკური დაქვეითება და ჩიხში მოქცევა. ამ მოვლენის შესანიშნავ ანალიზს იძლევა აკად. ნიკო ბერძენიშვილი თავის წერილში — „პ. კაკაბაძის „დავით მერვე“ (ლიტერატურული გაზეთი, 1955 წ. № 14).

რადგან „დავით მერვის“ სწორი მხატვრული გააზრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ხანის ისტორიულ გაგებას, ამიტომ მოვიყვან ადგილებს მეცნიერის ამ ნაშრომიდან, სადაც ნათლად არის ნაჩვენები, თუ რა ფაქტორები მოქმედებდა შუა საუკუნეების ფეოდალური ილაჯამოკლილი ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, რომლებმაც საქართველოს დაუხშეს ნორმალური განვითარების გზები. აკად. ნიკო ბერძენიშვილი წერს: „იმ დროის საქართველოს სიმტკიცე და გამძლეობა მისი სოციალ-ეკონომიური წყობის უპირატესობაში, უფრო პროგრესულობაში იყო აზიური ფეოდალიზმის ქვეყნებთან შედარებით, და ქართველი ხალხი, უფრო სწორად, ქართველი ხალხის პროგრესუ-

ლი ნაწილი იბრძოდა ამ წყობის დაცვა-განვითარებისათვის, ებრძოდა შინაურსა თუ გარეშე მტერს, თავადსა თუ მთავარს, ოსმალოსა თუ ყიზილბაშს.

საქართველო აზიაში იყო და აზიას ებრძოდა, საქართველო პროგრესისათვის იბრძოდა და ამ ბრძოლით მივიდა ის პროგრესულ რუსეთთან.

ამრიგად, გვიანფეოდალური ხანის საქართველო ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც აზიური ჩამორჩენილობის შემოტევა, როგორც რეაქციულ ძალთა ბატონობა და როგორც ქართველი ხალხის პროგრესული ნაწილის განუწყვეტელი ბრძოლის პროგრესის ძალთა განვითარების უზრუნველყოფისათვის, საქართველოს გადარჩენისათვის“.

მართლაც, ნახევრადველურმა ურდოებმა („თათრობა-ულუსობამ“, რომელიც XIII-XV სს-ში მძინეზარებდა), შემდგომ „ყიზილბაშობამ“ და „ოსმალობამ“, აღმოსავლეთ საქართველოში „ლეკიანობამ“, ხოლო დასავლეთში ტყვის სყიდვის საზარელმა პრაქტიკამ, შეაჩერა და შეასუსტა ქართული სულიერ-ზნეობრივი ცხოვრების, საზოგადოებრივი წინსვლის შესაძლებლობები. მეტისმეტად ხანგრძლივი იყო, ამიტომ, საქართველოში გვიანფეოდალური წყობილება, რომელშიც ფეხს ვერ იკიდებდა აღმავალი ბურჟუაზიული ურთიერთობა, ბოურგერული წყობის დამახასიათებელი მოვლენები; ამ დროის საზოგადოებაში არ გაჩენილა ახალი კლასი, ახალი მონარდი სოციალური ფენა, რომელსაც შეეძლო გადახალისება, პროგრესის ელემენტების შეტანა და დანერგვა საზოგადოებრივ სტრუქტურასა თუ აზროვნებაში.

თი ისტორიული ქარგა, რომელმაც წარმოშვა პ. კაკაბაძის ისტორიული კომედიის „დავით მერვის“ გმირები. ისინი ამ ხანის ღირსეული შვილები არიან. ისე რომ, კომედიაში მარტო გოსტაშაბი კი არაა „ნაცარქექია“, ე. ი. ფუყე და არაფრის მაქნისი ადამიანი, ყველა გმირი ასეთია. ნაცარქექიები (სხვადასხვა ნიშანთვისებების მიხედვით) თვით საქართვე-

ლოს მეფე, დავით მეგრე, მისი ძმა — თათრების მიერ დასმული მეფედ — ბახტანგ-ხანი, ქართველი ერისთავ-მთავრები. ათაბაგი, სახლთუხუცესი და მღაბიო ერის ყველა წარმომადგენელი, ცხადია, როსტომ ბრძენის მეთაურობით. ასეთი შვილები ჰყავდა საქართველოს და შეიძლება ჰყავდეს ყოველთვის, თუ-ც მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება არ იქნება სრულფასოვანი, პროგრესისათვის მებრძოლი და ახლის ძიებით გატაცებული, ასეთია პიესის მხატვრულ-სოციალური დედაპირი.

პიესის გმირები კი თითქმის არც ცხოვრობენ, მათ რაღაც უღრობაში მოუხდათ სიცოცხლის გატარება. ისინი ამ საოცარ ვითარებას გრძნობენ, მაგრამ ძალა არ შესწევთ ებრძოლონ შექმნილ ისტორიულ გარემოცვას და კალამბურებით, ცრუ გრძნობებით, ცხოვრების გამოებით იჯერებენ გულს, თითქოსდა საკუთარი დაცემულობით და დემორალიზაციით ერთობიან. აპატიურება, ინერტული დამოკიდებულება მოვლენებთან, შიშველი ცინიზმი და ურწმუნოება — მათი თავშესაქცევი და უკანასკნელი თავშესაფარია.

მსჯელობა წუთისოფელზე, მის სრბოლაზე, სიცოცხლის ეფემერულობაზე, ყველაფერი ეს საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნების, უმოძრაობის ნიადაგზე შექმნილი ფილოსოფიაა, „აღმოსავლური სიბრძნეა“, რომელიც ბრძოლა-შრომისაკენ კი არ მოუწოდებს, არამედ უშრომლობას, უქმად ყოფნას ამართლებს.

ეს ჩივილი წუთისოფლის დაუნდობლობაზე, მის ეფემერულობაზე და ამოკლებაზე ლეიტ-მოტივად მოყვება გვიანფეოდალური ხანის ქართულ აზროვნებას და მის ნიშანდობლივ მხარეს შეადგენს. ეს არის თავისებური რომანტიზმი, მაგრამ რომანტიზმი არა რევოლუციური, არამედ რეაქციული.

ნ. ბარათაშვილმა პირველმა უთხრა ქართველ ხალხს ამ მხრივ ახალი სიტყვა და აღამიანის წუთისოფელი მებრძოლის, ახლის მშენებლის თვალსაზრისით

შეაფასა (და ეს იმიტომ, რომ ამ დროს ქართული ცხოვრება უკვე გამოუსწორი იყო ინერტული უმოძრაობიდან, და ახლის შენება იწყებოდა).

ეს ნაცარქექიობა, ეს როსტომის სიბრძნე და ჩივილი წუთისოფელზე რომ საზოგადოებრივი უმოძრაობის პირობებში და მისივე ნიადაგზეა შექმნილი (და არა რაღაც მისტიკური „აღმოსავლეთის“ გამოუცნობელ ნიადაგზე, — აღმოსავლეთის „ცის ვასალები“ დიდი წანია აღმოაჩინეს მარქსიზმის კლასიკოსებმა და იქ გამოუცნობი ამ მხრივ აღარა არის რა), ამის შესანიშნავი საბუთია საქართველოს ისტორიის სხვა ხანაც, სახელდობრ აღმავალი ფეოდალიზმის ხანა, როდესაც ახალმოზარდმა პროგრესულმა საზოგადოებამ გაბედულად შეუტია არა მარტო უდაბურსა და ტყიან ადგილებს, არამედ გონებრივ უმოძრაობასაც და შეიმუშავა არა ფაფის მათხოვარა როსტომის სასომხილი და უიმედო „სიბრძნე“, არამედ დაუღალავი შრომის, მედგარი ბრძოლის და უდრეკი წინსვლის იმედიანი ფილოსოფია. საკმაო აღამიანი გაეცნოს იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულის, გიორგი ათონელისა და ეფრემ მცირის თხზულებებს და იქ იპოვის შემოქმედ საზოგადოებას, იპოვის გმირებს“ (აკად. ნ. ბერძენიშვილი).

პიესის „ნაცარქექია“ გმირებს — ლიბარტეებს, შოშკოებს თუ გოსტაშაბებს ეშინიათ კახაბერის, მისი სამართლიანი და გმირული საქმიანობის. ისინი არა მარტო გაურბიან მას, არამედ სწორედ მათი მზაკვრობის გამოა, რომ ეს ქართველი მხედართმთავარი მოწყვეტილია თავის საშობლოს, ხალხს და საკუთარ საქმიანობას. მაგრამ, მეორე მხრივ, ამგვარ მზაკვარ და ფლიდ აღამიანებს არც ის უნდათ, რომ ქვეყნის ცხოვრება მთლად დაქინდეს და გადაგვარდეს. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ მეტისმეტი დაუძლურება და სოციალ-ეკონომიური ცხოვრების რღვევა მათაც იმსხვერპლებს, მათაც განადგურებით ემუქრება.

„როსტომი — შენ რაზე გეწვის კული?

ლიპარიტი — ისე გაუხსნევდა ხალხი, რომ დღეს ჩემი უმსგავსო საქმეები სხვების გვერდით ბავშვის ცელქობას დაემსგავსა, ჩემი ხერხი დაძველდა — ამდენად გაცუღლულტა დიდ-პატარა, რომ მეც მეშინია სადმე არ წამომაგონ. ტყუილი და მართალი აირია და ისე ძნელი გასარჩევია, როგორც ბრმისათვის დღე და ღამე. კი არ ღირს სიცოცხლე ასეთ ჟამში, მაგრამ სული მწარეა და, ბოლოს, შენთან მოვედი. ამ დროებაში წყაროსავით წამოვიღა შენი სიბრძნის ქება, სუყველას შენი სახელი აკერია პირზე“.

ვინაა როსტომი, რომელთანაც მიდის ყველა ჭკუის დასარიგებლად — დაწყებული მეფიდან, გათავებული უკანასკნელი გლახაკით? როსტომი, შეიძლება თამამად ითქვას, ეპოქალური ტიპია, იმ დროის გამომხატველი იდეოლოგი. მისი პასივობის ფილოსოფია ეპოქალურ ნიშნებს და ხასიათს გამოხატავს. არ არის საზოგადოების არცერთი ფენა, რომ მასში მოღალატეობის და საოცარი ინდიფერენტობის ნაკადი არ შეჭრილიყოს; ამას კარგად ამჩნევს როსტომი და გულგრილად, თავისებური მჭვრეტელობით მიმართებით აფასებს საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს, მთელს ისტორიულ-პოლიტიკურ გარემოცვას. როსტომი შემკრებლობითი სახის მხატვრულად უტრირებული პერსონაჟია. მისი ფილოსოფიის და ეფემერული პარადოქსების ფონზე პარპაშობენ გაქნილი, ორ სკამზე ჯდომას მიჩვეული ერისთავ-მთავრები,

უსაქმური ქოსატყუილები და თვეთ გაშარყებულად წარმოდგენილი მტრის მემკრები.

ავტორი ოსტატურად გვიხატავს სოციალურ მანკიერებათა ისტორიულ-ხნეობრივ საფუძვლებს.

მაგრამ, რაღა თქმა უნდა. როგორც ისტორიულ, ისე მხატვრულ ნაწარმოებშიც, ერის, ხალხის არსებობა წარმოუდგენელია, თუკი მასში მოწინავე ტენდენციები არ არსებობს, პროგრესის ელემენტები თუ თვალნათლივი არაა. კომედიის ამგვარი დადებითი მოტივები რეალურია და მისი მატარებელია კომედიის ორი ძირითადი პერსონაჟი: გულქანი, რომელიც ქართველი ქალის მშვენიერი სიმბოლური სახეა, და კახაბერი (რომელიც „პოტენციური“, მაგრამ კომედიის არამოქმედი პერსონაჟია) — სამშობლოს თავისუფლებისმოყვარე სულის, ხალხის გმირული შემართების და მებრძოლი ნებისყოფის ასევე სიმბოლური სახე. გულქანი, ნაწილობრივ, ქართველი ხალხის შრომისმოყვარე, პატრიოტულ შეგნებას გამოხატავს. ხოლო კახაბერი, თავისი პოტენციური არსებობითა და მზადყოფნით ქართველი ხალხის ვაჟკაცურ, მებრძოლ სულისკვეთებას წარმოგვიდგენს.

ასე რომ, ნაწარმოების პერსონაჟებს გადატანითი, ალეგორიული შინაარსიც აქვთ.

3. კახაბერის ისტორიულ კომედიას „დავით მერვეს“ უდავოდ არ დაერქმევა „პეროიკული“ კომედია, მაგრამ ის მებრძოლი კრიტიციზმის აშკარა ნიშნებითაა აღბეჭდილი.



მთ. ლომთქიჯანიძე

ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი

ანტიკური სამყაროსა და კოლხეთის ურთიერთობას ხანგრძლივი და მრავალსაუცუნოვანი ისტორია აქვს. ამ ურთიერთობათა შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საქართველოს ძველი ისტორიის საკითხების კვლევისათვის, არამედ, საერთოდ, ანტიკური სამყაროს მთელ შეიზღვისპირეთთან ურთიერთობის ისტორიისათვის, თუ ანტიკური სამყაროს ურთიერთკავშირი შავი ზღვის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროების ნოსახლეობასთან შედარებით კარგადია შესწავლილი, სამაგიეროდ მისი ურთიერთობა აღმოსავლეთ შეიზღვისპირეთთან (და მთლიანად კოლხეთთან) ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გამოკვლეული¹. უკანასკნელი ხანების არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ზარევის რამდენადმე შევსების საშუალებას იძლევა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისაა უკანასკნელ წლებში ფართოდ გაშლილი სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიება, როგორც ზღვისპირა ზოლში (მათემის მიდამოები, ქობულეთ-ფიჭვნარი, ფოთი, სოხუმი, ბუჭინტა), ასევე კოლხეთის შიდა (მდ. რიონ-ვირილის ძველი მდ. ფასისის-გაკოლებით: ვანი, ქუთაისი და მისი მიდამოები, ითხვისი, საჩხერე, არგვეთი) და მთიან რაიონებში (რაკა-ლეჩხუმი, სვანეთი).

• • •

საქართველოს ძველი მოსახლეობის ურთიერთობა ეგეოსურ სამყაროსთან (აღმოსავლეთ მმელთაშუაზღვისპირეთთან) უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ივარაუდება. მაგრამ ჩვენ არ მოგვეპოება საფუძველი, რომ ასეთ შორეულ ხანაში ამ ქვეყნებს შორის პირდაპირი,

სახლეთა გზებით განხორციელებული, ურთიერთობანი ევარაუდოთ. მატერიალური კულტურის ძეგლებში ასახულ ურთიერთობათა ფაქტები, როგორც ჩანს, უფრო სატომთაშორისო გაცვლითი ურთიერთობის შედეგია, თუმც ზოგიერთი შეკვლევა არ გამორიცხავს ამ დროისათვის კაბოტაჟური სახლეთა გზების გამოყენების შესაძლებლობას.

ეგეოსურ სამყაროსა და ძველ საქართველოს შორის ურთიერთობა უფრო ნათლად ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკნელი საუკუნეებიდან ისახება. ეს ის ხანაა, როდესაც დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განვითარების ახალ და შიდალ საფეხურზე აღის სპილენძ-ბრინჯაოს კულტურა, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „კოლხური კულტურის“ სახელითაა ფართოდ ცნობილი.

მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ძეგლები მიუთითებენ ამ კულტურის შემქმნელი და მატარებელი მოსახლეობის განვითარების მეტად მაღალ დონეზე. კოლხური კულტურის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე (იგი მოიცავდა მთელს დღევანდელ დასავლეთ საქართველოს და სამხრეთ-აღმოსავლეთ შეიზღვისპირეთის ნაწილს) ნათლად შეინიშნება საწარმოო ძალთა და მეურნეობის წამყვანი დარგების სწრაფი პროგრესი. ამ ხანის არქეოლოგიურ მონაპოვარში მარცვლეულის უძველეს სახეობათა ხშირი აღმოჩენები და სოფლის მეურნეობის იარაღების (სხედასხვა ტიპის თოხები, ნამჯლები) არჩეულბრები სიმრავლე გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხეთში მიწისმოქმედებას მაღალი დონის მოწმობადაა აღიარებული¹. ასევე ჩაღალ დონეზეა ასული ხელოსნობის ცალკეული დარგების განვითარება: კერამიკული წარმებებსა, რო-

¹ უკანასკნელ ხანებში ამ პრობლემის ცალკეულ საკითხებს მიეძღვნა თ. მიჭელაძის, მ. ინაძის, ა. წერეთლის, ნ. ლომთქიჯანიძისა და ა. ურუშაძის ნაშრომები.

¹ Г. С. Чичая, О некоторых чертах древнеколхской культуры, VII международный конгресс антропологических и этнографических наук, Москва, 1964.

მელიც თავისი მრავალრიცხოვანი და მეტად მრავალფეროვანი პროდუქციის (მაღალხატარული სფერის პურპელი, სამზარეულო თუ სამეურნეო დანიშნულების პურპლეული) შესაქმნელად ფართოდ იყენებს სწრაფმბრუნველ კერამიკულ ჩარბს; და განსაკუთრებით სილიცემბრინჯაოს მეტალურგისა. გვიანბრინჯაოს ხანის კოლხ მეტალურგთა პროდუქცია მეტად მრავალრიცხოვანია და მრავალსახოვანია: სამომარი, სამეურნეო თუ რიტუალური დანიშნულების ცულები (ე. წ. კოლხური ცული, რომელიც ხშირად გრავირებული თუ პლასტიკური მაღალხატარული ორნამენტითაა შემკული), სამინიათმომქმედო იარაღები (სხვადასხვა ტიპის თოხები, წაღი, ნამგალი, ე. წ. სეგმენტისებური იარაღი), საბრძოლო იარაღ-საქურველი (სხვადასხვაგვარი სატყეურები, შუბისპირები, ჩაფხუტი), ტანსაცმელთან დაკავშირებული საგნები (სარტყელი თუ სარტყლის ბაღთები, მეტწილად გრავირებული ან ამოტვიფრული სახვევით შემკული); სხვადასხვაგვარი მშვილდსაქინძები და ქინძისთავები, ხატისუღელი, მრავალსახოვანი სამკაული (სამაჭურები, მძივები, ზანზალაკები, საყიდეები), მიღალი ოსტატობით შექმნილი მცირე ზომის ქანდაკებები—ადამიანთა, ცხოველთა (ირემი, ციხი, დათვი, ნგელი, ცხენი, ცხვარი) თუ ფრინველთა გამოსახულებანი და მრავალი სხვა. ასეთი მრავალფეროვანი პროდუქციის შესაქმნელად კოლხი ოსტატები უკვე გვიან ბრინჯაოს ხანაში (და ბევრად ადრეც) იყენებდნენ ლითონის დამუშავების რაოდენ ტექნიკურ წესებს.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანაში არსებობდა ბრინჯაოს მეტალურგის სამი ძირითადი მძღავარი კერა (კორობის აუზში, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი. ამას გარდა ივარაუდება წყრილი კერების არსებობაც), რომლის ნაწარმი არა მხოლოდ კოლხეთის მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, არამედ გაჭონდათ მეზობელ (აღმ. საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩრდ. კავკასია) და უფრო შორეულ ქვეყნებში (ჩრდ. შავიზღვისპირეთი, სამხრეთ უკრაინა).

გვიან ბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. II ათასწლეული

მეორე ნახევარი — I ათასწლეულის პირველი სუკუნეები) ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე პირველყოფილი თემური-წყობის ტიპის განვითარების უმაღლესი სტადიაა, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ—ხანა მსხვილ ტომთა გაერთიანებებისა, რომლებიც სწორედ ვრცელ ტერიტორიაზე მეტნაკლებად ერთგვაროვანი მაღალგანვითარებული ბრინჯაოს კულტურები წრის („კოლხური ელტურის“) ჩამოყალიბებაში იხსახა. ფიქრობენ, რომ ამ ვრცელი ერთგვაროვანი კულტურული წრის ჩამოყალიბებაში არსებითი როლი შეასრულა, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (კოროხის აუზი) შექმნილი კოლხურ ტომთა ძლიერმა გაერთიანებამ („კულხა“), რომლის პოლიტიკური გავლენა სამხ. აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა.

კოლხური ბრინჯაოს კულტურის აყვავების ხანას ემთხვევა სწორედ ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის დასაწყისი, რაც ბერძენ-აქაველთა სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმ. შავიზღვისპირეთში პირველ გამოჩენასთანაა დაკავშირებული, ამიტომაც კოლხეთსა და ბერძნულ სამყაროს შორის ურთიერთობის ამ პერიოდს. აქვე პერიოდს უწოდებენ.

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი, როგორც ცნობილია, აქვეთი საზოგადოებებს აუვავების ხანაა, რაც შესანიშნავადაა ასახული მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ ძეგლებსა და ამ ათითდ წლის წინ ახალგაზრდა ინგლისელი მეცნიერის (აწ განკმარებული) მიწვევით მის მიერ გამოფორულ მაცნურ წარწერებში (ე. წ. ხაზოვანი B). ამ მასალებში შესანიშნავადაა წარმოდგენილი საერთოდ კულტურისა, კერძოდ კი ხელოსნობის მრავალფეროვანი დარგებისა და, რაც განსაკუთრებით ზეწნთვის ამერად საინტერესოა — ზღეაოსნობისა და ვაჭრობის განვითარების მეტად მაღალი დონე. აურაცხელი კერამიკული აღმოჩენები მოწმობენ აქვეთი ელადის ცხოველ საეაქრო ურთიერთობას არა მხოლოდ სამხრეთ და დასავლეთ ზეწნთაშვი-ზღვისპირეთთან, არამედ აგრეთვე მეორე აზიასთან. საინტერესოა, რომ ახალი აღმოჩენების საფუძველზე, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად ძლიერდება ტენდენცია აქვეთი თალასოკრატის გაიგავებისა მინოსურთან, ხოლო თქმულება ტროას ომის შესახებ განხილულ იქნას როგორც ასახვა აქვეწლთა ბრძოლისა შავი ზღვის სრუტეებისათვის.

ვაჭრობასთან ერთად, აქვეთი საბერძნეთის ცხოვრებაში გარკვეულ როლს ასრულებდა აგრეთვე მეკომერცობა, რაც შესანიშნავადაა ასახუ-

1 გ. გობეჯიშვილი, თ. ქათარაძე, გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია* (საზღვრმდგენელი უმაღლესი სკოლებისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა), თბილისი, 1959 (ა. აუთაქიძის რედაქციით), 129-155;

2 З. Ф. Тавадзе и Т. Сакварелидзе, Бронзы древней Грузии, Тбилиси, 1959, стр. 54-62.

3 Г. А. Медикшвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1954, стр. 186 და შემდ.

ლი ბერძენი ისტორიკოსის თეკიდიდეს თხზულებაში („ისტორია“, 1,7). თეკიდიდეს ცნობებს ეხმარება ცნობილი ძველი ბერძენი მეცნიერი (გეოგრაფიისა და ქრონოლოგიის ფუძემდებლის) ერატოსთენეს (ძვ. წ. 284—200) მეტად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივ საინტერესო ცნობა, რომელიც შემონახულია სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (I, 3, 2): „ის (ერატოსთენე — ო. ლ.) ამბობს, რომ ძველ ხალხებად კურაუნდენ ყაჩაღობისა და ვაჭრობისათვის, მაგრამ შეუგულ ზღვაში კი არა, არამედ ნაპირ-ნაპირ, როგორც იასონი, რომელმაც დასტოვა ხომალდები, და კოლხებთან არმენიასა და მიდიამდე ფეხით ილაშქრა“. ამგვარად, ამ ცნობაში პირდაპირი მითითებაა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიმართულ საეკრაო და მეკობრეული ლაშქრობების შესახებ ამ უძველეს ხანაში, როდესაც (იმავე ცნობის თანახმად): „...ერატენს ბედადედა ვერც კვამიწზე ცურვას, ვერც ლიბოს, სირიის და კილიკიის ვასწარიც“. ამგვარ მოგზაურობათა შორის, ძველი ბერძენული ტრადიცია პირველ რიგში ასახელებს არგონავტთა ლაშქრობას, რომელიც ჯერ კიდევ პომპროსის პოემებში იხსენიება: „ოდისეაში“ მოხსენებული არიან: მეფე აიტი (X, 137, XI, 70), აბა ქვეყანა (X, 135; XI, 70; XII, 2), არგონავტების წინამძღოლი იასონი (XII, 72), ჰელიასი (XI, 256) — თესალიის მეფე, რომელმაც, ვადმოცემის თანახმად, იასონს კოლხეთიდან ოქროს საწმისის ჩამოტანა დაავალა, აგრეთვე — არგონავტთა შესახებ ბერძენული თქმულების სხვა პერსონაჟები: კრეთუსი (არგონავტთა წინამძღოლის იასონის პაპი), ესონი (იასონის მამა), ფერეტი, აზითაონი (XI, 259) და ბოლოს, რაც განსაკუთრებით საინტერესოა და მნიშვნელოვანი: „მხოლოდ ერთმა: საზღვაო ხომალდმა, ყველასთვის ცნობილმა სანტყარმა არაგომ, აიტირასგან მომავალად ვასცურა“ (პლანქტებში)², ალბათ, იმასაც მაშინვე მიუხეობდა იქ უზარმაზარ კლდეებს, მაგრამ პერამ ვატარა, რადგან იასონი უყვარდა“ (XII, 70—72).

ანტიკური ტრადიციის (პეროდოტი, ერატოსთენე, ვესელი ეესარელო) თანახმად, რომელსაც თანამედროვე მეცნიერებაც მხარს უჭერს, არგონავტების ლაშქრობა წინ უსწრებდა ტროას ომს (აქსანიშნავია, რომ არგონავტთა შორის არიან ტროას ომის მონაწილეთა მამები და პაპები). ტროას ომის თარიღის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა

სხვადასხვაობაა. უმრავლესობის აზრით იგი ძვ. წ. XIII ს. დასასრულით უნდა დასრულდეს, მაშასადამე, არგონავტთა მოგზაურობა კოლხეთში ამავე უწინარეს უნდა განხორციელდებოდა.

არგონავტების შესახებ ბერძენული მითი, რომლის არსებობი და ძირითადი ბირთვი, როგორც ვარაუდობენ, ჯერ კიდევ პომპროსის წინადროინდელ პოეზიაში იყო ცალკეული სიმღერების სახით დამუშავებული და ძალზე პოპულარული ეპოელოდ პომპროსის შემდეგდროინდელ (ძვ. წ. VIII—VI. სს) ბერძენულ ეპოსში, ჩვენამდე სამწიხაროდ, მხოლოდ გვანდელი ვერსიების სახითაა მოღწეული. მათგან ყველაზე უფრო ადრინდელი მხოლოდ ძვ. წ. V ს. (დაახლოებით 466 წ.) უდიდესი ბერძენი პოეტი — ლირიკოსის პინდარეს მიერ შექმნილი ე. წ. IV პითიური ოდაა, ზენებრძოვა ვითვჩროთ, რომ საუკუნეების მანძილზე მთმა არსებითი ცვლილებები განიცადა იმისდა შესაბამისად, თუ როგორ იცვლებოდნენ ბერძენთა გეოგრაფიული წარმოდგენები, ამტომაც, ჩვენი აზრით, არ შეიძლება ჩვენამდე მოღწეულ გვიანდელ ვერსიებში (პინდარე, აპოლონიოს როდოსელი) წარმოდგენილი კულტურული-სტორიული და გეოგრაფიული გარემო: ვადატანა იმ ეპოქაში (პომპროსის წინარე ხანა), როდესაც არგონავტების შესახებ ბერძენული თქმულების უძველესი ციკლი იქმნებოდა. ერთი რამ კი მაინც სავსებით აშკარაა: არგონავტების შესახებ ბერძენული თქმულების უძველესსა და პირვანდელ ვერსიებში აისახა ბერძენ-აქველთა პირველი მოგზაურობანა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ, რაც კიდევ უფრო უნდა ვახშირებულიყო ბერძენთა მიერ ტროას და ლაშქარის შემდეგ. ამ ხანის (ძვ. წ. XIII—XII სს.) ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს, როგორც ფიქრობენ, კოლხეთში (და აგრეთვე აღმ. საქართველოსა და ჩრდ. კავკასიაში) ბერძენული ხმელთაშუაზღვისპირეთისათვის აგრე დამახასიათებელი ე. წ. სუბმიკენური შვილდსაყინებების ფართოდ გაავრცელება (ბ. კუფტინი, ო. მიქელაძე, რ. აბრამიშვილი).

აქვური ბერძენული სახელმწიფოს დამოღსთან ერთად სრულდება ბერძენულ სამყაროსა და აღმ. შავიზღვისპირეთის შორის ურთიერთობის პირველი ეტაპი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ურთიერთობას არ ქონია რეგულარული და ინტენსიური ხასიათი. იგი, არსებითად, ბერძენ-აქველთა შავი ზღვის სანაპიროებზე პირველი მოგზაურობებით შემოიფარგლა, მაგრამ მას შედეგად მოყვა ბერ-

¹ პომპროსის შემდეგდროინდელ ბერძენულ მწერლობაში ა ა კოლხეთის უძველეს სახელად: მიწველი.

² პლანქტები ანუ ბერძინდელ ავტორთა სიმპლევადები და კინები, ბოსფორის სრუტიდან შვე ზღვაში გასასეულთან ივარაუდება. ძველ ბერძენულ მწერლობაში, პლანქტების გაყვრა შვე ზღვაში ნაოსნობის დასაწყისადაა მიჩნეული.

¹ დაწერ. იმ. ო. მიქელაძე, ქართველთა ტომებისა და ბერძენული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის, საქართველოს მეცნ. აკად. საზ. განვ. ნომერი, 1960, 2, გვ. 170 და შემდ.

ანულ ლიტერატურულ ძეგლებში პირველი ცნობების გაჩენა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომებისა და ქვეყნების შესახებ.

ბერძნულ სამყაროსა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შორის ურთიერთობის განახლება დაახლოებით ძვ. წ. VIII ს. იწყება და არსებითად ბერძენთა ფართო საკოლონიზაციო მოძრაობასთანაა დაკავშირებული. ეს ურთიერთობა ახლა უკვე სულ სხვა საფეხველზეა აღმოცენებული და არაქალაქი ხანის საბერძნეთში შექმნილი ახალი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებებითაა გაპირობებული. ამიტომ, ურთიერთობის ეს ახალი ეტაპი (რომლის შესახებ ჩვენ ახლა ვეძებთ საუბარში), არ წარმოადგენს ე. წ. აქედური ხანის ურთიერთობათა არც განახლებას და არც მის გაგრძელებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქვეყლმა ზღვაოსნებმა გარკვეული რაოდენობის შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიმავალი გზების გაკლევასა და ათვისებაში, აგრეთვე, ბერძნულ სამყაროში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქვეყნების შესახებ პირველი (თუნდაც ჭარბად ბუნდოვანი) ცნობების გავრცელებაში.

ძვ. წ. VIII ს. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე ჩნდება პირველი მდგომარეობის სამოსახლოები, რომლებიც ზღვის ნაპირის გასწვრივ ზომილდა რკინისაგან განკეთებული ბანების როლს ასრულებდნენ. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სინოპის დაარსება, რომელიც „ფასისისაგან მიმავალ გზაზე მდებარეობდა“ (მ. ო. ბ. ი. ს. IV, 36).

ამ დროს (ძვ. წ. VIII—VII სს.) ბერძნებს, როგორც ჩანს, ძირითადად ურთიერთობა აქვთ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთთან — დასავლურ ქართველ ტომთა მსხვილ პოლიტიკურ გავრთიანებასთან, რომელიც ურარტულ წყაროებში „ელებას“ სახელითაა ცნობილი. სამწუხაროდ, ჩვენთვის თითქმის უცნობია ამ ურთიერთობის კონკრეტული ხასიათი, მაგრამ სავსებით აშკარაა, რომ ამ დროის ურთიერთობის ანარეკლია ძვ. წ. VIII—VI სს. ბერძნულ ეპიკურ ძეგლებში არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის შესახებ თქმულებათა პოპულარობა (პესიოდეს და მისი სკოლა, ევმელის კორინთელი, კინეთონი, ე. წ. „ნავიკატორი ეპოსი“, ეპიმენიდეს). მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ უკვე ძვ. წ. VIII ს. ბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებში პირველად იხსენიება „კოლხეთი“ (პოეტ ევმელის კორინთელის „კორინთიკა“ ფრ. 2, რომელიც შემონახულია პინდარის სქოლიასტთან),

ზოლო მდ. ფასისი მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა შორისაა დასახლებული (ქსენოქრეს „უთოგონია“, 1,340).

კელხას პოლიტიკური გაერთიანება ძვ. წ. VIII ს. 20-იან წლებში განადგურდა. მის ნანგრევებზე ძვ. წ. VII-VI სს. დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ახალი პოლიტიკური ერთეული — კოლხეთის სამეფო.

ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის რეგულარული ურთიერთობის დასაწყისი ემთხვევა უკვე შავი ზღვის სანაპიროების ბერძნული კოლონიზაციის პროცესს, რომლის შედეგადაც ძველი პონტოს ზღვის სანაპირო ზოლი თითქმის მთლიანად ბერძენთა ქალაქებითა და სამოსახლოებით დაიფარა. ამ დროს ბერძნული სამოსახლოები ჩნდება კოლხეთის ტერიტორიაზეც.

კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული ბერძნული სამოსახლოების ხასიათის გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის ურთიერთობის ფორმებისა და მისი შედეგების კვლევისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ როგორი იყო ბერძნული კოლონიზაციისა კოლხეთის სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური განვითარებისა და, აგრეთვე, მისი მოსახლეობის მატერიალური თუ სულიერი ევლტურის განვითარების საქმეში.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ კოლხეთის სანაპიროს ზღვისპირა ბერძნულ სამოსახლოებს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილავდნენ, როგორც ბერძნული კოლონიზაციის შედეგად წარმოქმნილ ელინურ პოლისებს და ასეთებად მიიჩნევდნენ ძვ. ფასისს, გვიენოსს და დიოსკურას (ს. ყუბელიოვი, ე. გაიდეუკვიჩი, ბ. კუფტინი, ა. ბოლტუნოვა და სხვ.).

მაგრამ უკანასკნელ წლებში ფართოდ გამოიღო ანტიკოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოებული მასალების საფუძველზე, სრულიად სამართლიანად აღინიშნა კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების წარმოქმნა-განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობის წამყვანი როლი და შესაბამისად კოლხეთში ბერძნული კოლონიზაციის თავისებურთა ხასიათიც (მ. იანაძე, ლ. ლომოური).

ძვ. წ. VIII—VI ს. ბერძნული კოლონიზაცია, როგორც ცნობილია, გამოიხატებოდა მეტროპოლიტიდან (ანუ პირველსაცხოვრისიდან) მოქალაქეთა ერთი ნაწილის გადასახლებაში უცხო ქვეყანაში, და იქ, მეტროპოლისისაგან დაშორებული, ახალი პოლისური ორგანიზაციის შექმნაში. კოლონიზაცია საკუთარი პოლისიდან მოქალაქეთა იძულებითი ემიგრაციის ფორმას წარმოადგენდა და მის, როგორც ცნობილია, საკუთარი, ბერძნული საზოგადოების შინაგანი განვითარებით გაპირობებული მიზეზები ჰქონდა (საწარ-

* ძვ. წ. VIII ს. სინოპის ტერიტორიაზე ბერძნული სამოსახლოს არსებობის შესახებ დანერ. ივ. მ. ი. მაქსიმოვა, *Античные города юго-восточного Причерноморья*, М. Л. 1956, გვ. 36 და შუნდ., *Дж. Хайнд*, *Памятники античных городов южного Причерноморья*, *Советская Археология*, 1964, 13, გვ. 186.

† Г. А. Меликишвили, *К истории древней Грузии*. — გვ. 236.

მომ ძალთა არასაკმარისი განვითარება, ვაცხარებული სოციალური და პოლიტიკური ბრძოლა და ა. შ.). მაგრამ ესაა ბერძნული კოლონიზაციის შინაგანი მიზეზების საკითხი. ამ პრობლემის მეორე მხარე ეს იმას მდგომარეობს, რომ გაირკვეს, თუ როგორ მიმდინარეობდა ბერძნული ახალშენების (კოლონიების) დაარსების პროცესი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ბერძნული კოლონიზაციის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე, სრულიად აშკარაა, რომ ეს პროცესი არ იყო ყველგან ერთნაირი და კოლონიზაციის წარმატება ვაპრობებული იყო ადგილობრივი (დამხვედრი) მოსახლეობის განვითარების დონით. დიდი ხნით ადრე ბერძნული ახალშენების წარმოქმნამდე და თვით კოლონიზაციის პერიოდში, მთელი შვეიცარიისპირეთის მრავალრიცხოვან ტომთა განვითარება ძალზე არათანაბარი იყო (ეს გარემოება, ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა ეთნიკური სხვადასხვაგვარობითა და პორტოს სანაპიროების უძველესი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების სრულიად სხვადასხვაგვარაა დონით იყო გაპრობებული). კოლონიზაციის ადრინდელ ეტაპზე ბერძენ მოახალშენებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა პირობები ხედებოდათ, უკვე ამიტომაც არაა მართებული კოლონიზაციის, როგორც ერთიანი პროცესის, განხილვა და დასმა საკითხისა პორტოს ერთიანობის შესახებ.

სოციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, კარგა ხანია დამკვიდრდა დებულება, რომ „კოლონიზაცია ორმხრივი ისტორიული პროცესის გამოხატულებას წარმოადგენდა. იგი გაპრობებული იყო, როგორც ბერძენების, პირველ რიგში იონიელების, ასევე სტრაბონის ადგილობრივი მოსახლეობის მთელი წინამორბედი განვითარებით... მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე გადასვლის შემდეგ იქმნება პირობები კოლონიების დაარსებისა და მათი შემდგომი განვითარებისათვის...“ (ა. იესენი) ეს დებულება, რომელიც აშკარად აზვიადებს ვაპრობის როლს და მას კოლონიზაციის განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევს, ამკარად სრულიად სამართლიანად იწვევს კრიტიკას. არ შეიძლება ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობისა და ბერძენთა სავაპრო ექსპანსიის ერთმანეთთან გაიგივება. თვითუფლ მთავრან კოლონიზაციის საკუთარი ფორმა ქქონდა: პირველი კოლონია, დამოუკიდებელი ქალაქი-სახელმწიფო, რომელსაც ქქონდა საკუთარი ეკონომიური ბაზა (პირველ რიგში, ინტენსიური და მრავალმხრივი საკუთარი წარმოება), დამოუკიდებელი ელინური (არა ეთნიკური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით) საქალაქო თემი და მეტროპოლიდან ვადმოტანილი რელიგიური კულტი; ხოლო მეორეს — ემპორიონი,

უცხო ქვეყნებში დაარსებული სავაპრო ფაქტორია.

ბუნებრივია ეფარადლოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების მაღალი დონე ყოველთვის როდი ქმნიდა ხელსაყრელ პირობას ბერძნული კოლონიზაციისათვის და შესაბამისად ბერძნული ახალშენების — დამოუკიდებელი ელინური პოლისების წარმოქმნა-განვითარებისათვის. პირიქით, მაღალგანვითარებული ხელოსნური წარმოებისა და ინტენსიური მიწისმოქმედების მქონე ადგილობრივი მოსახლეობის არსებობას, მნიშვნელოვანად უნდა შეეფერებინა ამ ტერიტორიაზე წარმოქმნა ელინური ახალშენებისა, რომლებიც დაფუძნებულნი იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლუატაციაზე. მიწის საკითხი ერთი უმთავრესთაგანი იყო კოლონიზაციის პროცესში. ძველ ბერძნულ წყაროებში შემონახული ცნობები მოწმობენ, რომ შავი ზღვის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროებზე ბერძნული კოლონიების დაარსებას თან სდევდა ადგილობრივი მოსახლეობის დაპყრობა-დამორჩილება, ან კიდევ მათი აყრა-ვადასახლება: ჩრდ. შავიზღვისპირეთის მთავალითუ ცნობილია, რომ მთელი რიგი ბერძნული სამოსახლოები იქ წარმოიქმნა უფრო ადრე დაარსებული ახალშენების (პოლისების) ზრდის შედეგად: ამ ქალაქებიდან მოსახლეობის ნაწილი ვადალიოდა ახლად-ორგანიზებულ სამოსახლოებში (ქ. წ. შინაგანი კოლონიზაცია), რის შედეგადაც მოუღ ჩრდ. შავიზღვისპირეთში სანაპირო ზოლი მთლიანად ბერძნული სამოსახლოებით დაიფარა. დაახლოებით ასეთივე იყო ბერძნული კოლონიზაციის განვითარების შედეგად შავი ზღვის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროებზე. სრულიად სხვაგვარი სურათია ამ მხარე კოლხეთში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, კოლხეთის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების მაღალი დონე ქერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში, ამ დროს კოლხეთის დასახლებაში სრულიად აშკარად შეინიშნება ხელოსნობისაგან მიწისმოქმედების გამოყოფის პროცესი, სატომამაორისო ვაცელითი ურთიერთობის ვაძლიერება, გვაროვნული არისტოკრატის გამოყოფა, ქონებრივი დიფერენციაცია... უკვე ძვ. წ. VI ს. დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ვალიბდება ძლი-

¹ შედ. Я. В. Доманский, Нижнее Побужье в VII-V вв. до н. э., Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Л. გვ. 4-8.

² შედ. ანტიკური ტრადიციის სინოპის დაარსების შესახებ, ან კიდევ სტრაბონის ცნობა პანტიკაპეიონის შესახებ (XI, 2, 5), ბერძნული კოლონიების დაარსება სოციალში და ვარგოფ აფრიკაში (ქ. კირენე).

როს სახელმწიფო ერთეული — კოლხეთის სამეფო¹.

იმ დროისათვის, როდესაც ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობა აღმ. შავიზღვისპირეთისაკენ უნდა წარმართულიყო, კოლხეთში, როგორც ზღვისპირა ასევე შიდა რაიონებში, მიმდინარეობს მსხვილ სამიწათმოქმედო სამოსახლოთა ქალაქური ტიპის (ვაკრობა-ხელოსნობის ცენტრების) სამოსახლოებად გარდაქმნის პროცესი. ამემად, ძვ. წ. VI-V სს. ქალაქური ტიპის სამოსახლოებები მიკვლეულია ძველი კოლხეთის ყველაზე უფრო ეკონომიურად დაწინაურებულ რაიონებში — რიონის დაბლობში (სამხრეთ, ქუთაისი, ვანი, დაბლაგომი).

ადრეანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიურ რუკაზე დაკვირვება ცხადყოფს მოსახლეობის საკმაო სიმჭიდროვეს კოლხეთის დაბლობში და რაც ამჭრად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (კოლხეთში ბერძენული კოლონიზაციის პირობების საკითხთან დაკავშირებით) — მთელს ზღვისპირა ზოლში. უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან სრულიად აშკარად შეინიშნება კოლხეთის დაბლობის (შიდა და ზღვისპირა რაიონების) მოსახლეობის განვითარების მეტნაკლებად ერთიანი პროცესი. კულტურული ერთიანობა კიდევ უფრო თვალსაჩინოა ვეინანტიკაო-ადრე რკინისა და, განსაკუთრებით, ადრეანტიკურ ხანაში.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება კოლხეთის ზღვისპირა ზოლში (ბათუმის რაიონი, ცხისძირი, ქობულეთ-ფიქნარის, ურკეი, ფოთი და მისი მიდამოები, ყუღუყი, ქარიტა, თამაშირი, სოხუმი და მისი მიდამოები, ეშურა, ბიჭვინტა — ლაა) ცხადყოფს, რომ მთელი ზღვისპირა ზოლი მთლიანად ადგილობრივი მოსახლეობითაა მჭიდროდ დასახლებული, როგორც წინარეანტიკურ (ე. ო. კოლონიზაციის წინაზე ხანაში), ასევე ადრეანტიკურ (კოლონიზაციის პერიოდში) ხანაში. ამასთან მიწისმოქმედებასა და ხელოსნურ წარმოებასთან ერთად (კერამიკული წარმოება, რკინის მეტალურგია), მოსახლეობის საწარმოო საქმიანობა მჭიდროდაა ზღვასთან დაკავშირებული (მეთევზეობა, მარალიას სარეწები).

ზემოაღნიშნულ ვითარებას საგრძნობლად უნდა შეეფერებინა კოლხეთში ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის განვითარება: ძვ. წ. VI-V სს. კოლხეთის სახელმწიფოსა და ადგილობრივი საქალაქო ცენტრების არსებობის პირობებში (როგორც შიდა რაიონებში, ასევე ზღვის სანაპირო ზოლში) აღარ ჩნებოდა საფუძველი ბერძენული კოლონიების — დამოუკიდებელი სოციალ-ეკონომიური ბაზის მქონე და ირგვლივ მდებარე ადგილობრივი სასოფლო

თემების ექსპლუატაციაზე დაფუძნებული კოლონიების წარმოქმნა-არსებობისათვის.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ ბერძენულ კოლონიალურ ცენტრად ფასდება მიწნეული.

საინტერესოა აღინაშნოს, რომ ქალაქის სახელწოდება — „ფასია“ არაა ბერძენული. „ფას“ ძირიანი სახელები ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში, ხოლო ფასის შთიდან იღებს სათავეს მდ. რიონი — ძველი ფასისი და ეს სახელი შეერქვა ძველი რიონის შესართავთან აღმოცენებულ ქალაქს, მაგრამ ეს ვარაუდები როდია გამსაზღვრელი ამ ქალაქის ხასიათის (მისი ელიზნობის თუ არა ელიზნობის თვალსაზრისით) განარკვევად: ყარაგაჯა ცნობილი, რომ ბერძენული წმინდა ადგილობრივი მღინარის სახელს შეარქმევდნენ ხოლმე მის შესართავთან დაარსებულ ახალშენს — შეად. მაგ. მდ. პანტიკაპა და ქ. პანტიკაპეონი. მდ. პანტიკოსი და ქ. პანტიკა და სხვ. ჩვეულებრივად დიდმნიშვნელოვანია და საგანგებო ყურადღების ღირსი, ბუკოლიურ პოეტ თეოკრიტესთან სქოლიოდში დატყუი ცნობა: „მსახეასი (ალექსანდრიული ეპოქის მეცნიერი, შესაძლოა ერატოსთენეს მოწაფე, ო. ლ.) ამბობს, რომ კოლხებმა თავიანთი სახელწოდება მიიღეს კოლხისიანად, ფასისის ვაისიანად“. ამგვარად, ქალაქი კოლხთა პანთონის უმადლესი ღვთაების სახელს ატარებს! ხოლო უფრო გვიან, ახ. წ. II ს. არიანეს ცნობით, ქალაქის შესასვლელთან ფასიელთა ქალღმერთის ქანდაკება იყო აღმართული.

ფასისის მიდამოებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე იქნა ფიქსირებული მთელი რიგი მჭიდრო კოლხური სამოსახლოებები ძვ. წ. VI-V სს. ამასთან დადგინდა მათი გენეტური კავშირიც ეშურად წინაზე ხანის (ძვ. წ. VIII-VII სს.) სამოსახლოებთან. ამრიგად, ფოთის (ძველი ფასისის) მიდამოებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები იქნებ ვერ კიდევ არ ვეაძლევის საფუძველს საბოლოო დასკვნებისათ-

¹ თ. მიქელაძე, ფასიანების სადაფრობისა და ადგილსაწყოდლის გარკვევის საკითხისათვის, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. №2, გვ. 23-35.

² შეტად საინტერესოა, რომ ფასის მთის ხალხური ზებირსტყვიერება „ამირანის მთას“ ეძახის, ხოლო ბერძენი წერაღი ამბორონის როდოსელი (ძვ. წ. III ს.) მდ. ფასისის სათავედ ასახელებს ამირანტის მთას (ამირანის მთა) — შეად. აპოლონიოს როდოსელი, აგრონომიკა, ბერძენულიდან თარგმანი და განმარტებანი დაჯიბრთ აკაიო ურუმბემ, თბილისი, 1948, გვ. 219.

³ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии... გვ. 236 და შემდ.



ვის, მაინც ამ ეტაპზეც ფრიად ანგარიშვასწევია და მეტად მნიშვნელოვანი კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის ხასიათისა და შედეგების ცვლელისათვის. ფასისა რომ ბერძნული კოლონიზაციის შედეგად წარმოქმნილი ქალაქი ყოფილიყო, აქ, ამ ვრცელ ტერიტორიაზე (ქალაქის გარეუბნებში), თუ ყველაფერი არა, ძირითადი და წამყვანი მაინც ბერძნული უნდა ყოფილიყო (საცხოვრებელი ნაგებობანი, საოჯახო ინვენტარი და, საერთოდ, მატერიალური კულტურა). კლინტონმა ფოთის არქეოლოგიურ მონაპოვარში მხოლოდ მეტად მცირერიცხოვანი იმპორტული კერამიკითაა წარმოდგენილი და იგიც (როგორც ქვემოთ დავინახავთ) აღმოსავლურ-ბერძნული და ატიკის სახელოსნოს პროდუქტია და აქ სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გზითაა მოხვედარი. ჩვენი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ ძვ. წ. VI—V ს.ს. კერამიკის ნიმუშებს შორის არ გვხვდება არცერთი ნიმუში ადგილობრივ დამზადებული წმინდა ბერძნული იერისა და ფორმის კერამიკისა. ბერძნული კოლონია ხელსნერი წარმოების გარეშე წარმოუდგენელია. ამ ნაწარმის მომხმარებელი, პირველ რიგში, ქალაქისა და მის ირგვლივ მდებარე მოსახლეობა უნდა ყოფილიყო და ეს აუცილებლად იჩენდა თავს არქეოლოგიურ მონაპოვარში. ანალოგიები მასალების შოტანი შეიძლება სხვა, ბერძნულად მიჩნეული ქალაქების (დოსკურთა, გენონის) შესახებაც. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალები არ გვაძლევენ უფლებას კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული ბერძნული სამოსახლოები ვაჩვენოთ. როგორც კოლონიები და კოლონიზაციის შედეგად წარმოშობილი ელენური პოლისები. ჩვენი აზრით, კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული ბერძნული სამოსახლოები წარმოადგენდნენ ემპორიონებს, ადგილობრივ საქალაქო ცენტრებთან დაარსებულ სავაჭრო ფაქტორიებს, რომელთა მეშვეობითაც ზოგიც ელდებოდა კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ბერძნულ სამყაროსთან.

ანტიკური სამყაროს კოლხეთთან რეველარული სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის აღინდელ ეტაპზე (ძვ. წ. VII ს. დასასრული — VI ს.) სრულიად აშკარაა აღმოსავლურ-ბერძნული (იონიური) სავაჭრო-სახელისწო ცენტრების აქტიური როლი. ძვ. წ. VII ს. დასასრულსა და VI ს. პირველ ნახევარში ურთიერთობა, როგორც ჩანს, ვერ კიდევ ძალზე სპორადულ ხასიათს ატარებს (ამ ხანის მხოლოდ ერთეულ აღმოჩენებაა ქერჭერობით ცნობილი). სამაგიეროდ უკვე ძვ. წ. VI შუა ხანებიდან და განსაკუთრებით ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევარში ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის უკვე საქმაოდ ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობაა. ამასთან ისიცაა აღსანიშნავი, როგორც ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური მონაპოვარებისა, რომლებიც ძვ. წ. VI ს. ბერძნებს ურთიერთობა აქვთ, ძირითადად, კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის მოსახლეობასთან, ვიდრე ქ. ფასისამდე და ამ უკანასკნელის მეშვეობით კოლხეთის შიდა რაიონებთან. ქერჭერობით ძვ. წ. VI ს. არცერთი ფრამენტი არაა აღმოჩენილი მდ. რიონის ჩრდილოეთით ზღვის სანაპირო ზოლში, თუ აქ შემთხვევით გარემოებასთან არ გვაქვს საქმე, მაშინ უნდა ვევაზაუდოთ, რომ კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის მოსახლეობასთან ბერძნულ-სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა რამდენადმე უფრო გვიან, ძვ. წ. VI ს. სულ დასასრულს, უფრო კი ძვ. წ. V ს. იწყება.

ძვ. წ. VI ს., როგორც ითქვა, კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაში აქტიური როლი იონიური სავაჭრო-სახელისწო ცენტრები ასრულებენ. ამ ცენტრებს ნაწარმი, უმარატესად მხატვრული კერამიკა, უკვე საქმაოდ დიდი რაოდენობითაა კოლხეთში აღმოჩენილი.

აღსანიშნავია სიმრავლე მოხატული და, საერთოდ, მხატვრული კერამიკისა (ხევადასხვა ფორმის ქაშები, მოხატული თფშები, პოლიქრომიული სარტყლებით შემკული სურები, ტრაქები და სხვ.), აქ კარგად გამოიყოფა ე. წ. იონიურ-როდოსული (კამირესის ჯგუფი), ფიკულერისა და „იონიური“ სტილის კერამიკა. ამ კერამიკის ნაწილი როდოსის და სამოსის სახელოსნო ცენტრების პროდუქტია. ქერჭერობით ვერ ხერხდება აღმოსავლურ-ბერძნული კერამიკის ე. წ. „იონიური“ ჯგუფის სახელით ცნობილი კერამიკის საწარმოო ცენტრების განსაზღვრა. თიხების მრავალფეროვნება მყვლევათა სხვადასხვა ნაწარმოო ცენტრის (ქობის, ნაქრატისი, მილეტი) არსებობას ავარაუდებინებს. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ აღმოსავლურ ბერძნულ-კერამიკის მყვლევათა უმრავლესობის აზრით, მსუამავლო როლს, იონიური სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების პროდუქციით ვაჭრობაში, ასრულებდა უიდედესი სავაჭრო ცენტრი მილეტი. იონიური მხატვრული კერამიკის ინტენსიური იმპორტზე კოლხეთში მოწმობს ამ კერამიკის აღმოჩენა არა მხოლოდ ზღვისპირა ზოლში (ქობულეთი-ფიჭვნარი, ფოთის შიდაპოები), არამედ კოლხეთის შიდა რაიონებში (ს. ჭვანავი) და აღმ. საქართველოშიც კი (ს. ავღეთი)... გარდა მხატვრული კერამიკისა, იონიური ცენტრებთან კოლხეთში შემოქონდათ ზეთუნის ზეთი, მაღალი ხარისხის ღვინო და სხვ. ამაზე მიუთითებს დიდი ზომის სტრანსპორტო თიხის ჭურჭლის, ე. წ. ამფორების ძალზე ხშირი აღმოჩენები ძველი კოლხეთის მრავალ პუნქტში. აღსანიშნავია, რომ კოლხეთში აღმოჩენილი (ძვ. წ. VI ს.) ამფორების უმრავლესობა, ავრთვევ

იონიური საწარმოო ცენტრებისა (ქიოსი, ლესოსი, სამოსი და სხვ. — უცნობი ცენტრები).

ძვ. წ. VI ს. დასასრულსა და V ს. დასაწყისში შეინიშნება აღმოსავლური ბერძნული ცენტრების საეპიკრო ურთიერთობის შესუსტება კოლხეთთან. ძვ. წ. V ს. მეორე ნახევრიდან იონიური მხატვრული კერამიკა თითქმის სრულებით აღარ გვხვდება კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში. სამაგიეროდ ამ დროიდან სრულიად აშკარად ისახება ათენის (ატიკის) აქტიური საეპიკრო როლი კოლხეთთან ურთიერთობაში.

ათენის საეპიკრო-ეკონომიური ურთიერთობა კოლხეთთან, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ, ძვ. წ. VI ს. უკანასკნელ მეთოხედში იწყება. ამ დროის ცალკეული აღმოჩენები ცნობილია ქობულეთ-ფიქვნარის, ფასისის მიდამოებიდან, აგრეთვე ერთი აღმოჩენა აღმ. საქართველოშიცაა (ხოვლე) ექსპორტული. მაგრამ არქეოლოგიურ მონაპოვარში ნათლად ჩანს, რომ ამ დროს ატიკათან ურთიერთობა ჯერ კიდევ არაა ინტენსიური და იგი ვერ უწყევს კონკრეტულს იონიურ საეპიკრო-სახელწოდებულ ცენტრებს. სულ სხვა სურათია ამ მხრივ ძვ. წ. V ს.-ში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარსა და IV ს.

ატიკური მალაქმხატვრული შეფიფრისანი, წითელფიფრისანი და სხვა შევლავიანი კერამიკა (კრატერები, სეფოსები, ლეკოსები, კალიკები, ასეები, კანთაროსები, პელიკები, გუტუსები) უკვე ძველი კოლხეთის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ანტიკურ ნამოსახლარზე მოპოვებულია (ქობულეთ-ფიქვნარი, ბათუმის მიდამოები, ურუკი, ფრისის მიდამოები, ოჩამჩირის ანტიკური ნამოსახლარი, ქ. სოხუმი და მისი მიდამოები, ეშერი). მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ძვ. წ. V და IV სს. ატიკური ამპორტი რიონ-ყვირილის საეპიკრო მაგისტრალთა საქმოდ ინტენსიურად იცვლევს ვაზს, აგრეთვე კოლხეთის შიდა რაიონებში (ვანი, დაბალეთში, ქუთაისი, ჭოგნარი, საჩხერე, თხვისი) და მთიან ზოლშიც (რაკა, სვანეთი). ათენის კოლხეთთან საეპიკრო-ეკონომიურ ურთიერთობაზე მიუთითებს აგრეთვე ნუმისმატიკური მასალებიც (კოლხეთში აღმოჩენილი ათენური ტეტრადრამები, ქინიკინი). ათენი ასრულდება, აგრეთვე, სამუშაოებს როგორც კოლხეთთან კ. თაზოსის პროდუქციით ვაჭრობაში.

ათენსა და კოლხეთს შორის ურთიერთობის თავალსაზრისით, დიდ ინტერესს იწვევს ათენში აღმოჩენილი და ამჟამად ბერლინის მუზეუმში დაცული ჰიდრა (თიხის სააყურა ქურჭელი), რომელზედაც შემორჩენილია ბერძნული წარწერა — „კოლხმა გამაკეთა მე“. ეს ჰიდრა, ატიკური (შეფიფრისანი სტილის) ნაწარმოებდაა მიჩნეული, მაგრამ მასში უხედაა წარმოდგენილი იონიური მხატვრული ნაკადი. ათენშია აღმოჩენილი და ბერლინის მუზეუმში დაცული, თიხის ამფორა (ორყურა ქურჭელი), რომელსაც

აგრეთვე ბერძნული წარწერა ახლავს „ვექსის-თოსმა გამაკეთა, კოლხმა შემხატა“. ცნობილი გერმანელი სპეციალისტის ვერნტ. ჩედელის აზრით, ათენში მოღვაწე იმავე კოლხი ოსტატის მიერ უნდა იყოს ამხატული კიდევ ერთი ლარინაი, რომელიც ახლა კოპენჰაგენის მუზეუმშია დაცული.

ათენში აღმოჩენილ წარწერებში ოხსენიებან აგრეთვე კოლხი მონებიც. მათ შორის ძვ. წ. 415/414 წ.წ. ე. წ. ჰერმოკოპიდების პროცესთან დაკავშირებით შედგენილ წარწერაში, საიდანაც ჩანს, რომ მეტივე კეთისოდორის ეტენილი მონა კოლხი 153 დრამად იყო შეფასებული.

კოლხეთის ზღვისპირა ბერძნული საეპიკრო ფაქტორიების მეშვეობით, კოლხეთში ვრცელდებოდა აგრეთვე ეგვიპტისა და სირიის სახელწოდებების ნაწარმი (ფერადი მინისა და პასტის მძივები, პოლიქრომიული მინის საწინააღმდეგე ქურჭლები და სხვ.).

ანტიკურ საყაროსა და კოლხეთს შორის ურთიერთობის ერთ-ერთ უფლებზე უფრო მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს მარმარილოს სტელა, რომელიც 1953 წ. აღმოჩნდა სოხუმთან (ძველი დოსკურია) ზღვის ფსკერზე. სწორედ ესაა დღემდე (157 სმ X 92) სამფიფრისანი რელიეფური კომპოზიციის, რომელიც განსვენებულთან გამოთხოვების სცენას ასახავს. სტელის ფორმისა, გამოსახულების კომპოზიციისა, რელიეფის ხასიათისა და დრამატიზმით ეს ძეგლი დაახლოებით ძვ. წ. 430-420 წ.წ. თარიღდება. საეგვიპტო-აშკარა ძლიერი ატიკური გავლენა და, საერთოდ, სტილის თავალსაზრისით, ატიკური ფორმის სოხუმის სტელისა, მაგრამ ამასთან ერთად, ზოგჯერ თი თავისებურება გვეყარაუღებინებს გარკვეულ კავშირს იონიურ პლანტიკასთან.

ბერძენთა ატიკური საეპიკრო ურთიერთობა კოლხეთის მოსახლეობასთან, როგორც ჩანს, თვით კოლხეთის სამფიფრის შინაგანი საეპიკრო ურთიერთობის ორგანიზაციისა და სასაქონლო წარმოების მაღალი დონით იყო გაპირობებული. ცნობილია, რომ უკვე ძვ. წ. VI ს. კოლხეთში იჭებოდა საყურთა მონეტა ე. წ. „კოლხური თეთრი“, რომლის ვაჭრელებსაც არცაა ძირითადად კოლხეთის ტერიტორიით იფარებოდა (უფრო შიდა რაიონებში) და ამის გამო საზარტლიანადაა მიჩნეული, რომ „კოლხური თეთრი“ ადგილობრივი ბაზრის ინტერესებისა და რეგულაციებისათვის იყო მოჭრილი. ეს კი, უნდა ვთქვათ, მხოლოდ ადგილობრივი ცენტრალური ხელისუფლების პეროგატივას შეადგენდა და საყურთო კოლხეთის სასაქონლო წარმოების ინტერესებს შეესაბამებოდა.

დიდ ინტერესს იწვევს ძვ. წ. III ს. ბერძენი მწერლის აპოლონიოს როდოსელის ცნობა: „კოლხებს შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კირები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და მხედვითათ



ველა გზა და საზღვარი“ („არგონავტიკა“, IV, 279-281).

აპოლონიოს როდოსელის ეს მრავალმხრივ საყურადღებო ცნობა და აგრეთვე I ს. ბერძენი გეოგრაფოს სტრაბონის მითითება მდ. ფასისზე 120 ხილის არსებობის შესახებ სრულად თამამად შეიძლება მიჩნეულ იქნას ძველ კოლხეთში სავაჭრო გზებისა და საქმის ორგანიზაციის მაღალი დონის მოწმობად.

კოლხეთის საქსპორტო საქონლის შესახებ ცნობები ძველ ბერძენულ საისტორიო მწერლობაშია შემონახული (პეროდოტი, პითაგორატი, სტრაბონი, პლინუსი და სხვ.), როგორც ჩანს, კოლხეთიდან ფართოდ გაქონდათ სხვადასხვა ნედლეული, განსაკუთრებით ხე-ტყე, მათ შორის მღლი ხარისხის გემსაშენი ხე, აგრეთვე კანაფი, თაფლი, ცვილი. ფართოდ იყო ცნობილი კოლხური ფრინველი, განსაკუთრებით ხოსობა, რომელიც ბერძენ-რომაელ მწერალთა (ავთარქიდე კნოსოელი, პეტრონიუსი, კოლუმელა და სხვ.) ცნობით, საკმაოდ ძვირად ფასობდა. ხოსობა დღევანდელი მდ. რიონის ანუ ძველი ფასისის მდამოებე იყო სახელგანთქმული. ამ ფრინველს ამიტომ ძველ ბერძნები და მერვე რომაელები „ფასიანურს“ უწოდებდნენ. შესაბამისად ანალოგიური წარმოშობისაა ხოსობის აღმნიშვნელი სიტყვა თანამედროვე ევროპულ ენებში რუსული фазан ვერმანული faisán, ინგ. phasant, ფრანგული faisant).

ექსპორტის საგანს შეადგენდა აგრეთვე კოლხური ხელოსნური ნაწარმიც: მთელს ანტიკურ სამყაროში იყო კოლხეთი სახელგანთქმული სელის წარმოებით, იგი ეკავებოდა კი მებრძობის უწყველ (პეროდოტი, სტრაბონი).

კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობაში ანტიკურ სამყაროსთან შეაშავა როლს, როგორც ჩანს, ბერძენული ემპორიონები (სავაჭრო ფაქტორიები) და ბერძენი ვაჭრები ასრულებდნენ. მაგრამ არსებობს გაკვეთილი საფუძველი სავაჭრო ვაჭრობაში თვით კოლხი ვაჭრების აქტიური როლი ევარტოლოთ. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, დიდწიშეწველოვანია ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც ბოსფორის სამეფოს ტერიტორიაზე (ყირიმის ნახევარკუნძულზე) აღმოჩენილი. სადღესოდ ბოსფორის სამეფოს უკვე მრავალ პუნქტშია ფიქსირებული კოლხური კერამიკის ქვეყნები, დერგუბა და სხვ.) საქმით ზნობი აღმოჩენილი (პანტიკაპეიონი, ნიმფა, ფანაგორია, მიამეტონი). აღმოჩენილია აგრეთვე მონეტებიც — კოლხური თეთრი (ნიმფა). მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1962 წ. მოსკოვის სახელი ზელოვნების მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბოსფორის სამეფოს დედაქალაქის პანტიკაპეიონის ვითხოვების დროს, კოლხური კერამიკის ფრაგმენტებთან 12. „წინათობა“, № 3.

ერთად, აღმოაჩინა ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევრის რომაული თიხის ტრაქტი, რომელზედაც ამოკაწრული იყო სახელი: „კოლხოს“ „მისონი“ ზელოვარაფული ნიშნები (ასო ყომა) მოქონებული, რომ სახელი ამოკაწრულია არაუგვიანეს ძვ. წ. VI ს. დასასრულისა.

საკუთარ საშეცნევრო ლიტერატურაში (ე. გილდუევიჩი, ი. ხეგსტი) გამოთქმულია მოსახრება, რომ კოლხეთიდან სხვა ქვეყნებში (მაგ. ჩრდ. შაიზღვისპირეთში) გაქონდათ ოქროც. ასეთი ვარაუდი, კოლხეთის როგორც ოქროთი მდიდარი ქვეყნების შესახებ, ბერძენ-რომაელი მწერლების ცნობებზეა დაფუძნებული.

ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის ცნობით: „(კოლხეთში)... მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, რასაც ბარბაროსები დაჩერებულნი ფერცლებით და ბეწვიანი ტყავებით აგროვებენ. ფედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ტყავებ...“ (XI, 9, 19). ხოლო II ს. მწერლის ამინეს ცნობით: „კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეში სველ-მატყლიან ცხვრის ტყავები დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავებზე რჩება. ალბათ, ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც“ („მითრიდატეს ომები“, 103). ანალოგიური შინააზრის ცნობები სხვა მწერლებსაც მოგვხვებათ. მაგრამ ყველაზე საინტერესო და ფრად მნიშვნელოვანი ისაა, რომ ოქროს მოპოვების ბერძენ მწერალთა მიერ ზემოაღწერილი წესი, თითქმის უკანსენელ დრომდე შემონახა სვანეთში, ე. ი. ისტორიული კოლხეთის მთიან რაიონებში. აქ განსვენებული ქართველი ეთნოგრაფის ლ. ბოჭორიშვილის ცნობით: „ოქროს მოპოვებას სვანები ცხვრის ტყავის დახმარებით ახერხებდნენ. ფიცარზე გაქიმულსა, თუ სხვაგვარი ხერხით გალილის ცხვრის ტყავს წყალში ჩააფენდნენ და სათანადოთ დაამკვრებდნენ, რომ წყალს არ მოეტაცნა, ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ უნდა ყოფილიყო მოქცეული: „ბეწვი ოქროს დაიჭრდა და წყალი კი გადავიდა“. „სველი ტყავი ოქროს კენჭებს მიიწებება, რადგანაც ოქრო უფრო მძიმეა, ვიდრე სილა, ამიტომ ქვიშა ზევით რჩება და ოქრო ძირს ჩადის“. განსაზღვრული დროის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ და გასაშრობად გაშლიდნენ. გამშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და „ოქროს კენჭებს“ გადმოჰყრიდნენ“. ვფიქრობთ ძნელია მოიძებნოს სხვა უფრო ნათელი დადასტურება, ძველ ბერძენ მწერალთა ცნობებისა კოლხეთის შესახებ; ამ ცნობებისა, რომელთა ავტორები ცდილობდნენ განემარტათ ოქროს საწმისის შესახებ მითის წარმოშობა. დაუვამატებო მხოლოდ, რომ სვანეთში ასეთი გადმოცემაცაა შემონახული: თითქოს ლეშხვარაზე მდგარა ორსართულიანი ტაძარი... მიწისქვეშა ქვედა სართულში ოქ-

როს განძელობა ინახებოდა. აქვე იყო ოქროს გაქვით დაბმული ოქროს ვერძი.

ძველ კოლხეთს ოქროთი მდიდარი ქვეყნის სახელი, როგორც ჩანს, მოუხვეჭა, აგრეთვე ძველი კოლხი ოსტატების მიერ შექმნილმა მაღალმხატვრულმა ნაწარმმა. კოლხ ოქრომწვედელთა ნაკეთობანი კარგა ხანია უკვე იფრობენ სპეციალისტთა ფართო წრეების ყურადღებას... აქ საკმარისი იქნება გავიხსენოთ, რომ 1961 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ნ. ხოშტარიახ ხელმძღვანელობით) ძველი კოლხეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში — ვანში გათხარა ძვ. წ. V ს. ერთი სამარხი, სადაც 1000-ზე (!) მეტი ოქროს ნივთი იპოვეს არქეოლოგებმა. მათ შორის იყო, მაღალი მხატვრული ოსტატობით შესრულებული მრავალფეროვანი სამაჩურები, ყელსაბამები, ბეჭდები, საყურეები, დიადემა, ხატიხულები, ფიალები და მრავალი სხვ. ძველი კოლხეთის არქეოლოგიური მონაპოვარიც აგრეთვე, საკმაოდ მკვერამეტყველი ილუსტრაციაა ანტიკურ მწერალთა ცნობებისა კოლხეთის, როგორც ოქროთი მდიდარი (ოქროს საწმისის) ქვეყნის შესახებ. ძველ ბერძენ მწერალთა ცნობები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფენ, რომ

ელენური მითი ოქროს საწმისის შესახებ გარკვეული რეალური ვითარების შესახებ იყო. ავი ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიოსი სტრაბონი წერდა კიდევ: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა (კოლხეთი), ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონისა... და ამაზე უწინ კი ფქრიქსეს ლაშქრობაზე... (მითები) მოგვითხრობენ ამ ქვეყნის სიმდიდრეზე, რომელიც ოქროს, ვერცხლის, რკინისა და სპილენძისაგან შედგება, რაც იყო მიზეზი ფრიქსესა და იაზონის ლაშქრობისა.“

ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის ცხოველი ურთიერთობის შედეგი და თავისებური გამოხატულებაა კოლხეთის შესახებ დაწვრილებითი ცნობების გაჩენა არქაული და კლასიკური ხანის ბერძენულ საისტორიო მწერლობაში (ბერძენი ლოგოგრაფოსები, პეროდოტე, პიპოკრატე, არისტოტელე და სხვ.). ძვ. წ. VI— ს. ს.-ში კოლხეთის თემა (განსაკუთრებით კი მითი არგონავტების შესახებ) ძალზე პოპულარულია ბერძენულ მხატვრულ ლიტერატურასა (პინდარე, ესქილე, სოფოკლე, ვერიპიდე) და სახვით ხელოვნებაში (რელიეფი, ვრამიეული ფერწერა).



¹ ლ. ხოშტარიახი, ოქრომწვედლობა ზეანთში, საქართველოს მეცნი. აკად. ნოინბე, ტ. VII, № 5, 1946, გვ. 233-234.

² Г. С. Чичая, д.с.с. н.с., гв. 2-3.

³ Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Ване, „კავკასიურ-ხლო აღმოსავლური კრებულები“, II, 1902, თბილისი.

ნოზარ ჯანბანიძე

ბიორგი ჩუბინაშვილი

ამ ორმოცდაათი წლის წინათ, როცა ქართული ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც მეცნიერება ჯერ არ არსებობდა და ქართული კულტურის ძეგლების შესწავლა ცალკეულ მკვლევართა პატრიოტულ მეცადინეობაზე იყო დამყარებული, ქართულ მეცნიერებაში გამოჩნდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელი, რომლის თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად არჩევას (1918 წელს) ივანე ჯავახიშვილის შემდეგი წერილი მიუძღოდან: „პალეს უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და თავისუფალ ხელოვნებათა დოქტორი გ. ჩუბინაშვილი მომზადებული და ფრთხილი მკვლევარია და თავის საგნის ღრმად მოყვარული. ქართული ხელოვნების ისტორია თავის განსაკუთრებული კვლევის საგნად აქვს არჩეული და ამ დარგში მეთოდურად მუშაობს. როგორც ხელოვნების საზოგადო თეორიისა და ისტორიის მცოდნეს, მას ქართული ხელოვნების შესწავლისათვის შესაფერისი წინასწარი მომზადება აქვს და მისი ნაწერებიც მოწმობენ, რომ ამ ასპარეზზე მას თვალსაჩინო ნაყოფიერებისა და სარგებლობის მოტანა შეუძლიან. ამიტომ, რაკი ჩვენ ფაკულტეტს ჯერ ხელოვნების ისტორიის კათედრისათვის პროფესორი არა ჰყავს, სასურველია გ. ჩუბინაშვილი ამ კათედრისათვის პროფესორად არჩეულ და მოწვეულ იქმნეს“. მას შემდეგ თითქმის ორმოცდაათი წელი გავიდა. ორმოცდაათი წელი იმის დადასტურებისა, თუ რაოდენ დიდი, „თვალსაჩინო ნაყოფიერება და სარგებლობა“ მოუტანა გიორგი ჩუბინაშვილმა ქართული მეც-

ნიერების განვითარების კეთილშობილურ საქმეს.

გიორგი ჩუბინაშვილი მეცნიერთა იმ მცირე რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა სახელიც გასცდა ვიწრო სპეციალობათა ფარგლებს და მკიდროდ დაუკავშირდა ერის ზოგად კულტურას. დღეს ქართული ხელოვნების ძეგლები ძნელი წარმოსადგენია გიორგი ჩუბინაშვილის შრომების გარეშე და ვინც ქართული ძეგლების შესწავლას მოჰკიდებს ხელს, მისთვის ამ შრომათა გაცნობა ისევე აუცილებელია, როგორც თვით საკვლევი ობიექტებისა. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ჩუბინაშვილმა ქართულ ისტორიულ ძეგლებს გვერდში ამოუყენა თავისი მნიშვნელობით მათი ადექვატური მეცნიერული აზრი და ამით კიდევ უფრო მდლდა ასწია მათი საერთო მნიშვნელობა.

გიორგი ჩუბინაშვილს სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა მაშინ, როცა, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ისტორიული ძეგლების გარშემო საქმარისი მასალა იყო დაგროვილი, იგი განიზილებოდა მხოლოდ როგორც არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც არაფერს ამბობდა ძეგლის მნიშვნელობასა და ადგილზე თვით ხელოვნების განვითარებაში. მაშინ არა თუ არ იყო დადგენილი ქართული ხელოვნების განვითარების სურათი, ან თარიღები ცალკეული ძეგლებისა, არამედ იმდროინდელი ხელოვნებათმცოდნეობის „წყალობით“ იგი სრულიად მცდარად, გაყალბებულად იყო წარმოდგენილი, როგორც ბიზანტიური ხელოვნების პროვინციული განშტოება. XIX საუკუნის

30-იანი წლებიდან, როცა შვეიცარიელმა მოგზაურმა დიუბუა-დე-მონპერემ პირველად გამოაქვეყნა ქართული ხელოვნების ძეგლები, გავრცელდა მცდარი აზრი, თითქოს ქართული ხელოვნება მოკლებული იყო დამოუკიდებლობას. ეს აზრი კიდევ უფრო „განამტკიცა“ ვენელმა პროფესორმა იოზეფ სტრიგოვსკიმ და დაამკვიდრა იმდროინდელ ლიტერატურაში. ქართული ხელოვნების სწორად გაშუქებაზე რომ აღრაფერი ითქვას, იმდროისათვის თვით ფაქტობრივი მასალაც არ იყო დადგენილი.

გიორგი ჩუბინაშვილის პირველსავე შრომებში გამოჩნდა სრულიად ახლებური მიდგომა ხელოვნების ძეგლებში-სადმი, რომლებიც პირველად იქნა განხილული როგორც ხელოვნებათმცოდნეობის ობიექტები. პირველად იქნა მოცემული მათი ყოველმხრივი სტილისტური ანალიზი. პირველად გამოჩნდა მათი, როგორც ხელოვნების ძეგლთა, ნამდვილი სახე და მნიშვნელობა, პირველად იქნა ნაჩვენები მათი თვითმყოფადობა. გაირკვა ისტორიული განვითარების ეტაპები, ხელოვნების ძეგლები დაუკავშირდა ერის ისტორიას, ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებას, მის ეკონომიურ და სოციალურ განვითარებას.

მთელი ეს მუშაობა გიორგი ჩუბინაშვილმა მკაცრად შემუშავებულ სამეცნიერო გეგმას დაუმორჩილა. დასახულ იქნა პერსპექტიული ხაზი ქართული ხელოვნების შესწავლისა. შემოიფარგლა ამოცანების წრე პირველადი თუ მეორადი მნიშვნელობისა. გამოჩნდა უმთავრეს პრობლემათა კონტურები. გადაუდებელ ამოცანად ფაქტობრივი მასალის შეგროვება და სისტემატიზაცია, გრაფიკული დოკუმენტაციის შედგენა იყო მიჩნეული. ქართული ხელოვნების ძეგლთა მრავალფეროვნებაში (არქიტექტურა, ფერწერა, პედური ხელოვნება, ქანდაკება და სხვ.), გამოიყო წამყვანი დარგები, პირველი შესწავლის საგნები. ქართული ხელოვნების ნა-

წარმოებთა შესწავლა მეცნიერულად სწორ მეთოდოლოგიას დაემორჩილა.

ამ კოლოსალური მუშაობის შედეგმა არ დააყოვნა. დღეს ქართულ ხელოვნებათმცოდნეობას დიდი მონაპოვარი გააჩნია. შექმნილია ქართული ხელოვნების მეცნიერული ისტორია, დადგენილია ქართველი ხალხის შემოქმედებითი აზრის განვითარების მთლიანი სურათი. მეცნიერულადაა დასაბუთებული ქართული ხელოვნების დამოუკიდებლობა, მისი თვითმყოფადობა, ეროვნული ხასიათი და თავისებურებანი. ქართული ხელოვნების ძეგლებმა მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი მსოფლიო კულტურის ძეგლთა საგანძურში. ხელოვნების ზოგად ისტორიაში მეტად საინტერესო ფურცლები ჩაიწერა. ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო გიორგი ჩუბინაშვილის ფუნდამენტური გამოკვლევანი, რომელთაც არა თუ სწორად გვიჩვენეს ამა თუ იმ ძეგლისა და ქართული ხელოვნების განვითარების საერთო სურათი, არამედ განსაზღვრეს ქართული ხელოვნებათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების სწორი მიმართულება.

გიორგი ჩუბინაშვილმა ქართული ხელოვნების შესწავლა არქიტექტურით დაიწყო, რადგან იგი წამყვანი იყო ძველი ხელოვნების დარგთა სიმრავლეში. კვლევის პირველ ობიექტად არჩეულ იქნა ისეთი დროისა და ტიპის ნაგებობანი, რომლებიც ყველაზე მეტად დაეხმარებოდნენ მკვლევარს ქართული ხელოვნების განვითარების იმ არსებითი საკითხების გაშუქებაში, რომლებიც გამოავლენდა ქართული ხუროთმოძღვრების ურთიერთობის საკითხებს ძველი ქრისტიანული ხელოვნების სხვა ქვეყნებთან — ბიზანტიურ, სომხურ არქიტექტურასთან.

თავდაპირველი ყურადღება მან არქიტექტურის ბაზილიკურ ნიმუშებს მიაქცია. საქართველოში არსებულ უმთავრეს ბაზილიკათა შესწავლით გიორგი ჩუბინაშვილმა დაამტკიცა, რომ ეს ჯგუფი ჩვენში განსაკუთრებული, აღ-

მოსავლური მიმდინარეობისაა და არა რომაული („ელინისტური“). ნაჩვენებია იქნა ბაზილიკური ფორმების განვითარება X—XI საუკუნეებამდე, რამაც უარყო ის შეხედულება, თითქოს ბაზილიკური ნაგებობანი თავის ისტორიას ძველი ეპოქით ამთავრებდნენ. გაირკვა, რომ საქართველოს ბაზილიკები სტილისტურად ეკუთვნიან და უკავშირდებიან ქართული არქიტექტურის სხვა ძეგლებს. მათი შედარება სირიის, მესოპოტამიის, სომხეთის, მცირე აზიის ან ბიზანტიის ბაზილიკებთან სწორედ ამ დებულებას ამტკიცებდა.

ბაზილიკურ ფორმათა განვითარების მეტად საინტერესო სურათი გვიჩვენა მეცნიერმა სპეციალურ მონოგრაფიულ გამოკვლევაში, რომელიც ბოლნისის სიონს, ყველაზე მნიშვნელოვან ქართულ ბაზილიკას მიეძღვნა. ამ წიგნში ავტორმა არა მარტო ზუსტად მოუძებნა ადგილი ქართული ხელოვნების განვითარებაში უწინ მცდარად დათარიღებულ ამ ძეგლს, არამედ გააშუქა ქართული და ზოგადი არქიტექტურის ისტორიის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

გიორგი ჩუბინაშვილმა სამეცნიერო ლიტერატურაში შეიტანა უგუმბათო ნაგებობათა მეტად თავისებური ტიპი, რომელსაც სამეკლესიანი ბაზილიკის სახელი დაერქვა. ეს ტიპი, რომელიც გარედან თითქმის არ განსხვავდება სამნავიან ბაზილიკისაგან, შიგნით სამი დამოუკიდებელი სადგომისაგან შედგება. ძეგლთა ეს ტიპი საქართველოს ფარგლებს არ სცდება, სხვაგან არსად არ პოულობს პარალელს.

ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ჩვენებისათვის, ქართული არქიტექტურის ბიზანტიურ თუ სომხურ ხელოვნებასთან ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცხეთის ჯვარისა და მისი ტიპის ძეგლთა შესწავლას. გ. ჩუბინაშვილმა გვიჩვენა, რომ ჯვარი ქართული არქიტექტურის ორიგინალური ქმნილებაა, რომლის ხუროთმოძღვრუ-

ლი აგების პრინციპები ღრმა ეროვნულ, ხალხურ ტრადიციებს ეყრდნობა. მეცნიერმა გამოავლინა ჯვარის ტიპის ძეგლების (თვით მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი, მარტვილი, ძველი შუამთა) ადგილი და მნიშვნელობა როგორც ქართულ, ისე ზოგადი აღრინდელ-ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარებაში, საერთოდ.

ამ ჯგუფს დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო თვით ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის, არამედ ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიისათვისაც. სწორედ ამ ჯგუფის ერთიანი წარმომადგენლის: — ატენის სიონის მცდარმა შეფასებამ და დათარიღებამ გააყრცელა აზრი ქართული ხუროთმოძღვრების სომხურისაგან დამოკიდებულების შესახებ. გიორგი ჩუბინაშვილმა დაასაბუთა ამ „თეორიის“ სიყალბე და სომხური მაგალითების განწილვითა და ქართულთან შედარებით აღნიშნა მათი სრულიად განსხვავებული, თავისებური ხასიათი, მიუხედავად გეგმისა და საერთო ფორმათა მსგავსებისა, აღნიშნა მათი ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობილი, დამოუკიდებელი სახე. მცხეთის ჯვარი კაცობრიობის ხუროთმოძღვრული აზროვნების ერთი მიღწევათაგანი — ქართული არქიტექტურის განვითარების ორგანული შედეგი იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ჩუბინაშვილი დიდ ყურადღებას უთმობს სომხური არქიტექტურის შესწავლას. იგი რამდენიმე ექსპედიციას აწყობს, იზილავს სომხური არქიტექტურის ბევრ საინტერესო საკითხს.

გიორგი ჩუბინაშვილის მიერ გზადავსა შესწავლილ იქნა ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიც წრომის ტაძარი, ბაგრატი, ალავერდისა და სვეტიცხოველის კათედრალურია თუ სხვ., რომლებიც ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების სრული სურათის დადგენის შესაძლებლობას ქმნიდნენ. გამოჩნდა განვითარების ძირითადი ტენდენ-

ციები, თავის ადგილზე განლაგდა მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი მასალა და უკვე 1936 წელს მეცნიერმა გამოაქვეყნა ვრცელი მოხსენება ქართული არქიტექტურის განვითარების გზების შესახებ. ამ შრომაში პირველად იქნა ნაჩვენები ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, მისი ევოლუცია, განვითარების ეტაპები თვით XX საუკუნემდე.

ბუნებრივია, ეს შრომა არ ამოწურავდა ქართული ხუროთმოძღვრების ყველა საკითხს, მეცნიერი მისთვის ჩვეული მიზანდასახულებით სწავლობს ქართული არქიტექტურის ამა თუ იმ ძეგლს, ამა თუ იმ მოვლენას, საკითხს, ქვეყნდება ნაშრომები სხვადასხვა დროსა და მნიშვნელობის ძეგლებზე, რომლებიც თანდათან ავსებენ „თეთრ ლაქებს“ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში, ავლენენ იმ ეროვნულ სპეციფიკურობას, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრებისთვისაა დამახასიათებელი.

ერთ წერილში ძნელია ძალიან მოკლედაც კი შეეხო ყველა შრომას, მაგრამ არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს გიორგი ჩუბინაშვილის ფუნდამენტური გამოკვლევა კახეთის არქიტექტურაზე, რომელიც საქართველოს ამ ერთერთი მნიშვნელოვანი ისტორიული კუთხის ხუროთმოძღვრების განვითარების სურათს მოიცავს თითქმის მთელი არსებობის მანძილზე.

აქ მეცნიერის წინ მნიშვნელოვანი სირთულე იდგა: კახეთის არქიტექტურული ძეგლები როდი ანებივრებენ მკვლევარებს თარიღისა თუ ისტორიულ პირთა აღმნიშვნელი წარწერებით. არც ისტორიულ დოკუმენტებშია მათ შესახებ ბევრი რამ. მიუხედავად ამისა, თვით ძეგლთა არქიტექტურული ფორმების ანალიზმა, მათი სპეციფიკურობის, საამშენებლო და მხატვრული თვისებების შესწავლამ, პარალელური მასალის მოხდენილმა გამოყენებამ შესაძლებლობა მისცა ავტორს ზუსტად განესაზღვრა ყოველი ძეგლის ადგილი განვითარების რთული გზის მიხედვით.

ამ შრომაში საერთო ისტორიულ ფონზე გადაშლილი ხუროთმოძღვრების განვითარება, ცალკეულ ძეგლთა მხატვრული ღირსების განსაზღვრა, რა თქმა უნდა, სცილდება მხოლოდ ამ კუთხის არქიტექტურის ჩვენების ფარგლებს და ავლენს მის ადგილს ქართულ, და, საერთოდ, ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების თვალსაზრისითაც.

ჩვეს კულტურულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უკავია ოქრომკედლობის ნიმუშებს. ამ დარგში შემორჩენილ ძეგლთა და მათი მხატვრული ღირსებით საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ბუნებრივია, ქართულმა ოქრომკედლობამ გიორგი ჩუბინაშვილის ყურადღება მიიპყრო, რადგან „ქართული ოქრომკედლობა, არქიტექტურასთან ერთად, ერთადერთი დარგია ქართული ხელოვნებისა, რომელმაც თავისი არსებობის ჩვენთვის ცნობილ ათასწლოვან მანძილზე მიაღწია მხატვრული სრულყოფის მწვერვალს. ხელოვნების ამ დარგის ფარგლებში ქართულმა კულტურამ შექმნა არა მარტო საესეებით დასრულებული ნიმუშები, არამედ გამოიშუშავეა სპეციფიკური ხასიათიც“. აი ამ სპეციფიკური ხასიათის გამოვლენა დაისახა სწორედ მიზნად გიორგი ჩუბინაშვილმა. მას სისტემაში მოყავს უამრავი მასალა. სწორედ გ. ჩუბინაშვილს უნდა ვუძღვლოდეთ ოქრომკედლობის ნიმუშების შეგროვება-შენარჩუნებას. სამუზეუმო საქმის ბრწყინვალე მკოდნე, გიორგი ჩუბინაშვილი მთელი ენერგიით შეუდგა ხელოვნების ამ დარგის ნიმუშთა შეგროვებას. 1924 წელს მისი ინიციატივით უნივერსიტეტის ხელოვნების მეცნიერების კაბინეტთან შეიქმნა ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი, რომლის ექსპონატებს შორის უმთავრესი ადგილი ოქრომკედლობას ეჭირა. ამის გარდა, მუზეუმში წარმოდგენილი იყო მინანქარი, ფერწერილი ხატები, ზის ნაკეთობანი, ნაქარგობის ნიმუშები და ქსოვილები. ეს მუზეუმი თანდათანობით გადაიზარდა დღეს უკვე საქვეყნოდ

ცნობილ კოლექციად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

მისთვის ჩვეული სიდინჯით, აუჩქარებლად, თანდათანობით აქვეყნებს გიორგი ჩუბინაშვილი თავის მეცნიერულ დაკვირვებებს ხელოვნების ამ დარგის შესახებ. მან ჯერ კიდევ ადრე გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი შრომები X—XI საუკუნეების ქართული ოქრომკვდლობის განვითარების შესახებ. ყოველ პრობლემას მეცნიერი იხილავს, მსოფლიო ხელოვნების მასშტაბში, რითაც უფრო აზუსტებს ჩვენი ოქრომკვდლობის ძეგლთა ხასიათს და ავლენს მათ ადგილს ხელოვნების ზოგად ისტორიაში. გიორგი ჩუბინაშვილმა წამოაყენა და დაასაბუთა ის დებულება, რომ იმ დროს (XI საუკ.), როცა საქართველო პოლიტიკურ-ეკონომიურ აღმავლობას განიცდიდა, ქართული პლასტიკა სკულპტურულ ამოცანათა გადაწყვეტით მთელი საუკუნით უსწრებდა წინ დასავლეთ ევროპას. ამასთან მეცნიერმა გვიჩვენა ის რთული მიზეზებიც, რის გამოც ჩვენში აღარ მოხერხდა ამ ამოცანების შემდგომი განვითარება: მონუმენტური ქანდაკება მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ აკრძალული იყო, ხოლო მცირე პლასტიკაში დასმულ ამოცანებს მხოლოდ მონუმენტურ სკულპტურაში უნდა ეპოვნათ თავიანთი შემდგომი განვითარება, როგორც მოხდა კიდევ დასავლეთ ევროპაში.

ოქრომკვდლობის დარგში გიორგი ჩუბინაშვილის მიერ გამოქვეყნებულ შრომათა გვირგვინს წარმოადგენს ჯერ დიდი ალბომის, ხოლო შემდეგ ორტომეულის გამოცემა. ალბომი, რომლის ორას ტაბულაზე წარმოდგენილია ქართული ოქრომკვდლობის ბევრი ნიმუში ორიგინალის ზომით, ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე მკითხველს აცნობს ამ დარგის მოკლე ისტორიას, ცალკეული ძეგლების არსს. ალბომში, ორტომეულ ფუნდამენტურ გამოკვლევასთან ერთად, პირველადაა მოცემული დღემდე შემორჩენილ უნიკალურ ძეგლთა მეცნიერუ-

ლი პუბლიკაცია. მოცემულია ამ ძეგლთა ევოლუცია, მათი მნიშვნელობა ქართული ოქრომკვდლობის განვითარებაში ათასწლეულის მანძილზე. ეს ორი გამოცემა ფაქტიურად წარმოადგენს (მიუხედავად ავტორის თავმდაბლური განცხადებისა, რომ წიგნი „ქართული ოქრომკვდლობა“ მხოლოდ ძეგლთა გამოკვლევას და არა ისტორიას) ქართული ჰეღური ხელოვნების პირველ ისტორიას.

ამ წიგნებმა ფრიალ გაითქვეს სახელი მთელ მსოფლიოში. ჯერ თავისთავად თვით საკვლევმა მასალამ და შემდეგ კი კვლევის ღრმა მეცნიერულმა ხასიათმა საყოველთაო აღიარება პოვეს.

„ეს საფუძვლიანი ნაწარმოები განსაკუთრებული გამოჩენილობით გვიჩვენებს ქართული მეცნიერების მაღალ დონეს“, — წერს თავის რეცენზიაში ცნობილი ბიზანტინისტი ფრანც დოლგერი.

გიორგი ჩუბინაშვილი მონაწილეობს სხვადასხვა ენციკლოპედიაში. მას სამეცნიერო საკითხებზე ყოველდღიური მიწერ-მოწერა აქვს თითქმის ყოველ კუთხეში, ხელოვნების ისტორიის სპეციალისტებსა თუ დაწესებულებებთან. მისი მანამდეც ცნობილი სახელი კიდევ უფრო განამტკიცა ოქრომკვდლობის შესახებ გამოქვეყნებულმა აღნიშნულმა ნაშრომებმა, რომლებმაც ბევრგან, როგორც ჩანს (ყველგან როდღი იცნობენ ქართულ ხელოვნებას), პირდაპირ სენსაცია მოახდინა.

ძველი ქართული ხელოვნების კიდევ ერთ მნიშვნელოვან დარგს — მონუმენტურ ფერწერას გიორგი ჩუბინაშვილი დიდ ადგილს უთმობს თავის ერთ-ერთ მონოგრაფიულ შრომაში — „დავით-გარეჯის გამოქვაბული მონასტრები“, რომლის ერთი თავი შეიცავს დავით-გარეჯის უდაბნოში შემონახული მრავალი ფრესკული ფერწერის ღრმა ისტორიულ-მხატვრულ ანალიზს. გიორგი ჩუბინაშვილი შუასაუკუნეთა გარკვეული პერიოდის ქართული ფერწერის სხვადასხვა სკოლის შესწავლის მეტად

საინტერესო პრობლემებს აყენებს და ირკვევს ქართულ და აღმოსავლურ ხელოვნებასთან დაკავშირებულ საკითხთა რიგს.

ხელოვნების რა დარგსაც არ უნდა ეხებოდეს გიორგი ჩუბინაშვილის შრომები, მათში ნაჩვენებია როგორც ქართული ხელოვნების განვითარების ეტაპები, ისე მისი საესეებით დამოუკიდებელი, ღრმა ეროვნული სახე. მეცნიერი ავლენს იმ თავისებურებებს, რომლებიც ქართულ ხელოვნებას შეაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

გიორგი ჩუბინაშვილის მთელი შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა ხელოვნების საჭირობოტო საკითხებთან. იგი თვლის, რომ ხელოვნების ისტორიის შესწავლას ფაქტთა კონსტატაცია და მნიშვნელობის განსაზღვრა კი არ შეადგენს, არამედ ის, რომ მან პრაქტიკული სარგებლობა მოუტანოს თანამედროვე ხელოვნს, შემოქმედს. „ეს დარგი — შეიცავს ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მუდამ მდიდარსა და თავის მხატვრული თვისებებით განსაკუთრებულ ძეგლებს, რომელთა კრიტიკულად აუთვისებლად შეუძლებელია სრულღირსებიანი საბჭოთა ხელოვნება საქართველოში“. მაგრამ იგი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მემკვიდრეობა ბრმად კი არ უნდა იქნას გამოყენებული, არამედ გავებული უნდა იქნას ის სპეციფიკური ნიშანთვისებები, რაც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა ხალხის ფსიქიკური წყობის, ქვეყნის გეოგრაფიული, კლიმატური თუ სხვა მიზეზების შედეგად. გიორგი ჩუბინაშვილის ყოველი შრომა ეხმარება შემოქმედს ვახსნას ხელოვნების ნაწარმოების არსი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იღებურ მხარეს, რა დამოკიდებულებაა შინაარსსა და ფორმას შორის, რა ურთიერთკავშირია კონსტრუქციულ თუ წმინდა მხატვრულ ამოცანებს შორის და სხვ.

გიორგი ჩუბინაშვილის მრავალი წერილი ეკუთვნის თანამედროვე ხელოვნებაზე. წერილებში ნაჩვენებია ის ტრა-

დიციული თავისებურებანი, რომლებიც აუცილებლად საჭიროა დღევანდელ ხელოვნებაში ეროვნული ფორმის პრობლემის გადაჭრისათვის. გიორგი ჩუბინაშვილის აქტიური მონაწილეობა შემოქმედებით კავშირების მუშაობაში (იგი საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის საპატიო წევრია), ლექცია-კონსულტაციები, სხვადასხვა საკონკურსო კუთრებში მონაწილეობა და სხვ. მიმართულია საბჭოური ხელოვნების კონკრეტული ამოცანების გადაჭრისაკენ.

გიორგი ჩუბინაშვილის კალამს ეკუთვნის გამოკვლევანი თანამედროვე უცხოური ხელოვნების საკითხებზეც.

ძნელია ერთ წერილში შეეხო გიორგი ჩუბინაშვილის მოღვაწეობის ყველა მხარეს. მაგრამ ზოგი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ამ ფართო დიაპაზონის მქონე მეცნიერის შემოქმედებაში. აბა, როგორ შეიძლება არ ითქვას მის მოღვაწეობაზე არქეოლოგიაში! იგი თავისი მეცნიერული მუშაობის გარიყრაფზევე ჩაერთო არქეოლოგიურ კვლევაშიებაში სომხეთსა თუ საქართველოში. ჯერ კიდევ 1916 წელს იგი მონაწილეობს ანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რის შედეგადაც აქვეყნებს რამდენიმე გამოკვლევას. შემდგომში იგი ხელმძღვანელობს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არქეოლოგიის სექციას, დიდ მონაწილეობას ლეზბულობს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას ჩატარებულ არქეოლოგიურ სამუშაოებში და მათი შედეგების გამოქვეყნებაში, როგორც კონსულტანტი, თუ სამეცნიერო რედაქტორი. მას თავისი სიტყვა აქვს ნათქვამი ფსიქოლოგიაშიც.

გიორგი ჩუბინაშვილის ყოველდღიურ მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კულტურის ძეგლთა დაცვის საკითხებს. ისტორიული ძეგლების აღდგენა-შენარჩუნების საქმეში მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის. მისი ყურადღების წყალობით გადაურჩა ხელოვნების მრავალი ნიმუში განადგურებას

და ხალხის კუთვნილებად იქცა. მისი მონაწილეობისა და კონსულტაციების გარეშე არ ხდება თითქმის არცერთი ისტორიული ძეგლის რესტავრაცია.

გიორგი ჩუბინაშვილს, როგორც პედაგოგს, აღზრდილი პეაგს არა ერთი და ერთი თაობა ქართული ხელოვნების მუშაკებისა. თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი, ჯერ კიდევ აკადემიის დაარსების წელს, 1922 წელს, სახელმწიფოებრივ ამოცანებს უკავშირებდა შემოქმედებითი კადრების აღზრდის საქმეს და აქედან გამომდინარე, მათ აღზრდას კონკრეტულ, ღრმად შემუშავებულ პროგრამას უმორჩილებდა.

ქართულ ხელოვნებათმცოდნეობას, როგორც მეცნიერულ დისციპლინას, დღეს დიდი მიღწევები აქვს. მას ემსახურება გიორგი ჩუბინაშვილის მიერ აღზრდილი რამდენიმე თაობა, რომელიც მტკიცედ ჩამოყალიბებულ მეცნიერულ სკოლას წარმოადგენს. ხელოვნების ისტორიკოსთა ამ, ჩუბინაშვილისეული, სკოლის ყველა მეცნიერული მონაპოვარი, ბუნებრივია, მისი შემქმნელის სახელთანაა განუყრელად დაკავშირებული.

ღვაწლმოსილი მეცნიერის მთელი ცხოვრება მშობლიური კულტურისა და მეცნიერების უანგარო სიყვარულისა და სამსახურის მკაფიო მაგალითია. დიდი პატრიოტი, უაღრესად პრინციპუ-

ლი და უდიდესი პოტენციური ძალის პატრონი, ვერ მოდრიკა ეჭვრევთაძმა დროებითმა დაბრკოლებამ უკუ უკუაღმართობამ, რომლებიც მას თავის საქმიანობაში ხშირად შეხვედრია.

უაღრესად კეთილშობილი, ამავე დროს მკაცრი და მომთხოვნია ყველასადმი და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისადმი. მტკიცედ შემუშავებული სამუშაო რეჟიმის წყალობით იგი კურსშია ყოველგვარი მოვლენისა და ამბისა, რომლებიც კი ჩვენს გარშემო ხდება. მხატვრული ლიტერატურის უახლოესი ნაწარმოები, სიმფონიური კონცერტი, თეატრალური პრემიერა მისი ცხოვრების სფეროს არ სცილდება და ეს მაშინ, როცა მარტო იმ სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისათვის, რომელიც მისი წიგნების სამეცნიერო აპარატშია, თითქმის ერთი სიცოცხლე საკმარისი არც კია.

რვა ათეული წელი განვლო გიორგი ჩუბინაშვილმა თავისი ღრმა შინაარსიანი ცხოვრებისა. ერის სამსახურს ახმარს იგი მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას. ერის საბედნიეროდ იგი დღესაც ახალგაზრდული ხალხითა და ენერგიით ემსახურება ქართული ხელოვნების ისტორიის იმ საქმეს, რომელსაც ამ ორმოცდაათი წლის წინათ თვითონ ჩაუყარა საფუძველი და შემდეგ საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.



სახელოვანი მკვლევარი

ათასცხრაას თვრამეტი წლის იანვარში თბილისის უნივერსიტეტის გახსნით იწყება ახალი ერა ქართული მეცნიერების ისტორიაში. თბილისში დაარსებულმა ქართულმა უნივერსიტეტმა ისეთი მძლავრი ტემპებით განაღო სამეცნიერო მუშაობა, რომ სულ ოციოდე წლის განმავლობაში შესძლო ოცამდე უმაღლესი სასწავლებლის შექმნა (ისეთი სასწავლებლებისა, რომლებიც უნივერსიტეტის განშტოებებს წარმოადგენს) და ეს მუშაობა დამთავრა მეცნიერებათა აკადემიის დაარსებით. ასეთია თბილისის უნივერსიტეტის დამსახურება.

მაგრამ საკითხავია, როგორ გახდა შესაძლებელი საკმაოდ მოკლე ხანაში ამ გიგანტური სამუშაოების შესრულება. რასაკვირველია, ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ თბილისის ქართულ უნივერსიტეტს არ ჰყოლოდა ისეთი წინაპრები, რომელთა მუშაობამ ნიადაგი მოემზადა ეგოდენ მძლავრი სამეცნიერო კერის შექმნას.

მართლაც, თუ გადავხედავთ ქართული მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიას, დავინახავთ რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მუშაობდა მკვლევართა წყება, რომელიც თავისი თავდადებული მუშაობითა და უანგარო სამსახურით საქართველოს წარსულის შესწავლაზე ზრუნავდა. ისინი საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობდნენ, უმოთაგრესად პედაგოგებად და თავიანთი ხელფასით ახერხებდნენ სამეცნიერო შრომების ბეჭდვასაც კი. ეს პირები იყვნენ მოსე ჭანაშვილი, ეჭვითმე თავაიშვილი, სერგო გორგაძე და სხვები. ეს მოღვაწეები ვერ სარგებლობდნენ მაშინდელი მთავრობის უერთადღობით და ვერ ახერხებდნენ შესაფერისი სამუშაოს მიღებას სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში. ისინი უმოთაგრესად კერძო სასწავლებლებში მუშაობდნენ. ამის აღნიშვნა საჭირო არის ამიტომ, რომ კერძო სასწავლებლებში ხელფასი იმის ნახევარი იყო, რაც

მთავრობის სასწავლებლებში. ამიტომ არის დასაფასებელი ამ პირთა ღვაწლი; მიუხედავად ხელმოკლეობისა, მაგრამ ქართული საზოგადოებრიობის მზარდაჭერით, ისინი ახერხებდნენ სამეცნიერო ექსპედიციების მოწოდებას, ხალხში ღარჩენილი ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას და მათ დაბეჭდვასაც კი. მათ გიგანტური სამუშაო შეასრულეს; ამ გარემოებამ გახადა შესაძლებელი თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და მისი მუშაობის სწრაფი ტემპებით წარმართვა.

ამ შესანიშნავ მოღვაწეთა რიცხვს ვუთენის ბესარიონ ნიჟარაძე, რომელიც „თავისუფალი სენის“ ფსევდონიმით იქვეყნებდა მასალებსა და გამოკვლევებს სენანთის ცხოვრებშიდან.

„ბესარიონ ნიჟარაძე ბურჭი იყო სენანთისა“, წერს აკადემიკოსი აკაკი შანიძე. იგი ცნობილია, როგორც შემკრები ხალხური ლექსებისა და ანდაზა-გამოცანებისა. იგი მშვენივრად იცნობდა სენანთის უოფა-ცხოვრებას, კარგად ერკვეოდა სამხარეთმცოდნეო საკითხებში, აგროვებდა ხელნაწერებსა და სხვა ისტორიულ ნივთებს. თვითონაც ირკვეოდა მის მიერ შეგროვილ მასალებს. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი ილია ბესარიონ ნიჟარაძის მუშაობას: „ბესარიონ, თუ საქართველო ოდნე მინც გიყვარს, — ეუბნებოდა ილია ბესარიონ ნიჟარაძეს, — სენანთში უნდა წაბვიდე და იქიდან ამოგვიდე უღელში“ (ილიას ეს სიტყვები კარგად არის ცნობილი ჩვენს საზოგადოებისათვის).

მართლაც, ბესარიონ ნიჟარაძემ უყოყმანოდ მიიღო ილიას რჩევა და შეუდგა სენანთის შესახებ მასალების შეგროვებასა და გამოკვლევას.

ბ. ნიჟარაძემ საფუძვლიანი განათლება მიიღო. როგორც უემოთ ვთქვი, სემინარიაში სწავლის დროს იგი უზირატესად ისტორიასა და ფილოსოფიას ეტანებოდა. სემინარიაშივე დაუახლოვდა იგი თ. კორდანიას, ნ. ხიზანიშვილს, ალ. ყიფშიძეს (ალექსანდრე ფრონელს), იონა მეუნარგიის და სხვებს, რომლებიც შემდეგში ცნობი-

ლი ისტორიკოსები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ.

სვანეთში მუშაობამ მას საშუალება მისცა კარგად გაესინჯოდა თავის ხალხის ცხოვრებას, შეესწავლა მისი ზნე-ჩვეულება და სვანთა ცხოვრების საკითხებში გამხდარიყო უღერესად კომპეტენტური მკვლევარი. სვანეთში ცხოვრების ეს წლები დამთავრა მსოფლიო მეცნიერებაში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების გამოცემა-ხლებს. ამ დროს ხალხთა ყოფა-ცხოვრების საკითხებზე მუშაობდნენ ისეთი გამოჩენილი ეთნოგრაფ-მეცნიერებმა, როგორც იყვნენ ედ. ტუილორი და ლ. შორანი. ამიტომაც იყო, რომ მას, ბესარიონ ნიყარაძეს, როგორც სვანთა ცხოვრების კარგ მკვლენს, ზნობად მიმართავდნენ მეცნიერები კონსულტაციისათვის.

კერძოდ, სვანთა ცხოვრება და წეს-ჩვეულებანი ფილოლოგიურ მეცნიერებას აინტერესებდა სხვა თელასპარისთაჲ. ჩვენში, საქართველოსა და რუსეთში, ამ დროს მეცნიერთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია სვანების ენამ. მის შემდეგ, რაც ფრ. ბოპის დროიდან ენათმეცნიერებამ სცადა ქართული და სხვა კავკასიური ენებისათვის ნაირნაირი თეორიები წამოეყენებინა, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ისახება ახალი გზა ქართული და მისი მონათესავე ენების ურთიერთშორის ნათესაობის გასარკვევად. სახელდობრ, ისახება ნათესაური შტო ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური ენებისა. ამ სენათმეცნიერო გზის გამკვლევი — პიონერი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ილქესანდრე ცაგარელი იყო. ცაგარელი ქართველური ენების კვლევის საქმეში, ქართული და მეგრული გვერდით, საპატიო ადგილს უთმობს სვანურ ენასაც. და გამოჩენილ პეტერბურგელ პროფესორს, სვანური ენის საკითხებში კონსულტანტად პუაეს ბესარიონ ნიყარაძე. აი, რას სწერს ალექსანდრე ცაგარელი 1878 წლის ოქტომბერში ილია ქავკაზში:

„მათ ილიო! ესლა ჩემთანა ზის სვანი ბესარიონ ნიყარაძე, სემინარიის მოწაფე, და სვანურ ენას ვარჩევთ. მაგრამ, საუბედუროდ, ცოტა გვაქვს ტექსტები. ამან მითხრა, რომ შენთვის გადმოუცია ოთხი თუ ხუთი ლექსი სვანური და გთხოვ, რაც შეაძლება ჩქარა გამოვიგზავნო ბესარიონ და ნიკო დლობერიძეს სახელზე. გრამატიკულად გავარჩევთ და ლექსებს ისევ დავიბრუნებ. ეს სვანი ერთ კვირას რჩება აქ და ამიტომ გთხოვ ამ ორ დღეშივე გამოვიგზავნო, რომ მოვასწრო ვარჩევა“.

აღ. ცაგარელი, გარდა ამისა, შემდეგსა სწერს ბ. ნიყარაძის შესახებ: „ილიო, ერთი უნდა გვეფიქრა რამე, რომ ამ ბესარიონ ნიყარაძეს უნივერსიტეტში წაველა უნდა და ჩვენმა საზოგადოებამ საშუალება რამ მისცეს ასე ათიოდ თვეს და შერე იმედია მიიღონ სახელმწიფო

ხარჯზედ“ (იხ. ფილოლოგიურ მეცნ. დოქტორის შ. გოზალიშვილის სტატია, გაზ. „კომუნისტი“, 1964 წ. 15 ნოემბერი).

ხალხის აღწერის საკითხში ძირითადად განსწავლდება უცხოური მიმართულება და ჩვენი ქართული მიმართულება. საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლის საქმეს დიდი ილია სულ სხვა ამოცანებს უსახავდა, ვიდრე მაშინდელი ევროპული მიმართულება. საზოგადოებრივი ცხოვრების ღერძეული საკითხების შესწავლის შესახებ ილია წერს, რომ საქაროა „ყოველმხრივ შევიწროთ ხალხის წარსული“ და აწურო, იმისა იყო და კარგი, იმისა წადლი“ უცხოური მიმართულება კი ეთნოგრაფიას ვიწრო ამოცანას უსახავდა, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან განცალკევებულად აღებული წერილმანების ფორმალისტურ შესწავლას მოითხოვდა და სოციალური ურთიერთობის აქტუალი პრობლემებს სრულიად უგულვებელყოფდა. ბესარიონ ნიყარაძე ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებისა და კვლევის სფეროში სწორედ ილიას მიერ დასახულ ამოცანას ემსახურებოდა. ბესარიონ ნიყარაძის მიერ შეგროვილი მასალები საზოგადოებრივი ყოფის ძირითად საკითხებს ეხებოდა. ეს იყო — კერძო საკუთრებისა და თემური მიწათმოქმედების ფორმები, ჩვეულებითი სამართალი, სოფლის ურთიერთობა, მეურნეობის ამოცანები, ცრუმორწმუნეობისა და სისხლის აღების მავნე შედეგები და სხვ. აი, ეს იყო ის ძირითადი საკითხები, რომელთა შესწავლას ბესარიონ ნიყარაძე ილიას მიერ დასახული ამოცანების მიხედვით აწარმოებდა და რომელთა გადაწყვეტას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

ბესარიონ ნიყარაძის პირველი ნარკვევი 1873 წელს დაიბეჭდა, ამის შემდეგ, ორმოცი წლის განმავლობაში, სისტემატურად აქვეყნებდა თავის ნარკვევებს. მის კალამს ჩუოთნის სამოცნე მტერი ნარკვევი, მათ შორის ზოგეიერი ვრცელ გამოკვლევას წარმოადგენს. მისი გამოკვლევების თემატიკა მრავალფეროვანია. ისინი ეხებიან სვანთა ყოფა-ცხოვრებას, სვანეთის ისტორიას, არქეოლოგიას, გეოგრაფიას, სვანურ ენას, ეკონომიკის ვითარებას სვანეთში, განათლების მდგომარეობას და მრავალ ისეთ საქარბორტო საკითხს. რომელთა მოუწყვრტივებლობა სვანებს ცხოვრების მძიმე პირობებს უწმინდა. ბესარიონ ნიყარაძის ყოველი ნარკვევი დიდი რუღუნებით შეგროვილ ფაქტურ მასალას ეყრდნობა.

ამ მასალებს ბ. ნიყარაძე კრუფდა უშუალო დაკვირვებისა და გამოცდილ პირებთან საუბრის საშუალებით. როგორც ამბობს მისი მუშაობის კარგი მკვლენი იდლითი ვაფარაძე, „ბესარიონს უფავარდა სოფლის უხოციეს და თავაკებთან სვაბაასი და ამათგან ისმენდა და წერდა თქმულებებს, იგავ-არაკებს და ზღაპრებს“. ბესარიონ ნიყარაძეს კარგად ესმოდა, რომ ფრთხილად და

მოფიქრებით შეკრებილ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული ფაქტების დასადგენად. იგი თვითონაც წერდა: „ამჯერად გადმოცემანი ცოტად თუ ბევრად დაწერილ ისტორიის მაგვიერებას წვევს“.

სევანური მასალების ანალიზის დროს ბ. ნიქარაძე ფართოდ იყენებდა როგორც საქართველოს დანარჩენი კუთხეების, ისე სხვა ხალხთა ცხოვრების ანალოგიურ მასალას. ასე, მაგალითად, მიცვალებულს დატირებდასთან დაკავშირებით მას მოაპყავს რაკული და მეგრული შესაღარბელი მასალა, ხოლო სევანეთში ოჯახის წევრთა ურთიერთობის დახასიათებასთან დაკავშირებით ბ. ნიქარაძე მუტად საგელის სპო ახსნას ვაძლევს: „საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სევანეთში უფროსებს — მაგალითად, დედ-მამას, შვილებზე ისეთი განუსაზღვრელი და განუკონტროლებელი უფლება არა ჰქონდათ, როგორც ჰქონდათ და ავტო ზოგიერთ მთიელ ხალხებს კავკასიაში“.

1962-65 წლებში პროფესორ ალ. რობაქიძის რედაქტორობით გამოცემული ორტომეული ბ. ნიქარაძის შრომებისა შეიცავს ბ. ნიქარაძის ძირითად ნარკვევებს, „სახალხო დღესასწაულები სევანეთში“, „ცოლ-ქმრობის წესები სევანეთში“, „ჩვეულებითი უფლება სევანეთში საზოგადოდ და საკუთრივ თავისუფალ სევანეთში“, „სევანური ლეგენდები ანუ სევანების ამაოდ შორწმუნებანინ“, „ქართული ენის გავრცელება სევანეთში“, „სევანების აღლვება 1875-1876 წლებში“ (ეს უკანასკნელი ნარკვევი წარმოადგენს ძირითად მასალას იმის გასარკვევად თუ როგორი იყო მეფის რუსეთის პოლიტიკა თავისუფალ სევანთა მიმართ).

ზემოჩამოთვლილ ნარკვევთა გარდა, კიდევ, ბევრი სხვაიც ვკითხვის ბ. ნიქარაძის კალამს. ეს ნაწერები თავსდებოდა ვაზეთ „ივერიანო“, „მწვეთსში“, „დროებაში“ და სხვაგან. ქართველი საზოგადოება დიდი გულისყურით აღევნებდა თვალყურს ბ. ნიქარაძის მუშაობას. საქართველოს ძირითადმა სამეცნიერო დაწესებულებამ — „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“ თავის საგანგებო კრებაზე აირჩია

ბ. ნიქარაძე საზოგადოების ნამდვილ წევრად, ხოლო ამ საზოგადოების ფრენტიშეუწყებელი საქართველო — „სწორად ემუქდებოდა“ ცნობები ბ. ნიქარაძის მეცნიერული მუშაობის შესახებ. 1907 წლის 26 თებერვალს პროფ. ალ. ცუკარელი სწერდა ბ. ნიქარაძეს: „ეს რვა წელიწადია არ მინახვიხართ, შვარამ დარწმუნებულნი ვიყავ, რომ მუშაობთ და შემდეგშიაც თქვენ სამშობლოს ემსახურებით. თქვენი შრომები თქვენი სამშობლო ენისა და მხარის გამოკვლევაზედ ღირსნი არიან ყოველთავე ქებისა და პატივის; ღმერთმა ქნას, რომ მრავალნი გამოზნდნენ თქვენი მომხმადებნი შესახებ ჩვენი ქვეყნის სხვა ნაწილებსა“.

ენობილია აგრეთვე, თუ რა მალალ შეფასებას აძლევდნენ ბ. ნიქარაძის მუშაობას ნიქო მარი, ივ. ჯავახიშვილი, დ. კარიბაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა ქართველი მეცნიერები. მით უფრო გასაოცარია, რომ ევზომ დამსახურებულნი მკვლევარი და მოღვაწე თვით სევანეთის ვაზეთში („მებრძოლი“) მაინცდამაინც ღირსეულად ვერ იქნა დაფასებულნი. 1965 წლის 5 ივნისის ნომერში ვაზეთი ეხება ბ. ნიქარაძის ორტომეულის გამოქვეყნებას და იმის მაგიერ, რომ მხედველობაში მიიღოს ღვაწლმოსილი მკვლევარის შესახებ მეცნიერთა წრეში (ა. ცუკარელი, ი. ჯავახიშვილი, ავ. შანიძე და სხვ.) არსებული მტკიცე შეხედულება და სათანადო მიუზღოს ამ მეცნიერს, ბ. ნიქარაძის ნაშრომში ერთი უხერხული ადგილის, ისიც არაზედმიწევნით გაგებულის, მიხედვით გამოაქვს დასკვნა ამ კოლოსალური შრომის გამწვევი და უნაკარო მოღვაწის მიმართ.

ბ. ნიქარაძის შრავალმეცნიერული ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორისტული მოღვაწეობა შეიქმნა ამ ნიადაგად, რომლის საფუძველზე არა თუ საქართველოში, არამედ რუსეთსა და უცხოეთშიაც, ყველგან, სადაც მისდევნ სევანთა ყოფა-ცხოვრებისა და სევანური ენის კვლევა-ძიებას, ბესარიონ ნიქარაძე დგას როგორც ბურჯი სევანეთისა და სევანური ფილილოგიის ფუძემდებელი.

სიმონ ჯაუხარიძელი

ნიკო ტატიშვილის „ლიტერატურული ნარკვევები“

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსცა სამამულო ომში დაღუპული მეცნიერის, ნიქო ტატიშვილის წიგნი „ლიტერატურული ნარკვევები“.

ის ვინც 1940 წელს თვალს აღევნებდა ნიქო ტატიშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობას, ვინც იცნობდა მას, რა თქმა უნდა, ვერ იფიქრებდა, რომ 1966 წელს ეტრანლის მიმოხილვით ილაპარაკებდა ამ უღბლოდ დაღუპული შემოქმედის პირველ წიგნზე.

სიცოცხლეში ვერ მოასწრო ნიქო ტატიშვილმა თავისი წერილების კრებულის გამოცემა. ჩვენ შევეჩვიეთ ისეთი წიგნების კითხვას.

ნიქო ტატიშვილის წერილების ამ კრებულში ნიქო ტატიშვილის წიგნის გარდა ჩანს ნაენობი ტიპი შემოქმედისა, შემოქმედისა, რომელიც საასპარეზოდ 40-იან წლებში გამოვიდა და რომ

ნიქო ტატიშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966.

მელიც, პირველ რიგში, გამოირჩევა უდიდესი ენოთუნიანობით. ასეთი შემოქმედი ერთსა და იმავე დროს ტრადიციების მიმოყოლია და ნოვატორიც, მისთვის ისევ ძველის კლასიკისთვის შივრ დარავილი ზარს, ამავე დროს იგი გაბედულად ეძებს ახალს, იმედინად უუარებს მომავალს. იგი შემოქმედებითი ცუცხლით იწვის და, რა თქმა უნდა, არ ფიქრობს ომზე.

1943 წელს იგი დაიღუპა. მისი სიყვდილი ისეთვე ტრიუნი იყო, როგორც ფრონტიდან გამოვხადნილი მისი ბრძოლა: „რომ იცოდეთ, როგორ მენატრებით ყველანი! არა თუ თქვენ, ის ვახის ხეც კი ჩემს ენაში რომ დგას. ჩემი მუხობლები, ჩემი მეგობრები, ჩემი თბილისი... მაგრამ არა უშავს რა, ჯერ ბრძოლაა საჭირო და მე ღრმად მწამს, ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით“.

ნიკო ტატიშვილი დაიბადა 1914 წელს. 1936 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 1939 წელს ასპირანტურა. ნიკო ტატიშვილის ლიტერატურული და სამეცნიერო შემოაბა ერთბაშად და წარმატებით დაიწყო. ასპირანტურის დამთავრებისთანავე მან მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი, ახალგაზრდა მკვლევარი გატაცებით და ხარბად მუშაობდა. ნაყოფიერად თანამშრომლობდა „მნათობში“, „ბიბლიოგრაფიულ მოამბეში“, „ბუშქინის სახელობის სამეცნიერო შრომებში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, „ჩვენის თაობაში“ და სხვა პერიოდულ ორგანოებში. როგორც სარეკენზიო წიგნის შემდგენელი, სოლომონ ხუციშვილი ამბობს, ახალგაზრდა მკვლევარის „ინტერესების სფერო იყო მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურა, ბევრდროს პერიოდულ ორგანოების ისტორია, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია. კულტურულ-ლიტერატურული საკითხების კვლევისას ნ. ტატიშვილს განსაკუთრებით იზიდავდა ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა ფშაველას შემოქმედება. იგი ქართული ლიტერატურის რუსულ და ევროპულ ლიტერატურასთან ურთიერთობა-კავშირის საკითხებსაც არკვევდა“.

წიგნში სულ ოთხი წერილია: ფრანგულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობა და დავით ერისთავის „სამშობლო“, ილია ჭავჭავაძე მხატვრული ლიტერატურის კრიტიკოსი, ვაჟა ფშაველა, ჟურნალი „იმედი“.

ქართველი ხალხის არც ერთ თაობას არ აქვს საზრუნავი თავისი სამშობლოს გამო. ერთერთი დრამატული მომენტი მის ისტორიაში სულხან-საბა ორბელიანის საფრანგეთში მოგზაურობაა. საბამ ლეი მე-14 სთხოვა დახმარება. მაგრამ ცხოვრებამ საქართველო, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ნაცვლად, რუსეთს დაუკავშირა. რუსეთის, რუსული ლიტერატურის საშუალებით საქართველო გაეცნო ევროპულ კულტურას.

ნიკო ტატიშვილი ირკვევს ქართული ლიტერატურის ევროპულთან, კერძოდ, ფრანგულთან ურთიერთობის საკითხს, მოყოლებული იმ დროიდან, როდესაც ტერმინი „საფრანგეთის ევროპის ნიშნავდა ქართულად, მოყოლებული იქიდან, როდესაც ამბობდნენ „სომხალში ჩავ-ქვაქ ზღვის ვაველ, ფრანგის ქვეყნები ენახეთ“; სოლომონ დოღაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და დავით ერისთავის დრომდე. შემთხვევითი შეხვედრები დასავლეთის კულტურის ნიმუშებთან თანდათან უფრო ინტენსიური და შთამბეჭობელი გახდა. და აი, დავით ერისთავი 1881 წლის ზღვებულში მიდის თავის სოფელ ოძისში და იქ გადმოაკეთებს სარდუს „სამშობლოს“. 1882 წლის 20 იანვარს, ოთხშაბათს, შტეფერის პარას, კუეისის ხიდის მახლობლად, გაეკარათა „სამშობლოს“ პრეშიერა. მწელი არაა იმის წარმოდგენა, თუ რას განიცდიდა მაშინდელი ქართველი, როდესაც სკენიდან გაიგონებდა: „ქართველები აგრე მალე რაოდ დასთმობენ თავის სამშობლოს. ბევრი ამისთანა შავი დღე უნახავს საქართველოს, მაგრამ ისევ ისე ფეხზე დამდგარა, ისევ გამობრუნებული, ისევ ამალღებულა“. აი რა უთქვამს 20 იანვრის წარმოდგენის დამსწრე ი. მუქნარაგის: „წარმოდგენისას ნერასა მკითხავთ, „მისსა მნახავსა ნახული აღარ მოეწონებინ“... თეატრი იმტერეოდა შედღეებულის ხალხის ტამის კერისა და ვაშას ძახილისაგან“.

„სამშობლოს“ ქართული საზოგადოება აღტაცებული შეხვდა. სულ სხვაანაირი იყო მეფის აგენტების რეაქცია — საზიზღარი ცინიზმი.

კატეგორის გაზეითის კორესპონდენციამ ილიასა და სხვა ქართველი პატრიოტების ვარდა მრავალი რუსი ინტელიგენტი აღაშფოთა. ი. წინამძღვარიშვილი მოსკოვიდან სწერდა ილიას: „ჩემი სიამოვნება იმან უფრო ასწია რომ აქ არა თუ სომხები, ერთი რუსი არ შეგვხვდარი, რომელსაც არ გამოეთქვას აღტაცებული კმაყოფილება შენ წერბულზე“.

ნ. ტატიშვილი დამაჩერებელი სახეებით წარმოგიდგენს „სამშობლოს“ ეპოქის ქართულ საზოგადოებას. (ეს სახეები მით უფრო შთამბეჭდვითაა, რომ ისინი ემყარებიან თავისთავად შთამაგონებელ და ღირსსახსოვარ ფაქტებს). აქ მკვლევარი სცილდება თავისი მონოგრაფიის საზღვრებს და დამამახსოვრებლად ავუწერს ამ ისტორიულ მომენტის ბატალიებს. მონოგრაფიის სპეციფიკის გამო მკვლევარი გზადავხა ეხება საქართველოს ცხოვრების მრავალ საკანძო საკითხს. ეს თავისთავად აუცილებელი იყო: იმ პერიოდში, რომელიც შეიცავს საქართველოს ევროპასთან დაახლოვებას, ბევრი რამ იყო ახალი და სასარგებლო ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ამავე პერიოდმა ქართული ხალ-

ამოტირდა და ამოთქვა
გამ, ცოლსა ცუდის ვმისასა.

„ამოტირდა და ამოთქვა“-თი სხეულიდან ზე-
მოთ გმინვა ამოდის, შეადარა ვეფხის: „ამოგმინ-
დება ტიალი“ ხოლო „ადგა და ხელი გააბა
ნაჭაპანსა ვიშრის თმისასა“-თი თმის-ნაწნავის
სიგრძე გვექვეყნა. განსაკუთრებით ორი „ა“-გა
აბა ჰქმნის ამ შთაბეჭდილებას.

ვეფხის პოეტის საკითხებიდან ნ. ტატიშვი-
ლი წინა წერტილებში აღძრულ საკითხებს უბ-
რუნდება (ეჟრნალი „იმედი“) რა თქმა უნდა,
80-იანი წლებში შედარებით მომპლაკრებულ
პრესის 60-იან წლებისაგან ერთგვარად განსხვავ-
ებული საზრუნავი ჰქონდა, მაგრამ მთავარი
ისევე ჰქვეყნის ეროვნული და სოციალური
მდგომარეობა იყო. ექნალებს — „იმედი“,
„ივერია“, „შრომა“, „დროება“ საერთო პო-
ზიციები ჰქონდათ, მაგრამ ისინი მაინც ერთ
მიზანს ემსახურებოდნენ.

„იმედი“ ხალხოსნების ეჟრნალი იყო, და
ცენზურა საგულდაგულოდ ადევნებდა თვალს
მის მუშაობას. ერთხელ ცენზორს მამ. ასათი-
ანის ნაწარმოებიდან ლექსი ამოუღია და თა-
ვისი ჩაურთავს. აი რას წერდა „იმედის“ კო-
რესპონდენტი ცენზორის მიერ ამოღებულ წე-
რილში: „დამაიწყდა რომ ჩვენში წერა შეიძ-
ლება მხოლოდ იწილობიწილო-შრომანო-გერო-

ტილოზე. შეიძლება უნარო ლაზღანდარობა
ათასნაირ სისულელეზე და ვრცელმეტყვე-
ლზე მოსაქედ სავანზე, მაღალ ცრქწნობის
ამქოთებელი მოვლენაზე სჯა-ბაასი“.

„იმედი“ ცდილობდა პირველი შეგებებოდა
ახალ სოციალურ საკითხებს, — ხშირად გულ-
უბრუნებელი იფასებდა მათ და სხვა ეჟრნალე-
ბის კრიტიკას იმსახურებდა.

„იმედი“ წინგადადგმული ნაბიჯი იყო ჩვენი
აზროვნების განვითარების ისტორიაში. ამ ეჟრ-
ნალში მოღვაწეობდნენ შედარებით დაბალი ფე-
ნის წარმომადგენლები — ესეც განსაზღვრავდა
ეჟრნალის სტისისცვლას.

სამკაოდ ვრცლად გველაპარაკება ავტორი
ეჟრნალის თანამშრომლებზე. ამ საუბარში
მეღვანდება მისი მაღალი პროფესიონალიზმი
და პოეტური სული.

ადრე გამოკლდა ნიკო ტატიშვილი ქართულ
მწერლობას და ეს მით უფრო დასანანია, რომ
იგი იყო ინიციატი ნიქის და დიდი სინდისის
მკვლევარი.

„ლიტერატურული ნარკვევების“ გამოცემით
ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას დაუბ-
რუნდა თავისი შესანიშნავი წარმომადგენელი
და ჩვენი მადლობა უნდა ვუთხარათ მისი გა-
მოცემის ინიციატორებს.

ბ. ხარანაული

ნაშრომი სოციალისტური ერების განვითარების შესახებ

ლენინიზმი ეროვნულ საკითხს პროლეტარუ-
ლი რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქ-
ტატურის საერთო საკითხს წაწილად მიიჩნევს.

ეროვნული საკითხის გადაჭრა ჰქვეყანაში შე-
საძლებელია მხოლოდ პროლეტარული რევო-
ლუციის გამარჯვების შედეგად. პროლეტარული
რევოლუციის გამარჯვება კი შესაძლებელია
ყველა ერის შრომელთა მშარდაქვრით, ინ-
ტერნაციონალიზმის ღრმით.

პროლეტარული რევოლუცია არა მარტო ახა-
ლი (სოციალისტური) ტიპის სახელმწიფოს,
არამედ, წარმოების სოციალისტური წესის და-
მკვიდრების საფუძველზე, ახალი (სოციალის-
ტური) ტიპის ერებსაც წარმოშობს. ასე შეიქმნა
დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-
ციის შემდეგ ორი — ბურჟუაზიული და სოცია-
ლისტური — ტიპის ერი, რომელთა შორის არ-
სებთი სხვაობაა.

სოციალიზმის პირობებში ერების აყვავება
ხდება მათი დაახლოებისა და მეგობრობის გზით.
გამოილი კომუნისტური მშენებლობის პერი-

ოდში დამახასიათებელია ერების შემდგომი
დაახლოვება და სრული ერთობის მიღწევა.
ამით ახალი ეტაპი დაიწყო სსრ კავშირის ეროვ-
ნული ურთიერთობის განვითარებაში. სწორედ ამ
საკითხისადმი მიძღვნილი პროფ. ვ. ბრუქველი-
ძის საინტერესო ნაშრომი — „სოციალისტური
ერები განვითარების ახალ ეტაპზე“.

ნაშრომში ავტორი გადმოსცემს ოქტომბრის
დეკრეტებიდან „რუსეთის ხალხთა უფლებათა
დეკლარაციის“ შინაარსს და ლაპარაკობს თვით-
გამოკლვევის საფუძველზე ერების სახელმწი-
ფოებრივად მოწყობაზე. ავტორი აქ ფართოდ
ეხება შუა აზიის ქვეყნების ეროვნული გაიჭვ-
ნის მნიშვნელობას და სამართლიანად დასკუ-
ნის, რომ „მოწინავე სოციალისტური ქვეყნების
მუშათა კლასის დახმარებით სუსტად განვითარ-
ებულ ხალხებს შეუძლიათ კაპიტალიზმის
გვერდის ავლით, ფოდალური განვითარების
სტადიიდან, უშუალოდ გადავიდნენ სოცია-
ლიზმზე“ (გვ. 18).

ავტორი უმარადი ფაქტობრივი მასალით ასა-
ბუთობს, თუ როგორ ზოციელებდა ჩვენს ქვეყ-
ნაში ლენინური დებულება ფორმით ეროვნუ-
ლი და შინაარსით სოციალისტური ელტურის
განვითარების შესახებ.

ვ. ბურჟულაძე, „სოციალისტური ერები გან-
ვითარების ახალ ეტაპზე“, საბჭოთა საქართვე-
ლო, 1965.

შრომის პირველი თავის უკანასკნელი ქვეთავი ბრძოლა კომუნისმის ერთიანი კულტურის შექმნისათვის. ამ განხილულ პრობლემათაგან მნიშვნელოვანია საკითხი ეროვნული ენის შესახებ. „ერის უკუდაგება — დღეადღის უკუდაგებაში“ — ამბობს ავტორი (გვ. 82).

შრომში აგრეთვე, ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ არის გადაჭრილი ჩვენს ქვეყანაში ეროვნებათა განვითარების ლენინური, ინტერნაციონალური პრინციპები. საბჭოთა კავშირში აღარ არსებობს ეროვნებათა ფაქტობრივი უთანასწორობა, აღარ არიან ჩამორჩენილი ხალხები. განხორციელებულია კომუნისტური პარტიის ამოცანა, რომ კომუნისმის მშენებლობის პროცესში მზარდი დოვლათი სამართლიანად უნდა განაწილდეს ყველა ერსა და ეროვნებას შორის.

სწორად იქცევა ავტორი, რომ შრომში ცალკე ქვეთავს გამოყოფს ამიერკავკასიის ხალხების შესახებ (გვ. 116-152). ამ უმარაგი ფაქტობრივ მასალა მოტანილი იმ წარმატებების დასადასტურებლად, რასაც მიიღწიეს მშრომელებმა საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ავტორი პარალელს აგებს ამ ქვეყნების წარსულთან და აღარებს ბურჟუაზიულ ქვეყნებს.

შრომის უკანასკნელი ქვეთავი შეეხება სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდამხმარების საკითხს, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის სოციალისტური ერების ყოველმხრივ დაახლოებისათვის. როგორც ავტორი წერს, „კომუნისტურ პარტიას ერების ურთიერთობის საკითხი მუდამ მიაჩნდა და მიაჩნია სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ უაღრესად აქტუალურ პრობლემად“ (გვ. 174).

ბურჟუაზიის სარეცენზიო ნაშრომი სასარგებლო იქნება მოსწავლედ ახალგაზღვრობისათვის, ყველა იმისათვის, ვინც დანიტრესებულია საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესწავლისა და მისი პრაქტიკულად განხორციელებით.

შრომის ზოგიერთი ნაწილი აქვს, რაზედაც ვეინდა შევიჩროთ მკითხველის ყურადღება:

1. შრომში სწორად არის გაგებული სსრ კავშირში გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ხანა, როგორც ახალი ეტაპი ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში. მაგრამ, ვდებრობთ, ერთგვარ განმარტებას მოითხოვს ავტორის შეხედულება, რომ კომუნისმის გაშლილ მშენებლობის პერიოდში „...პრინციპულად ახალ საფეხვედს ემყარება სოციალისტური ერების მდგომარეობა და თანამშრომლობა“ (გვ. 9). გამოთქმა „პრინციპულად ახალ საფეხ-

ვედს ემყარება“ უნდა უკეთ იქნას დასაბუთებული. ამ ავტორი უთითებს ერების თანასწორობისა და ნებაყოფლობით თანამშრომლობაზე, რაც ჩვენს ქვეყანაში მანამდეც დაუძლი იყო, აგრეთვე უთითებს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე, მაგრამ ამაზე თვითვე წერს, რომ ერების თანამშრომლობის განმტკიცება მუდამ მას „ემყარებოდა და ემყარება“ (გვ. 9). მაშ, რაში უნდა ეყვით ამჟამად „პრინციპულად ახალი საფეხვედს“ ახსნა?

2. სარეცენზიო შრომში წერია, რომ „ითითებ ხალხში, როგორც წესი, ვანულოზად სჭარბობს პროგრესული ნიშანთვისებანი და სწორედ ისინი შეადგენენ იმ ეროვნულ საუბრეს, რომელიც მთელი კაცობრიობის საგანძურს ამდიდრებს და ამწვევებს“ (გვ. 61). ეროვნულ საუბრეში ბევრი რამ არის ისეთივე ხასიათისა, რაც სხვა ერებსაც ახასიათებს. ის, რაც ერებს შორის საერთოა, ის ერთი რომელიმე ერის სახელით არ შევა „კაცობრიობის საგანძურში“. მასადავთ, ერის „ეროვნული საუბრე“ არ შეიძლება მთლიანად შევიდეს კაცობრიობის საგანძურში. ყოველი ერი მხოლოდ იმით ამდიდრებს კაცობრიობის საგანძურს, რაც მას თავის ეროვნულ საუბრეში მოუვლევია და სხვებისაგან განსხვავებით მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი. სწორედ ამიტომ არის იგი თანასწორუფლებიანი ყველა სხვა ერებთან, მიუხედავად იმისა, ღივი ერი იგი თუ პატარა.

3. ავტორის მიზანია, რომ შეუწყნარებელია ჩვენს ქვეყანაში ეროვნული განვითარების რაიმე გამოვლენა, ამის შესახებ მრავალჯერ მიუთითებს იგი თავის ნაშრომში. მაგრამ ამ ფონზე ერთგვარად გაზვიადებულად გვეჩვენება მისივე სიტყვები, რომ „საყოველთაოდ ცნობილია ქართველი კაცის ინტერნაციონალური ბუნება“ (გვ. 93). ავტორი იზიარებს აგრეთვე გამოთქმას, რომ საქართველოში „პატრიოტიზმა სხვა თვისებებისა, სხვაგვარი ხასიათისა“ (გვ. 96) ესეც ერთგვარად ვადაჭარბებელია. სწორად ამიტომ არის სკეპტიკურად მიითვებული, რომ „პარტია არ დაუშვებს ეროვნულ თავისებურებათა არც დეფლუბაციას, არც გაზვიადებას“ — (გვ. 129).

4. ხშირად სარეცენზიო ნაშრომში ფაქტობრივ მასალის მოტანისას მიითვებული არაა წყარო (გვ. 125, 126, 127, 141, 145 და ა. შ.).

ამ შენიშვნების მიუხედავად, პროფ. ვ. ბურჟუაზიის სარეცენზიო წიგნი უსათუოდ ღირებული და სასარგებლო ნაშრომია.

ზვიგნოლ პაპიშვილი

6 00/100



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ
ԳՐԱԴԱՐԱՆ
И Н Д Е К С
7 6 1 2 8

ՅՃԵՆ 80 ՅՅ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т Թ Ե Ի“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ԴԱ ԽԵԼՈՎՆԵԲԱ“